

780

1990

ISSN 0134-9848


საქართველო


საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

№ 280
(1)

1990/1

საინფორმაციო-თავისუფლების





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხაიმ სუბინი: შარტრეს საკათედრო ტაძარი

საუნჯე

1990/1
 საქართველოს
 ბიბლიოთეკის
 გამომცემი
 თბილისი

(94)



შინაარსი

პროზა და პოეზია

მიხაილ ჯოხანაძე, ცისფერი წიგნი, თარგმნა ეთერ თვარაძემ	8
დესანკა გაძსიხიძე, ლექსები, სერბიულიდან თარგმნა მედეა კახიძემ	82
ნარლ ღიკანსი, ცხოვრება ჩვენი უფლისა, ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა	101
ეგრელი პოეტები, ლექსები, თარგმნა ენვერ ნივარაძემ	123
მარინა ცვეთაივა, ავტობიოგრაფიული პროზა, თარგმნა რუსულიდან ქებულაძემ	129
ლინა კოსტინა, ლექსები, უკრაინულიდან თარგმნა მარია გონაშვილმა	178
ანრი ბარბიუსი, მოქვასი, ფრანგულიდან თარგმნა როენა უენიამ	181
ვიქტორ კიუპო, ლექსები, ფრანგულიდან თარგმნა მამუკა სალუქვაძემ	184
მთიანეთის, ფერფლი და ალმასი, რომანი, პოლონურიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ	189

წერილები

† მან-კოლ სარტრი, სამი მსახ, ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ	270
† მიგელ დე უნამუნო, ესკანეთის თანამედროვე მარკსიზმის, ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ	295
† სიმონ ფრანკი, უტოპიზმის კრესი, თარგმნა ზენაბ სარაძემ	305
მანა ხვედელიძე, ლიტერატურული დღიური, მანრის მონადობა და არსი	316

საქართველოს მშენებლის კავშირი
სსრკ-ის მშენებლის თანამშრომელი ალმანახი

მშენებლის მხარდაჭერისა და მშენებლის ურთიერთობის
შედეგად სარედაქციო კოლეჯი

სსრკ-ის
მშენებლის

მთავარი რედაქტორი:
სოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეჯი:

ელზა ახვლედიანი
ქაფიშვილი
გიორგი ბაძანიძე
მზია ბაძრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გომიანიძე
ნანა დარჩია (პ.გ. მდივანი)
მაგალი თოფაძე
ნოდარ ქაქაბაძე
ზურაბ კიქნაძე
ვასილ კობახიანი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დავით შანგიანიძე
რუსუდან შაგულაძე
ივანე შამგუშვილი
ნიკოლოზ შიშინაძე
გივი შანგუშვილი
გივი ქვეციანი (მთ. რედ. მოადგილე)
დავით წარსულიანი
ნუგზარ წარსულიანი

გარეკანზე: ხაბიბ სუბინი. ჯალი წითელ საგონებელში

მხატვარი ა. თოდრაძე, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური კ. იმნაიშვილი
გამომცემი ნანა ბარბაქაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეობები — 72-26-30

გად. წარმ. 07. 12. 89 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 10. 04. 90 წ., ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆
საღრ. თ. 25,51-სასტ. თ. 28, საღებავის გატ. 28,7, ტირ. 10 000. შეკვ. № 2659.

შპსი 1 მან, მთ კაპ.

საქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენისანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

პიხაილ ზოშჩენკო

ცისფერი წიგნი*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ეთერ თვარაძე

ძვირფასო ალექსეი მაქსიმოვიჩ!

ამ თრიოდე წლის წინათ მივიღე თქვენი წერილი, სადაც მირჩევდით, დამეწერა სატირულ-იუმორისტული ნაწარმოები, წარმომეჩინა ადამიანის ცხოვრების ისტორია.

თქვენ მწერდით: „ჩემი აზრით, თქვენ ახლაც ხელგეწიფებათ თქვენი ლექსიკის ფერადი მძივებით რაღაც იმდაგვარად, იუმორისტულად ამოქარგოთ კულტურის ისტორია. ამას სრულიად სერიოზულად და დაბეჭდვით გეუბნებით...“

ახლა შემიძლია გამოგიტყდეთ, ალექსეი მაქსიმოვიჩ, რომ მე ერთობ უნდობლად მოვეყიდე თქვენ მიერ შემოთავაზებულ თემას. მეგონა, მთავაზობდით, დამეწერა რაიმე იუმორისტული ნაწარმოები, მათი მსგავსი. ამ ბოლო დროს რამდენჯერმე რომ გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში, ვთქვით, „სატირიკოსების მოგზაურობა ევროპაში“ ან რაღაც ამდაგვარი.

მაგრამ ახლა, მოთხრობების წერას რომ შევუდექი და მოვინდომე ეს მოთხრობები რაღაც ნიშნით დამეკავშირებინა ერთმანეთთან (რაც ისტორიის მეოხებით კიდევაც მოვახერხე), მოულოდნელად აღმოვჩინდი იმ თემის წინაშე, თქვენ რომ მაშინ შემომთავაზეთ. გამახსენდა თქვენი სიტყვები და გულდაჯერებით შევუდექი მუშაობას.

არა, მე არ მეყოფოდა საიმისოდ ძალა და არც უნარი შემწევდა, მთლიანად დამეძლია თქვენი თემა. მე დავწერე არა კულტურის ისტორია, არამედ, შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ მოკლე ისტორია ადამიანთა ურთიერთობისა.

ნება მიბოძეთ, ღრმად პატივცემულო ალექსეი მაქსიმოვიჩ, შემოგბედოთ ეს ჩემი არცთუ უნაკლო, მაგრამ დიდი გულმოდგინებით შესრულებული ნაშრომი, — „ცისფერი წიგნი“, რომლის შექმნაც თქვენ ასე გასაოცრად იწინასწარმეტყველეთ და რომელსაც ახლა უფრო ხელმსუბუქად და სიხარულით ვწერდი, რადგან იმედი მქონდა, თქვენ მას წაიკითხავდით.

თქვენი მოყვარული
მიხ. ზოშჩენკო,
1984 წლის იანვარი,
ლენინგრადი.

* იბეჭდება შემოკლებით.

საქ. სსრ კ. შარქის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

19.609

წინასიტყვაობა

მხიარულებას ჩვენთვის არასოდეს შეუქცევია ზურგი. აი, უკვე თხუთმეტი წელია ჩვენი ძალ-ღონის შესაბამისად ვწერთ საოხუნჯო და თავშესაქცევ მოთხრობებს და ვახალისებთ მრავალ მოქალაქეს, რომელნიც მოწოდებულნი არიან, ჩვენს სტრიქონებში განკვირდნენ ზუსტად ის, რისი დანახვაც სურთ. და არა რაიმე სერიოზული, კეთის სასწავლებელი თუ საწყენი.

და ჩვენ, ალბათ, ჩვენივე სულმოკლეობის გამო, უსაზღვროდ გვახარებს ეს ყველაფერი.

ამეამად კი განვიზრახეთ დავწეროთ არანაკლებ მხიარული და გასართობი წიგნი ადამიანთა საქციელსა და გრძნობებზე.

მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს, ამ წიგნში მარტოდენ ჩვენი თანამედროვენი კი არ გამოვიყვანოთ, არამედ ძველ ღროსაც მოვუხადოთ ხარკი. საამისოდ გადავშალეთ ისტორიის ფურცლები და დავძებნეთ ძალზე სასაცილო ამბები და სურათები წარსულიდან, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოგვიჩვენენ ჩვენი წინაპრების ცხოვრებასა და ბუნებას. თქვენს ყურადღებას მივაქცევ ამ ამბებს, რადგან ისინი ზედმიწევნით გამოგვადგება ჩვენი დილექტანტური აზრების დასადასტურებლად და დასამტკიცებლად.

ახლა, როდესაც გადაშლილია ახალი ფურცელი იმ საოცარი ისტორიისა, ახალ საწყისებზე რომ უნდა იარსებოს, რაც, ალბათ, მოხდება ფულის გაშმაგებული ზვეჭისა და ამ მიმართებით საზარელ ბოროტებათა ჩაუდენლად, განსაკუთრებით საინტერესო და ყველასთვის სასარგებლოა ვიცოდეთ, როგორ ცხოვრობდნენ წინათ ჩვენი ძველები:

ამიტომ, ვიდრე თანამედროვე თემაზე მოთხრობების წერას შევუდგებოდეთ, გადავწყვიტეთ წარსულიდან ცოტა რამ მოგვეთხრო.

და აი, ჩვენი უბირი დილექტანტის ხელით გადავშალეთ ისტორიის ფურცელი და დავრწმუნდით, რომ ყველაზე მეტად დაუჯერებელ და შემზარავ შემთხვევებს უმეტესწილად თითებზე, ჩამოსათვლელი მიზეზები იწვევდა. ჩვენ დავინახეთ, რომ ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ფული, სიყვარული, ვერაგობა, უიღბლობა და სხვა მსგავსი გასაოცარი ამბები, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამის გამო წიგნი ხუთ შესაბამის ნაწილად დავყავით და შემდეგ სწრაფად და მარჯვედ მივუჩინეთ ნოველებს თავ-თავიანთი ადგილი. ეს ისე მოხდა, თითქოს ბურთები ზედიზედ შეგვეყაროს ბადეში.

ამის წყალობით გასაოცრად გამართული სისტემა მივიღეთ. წიგნი ცისარტყელასავით ნაირფრად აციავდა და გაანათა ყველაფერი, რისი განათებაც იმთავითვე გვექონდა ჩაფიქრებული.

ამრიგად, ჩვენი ქვემომდებარე ნაწარმოები ხუთ ნაწილს მოიცავს და ყოველ ნაწილში გარკვეული თემისა და საგნის ირგვლივ გვექნება საუბარი.

ასე, მაგალითად, იმ ნაწილში, სიყვარულს რომ ეთმობა, გვინდა აღვწეროთ, რაც ვიცით და რასაც ვფიქრობთ ამ ამალღებულ გრძნობაზე. შემდეგ შემოგთავაზებთ ყველაზე გასაოცარსა და საინტერესოს შემთხვევებს ძველი ისტორიიდან და როდესაც, მკითხველთან ერთად, ვიცინებთ ამ ქამგადასულ, ნავლწყარილ ამბებზე, შევეცდებით მოგიტხროთ, რა ხდება ამ მიმართებით ჩვენს გარდამავალ ხანაში.

ამგვარადვე შევახსენებთ სხვა ნაწილებსაც.

და მაშინ მივიღებთ სრულსა და შესაფერის სურათს ჩვენი თანამედროვე მკითხველისათვის, რომელმაც გადალახა წარსულის მწვერვალები და მკვიდრად დადგა ორივე ფეხზე ახალი ცხოვრების გზაზე.

რალა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რომ ცხვირზე პენსნეწამოსკუბებული მეცნიერები და მწიგნობარნი, პირმოთნეობით რომ უკირკიტებენ ისტორიას, ძალზე შემოგვწყრნენ და ჩვენ მიერ წიგნის ამდაგვარი დაყოფა მტრისმეტად პირობითად, თვითნებურად და ფუქსაეატობად მიიჩნიონ.

ამრიგად, ჩვენ წინაშეა ხუთი ნაწილი: „ფული“, „სიყვარული“, „ვერაგობა“, „უიღბლობა“ და „საოცარი შემთხვევები“.

აღვნიშნავ, რომ ბოლო ნაწილი ყველაზე ღირსშესანიშნავად მესახება, რადგან ვაპირებ აქ თავი მოვუყარო მამაკობის, კეთილშობილების, გმირული ბრძოლის და უკეთესი მომავლისკენ სწრაფვის თვალსაჩინო შემთხვევებსა და მაგალითებს, ყოველივე ამის გამო ეს ნაწილი, ჩვენი აზრით, ბეთპოვენის გმირული სიმფონიის დარად უნდა აქლერდეს.

ჩვენს წიგნს ცისფერი ვუწოდეთ, ეს იმიტომ, რომ თავის დროზე სხვა ფერები უკვე შერჩეული იყო. ლურჯი, ყავისფერი თუ ნარინჯისფერი, გამოყენებული გახლდათ წიგნების სათაურად, რომელთაც გამოსცემდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები, რათა დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე ან, პირიქით, სხვათა დანაშაული და შეცოდებანი წარმოეჩინათ.

ამის წყალობით, საჩვენოდ ძლივსლა დარჩა ოთხი-ხუთი სრულიად გამოფიტული და უღიმღამო ფერი: რუხი, მწვანე, ვარდისფერი და იისფერი. ალბათ, დამეთანხმებით, ასეთი არაფრის მთქმელი და უმნიშვნელო ფერების წიგნის სათაურად გამოტანა უცნაური და შეურაცხმყოფელი რომ იქნებოდა.

მაგრამ ზემოჩამოთვლილ ფერების გარდა, რჩებოდა კიდევ ცისფერი და ჩვენი არჩევანიც სწორედ მასზე შევაჩერეთ:

ეს გულის დამაამებელი ფერი, ოდითგანვე მოკრძალების, ახალგაზრდობის, სიწმინდისა და ყოველივე ამაღლებულის სიმბოლოდ რომ ითვლებოდა, ფერი ზეცისა, სადაც ფრენენ მტრედები და დაჰქრიან თვითმფრინავები, ჩვენ თავზემთ მოლივლივე ლაქვარდის ფერი, შევარჩიეთ სიცილის მომგვრელი და ნაწილობრივ გულის ამაჩუყებელი წიგნის სათაურად.

და რაც უნდა ილაპარაკონ ამ ჩვენს წიგნზე, მასში უფრო მეტად გამოსკვივის იმედი და სიხარული, ვიდრე გაკიცხვა და ირონია. უფრო ნათლად იგრძნობა კეშმარტი, გულთბილი სიყვარული და ადამიანებისადმი ნაზი, სათუთი დამოკიდებულება, ვიდრე გაკიცხვა.

ამრიგად, რაკი უკვე გაგიზიარეთ ჩვენი შენიშვნები, საზეიმოდ გადავშლით ყოველ ცალკეულ ნაწილს ჩვენი წიგნისას.

და მკითხველს შევთავაზებთ, გაისეირნონ იქ, როგორც ხეივნებში.

მოგვეცით თქვენი ვაჟკაცური ხელი, მკითხველო, წამობრძანდით, ჩვენ გვსურს გიჩვენოთ ზოგიერთი ღირსშესანიშნაობანი.

ამრიგად, ჩვენ გადავშლით პირველ ნაწილს — „ფული“, რომელიც, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი შეიცავს ისტორიულ ნოველებს ფულზე, მეორეში კი თავმოყრილია თანამედროვე მოთხრობები ამავე თემაზე.

მანამდე კი, განყენებულ საუბარში აგიწერთ საერთო მდგომარეობას. ამრიგად — ვიწყებთ ფულით.

ფული

1. ჩვენ ვცხოვრობთ გასაოცარ ბანაში, დროის ამ მონაკვეთში, როდესაც ფულისადმი დამოკიდებულება ხელერთიანად შეიცვალა.

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც შეწყდა კაპიტალის ფიცი მსვლელობა.

ჩვენ ვცხოვრობთ იმ სახელმწიფოში, სადაც ადამიანებს მხოლოდ შრომისათვის ეძლევათ ფული.

და ამიტომაც ფულს მიენიჭა სხვაგვარი მნიშვნელობა და შეიძინა სხვა, უფრო ამაღლებული დანიშნულება — ფულით უკვე ვეღარავინ მოიხვეჭს სახელსა და დიდებას.

2. ამ ყოვლისშემძლე საგნით ჩვენს შესანიშნავ დრომდე ძალზე იოლად იყიდოდა ყველაფერს. რაც მოგესურვებოდათ: — მეგობრობას, პატივისცემას, უფრო გატაცებას, ერთგულებას, უმაგალითო პატივს, დამოუკიდებლობას, დიდებას და ყველაფერ გამორჩეულსა და საგანგებოს, რაც კი დედამიწის ზურგზე მოიპოვებოდა.

მაგრამ ფული მარტო შესყიდვის საგანი როდი იყო, მას შეეძლო ზღაპრული მომაქადობელობით ყველაფერი შეეცვალა და გარდაეჭმნა.

მაგალითად, ფულით გატისნული ვიღაც კორიანჩხალა, ბრუტიანი დედაკაცი, ყველა სიკეთესთან ერთად, წინა სამი კბილიც რომ ჩამტვრეოდა, შეიძლებოდა ქვეულიყო უმშვენიერეს ნიმფად, რომლის ირგვლივაც იტრიალებდნენ ურჩეულესი მამაკაცები და თანაგრძნობის მოსაპოვებლად ჩაფერვლილ თვლებში შესციცინებდნენ.

3. უქყო ცანცარას, სულელს თუ მტკნარ რეგვენს, ბლუყუნით ძლივს რომ აბრუნებდა ენას, მიაწერდნენ მახვილგონივრულობას და მიაჩნდათ, რომ ეს ფულით გატენილი ტომარა ცხოვრებისეულ ბრძნულ აფორიზმებს აფრქვევდა. ბინძური სულის პატრონი გაიძვერა, თაღლითი თუ ფლიდი, სხვა შემთხვევაში ყველას ზიზღის გრძნობას რომ აღუძრავდა, საპატიო პიროვნებად იყო აღიარებული, მას ფეხქვეშ ეგებოდნენ და ხელსაც მოწიწებით ართმევდნენ, სახელაყეფილი და ყურაფხრეწილ ცალფეხა სახიჩარიც ხშირად გადაუქცევიათ ანგელოზის სახიან სიმპათიურ კაბუკად.

აი, რად გარდაიქმნებოდნენ ხოლმე ფულის მფლობელები.

მაგრამ ვაი რომ ამ გასაოცარი ზღაპრული თვისებებით აღჭურვილ მაგიურ საგანს, ასერივად რომ მოქმედებს ჩვენს ცვილივით სათუთ წარმოსახვაზე, ჩვენს ქვეყანაში მძიმე კრილობები მიაყენეს. და რას უნდა მოველოდეთ აქედან ან საბოლოოდ რას მივიღებთ, პირადად ჩვენთვის ბოლომდე გარკვეული არ არის.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ ყველაფერ ამას სასიკეთო პირი უჩანს და ავის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, ვინ იცის, იქნებ ბედნიერებამ კიდევ გააცისკროვნოს ჩვენი დუხჭირი ცხოვრება.

4. დავუშვათ, რომელიმე გონიერმა არსებამ, სხვა კულტურული პლანეტიდან, როგორ გითხრათ, ვთქვათ, მარსიდან ან იუპიტერიდან, ცოტა ხნით გადმოუხვია ჩვენი მოკრძალებული დედამიწისაკენ. ამ არსებობისთვის, რა თქმა უნდა, უცხო იქნება ჩვენი მიწიერი ყოფა-ცხოვრება და უკიდურესად გააოცებს ჩვენი ცხოვრების წირი.

რასაკვირველია, სასურველია ვიფიქროთ, რომ ეს გონიერი არსება, ჩვენი

ვრცელი ველ-მინდვრების დანახვისას, პირველ ყოვლისა, აქეთენ იზამს პირს, და თუ ასე მოხდა, მაშინ მისი გაოცება ეგზომ უსაზღვრო აღარ იქნება.

მაგრამ, დავუშვათ, თავისი გამოუცდლობის ან უკიდურესი ცნობისმოყვარეობის წყალობით, ან თუნდაც იმის გამო, რომ მისი ბიწიერი ბუნება თავს შეახსენებს და მოესურვილება ცოტა წაიეშმაკოს, ეს არსება თავდაპირველად ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში დაეშვება და შეეცდება ოდნავ მაინც შორიქვას შორეულ, მკაცრ პლანეტებს შორის ზეტიალის დროს გამკნარი სული, პირველი წუთებიდანვე მეტისმეტად განცვიფრდება, რადგან ყველაფერი, რასაც იქ იხილავს, მისთვის უალრესად გასაოცარი და უჩვეულო იქნება.

5. ჰოდა, დავუშვათ, ეს ჩვენი არსება დაეშვა, ან უფრო მიწიერი გაგებით რომ ვთქვათ, თავისი საფრენი აპარატიანად სადმე, რომელიმე დიდი ქალაქის მახლობლად ჩამოვარდა მიწაზე, სადაც ყველაფერი ბრწყინავს და ლაპლაპი გააქვს.

კაშკაშებს ლამპიონები, რეკლამების სხივები თვალებს უბრჭყვიალებს. ღრუბლებში, ყველას გასაოცრად, გაკრთება შუქრეკლამის შამპანურის ბოთლი. რომლის საცობი საგანგებოდ ამოვარდება ბოთლის ყელიდან, ჩქეფი წინწყლებად იღვრება და კამკამებს, მატარებელი ხრიგინით მიჰქრის, იქით, ბოდში მომიხდია, პირმოხეული გაპკივის ვილაც კაცუნა, მატარებელმა ფეხი შუაზე რომ გადაქრა. სისხლი მოთქრიალებს... მოჰქრის ლამაზმანებით ზედმეტად გადატვირთული მანქანა. ქალები სიცილ-კისკისითა და ხუმრობა-ობუნჯობით სადღაც გასართობად მიეშურებიან, — ეგება ოპერაში ან თუნდაც კაბარეში. მარჯვე პოლიციელი ხელის აღებით მარდაღ აძლევს მათ სალამს, სადღაც საამოდ მღერიან... სადღაც სროლის ხმა აყრუებს ირგვლივეთს. სადღაც ტირიან, ოხრავენ, ცეკვავენ.

6. ერთი სიტყვით, გრიალი, რუხრუხი და თვალისმომკრელი ბრჭყვიალი აოცებს და საგონებელში აგდებს ჩვენს უცხოპლანეტელ არსებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც უშიშრად მიისწრაფვის წინ, რათა თვალი გაიძლოს ამ მისთვის უცხო სახილველთა ცქერით.

ჩვენი უცნაური არსება ხალხს შეერია და თავისი დაბრეცილი ფეხებით მთავარ ქუჩაზე მიაბოტებს.

პირი დაუბჩენია, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, გულში, თუკი ასეთი რამ მართლაც აქვს, ბუნდოვან მღელვარებას ცვლის სინანულის გრძნობა, რომ თავისი სისულელით მიატოვა მშობლიური პლანეტა და აჰა, ბატონო, ინებეთ, ეშმაკმა უწყის, ახლა რა ელის!

და უეცრად შესასვლელთან გაკრიალებული მანქანა გამოილანდა და იქვე შეჩერდა.

7. სამი კარისკაცი გამალებული გარბის იქითკენ, დიდი მოწიწებით აღებენ მანქანის კარს და სულთქმაშეკრულნი ცნობისმოყვარეობით შეშჩერებიან იქიდან გადმომსვლელს.

და წარმოიდგინეთ, მანქანიდან თავდახრილი გადმოფრთხილდა კოპწია დედოფალა. ძალზე სანდომიანი, ლამაზი ქალბატონი, ისეთი თვალწარმტაცი, როგორიც კი შეიძლება მამაკაცის ფანტაზიამ წარმოიდგინოს. ცალ ხელში პაწაწინა ძალლი უჭირავს — შავი, მოცახცახე ფოქსტერიერი, მეორე ხელიანი პარკისთვის ჩაუვლია, — ასე ვთქვათ, ატმები, ანანასი, მსხლები აწყვია, ალბათ, შიგ.

ქალბატონი გადმოდის მანქანიდან ძალზე უმწეო სიტყვებით: „ოჰ, დავეცემი!“ ან „ოჰ, ალექსის, სად ხარ ბოლოს და ბოლოს?“.

და აი, ქალბატონის შემდეგ გამოჩნდება ალექსისი. ძლივს მიაღწევს თავის კოჭლ ფეხს, იგი ხენეშის, აფურთხებს და წამისწამ ცხვირს იხოცავს. რადაცნაირი ტლანქი ცხოველია, საშინელი სიფათის პატრონი ცხვირის მოგრეხილი აქვს, ცალი ღაწვი ახევია და თვალიდანაც ჩირქი გადმოსდის. არა, ძალზე მოდურად და ელეგანტურად კი აცვია, მაგრამ იმწამსვე შეატყობ, რომ ეს ბევრს ვერაფერს შეეღის, პირიქით, უფრო მეტად წარმოაჩენს მის უგვანობას.

8. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველანი მიწამდე იდრეკენ მის წინაშე ქედს და შეფრფინვით მისჩერებიან. ხალხში აღტაცებისა და მოკრძალების ჩურჩული ისმის.

— ოჰ, — ამბობს მეკარე და აღელვებისაგან ერთიანად ცახცახებს. — რა ბედნიერებაა, ბატონებო, ჩვენთან მობრძანება რომ ინება!

ის კი, ის უკეთური კოჭლაბუხა, როგორც ეტყობა, ავკაცობაში დაბერებული, დაუდევრად ამთქნარებს, თავსაც კი არ იწუხებს, პირზე ხელი რომ აიფაროს. მიაჩლახუნებს თავის კოჭლ ფეხს და უწადინოდ შემზერს მშვენიერ ქალბატონს, — თავის მეუღლეს.

— პარდონ, ვინ არის ეს? — შიშნაკრავი ეკითხება ჩვენი გონიერი არსება მეკარეს. — ვინ უნდა იყოს? ალბათ, ვინმე თქვენი უდიდესი სწავლული, პოლიტიკური მოღვაწე, ან ეგება თქვენი დროის ღვაწლმოსილი პედაგოგია?

— პედაგოგი, — აგდებულად ამბობს მეკარე. — პედაგოგი რომ იყოს, ბოდიში მომითხოვია, ასეთი გაწამაწია კი არ ატყდებოდა. ჩვენთან პედაგოგები, ასე ვთქვათ, ბუზებივით ირევიან, ეს ბატონი კი მილიონერია.

9. ჩვენს გონიერ არსებას გაუჭირდა ზემოთქმულის გაგება, მაგრამ იქვე შეიტყო, რომ კოჭლმა ბატონკაცმა, ესოდენი პატივი რომ მიაგეს, სახელი და დიდება მოიხვეჭა მხოლოდ იმის წყალობით, რომ სარფიანი ვაჭრობა გააჩაღა ავტომანქანების საბურავებით, მამიკოს დანატოვარი ფულებით რომ შეიძინა.

ჩვენი გონიერი არსება ვერ მიხვდა, რა უთხრა კარისკაცმა, არც ის მოისურვა, საამისოდ თავისი ამალღებული ტვინი ექყლიტა. გაბრაზდა და გადაწყვიტა, აბლავე გასცლოდა დედამიწას, სადაც მის მკვიდრთ პატივს მიაგებდნენ ესოდენ უცნაური და ამოუხსნელი მიზეზის წყალობით.

და აი, ჩვენი ცითმოვლენილი სტუმარი ისევ თავის საფრენი აპარატისკენ მიისწრაფვის.

მიდის და გზად უცნაური სურათების მხილველი ხდება, ხედავს ბეწვეგამოდებულ გრძელ ქურქებში გამოწყობილ გაბღენძილ ბატონებს, ამაყად რომ მიაბიჭებენ ქუჩაში, და გასაცოდავებულ, ძონძებში გახვეულ ადამიანებს, აკრეფილი ნაბიჯით რომ მიზინხილებენ თავისი გზით. იგი ხედავს სამათხოვროდ ხელგაწვდილ ბავშვს და მდიდრულად ჩაცმულ თავგასულ ყმაწვილს, ქონით დატიკნილი ლოყები რომ ჩამოკონწიალებია; დედას ხელჩაკიდებული მიჰყავს თავისი ნაშიერი და წამისწამ ატენის პირში ბისკვიტს და რადაცნაირ რბილ შოკოლადს.

იგი ხედავს სურათს, რომელიც ალბათ უჩვეულო არ უნდა იყოს მისი მიღმური მზერისათვის — ტროტუარზე სწრაფად გამორბის ვიღაც ლამაზმანი, არ ეშვება მამაკაცებს იმ იმედით, იქნებ რომელიმე მაინც მოჩანგლოს და თავისი სილამაზის საფასურად რამდენიმე გროში იშოვოს.

10. ამ სახილველით გულშეძრული ჩვენი გონიერი არსება ესწრაფვის ჩაჯდეს თავის აპარატში და აქაურობას გაეცალოს.

და უეცარდ გრძნობს, რომ თემოზე ვიღაც ხელს უფათურობს ^{უნდა ჩა-} უძვრინოს ჭიბეში, რომელიც, ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მას საერთოდ არა აქვს და ფულს, თავისი პლანეტელების ჩვეულების თანახმად, ^{ჩვენს} ^{წიგნში} ინახავს.

ჩვენი გმირი თათს მიიჭერს იმ ადგილზე, სადაც ფული ეგულება, რომ უკანასკნელი დანაზოგი არ აწაპნონ, სწრაფად ჯდება აპარატში, ღილაკს თითს დააჭერს, ელვისებურად აიჭრება ლაყვარლოვანი ცისკენ და თან თავის ჩიქორთულ ენაზე ბუტბუტებს:

— ეშმაკმა წაგიღოთ ყველანი, ერთი თქვენიც... ესეც პლანეტაა, რაღა!

მშვიდობით, მშვიდობით... ნახვამდის... ხშირ-ხშირად მოფრინდით ჩვენთან, ეგება მომავლისთვის რამე შეიცვალოს. სალამი გადაეცით თქვენიანებს, წერილი მოგვწერეთ. გვინახულეთ ხოლმე, აქ, ჩვენთან ახალი ცხოვრება იწყება.

11. დიახ, ჩვენი ცხოვრება მართლაც შეიცვალა. არა, ფული კი გვაქვს და ამ ფულით უამრავი რამის შეძენა შეგვიძლია, მაგრამ ადამიანებს შორის ფულს ახლა სულ სხვაგვარად ვანაწილებთ. ჩვენ პატივს არ მივაგებთ იმათაც, ვისაც რატომღაც ეს ფული სხვაზე მეტი აქვს. ასეთებს უმთავრესად სხვა თვისებების გამო ვცემთ პატივს.

მაშასადამე, იწყება ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთდამოკიდებულება და უნდა გადაიშალოს ისტორიის ახალი ფურცელი.

ესე იგი, რაკი ეს ასეა, — საინტერესოა და ყველასთვის საჭირო და სასარგებლოა იცოდეს, რა იყო წინათ, რაც ახლა აღარ არის, და რა ხდებოდა; წარსულში თუკი აღარ სურთ, რომ ახლაც იგივე განმეორდეს.

და აი, ვინერწყვავთ თითს და ვიწყებთ გულგრილი და უწადინო ისტორიის გაყვითლებული ფურცლების გადაშლას.

აქ ვნახავთ, რომ ისტორიას შემორჩენია უამრავი გასაოცარი ამბავი ფულზე, მაგრამ, როცა ამ ამბებს გადავიკითხავთ, ჩვენთვის გაუგებარი ხდება, რატომ მოგვითხრობს ამაზე ისტორია მიუკერძოებლად. პირიქით, ზოგი ამბავი ჩვენი აზრით, ძალზე კომიკურია და ბევრსაც გვაცინებს, მაგრამ არის ამბები, რომელთა კითხვის დროსაც ცრემლი უნდა ვაღვარღვაროთ.

თუმცა არა, აბა რას ბრძანებთ, ჩვენ როდი ვაპირებთ მთელი ისტორია აქვე გადმოგიშალოთ, ჩვენ მოგითხრობთ იმაზე, რაც უფრო სასაცილო გვეჩვენა და, ჩვენი აზრით, უფრო ნიშანდობლივად მივიჩნიეთ.

12. აი, მაგალითად, კეთილ ინებეთ, მოისმინოთ მოთხრობა ფულის შემძლეობაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ გაიყიდა ერთხელ საჯარო ვაჭრობით ხელმწიფის ტახტი. თანაც, რასაკვირველია, ტახტი არა როგორც ღვამი, არამედ მთელი სახელმწიფო ამასთან, მეფობის მსურველ ყველა ჭიბესქელ მდიდარს შეეძლო ტახტზე დასკუპებულიყო. და, ყველას გასაოცრად, ასე ვთქვათ, თავისი საკუთარი მდაბიური, დინასტია შეექმნა, და ეს მოხდა არა რომელიღაც მივარდნილ-შიყრუებულ ტყეებით დაბურულ ქვეყანაში, სადაც ვაციწვერა ხარობს და ხეებზე ციყვები დაბტიან, არამედ, არც მეტი არც ნაკლები, დიდებულ რომში!

ამასთან, ეს მით უფრო გასაოცარი იყო, რომ იმ დროის წეს-ჩვეულებებით, საუკუნეებით ნაკურთხ ტახტსაც და სამეფო დინასტიასაც განსაკუთრე-

ბულ პატივს მიაგებდნენ და, ასე ვთქვათ, ღვთაებასავით ეკრძალოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მასზე უფრო სხვაგვარი წარმოდგენა ქონდათ, ვიდრე, ბოდიში მომითხოვია, ჩვენს ხანაში აქვს ხალხს, მაგრამ მიუხედავად ყველაფერ ამისა, ფულმა მაინც თავისი გაიტანა, ისტორია უწადინოდ ეჭვობრუნდებოდა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით 193 წელს რომში პრეტორიანელებმა მომხრეობა ფული ესაჭიროებოდათ, გადაწყვიტეს, სამეფო ტახტი საჯარო ვაჭრობით გაეყიდათ. იმპერატორობის მსურველთა რიცხვმა მოლოდინს გადააჭარბა.

13. წარმოდგენილი გვაქვს, როგორ წიწმატობდნენ და ცხარობდნენ ამ დროს პრეტენდენტთა ცოლები. რა წივილ-კივილი, კენესა და ღრიალი გაისმოდა, ამასთან, ბოდიში მომიზნია და, შესაძლოა მუშტი-კრივი და ცემა-ტყეპაც არ დაუკლიათ ერთმანეთისთვის. რა თქმა უნდა, დიდი იყო ცდუნება, სრული არარაობიდან უეცრად იმპერატორის მეუღლე გამბდარიყავი. მაგრამ მალე ორმა ადამიანმა ყველანი უკან მოიტოვა.

ერთმა მეტისმეტად მდიდარმა კაცმა, ქალაქის პრეფექტმა სულპიცეუსმა პრეტორიანელებს ტახტისთვის რვა მილიონ მანეთამდე შეაძლია.

მაგრამ მეორე პრეტენდენტმა, დიდიუს იულიანემ, კკუამჩატე, არცთუ ისე ახალგაზრდა სენატორმა, რომელსაც ალბათ ანერვიულებული ცოლი გვერდით ედგა, აფართხალებულ გულზე ხელი დაიდო და ხმაჩახლეჩით აუწყა ყველას, რომ ყოველ ჯარისკაცს ზუსტად ექვსი ათას ორას ორმოცდაათ დინარს ჩაუთვლიდა, რაც საერთო ჯამში ცამეტ მილიონ მანეთს შეადგენდა.

ამ თანხამ ხალხში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია და სენატორი დიდიუს იულიანე, სისუსტისა და აღელვებისაგან რომ ბარბაცებდა, ამ შესანიშნავ ტახტზე დაბრძანდა.

— ნამდვილ სულელი ხარ! — ალბათ, უთხრა მისმა თანამეცხედრემ იმპერატორს, — რამ წამოგაყრანტალებინა ცამეტი მილიონი! ეს ხალხი ცხრა მილიონადაც დაგვითმობდა ტახტს...

— აბა, რა ვიცი, დედაკაცო, ტახტი სხვა ვინმეს რომ დარჩენოდა, ხომ სიცოცხლეს მომიწრაფებდი!

14. მაგრამ სიცოცხლე ცოლმა როდი მოუსწრაფა, ამ ძალაუფლების მოყვარულმა კაცმა რის ვაივაგლახით გაძლო ტახტზე სამოცდაექვსი დღე და მოულოდნელად დაასრულა თავისი მიწიერი ცხოვრება — იმავე პრეტორიანელებმა გააფრთხობინეს სული — ხმლით განგმირეს.

— არამზადებო! — გაპყვიროდა, ალბათ, საბრალო იმპერატორი, — რას სჩადით, ეშმაკმა ნუ იცის თქვენი თავი, აკი ფული სრულად ჩაგითვალეთ!..

მაგრამ მამაცი მეომრები იმედოვნებდნენ, მსგავს გარჩევაში კიდევ ჩაეთრიათ რომელიმე აცუნდრუკებული მდიდარი და შეუბრალებლად მიასიკვდილეს ეს ვაი-იმპერატორი, რომლის უშანკო და მრავალტანჯული სული სწრაფად ამადლდა ცად და მწარედ შესჩივლა უფალს, რა წარმოუდგენლად ღორულად და უსამართლოდ მოექცნენ ადამიანები.

პრეტორიანელები კი მართლაც მეტისმეტად უსინდისოდ და ღორულად მოიქცნენ — ცამეტ მილიონად მხოლოდ ორი თვე აბოგინეს ტახზე და მერე მიასიკვდილეს. თუმცა ნაწილობრივ თავად იყო დამნაშავე, ნეტა რა ეიმპერატორებოდა!

1 პრეტორიანელები — ძველ რომში იმპერატორის გვარდია, რომელიც დიდ როლს თამაშობდა სასახლეში გადატრიალებათა მოწყობაში.

ისე კი, რა გასაკვირია, — ტახტი მაინც ტახტია!

15. საკვირველი და საოცარი ის იყო, ეკლესიამ ცოდვათა მისატყვებლად ორდერების გაყიდვას რომ მიჰყო ხელი. ამ ორდერებს ეკლესიის მსუვეტური გადატანით ინდულგენციებს ეძახდნენ.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, როგორ ჩაისახა და აღორძინდა ეს უცნაო საქმე. ალბათ, მოეწყო რელიგიის გადატაკებულ მსახურთა კრება, სადაც რომელიმე მათგანმა კრეკა-ფრუტუნით გაამჟღავნა თავისი უხამსი ნაფიქრალი.

ეგება რომელიმე წმინდა მამამ თავის სიტყვაში ეამი ფერებით დაბატა უსახსრობით შეჭირვებული ეკლესიის მდგომარეობა.

ვილაცამ ალბათ გაუბედავად ამოიღწავლა, ხომ არ აჯობებდა, მლოცველთაგან საყდარში შემოსვლისათვის ფული აგვეღო.

შესაძლოა, ამის პასუხად ვინმე ცხვირპაჭუა მღვდელმა ჩაიდუღუნა: ფული რომ მოვთხოვოთ, რა თქმა უნდა, საყდარში ცხვირს აღარ შემოჰყოფენ. მაგრამ იქნებ შემოსვლისას რაღაც ისეთი, უბრალო რამ შევასალოთ, თუნდაც ძალზე იაფფასიანი...

მავანი და მავანი უთუოდ წამოიყვირებდა:

— განა იაფფასიანისთვისაც ფული არ უნდა გაიღონ? ხომ არ აჯობებდა, დალოცვისას გადაეხადათ ცოტა რამ? ან ეგებ, სიფთაზე აიაზმა გვეპყურებინა და ფული ამით დაგვეცინლა?

16. მაგრამ უეცრად ჩვენმა ცხვირპაჭუა მღვდელმა მუკში ჩაიფრუტუნა, მოზღვავებული სიცილისაგან შეტორტმანდა და ამოშაქრა:

— ეგება, ძმანო ჩემნო, ცოდვების მიტევებისათვის გადავახდევინოთ ფული? ცოდვამ სული დაგიმძიმა? დაყაჭე, ძმობილო, რაღაც გროშები... და აგერ შენ ქვითარი. ღმერთმანი, ასე აჯობებს...

აქ კი უცილობლად ატყდებოდა ხორხოცი, აურზაური და სიცილ-ხარხარი, ოთხი მხრივ წამოვიდოდა შეძახილები.

ისიც შესაძლოა, რომელიმე ძვალტყავად ქცეულ ფარისეველს ხელები ცად აღეპყრო და ჩაედუღუნა:

— განაღა უფალი არღა არს მხედვარი მალლით?

— ჰოდა, ჩვენც ნამდვილად მისთვის ვმცდებლობთ... მე მხოლოდ სხვა რამ შეეკვებს, ძმებო, ეგება არც ამ გზით შემოგვივიდეს ფული და ტყუილად ხელი მოგვეცაროს, ხალხი რაღაც ძალიან გამატრაბაზდა... — იტყოდა პასუხად ცხვირპაჭუა.

ყოველივე ამის შემდგომ ეკლესიის მსახურებმა ალბათ კენჭი ჰყარეს და გადაწყვიტეს, საქმისთვის პირი მოესინჯათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ წამოწყებას ბევრი ეკვის თვალით უყურებდა, ყველაფერი კარგად აეწყო და ბერებმა დიდი მოგებაც ნახეს. ასე სარფიანად ვაჭრობდა ეკლესია მრავალი საუკუნის მანძილზე.

17. უსახსრობით მეტისმეტად შეჭირვებულმა ქრისტეს ღვთაებრივმა მოსაყდრემ, ვინმე პაპმა ლევი X (1514 წ.) განიზრახა გამოეცოცხლებინა იმ დროისათვის თითქმის ჩამკვდარი ვაჭრობა და საზღვარგარეთ საგანგებოდ წარგზავნა კაცი, იმ განზრახვით, რომ ამ უკანასკნელს საფუძვლიანად ამოეფერებოდა ჯიბეები მდიდარი უცხოელებისათვის, რომელთაც სწამდათ ეკლესიის სიწმინდე და უცოდველობა.

ამ კაცმა, ბერმა ტეცელმა გერმანიის ყველა სამთავრო შემოიარა და ცოდვების მიმტვევებელი ორდერებით სარფიანი ვაჭრობა გააჩაღა.

ტყევილი ცხენით მოგზაურობდა და თან დაჰქონდა ორი ყუთი. ერთში ინახავდა პაპის სიგელებს და იარლიყებს წარსულში, აწმყოსა ხუ მომავალში ცოდვების მისატყეველად, მეორეში კი ამ სიგელებში აღებული ფული ეყარა. ისტორიამ ამ უკეთური ამბებიდან ერთი შესაქცევი ანგდოტი შემოგვინანა. თურმე ერთი გერმანელი რაინდი ამ ჩვენს მოგზაურს პეტრეს საძლაც, ტყეში გადაეყარა და სთხოვა მიეყიდა სიგელი იმ ცოდვის მისატყეველად, მომავალში რომ უნდა ჩაედინა. ხელთ იგდო თუ არა ინდულგენცია, ბერი კარგა გვარიანად მიბეგვა, ფული წაართვა და მიიშალა.

18. თუმცაღა, რაც ახლა მოგიტბრეთ, დიდად გასაოცარი არც არის: ფულის საკითხში ეკლესია მუდამ უზომო სიხარბეს იჩენდა და საყდრებსა თუ მონასტრებში აურაცხელი სიმდიდრე გროვდებოდა.

რასაკვირველია, უნდა ვალიართ, რომ უწინდელი მღვდლები რამდენადმე განსხვავდებოდნენ ეკლესიის თანამედროვე დაჩივებულ მსახურთაგან. ის ძველთაგნები მძვინვარე მამაკცები იყვნენ, კაი სმა კამა უყვარდათ, ბევრი მათგანი ღეზებს ატარებდა და ხმალ-დამბაჩით შეიარაღებული, ცხენზე ამხედრებული მგზავრობდა. სახელმწიფო საქმეებში ცხვირს სჩრიდა და რაკი არხეინად, ხელგაშლილად ცხოვრება უყვარდათ, ცოცხლებისა თუ მიცვალებულებისგანაც ფულებს ზვეტავდნენ.

ასე რომ ეკლესიის ამგვარი მოღვაწეობა ნუ გაგაკვირვებთ.

გაცილებით უფრო დიდი ინტერესით ვკითხულობთ ამბავს იმის თაობაზე, თუ როგორ დაეცა ფულის გულისათვის სამეფო კარის ცნობილი მოღვაწე, კავალერი და ბრწყინვალე თავადი მენშიკოვი.

გასაოცარი კი ის იყო, რომ ამგვარი ცბიერი მელაძუა კარისკაცი, ოთხი იმპერატორის მომნელებელი, ათასგზის მხილებული ქურდობაში, მექრთამეობასა თუ მევახშეობაში, შეიძლება ითქვას, ეს ქარცეცხლში გამოვლილი და გამოჯაგული ბოროტმოქმედი, სულ უბრალო მიზეზით დაიღუპა.

მისი დაცემის საბაბი გახდა ფულთან დაკავშირებული ერთი მეტად უბრალო და უაზრო შემთხვევა.

19. უნდა ითქვას, რომ იმპერატორ პეტრე II-ს იმ დროს თორმეტი წელი შეუსრულდა. პეტერბურგელმა ვაჰრებმა, რომელთაც სურვილი ჰქონდათ ხელმწიფის გული მოეგოთ, მაგრამ დიდი ფანტაზიით მაინცდამაინც ვერ გამოიჩინოდნენ, დაბადების დღის აღსანიშნავად რამდენიმე ასეული თუმანი მიართვეს.

ჰოდა, როდესაც მსახურს ეს ლანგარი ხელმწიფესთან მისართმევად მიჰქონდა, უგანათლებულესი თავადი მენშიკოვი, თავისდა საუბედუროდ, წინ შემოეყარა.

— რა მიგაქვს, რეგვენო? — დაუფიქრებლად შეეკითხა ალბათ მენშიკოვი.

— როგორ თუ რა? ფული მიმაქვს, თქვენო უგანათლებულესობავ!

— რა ფული? აბა მოიტა! — ბრძანა და მსახურს ლამის წასტაცა ლანგარი. — ხელმწიფე ძალიან პატარაა. — დასძინა გაურკვეველად. — ჯერჯერობით არ იცის, რა არის ფული.

მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ყმაწვილმა იმპერატორმა შესანიშნავად უწყოდა ფულის ყადრი.

როდესაც შეიტყო, ფული მენშიკოვმა წაიღო, ყმაწვილმა თურმე ერთი ამბავი დააწია.

— მე შენ გიჩვენებ, ვინც არის იმპერატორი! — დაუღრიალა რისხვით. 20. ჩვენ თვალწინ გვიდგას ეს ისტორიული სურათი და ვფიქრობთ, ღირს რომ ჩავიწეროთ.

— ოჰო, — უთხრა ყმაწვილმა მენშიკოვს: — კაი ეშმაკი ყოფილხარ, რატომ მინსაკუთრე ჩემი ფული?

— რა ფული, თქვენო უდიდებულესობავ? რას ბრძანებთ, ჩემო მფრინავო, რედაქტორებთან? თვალთაც არ დამინახავს!..

— ჰეე... რა ფული? მიიმასქენი და აქეთ მეკითხები, რა ფულიო? ის ფული ჩემი იყო, შენი კი არა!

— იმ ფულზე მეკითხებით, ვაჭრებმა რომ გაახლეს, თქვენო უდიდებულესობავ?

— დიახ, დიახ, მე გახლავარ იმპერატორი და არა შენ... ვაჭრებმა ფული მე მომართვეს...

— ოჰ, დიახ.. გამახსენდა, თქვენო უდიდებულესობავ.. იცით.. მე ვუბრძანე... ასე ვთქვათ, ფული ჩემსა მიეტანათ, ესე იგი, ვიფიქრე, იყოს ჩემთან, ვიდრე მისი უდიდებულესობა წამოიზრდება-მეთქი.

— მომეცი ჩემი ფული! — დაუღრიალა ბიჭმა. — იცოდე, დედას ვეტყვი, დაგიმტკიცებ, რომ იმპერატორი ვარ!

შეშინებული მენშიკოვი ფულის მოსატანად წააცუხცუხდა.

ერთი ამ ლაწირაკს დამიხედეთ, — ფიქრობდა გულში. — ჯერ მიწას არ ასცილებია და უკვე რამდენს ხვდება, ჩემზე ნაკლებად როდი ერკვევა საქმეში. ახლავე უნდა დავუბრუნო ფული, თორემ ხათაბალაში გამხვევს.

21. მაგრამ იმავე საღამოს მენშიკოვი სასახლეში არ მიიღეს, ცხვირწინ მიუკეტეს კარი, რამდენიმე დღის შემდეგ კი დააპატიმრეს და ერთ მიყრუებულ სოფელში სამუდამოდ გადაასახლეს.

რა თქმა უნდა, ამგვარი სასჯელი უფრო რთული გარემოებით იყო გამოწვეული, სასახლის კარზე ხომ პარტიებს შორის ბრძოლა იყო გამართული, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მენშიკოვის სასახლიდან გაძევების საბაბი სწორედ ფული შეიქნა.

ისტორია გადმოგვცემს, მენშიკოვს შიშის ზარი დაეცა, სასახლეში მიღებაზე უარი რომ უთხრესო.

აქობამდე შემონახულია მისი წერილი იმპერატორისადმი. ამ წერილში წარმოუდგენლად იმცირებდა თავს, ითხოვდა დანაშულის მიტევებას და აღუთქვამდა, რომ ფულს გადაჭარბებით დააბრუნებდა.

მაგრამ სასახლემ დიდი გადაჭარბებით დაიბრუნა ეს ფული, მენშიკოვი ამდენს ნამდვილად არ შესთავაზებდა.

მენშიკოვს ჩამოართვეს ყველა ორდენი, ჩინები და მამულები, წაართვეს აურაცხელი სიმდიდრე — რამდენიმე ასეული ფუთი ოქრო და თოთხმეტ მილიონამდე ფული.

როგორც გაირკვა, უგანათლებულესი თავადი, მარჯვე შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა და მეფეების სამსახურში ორმოცი წლის მანძილზე, ძარცვა-გლეჯით ზღაპრული სიმდიდრე დააგროვა.

ერთი ჩვენებური ანდაზა ამბობს: „არმად ნაშოვნი არმადვე წავაო“.

22. მაგრამ ეს ყველაფერი — ტახტი, ეკლესია თუ პოლიტიკური გადატრიალებები, — არაფერიჲ იმასთან შედარებით, რაზეც ახლა გვინდა მოგიტხ-



როთ. თქვენ ალბათ განგაცვიფრებთ იმის გაგება, რა კრძალვით იქცეოდა ფულს
თვით მისი უდიდებულესობა კანონიკ კი.

წარსულში არაფერია ამაზე მეტად გასაოცარი.

აი როგორ გადმოგვეცემს ამ ამბავს ისტორია.



ძველად სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ბრძანდებოდა სჯიდ-
ნენ, შეიძლებოდა კაცი მოგვეკლათ და ასე შემდეგ. მაგრამ ამისთვის მხოლოდ
ფულად ჯარიმას გადაიხდიდით, რის შემდეგაც ხელს გამოგიწოდებდნენ და
გაგათავისუფლებდნენ, ან ეგება ეთხოვათ კიდევ, ხშირ-ხშირად შემოგვიარ-
რეთო.

ერთი სიტყვით, ამ მხრივ საქმე შესანიშნავად იყო აწყობილი. ადამიანი
თავისუფლად სუნთქავდა, თუ ფული უქყოდა ჯიბეში, შეეძლო, რაც მოეპრი-
ანებოდა, ის ეკეთებინა.

ამასთან, ამგვარი ჰუმანური სისტემა მარტო რუსეთში კი არა, საუკუნე-
ების მანძილზე მთელი დედამიწის ზურგზე არსებობდა.

მაგრამ რუსეთში ამ მხრივ ზედმეტ გულმოდგინებას იჩენდნენ და პირ-
დაპირ უკიდურესობამდე მივიდნენ. საამისოდ საგანგებო კანონებიც კი გა-
მოსცეს და განსაზღვრეს, რისთვის რამდენი უნდა გადაეხადათ.

ასე რომ სისხლის სამართლის კოდექსი რესტორნის მენიუს წააგავდა. ფა-
სი ყოველგვარი შეცოდებისთვის იყო განსაზღვრული და მინიშნებული. ამის
შესაბამისად, ყველას შეეძლო აერჩია ნებისმიერი დანაშაული, რამდენადაც
ჯიბე გაუწვდებოდა.

მაგრამ შევეშვათ ხუმრობას და მოდიოთ, სერიოზულად ჩავიკითხოთ კო-
დექსი.

23. აი, ამონაწერი „რუსკაია პრავდა“-დან.¹

● უკეთუ სასახლეში (ესე იგი, სასამართლოში) მოვიდა სისხლში მოთხ-
რილი ან დალურჯებულ-დალიბრული კაცი, მას მოწმეთა ძებნა არ ესაჭიროე-
ბა, შეურაცხმყოფელმა გამოსახსნელად² უნდა გადაიხადოს სამი გრივნა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გრივნა არ შეესაბამებოდა ჩვენს უზალთუნს, ასე
რომ ყოფილიყო, ყველანი სიფათდალილავებულნი ივლიდნენ, გრივნა გახლდათ
ვერცხლის ნაჭერი, რომელიც დაახლოებით გირვანქის ერთ მესამედს იწონიდა.

● უკეთუ მავანი მავანს შემოჰკრავს კეტს, ან ხეთქავს ბადიას ან რქას,
ან ყუით შემოჰკრავს ხმალს, მაშინ მან გამოსახსნელად² უნდა გაიღოს
თორმეტი გრივნა, მაგრამ თუ დაზარალებული შეურაცხყოფას ვერ აიტანს და
საპასუხოდ ხმალს იხმარს, ეს დანაშაულად არ ჩაეთვლება.

ეს ჯარიმაც მემამულის სასარგებლოდ უნდა გადაეხადათ, მიუხედავად იმი-
სა, რომ ამ უკანასკნელს ჩხუბთან არაფერი ესაქმებოდა.

მაგრამ დაზარალებულსაც შეეძლო ცოტაოდნავ მოეთხო ხელი.

● უკეთუ მავანი მავანს ხელში დაჭრის ან ხელს მოჰკვეთს, ან თუ და-
ჭრის შედეგად დაზარალებულს ხელი შეახმება, ან ფეხში, ცხვირსა და თვალში

¹ „რუსკაია პრავდა“, საიდანაც მოგვეყავს ეს ამონაწერები, XII საუკუნის შუა ხანას გა-
ნეკუთვნება.

² გამოსახსნელი ეწოდება ჯარიმას, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თავა-
დის სასარგებლოდ იხდიდნენ, დაზარალებულისთვის გადასახდელ ჯარიმას ეძახდნენ „უროკოს“,
ხოლო მკვლელობისთვის „ვირას“.

აღმოჩნდება დაკოდლი, დამნაშავე გადაიხდის ვირას — ოც გრივნას, საქედან, დაზარალებულს მიეცემა ათი გრივნა.

ამ წვრილმან, უმნიშვნელო საქმეებში თავადი დაზარალებულზე ორჯერ მეტს იღებდა, რაც, რა თქმა უნდა, დიდი უსამართლობა იყო.

მაგრამ იყო ისეთი საქმეებიც, რომელთა გარჩევის შემდეგ თავადი აშკარად ზარალდებოდა.

● უკეთუ მავანმა მავანს რომელიმე თითი მოჰკვეთოს — გამოსახსნელად გადახდეს სამი გრივნა, ხოლო დაზარალებულს მიეცეს ათი გრივნა.

საინტერესოა, როგორც ხელის, ისე თითის დაკარგვისათვის დაზარალებული თანაბრად იღებდა ათ-ათ გრივნას, ხოლო თითებთან დაკავშირებით, თავადი რატომღაც ზარალდებოდა, — შვიდჯერ მეტს კარგავდა.

მაგრამ ნუ ჩავეძიებით ამ ფსიქოლოგიურ წვრილმანებს. ჩვენმა წინაპრებმა ალბათ უკეთ იცოდნენ თავიანთი საქმე.

თუმცა გასაოცარი ის არის, რომ საერთო ანგარიშში მკვლელობისათვის დაწესებული თანხა არ აღემატებოდა ჩხუბისა და მორალური დამცირებისათვის დადგენილ გადასახადებს.

აი, ინებეთ პრეისკურანტი მკვლელობისათვის. რა თქმა უნდა, ბოდიშს გიხდით ამ მცირე გადახვევის გამო. მაგრამ ჩვენს ძველებს ეს ყველაფერი რატომღაც ძალიან საინტერესოდ და თვალსაჩინოდ ჰქონდათ ჩაფიქრებული.

გთავაზობთ ამონაწერებს იმავე „რუსკაია პრავდადან“ — ჩაწერილს „ნოვგოროდსკაია ლეტოპის“-ში („ნოვგოროდის მართიანეში“).

● „უკეთუ მოკლავენ გერმანელ ვაჟარს ნოვგოროდში, მკვლელობისათვის გადაიხდიან ათ გრივნას“.

ეგზომ საოცრად დაბალი ფასი უცხოელი სპეციალისტის მკვლელობისათვის შემდგომ ორმოც გრივნამდე იქნა აყვანილი და უცხოელების მკვლელობა, როგორც ეტყობა, ყველასთვის ხელმისაწვდომი აღარ გახლდათ.

● „უკეთუ მავანი მოკლავს თავადის მეჭინებეს, მზარეულს ან მეკარეს — გამოსახსნელად გადაიხდის ორმოც გრივნას“.

● თავადის ტიუნის (ნოქრის, მოსამართლის, მოურავის) მკვლელობისათვის, მკვლელი გადაიხდის გამოსახსნელად თორმეტ გრივნას“.

ზემომოყვანილი ფასების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ დროის ინტელიგენცია არცთუ მაინცდამაინც დიდად ფასობდა, მეჭინებებს და მზარეულებს ამ მხრივ უფრო მეტი წონა ჰქონდათ.

25. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეს ფასები, ასე თუ ისე, საკმაოდ რიგიანი იყო, დიდად არ აკნინებდნენ ადამიანის ღირსებას და არც მისი სიცოცხლე იყო შეფასებული მეტისმეტად იაფად.

მაგრამ იყო ძალზე დამამცირებელი ფასებიც:

- „მუშის მოკვლისთვის — ხუთი გრივნა“.
- „გლეხის მოკვლისთვის — ხუთი გრივნა“.
- „ყმის მოკვლისთვის — ხუთი გრივნა“.
- „მონის მოკვლისთვის — ექვსი გრივნა“.

თუმცა, „უბრალო ადამიანებზე“ ზოგჯერ ფასი მაინც იწევდა:

- „ხელოსანის ან ხელოსანი ქალის მოკვლისათვის — თორმეტი გრივნა“.
- კანონისთვის უცხო არ იყო ჰუმანური საზრისიც:
- „მამაძუძეს (ლალას) მოკვლისათვის — თორმეტი გრივნა“.

ქურდობისა და მძარცველობისთვისაც მრავალნაირი ფულადი ჯარიმა იყო დაწესებული.

ამასთან, ეს ჯარიმები თორმეტ გრივნას არ აღემატებოდა.

და მხოლოდ ცხენის ქურდობისა, და ცეცხლით ქონების გაჩანაგებისთვის არსებობდა უმაღლესი სასჯელი — დარბევა-აოხრება. ქვეყნის მთელს დასახლებულ ადგილებდნენ სახლიდან და ერთობლივად აპარტახებდნენ შის ქონებას.

26. ერთი სიტყვით, რამდენადაც შეგვიძლია დავასკვნათ, ფულადი ჯარიმა გახლდათ ერთადერთი საზღაური ყოველგვარი დანაშაულისა.

რა თქმა უნდა, ამგვარმა კანონმა, მრავალი საუკუნის მანძილზე რომ იყო გაბატონებული, შესანიშნავად დაამუშავა ადამიანთა შეგნება. ვინც უფრო მეტ სიმდიდრეს ფლობდა, მეტი უფლებებითაც სარგებლობდა და შეეძლო არა მარტო ცხვირ-პირი დაეღწია კეტით თუ სხვა ნებისმიერი იარაღით თავისი ახლობლებისათვის, არამედ დაეხოცა კიდევაც ეს უკანასკნელნი, ან ეკეთებინა ყველაფერი, რაც მოეპრიანებოდა. კანონი იდგა მისი ინტერესებისა და სულიერი მოთხოვნილებების სადარაჯოზე. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს დროშიც, იქ, სადაც სიმდიდრეს კვლავ დიდ პატივს მიაგებენ, ყოვლისშემძლეობის და დაუსჯელობის ეს გოროზი რწმენა კვლავ უცვლელი რჩება.

ცხადია, რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაშიც ნებისმიერ შეძლებულ მოქალაქეს ადვილად შეეძლო თავი დაეღწია უმძიმესი ბრალდებისაგან. მაგალითად ისიც კმარა, რომ მდიდარი და ძლიერი მემამულეების დანაშაულობანი სააკარაოზე თითქმის არასოდეს გამოუტანიათ, რადგან ქრთამისა და გავლენიანი ნაცნობობის წყალობით საქმე სასამართლომდე არასოდეს მიდიოდა.

აი, მაგალითად, ასეთი გახმაურებული შემთხვევაც მოხდა: კალუგის გუბერნატორი ლოპუხინი (1819 წელი) ქრთამის აღებით სპობდა ყველა საქმეს მისდამი დაქვემდებარებულ გუბერნიაში. ამ გაქნილ-გაიძვერა კაცმა შვიდი ათას მანეთად თავს იდო მიეჩქმალა მემამულე ხიტროვის საქმე. ამ ხიტროვს მკვლელობა ბრალდებოდა.

27. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა და როგორ ითქვა მაშინ:

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა ალბათ მოწყალე გუბერნატორმა. — მაგრამ შვიდ ათასზე ნაკლებად საქმეს ხელს არ მოვკიდებ.

— ხუთი ათასად რომ... — ამოიოხრა მემამულემ.

— ლიზეტ, — შეეკითხა გუბერნატორი მეუღლეს. — ხომ არ გახსოვს, ძვირფასო, რამდენი ავიღეთ ამას წინათ იმისგან... ვინ იყო? იმ საქმეზე გეკითხები, დათვს კაცი რომ შეუგდეს... ოთხი? აი, ხომ ხედავთ, ახალგაზრდავ, ჩვენ ოთხი ათასი იმაში ავიღეთ, დათვმა ვილაც მემამულე მსუბუქად რომ დაბუბნა, თქვენ კი, ღმერთმა უწყის, რა დანაშაული გადევთ — მკვლელობა! ნუ მოკლავდით, ბატონო, და თქვენგან კაპიქსაც არ ავიღებდი. ეს ყველაფერი უკვე თქვენი დაუფიქრებლობის გამო მოხდა.

— კეთილი, თანახმა ვარ, — მიუგო მემამულემ. — მხოლოდ როგორმე დააჩქარეთ საქმე, თორემ თქვენი არამზადები ყოველდღე მაკითხავენ... გული შემიჭამეს.

— თქვენც აიღეთ და ცხვირ-პირი დაამტვრიეთ, — დაამშვიდა გუბერნატორმა და ფული საგულდაგულოდ შეინახა.

ყოვლისშემძლე გუბერნატორმა მართლაც შეწყვიტა საქმის მსვლელობა, მოკლული რომ გლეხი ყოფილიყო, ან, ვთქვათ, ქირის მუშა, საქმე საბოლოოდ მოისპობოდა, მაგრამ მემამულეს, მისდა საუბედუროდ, თავადიშვილი შე-

მოაკვდა. მკვლელობის ამბავი შეგმტხვევით გაბმინდა და პეტერბურგამდეც მიალწია.

ალექსანდრე პირველმა ბრძანა ალექსანდრე სამართალში მოეცათ და დაუდარაბთ საქმე წელიწადზე მეტნახს ირჩეოდა და უმედდგოდ დაშთავრდა. უფრო სწორად, ის გაიძვერა გუბერნატორი სახელმწიფო მინისტრის საბჭოს თავმჯდომარის ნათესავი გამოდგა და სენატს არ უნდოდა ამ უკანასკნელთან დამოკიდებულება გაეფუჭებინა. არამზადა მკვლელის წინააღმდეგ აღძრული საქმე ასევე ჩაიფარცბა და მოკლული, მით უმეტეს, აღარავის გახსენებია.

28. ამრიგად, თუ ბატონი კანონი მოკრძალებით და რიდით ებყრობოდა იმათ, ვინც ფლობდა სიმდიდრეს და შეეძლო ფულით მიეჩქმალა ყოველგვარი დანაშაული და თავი ემართლებინა, თვითვე განსაჯეთ, რაოდენ დიდი იქნებოდა სიმდიდრისადმი ლტოლვა და ფულის მოხვეჭის სურვილი. და, მართლაც, ბევრი ამ მზრივ, საოცარ წარმატებებს აღწევდნენ და შეიძლება ითქვას, რომ მიზნის მისაღწევად ფანტაზიას უკიდურესად ძაბავდნენ... მაგრამ ყველა ამ უკეთურებათა წყალობით, მათი მორალი საფუძვლიანად შეირყვნა და წაიბილწა. ერთი მზრივ, საჭირო იყო ფულები დაეტორათ, რათა თავის გემოზე ეცხოვრათ და ბედის უკუღმართობას გამკლავებოდნენ. მეორე მზრივ კი, ფულის შოვნა თითქმის ყოველთვის დანაშაულთან იყო დაკავშირებული. აქ შეიძლება თავგზა აგბნეოდათ, ამიტომ საბრალო ადამიანი დააგროვებდა თუ არა ფულს მზაკვრობა-გაიძვერობით და ათასგვარი მაქინაციებით, იმწამსვე ყველაფერს ივიწყებდა. ისროდა ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს სინდის-ნამუსსა და პატიოსნებაზე და აცხობდა კანონებს ამასთან დაკავშირებით. მანამდე კი ხელიც არ აუკანკალდებოდა, საკუთარი მამისთვის ყელი რომ გამოეჭრა და მისი ქონება ხელთ მოეგდო.

1960

გულახდილად მინდა ვთქვა, ფულისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი სხვას ვერაფერს გაუტოლდებოდა. ერთი სიტყვით, ფულის მოსახვეჭად არაერთარი დაბრკოლებები არ არსებობდა.

29. პირდაპირ ვიტყვით, ფულის შოვნა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე საზარელ ამბებთან იყო დაკავშირებული.

თავის დროზე ცნობილმა მწერალმა კარამზინმა თქვა: „ერთი სიტყვით რომ გამოვხატო, თუ რას აკეთებენ ახლა რუსეთში, უნდა ვთქვა: „ქურდობენ“.

მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვყავს პროფესიული ქურდები და მძარცველები—ასე ვთქვათ, ფულის დაგროვებაში გაწაფულ-გამოჯაგული ხალხი. პირიქით, გვინდა თქვენს ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე პატივცემულ და დარბაისელ გვამზე, რომელთა მზრივ ქურდობა და მძარცველობა თითქმის ყველასთვის დაუჩერებელია.

ჩვენ გვქონდა პატივი, გველაპარაკა მენშიკოვზე. ეს არამზადა მარტო პეტრე პირველის მეფობის დროს ოთხჯერ იქნა მიცემული პასუხისგებაში ქრთამის აღების, ქურდობისა და მევაზშეობისათვის. პეტრე თავის ფავორიტს შემწყნარედ ექცეოდა და ყოველთვის ცდილობდა მისთვის სასჯელი თავიდან აეცილებინა. მაგრამ თუ ისტორიკოსები არა ტყუიან, ბატონ მენშიკოვს მაინც მოუწია სასამართლოში ჩარიმების საბით სამასი ათასი მანეთი გადაეხადა, რაც იმ დროისთვის საარაკო თანხა იყო. რამხელა სიმდიდრე ქონდა ხელწაკრული ამ გაიძვერას, თუკი ამოდენა ჩარიმის გადახდა დააკისრეს. ახლა კი გავეცნოთ იმ დროის მეორე ბრწყინვალე პიროვნებას — ბატონ

17
საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გივლინოთი

პიოტრ ტოლსტოის. ეს თავისი დროის უდიდესი მოღვაწე, გონიერებით შემკული და მრავალმხრივი ნიჭით აღბეჭდილი, პეტრე I-ის მარჯვენა ხელი იყო და მისივე ელჩი გახლდათ კონსტანტინოპოლში. პიოტრ ტოლსტოი ჩვენს ლ. ნ. ტოლსტოის პაპის პაპის პაპად მოხვდებოდა, მაგრამ ამ ამბავს მისთვის ხელი არ შეუშლია კაი გვარიანი ყალთაბანდი ყოფილიყო.

ერქმეწმული

30. კონსტანტინოპოლში ელჩად გამგზავრებისას (1705 წელს) სამეფო კარმა თავის ელჩს თურქი დიდებულების მოსასყიდად ორასი ათასი თუმანი ჩაუთვალა, აქედან, როგორც შემდგომ იქნა დადგენილი, ნახევარზე მეტი თვითონ ტოლსტოიმ ჩაიჭიბა.

ალბათ ივარაუდა, ვილაც თურქების დაქრთამვას, აჯობებს ეს ფული ჩემი შრომის საფასურად მევე დავიტოვო.

მაგრამ ერთ-ერთმა მისმა პოდიჩიიმ (მდივანმა), ვინმე ტიმოფეევმა განიზრახა თავადის დასმენა. ტოლსტოიმ მოასწრო ამ ბეზლობის ხელში ჩაგდება, კვალის დასაფარავად თავის საბრალო მდივანი მოწამლა და ეს ამბავი თავად ამცნო მოსკოვის საელჩოს უწყებას. ტოლსტოიმ საქმეს ისეთი პირი მისცა, თითქოს პოდიჩი გამაჰმადიანებას აპირებდა და ამიტომაც მოიშორა თავიდან, ისტორიამ შემოინახა ეს ძალზე საინტერესო დოკუმენტი — ტოლსტოის წერილი (შედგენილი 1706 წ. 10 ივნისს).

ბატონი ტოლსტოი წერდა:

„...პოდიჩი ტიმოფეევი აპირებდა სჯულს გადადგომოდა და ბუსურმანობა მიეღო. მისი ეს განზრახვა, ღვთის შეწევნით, შევიტყვე. ჩემთან ვინმე და საიდუმლოდ ჩავკეტე ოთახში. სადაც ღამით ვიძინებ ხოლმე. მან ერთი სირჩა ღვინო დალია და იქვე გარდაიცვალა, რითაც თავიდან აგვაცდინა დიდი უსიამოვნება...“

როგორც ხედავთ, ეს ვირეშმაკური წერილი დიპლომატიის ყოველგვარი წესის დაცვითაა შედგენილი. მომხდარ ამბავზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილების გარეშე.

საქმე კი სინამდვილეში ამგვარად იყო: ტოლსტოიმ მდივანი ოთახში ჩაკეტა და ბოთლით მოწამლული ღვინო დაუდგა. სულელმა პოდიჩიმ ღვინო გადაყლურწა. მაშინვე მიადარა უფალს თავისი უმწიკვლო სული და ამით, შეიძლება ითქვას, ტოლსტოი საფრთხისაგან იხსნა.

31. მაგრამ განვაგრძოთ თხრობა: ამ მკვლელობას აღარავინ გამოდევნებია, რადგან მიზეზი დიდი ოსტატობითა და საქმის ცოდნით იყო დასაბუთებული. რუსეთის თვითმპყრობელობას ადამიანის მიერ სარწმუნოების შეცვლა ზნედაცემულობას უკიდურეს გამოვლინებად მიაჩნდა, ამასთან ეს ფაქტი მთავრობას შეურაცხყოფდა და რწმენას აკარგვინებდა: აქაოდა, რელიგია და მართლწესრიგი ჩვენთან სათანადო დონეზე ვერ დგას, ამიტომ გვიწუნებენ და გარბიანო.

მაგრამ ერთი თვის შემდეგ საელჩოს მდივანმაც უშიშრად დაწერა ბეზლი ტოლსტოიზე, როგორც ეტყობოდა, ამხელა ფულის მითვისებამ მეტისმეტად ააფორიაქა საელჩოს თანამშრომლები. რადგან ტოლსტოიმ არ ინება მათთვის თავისი ნაქურდალი გაენაწილებინა.

ტოლსტოიმ ეს უბედური მდივანიც მოწამლა და ისევ თავად აცნობა საელჩოს უწყებას: მდივანს საიდუმლო კავშირი ჰქონდა თურქ ვეზირთან, და რაკი კვალის არევა ეწადა, ჩემი, ესე იგი, არსებითად სრულიად უდანაშაულო ადამიანის დასმენა გადაწყვიტაო.

საქმემ პეტერბურგამდე ჩააღწია, მაგრამ პეტრე პირველმა, რომელსაც უკვე ამგვარი ექსცესები კაი ხანია აღარ აკვირვებდა, თვალი დაუხუტა ამ საქმეს და ბრძანა ძიება შეეწყვიტათ.

ალბათ იმ ფონზე ტოლსტოი საკმაოდ გამორჩეული პიროვნება ჩანდა, თუ ასეა, წარმოდგენილი გვაქვს, სხვები რანი უნდა ყოფილიყვნენ ერთი სიტყვით, ქალბატონი ისტორია, ფულთან დაკავშირებით, მრავლის უმრავლესი დანაშაულის მომსწრეა, მაგრამ ყველა ამ დანაშაულთა აღწერა და სააშკარაოზე გამოტანა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

32. თავს არ შეგაწყენთ და გუნებას არ გაგიფუჭებთ იმის ჩამოთვლით, რაც ჩვენთვის ამ ამბების ირგვლივია ცნობილი, ყველაფერი, ასე ვთქვათ, ისედაც ცხადია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფულის სიყვარული ერთ-ერთი უძლიერესი და მძლავრი გრძნობაა, უკიდურესად რომ აღელვებდა და აღელვებს პატივცემულ კაცობრიობას.

და ამ მძლავრ გრძნობას სახელმწიფო ზოგჯერ შესანიშნავად იყენებდა თავისი წვრილმანი საქმეების მოსაგვარებლად. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე დევნილი სახელმწიფო დამნაშავის დაჭერა იყო საჭირო, პირველ ყოვლისა, აცხადებდნენ იმ თანხას, რომელსაც დამჭერს ჯილდოდ გადაუხდიდნენ.

ისტორიის თითქმის ყოველი ფურცელი ავსებულია ამა თუ იმ დამნაშავის დასაჭერად გასაღები თანხებით.

მაგალითად, ერთხელ რომის დიქტატორმა სულამ (ჩვენს ერამდე 83 წელი), ხელთ იგდო ძალაუფლება და ბრძანა ამოეყლიტათ მისი შეურიგებელი მტრისა და მეტოქის მარიუსის ყველა მომხრე და მიმდევარი. ხოლო იმისთვის, რომ ეს საზარელი ხვედრი არავის ასცდენოდა, სულამ, რომელიც შესანიშნავად იცნობდა ცხოვრებას და ადამიანთა სულის პერიპეტიებს, მოწინააღმდეგეთა მოსასპობად უჩვეულოდ დიდი თანხა დააწესა. და გამოაცხადა, რომ ყოველ მოკლულზე თორმეტ ათას დინარს გაიღებდა (დაახლოებით ხუთი ათას მანეთს ოქროთი).

33. როგორც ისტორია გვაუწყებს, ასეთმა დაპირებამ იმდენად იმოქმედა მოქალაქეთა ფსიქიკაზე, რომ მკვლელები, წაკვეთილი თავებით ხელში, შეუჩერებლივ მიემართებოდნენ სულას სასაზღისაკენ.

დაახლოებით წარმოდგენილი გვაქვს, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი.

— სწორად მოვაგენით?.. თავი აქ უნდა მოგვეტანა? — ამბობს მკვლელი და კარზე გაუბედავად აკაკუნებს.

მსუბუქ ტუნიაში გამოწყობილი ბატონი სულა სავარძელში ზის, შიშველა ფეხები სანდლებში წაუყვია, დამნაშავეთა სიებს თვალს ავლებს, ქარაფშუტულ არიებს ღიღინებს, თანაც არშიებზე საგანგებოდ რალაცას ინიშნავს.

— აქ ისევ გეახლნენ... თავი მოიტანეს... შემოვუშვა? — მოწიწებით მოახსენებს მონა.

— მოიყვანე!

შემოდის მკვლელი, ძვირფასი ტვირთით ხელში.

— დამაცა! — ამბობს სულა. — რა მოიტანე, რა არის ეს?

— რა უნდა იყოს, ბატონო... ჩვეულებრივი... თავია...

— მეც ვხედავ, რომ თავია, მაგრამ, გეკითხები, ვის თავს მაჩეჩებ?

— ჩვეულებრივი თავია... როგორც ნაბრძანები გაქვთ...

— ნაბრძანები მაქვს!.. ეს თავი ხომ სიამიც არა მყოლია, ვისი თავია? ბატონო მდივანო, კეთილი ინებეთ და შეამოწმეთ, ვისი თავი მოიტანეს.

— ეს რაღაც უცხო თავი ჩანს, — ამბობს მდივანი. — არ ვიცი, ვისია, გურკვეველი წარმომავლობის უნდა იყოს. როგორც ჩანს, ვიღაც მამაკაცს მოკვეთეს.



24. მკვლეელი კრძალვით იხდის ბოდიშს:

— შეშინდეთ, ბატონო, ალბათ, ვიღაც სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა, კაცს რაღაც შეგეშლება, მაშინ აი, ეს თავი დაატოვებ, ხალხი გახლავთ, ერთ სენატორს წავაცალე.

— ჰო, აი, ეს კი სულ სხვა საქმეა, — ამბობს სულა და სიაში სენატორის სახელის გასწვრივ ნიშანს სვამს. — ჰეი, გამოუტანეთ ამას თორმეტი ათასი... დაღე ეგ თავი აქ. ეს მეორე კი მომაშორე და ჩანდაბაის იქით წაიღე, იფ, რა ტყუილუბრალოდ წაასლიკე ვილაცას!

— ბოდიშს ვიხდი... ნაჩქარევად შევეფეთე.

— შეეფეთე... ყველა გამვლელ-გამომვლელს თავები რომ დააჭრათ, რა ფულები ამივა!

მკვლეელი იღებს ფულს, ხელს დაავლებს შემთხვევით წაჭრილ თავს და წელმოდრეკილი გადის.

ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ. რამდენიმე კვირის განმავლობაში სულას ორი ათასზე მეტი თავი მიართვეს.

ისტორია გულგრილად დასძენს, ეს მწარე ხვედარი განწირულთაგან არავის ასცდენიაო.

35. მაგრამ ერთხელ, ამ ამბიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ (43 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით), როცა წაკვეთილ თავებზე ფასმა უჩვეულოდ აიწია, ისეთი ხოცვა-ჟლეტა შეიქნა, მანამდე ამ მზისქვეშეთში არავის რომ არ მოსწრებია.

რომაელმა კონსულმა მარკუს ანტონიუსმა იულიუს კეისრის მოკვლის შემდეგ სიკვდილი მიუსაჯა სამი ათას სენატორს და ორი ათას მხედარს. და ბატონ სულას წახედულობით, დიდძალი ფული გაიღო საიმისოდ, სიაში შეტანილი რაც შეიძლება სწრაფად და ხელურთიანად რომ გაეყლიტათ.

ფასები მართლაც გასაოცრად მაღალი იყო. ყოველ მოკლულზე ოცდახუთი ათას დინარს (რვა ათასამდე მანეთს) იძლეოდნენ, მონებს კი, ბატონების თავის წასხებისას რომ არ დავიწყნოდათ, რანიც იყვნენ, ყოველ თავში უფრო ნაკლებს — ათას დინარს უხდიდნენ.

ზარდამცემია იმის წარმოდგენაც კი, რა ამბავი დატრიალდებოდა იმხანად. ისტორია გვამცნობს, რომ შვილები ხოცავდნენ მამებს, ცოლები თავს აჭრიდნენ მძინარე ქმრებს, ვალის ამღებნი ქუჩებში იჭერდნენ და კლავდნენ თავიანთ კრედიტორებს. მონა უსაფრთებოდა საკუთარ ბატონს... ქუჩებში სისხლის ტბორები იდგა.

ფასები მართლაც გასაოცრად მაღალი იყო, ვფიქრობთ, ერთი თვის განმავლობაში ბალბი ხელურთიანად გაეყლტდა ერთმანეთს, სახელმწიფოს ერთხანს კიდევ რომ განეგრძო ამხელა თანხების გადახდა.

თუმცა ისტორიას უფრო მაღალი ფასებიც ახსოვს... ასე, მაგალითად, რომაელთა უდიდესი ორატორის ციცერონის მოკვლისათვის ორმოცდაათი ათასი დინარი იყო დანიშნული.

მისი მოკვეთილი თავი დიდის ამბით დადეს მაგიდაზე, და მარკუს ანტონიუსის თანამეცხედრემ, უსირცხვილო, ლაგამახსნილმა დედაკაცმა, ციცერონს ენაში ქინძისთავი ჩაარქო და მიადანა: ჰა, დადგეს აბლა და იყბედოსო.

36. მაგრამ ყველაზე მაღალი ფასი ინგლისის მეფის კარლოს I-ის მოკვლისა-

თვის იყო გამოცხადებული, კარლოს I ოთხას გირვანქა სტერლინგის გულისთვის (დაახლოებით ოთხ მილიონად) გასცეს. მაგრამ აქ უკვე ნაკლებს აღება არც შეიძლებოდა — ორი სახელმწიფო მთელი თვის განმავლობაში ფულმოდგინედ ევაკრებოდა ერთმანეთს, და შოტლანდიამ, ვისაც კარლოსმა თავშესაფარი გამოსთხოვა, ოთხი მილიონისათვის მიივიწყა თავისი კრიტიკული მორალი და მეფე ინგლისის ხელისუფალთ გადასცა. კარლოს I-ს თავი მოჰკვეთეს. წარმოდგენილი გვაქვს, რა სიფრთხილით კრიდნენ ამ მეტიხმეტად ძვირად ღირებულ თავს.

მაგრამ ჩვენ რა თქმა უნდა, გვაინტერესებს არა ფასი და ღირებულება, არამედ ის ხერხები და საშუალებები, რასაც ამ დროს მიმართავენ.

ნაპოლეონმა გამოაცხადა, რომ ცნობილი ტიროლელის, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის სახალხო აჯანყების მომწყობის გოფერის ხელში ჩასაგდებად ორი ათას მანეთს გაიღებდა, მაგრამ მიუხედავად ასე მცირე თანხისა, გოფერი, რომელიც მთებში აფარებდა თავს, მისივე თანამემამულეებმა ორიოდ დღის შემდეგ დაიჭირეს და მიჰგვარეს ფრანგებს, რომელთაც მას დახვრეტა მიუსაჯეს (1810 წ.).

ერთი სიტყვით, მსგავსი საქმეების მოსაგვარებლად ფულს იყენებდნენ ყველა დროს, კაცობრიობის მთელი ისტორიის (თუნდაც უახლესი ისტორიის) მანძილზე.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ რუსი პროვოკატორის დეგაევის¹ დაჭერისათვის (1874 წ.) მეფის მთავრობამ უზარმაზარი თანხა დანიშნა.

პეტერბურგის ქუჩებში გამოკრული იყო აფიშები დეგაევის სურათით მისი ადგილსამყოფელის მითითებისათვის ხუთი ათასი მანეთი იყო დანიშნული, ხოლო „დაჭერაში ხელის შემწყობს“ ოქროს ფულზე ათი ათას მანეთს ჰპირდებოდნენ.

მაგრამ ამ არამზადა დეგაევმა სასჯელი აიცილია, ამერიკაში გაიქცა და იქ მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით. ასე ვთქვათ, ექიმისა და ნოტარიუსის თანდასწრებით.

37. ამრიგდ, აქ ვწყვეტთ ჩვენს ისტორიულ ნოველებს. დავსძენთ მხოლოდ, რომ ყველა დროსა და პირობებში ფული ზოგჯერ ერთადერთი საშუალება იყო მიუღწევლის მისაღწევად და ურთულესი საქმეების მოსაგვარებლად. ფულზე იყიდებოდა თანამდებობები და ადამიანები, ფულით შეიძლებოდა მოგეპოვებინათ გრაფის ტიტული და ათასგვარი საოცრებანი. მაგალითად, თუ გაიღებდით საკმაოდ დიდ თანხას რაიმე სასარგებლო საქმისთვის, უფლება გეძლეოდათ, საუზმე მიგერთმინათ მეფის ან დედოფლის რეზიდენციაში, ერთი სიტყვით, ფულის წინაშე ღია იყო ყველა კარი და იხსნებოდა ყველა გული. ამიტომ იყო, რომ პროვოკატორები ჰყიდდნენ თავიანთი სინდისის უკანასკნელ ნარჩენებს და, საერთოდ, ყველაფერი იყიდებოდა.

ფული იყო, ასე ვთქვათ, ყოველგვარი ადამიანური სიბილწის შემკრები და თავმომყრელი და არცთუ იშვიათად ყველაზე ურჯუკი საქმოსნები, რაკილა მომხვეჭელობით ფულს დააგროვებდნენ, წამოტივტივდებოდნენ ხოლმე ცხოვრების ზედაპირზე და მთელი სახელმწიფოს ბედს განაგებდნენ.

¹ დეგაევი „ნაროდნაია ვოლია“-ს პარტიის წევრი იყო. პროვოკატორული საქმიანობისათვის პარტიამ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, სასჯელი რომ აეცილია, დეგაევმა ობრანკის განყოფილების უფროსის, სუდგევიკინის მოკვლა იკისრა, რაც აღასრულა კიდევაც.

სხვათა შორის, ისტორიას ახსოვს ერთი ასეთი საგულისხმო შემთხვევა, როდესაც ბანდიტი, სპეკულანტი და უთავხედესი ავანტიურისტი შოტლანდიელი ლოუ (1716 წ.), რომელმაც ბნელი საქმიანობით შეძლო დაეგროვებინა რამდენიმე მილიონი. საფრანგეთში ფინანსთა გენერალ-კონტროლერად დანიშნეს.

გენერალ-კონტროლერი

და ალბათ ჩვენს დროშიც, თუკი მოვისურვებთ და გავჩხიბავთ საზღვარგარეთელთა ცხოვრებას, მსგავს შემთხვევებს მრავლად გადავაწყდებით.

38. ერთი სიტყვით, ფურცელ-ფურცელ გადავშალებთ მთელი ისტორია, მაგრამ ვერსად წავაწყდით ფაქტს, ფულის დამარცხებაზე რომ ყოფილიყო ლაპარაკი. თუმცა, გამონაკლისის სახით ერთი საინტერესო ნოველა ამაზედაც შეიძლება მოგიტბროთ ამ ნოველის გმირი გამოჩენილი იუველირი და მოქანდაკე ბენვენუტო ჩელინი გახლავთ.

პაპის კარმა გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, მოეკლათ და თავიდან მოეშორებინათ თავზებელაღებული და მოუსვენარი მხატვარი. ჩელინი კი ამ დროს საპყრობილეში იყო გამოკეტილი საბაზინო ოქროს მიტაცებისთვის. მას რა თქმა უნდა, მიაჩნდა, რომ უმიზეზოდ დაჩაგრეს. მაგრამ ჩვენ თავდებად მაინც ვერ დავუდგებით. შეიძლება მხოლოდ მისი გენიის წინაშე მოკრძალების გამო, ხელი ავიღოთ სინდისზე და ბევრ რამეს თვალი მოვუხუჭოთ.

და აი, სულიერმა მამებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ შემთხვევით და ბოლო მოეღოთ იუველირისათვის, რომლის თავზედობა და კადნიერება მრავალი წლის განმავლობაში გულზე ხეთქავდათ.

ამჟამად ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდათ და მისი მოკვდინება განიზრახეს. მაგრამ ეს ისე უნდა გაეკეთებინათ, რომ სიკვდილი რამდენადმე მაინც ჰგვანებოდა ბუნებრივ აღსასრულს. საწამლაფი ამ შემთხვევაში არ გამოადგებოდათ, რადგან მოწამლის ნიშნებს ვერ დაფარავდნენ, ატყდებოდა კორაობა, შითქმა-მოთქმა, რაც ხელს არ აძლევდა კეთილსინდისიერსა და ღვთისმოსავ პაპს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამგვარი რამ უხერხულიც კი იქნებოდა. აქეთ უმაღლესი იდეალები, იქით „ქრისტე აღსდგა“ — და უეცრად ყოვლად გაუმართლებელი მხეცური მკვლელობა. ერთი სიტყვით, უნდოდათ ეს საქმე წყნარად, უხმაუროდ, და, რაც მთავარია, ქრისტიანული მოკრძალებით შეესრულებინათ.

ჰოდა, გადაწყვიტეს ჩელინისთვის კერძში დაფხვნილი ალმასი ჩაეყარათ. ეს უკვე ნაცადი ხერხი იყო: მოწამლულს კუჭი უნდა აშლოდა, მუცლის გვრემა დაწყებოდა და ბოლოს ღმერთს სულს მიაბარებდა.


39. ალმასი, როგორც ძნელად დასამუშავებელი მასალა, დასაფხვენელად ერთ იუველირს მისცეს.

გაქნილმა იუველირმა გადაწყვიტა ამ საქმეში ხელი მოეთხო; საამისოდ ალმასის ნაცვლად უფრო რბილი და იაფფასიანი ქვა — ცისფერი ბერილი დაფხვნა. ფულს დაბარბებულმა ოსტატმა ამ ხერხით რამდენიმე ოქრო ჩაიჭიბა, ჩელინის კუჭში კი, ალმასის ნაცვლად, რბილი ქვის ნაფხვენი აღმოჩნდა. ამიტომ არაფერი დაუშავდა და, ტანჯული კაცობრიობის საკეთილდღეოდ ცოცხალი დარჩა.

თუმცა როგორც თავად წერს, მთელი სიმწვავეით იგზნო მოახლოებული სიკვდილის შიში. მაგრამ შემდეგ, რაკილა გამოცდილი იუველირი გახლდათ, ადვილად მიხვდა, რომ დაფხვნილი ქვიშა ცისფერი ბერილი იყო და არა ალმასი, რომელიც უეჭველად გამოუყვანდა წირვას...

აი, ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ფულმა ვერ განახორციელა მასზე დაკისრებული როლი.

აი ისე კი, ისტორიამ იცის ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ფულმა მისი მისთვის დაკისრებული როლი არაფერს გაუმაგრებია.



აი როგორი იყო საქმის ვითარება.

40. ეს უკვე ნოველა კი არა, მთელი სიმფონია გახლავთ.

საქმე ეხება დიდი რომის დიდების დაკნინებას და შემდგომ, ხელერთიანად დაცემას. იმ, შეიძლება ითქვას, მრისხანე ეპოქაში, ფულმა თავისი როლი მაინც შეასრულა.

ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ რომში ანაზღეულად უზარმაზარი თანხები დაგროვდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ რომმა მანამდე ბრწყინვალე გამარჯვებები იზეიმა აზიასა და მაკედონიაში. რის შედეგადაც დიდძალი სიმდიდრე მოიპოვა. დაპყრობილ მიწებზე დადებულმა დიდმა კონტრიბუციამ და ძარცვა-გლეჯამ ხელი შეუწყო რომში ფულის უსაზომოდ მოზღვავენას. სენატმა დაინახა, რომ საქმე შესანიშნავად წარიმართა და მთელი მოსახლეობა ოცდაოთხი წლით გაათავისუფლა გადასახადებისა და ყოველგვარი ხარკისაგან, რამაც უზომოდ აღაფრთოვანა მდიდრები და მეფახშეები.

ვისაც ფული ჰქონდა, უფრო მეტზე ოცნებობდა. ბევრმა სარისკო სპეკულაციები წამოიწყო, რაც მთელი სიმძიმით დააწვა ლარიბ-ლატაკ ჩალხს. რომი, როგორც ისტორია გვაუწყებს, ფულში იბრჩობოდა, ამას მოჰყვა სასტიკი თავაშეებულობა. დროსტარებით გულმოყირკებული არისტოკრატია გაუგონარ ორგიებსა და ნადიმებს აწყობდა. მდიდართა სუფრა სავსე იყო ნაირ-ნაირი ძვირადღირებული ხორაგითა და საკმელ-სასმელით. ცნობილმა რომაელმა ცენზორმა პორციუს კატონმა ერთი ფრაზით განსაზღვრა სახელმწიფოს მდგომარეობა იმხანად. მან თქვა: „ქალაქი სადაც თევზი გამწევ ხარზე უფრო ძვირად ფასობს, დასალუბავად არის განწირული“.

41. მართლაც ასე მოხდა, რომი ველარაფრით იხსნიდა თავს და მან მალე დაკარგა მსოფლიო მნიშვნელობა.

აი, რას მოგვითხრობს ისტორია ფულზე.

იგი აგვიწერს უსაშინელეს ბოროტმოქმედებებს, დანაშაულს და მკვლელობებს, მოგვითხრობს ხალხების დაღუპვაზე, თაღლითებისა და ბნელი ნაძირალების აღზევებაზე და ყოველგვარ გაჭირვებასა და უბედურებაზე. შეუბრალებლად თავს რომ დაატეხა ადამიანებს ფულმა.

ბოდიშს გიხდით, მაგრამ რაღაც არა გვჯერა, რომ მათთან ახლაც იმასვე არ სჩადიან, რასაც წინათ სჩადიოდნენ, პირიქით ვფიქრობთ, რომ ყველაფერი იმგვარადვე მეორდება. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, აქ ძირითადად მსგავსი ამბებისაგან დაზღვეულნი ვართ.

და ამის გამო, ასე ვთქვათ, მწვერვალიდან ყველაფერს უკეთ ვადევნებთ თვალს. მაგრამ რა თქმა უნდა, ჩვენს ფილოსოფიას არ ვაგებთ მორალის მიხედვით. ჩვენ, ძვირფასო მკითხველო, ცხოვრებას და საქმიანობას არ ვანაწილებთ ბოროტებად და სიკეთედ, არ ვობრავეთ და ვვიშვიშებთ, არამედ ჩვენს ნათელ სიცოცხლეს ვყოფთ, უხეშად რომ ვთქვათ: კარგ და ცუდ ცხოვრებად.

და როდესაც ჩვენ გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გადავიკითხვთ ისტორიის ფურცლები, შევნიშნეთ, რომ ამგვარი დაყოფის დროსაც კი კარგი ძალიან ცოტა შეიმჩნეოდა. ცუდი კი ცხოვრების ყველა სფეროში საკმაოდ იყო.

და ჩვენ მოკრძალებულად ვამბობთ, რომ ეს ცუდი აღმოცენდა არა იმდენად ფულის წყალობით რამდენადაც გასაოცარი სისტემის ხელშეწყობით. უფრო სწორად, ფული გადიოდა არა იმის ხელში, ვის ხელშიც საერთოდ უნდა გაეცლო.

42. მაგრამ ოპ. მომავლის ბურუსში უცრად ვერცხვანს, შემწყნარებლურად რომ იღიმება და თან ნატიფი თითებით შლის ბარბაროსული ისტორიის კეშნიან ფურცლებს. სადაც, შეიძლება ითქვას, ფულს დაუჩრდილავს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ადამიანის პატივცემული პიროვნება და ასე განსაჯეთ, სიყვარულიც კი. რაზედაც ვაპირებთ ცოტა რამ მოგიტბროთ მომდევნო ნაწილში.

მაგრამ ჩვენ არ გვინდა მოგმართოთ უმიზნო სიტყვებით, ამომსჯელობით და ფუჭი შეძახილით.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ფული ასრულებს და კიდევაც შეასრულებს უზარმაზარ როლს ჩვენს სახემეცვლილ ცხოვრებაშიც კი. და ჩვენ ჭერჭერობით (გვეთაკილება ამის თქმა) გარკვეულად არც კი გვაქვს წარმოდგენილი ის ნათელი დღეები, როდესაც ამ მხრივ ჩვენს ირგვლივ ყველაფერი გარდაიქმნება. პირადად ჩვენ არ ვიცით და ჭერჭერობით ვერც გავასაცნაურებთ, როგორ მოხდება ეს და რას მოიმოქმედებს ამ დროს თითოეული ადამიანი.

მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ფულთან, უფრო სწორად, სიმდიდრესთან დაკავშირებული შემზარავი ამბები სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა და ჩვენც ნაწილობრივ გავთავისუფლდით მრავალი განსაცდელისა და ცხოვრების უკულმართობისაგან, ამიტომ, რასაკვირველია ყოველივე ამის წინაშე ქედს ვიხრით.

43. მაგრამ, ვიმეორებთ, ფული ჩვენს ქვეყანაში მაინც საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. მის არსებობას თან სდევს მრავალი კომიკური ამბავი და შემთხვევა. რაზედაც გვინდა ქვემოთ მოგიტბროთ

მოდიოთ, გადავხედოთ, ამ მოთხრობებს.

მანამდე კი ვიტყვით, რომ ჩვენ, პატივცემულო კრიტიკოსო, საამისოდ უარყოფით მოვლენებს შევარჩევთ, სოლო რაც შეეხება დადებით მხარეებს, შენ. როგორც უფაქიზეს პიროვნებას, რომელიც მოწადინებულია იკითხოს მხოლოდ კარგი და სასიამოვნო შემთხვევები, შემოგთავაზებთ ამ წიგნის ბოლო, მეხუთე ნაწილს, სადაც შენს დაღლილ-დაქანცულ გულს დაამშვიდებს საამო და მოსაწონი ამბები.

ამრიგად, ვიწყებთ იუმორისტულ მოთხრობებს ფულზე. ძვირდასო მკითხველო, გაუფრთხილდი შენს ჭიბეს.

მოთხრობები ფულზე

რამდენი ფული ესაჭიროება ადამიანს!

რა თქმა უნდა, ფულის გადაბადა როგორღაც ზღუდავს ადამიანის ფანტაზიას, იგი ებრძვის ზედმეტობას და ხასიათის ამა თუ იმ ბნელი თვისებების გა-

1 აქ მოთავსებული ხოუელების ნაწილი საგანგებოდ „ცისფერი წიგნისთვის“ დავწერე. ნოველების მეორე ნაწილში შეტანილია ადრე დაწერილი და შემდგომ გადაამუშავებული მოთხრობები.

მოვლინებას, თუმცა ამ მხრივ თავისი დადებითი მხარეებიც აქვს, რადგან ამკობს და ამშვენიერებს ცხოვრებას.

აი, რომ წარმოვიდგინოთ, ხვალიდან ტრამვით უფასოდ ვიმგზავნებთ, ექვი არ გვეპარება, მგზავრობის ეს იაფფასიანი საშუალება ძალიან ბევრს-თვის ხელმიუწვდომელი გახდება. რა თქმა უნდა, ტრამვით მგზავრობის უფასო-შერბილებულად რომ ვთქვათ, არცთუ ისე სასიამოვნოა, მაშინ ხომ პირდაპირ წარმოუდგენელი იქნება; ბოდიში მომითხოვია და, ხალხი მარტო საფეხურებზე როდეს აიხორბლება, ელექტრორკალზე ჩამოკონწიალებულიც ბევრი იმგზავრებს.

ზოგს ორიოდ ნაბიჯი აქვს გასაღლელო, ტრანსპორტი სულაც არ ესაჭიროება, და ქვეითად გასეირნებაც ძალზე არაგებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, უეჭველად გაემგზავრება. აუცილებლად მოისურვებს თავისი დათრგუნვილი პატივმოყვარეობის გამჟღავნებას, მგზავრების შუაგულში შეიჭვლითება, თუმცა იქ შეიძლება მიაქცლიტონ და სულიც კი ამოხადონ, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევთ, ოღონდ კი იმგზავროს და თუნდაც ტყავი გაძვრეს.

თანაც დაიხსომეთ, თუმცა იქით არაფერი ესაქმება, ბოლო გაჩერებამდე ფეხსაც არ მოიცვლის, ხოლო თუ ტრამვაი წრიულად მოძრაობს, მთელ წრეს ირგვლივ შემოუვლის, ის კი არა, შეიძლება მეორედაც იმავე გზით იმოგზაუროს, ვიდრე თავის გაჩერებაზე საკუთარი ნებით ჩამოვიდოდეს. აი როგორი ადამიანები არსებობენ. ზოგიერთი სამ-სამჯერაც შემოუვლის წრეს, ზოგს კი, საერთოდ, ტრამვიდან ველარ ჩამოაგდებ, შეიძლება დასაძინებლადაც იქვე დარჩეს; რომ გამოაცხადონ, მგზავრობა უფასოაო, ეგება ყველანი შმაგებს დაემსგავსონ.

არა, ჩემი აზრით, აუცილებელია ხასიათის შეცვლა. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ბურჟუაზიული კულტურის გადმონაშთი, რასაც ენერგიულად უნდა შევებრძოლოთ და თანდათანობით გარდავექმნათ ჩვენი ფსიქიკა.

აგერ ამას წინათ, მთლიანად რომ ვერ შევძელი გარდამექმნა ჩემი თავი, ბანკეტზე ათი ცალი ნაყინი მაინც შევჭამე და მერე მთელი ორი კვირა ველარ გავმართე წელი. ასე რომ ამას გეუბნებით მას შემდეგ, ყველაფერი პირადად რომ ავწონ-დავწონე და საკუთარ ტყავზე გამოვცადე.

როგორღაც ერთ-ერთ მოედანზე უფასო კარუსელი ვნახე. ზედ ეკლესიის პირდაპირ იდგა, ალბათ იმიტომ, რომ მორწმუნეები გართობილიყვნენ, ურწმუნოებს კი საყდარში შეუსვლელად კულტურულად გაეტარებინათ დრო. კარუსელთან ძალზე სერითზული ამბები ხდებოდა. რა თქმა უნდა, ბევრმა არ იცოდა, რომ გართობა უფასო იყო, ამიტომ შესვლას ეკრძალოდნენ, მაგრამ, ვინც იცოდა, მისი შეკავება შეუძლებელი იყო.

ერთი ყმაწვილი ვნახე, გამწარებული ექაჩებოდნენ აქეთ-იქიდან, მაგრამ კარუსელს ვერ ააგლიჯეს. დაჯდა თუ არა ხის ცხენზე, თითქოს ზედ მიეკოსათ, სამი საათი მაინც იტრიალა, ბოლოს, მთლად რომ დარეტიანდა და სახე ჩაეფერფლა, მაშინდა დათანხმდა მეგობრებს ჩამოეყვანათ, თუმცა იწინებოდა და რაც კი შეეძლო ყველას უძალიანდებოდა. რა თქმა უნდა, მიწაზე დააწვინეს, რიყზე ამოგდებული თევზივით აფჩენდა პირს და გამოთაყვანებულივით შეშტერებოდა ცას. მაგრამ ოდნავ მოიხნდა თუ არა, ისევ ცხენზე აფოფხდა და მანამ იტრიალა, სანამ ისევ ცუდად არ შეიქნა. თუმცა მაშინვე კი არ ჩამოსულა, ჩამობრძანება მაშინდა ინება, პირლებინება რომ აუტყდა.

აქ ძალაუხნებურად უნდა ჩამოსულიყო, თორემ ხალხი განაწყენდა, ამბობ-

დნენ, კარუსელის ტრიალისას, საქმე, ვგონებ, მთლად რიგზე ვერ არისო. გული რომ არ არეოდა, არც ჩამოვიდოდა. მაშინაც დარაჯმა ჩამოათრია და აუხამსობისათვის ერთი კაი სილაქიც უთავაზა.

ამის შემდეგ ეს ჩვენი ყმაწვილი დიდხანს იწვა პირქვე, იმედი ქკონდა მოვსულიერდები და ერთხანს კიდევ ვიტრიალებ ვალუსელებო. მაგრამ, როგორც ეტყობა, შერყეულ ჭანმრთელობას ვერაფერი მოუხერხა და შინისკენ წალასლასდა.

ასე რომ საერთოდ რომ ვთქვათ, გაურკვეველია, რამდენი რამ სჭირდებოდადამიანს, ალბათ, იმაზე მეტი, რაც ესაჭიროება და არანაკლები იმაზე, რამდენიც თავად სურს.

ამგვარად ყველაფერი რიგზეა, ზღვარი არსებობს მხურვალე სალამი საკუთარი ხასიათის გარდამქმნელ ქაბუკებს.

რაც შეეხება ხანმოთულებს, მათზე არაფერს ვამბობთ, რადგან ძველებურად, ფულთან დაკავშირებით არიან აღზრდილნი, თვითონ იციან ზომა და პატარა რამეზეც კი ჭიბეზე უნდა გაივლონ ხოლმე ხელი. მაგრამ როგორც კი საქმე ფულის შოვნაზე მიდგება, ზომიერების გრძნობა დალატობთ და შეუძლიათ ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინონ. ნება მიბოძეთ, მოგიტბროთ ერთი მოხუცი ქალის ამბავი, ფულის გულისთვის უკიდურესობამდე რომ მივიდა და თავზე ლაფი დაისხა აი რა საზიზღარი გზით მოულობდა იგი ფულს.

მითხრობა ძიძაზე, ანუ პროფესიის დამატებითი შემოსავალი

რა თქმა უნდა, ხანდაზმული ადამიანი, ყოველთვის ვერ აუწყობს ფებს ახალ ცხოვრებას, და ეს რატომღაც მოხუც ქალებში უფრო შეიმჩნევა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, ეს დაბეზრეკებული მასალა როგორღაც სუსტად ერკვევა თანამედროვე მიმართულებებში, ვერ გეტყვით, მათი გამობრუცუნებული თვალების წინ რაღაც წრეები ტრიალებს, ქინკლები ირევიან თუ, ეშმაკმა უწყის, რა ხდება, მაგრამ თავად მათ თითქოს ამისთვის არცა სცხელათ, მაინცდამაინც თავს არ იწუნებენ კაცობრიობის ბედზე და მომავალზე ფიქრით, მით უფრო, არ შეუძლიათ ჩაებან ტანვარჯიშში, ამიტომაც ხშირად იპყრობთ მელანქოლია და პოლიტიკური უსუსურობა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უწინდელ კაპიტალისტურ საქმიანობაზე აღზრდილი მოხუცი ქალები გადაჭრით აცხადებენ უარს საკუთარი თავის გარდაქმნაზე და არაფრით არ ნებავთ ოდნავ მაინც შეიცვალონ დრომოკმული ფსიქიკა. ისინი ძველებურად მიერეკებიან ცხოვრებას, ვერ მიმხვდარან, რა ხდება ახლა და რა არ შეიძლება კატეგორიულად მოხდეს.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როდესაც საქმე ფულს ეხება. თუ ფულზეა ლაპარაკი, გათავებული ამბავია, არავითარი რჩევა-დარიგება და ჩაგონება აღარ გაქრის, მოხუც ადამიანს უყვარს ფულის შოვნა, შენახვა და, საერთოდ, ფულის დანახვაზე ხელები უკანკალებს და მუხლები ეკვცება.

მარტო მიხრწნილი დედაბრები როდი მიპყვებიან ცხოვრებას ძველებურად. შედარებით უფრო ახალგაზრდებიც, ასე ორმოცდახუთი, ორმოცდაათი, ორმოცდათხუთმეტი წლისანიც კვალში უდგანან ამ უკანასკნელთ და მათი გარდაქმნა შეუძლებელი ხდება. სწორედ ამის გამო ამას წინათ, ჩვენთან, ლენინგრადში, ერთი მეტად აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა.

ცოლ-ქმარ ფარფოროვებთან ცხოვრობდა ძიძა, ბავშვისთვის ჰყავდათ აყვანილი, ორივენი წარმოებაში მუშაობდნენ და ჩვილის მოსაველეად ეს საალერსოდ დრო არ ჰყოფნიდათ.

სერიოზა ფარფოროვს ასე ას ორმოცდაათ მანეთამდე შემოჰქონდა, ცოლიც ას მანეთზე ნაკლებს არ იღებდა. აი ამგვარ ვითარებაში შექმნილი ჰქონდა ჰოდა, გაჩნდა ბავშვი, როგორც ასეთი და, რა თქმა უნდა, საცხარე-გულსმსახურის ძიძა აეყვანათ, თორემ, რა თქმა უნდა, ისე არ აიყვანდნენ. მით უმეტეს, არცა ჰქონდათ ასეთი ჩვეულება — თავისთვის ძიძები აეყვანათ ამგვარი ბატონკაცობისა არაფერი გაეგებოდათ. მაგრამ ამ შემთხვევაში მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო ძიძა ეშოვნათ, ვიდრე მაღამ ფარფოროვას სამსახური მიეტოვებინა და წარმოებიდან წამოსულიყო.

და, აი, რა თქმა უნდა, ძიძა მათსა დადგა. არც ძალიან ხნიერი იყო, არც ძალიან ახალგაზრდა. ერთი სიტყვით, შუახნის ქალი იქნებოდა და ამასთან საკმაოდ მახინჯიც. მაგრამ მიუხედავად გარეგნული სიმახინჯისა, ფარფოროვებმა მალე დაინახეს, რომ ეს ქალი კეთილი გულის პატრონი იყო და, რა თქმა უნდა, ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რა ასპიდიც შემოიკედლეს. ფარფოროვებმა, რასაკვირველია, განგებ აიყვანეს ძიძად ასეთი უსახური ქალი, რომ აღმა-დაღმა არ ერბინა პირად ბედნიერებას მოკლებული ყოფილიყო და მხოლოდ მათი ნაშიერისთვის მოეწყო. მით უფრო, რომ ძიძა რეკომენდაციით მიიღეს. მათ უთხრეს, ერთი შეუხედავი მოხუცი ქალია, სასმელს არ ეტანება, ძალიან უყვარს ბავშვები, პირდაპირ ზედ ევლებათ. მოხუცი კია, მაგრამ ისეთი ქალია, ღირსია ახლავე შევიდეს ჩვენს ახალ, უკლასო საზოგადოებაში.

ამგვარად კი უთხრეს, მაგრამ თვითონ ცოლ-ქმარს ძიძაზე ჭერჭერობით არაფრის თქმა არ შეეძლო.

ჰოდა, აიყვანეს ძიძა და მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ქალი ძიძა კი არა, ბაჩაღლო ოქრო იყო. მით უფრო, რომ ბავშვი იმთავითვე შეიყვარა, ხელიდან არ უშვებდა, აქეთ-იქით დაატარებდა და დაღამებამდე შინ არ შემოჰყავდა.

ფარფოროვები კი მოწინავე ადამიანები იყვნენ და ამაში ხელს არ უშლიდნენ. იცოდნენ, რომ სეირნობა და პაერზე ყოფნა მათ ჩვილს სხეულს გაუჟღავნებდა, თანაც ფიქრობდნენ: „კი ბატონო, ისეირნოს, მით უფრო, რომ უფრო იშვიათად მოგვიწევს მაგისი პირუტყვი დინგის ცქერაო“.

ჰოდა, ასეთი მდგომარეობაა შექმნილი:

ღილით მშობლები წარმოებაში მიდიან, მათი ძიძა კი იყვანს ჩვილს, აიღებს ბოთლით ძროხის რძეს, გასწევს სასეირნოდ ლენინგრადის ქუჩებში და გვიან დაღამდღე არ შემოჰყავს ჩვილი შინ.

მაგრამ ერთხელ ასეთი რამ მოხდა:

ქუჩაში გამგეობის წევრი ცაპლინი მიდიოდა. ცაპლინი საბინაო კომიტეტში მუშაობდა და გამგეობის ერთ-ერთი თავკაცი იყო.

მიდის ცაპლინი ქუჩაში თავისთვის ჩაფიქრებული. ეგება თავის პირად საკმეზე ფიქრობს ან იმაზე, მისადმი რწმუნებული სახლის რომელი მობინადრე გამოაკრას შავ დაფაზე, როგორც ურჩი გადამხდელი და უეცრად ხედავს, — რა არის ეს? — დგას კუთხესთან ძველმანებში ჩაცმული მოხუცი ქალი, ბავშვით ხელში, და მოწყალეებას თხოულობს. ზოგიერთი მოქალაქე ამ სურათის დანახვაზე პირს მიიქცევს, ზოგს კი გულთან ახლოს მიაქვს სხვისი გასაჭირი და ერთ-ორ გროშს უტოვებს თავის გასატანად. ქალი კი მადლობის ნიშნად

თავს აკანტურებს და ბავშვს დაანახებს, აქაოდა, ჩემთვის კი არა, აი, ამისთვის ვთხოვლობო.

სემიონ მიხაილოვიჩ ცაპლინი არ აპირებდა მათხოვრობის ფულს მიცემას, ისე, უბრალოდ შეავლო თვალი და სახე თითქოს ნაცნობი ეჩვენა, დააკვირდა და მართლაც ძიძა შეიცნო ფარფოროვების ბავშვთა ჩემბრუნე შეცდომა შეუძლებელი იყო. — ქალს ისეთი სახე ჰქონდა, ღრმად რომ ჩაგეჭედებოდა გულში.

გამგეობის წევრს, ცაპლინს მოხუცი ქალისთვის არაფერი უთქვამს და, საერთოდ, კაპიციც არ მიუცია, ოღონდ ეგ იყო, შებრუნდა და ისევ შინისკენ გასწია.

არავინ იცის, როგორ მიანთხია სული საღამომდე, საღამოს კი პირადად ფარფოროვს ეძგერა:

— მეტისმეტად მიკვირს, პატივცემულო ამხანაგო, მაგრამ საქმე ასეთია: ან შინამოსამსახურეს ფულს არ უხდით. ანდა ამგვარი ამბებისა ვერაფერი გამიგია. მაგრამ თუ ამ ქალს განგებ აზნაუნით, რომ ბავშვის სახელით იმათხოვროს, მაშინ უეჭველად უცხო სოციალური სხეული ყოფილხართ ამ ჩვენს სოციალისტურ სახლში.

ფარფოროვი, რა თქმა უნდა, ეუბნება:

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რაზეა ლაპარაკი? კარგად ვერ გავიგე, რა მითხარით?

მაშინ გამგეობის წევრმა უთხრა, რაც ნახა და რაც განიცადა ამ სურათის შემყურემ. ჰოდა, შეიქმნა ერთი ვაი-უშველებელი. ატყდა ყვირილი, იყო ღიმილიც და ყველაფერი გაირკვა. მერე უნემეს ძიძას და უთხრეს:

— ეს როგორ შეიძლება? თქვენ რა გამოჩერჩეტდით თუ შერეკილი ხართ და თავში გიქრით?

ძიძამ თქვა:

— აქ სამარცხვინო და დასაძრახისი არაფერია. რა მნიშვნელობა აქვს, ისე ვიდგები, თუ გულმოწყალები გამვლელები ფულს მომცემენ. ნამდვილად არ მესმის, რაზეა ლაპარაკი. ბავშვს ამით არაფერი უშავდება, პირიქით, იქნებ ართობს კიდევაც. მის ირგვლივ ამოდენა ხალხი რომ ტრიალებს.

— კი მაგრამ, მე სულაც არ მსურს ჩემმა შეილმა აკენიდანვე მსგავსი რამ შეისისხლხორცოს. მე ნებას არ გაძლევთ ამგვარი რამ კიდევ გაიმეოროთ.

ქალბატონი ფარფოროვა გულში იკრავს შეილსა და ამბობს:

— ეს საშინელი შეურაცხყოფაა, ძიძა ახლავე უნდა გავაძევოთ სახლიდან ცაპლინი კი დასძენს:


— მე კი, როგორც გამგეობის წევრი, გეუბნებით: ნამდვილად სწორად იქცევით, ამ თავხედ ძიძას რომ აგდებთ.

მოხუცი ქალი ამბობს:

— ოჰ, დიდი ამბავი, გული არ გამიხეტქეთ! ახლა ძიძები სანთლით საძებნელნი არიან, კალთებს კი არ დამაგლეჯენ? მე თქვენი ღლაპის სახელზე სამ მანეთამდე ძლივს ვაკოწიწებდი, საყვედურებს კი ნულარ იტყვით! თვითონაც არა ვარ აქ გამჩერებელი, პატრონები კი არა, რაღაც უგულო არამზადები ხართ!

ამ სიტყვებზე ფარფოროვი განრისხდა, ძიძას ერთი მაგრად დაუღრიალა, და ისიც კი დააპირა, მისი სუსტი სხეულიდან ბებრული სული გამოეფერთხა, მაგრამ გამგეობის წევრმა შეაჩერა. რის შემდეგაც ძიძა სამარცხვინოდ გააძევეს, ისე მოიშორეს თავიდან, რეკომენდაციაც კი არ მისცეს. არავინ იცის,

სად მოეწყო სამუშაოდ, მაგრამ პლბათ სადმე ისევე უვლის ბავშვს და მისი სახელით ფულსაც საკმაოდ შოულობს.

ვეფიქრობ. ძალიან ესაჭიროებოდა ფული, თორემ სხვაფრივ შეუძლებელია მისი საქციელის ახსნა. თუმცა ვერ მივხვდარვართ — რა თქმის მიხედვით ამ ფულს, მაძლარია, ჩაცმულ-დახურული, ნაბდის ჩექმები აქვს.  ჩამაგვირისაც ლე-ბულობს. ალბათ ეს მისი რალაცნაირი ახირება თუა, ან, რაც მთავარია, აქ თავს იჩენს პიროვნების აღზრდა ადრინდელი წვრილბურჟუაზიული სულისკვეთებით, სწორედ აქედან გამომდინარეობს არასწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაც და ეს უაზრო ლტოლვაც ფულისადმი.

ჩემთვის ყველაფერი გასაგები იქნება, ძიძას რამე კეთილშობილური მიზანი რომ ამოძრავებდეს, თუ მიზანი არსებობს, მაშინ შემიძლია შემწყნარებლურად მოვეკიდო ფულის შოვნის ამგვარ ხერხს.

და ერთხელ, როგორც ქვემოთ დაინახავთ „მეტისმეტი“ მოთმინება და შემწყნარებლობა გამოვიჩინე ამგვარივე შემთხვევის დროს, რაზედაც ახლა გვინდა მოგიტბროთ.

უხნიუხნელო უხმთხვევა ჩემი ცხოვრებიდან

კინოში ვდგავარ და ერთ ქალს ველოდები. აქ, უნდა ითქვას, ერთი პიროვნება მოგვწონდა, ასე ვთქვათ, საკმაოდ ლამაზი, უშვილო ქალწული, მოსამსახურე.

ჰოდა, რა თქმა უნდა, იყო სიყვარული, შეხვედრები, იფრქვეოდა საამგანწყობო სიტყვები, იყო ლექსიც. მშენებლობასთან არაფერი საერთო რომ არ ჰქონდა. რალაც ამდაგვარი: „ჩიტი ტოტზე ხტის, ცაზე მზე ბრწყინავს, მიიღეთ, ძვირფასო, ჩემი სალამი...“ მერე რალაც აღარ მაგონდება... ტა-ტა-ტა-ტა... და ბოლოს, ასე მთავრდებოდა: — მტკივა...“

სიყვარული, როგორც ასეთი, ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს ცალკეულ მოქალაქეთა მსოფლმხედველობაზე. ზოგჯერ, მაგალითად, იწყება წუწუნის, მძაფრდება ჰუმანური გრძნობები, თავს იჩენს რალაცნაირი სიბრალული ადამიანებისა და თევზებისადმი და სურვილი დაეხმარონ მათ. გულიც უფრო მგრძნობიარე ხდება, რაც სრულიად ზედმეტია ჩვენს დროში.

ჰოდა, ვდგავარ, ერთხელ ამ ჩემი მგრძნობიარე გულის პატრონი და ჩემს ქალბატონს ველოდები. მას კი, რაკი მოსამსახურეა და თავისი სამსახური დიდად არაფრად უღირს, — უყვარს დაგვიანება. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, სამსახურში სიმკაცრეა, აქ კი ნამდვილად იცის, რომ ორიოდეჯერ რომ დაიგვიანოს, არავინ გაათავისუფლებს, ჰოდა, ცდილობს ყველაფერი პირად ანგარიშზე და ჰუმანურ გრძნობებზე აინაზღაუროს.

მაშასადამე, აი, ვდგავარ ჩემთვის ყვეყჩივით კინოსთან და ველოდები.

სალაროსთან რიგი მიედინება. აგერ, ქუჩის მხარეს კარი მოღებულია, ბატონო, შემობრძანდითო. ჰოდა, ვდგავარ ასე. როგორღაც ენერგიულად, ხალისიანად ვგრძნობ თავს, მინდა ვიმღერო, ვიმზიარულო, თავი მოვიგიჟიანო, მინდა ვინმეს ხელი ვკრა, გაველლაბუცო, ცხვირზე ხელი წავატანო.

უეცრად ვხედავ — შემოსასვლელ კართან ღარიბულად ჩაცმული მოხუცი ქალი დგას, დახეული ვატერპუფი და ძირგავარდნილი ფეხსაცმელი აცვია. მუფტიც გვარიანად გაქუცვია.

დგას ეს მოხუცი ქალი მოკრძალებით კართან და საწყალობლად შეჰყურებს შემომსვლელებს, ელოდება, ეგება რამე მომცენო.

სხვები ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, თავხედურად დგანან. მწივანა ხმით მღერიან ან ფრანგულად ბუტბუტებენ რალაცას. ეს კი მოკრძალებული და როგორღაც დარცხვნილი ჩანს.

გულს ჰუმანური გრძნობები მივსებს. საფულეს ვიღებ, ერთხანს შიგ ვიჩხრიკები, მანეთიანს ვპოულობ, გულალაღად, თავის ოდნავი დაკვრით ვუწვდი მოხუც ქალს. და გრძნობათა მოზღვავეებისაგან ცრემლები ბრილიანტებივით მიციმციმებს თვალებში.

მოხუცი ქალი მანეთიანს დაშტერებია და ამბობს:

— რა არის ეს?

— აი, დედილო, მიიღეთ უცნობისგან-მეთქი, — ვეუბნები.

უეცრად ვხედავ, ძლიერი აღელვებისაგან ქალს ლაწვებზე აღმური მოედო.

— რა უცნაურობააო, — ამბობს. — მე ვგონებ, არა ვთხოვლობ, რას მაჩეჩებთ ამ მანეთიანს? ეგება ქალიშვილს ველოდები, მასთან ერთად კინოში შესვლას ვაპირებ. მწყინს ამგვარი თავაგდებულობის ცქერაო.

მე ვეუბნები:

— მაპატიეთ... ეს როგორ... თავადაც ვერ მივმხვდარვარ... პარდონ... — პირდაპირ თავგზა ამებნა. კაცი ვერ გაიგებს, ვის რა უნდა და ვინ რისთვის დგას. ხუმრობა ხომ არ არის, ამდენი ხალხი ირევა.

მაგრამ მოხუცი ქალი უკვე მთელი ხმით წივის.

— ეს რას ჰგავს, კინოშიც ვეღარ შესულხარ. შეურაცხყოფას გაყენებენ! რატომ ხელები არ მიგახმებათ, ამგვარ რამეს რომ სჩადით. უმჯობესია, ქალიშვილს დაველოდო და მასთან ერთად სხვა კინოში წავიდე, ვიდრე თქვენ გვერდით ვიჯდე და მოშხამული პაერი ვისუნთქო.

მე ხელებზე ვეპოტინები. ბოდიშს ვუხდი და პატიებას ვთხოვ. მერე სწრაფად ვეცლები და განზე ვდგები. რა იცი, რა მოუვლით, ეგება მილიციაში წამაპორწიალონ, მე კი ქალს ველოდები-მეთქი. ვფიქრობ.

მალე ჩემი ქალბატონიც მოვიდა. ვდგავარ მოწყენილი, ფერმიხდილი და, ცოტა არ იყოს, შემკრთალიც. მრცხვენია აქეთ-იქით გახედვის, რომ თვალი არსად არ წავკრა ჩემ მიერ შეურაცხყოფილ მოხუც ქალს. ბილეთს ვიღებ და მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მივყვები უკან ჩემს ქალბატონს. უეცრივ უკნიდან ვიღაც მიახლოვდება და იდაყვში ხელს მავლებს. მინდა შევბრუნდე და გავეცალო, მაგრამ უეცრად ჩემ წინ მოხუცი ქალი აიღიანდება.

— ბოდიშს ვიხდი, — მეუბნება. — წელან მანეთიანი თქვენ მომაწოდეთ?

რალაცას გაუგებრად ვბუტბუტებ. ქალი კი განაგრძობს:

— არ მახსოვს... წელან მანეთიანს ვიღაც მაძლევდა... მგონი, თქვენ იყავით. თუ ასეა, მაშინ მომეცით. ჩემმა ქალიშვილმა კარგად ვერ დაიანგარიშა, აქ პირველ და მეორე რიგში ადგილები იმაზე უფრო ძვირი ღირს, ჩვენ რომ გვეგონა. მესამედან კი ვერაფერს დავინახავ, თვალთ მაკლია. ისღა დამრჩენია შინ გავბრუნდე. ბოდიშს ვიხდი, რომ შეგახსენეთ.

მე საფულეს ვიღებ, მაგრამ ჩემი ქალბატონი მეუბნება:

— სულაც არ არის საჭირო, ფულები აქეთ-იქით ფანტო. თუ ასე წავიდა საქმე, სჯობია, ბუფეტში ნარზანი დავლიოთ.

— ნარზას დავლევთ. ნუ წუწუნებთ. მაგრამ მანეთიანი კი უნდა მივცე. რა

იცით, როგორ სჭირდება. ამხანაგურად უნდა შევეუწყოთ ხელი ერთმანეთს-მეთქი, — ვუთხარი.

არა, მე მაინც მივეცი მანეთიანი მოხუც ქალს, და მუსიკის ხმაზე, გულამღვრეულები დავსხედით სურათის საცქერლად.



ჩემი ქალბატონი საყვედურებით მავსებდა: აგრე ორი ცვრბლწწწწწწწწწწწ ვართ და ჩემთვის, ერთი შუშა ოდეკოლონი არ გიყიდიო, აქ კი, სხვათა შორის, სხვებს თვალებს უბრმავებ და მარჯვნივ თუ მარცხნივ მანეთიანებს არიგებო.

დაბოლოს, რალაც კომედია გვიჩვენეს, ამან ყველაფერი დაგვაფიწყა და, სხვებთან ერთად გულარბინად ვხარხარებდით, ის მოხუცი ქალი თავის ქალიშვილთან ერთად, შორიახლოს იჯდა და ზოგჯერ მხიარულად ჩაიღრუტუნებდა ხოლმე. მეტისმეტად ემაყოფილი გახლდით, რომ ასეთი კულტურული სიამოვნება მივანიჭე, ორი მანეთიც რომ ეთხოვა ჩემთვის! დაუფიქრებლად მივეცემდი.

ღიან, საერთოდ, ეს უმნიშვნელო შემთხვევაა, რაც შეეხება ფულთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საქმეებს, ამაზე ჩვენ ვიცით ერთი ამბავი, რასაც ქვემოთ მოგიტბრობთ.

აი, ერთი სასაცილო ნოველა, რომლის გადაკითხვაც საიდუმლოებათა მოყვარულთ ერთგვარ სიამოვნებას მიანიჭებს.

საიდუმლოებით მოცული ამბავი, ზოგისთვის საშუხაროდ რომ დამთავრდა, ზოგისთვის კი დამაკმაყოფილებლად

ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი ერთმა შინაგან სნეულებათა და ბავშვთა ექიმმა მომიტბრო. ეს ექიმი საკმაოდ ხანმოთეული და მთლად გაქალაქავებული კაცი იყო. არავინ იცის, ამ შემთხვევის გამო გაქალაქავედა, თუ იმთავითვე თეთრი თმა ჰქონდა, მაგრამ ნამდვილად ქალარა კი იყო. ხმაც ბრინწიანი და გაბზარული ჰქონდა. ხმაზეც ამასვე ვიტყვით, გაურკვეველია, ამ ამბის გამო ჩაებრინწა, თუ საერთოდ ასე ლაპარაკობდა, მაგრამ მთავარი ეს როდია.

ზის ერთხელ ეს ექიმი თავის კაბინეტში და ნაღვლიანად ფიქრობს: „ამ ბოლო დროს პაციენტები საკმაოდ გაუფასურდნენ, — ყოველი მათგანი ცდილობს სადაზღვევო ბარათით უფასოდ იმკურნალოს, ექიმთან კერძოდ აღარავინ მიდის, ისლა დამრჩენია, ღუქანი მივაკეტო“.

უეცრად ზარი დაიწკრიალეს. შემოდის ასე, შუახანს მიტანებული მოქალაქე და ექიმს თავის სატკივრებზე შესჩივის. გულიც წამისწამ მიჩერდება და, საერთოდ ვგრძნობ, მალე მოვევლებიო. ექიმმა ავადმყოფი გასინჯა. ყველაფერი რიგზეა, ბუღასავით ჯანმრთელია, სახეყირმიზა, უღვაში აპრეზილი აქვს და სასიკვდილო არაფერი ეტყობა. ექიმმა ავადმყოფს ნიშადურ-ანისულის წვეთები გამოუწერა. გასამოჩელოდ თოთხმეტი შაური აიღო, თავი გადააქნ-გადმოაქნია, და როგორც მისი პროფესია ავალდებულებდა, უთხრა, მეორე დღისთვის შემოველო.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს, იმავე დროს, ექიმს შავთავსაფრიანმა მოხუცმა ქალმა მოაკითხა. ქალი წამისწამ ცხვირს იხოცავდა და სლუკუნ-სლუკუნით ამბობდა:

— გუშინ თქვენთან ჩემი საყვარელი ძმისწული ვასილ ლედენცევი მო-

ვიდა, ჰოდა, იცით, გამთენიისას გარდაიცვალა: არ შეიძლება ამის შედეგად გარდაცვალების ცნობა მომცეთ?

— ძალზე ვასაოცარია, რომ გარდაიცვალა. — ეუბნება ექიმი. — ანისულის წვეთების მიღების შემდეგ, საერთოდ, იშვიათად იხრებოდა. მუხუხდავად ამისა, გარდაცვალების ცნობას ვერ მოგცემთ. — მიცვალებულს უნდა ენაბო.

— ძალიან კარგი, მაშინ გამომყევით, აქვე ახლოს ვცხოვრობთ.

ექიმმა ხელსაწყოები წაიღო, კალოშები ჩაიცვა (ეს კარგად დაიხსომეთ) და მოხუც ქალს გაჰყვა.

და აი, ორივენი შეხუთე სართულზე ავიდნენ, შევიდნენ ბინაში. ირგვლივ მართლაც საკმევლის სუნი ტრიალებდა მიცვალებული მაგიდაზე ესვენა, ყველგან სანთლები ლაპლაპებდა. მოხუცი ქალი საწყალობლად ფშრუკუნებდა სადღაც. უცებ ექიმს გუნება წაუხდა, თავი შესძაგდა.

„ვაი შენ, ჩემო ბებრუხანა თავო, რა სასტიკად შევცდი, რა საცოდაობა დატრიალდა თოთხმეტ შაურადო“. — გაიფიქრა. მერე მაგიდას მიუჯდა ცნობა სწრაფად დაწერა, მოხუც ქალს გადასცა და ფეხაჩქარებული, დაუმშვიდობებლად გავიდა: ოთახიდან. ალყაფის კართან რომ მივიდა, გაახსენდა, — ფუი ეშმაკს, კალოშები დამრჩენიაო.

„ეს რა ხათაბალაშია გავები, თოთხმეტი შაურისთვის ისევე მალლა აღოღება მომიწევსო“, — გაიფიქრა.

ხელახლა აუყვა კიბეს, შევიდა ოთახში, კარი, რა თქმა უნდა, ღია დაუხვდა და უეცრად ხედავს, მიცვალებული ვასილ ლედენცოვი მაგიდაზე დამჯდარა და ფეხსაცმლის თასმას იკრავს; თან მოხუც ქალს რაღაცაზე ედავება. მოხუცი ქალი კი მაგიდას გარს უელის და თითებით სანთლებს აქრობს... დაინერწყვავს თითს, ჩააქრობს სანთელს, ისევე დაინერწყვავს და ჩააქრობს. ამის დანახვაზე ექიმი ძალიან გაოცდა, უნდოდა დაეყვირა, მაგრამ თავი შეიკავა და ასე უკალოშოდვე მოცოცხა იქიდან.

მივარდა შინ და ტახტზე დაეცა, შიშისაგან სულ კბილებს აკაწყაწებდა. მერე ნიშადურ-ანისულის წვეთები დალია, დამშვიდდა და მილიციაში დარეკა. მეორე დღეს მილიციაში ყველაფერი გაარკვია. აღმოჩნდა, რომ განცხადებების შემგროვებელმა აგენტმა ვასილი მიტროფანოვიჩ ლედენცოვმა საბაზინო ფულიდან სამი ათასი მანეთი მიიმასქნა ამ ფულით აპირებდა სადმე უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყო და ახალი, ბედნიერებით აღსავსე ცხოვრება დაეწყო. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ექიმს კალოშები სამიოდე თვის შემდეგ დაუბრუნეს გაუთავებელი პროცედურების, განცხადებების წერის, თხოვნისა და სხვადასხვა ადგილებში განუწყვეტელი სიარულის შემდეგ.

საერთოდ, ჩვენმა ექიმმა შედარებით იოლად დააღწია თავი ამ ხათაბალას და შიშისა და ნერვების მოშლის გარდა იმის გამო, რომ კალოშები კაი ხანს არ დაუბრუნეს, სხვა უსიამოვნება არ შეხვედრია.

ექიმმა ეს ამბავი რომ მომითხრო, ამოიოხრა და დასძინა:

— იმ თავხედსა და უტიფარს სამი ათასი მანეთი ხელთ ჰქონდა და უნდოდა თოთხმეტ შაურად გაცურცლულიყო ამქვეყნიდან, მაგრამ მედიცინამ ეს არ დაუშვა. აი სადამდე მიჰყავს ადამიანები ფულის სიხარბეს.

ფულს დახარბებულ ადამიანზე ჩვენ ვიცი კიდევ ერთი ამბავი, რომლის მსგავსი არცთუ ისე ხშირად ხდება.

აი რა უნდა მოგიხროთ:



ამბავი ერთი სპეკულანტისა

პეტროგრადში ცხოვრობდა ვინმე სისიავეი, ისეთი, საკმაოდ ურჩუკი ადამიანი. ნების დროს, როცა კერძო მესაკუთრენი ჯერ კიდევ არსებობდნენ, იგი საპარიკმახეროს პატრონი იყო, მაგრამ პარსვა-კრეკის გარდა უცხოური ვალუტით ვაჭრობდა. სხვადასხვა ბნელ საქმეებსაც აკვარაბჭინებდა და, რა თქმა უნდა, ჩავარდა.

ცხრაას ოცდაათი წლის ზაფხულში ჩაავლეს. ცოტა ხანს იჯდა, სადაც ჯერ არს, და მალე ლენინგრადიდან სადღაც შორს გააპანჩურეს. ერთი სიტყვით, რაღაც მიაკერეს — მინუს შვიდი, პლუს შვიდი თუ რვა, — ეშმაკმა უწყის მისი თავი. ამ საქმეებში მე ჯერჯერობით ცუდად ვერკვევი.

ესე იყო თუ ისე, ჩვენს სისიავეს, როგორც სპეკულანტს, ნარიმის მხარეს უკრეს თავი. ჰოდა, მაშასადამე, სურდა თუ არა, უნდა წასულიყო. უნდა ითქვას კი, რომ დაპატიმრებას მაინც ელოდა. გული საგულეს არ ჰქონდა, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე უთხრა თავის თანამოსაქმეებს, ემანდ, სადმე თავი არ მიკრანო, და, რასაკვირველია, ყოველ შემთხვევისთვის, აიღო თავისი ტყავის კურტაკი, ბორტი ჩაურღვია, და შიგ მეფის ათი ოქროს ფული და ერთი ოქროს კვადრატი ჩააქერა. ალბათ, განსოვთ, — ოცდაათხ წელს სახელმწიფომ გამოუშვა მსგავსი ოქროს კვადრატები ტექნიკური მიზნებისათვის.

ჰოდა, ესე იგი, თავისი ავლა-დიდება საეგებიოდ გამოიკერა კურტაკში და მას აქეთ ამ კურტაკიდან ნამდვილად აღარ გამომძვრალა. ჰო, კიდევ შარვალშიც ჩაიკერა ქალაღის ფულები, ფეხსაცმელში კი ლაბაშკვეშ უფრო გამძლე ვალუტა — დოლარები ამოსდო. და მოლოდინად იქცა, თუმცა ლოდინი არც დასჭირვებია. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ თავის კურტაკიანად წაიყვანეს და შემოდგომით, სადაც საჭირო იყო, იქით უკრეს თავი.

არავინ იცის, როგორ ცხოვრობდა ახალ ადგილზე, თუმცა შეიძლება არც ისე ცუდად ჰქონდა საქმე, მით უფრო, რომ ქალაღის ფული ბლომად მოიმარაგა, ალბათ შარვალზე ჩაკერილ ადგილს თავს მოურღვევდა, საფულედან რაღაცის დააძრობდა, ოქროსთვის კი, სხვათა შორის, ხელი არ უხლია.

ერთ წელზე მეტი დაჰყო ამგვარად და უეცრად ავად შეიქნა. ფილტვების ანთება დაემართა. გაცივდა, სამუშაოზე ორპირ ქარში მოხვდა, და ჩაწვა. რა თქმა უნდა, ხველა აუვარდა, სურდო მოერია, ზიზინი აუტყდა, სიცხემ მინუს ორმოც გრადუსამდე აუწია. მკერდში კვალი გაუდგა, მაღა დაეკარგა და, საერთოდ, სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მაშინ ღამით ტყავის კურტაკი გაიძრო, და ბორტი გაურღვია. ბორტი გაარღვია, ოქროს ფულები ენაზე დაიდო და რიგრიგობით კუჭში გადაუძახა. თან ფიქრობდა: „რამდენადაც უკვე განწირული ვარ, ჩემი სიკვდილის შემდეგ აქ ვინმე ქექვას დაიწყებს, ეს კი სასიამოვნო ვერ არის, მიჯობს, ეს ოქრო ფაშვში მეყაროს, ვიდრე მათი წყალობით ვინმემ სარგებლობა ნახოსო“. ფიქრობდა ამგვარად და თან ოქროებს ყლაპავდა.

მაგრამ ვგონებ ასე. ხუთი თუ ექვსი ცალის გადაყლაპვა თუ მოასწრო, რომ სისიაევის ერთმა მეგობარმა ამ მის დანაშაულებრივ ქმედებას თვალი შეასწრო. იქ შეიდ-შეიდ კაცს ერთად უწევდა ცხოვრება. თვალი შეასწრო ამ საქმეს მეგობარმა, ატეხა ერთი ვაი-უშველებელი და დაეწინაურა ჩაყლაპა აღარ დაანება. და თუმცა სისიაევი ებლაუჭებოდა და ემუდგებოდა მეგობარი მაინც თავისაზე იდგა და ამბობდა:

— მე ოქრო კი არ შენანება, ჩემთვის როდი მინდა. მაგრამ რომ გადაყლაპო, ამას არ დაგანებებ. მით უფრო, რომ ფილტვების ანთება ზოგჯერ გაივლის ხოლმე. მერე ფულიც აღარ გექნება და საერთოდ, ნაწლავები გაგეჭვდება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ავადმყოფი მართლაც მალე გამოკეთდა. ანთება ჩაუქრა, მკერდი გაუთავისუფლდა. სუნთქვა გამოუკეთდა. მაგრამ ახლა ახლამა ჭირმა იჩინა თავი — კუჭში ჩხვლეტები დაეწყო, მადა დაეკარგა და პირიდან დუფი ჩამოსდიოდა. მადლობა ღმერთს, ავადმყოფმა ყველა ოქრო რომ არ გადაყლაპა, თორემ შავი დღე დაადგებოდა.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მისთვის საოპერაციოდ ტომსკში წასვლა გაეხერხებინათ, მაგრამ თავადვე არ ისურვა. ეგება ეშინოდა, რომ ქლოროფორმის მიღების შემდეგ ყურადღება გაეფანტებოდა და ქირურგები კუჭიდან მონეტებს ამოწაპნიდნენ. სისიაევი მხოლოდ იმის ნებას რთავდა, მისთვის სხვადასხვა შინაგანი საშუალებები მიეცათ და მასაჟები გაეკეთებინათ.

ძლიერმა წამლებმა, რა თქმა უნდა, მონეტები გარეთ გამოყარა, მაგრამ ანგარიში არ ემთხვეოდა. მონეტები იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო.

საერთოდ ამ საქმეს ბნელი პირი უჩანდა. ან იმ გაწამაწიაში აწაპნეს რამდენიმე მონეტა, ან არადა, ფაშვშივე დარჩა. სისიაევს სამი მონეტა და ერთი კვადრატი აკლდა. თუ დავუშვებთ, რომ კუჭში აღარაფერი ედო, მაშინ მართლაც უნდა აეცალათ და თუ ასეა, მასაჟი და მკურნალობა საჭირო აღარ იყო, მაგრამ ტყუილად რატომ უნდა მიაყენო ჩრდილი ადამიანებს? ეგება მონეტები თავისთვის კუჭში ეყარა? მით უფრო ჯანმრთელობისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ოქრო არ იყანგება, ასე რომ შეიძლება უსასრულოდ იდოს სტომაქში. რა თქმა უნდა, დასანანია, ვალუტა უქმად რომ ცდება, მაგრამ ხომ შეიძლება ხელთ არ ჰქონდეს და სხვა მოქალაქეებთან მიმოქცევაში იყოს.

რაც შეეხება სპეკულატნს, იგი დარწმუნებულია, რომ ოქრო შინაგანი სისტემის რომელიღაც ბუნებრივ ძვირეს წამოედო და ახლა სადღაც მოყუჩებული დევს შიგანში. მაგრამ სულიერი სიმშვიდის მისაღწევად უეჭველად აპირებს კუჭის დასწივებას. და თუ მეცნიერება მიიჩნევს, რომ ოქრო შიგნითაა, გარკვეულ დრომდე ხელსაც არ ახლებს.

ეს ნამდვილი ამბავი მისთვის მოგიტბრეთ, რათა თქვენც გცოდნოდათ. ფულის სიყვარული ზოგჯერ სიკვდილზე ძლიერი რომ არის.

ხოლო როცა მომდევნო მოთხრობას წაიკითხავთ, ამაში კიდევ უფრო მეტად დარწმუნდებით. ეს მოთხრობა დაწერილია იმაზე, თუ როგორ აუკრძალა სიკვდილი ერთმა გულხარბმა დედაკაცმა ქმარს, რადგან ამ უკანასკნელს დასამარბი ფული არ ჰქონდა.

მთხრობა იმის თაობაზე, თუ როგორ აუარაღა ცოლმა
ქმარს სიკვდილი



პეტროგრადის მხარეს ცხოვრობდა ერთი ხელმოკლე მხატვარი ივანე სავიჩი ბუტილკინი. იგი რომელიღაც კუსტარულ არტელში ირიცხებოდა. იგი ხელსუფალ ვერ გეტყვით. რომელში, იქ რაღაცას ჩხირკედელაობდა. მგონი, მუშაობდა. ხატავდა პლაკატებს და ფირნიშებს. აკეთებდა რაღაც მაჩვენებლებს და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, შეეძლო საკმაოდ რიგიანად ეცხოვრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ავადმყოფობდა, რაკი ჭანმრთელობა ხელს არ უწყობდა, მუშაობა უჭირდა და, მით უფრო, არც ფულის გაკეთება შეეძლო, თუმცა საკმაოდ ნიჭიერი და თავის ხელობაში გაწაფული კაცი იყო. მაგრამ ძალიან ცუდად, ღარიბულად ცხოვრობდა, ასე ვთქვათ, ვერ იქნა და ვერ ააწყო თავისი გაჭაბირებული ცხოვრება. ყველაფერ ამასთან, სარჩენი ჰყავდა მეუღლე მატრონა ვასილევნა. ისიც ბუტილკინა. რევოლუციამდე რომ შეერთო, როცა ვერ კიდევ აზრზე არ იყო, რას ნიშნავს ცხოვრების ამგვარი თანამგზავრი.

ბუტილკინა აუტანლად მყვირალა, უქნარა დედაკაცი იყო. სახლში ხელს არ ანძრევდა, მხოლოდ სადილს თუ გააკეთებდა და ზოგჯერ პრიმუსზე წყალს შემოდგამდა გასაცხლებლად. ხელს არ უწყობდა თავის ჭანგატეხილ ქმარს, რომელსაც ავადმყოფობის გამო არ შეეძლო ბლომად მოეხვეტა ფული.

ყოველივე ამასთან, მატრონა ქმარს დღენიადაგ აწამებდა, ლანძღავდა, და უხეში ჭაჭლანით, ჩხუბით და ყვირილით ჩვენს მხატვარსა და ფერმწერს სუსტსა და პოეტურ სულს უფორიაქებდა. მოითხოვდა მეტი ფული ეშოვნა. უნდოდა ევლო კინოში, მიერთშია ფრიკასე, სხვა ნაირ-ნაირი საკმელები და ასე შემდეგ...

ქმარი რა თქმა უნდა, ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა — პოდა, რასაკვირველია, ცოლი ანჩხლობდა და ეკინკლავებოდა. ერთი სიტყვით, ქმარს ყურით დააპროწიალებდა.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, მატრონამ ქმართან თვრამეტი წელი იცხოვრა. კი მართალია, ზოგჯერ ჩხუბი და შეხლა-შემოხლა ჰქონდათ, მაგრამ ქვეყნის დაქცევა არ ყოფილა და არც მკვლელობა მომხდარა. ქალი ამეებზე არ მიდიოდა, რადგან იცოდა, ქმარი, ასე თუ ისე, უფრთხილდებოდა. პოდა, რომ მოკვდენოდა ან გაყროდა, ვინ იცის, საქმე როგორ შეტრიალებულიყო. სხვა შეიძლება ისეთი ურჯუკი შეხვედროდა, თავად უსაქმოდ დაბრძანებულიყო. ცოლი კი, ეს მრავალტანჯული ადამიანი, აქულებინა დღედაღამ ეშრომა.

მატრონა რევოლუციამდე კაი ხნით ადრე დაიბადა და მიაჩნდა, რომ უზრუნველად უნდა ეცხოვრა, ქმარს უნდა ეშრომა, ცოლს კი ფორთოხლები მიერთშია და თეატრებში ევლო.

პოდა, წარმოიდგინეთ, ივანე სავიჩი ბუტილკინი მოულოდნელად ავად გახდა. მანამდე კი საშინლად დასუსტდა. ისე კი არა, ფეხის გატოკება რომ არ შეძლებოდა, ფეხს ნამდვილად ატოკებდა, მაგრამ ასე ვთქვათ, სულიერმა სისუსტემ შეიპყრო, სხვაგვარ ცხოვრებაზე ოცნებობდა. ესიზმრებოდა გემები, რაღაც სასახლეები, თვითონაც ისეთი უთქმელი გახდა, მეოცნებე, სწყინდა, სახლში სიჩუმე რომ არ იყო, რატომ აჩხაკუნებენ მეზობლები ბალალაიკას ან ფეხებს რატომ აფრატუნებენო, წყრებოდა. სიჩუმის მონატრული იყო, ნამდვილად სასიკვდილოდ ემზადებოდა. თევზეულიც კი ამოიჩემა, სულ მლაშე-

მლაშე საჭმელს, უფრო კი ქაშაყს თბოულობდა. ჰოდა, ასე, სამშაბათს ავად შეიქნა, ოთხშაბათს კი მატრონა მიეძალა:

— ერთი მიბრძანე, თუ შეიძლება, რატომ ჩაწეკიო? ეგება/ეგ ავადმყოფობა განგებ აიხირე, სამუშაოს თავს არიდებ, ფულის შემოტანა გნებავსო. ქალი აცივდება, ბუტილკინი კი ღუმს.

— დაე, ირატრატოს, ჩემთვის ახლა სულ ერთია, ვგრძნობ, მაინც მალე უნდა მოვკვდეთ, — ფიქრობს.

თავად კი იწვის, ღამით საწოლში ბორგავს, აბოდებს, დღისით კი მისავათებული წევს, გულშეჭირვებული, ფეხები განზე გაუყრია და სულ ოცნებობს:

— ნეტავი სიკვდილის წინ სადმე ბუნების წიაღში წამიყვანა, იქაურობისთვის თვალი შემაღლებინა, მე ხომ ჩემს სიცოცხლეში ამგვარი რამ არ მინახავსო.

ჰოდა, ეგება საოცნებოდ ორი დღელა ჰქონდა დარჩენილი, როცა ასეთი შემთხვევა მოხდა. მის საწოლთან მატრონა ვასილევნა მივიდა და გესლიანად უთხრა:

— ოჰ, მართლა კვდები?

ივან სავიჩი ეუბნება:

— ჰო, ბოდიშს ვიხდი... ვკვდები... და ნულარ მაყოვნებთ, მე უკვე თქვენი მორჩილებიდან გამოსული ვარო.

— ეს ჯერ კიდევ საკითხავია, — გაეპასუხა მოტია, — ვიცი, რა არამზადაც ბრძანდები, შენი არაფერი მჯერა, ახლავე ექიმს მოვიყვან, გაგსინჯოს. ჰოდა, მაშინ გადავწყვიტეთ, მოკვდები თუ როგორ იქნება საქმე; ჯერჯერობით კი ჩემი მორჩილებიდან ვერ გამოხვალ, გიჯობს ამაზე არც იოცნებო.

ჰოდა, მოტიამ კომუნალური სამკურნალოდან ექიმი მოიყვანა. რაიონის ექიმმა ივან სავიჩი გასინჯა და თქვა:

— ავადმყოფს ან ტიფი აქვს ან ფილტვების ანთება, ძალიან ცუდად არის, ჩემი წასვლის შემდეგ ალბათ მალე მოკვდება.

აი, ამგვარი სიტყვები ბრძანა რაიონის ექიმმა და წავიდა

ჰოდა, მოვიდა მატრონა ივან სავიჩთან და უთხრა:

— მაშასადამე, ნამდვილად კვდები, არა? მე კი, სხვათა შორის, არ მოგცემ სიკვდილის საშუალებას. შენ, მაწანწალავ, ჩაწეკი და ფიქრობ, რომ ახლა ყველაფრის უფლება გაქვს, სტყუი. არ მოგცემ, არამზადაც, სიკვდილის ნებასო.

— უცნაურ რამეს ბრძანებთ, — უთხრა ივან სავიჩმა. — ექიმმაც კი ნება დამართო და თქვენ არ შეგიძლიათ ამ საქმეში ხელი შემიშალოთ, თავი გამანებეთო...

— მიმიფურთხებია იმ შენი ექიმისთვის, მე კვ, არამზადაც, არ დაგანებებ რომ მოკვდე. იფ, რა მდიდარი მამაძალდი ვინმე ბრძანდება, სიკვდილი მოინება, სადა გაქვს, შე რეგვენო, საიმისო ფული, რომ სული გააცხო! ახლა, მაგალითად, მიცვალებულის გაპატიოსნებასაც ფული ესაჭიროებაო.

აქ გულკეთილი მეზობელი ბებია ანისია წამოდგება წინ:

— მე გაგაპატიოსნებ, ივან სავიჩ, მე გაგაპატიოსნებ, — ეუბნება. — ამაში ეჭვი არ შეგეპაროს და ფულსაც არ მოგთხოვ, მიცვალებულის გაპატიოსნება ნამდვილად საღმრთო საქმეო.

— ოჰ, გააპატიოსნებს! რასა ბრძანებთ, მერე კუბო ან, მაგალითად, ფო-

რანი? ან მღვდელი? მე რა, საამისოდ ჩემი გარდერობი უნდა გავყიდო? მიმიფურთხებია ყველასთვის! არ დავინანებ, რომ მოკვდეს. იშოვოს ცოტა ფული და მერე თუნდაც ორჯერ გაუცხია სულიო, — ყვირის მატრონა.

— ეს როგორ, მოტია? ძალიან უცნაური სიტყვებია, — ეძებოდა მღვდელს სა-
გინზური წიგნი

— როგორ და ისე, — პასუხობს მატრონა. — არ დაგანებებ სიკვდილს. არა და არა, აი ნახავ! ჯერ ფული იშოვე და მეც წინდაწინ ორი თვის სახარჯო დამიტოვე, მერე კი თავში ქვა გიხლიათ.

— იქნებ ვინმესთვის გვეთხოვა? — ამბობს ივანე სავიჩი.

— ეს მე არ მეხება, რაც გინდა ისა ჰქენი, ოღონდ იცოდე, არ გაძლევ სიკვდილის ნებას.

და აი, ივანე სავიჩი სალამომდე მკვდარივით იწვა, სუნთქვა ეკვროდა, სალამოს კი ჩაცმა დაიწყო, ტახტიდან წამოდგა, ერთხანს იხენეშა და ეზოში გავიდა. ეზოში გავიდა და მეეზოვე იგნატი დახვდა.

— ივანე სავიჩი, მომილოცავს გამოჩანსალება, — ეუბნება მეეზოვე.

— ნახე, იგნატი, რა დღეში ვარ, ცოლი სიკვდილს არ მანებებს; მოითხოვს ორი თვის სახარჯო ფული დავუტოვო, სად უნდა ვიშოვნო ახლა ფული? — შესჩივის ივანე სავიჩი.

იგნატი ეუბნება:

— ასე, ოცი კაპიკი შემიძლია მოგცე, დანარჩენი კი მიდი, ვინმეს გამოართვი.

ივანე სავიჩმა, რა თქმა უნდა, ოცი კაპიკი არ აიღო, ქუჩაში გავიდა და ერთიანად გასავათებელი ტუმბოზე ჩამოჯდა.

ტუმბოზე ჩამოჯდა და, უეცრად ხედავს, ვიღაც გამვლელი მუხლებზე ფულს უგდებს. ალბათ მოწყალეობას იმიტომ აძლევს, ასეთი ავადმყოფური და მეტიმეტად დასუსტებული შესახედაობა რომ აქვს.

აქ კი ივანე სავიჩი ოდნავ გამოცოცხლდა:

თუკი საქმე ასე წავიდა, მაშინ უნდა ვიჯდე აქ ერთხანს, ეგება კიდევ გამიკითხოს ვინმემ, მოდი, ქუდს მოვიხდიო, გაიფიქრა.

ჰოდა, იცით, გამვლელ-გამომვლელებმა ცოტა ხანში საკმაოდ ჩაუყარეს ქუდში ფული. შელამებულზე ივანე სავიჩი შინ დაბრუნდა, ოფელში გახვითქული და დათოვლილი, ოთახში შევიდა და ტახტზე დაწვა. ხელში კი ფული ეჭირა. მოტიამ დააპირა ფულის დათვლა, მაგრამ ივანე სავიჩმა არ დაანება. ნუ უპოტინებ მაგ უწმინდურ ხელებს, ჯერ ცოტათო, — უთხრა.

მეორე დღეს ივანე სავიჩი ისევ წამოდგა, ისევ ხენეშით ჩაიცვა, ხელები წინ გაიწვდინა და ქუჩაში გავიდა.

სალამოს ისევ ფულიანი დაბრუნდა, ამონაგები გადათვალა და დაწვა. მესამე დღესაც იგივე განმეორდა, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა, დადგა კაცი ფეხზე. ბოლოს, რა თქმა უნდა, ქუჩაში მოწყალეების თხოვნას თავი დაანება. მით უფრო, რომ, რაკი ცოტა მოიკეთა, ისეთი შესაბრალისი იერი აღარ ჰქონდა და გამვლელებიც ფულს აღარ აძლევდნენ.

ჰოდა, რაკი აღარაფერი მისცეს, ისევ თავის პროფესიას დაუბრუნდა. ამგვარად, ივანე სავიჩი ცოცხალი დარჩა. მატრონამ სიკვდილის ნება არ დართო.

აი, რა ფანდი უყო მატრონამ ივანე სავიჩს.

რა თქმა უნდა, რომელიმე რაინდული ლაიბ-მედიკი ამ მოთხრობის წაკითხვისას ჩაიცინებს და იტყვის, რომ მეცნიერება მსგავს შემთხვევებს არ იც-

ნობს და რომ მატრონა აქ არაფერ შუაშია. დიანს შეიძლება მეცნიერება მართლაც არ იცნობდეს ასეთ შემთხვევებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივან სავიჩი დღესაც ცოცხალია და სწორედ ამას წინათ დაასრულა რაღაც მხატვრული ფირნიში ხორცის სავაჭროსათვის.

მაგრამ, სხვათა შორის, ამ შემთხვევის ახსნა მედიცინის თეორიისათვის შეიძლება. იქნებ ივან სავიჩი, ქუჩაში რომ გავიდა, მღელვარებისგან ოფლი დაასკდა, ჩახურდა, და ოფლთან ერთად, ავადმყოფობამაც გამოეონა სხეულიდან. თუმცა ეს არავინ იცის.

ერთი სიტყვით, ფულის მოყვარულმა ხარბმა დედაკაცმა, თავისი გაუმაძღრობის წყალობით, ქმარს სიცოცხლე შეუნარჩუნა, რაც, რა თქმა უნდა, მეტისმეტად იშვიათი შემთხვევაა. უფრო ხშირად, პირუკუ ხდება, უმეტეს შემთხვევაში საქმე ისე ეწყობა, რომ ამგვარი სიხარბის გამო ადამიანი კარგავს ყველაფერს, იმასაც კი, რაც აბადია.

ჰოდა, სწორედ ამაზე მინდა ახლა მოგიხროთ ერთი საინტერესო ამბავი. ეს იქნება მოთხრობა ხარბ მერძევეზე, რომელსაც მოეგუნება გაედიდებინა თავისი შემოსავალი.

მოთხრობა ერთ ფულის წუწა მერძევე ქალზე

ერთმა სიმფეროპოლელმა ქალმა, წარმოშობით ქვრივმა, კბილის ექიმმა ო-მ გათხოვება გადაწყვიტა.

ჰოდა, გათხოვება ჩვენს დროში არც ასე ადვილია! მით უფრო, თუ ქალი ინტელიგენტია და სურვილი აქვს, თავის ირგვლივ, ასეთივე ინტელიგენტს, მასთან შეხმატკბილებულ პიროვნებას ხედავდეს.

ჩვენს, ასე ვთქვათ, პროლეტარულ ქვეყანაში, ინტელიგენტების საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას. კადრების პრობლემა საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია, აქ კი, ბოდიში მომითხოვია და, საქმროები ნებავეთ, ცხადია, ინტელიგენტი საქმროები ამჟამად ძალიან ცოტაა. ესე იგი, რა თქმა უნდა, მაინც გვხვდებიან, მაგრამ ყველანი რაღაც ისეთები არიან: ან უკვე ჰყავთ ცოლი, ან ორი-სამი ოჯახი აქვთ, ან, საერთოდ, ავადმყოფობენ, რასაც, რა თქმა უნდა, ცოლქმრულ ცხოვრებაში დიდად სასიხარულოდ ვერ მივიჩნევთ.

და აი, ამგვარ ვითარებაში სიმფეროპოლში ცხოვრობდა ქვრივი ქალი, რომელმაც გასულ წელს ქმარი დაკარგა — ქლეჩით გარდაეცვალა.

ჰოდა, მაშასადამე, ექიმს ქმარი გარდაეცვალა. თავდაპირველად ალბათ ამ ამბავს იოლად მოეკიდა. „ე-ე არაფერიაო!“ — გაიფიქრა. მერე და მერე კი დაინახა, საქმე სულაც არ იყო ასე, საქმროები დასტა-დასტად არ დარბოდნენ ამქვეყნად და, რა თქმა უნდა, დადარდიანდა.

მაშასადამე, ერთი წელი მგლოვიარედ იჯდა, მერე თავისი გასაკირი მერძევე ქალს გაანდო. მასთან მერძევე ქალი დადიოდა, რძე დაჰქონდა, რადგან ქმარი ქლეჩით გარდაეცვალა, ექიმმა საკუთარ თავზე ზრუნვას უმატა. გაძლიერებულ კვებაზე გადავიდა. დღეში ორ ლიტრა რძეს სვამდა და ამგვარი საზრდოს მიღებით პირდაპირ გაფუვდა და ჯანმრთელობაც სამაგალითო ჰქონდა. ალბათ ამიტომ მოეძალა მსუბუქი, ჰაეროვანი ფიქრები გათხოვებაზე.

გაითქვირა და, სხვათა შორის, ერთ დღეს მერძევეს ობივატელური საუბარი გაუბა. არავინ იცის, რით დაიწყო ეს საუბარი. შეიძლება სამზარეულოში შევიდა

და სწავთა შორის თქვა, სანოვავე ძვირდება, რძე წყალწყალა და, საერთოდ, საქმროები აღარ არიანო.

მერძევემ ალბათ უთხრა:

— დიახ, რა თქმა უნდა, ვინ, ვინ და, საქმროები კი ნამდვილად საქმროები არიანო.



ბიზლიჩისევა

— შემოსავალი კარგი მაქვს, არაფერი მაკლია — ბინა, ახალი ავეჯი, ფული! თავადაც არც ისეთი საბიჩარი ვარ, მაგრამ რად გინდა, ხელმეორედ გათხოვება ვერაფრით მომიხერხებია, ისლა დამრჩენია, გაზეთში გავაცხადო, — იტყოდა ექიმი.

— გაზეთი სანდო საქმე არ არის, მაგრამ რაღაც ისეთი კი უნდა მოვიფიქროთ, — უპასუხა ალბათ მერძევემ.

— უკიდურეს შემთხვევაში, ფულსაც არ დავინანებდი იმისთვის, ვინც ამ საქმეში შუამავლობას გამიწევდა, — იტყოდა ექიმი.

— მერე, რამდენს მისცემდით? — შეეკითხებოდა მერძევე.

— კმ. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის გამაცნობენ, თუ, რა თქმა უნდა, ინტელიგენტი იქნება და შემირთავს კიდევ, სამ თუმანს თვალის დაუხამხამებლად ვაჩუქებდიო. — შეეპასუხებოდა ექიმი.

— სამი ცოტაა, ხუთი თუმანი მომეცით და ამ საქმეს მოგიკვარახჭინებთ, თქვენი შესაფერისი საქმრო დაგულებული მყავსო.

— იქნებ ინტელიგენტი არ არის, — დაეკვდებოდა ექიმი. — ეგება მეკავია, და ხუთი თუმანი რისთვის უნდა მოგცეო?

— არაო, — იუარებდა მერძევე. — მეკავე რად იქნება, ძალიან ინტელიგენტი კაცია, მონტიორიაო.

— მაშინ გამაცანიოთ აი, ჯერჯერობით თუმანი გასამრჯელოდო, — ეტყოდა ექიმი, და ამით დაშორდებოდნენ ერთმანეთს.

აქ უნდა ვთქვათ, რომ მერძევეს, გარდა საკუთარი ქმრისა, არავითარი საქმრო არ ეგულებოდა.

მაგრამ დიდმა თანხამ ააღელვა და დაიწყო ფიქრი, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, რომ რაც შეიძლება ადვილად დაეცინცლა ფული ექიმისათვის.

ჰოდა, მივიდა შინ და თავის ქმარს უთხრა:

— აი, რა, ნიკოლაშა, საქმე ამგვარადაა, შეიძლება კაცმა ორმოცდაათი მანეთი ისე, სულ ტყუილუბრალოდ ჩაიჯიბოსო.

და, მაშასადამე, ამცნო საქმის ვითარება, ასე და ასე, მოსაჩვენებლად რომ გაგაცნო ის გამდიდრებული ექიმი, ადგება და თავისი სიბრიყვით ხუთ თუმანს გადმომითვლისო.

— უკიდურეს შემთხვევაში, თუ ძალას დაგატანს, შეგიძლია ხელიც მოაწერო, ახლანდელ დროში ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, დღეს ხელს მოაწერ და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც უკანვე მობრუნდებიო.

მერძევის ქმარმა, საკმაოდ სიმპათიურმა, უღვაშიანმა მამაკაცმა უთხრა ცოლს:

— შესანიშნავია, ძალიან კარგი! მოხარული ვიქნები, ტყუილუბრალოდ ორმოცდაათი მანეთი ჩაეჯიბო, სხვებმა ამდენი ფულის გულისთვის ერთი თვე მაინც უნდა იმუშაონ, აქ კი ასეთი უბრალო რამ, — ხელისმოწერა არის საჭიროო.

ჰოდა, მაშასადამე, ორიოდ დღის შემდეგ მერძევემ თავისი ქმარი კბი-

ლი ექიმს გააცნო, კბილის ექიმმა გულით გაიხარა და ზედმეტი სიტყვებისა და წუწუნის გარეშე გადაუხადა მერძევს ფული.

ახლა საქმე ამგვარად აეწყო:

მერძევს ქმარმა, ამ უღვაშა უსაქმურმა, სასწრაფოდ მისწერა ხელი ექიმთან, დროებით მასთან გადავიდა და ჯერხნობით ისევ იქ ცხოვრობს.

გავიდა ამგვარ ყოფაში ხუთი დღე, ერთი კვირა, მერე ათი დღეც. მაშინ კი მერძევმა ქმარს მიაკითხა.

— რა არის, რა მოხდაო? — იკითხა.

მონტიორმა უთხრა:

— ჰო, არა, შინ დაბრუნება გადავიფიქრე, ისევ ამ ექიმთან დავრჩები, აქ რაღაც უფრო საინტერესო ცხოვრებააო.

აქ, რა თქმა უნდა, კარგა მაგრად გაულაწუნეს სიფათში ასეთი უგვანი საქციელისთვის, მაგრამ ქმარს ამან აზრი ვერ შეაცვლევინა და საცხოვრებლად ისევ ექიმთან დარჩა. ექიმმა კი, როცა ყველაფერი გაიგო, ბევრი იცინა და თქვა, რამდენადაც აქ ძალდატანება არ ყოფილა და არჩევანი თავისუფალი იყო, ინტინდენტი ამოწურულიაო.

მართალია, მერძევმა ერთი ორჯერ კიდევ მიაკითხა ექიმს ბინაზე, ერთი ამბავი დააწია და ქმრის დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოსულა, უფრო მეტიც — სულაც დაითხოვეს, შემდგომში ჩხუბისა და მიძმე შედეგების თავიდან ასაცილებლად რძის აღებაზეც უარი უთხრეს. დედაკაცმა ხუთი თუმნის გულისთვის დაკარგა თავისი ლამაზი, ინტელიგენტი ქმარი. და ჩვენ, საერთოდ, მეტისმეტად კმაყოფილი და მონარული ვართ, ყველაფერი სწორედ ამგვარად რომ დაგვირგვინდა. ახლა ამ კეუამოკლე დედაკაცს საშუალება აქვს მოკლილობის ეამს სრულიად მარტოდმარტო დარჩენილი დაფიქრდეს, რა შეცდომა ჩაიდინა.

თუმცა ხდება ხოლმე, რომ ადამიანები არც მსგავს შეცდომებს სჩადიან. და, საერთოდ, არც ელეთმელეთი მოსდით ფულის დანახვაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ ფული შემთხვევით თათებში ჩაუვარდათ, სულიერი მღელვარება და ძლიერი განცდები იმ კეუაგაუგნებელ მერძევზე ნაკლებად როდი იპყრობთ.

ქვემოთ კი სწორედ იმ კაცზე გვინდა მოგიხროთ, რომელსაც მოულოდნელად გაუჩნდა ფული და აქვე დაგანახოთ, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ამგვარმა შემთხვევამ სიმპათიურ ადამიანზე.

ბრაბიკული მოთხრობა ადამიანზე, რომელმაც ფული მოიგო

რა თქმა უნდა, იმგვარი მოთხრობები, ადამიანმა რომ მოიგო, ვთქვათ, ასი ათასი მანეთი და მას შემდგომ რაც თავს გარდახდა და განიკადა, ლიტერატურაში აურაცხელია. მაგრამ ის, რაც ახლა გვინდა მოგიხროთ, თავისი კომიკურობით დღემდე დაწერილ ყველა მოთხრობას აჭარბებს. ამასთან გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი ქვემოთ აღწერილი სრული ქეშმარიტება გახლავთ.

წრმოიდგინეთ დილა, ნისლით შესუდრული ლენინგრადი, მშრომელები

სამუშაოზე უნდა წავიდნენ. აი, ახლავე ჩაის დალევენ და ამაყ მწკრივებად გაჰყვებიან ქუჩებს.

მაგრამ ეს რა ამბავია? ბოდის ვიხდი, ვილაყის ყვირლი ისმის ეს ჩვენი კომუნალური ბინიდან ისმის ყვირილი, ფეხების ბრაგუნის, ლაწალაწი და შეძანილები. მობინადრენი იქითკენ გარბიან და აი რას ხედავენ!

მუშა ბორკა ფომინი ვარდისფერი საცვლის ამარა ოთხივე მხარეს იდგება, ყბები უთრთის, სახე თიხისფერი გახდომია: ცალ ხელში გაზეთი ჩაუბლუჯავს, მეორეში კი საფოსტო ღია ბარათი, მესამე ხელში მის ცოლს ტალონი უჭირავს და თან გაჰყვირის:

— ოჰ, გადით ყველანი ოთახიდან, ჯერ ზუსტად არაფერი ვიცით, პირადად მე ვერაფრით დავიჯერებ, რომ მე და ბორკამ ხუთი ათასი მოვიგეთ.

ბორკა ფომინს აღელვებისაგან ცხვირიდან წვეთი ჩამოუვარდება.

— შემნახველ სალაროდან ღია ბარათი მივიღე. რა ამბავია-მეთქი? პარდონ, თურმე ფული მომიგია... — აზუსტებს მერე.

ცოლი ამბობს:

— მთელი ჩემი სიცოცხლე ბნელში გავატარე, გასაოცარი თავს არაფერი გადამხდენია, თუ ახლა ბორკამ ამხელა ფული მოიგო, დანამდვილებით ვიცი, რაღაც ისეთი მოხდება, ამ ფულს თვალთ არავინ დამანახვებს.

ერთ-ერთი მობინადრე ამბობს:

— ზშირად ციფრებს ისე ბეჭდავენ, რომ არ აკვირდებიან, ან ნულები ამოუცვივდებათ და სხვაგან სადმე ჩაჯდებიან, მშრომელები ობრავენ და მერე, რა თქმა უნდა, რაც უნდა მოეგოთ, იმასაც ველარ იგებენ...

სწორედ ამ დროს მობინადრეებს სხვადასხვა ოთახებიდან შეიდი გაზეთი შემოაქვთ. ყველანი ციფრებს ჩაშტერებიან, ამოწმებენ და ხედავენ — ბორკა ფომინმა, არაფერ ისეთს რომ არ წარმოადგენს, მართლაც ყოველგვარი ექვის გარეშე მოიგო ხუთი ათასი მანეთი და არავინ იცის, რას უზამს ახლა ამხელა ფულს.

ბორკას დისწულმა ახალგაზრდა, ჩვიდმეტი წლის ლაწირაკმა, ვოვკა ჩუჩელოვმა, რომელიც აქვე ცხოვრობდა და შოფრობაზე გამოცდებს აბარებდა, მაგრამ ჯერ ადამიანების გასრესას შეჩვეული არ იყო, უთხრა ბორკის ანდრეევიჩს:

— ტყუილუბრალოდ სიტყვების, ფანტვას, ძია, გიჯობთ, შემნახველ სალაროში გაიქცეთ, თუ მოგცემენ იმ ფულს, მაშინ მართლაც მოგებული გექნებათ.

აქ ყველანი უყვირიან ბორკის ანდრეევიჩს და უბრძანებენ, სალაროში გაიქცეო, ამაზე ბორკას ცოლი ქალური უნდობლობით ასე წამოიყვირებს:

— ახლა ეს არამზადა ან ტრამვაის ქვეშ ჩავარდება, ან ავტობუსი გადაუვლის, რაღაც არა მჯერა, რომ მე, აი ასე, უბრალოდ, შემძლია ხუთ-ხუთი ათასი მოვიგო.

ბორკისი იმწამსვე იცვამს, გარბის და მალე ისევ უკან ბრუნდება. სახეზე მიწისფერი ადევს, დამხედურებს ელაპარაკება იმ ადამიანის მისუსტებული ხმით, ეს-ეს არის სტრატოსფეროში რომ დაფრინავდა. ის ამბობს:

— დიახ, ხუთი ათასი მოვიგე. ფულისთვის ზეგ დამიბარეს, მითხრეს, ჩვენს რაიონში ასეთი შემთხვევა ას წელიწადში ერთხელ თუ მოხდებაო.

ყველანი ულოცავენ ბორკის ანდრეევიჩს და ეუბნებიან, ტახტზე წამოწვეს, რომ ფულის მიღებამდე სხეული საღად შეინარჩუნოს.

ცოლი ამბობს:

— ოჰ, გადით ყველანი ოთახიდან, მინდა კარგად დავფიქრდე, რა შეიძლება მოხდეს ისეთი, ფულის მიღებაში ხელი რომ შეგვიშალოს.

ასე იწურება დღე, დილით კი კვლავ გაისმის ყვირილი, ფეხების ბრაგუნის და უხეში შეძახილები მობინადრენი შემთხვევის ადგილისკენ გარბიან. ბორის ანდრეევიჩი ვარდისფერ საცვალში ტატხზე გაშობილ კაბუნებს, ცხვირიდან წვეთი წვეთზე ჩამოსდის.

ცოლი ამბობს:

— კიდევ კარგი, ეს არამზადა პარტიაში არ მიიღეს. კინალამ ცეცხლზე ნავთი არ დამისხა!

— კი მაგრამ, რა მოხდა? — კითხულობენ მობინადრეები.

— როგორ თუ რა, — პასუხობს ცოლი. — ეს ჩემი ცოდვით სავსე, მოგებას არ დაელოდა და ამ ორი კვირის წინ პატარა ბავშვივით შელრიტინებდა თურმე მალლა მდგომ პირებს, რეკომენდაცია მიეცათ. კარგია, რომ უარი უთხრეს. ჩაწერა ნებავდა ვაჟბატონს. პოდა, ვფიქრობ, ალბათ მოგვიხდებოდა ნახევარი ფული დაგვეტოვებინა ამასთან თუ იმათთან საბრძოლველად, „მოპრისტვის“ და რა ვიცი, ვილასთვის აღარ.

ერთმა მობინადრემ თქვა:

— მიცემა სავალდებულო არ არის. მაგრამ ზოგიერთი თავისი სურვილით იტოვებს პაპიროსისთვის ასე, ექვსიოდე მანეთს, დანარჩენს კი მთლიანად მშენებლობას აბარებსო.

ცოლი ამბობს:

— კარგია, სულელებს პარტიაში რომ არ იღებენ, რა სეირს დამიტრიალებდა!

ბორკა ყვირის:

— რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რაც არ მომხდარა, ცხოვრებაში ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება.

ცოლი ამბობს:

— ოჰ, გადით ყველანი აქედან, მინდა ვიფიქრო, რა შეიძლება კიდევ მოხდეს.

მესამე დღეს ბორკამ მთლიანად მიიღო ფული, ოცი მანეთი დირიჟაბლის ასაგებად ოხვრით იქვე დატოვა. დანარჩენი კი შინ მიიტანა და ოთახში ჩაიკეტა.

მეოთხე დღეს, დილით ისევ გაისმის ყვირილი, ლულუნი, ღრიალი, ფეხების ბრაგაბრუგი და უხეში ლანძღვა-გინება.

ბორის ანდრეევიჩი ცოლს წაეჩხუბა, ახლა ეყრება და ერთ ქალიშვილთან აპირებს გადასვლას, დერეფნის ბოლოს ცხოვრობს ვინმე ფენიჩკა, რალაცნაირი თეთრფეროვანი გოგონა, მგონი, ჩუხონელი. მაგრამ ისეთი სათნო და საყვარელი, თანაც პოეტების ოცნებასავით ტანწერწეტა.

ბორის ანდრეევიჩმა შეკრიბა თავისი ბარგი-ბარხანა და სწორედ ფენიჩკასთან გადავიდა. ცოლზე კი თქვა:

— იმიტომ ვეყრები, რომ განვკვირიტე მთელი მისი წვრილბურთაზიული არსი, მაგან ასეთ გმირულ ხანაში წამაქეზა განცხადება გამომეტანა, ამას არასოდეს ვაპატიებ, ყოველთვის, როცა კი დავინახავ, უეჭველად დავიტანჯები და გული მეტკინება. მაგრამ ისე მიტოვებას არ ვაპირებ, ერთ ას მანეთს დავუტოვებ და ამის შემდეგ ეგ კუდიანი ჩემს სამიჯნურო საქმეებში აღარ ჩაეჩაროს.

ცოლი ამბობს:

— აჰა, ესეც ასე! აკი გეუბნებოდით.

მაშინ დისწულმა ვოვკამ, ბორის ანდრეევიჩთან ერთად, სასწრაფოდ გადაზიდა თავიანთი ბარგი ფენიჩკასთან და იქ მთელი საღამო ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ.

მეექვსე დღეს ისევ გაისმა ყვირილი, წამოძახილები და ქალის ტირილი.

— რა მოხდა? პარდონ, ბოდიშს ვიხდი, რა ამბავია?

ოჰ, იცით, ის მოხდა, რომ ბორის ანდრეევიჩს ღამით ფული ერთიანად აწაპნეს. საშინელი და შემადრწუნებელი სურათია. თავად ბორის ანდრეევიჩი საწოლზე გამოტილა. სახეზე მკვდრისფერი ადევს, გაოცებული ჩურჩულებს, მხრებს იჩეჩავს, რითაც თავის სულიერი ტანჯვის მთელ სიმძიმეს გამოხატავს. იქვე, გვერდით ხალიჩაზე უგრძობლად გამოტილა ფენიჩკა, მას ფეხსაცმელები და პალტო მოპარეს.

ირკვევა, რომ ბორის ანდრეევიჩის დისწულს ჩუჩელოვს, შოფრობაზე გამოცდა არ ჩაუბარებია და ისე გადაკარგულა სადღაც. იკვეთება ქურდობის სურათი ამ უსინდისო ნათესავის მხრივ.

ამ დროს უეცრად გამოცხადდება ფენიჩკას ძმა, თუ ეშმაკმა უწყის, ვინ, ისიც ვგონებ, ჩუხონელი უნდა იყოს, მკერდზე „იმშთ“ს ნიშანი აბნნევია. იგი თითქმის ხმას არ იღებს, მხოლოდ ზედმეტ მობინადრეებს ფეხის კვრით ყრის ოთახიდან, სულ ბოლოს ბორკა ფომინს გამოუძახა და დინგში გასცხო, ქალის ცხოვრების დამახინჯების და პალტოსა და ფეხსაცმლის დაკარგვისათვის.

ბორკა შესაბრალისი ყვირილით აქეთ-იქით აწყდებოდა დერეფანში, სიფათი ამოსული ბისკვიტივით აფუებოდა. მაშინ ყოფილმა ცოლმა მფარველობა გაუწია და ნება მისცა, ისევ მასთან დაბრუნებულიყო. ბორკა ცოლის ოთახში იატაკზე გაწვა და ისეთნაირად იტანჯებოდა, რომ ზედ ამ დროს შემოსულმა მილიციელმაც კი ვერ გაუძლო აქ დანახული სურათის ცქერას.

ბორკა ეუბნება ცოლს:

— ოჰ, თავადაც ვერ გამიგია, როგორ წავედი თქვენგან. მხოლოდ თქვენი სიყვარული აფაქიზებდა მუდამ ჩემს აუტანელ ტანჯვას. ბოდვასავით მახსოვს, როგორ ვცხოვრობდი ის სამი დღე იმ გამოთეთრებულ ჩუხონელთან. ასეც მოუხდებოდა, ახია მაგაზე, პლუშის პალტო და ტუფლები რომ მოჰპარეს, ძმაც ხომ, ვერც კი ვიტყვი, ისეთი არამზადა და კაცის მკვლეელი ჰყავს, ოჰ, ყოველივე ამის გამო თავი გამოლაყებული მქონდა. ამხანაგი მილიციელის თანდასწრებით ბოდიშს ვიხდით იმისთვის, რაც მოხდა.

მილიციელი ამბობს:

— ოჰ, მოათავეთ ეგ ღიჯინი, თქვენი რატრატი სულს მიშანთავს. გთხოვთ გაჩუმდეთ და ილაპარაკოთ იმაზე, რაც მოხდა და არა იმაზე რაც იყო. მე ოქმი მაქვს დასაწერი და არა პოემა ლატაკთა ცხოვრებიდან.

ბორკა ამბობს:

— რაკი ასეა, მისმინეთ: ფენიჩკას ღამით ეძინა, მე კი არ მახსოვს რისთვის, ერთი წუთით საპირფარეშოში გავედი. ალბათ ვოვკა ჩუჩელოვმა ეს ყველაფერი დაინახა და ოთახიდან ის ფული და ნივთები გააპარა.

მილიციელმა ყველაფერი ჩაიწერა და წავიდა.

ცოლ-ქმარი შერიგდა, ერთად ცხოვრობენ და ერთმანეთი არაჩვეულებრივი სიყვარულით უყვართ. ბორკა და ფენიჩკა ერთმანეთს აღარ ესალმებიან. ფე-

ნიჩკა ისევ კოპწიაობს ახალ ფეხსაცმელებში, რომელიც არავინ უწყის, საიდან გაუჩნდა.

ფენიჩკას და სიმა ბორკას გამოელაპარაკა და უთხრა, ~~შენ რომ სიფათი დაგინაყა, ის ჩუხონელი ფენიჩკას ძმა კი არა, საყვარელიაო, და მაშინ კი ყველაფერს ფარდა აეხადა.~~ ბორკა აღარ იტანჯებოდა, ~~საქმეზე დადიოდა და თამამად იძლეოდა სხვადასხვა დაპირებებს.~~ ზიზლიჩიძე

ცოლმა უთხრა:

— პო, კარგი, რას იზამ, თუკი მოგწონს, თხოვე ვინმეს რეკომენდაცია, შენ ისეთი ხასიათი გაქვს, ბავშვივით ყველაფერს ეტანებიო.

ორიოდე კვირის შემდეგ ბორკა უეცრად მილიციაში გამოიძახეს და აუწყეს, კავკასიაში, გაგრაში, შენი დისწული ვოვკა ჩუჩელოვი დააპატიმრეს, ოთხასი მანეთი დაუხარჯავს, დანარჩენი კი შეგიძლია დაუყოვნებლივ დაიბრუნო.

ბორკა სახეგაფითრებული მობრუნდა შინ. ხელში ფული ეჭირა. ტახტზე ჩამოჯდა, უწადინოდ აავლ-ჩაავლო თვალი ყველას, კარგად არც კი ესმოდა, რა მოხდა.

ცოლი ამბობს:

— ოპ, გალით ყველანი ოთახიდან, ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორ დატრიალდება საქმე.

ეს გაუგებრობა სამ დღეს გაგრძელდა.

რის შემდეგაც ბორის ანდრეევიჩმა არც აცივა, არც აცხელა და ნაჩქარევად, დაუფიქრებლად შეირთო ფენიჩკას და — სიმა.

ბედნიერებით გაბრუებული, სამუშაოზე აღარ წასულა და ნახევარი წლით გამოაგდეს, მაგრამ ეს ფეხებზე დაიკიდა და სულაც არ დარდობს, ფული სალაროში შეიტანა და წიგნაკი მსხვილი კანაფით გულზე დაიკიდა.

ფენიჩკამ თქვა, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთიაო, ცოლმა კი გაიოცა, აი, ოინიც ეს არისო. და მოულოდნელად გაჰყვა ერთ ნაცნობს, ყოფილ პოლონელს, რომელიც მასთან საცხოვრებლად გადმოვიდა, რადგან თავად ბინა არ ჰქონდა.

აი, ახლა კი საინტერესოა, რა მოხდება, ბორის ანდრეევიჩს ფული რომ შემოეფშენიტება.

ამ მოთხრობის გადაკითხვის შემდეგ შეგვიძლია ერთად გავიოცოთ, ეს რა უცნაური ამბები ხდებაო, და მერე სასოებით ვიფიქროთ იმ შესანიშნავ დღეებზე, როცა ფულს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ექნება.

ალბათ ქვეყანას გაოცების შეძახილი აღმოხდება, ისეთი საუცხოო ცხოვრება დამკვიდრდება, ჩვენ, არამზადები კი, ვინც ყოველგვარ სიბილწესა და უგვანობაზე ვართ აღზრდილნი, ვერც კი წარმოვიდგენთ, როგორი იქნება მაშინ ეს ყველაფერი.

ამით გვინდოდა დაგვესრულებინა მოთხრობები ფულზე, რომ მერე სიყვარულზე მოგვეთხრო ცოტა რამ, მაგრამ ამ პოეტური ნაწილის — „სიყვარულის“ მიახლოება საშუალებას გვაძლევს შემოგთავაზოთ კიდევ ერთი ამბავი, სადაც ორივე ჩვენთვის საინტერესო საგანი — ფული და სიყვარული — ერთმანეთს უკავშირდება.

და აი, რა მივიღეთ აქედან.

მეტი გახლავთ მოთხრობა ერთ მდიდარ, გაფუფუნებულ ქალზე, რომელიც ფულის წყალობით სიყვარულს ეზიარა.

აი, როგორ მოხდა ეს.



ათლო მოთხრობა ლოჯუნებით, — „მშვიდობით მშენებლობა“
 გიგლიძის

კაცმა რომ თქვას, ჩვენში მდიდრები აღარ არიან, მაგრამ შეძლებულები კი გვყვანან. ჩვენთან ზოგიერთს კარგი ხელფასი ეძლევა, ზოგი სახელმწიფო სესხით იგებს რაღაცას, ზოგს კი ეშმაკმა უწყის, საიდან უჩნდება ფული.

მაგრამ ჩვენ ძნელად თუ წარმოვიდგენთ, რა არის სიმდიდრე, არც ის ვიცით, რა სახსრების და რა მდგომარეობის პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ ყველაფრის ყიდვა შეძლოს. მდიდართა წინაშე ინგრევა ყველა ზღუდე და ზღვარი, და ამქვეყნად რასაც კი მოისურვებენ ყველაფერი მათია.

რა თქმა უნდა, ჩვენთანაც არის რაღაც ამის მსგავსი, ვთქვათ, მავანსა და მავანს შემორჩენილი აქვს ადრინდელი ქონების რაღაც მცირე ნაშთები და მაშინ თავს იჩენს ხოლმე ისეთი უცნაური ამბები, რომელთაც ჩვენ უკვე გადავიჩვიეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საჭირო იქნებოდა, ამ ამბებისთვის თვალი გადაგვევლო.

და აი გთავაზობთ მოთხრობას იმაზე, თუ როგორ იყიდეს ფულით სიყვარული და რა შედეგი მოჰყვა ამას შემდგომ.

ლენინგრადში ცხოვრობდა ერთი ჩვეულებრივი ქალი, მდიდარი ინჟინრის ქალიშვილი, ახლა ძნელი სათქმელია, ნამდვილად ინჟინერი იყო ის კაცი თუ მოიჯარადე. მაგრამ ფაქტია, რომ კერძო სახლებს აშენებდა და ამის წყალობით წარმოუდგენლად გამდიდრდა. ვერ გეტყვით, შეიძლება სადღაც რაღაც წაგლიჯა ან, საერთოდ, ქურდობით გაისვარა ხელი.

ჰოდა, ეს ინჟინერი მეტისმეტად გამდიდრდა (ეს ნების დასაწყისში მოხდა) და რაკი დიდი შეძლების პატრონი გახდა, სხვადასხვა ძვირფასი ნივთების ყიდვას მიჰყო ხელი. ყიდულობდა ხალიჩებს, სურათებს, ლამპებს, საბნებს. ამასთან, მეფის დროს მოჭრილი ოქროს ფული, ბრილიანტები და კოსტუმებიც აქონდა, ერთი სიტყვით დულდა და გადმოდულდა, არ ვიცი, რა დღეში ჩავარდებოდა, ახლა რომ ეცხოვრა, მაგრამ საკმაოდ გონიერი კაცი იყო და თავის დროზე, ცხრაას ოცდაათხ წელს მიიცვალა პირზე მშვიდი ღიმილით, აქაოდა, პოი, თქვე სულელებო. თქვენი არ ვიცი, მე კი გვარიანი ქონება დავაგროვე და ყველაფერს ქალიშვილს ვუტოვებო.

თავად კი, როგორც ამბობენ, სული ღმერთს მიაბარა.

მისი ასული ნაკლებ საინტერესო არსება იყო, ჩვეულებრივი შუანალა ადამიანი, არც ღვინო, არც წყალი, საერთოდ, დადიოდა, იჯდა, ჭამდა, ლაპარაკობდა მაგრამ პოეზიასთან მწყრალად გახლდათ და არც როიალზე შეეძლო დაკვრა.

ეს ამოდენა სიმდიდრე რომ არა, რა თქმა უნდა, არარაობა იქნებოდა, ანლა კი, ვინაიდან დიდი ქონების პატრონი იყო, მამაკაცები თავს ევლებოდნენ. სამჯერ ზედიზედ გათხოვდა კიდევ, თუმცა ყოველთვის რაღაც უიღბლოდ. ერთხელ ექიმიც კი ეარშიყებოდა, მაგრამ იგი პოლიტიკურად მომზადებული გახლდათ, ქალის სიმდიდრე არაფრად მიაჩნდა, რადგან იცოდა, რომ ყოველი-

ვე ეს ხანმოკლე და წარმავალი იყო. ერთხანს ეარშიყებოდა, მერე განსაზღვრა რომ ამას შეიძლებოდა უსიამოვნო ამბები მოჰყოლოდა და თავი მარბდა.

სწორედ ამ დროს ქალმა ერთი ინჟინერი გაიცნო, მოხდენილი, ულამაზესი მამაკაცი, პირველი ჩამცმელი, საერთოდ, ისეთი, მუდამტი, ქალების სათაყვანებელი. ჭიბეში სურნელოვანი ცხვირსაბოცი ეღწეოდა და რაღაც მისთანობებს ვერ დაუთვლიდით. თანაც, სახელიც რაღაცნაირი ჰქონდა, ლუტიკი ერქვა.

ჰოდა, ქალების ეს ახალგაზრდა რჩეული ერთხელაც ელენა გრიგორიევნას ესტუმრა და მის უამრავ ძვირფას ხარახურას დაადგა თვალი, დაეხარბა ამხელა სიმდიდრეს, ქალს თავგზა აუბნია და ერთ მშვენიერ დღეს შესთავაზა, ხომ არ ისურვებდით ცოლად გამოყვეთო. და მასზე უზომოდ შეყვარებული ჰქუამჩატე ქალიც სიხარულით აცახცახდა და თქვა: „ოჰ, სამუდამოდ შენი ვარ“

ჰოდა, ლუტიკმაც არც აცივა, არც აცხელა და სასწრაფოდ შეირთო იგი. შესანიშნავად ცხოვრობდა, აღფრთოვანებული იყო თავისი მდგომარეობით. დღეში ხუთჯერ მაინც წაიხემსებდა და ფიქრობდა: „ა, ბატონო, ხომ მოვიწყე ცხოვრება“. იგი საცხოვრებლად დეტსკოე სელოში გადადის, სახლიც საკუთარი აქვს, მაგრამ უეცრად ხვდება, რომ თავისი ქალბატონი არაფრად აინტერესებს, არც უყვარს, უყვარს კი არა, ისიც არ უნდა, მის გვერდით იყოს და იმავე ჰაერით ისუნთქოს.

„რომ გავეყარო, უალრესად დიდი სისულელე იქნება, მაგრამ თავს არ დავიჩაგრავო“, — ფიქრობდა.

ჰოდა, ხელი მიჰყო არშიყობას, აცხოვდა რომანებს, ქსელავდა სასიყვარულო ინტრიგებს, ცხოვრობდა ბედნიერად წარმოუდგენლად ლამაზ ქალთან. მასთან ილხენდა, სვამდა და ფეშქაშად ძვირფას სამკაულებს უწყობდა ფერხით.

შინ როგორც იტყვიან ხოლმე, ქანცგაწყვეტილი ბრუნდებოდა. მაგრამ ცოლს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მშენებლობითა და საქმეებით მეტი-მეტად გადაღლილი იყო და, ამიტომ მეუღლესთან ხეირიანად დალაპარაკების თავიც კი არ ჰქონდა.

მეო, ეუბნებოდა, — ბოდიშს ვიხდით, რომ შესაძლებლობა არა მაქვს ძველებურად დიდხნობით გელაპარკოთ სხვადასხვა საკითხებზე და, მით უფრო თქვენი ცქერით დავტკბე, რადგან ამდენი მუშაობით ხასიათი გარდამექმნა და ტემპერამენტიც რამდენადმე შემეცვალაო.

თან ცოლთან თავს იკატუნებდა, წელში მოხრილი დადიოდა, ოხრავდა, ხვნეშოდა, ახრინწინებდა, ორ საბანს იხურავდა, ამ დროს კი სიფათი ულაულაუებდა და ისეთი ჯანმრთელი იყო — კაცი უკეთესს ვერც ინატრებდა.

ყოველივე ამასთან, ერთი ნაცნობი ექიმი შეანამუსა, ელენა გრიგორიევნასთვის ყურში ჩაეწვეთებინა, რა დღეში ჰყავდა ქმარი და შეეშინებინა. ამისთვის, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხა გადაუხადა.

მართლაც მოვიდა ის ექიმი, ერთხანს იხვნეშა, რაღაც წამოიძახა და მერე ელენა გრიგორიევნას უთხრა:

— დიან, ვერ არის საქმე კარგად! ოჰო-ჰო! ასეთი ახალგაზრდა კაცია. ჯანმრთელობა კი უკიდურესად შერყეული აქვს. გაუფრთხილდით, ნუ ააღელვებთ. სჯობია, ცალკე კაბინეტში დაიძინოს, თქვენი ქალური მოვალეობაა, ყველა მისი ახირება და მოთხოვნა შეასრულოთო.

ჰოდა, ის სულელი ქალიც ცრემლებში იხრჩობოდა, ფეხის წვერებზე და-

ლიოდა და არაფრით აწუხებდა თავის ქმარს, ვინც ისევ ისე უყვარდა და აღმერთებდა.

ამგვარად გაილია ერთი და მეორე წელი, ბოლოს მესამეც. მუხუთე წელიც ჩათავდა და უკვე ჩვენ დროს მივუახლოვდით.

და აი, დადგა 1933 წელიც.

ჰოდა, ერთხელაც ელენა გრიგორიევნას ესტუმრა მათი მშობლები. ღვინ-მე მოანგარიშე ფედოროვი, ერთი უნიათო კაცი, საანგარიშოს ჭია, ტრაბახა და უფერული არსება.

ილაპარაკეს მთისა თუ ბარისა (ლუტიკი შინ არ გახლდათ) და ელენა გრიგორიევნამ თქვა:

— იცით, დღეს რაღაც მოწყენილი ვარ, წავიდეთ რესტორანში, ფულს მე გადავიხდი, თქვენ ნურათერზე შეწუხდებით. მუსიკას მოვუსმინოთ, თითო წიწილა შევჭამოთ და დრო სასიამოვნოდ გავატაროთ.

იმ არამზადა საანგარიშო ჭიამ, ფედოროვმა მიუგო:

— დიდი სიამოვნებით, მოხარული ვარ.

ჰოდა, ლენინგრადში გაემგზავრნენ, „ასტორიაში“ შევიდნენ, ირგვლივ ხალიჩებია, მაგიდები, ორკესტრი უკრავს, შესანიშნავი წყვილები ცეკვავენ. იმ რეგვენ ფედოროვს კი ალბათ თავისი რუხი პიჯაკი აცვია, სიფათი გაუპარსავი აქვს. პალსტუხიც გვერდზე მოქცევია. ჰე-ჰეი!

აჰა, ორივენი მაგიდასთან დასხდნენ, წიწილები შეუკვეთეს და ასე შემდეგ. უეცრად ელენა გრიგორიევნა ხედავს — რა არის ეს, მოჩვენებაა თუ სინამდვილე — ლუტიკი, მისი ქმარი, ვიღაც ქალთან ერთად შიმის ცეკვავს.

ქალს არაფერი უთქვამს, არც შემკრთალა, მხოლოდ სუფრიდან წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა, ვითომდა ცუდად გავხდით, და სპირტარეშოს მიაშურა.

მისი საანგარიშოს ჭია ფედოროვი ამას არ შეუწუხებია, რადგან ხედავდა, რომ ქალის ხელჩანთა და ფული მაგიდაზე იდო, იფიქრა, არსად გაიქცევა, მაგრამ, თუ ღმერთი გაუწყრა, უკიდურეს შემთხვევაში, ორივე წიწილას მე შევჭამო.

ელენა გრიგორიევნა იმწამსვე შინისკენ გაქანდა. გზაში თვალწინ შემზარავი სურათები გადაეშალა, ყველაფერი ცხადად წამოიდგინა, მიხვდა, მთელი შვიდი წელიწადი ტყუილებით კვებავდნენ.

ელენა გრიგორიევნა შინ შევარდა, იმწამსვე ლუტიკის საწერ მაგიდას ეცა და ქალაქები გადმოქექა. ამოფუტკნა წერილები და ბარათები, ტუჩებ-გაფითრებული კითხვას შეუდგა და დაინახა, რომ ქმარი ლალატობდა და ამ ლალატის აღწერა შეუძლებელი იყო.

ელენა გრიგორიევნამ იპოვა ქალების წერილები, მოქარგული პოეტური სიტყვებით, ამაზე თუ იმაზე: „პატივცემულო ლუტიკ...“ „შენ ღმერთი ხარ ჩემი...“ „გკოცნით...“, „აჰ, აჰ...“ და სხვა ამგვარი.

ელენა გრიგორიევნამ წამოიყვირა „ოჰ“-ო და გული წაუვიდა, თუმცა მალევე მოვიდა გონს, თავს სძლია და თქვა: „მგონი, არამზადა შემყვარებია“.

არა. ელენა, გრიგორიევნას არაფერი უთქვამს ლუტიკისთვის, მეორე დღეს რომ დაბრუნდა შინ, მხოლოდ ნერვიულად დააბიჯებდა ბაღში, გაღიზიანებული აწყვეტდა ხეებს ფოთლებს და ჩურჩულებდა: „აჰა, ეს მართლაც ძნელი საქმეა“.

არამზადა ლუტიკს კი არასოდეს ენახა ცოლი ამგვარ ყოფაში და ამ სა-
ნახაობით შეძრწუნებული თავს ეუბნებოდა:

„მე მგონი, ძალიან შევტოპე. შვიდი წელია ვატყუებ ამ ჩერჩეტს, და
ფაქტიურად არც კი ვცხვრობ მასთან, ვსარგებლობ, ასე რომ ვუყვარვარ და
მგონი, ვუბნობ ცხოვრებისადმი ინტერესს“.

და რაკი სინდისის ნორჩი ყლორტები ჯერ კიდევ მისწრაფებოდა, ლუტიკი ბაღში ჩავიდა, ელენა გრიგორიევნას გვერდით ძელსკამზე ჩამოჯდა და უთხრა:

— გულითადი სალამი, ელენა გრიგორიევნა. თქვენთან სალაპარაკო მაქვს, იცი, საქმე ამგვარადაა....

და დაიწყო მოყოლა, რა და როგორ იყო.

— დიახ, — უთხრა. — მე ვატყუებდით და შვიდი წლის განმავლობაში თქვენთან არ ვცხოვრობდი, მაგრამ მეტად აღარ მინდა სიცოცხლე მოგიშხამოთ. ყოველ ცოცხალ არსებას სიყვარულისა და ალერსის უფლება აქვს და თქვენც ისარგებლეთ ბუნების ამ წყალობით.

ელენა გრიგორიევნა ამბობს:

— კარგია, რომ მითხარით, მერწმუნეთ, ჩემთვის ძალიან ძვირფასია თქვენი გულანდილობა და ისიც, სინდისი ასე რომ გქენჯნით, მაგრამ მე უამისოდაც ყველაფერი ვიცი.

ლუტიკი ძალიან გაოცდა, ქალმა კი განაგრძო:

— რაც შეეხება თქვენს ლაღის სიყვარულსა და ალერსზე, არც იმდენად სულელი ვარ, თქვენ რომ ფიქრობთ, არც ალერსი დამკლებია და არც სიყვარული, სულ ტყუილად გებრალეებით და სულელიც ტყუილად გგონივართ. ნუ ფიქრობთ, რომ მხოლოდ თქვენ მოგჩერებოდით.

მაშინ ლუტიკი გაცოფებული წამობტა ძელსკამიდან და თქვა:

— როგორ მიბრძანებთ, გავიგო თქვენი ნათქვამი? მაშასადამე, თქვენ სხვებს შექტოფინებდით, და, მგონი, საყვარლებიც გყავდათ, თუ მე აღარაფერი მესმის? ახლავე ჩამომითვალეთ მათი სახელები, თორემ არ ვიცი, რას ვიზამო.

ელენა გრიგორიევნამ შვიდი მამაკაცი დაასახელა და მათ შორის მოიხსენია — ფეოდოროვი და ორლოვი.

ამ გვარების გაგონებაზე ლუტიკი ძრწოლამ აიტანა, ძელსკამზე დაეცა და თქვა:

— მაშინ სულელი ვყოფილვარ, ყველაფერი რომ ჩაგიკაკლეთ. თქვენ ადამიანური სიბილწის განსახიერება ხართ. ზიზლის გრძნობა, უფლებას არ მაძლევს თქვენ გვერდით ვიმყოფებოდე. მივდივარ თქვენგან, ნახვამდის.

ლუტიკს ეგონა, ელენა გრიგორიევნა ხვეწნას დაუწყებდა, მაგრამ ქალმა იგრძნო თავისი სიმდიდრის ძალა და უთხრა:

— ძალიან კარგი, თორემ მე თავად მინდოდა თქვენთვის ეს შემომეთავაზებინა.

ლუტიკმა მიაფურთხა ყვაილებს. კლუმბას, ძელსკამს, გაცოფებულმა ჩაალაგა თავისი ჩემოდნები და დაუყოვნებლივ გაემგზავრა ლენინგრადში.

ელენე გრიგორიევნამ კი გაიცინა და თქვა:

— მიდი, მიდი, მე ჩემი ფულის წყალობით შენზე უკეთესებიც მინახავსო.

ჩვენმა ინჟინერმა თავის მზეთუნახავს მიაშურა, მაგრამ ქალმა რომ და-

ინახა. ლუტიკა ბელმსუბუქად მოვიდა და ამიერიდან კომფორტულად ვეღარ იცხოვრებსო. მალე გაშორდა მას.

მაშინ ლუტიკმა ერთი შექცეული მომღერალი ქალი შეირთო. ქალი დღეში ხუთჯერ მაინც გამოდიოდა კონცერტზე და უფლება ჰქონდა არცაღ ეცხოვრა.



რაც შეეხება ელენა გრიგორიევნას, იგი ცოტა ხნის შემდეგ ფედოროვს გაჰყვა.

მაგრამ რაღაც უცნაური დამთხვევის გამო, ამ კაცმა ცოლთან ნახევარი წელი იცხოვრა და თუმცა ლუტიკზე დაწვრილებით არაფერი იცოდა, რატომღაც თავის ჯანმრთელობაზე დაიწყო ჩივილი.

მაშინ ელენა გრიგორიევნამ გაიცინა და უთხრა: — რას იზამ, რაჟი ასეა, დავშორდეთ ერთმანეთსო. ამ სიტყვების შემდეგ ფედოროვი მყისვე გამოკეთდა. ცოლს ჰველგათან დაჰყვებოდა და მათი ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ხშირად მიემგზავრებოდნენ რესტორანში. ელენა გრიგორიევნა ცხოვრების ქარტეხილმა ოდნავ მოტეხა და ხანი დაატყო, და ახლა მაგიდასთან მჯდარი ზიზლით შეჰყურებდა მამაკაცებს. ჩვენი რეგენი ფედოროვი კი მიირთმევა და წიწილებს და გარეულ იხვებს და, თავის მხრივ, სევდიანად გაჰყურებდა ახალგაზრდა ქალებს. რესტორანში აქა-იქ რომ ისხდნენ.

ფულის უზომოდ ხარჯვამ აიძულა ელენა გრიგორიევნა ჯიბეზე ხელი გაეკრა, მან მოურიდებლად იწყო მეფის დროს მოქრილი ოქროს ფულების გასალება და მალე ჩავარდა კიდევ საქმე შეუდგინეს და ამის წინათ საცხოვრებლად ქალაქ არზამასში გადააგზავნეს. არამზადა ფედოროვმა კი ყველაფერს თავი აარიდა:

— არაფერი ვიცი. ფულზე წარმოდგენაც კი არ მქონდა, ცოლი უანგაროდ მიყვარდაო.

მიუხედავად ამისა, ამგვარი სიყვარულით გულდაკოდილი, ცოლს არზამასში არ გაჰყოლია.

მაშ. კეთილი მგზავრობა და მშვიდი ცხოვრება ვუსურვოთ ელენა გრიგორიევნას არზამასში, სადაც ალბათ სადმე კანტორაში შეუდგება მუშაობას და სადაც ნამდვილად მიეგება ის გრძნობები, რომელსაც თავისი სიმდიდრის გარეშე იმსახურებს.

კეთილი მგზავრობა! ამით დავასრულოთ ჩვენი მოთხრობები ფულზე. და წავეკითხოთ პატარა დასასრული, რომელიც, ასე ვთქვათ, ლენტეხით შეკრავს ამ ნაწილს. და დიდი იმედებით გადავინაცვლოთ მომდევნო ნაწილზე. ერთი შეხედვით მზიარული და მიმზიდველი სათაურით „სიყვარული“. ამრიგად, თუალი გადაავლეთ ბოლოთქმას პირველი ნაწილისათვის.

დასასრული

მაშასადამე, თქვენი ნებაართვით, პატივცემულო ამხანაგებო, ჩვენ დავასრულეთ ნაწილი „ფული“.

ჰოდა, რა დავინახეთ, როდესაც გადავიკითხეთ ეს ყველაფერი კეთილსინდისიერად და ყურადღებით? რა დასკვნა გამოვიტანეთ ამ ისტორიული ნოვე-

4. ასალოვებ № 1

ლები და ჩვენი ცხოვრებიდან აღებული საოხუნჯო მოთხრობების გადაკითხვის შემდეგ?

ჩვენ დავინახეთ, რომ ფულს, რა საოცარიც უნდა იყოს, ადამიანისთვის დიდი უსიამოვნება მოაქვს. მაგრამ როგორ და რა გზით ამის ახსნას ვერ შევუდგებით. შესაძლოა, ეს ხდებოდეს იმის გამო, რომ ბოროტების თვით ფულის არსშია ჩამკვიდრებული და უკვე მის ნიშანთვისებულს ქვეყნულს ან შესაძლოა, პირიქითაც იყოს და ამაში ბრალი ედებოდეს ჩვენს არსებითად უკეთური ხასიათების სავალალო მხარეებს. მაგრამ ისიც დასაშვებია, რომ ერთი გავლენას ახდენდეს მეორეზე და ურთიერთმოქმედებას ჰქონდეს ადგილი.

და თუ, მაგალითად, ერთი შეიცვალა, მაშინ ალბათ მეორეც იცვლის სახეს და, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება შეცვალო მეორე, პირველს კი ისევ შერჩება ადრინდელი ძალა. ბრწყინვალეობა და პატივი. — ჩემი აზრით, ძალიან სცდება.

ერთი სიტყვით, ჩვენ მოვალენი ვართ, ვთქვათ, თქვენ კი, როგორც გეგნებოთ.

ამრიგად, რაკი თვალზე მოვიწურეთ რამდენიმე წვეთი ცრემლი და ვილაპარაკეთ ბევრი კარგი ადამიანის დაცემასა და დაღუპვაზე, ვხურავთ ამ ნაწილს, რომელსაც თან სდევს უბედურებები და ჩვენი რომანტიკული სულითა და მგზნებარე იმედით გადავდივართ ახალ, სიხარულის მომგვრელ ნაწილზე — „სიყვარული“.

აჰა, უკვე ჩაგვესმის ჩურჩული, მორიდებული სუნთქვა და გიტარის წკრი-ალი. რაღაც-რაღაც ლექსები, ქალების შეყვირება, გასროლის ხმა და ჩვილის წიოკი. და, პარღონ, მგონი, ისევ ფულის ჩხრიალი.

მკითხველო, თმა შეისწორე და მკიდროდ გამონასკვე შენი ჰალსტუხი, მე და შენ ახლა იმ ხეივანს უნდა გავყვეთ, სადაც საჭირო იქნება ერთგვარი გამართულობა, სხვადასხვა ჩაზების, მოხაზულობის და გარეგნული ფორმების სილამაზე. ბოდიშს გიხდით, მაგრამ იქ არ შეიძლება, ფეხმოჩორთილი და სიფათგაუპარსავი რომ მივიდეთ.

ამრიგად, შეისწორეთ თმა — ჩვენ გავყვებით ხეივანს, რომელიც განათებული იქნება მთვარის მოცახცახე ათინათით. იქ დაგვხვდება, თქვენ წარმოიდგინეთ, აშოლტილი ცაცხვები, ხის ძირას მდგარი ძელსკამიც, გუბურა... როგორც პოეტი ამბობს:

მთვარე ოქროს ბაყაყივით
გართხმულა წყალზე...

ოჰ, ალბათ, სწორედ აქ მოგველის სიხარული და აღტაცება, რასაც ადამიანები სავსებით იმსახურებენ. აი, სად ვპოულობთ ბედნიერებას, რომელიც გააქარწყლებს გულისტკივილს, წინა ნაწილის კითხვისას რომ განვიცადეთ.


მკითხველო ქალბატონო, აქ თქვენი ყოფნა აუცილებელია. გამოგვიწოდეთ თქვენი ნაზი ხელი, გულზე დაგვაღეთ, დაგვიმშვიდეთ გულისცემა, გამოწვეული, ყოველივე კარგის მოლოდინის გამო აღძრული წინათგრძნობით.

ამრიგად, ვიწყებთ ახალ ნაწილს — „სიყვარული“.

1. აი, როდესაც ქალბატონი სიკვდილი აკრეფილი ნაბიჯებით მოგვიახლოვდება სასთუმალთან, „ეჰაო“, — იტყვის და შეეცდება წაგვართვას ძვირფასი და აქობამდე სახუკვარი სიცოცხლე, ალბათ ყველაზე მეტად გულს დაგვ-

წყვეტს ერთი გრძნობა, რომლის დაკარგვაც სიცოცხლესთან ერთად მოგვიწყვეს.

2. იმ უმშვენიერეს მოვლენათა და გრძნობებს შორის, ბუნებას უხვად რომ მიმოუბნევია ჩვენ ირგვლივ, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად უნდა განანიჭო სიყვარულთან განშორება იქნება.



და პოეტური შედარებების ენით რომ ვთქვათ, ამ ქვეყანასთან განშორების უამს, ჩვენი საწუთროს განრიდებული სული, ათრთოლდება და აკვნესდება, მოითხოვს უკან დაბრუნებას, დაიწყებს თავის დამცირებას, იტყვის, რომ ვერ მოასწრო ენახა ყველაფერი, რისი ნახვაც კი შეიძლებოდა და რომ სურვილი ჰქონდა, განეცადა კიდევ რაიმე ამდაგვარი.

მაგრამ ეს სისულელეა. მან ყველაფერი ნახა და ეს ფუჭი საბაბია, რომელიც გამოხატავს უფრო მეტად ჩვენი გრძნობებისა და მისწრაფებების სიღლიადეს, ვიდრე რაიმე სხვას.

3. რა თქმა უნდა, არის აგრეთვე სხვა გრძნობები და საგნები, რომელთაც ასევე მწარე ოხვრით დავტოვებთ განშორების უამს.

ჩვენ, უეჭველად გულს დაგვწყვეტს ის ამბავი, რომ ველარ მოვისმინებთ სასულე და სიმფონიური ორკესტრების მუსიკას, რომ ველარ ვიცურებთ, მაგალითად, ზღვაში გემით, ველარ დავკრეფთ ტყეში სურნელოვან შროშანებს, გულს ჩაგვიკლავს იმაზე ფიქრი, რომ უნდა მივატოვოთ საყვარელი სამუშაო და ისიც, რომ ველარ გავიშოტებით დასასვენებლად ზღვის ნაპირზე.

ღიახ, ეს ყველაფერი შესანიშნავია და, რა თქმა უნდა, განშორებისას გულს აგვიჩუყებს. ეგება ერთი პირობა წავიტროთ კიდევ, მაგრამ სიყვარულისთვის განსაკუთრებით დავღვრივთ ცრემლებს და როდესაც ამ გრძნობას გამოვეთხოვებით, ჩვენ წინაშე აღბათ, მთელი ქვეყნიერება დაკარგავს თავის სიღლიადეს და იგი ცარიელი, ცივი და ნაკლებ საინტერესო მოგვეჩვენება. როგორც ერთი პოეტი ამბობს:

სიყვარულს ახლავს სხივი ფარული,
ჩვენც მისი შუქის იმედით ვცნობრობთ,
და დრო ჩავლილი უსიყვარულოდ
არარაობას შეერწყმის ბოლოს.*

აჰა, ხომ ხედავთ, ფრანგმა პოეტმა მუსიემ თქვა, ამ გრძნობასთან შედარებით სხვა ყველაფერი არარაობააო, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ შეცდა, და ოდნავ გადააქარბა კიდევ.

4. მით უფრო არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ეს სტრიქონები ეკუთვნის ფრანგს, ესე იგი, ბუნებით ძალზე მგრძნობიარე ადამიანს და, მაპატიეთ, აღბათ მექალთანეს, ვისაც გულში აბობოქრებული გრძნობების გამო მართლაც შეუძლია, ღმერთმა უწყის, რა წამოატარტაროს.

ისინი, ფრანგები, თავიანთ პარიზში, რამდენადაც გადმოცემით ვიცით, შესაღამოვებულზე ბულვარში გამოეფინებიან და, გარდა ლამაზმანებისა, რომელთაც, რატომღაც „ქათმების“ სახელით ამკობენ, თავდაპირველად ვერაფერს ხედავენ, აი, როგორ სცემენ თავყვანს ისინი ქალის მოხდენილობას და სილამაზეს.

* ლექსები თარგმნა ბალათერ არაბულმა.

ასე რომ, ჩვენ გვაქვს საბაბი რამდენადმე შევანელოთ ამ პოეტური სტრიქონების გასაოცარი მგზნებარება.

5. მაგრამ ახლა რუს პოეტსაც მოვესმინოთ. აქ, არც მისი აზრები ჩამორჩება გალურ აგზნებულ გონებას, უფრო მეტიც, არა მარტო სიყვარულზე არამედ ტრფიალებზეც ამგვარ გასაოცარ სტრიქონებს წააგზნებდა მასთან:

ო, სიყვარულო, შენ თვით ბედზე უმკაცრესი ხარ.
წინაპართა კანონებზე უფრო ურყევი,
და სამხედრო საყვირების ხმებზე უტკბესი...

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს სახელოვან პოეტს ეს გრძნობა დედამიწის ზურგზე ყველაზე ამაღლებულად მიაჩნია, რაღაც იმდაგვარად რასაც ვერ გაუტოლდება ვერც სისხლის სამართლის მკაცრი, კანონები, ვერც მამის ან თუგინდ დედის ბრძანება. ერთი სიტყვით, ამბობს, ამ გრძნობაზე მეტად ჩემზე არაფერი მოქმედებდაო. პოეტი აქ რაღაცას მოიარებით გვეუბნება სამხედრო სამსახურში გაწვევაზე. საერთოდ, აქ მან, როგორც ეტყობა. მიჩქმალა თავისი ფიქრები, ალევგორიულად თქვა რაღაც სამხედრო საყვირზე და იქვე აიფარა ნილაბი. ალბათ თავის დროზე მარჯვედ დაიძვრინა თავი სამხედრო სამსახურიდან და ეგებ ამისთვისაც მიმართა ალევგორიას.

ამ მხრივ გაცილებით უფრო იოლია პროზასთან ჰქონდეს საქმე კაცს. პროზაში არ შეიძლება იყოს მსგავსი ბუნდოვანება. იქ ყველაფერი გარკვეულია თუმცა, როგორც ხედავთ, პოეზიის კვანძის გახსნაც შესაძლებელი ყოფილა.

6. სხვა რუს პოეტთანაც ვხვდებით არანაკლებ ძლიერ სტრიქონებს. უნდა ითქვას, რომ ამ პოეტს ერთხელ ხანძარმა დაუწვა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის საუკეთესო წლები გაატარა. ახლა საინტერესოა ვნახოთ, რით იწუგეშა პოეტმა თავი ხანძრის ჩაქრობის შემდეგ.

იგი ჰყვება ამის შესახებ ლექსში და აი. რას წერს:

თითქოს იმედით სავსე ბავშვობა
ჩაიფერფლა და სადღაც გამშორდა,
მე მომესურვა სიკვდილ მწარე
და მღვრიე წლისკენ გადავიხარე.
სად ქალი — მთვარე
მჯდომარე ნავში
აფრიალებდა თმას ქარში გაშლილს...
ო, ის ლამაზი თუ ისურვებს და ნებას დამრთავს,
მის გულში ტრფობის კოშკებს ავღმართავს...

და ასე შემდეგ. რაღაც მსგავსი ზემოთქმულისა.

7. ერთი სიტყვით, ამაყი პოეზიის დემოკრატიულ პროზაზე თავისუფლად თარგმნისას შეიძლება ნაწილობრივ გავისაცნაუროთ, რომ დარდით ხელქმნილმა პოეტმა წყალში თავის დახრჩობა გადაწყვიტა. მაგრამ ყველაზე კრიტიკულ წუთებში ნავით მოსეირნე ლამაზი ქალი დაინახა და სრულიად მოულოდნელად დანახვისთანავე შეუყვარდა. ამ სიყვარულმა, ასე ვთქვათ, შეამსუბუქა მისი აუტანელი ტანჯვა და დროებით ხელიც კი ააღებინა ახალი ბინის ძებნაზე, მით უფრო, რომ მას, თუ ლექსის მიხედვით ვიმსჯელებთ, უბრალოდ

გადაუწყვეტია საცხოვრებლად ამ ქალთან გადასვლა, ან შეიძლება მის სახლზე რაღაცის მიშენებას აპირებს, თუ ქალი, როგორც პოეტი ბუნდოვნად ამბობს, ამას მოისურვებს და თუ მთვარე და სახლმმართველობა ამის უფლებას დაუთმვენ.

თუმცა მთვარე პოეტმა ალბათ აქ იმიტომ მიატმასნა, რაღაც სტრუქტურის შთაბეჭდილება გაეძლიერებინა. მთვარე, უნდა ვთქვათ, ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. რაც შეეხება სახლმმართველს, მან შეიძლება სახლის მიშენების უფლება მართლაც არ მისცეს, თუნდაც ნავში მჯდომმა ქალბატონმა ეს გულით მოისურვოს, რადგან შეყვარებულები რეგისტრაციაში გატარებულნი არ არიან. და, საერთოდ, სავარაუდოა, აქ რაღაც დაუშვებელ კომბინაციასთან გვქონდეს საქმე.

8. ერთი სიტყვით, არ ვიცი, შესაძლოა ჩვენმა უბეშმა ორ ომში მძიმე არტილერიასთან ბრძოლებში დაცხრილულმა ჯარისკაცურმა გონებამ მთლად ისე ვერ აღიქვას სტრიქონებისა და გრძნობების უფაქიზესი და უნაზესი პოეტური ხლართები, მაგრამ ვბედავთ დაახლოებით ამგვარად ვიფიქროთ, რაკი რამდენადმე მაინც ვიცნობთ ცხოვრებას და ჩვენთვის გასაგებია არსებითი მოთხოვნილებები ადამიანებისა, რომელთა სიცოცხლის დღენი ყოველთვის როდი მოედინება პოეზიის ყვავილოვან კალაპოტში.

მოკლედ რომ ვთქვათ, აქ პოეტი ლაპარაკობს სიყვარულზე, როგორც უზენაეს გრძნობაზე, რომელსაც, თუ კაცი ცოტა წაიფუქსავატებს, შეუძლია გასწიოს ყველაფრის მაგივრობა ყოველგვარ მწვავე პირობებში, თვით ბინის საკითხის მოგვარებაშიც კი, ამის მტკიცებას მთლიანად პოეტის სინდისს მივანდობთ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ სამი მგზნებარე პოეტის აზრი გახლავთ, სხვა დანარჩენებიც, ასე ვთქვათ, ყველაზე ულრიალა ქნარზე რომ აჩხაკუნებდნენ და სატრფიალო სიტყვებს დამღეროდნენ ამ სამზე მეტად გასაოცარნი და უპასუხისმგებლონი არიან.

9. მაგონდება რაღაც ამდაგვარი აპუხტინიდანაც:

გულმა ისურვა კვლავ სიყვარულით,
 რაც სულს დააჩნდა იდუმალ ბზარად,
 ის შორეული ტრფობა მალული
 ტრამ-ტა-რა-რამ
 ტრამ-ტარა-რამ...

ამასთან, ეს სტრიქონები დაწერა არა თვრამეტიოდე წლის ყმაწვილმა, არამედ დარბაისელმა, ასე, ორმოცდარვა წელს მიტანებულმა ბიძამ, საშინლად გათქვირულმა და პირად ცხოვრებაში უბედურმა. მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, მასაც მიაჩნია, რომ ყველაფერი ჩამკვდარი და უსიცოცხლო იყო, ვიდრე მის გულში სიყვარულის კოცონი არ აგიზგიზდა.

აჰა, კიდევ მაგონდება მსგავსი მძაფრი სტრიქონები.

რა არის მაინც სიყვარული, ო, სიყვარული,
 გულში ტანჯვისთვის გაჩენილი ცეცხლი ფარული.

რაღაც ამის მინამგვანი: ეშმაკმა წაიღოს... დიახ...

აი, სამოთხე, ოდითგანვე რასაც ვეძებდით,
 სადაც ყოველზე მეფობს სიკვდილი
 ზოლო სიკვდილზე -- სიყვარული ყოველის შემძლები.

10. ამასთან შედარებით ფრანგული პოეზიაც კი თითქოს ოდნავ ჩამორჩება კიდევ, — შეიძლება ითქვას, მათთან არ შეიმჩნევა ამგვარი მძაფრი შეტევა. როგორც გამოსკვივის, მაგალითად, ამ სტრიქონებში პოეტ ქალს რომ ეკუთვნის, იგი ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა და როგორც ამბობენ, საკმაოდ ლამაზიც ყოფილა. ყოველ შემთხვევაში დადამ პოეტური ტემპერამენტის პატრონი იყო. საერთოდ, ქალბატონი ალბათ თითქოსდა, როდესაც ამ ლექსს წერდა, ამბავი რა თქმა უნდა, უფრო ბიოგრაფიულია, ვიდრე პოეზიის ნიმუში... ვფიქრობ, საბრალო ქმარს კარგა მაგრად ხვდებოდა... ცოლი ჭირვეული იქნებოდა. მთელი დღეები სიფათდაუბანელი ალბათ საწოლში კოტრიალებდა, და ხმამაღლა კითხულობდა თავის ლექსებს. უგუნური ქმარი კი იქვე იჯდა და დროდადრო წამოიყვირებდა ხოლმე: „ოჰ, გენიალურია, ძვირფასო, გასაოცარია“. „მართლა?“ — ეკითხებოდა ცოლი...

ჭკუისკოლოფები! მერე ადგნენ და დაიხოცნენ. ქალი, ვგონებ, ტლექით მოკვდა, კაცსაც ალბათ რამე სენი შეეყარა.

11. რასაკვირველია, ბევრი სკეპტიკოსი და სწავლული პედანტი, რომელთაც მეცნიერების პოლარულ მხარეებში მარტოდმარტო ხეტიალისას გულზე ყინული მოედოთ, ამ პოეტური სტრიქონების წაკითხვისას მხრებს აიჩეჩავენ და იტყვიან, ეს რაღაც გადაჭარბებული თვალთახედვაა, მეტისმეტად მგზნებარე გულების, გაკადნიერებული სულის და თავაშვებული მსოფლმხედველობისაო.

და გაოცებულნი დარჩებიან, რომ სიყვარულზე არსებობს ამგვარი აზრი, ლექსები და სიტყვები, რომელთაც ისინი სრულებით არ იცნობდნენ. ის კი არა, ვერც კი წარმოიდგენდნენ და გულშიაც ვერ გაივლებდნენ, რომ ამ გრძნობაზე ოდესმე მსგავსი რამ თქმულა.

და ეგება მართლაც გასაოცარია, რომ ეს ასეა, და ამგვარი პოეზია ნამდვილად არსებობს, მგრამ ამ ცოტა ხნის წინათ ხელში ჩამივარდა ერთი პროზაული ნაწარმოები, რომლის ავტორი მომღერალი ფედორ ივანოვიჩ შალიაპინია.

იგი გულახდილად აღიარებს, რომ მთელ მის ცხოვრებას საფუძვლად სიყვარული ედო, ყველაფერს უმთავრესად სიყვარულისა და ქალების გამო აკეთებდა. აი როგორია პოეტურად განწყობილი ადამიანების აზრი სიყვარულზე.

12. ხოლო რაც შეეხება შორსმჭვრეტ ადამიანებს, — ფილოსოფოსებს და სხვა მოაზროვნეებს, რომელთა გონებამ მძაფრი შუქი მოპტინა ცხოვრების ყველა იღუმალსა და რთულ მხარეებს, ისინი, საერთოდ, ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ ამ გრძნობაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას ანგარიშს უწევდნენ, დასცინოდნენ და ხანდახან ცხოვრების სიბრძნეზე თავის აფორიზმებსაც გვთავაზობდნენ.

მელანქოლიური გამონათქვამებიდან შეგვიძლია, თუკი ინებებთ, მოვიყვანოთ ამქვეყნად ყველაზე კუშტი ფილოსოფოსის შოპენჰაუერის სიტყვები.

ამ პირქუშმა ფილოსოფოსმა, ვისაც, უეჭველია, ცოლი ყოველ ნაბიჯზე ღალატობდა, სიყვარულზე ამგვარი რამ თქვა:

„სიყვარული გახლავთ ცხოვრებისადმი ბრმა ნება-სურვილი. იგი იტყუებს ადამიანს პირადი ბედნიერების აჩრდილებით და თავის იარაღად აქცევს“.

13. ყველაზე მეტად უგერგილო ძველებური გამონათქვამებიდან შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: „სიყვარული თითქოს თვით ციური ხმების შეწყობაა“.

ყველაზე უფრო პოეტურია: „არ შეიძლება ქალს გაართყა თუნდაც ყვავილიც კი“.

ყველაზე გონივრული. მაგრამ ნაწილობრივ იდეალისტურია: „სიყვარული აღმოცენდება იმგვარ უპირატესობათაგან, რომელთაც შეყვარებული მით უფრო მეტად აფასებს, რაც თავად უფრო ნაკლებად აქვს“.

14. რაც შეეხება უფრო ზუსტ გამოკვლევებს ამ საკითხში, ამის შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით. და, ჩემი აზრით, არც არის საჭირო რაიმეს ცოდნა. რამდენადაც ცნობიერება ვნებს და აფერმკრთალებს თითქმის ყველაფერს, რასაც კი შეეხება.

დოსტოევსკის ჭეშმარიტად სწორად აქვს ნათქვამი: „გადაჭარბებული ცნობიერება და, საერთოდ, ყოველგვარი ცნობიერება — ავიდმყოფობაა“. სხვა პოეტთან კი ნათქვამია: „ვაი ჭკუისაგან“-ო. და, ჩვენი აზრით, ეს ფრაზა სრულებითაც არ არის შემთხვევით წამოსროლილი. საერთოდ, როგორ აღმოცენდება სიყვარული — ფსიქიკური წარმოდგენებით, თუ არსებობს რაიმე ზუსტი ფორმულა, ელექტრობის ჭერ კიდევ გამოურკვეველი დარგიდან, — ჩვენ ეს არ ვიცით და კატეგორიულად არ გვინდა ვიცოდეთ.

ამრიგად, ვალიარებთ, რომ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით სიყვარულზე, მაგრამ ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ეს ნაზი გრძნობა საკმაოზე მეტად მნიშვნელოვანი ან თუნდაც უდიდესიც კია და განსაკუთრებული თრთოლვით და მღელვარებით ვიღებთ ხელში ისტორიის მძიმე ფოლიანტებს.

ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება ჩქარა გავისაცნაუროთ ის ისტორიული როლი, რასაც ასრულებდა ეს გრძნობა ხალხების ცხოვრებაში, გვინდა დავინახოთ სიყვარულის გულისთვის მომხდარი უდიდესი მოვლენები და ცალკეულ მოქალაქეთა შესანიშნავი ქმედობა. ჩვენ ვიცით, რისი დანახვაც გვსურს და ამიტომ, სრულ ვანცხრომას რომ მივცეთ, უფრო მოხერხებულად მოვკალათდებით სავარძელში, გავაბოლებთ სურნელოვან სიგარას და მტკიცე ხელით ვიწყებთ ისტორიის გაყვითლებული თაბახების ფურცვლას.

და აი რას დავინახავთ იქ.

15. თავდაპირველად გვხვდება რაღაც ისეთი ეშმაკსაც წაულია, უმნიშვნელო სასიყვარულო ამბები და უინტერესო და უფერული შემთხვევები ყოველდღიური ცხოვრებიდან: შეუღლება, ქორწილები, რომელთაც აგვარებდნენ საქმიანი და წინდახედული ადამიანები.

აგერ ვხედავთ ვიღაც ჰერცოგს... აქ რაღაც ისეთი ამბავია.. ტანტის ხელში ჩაგდებას იმედით მეფის ასულზე ქორწინდება.

აი კიდევ ერთი დიდებული გვამი, იმისთვის, რომ თავის სამფლობელოს ქალაქები შემოუმატოს, ვიღაც ავზნიან პრინცესას ცოლობას სთხოვს...

ბრწყინვალე რუსი თავადები... ჰო, რაო?... თათრების ბატონობის დროს... „ერთიმეორეს ასწრებენ (როგორც ისტორიკოსი გვაუწყებს), ზანის გულის მოსაგებად მის ქალიშვილებზე დაქორწინდნენ“.

აი კიდევ ერთი, ვინმე ხილპერის I... ფრანკთა მეფე, წარმოიდგინეთ... ქორწინდება ესპანეთის მეფის ასულზე... როგორც სიტყვასიტყვით გადმოგვცემს ისტორია „იმისთვის, რომ დაამარცხოს მისი მოქიშპე მტერი პრინცი ზიგებერტი“.

16. ამასთან, ამ სასიყვარულო საქმეებზე, რომელსაც კომერციული სარჩული აქვს, ისტორიკოსები წერენ. შეიძლება ითქვას, ყოველგვარი გატა-

ცების გარეშე უწადინო კანცელარული ენით, როგორც როგორღაც სრულიად უშინაარსოსა და ჩვეულებრივ რამეზე, თავის მხრივ არ ურთავენ არავითარ წამოძახილებს, თუნდაც ამის მსგავსს: „ოჰ-ოჰ!“ ან, „თავადს და მიხედეთ!“, „ფუი, რა უმსგავსობაა!“ ან: „დახეთ, კიდევ ერთი არამზადს მრემატათ!“

არა არაფერს ამდაგვარს მიუკერძოებელი ისტორიკოსი გვთავაზობენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ასეთ წამოძახებებს ვეღარც აუთავდებიან, რადგან მსოფლიო ისტორიაში ამ მხრივ ზღვა მასალაა დაგროვილი.

მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ამ კომერციული გარიგებების დაწვრილებით აღნუსხვას, რადგან განზრახული გვაქვს შევებოთ უფრო საინტერესო საკითხებს, თუმცა, რა თქმა უნდა, აქაც ვხვდებით მრავალგვარ გასაოცარ შემთხვევებს და ანეკდოტებს, თანამედროვე მკითხველის ყურადღებას რომ იმსახურებს.

17. აი, მაგალითად, ერთი ძალზე სასიერო შემთხვევა, იგი მოგვეწონა. ასე ვთქვათ, თავისი სიუჟეტის სიცხადით. ეს ძალზე დამახასიათებელი შემთხვევა აღებულია უძველესი რუსული ცხოვრებიდან და განეკუთვნება ივანე მრისხანის ეპოქას.

იმხანად რუსეთში ჩამოვიდა გერმანელი ჰერცოგი, ვინმე გოლშტინსკი. არავინ უწყის, რას აკეთებდა იმ თავის გერმანიაში მაგრამ ისტორიკოსებისთვის ცნობილი გახდა, რომ იგი რუსეთში იმისთვის გამოემგზავრა, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით ექორწინა ივანე მეოთხის ბიძაშვილის ასულზე. ალბათ, მორთულ-მოკაზმული ჩამობრძანდა, აბრეშუმის შარვალი ეცვა, ლენტებითა და ბაფთებით გახლდათ მორთული, გვერდზე დაშნა ეკიდა, ერთი გოხიმელა ვინმე იქნებოდა, წითელსიფათიანი, ქლალულვაშა, ეგება ლოთიცი ბრძანდებოდა, მყვირალა და..

ჰოდა, აი ჩამობრძანდა რუსეთში და რამდენადაც წერილობით ყველაფერი უკვე წინასწარ შეთანხმებული იყო, ქორწილის დღეც იქვე დანიშნეს.

18. ალბათ ატყდებოდა ერთი ფუსფუსი, სირბილი და აურზაური, დედიკო დარბის, ქათმებს კლავენ, საპატარძლო აბანოში მიჰყავთ, სასიძო მამასთან ზის, არაყს ზუნავს და ტყუილს ტყუილზე აცნობს, აქაოდა, ჩვენთან, გერმანიაშიო... ჩვენ, ჰერცოგებიო... და ასე შემდეგ.

მაგრამ ამ დროს საკმაოდ სამწუხარო ამბავი მოხდა. პატარძალი მოულოდნელად გარდაიცვალა. საბრალო, აბანოდან რომ ბრუნდებოდა, საშინლად გაცივდა და სამ დღეში სული ღმერთს მიაბარა. საჭმრო, რა თქმა უნდა, ენით აუწერელმა მწუხარებამ შეიპყრო, და ისევ გერმანიაში გაბრუნება დააპირა, გულშემოყრილი ემშვიდობებოდა ნათესაებს, მაგრამ უეცრად უთხრეს:

— ამხანაგო ჰერცოგო! ნუ ჩქარობთ გამგზავრებას, საბედნიეროდ, კიდევ გვყავს ერთი ასული, თქვენი დანიშნულის დაი, მართალია, განსვენებულივით ლამაზი ვერ არის, მასზე უფროსიცაა, მაგრამ ნახეთ, იქნებ თქვენი შესაფერისი იყოს, მით უფრო, რომ გერმანიიდან ამოდენა გზა გამოიარეთ. გულსატკენი იქნება ასე ხელცარიელი გაბრუნდეთ უკან.

ჰერცოგმა ბრძანა:
— რა თქმა უნდა, შესაფერისი იქნება. ამდენ ხანს რატომ არაფერი მითხარით, ეს რა სალაპარაკოა, აბა მინახეთ!

ერთი სიტყვით, თუმცა მგლოვიარენი იყვნენ, ქორწილი მალევე გადაიხადეს.

19. მაგრამ, ეშმაკმა დალაზროს, ეგება ამგვარი ამბები და შემთხვევები მხოლოდ მეფეებისა და პერცოგების კარზე ხდებოდა? ეგება მხოლოდ ნელმწიფეთა სასახლეებში იყო ფეხმოდგმული უხეში ანგარება და აქორწინება ყოველგვარი სიყვარულის გარეშე? თუ ათასნაირი დიპლომატიური ნიჭი უსახსრობისა ან მათი მეფური ცხოვრებისათვის შეუფერებლობების გამო ხდებოდა ასე? იქნებ უბრალო მოკვდავთა შორის საქმე სულ სხვაგვარად იყო? სიყვარული ბუნებრივად აღმოცენდებოდა და ირგვლივ მყოფთა გულებს ახარებდა და ატკობდა?

მომიწევს უარყოფითად გიპასუხოთ ამ კითხვაზეც. უბრალო მომკვდავთა გარკვეულ კატეგორიას, საერთოდ, სიყვარულისთვის არ სცნებოდა. ბატონები თავიანთ ერთგულ ყმებს, როგორც მოესურვებოდათ, ისე აქორწინებდნენ.

ამას წინათ წაფიკითხეთ, როგორ აქორწინებდნენ რუსი მეშამულეები თავიანთ გლეხებს. ამ უკანასკნელთ სიმძლიერის მიხედვით გაამწკრივებდნენ, და ვისთანაც მოუხდებოდათ, იმასთან ჩაწერდნენ — მაღალ მამაკაცებს მაღალ ქალებთან, დაბლებს — დაბლებთან. და ამგვარ ჩანაწერს შემდგომ მღვდელს უგზავნიდნენ საქმის დასაბოლოებლად.

აქ უნდა ითქვას, სიყვარულზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. რაც შეეხება სხვადასხვა, ბოდიში მომითხოვია, ჩინოვნიკებს, სპეკულანტებს, მეტომრებს¹ და ასე შემდეგ. ალბათ სიყვარულისა მათაც არაფერი გაეგებოდათ. ქორწინება მათთვის კომერციული საქმეების მოგვარება იყო და უმზითვოდ ნაბიჯსაც კი არ გადადგამდნენ.

20. მაგრამ თუ თვალს გადავაკვლით უფრო მაღალი, გავლენიანი წრის წარმომადგენელთა ცხოვრებას, დაეინახავთ, რომ გრაფებს, ბარონებს და ვაჟრებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ლაღად და უსაქმურად ცხოვრობდნენ, სიყვარულზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ.

საფრანგეთში ლუდოვიკო XV დროს (1720 წ.) ერთმა სპეკულანტმა ბნელი საქმიანობით აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა. ყველაფერს მიადწია და ყველაფერი თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ გული მაინც ვერ გაიძლო, ბოლოს განიზრახა, რაღაც უნდა დაეღობოდა, უძველესი არისტოკრატიული გვარის შთამომავალთ დამოყვრებოდა. — დიან, ასეთი ფანტაზია გაუჩნდა — და რაკ თავისი სიმდიდრის წყალობით ყველგან და ყველაფრისკენ გზა ხსნილი ჰქონდა, გადაწყვიტა, თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა მარკიზ დუაუსთვის, რომელიც იმჟამად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ბრწყინვალე გვარის შთამომავალი იყო.

სპეკულანტის ქალიშვილი ამ დროს მხოლოდ სამი წლისა იყო, მარკიზი კი ოცდაათ წელს მიტანებული გახლდათ. ამასთან, გადარიბებულ მარკიზს, მიუხედავად იმისა, რომ საარაკო მზითევს ჰპირდებოდნენ, არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მთელი თორმეტი წელიწადი საპატარძლოსთვის ეცადა.

იგი მოხდენილად იჩეჩავდა მხრებს, ოქროს ლორწებს აელვარებდა და ხმა-ჩაბლენით ეუბნებოდა სპეკულანტ მამიკოს: — მომისმინეთ, მე მოხარული ვიქნებოდი დაგმოყვრებოდით და თანხაც სავსებით მაკმაყოფილებს. მაგრამ საპატარძლო ძალიან პატარა გყავთ, ცოტა წამოიზარდოს და მაშინ ენახოთ, ეგება შევირთო კიდევ.

1 მეტომრე — სპეკულანტი.

21. მაგრამ პატივმოყვარე მამიკომ ისურვა დაუყოვნებლივ დამოყვრებოდა მარკიზს. ამით, ასე ვთქვათ, უნდოდა უმაღლეს არისტოკრატთა შორის შეედგა ფენი, ამიტომ სასიძოს ხელშეკრულება დაუდო, რომ პატარძლის სრულწლოვანებამდე, ყოველთვიურად გადაუხდოდა ძალზე დიდ თანხას ხელფასის სახით. თორმეტი წლის შემდეგ მარკიზი ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა მის ასულზე. ნიშნობა კი დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო.

და აი ცხრა წლის განმავლობაში მარკიზი დიდი სიზუსტით იღებდა ხელფასს, თავის გემოზე ცხოვრობდა და არაფერს იკლებდა. შეათე წელს თორმეტი წლის პატარძალს ხუნაგი შეეყარა და გარდაიცვალა.

ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორ აღვარდვარებდა ცრემლებს სპეკულანტი მამიკო! ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, სიგიჟემდე მიჰყავდა შვილის უბედურებას, მეორე მხრივ კი, ტყუილუბრალოდ გადაყრილ ფულებს მისტიროდა, რა თქმა უნდა, არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ ბატონი მარკიზი იმ ფულების ნაწილს მაინც დაუბრუნებდა.

მარკიზი ალბათ ხელებს იფშვნეტდა და დამწუხრებულ მამიკოს ეუბნებოდა: ასე და ამგვარად, ფულის შესახებ ალბათ თქვენც ხვდებით... რაკი გოგონა, ჩემდა საბედნიეროდ, მოკვდა, ყველაფერი დამთავრებულიაო.

22. მაგრამ ეს კიდევ რაა! სიყვარულის ფრონტზე ამაზე უფრო გასაოცარი ამბებიც მომხდარა.

აი, მაგალითად, ძალზე უცნაური გრძნობა გიპყრობს, როცა კითხულობ, როგორ ქორწინდებოდნენ მამაკაცები — ბარონები, მამაცი რაინდები, ვაჟრები, მემამულეები მეფეები — მათ ხომ თავიანთი საცოლოები თვალითაც კი არ ენახათ. და ეს ჩვენთვის, თანამედროვე მკითხველისთვის როგორღაც გაუგებარია.

იმ დროს საკმარისი იყო სცოდნოდათ, რა ფინანსებისა და და ქონების პატრონი იყო საცოლო, სად მუშაობდა ან სად მეფობდა მისი მშობელი — და საქმე გაჩარბული იყო. თუმცა შეიძლება ზოგიერთ ფრთხილ სასიძოს ეკითხა კიდევ, დაახლოებით მაინც როგორია ჩემი ცხოვრების მომავალი თანამგზავრი, კუზი ხომ არა აქვსო. — ეს იყო და ეს!

ასე ვთქვათ, ბრმად აძლეოდნენ თანხმობას და ქორწინდებოდნენ ისე, ქალისთვის თვალის რომ არ მოეკრათ.

არა, ეხლა წარმოუდგენელიც კია, როგორ მოხდებოდა ჩვენთან ყველაფერი ეს! ალბათ ატყდებოდა მოთქმა-ტირილი, ნერვიული ყვირილი, ერთი დავიდარაბა, ცხვირ-პირის მტვრევა, უარი, და ეშმაკმა უწყის, რა აღარ! ისინი კი ყველაფერ ამას როგორღაც იოლად ართმევდნენ თავს.

23. რა თქმა უნდა, ზოგჯერ იქაც ხდებოდა არასასიამოვნო მოვლენები და თუ გნებავთ, უმსგავსოებებიც. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილია ორი გაზმურებული სკანდალი.

ერთს — საყოველთაოდ ცნობილ შემთხვევას — თეატრშიაც კი დგამენ. ეს გახლავთ საზარელი ტრაგედია და დრამა მეფეთა ცხოვრებიდან. ფილიპე მეორე ესპანელმა, სამოციოდე წლის მოხუცმა გადაწყვიტა, თავისი ძისა და მემკვიდრის, ცნობილი დონ კარლოსის დაქორწინება ფრანგ პრინცესა იზაბელაზე. ეს ქორწინება უმაღლესი პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელი იყო და გვერდი არ აევლებოდა.

თავად ხელმწიფეს პრინცესა არ ენახა, იცოდა მხოლოდ, რომ ქალი ახალგაზრდა იყო და გათხოვება სურდა. ხოლო მის გარეგნობაზე წარმოდგენაც არ

ქონდა. მაგრამ ნიშნობის შემდეგ რომ ნახა, შეუყვარდა და თვითონვე შეირთო, რითაც ძალზე დასწყვიტა გული თავის მემკვიდრეს, რომელიც გულგრილი არ დარჩენილა ამ მომხიბლავი ქალის მიმართ. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, მამასა და შვილს შორის დიდი ტრაგედია დატრიალდა.

24. მეორე შემთხვევა სპარსეთში მოხდა. სპარსეთის მეფე ^{ერეკლეს} ~~მეფე~~ (ცნობილი კიროსის ვაჟიშვილი) ცოლობა სთხოვა ეგვიპტის ფარაონის ამაზის II ასულს (529 წელი ჩვენს ერამდე):

კამბიზს საცოლო არ ენახა, რადგან იმ დროს მიმოსვლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ეგვიპტეში მგზავრობას რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა. გადმოცემით კი იცოდა, რომ ფარაონს უმშვენიერესი და უტურფესი ასული ჰყავდა. და აი, სპარსეთის ძღვევამოსილმა მეფემ, რომლის მამამაც თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო, ფარაონის ასულს ცოლობა სთხოვა.

ფარაონს უზომოდ უყვარდა თავისი ერთადერთი ასული და არ ისურვა უცხო მხარეში გადაეკარგა, მაგრამ ამასთანავე შიშობდა, თავისი უარით ქვეყნის მბრძანებელი არ გაენაწყენებინა, ამიტომ შეარჩია მხევალთა შორის უღამაზესი ქალწული თავისი ასულის ნაცვლად, სპარსეთს გაამგზავრა და თან სათანადოდაც დაარია.

ისტორია გადმოგვცემს, რომ კამბიზი დაქორწინდა ამ ქალზე და კიდევაც შეიყვარა. მაგრამ როცა შემთხვევით სიცრუე გამომჟღავნდა, შეუბრალებლად მოკლა ცოლი და შეურაცხყოფილმა მით, რომ მისი საუკეთესო გრძნობები ფეხქვეშ გათელეს, ეგვიპტისკენ საომრად გაეშურა.

ეს იყო ალბათ ერთ-ერთი უძლიერესი სასიყვარულო დრამა, რომლის მაგალითზე შეიძლება, დავინახოთ, როგორ აღმოცენდება ხოლმე ზოგჯერ სიყვარული და რით მთავრდება.

25. ოპ, ჩვენ ნათლად გვიდგას თვალწინ ის დრამატული ეპიზოდი და ის ტრაგიკული წუთიც, როცა მთელი სიცრუე და სიყალბე გამოაშკარავდა.

აი, ისინი ხელგადახვეულნი სხედან სპარსულ დივანზე. დაბალ სკამზე, თქვენ წარმოიდგინეთ, აწყვია აღმოსავლური ტკბილეულობა და სასმელები რაპათ-ლუკუმი, კვერები და ასე შემდეგ, ჩაგოდრებული სპარსელი ვეებერთელა საგრილებლით ხელში ბუზებს უგერიებს ტკბილეულს.

სპარსეთის მეფე კამბიზი გადაპკრავს, ვთქვათ, ერთ ჭიქა შერიბრენდის, აღტაცებული შესტრფის თავის მშვენიერ თანამეცხედრეს და თან სასიყვარულო სიტყვებს ჩასჩურჩულებს: „ოპ, ჩემო პატარა ეგვიპტელო!.. პო, რა, ხდება ახლა თქვენთან ეგვიპტეში?“ „მამიკო ფარაონი ალბათ სულში გიძვრენდა, თუმცა განა სხვაგვარად შეიძლება, როცა ასეთი სათაყვანები მყავხარ?“ „და! მეც, ჩემო ძვირფასო პრინცესა, დანახვისთანავე შემიყვარდით, თქვენი ზვიადი, მეფური რონინისათვის...“ და ასე შემდეგ.

26. პრინცესამ კი ალბათ თავისი მომხიბვლელობის იმედით — თუმცა ვინ იცის, რა მოხდა მის პაწაწინა ქალურ გულში, — ზარივით წკრიალა ხმით გაიციინა და თქვა: რა უცნაური შემთხვევაა: ფარაონის ასული იქ სადღაც, ეგვიპტეში თავისთვის არის, შენ კი სპარსეთის მეფე კამბიზი — გაგიყვებით ეტრფი ისეთ ქალს, ფარაონის ასულთან საერთო რომ არაფერი აქვს, უბრალო მხევალი შეიყვარე. აი, როგორ აბრიყვებს სიყვარული მამაკაცთა გულებსო.

აქ უკვე შეძრწუნების გარეშე შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა შემდგომ.

ალბათ მეფემ საზარლად დაიღრიალა, საცვლის ამარა წამოიჭრა დივნი-
დან, შიშველ ფეხზე ცალი ფეხსაცმელი წასძვრა, ტუჩები გატეხორდა, ხე-
ლები უთრთოდა, მუხლები ეკვეთებოდა.

— როგორ?! — სპარსულად დაიღრიალა მან. — გაიმეორე, რა თქვი!
ბატონო მინისტრებო! დააპატიმრეთ ეს ურცხვი დედაკაცები!

მოცვივდნენ მინისტრები. ოჰ, ოჰ! რა ამბავიაო? დამშვიდდით, ჩვენო ხელ-
მწიფევე, ხედავთ, ფეხსაცმელი წაგძრობიათ, თქვენი უდიდებულესობა მეფურ
ლისებას კარგავსო. მაგრამ მეფეს ასე ადვილად რა დაამშვიდებდა, მას ხომ
სასტიკად შეულახეს თავმოყვარეობა.

27. იმ საღამოს, როდესაც საბრალო ეგვიპტელ ქალს სასწრაფოდ წაას-
ლიკეს თავი, კამბაზი ალბათ დიდხანს ეთათბირებოდა მინისტრებს. ხელებს
იქნევდა და აღელვებული ბოლთას სცემდა დარბაზში.

— ჰე, რა არამზადა ბრძანებულა ის ეგვიპტელი ფარაონი, ა? — წამოიყ-
ვირებდა აღშფოთებით.

მინისტრები მოკრძალებით ოხრავენ, თავებს იქნევენ და მხრებს იჩეჩვენ.
თან გამჭირდავად აპარებენ მზერას ერთმანეთისკენ.

— ახლა რა გზას დავადგე, ბატონებო, რა უნდა ვიღონო ამ არგაგონილი
შეურაცხყოფისათვის ომი გამოვუცხადო იმ უკეთურს?

— ეგეც შეიძლება, თქვენო უდიდებულესობავ.

— ეგ არის, რომ ის ქოფაკი სადღაც გადაკარგულშია... ეგვიპტე, აფ-
რიკა... იქამდე მთელი წლის სავალი გზაა... ვგონებ, აქლემებით უნდა იარო...

— არა უშავს რა, თქვენო უდიდებულესობავ... ჯარები ჩააღწევენ.

— მე იმ ქალს თავს ვეველებოდი, — კვლავ გაღიზიანებული ამბობს კამ-
ბაზი. — ისე მივიღე, როგორც ეგვიპტელ პრინცესას შეჭფეროდა. მხურვალედ
შემიყვარდა. ის კი თურმე სულ სხვა ვიღაც ყოფილა... რას ჰგავს ეს, ბატონე-
ბო? რატომ არის ფარაონის ასული ჩემთვის მიუწვდომელი. ძაღლადაც აღარ
მაგდებენ, თუ რა? ადგა და ვიღაც მხევალი გამომიგზავნა... ჰა?

28. საგარეო საქმეთა მინისტრი სიცილს ძლივს იკაევებს და ამბობს:

— რაც მთავარია, თქვენო უდიდებულესობავ, ეს მსოფლიო სკანდალი
გახლავთ.

— რა თქმა უნდა!.. აკი გითხარით, სკანდალია-მეთქი. ოჰ, რა უნდა ვქნა?

— ცუდი ის არის, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ეს ამბავი მსოფლიო
ისტორიაში შევა... ხმა დაირხვეა, სპარსეთი... კამბიზი... ვიღაც მხევალი შე-
აჩეჩესო.

— ოჰ, აბა რაზე მიშხამავ გულს, ძაღლის შვილო!.. ახლავე შეკრიბეთ
ჯარი!.. ლაშქარი გაუშვით, დაიპყარით და აღგავეთ პირისაგან მიწისა მთელი
ეგვიპტე.

ერთი სიტყვით, კამბიზი თავად წაუძღვა ჯარს ეგვიპტისკენ და მოკლე ხან-
ში დაიპყრო კიდეც ეს ქვეყანა, მაგრამ ხანმოთეული და ბედკრული ფარაონი
ამაზისი ამ დროისთვის უკვე მიიცვალა. ხოლო მისმა ძმისწულმა პსამეტიქმა,
რაკი სპარსელთაგან კარგს არაფერს მოელოდა, თავი მოიკლა. რაც შეეხება
ფარაონის ბედშავ ასულს, მის შესახებ, სამწუხაროდ, ისტორიაში ვერავითარ
კვალს ვერ მივაკვლიეთ.

ერთმა ნაცნობმა პროფესორმა, ცნობილმა ისტორიკოსმა, უნივერსიტე-
ტში ლექციებს რომ კითხულობდა, მითხრა, კამბიზმა ეს ეგვიპტელი პრინცე-
სა თავის ერთ-ერთ მინისტრს პარამხანისთვის უბოძაო, მაგრამ დანამდვილებით

ასე იყო თუ არა, ამის მტკიცებას ვერ შევუძლებით, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლოა პრინციპს მართლაც მოხვდა იმ მინისტრის პარამხანაში. ერთი სიტყვით, სიყვარული კვამლივით გაიფანტა, აქედან აღვილი მისახვედრია, რა წონა ჰქონდა, საერთოდ, ამ გრძნობას.

29. მაშასადამე, რა გამოდის? ესე იგი, საქმეს თითქოს კარგი პირობები უჩანს? სად არის ის შარავანდედით მოსილი სიყვარული, პოეტები და მომღერლები გუნდრუკს რომ უკმევენ? სად არის ის ამალღებული გრძნობა, შესანიშნავ ლექსებში ხოტბას რომ ასხამენ?

ნუთუ ზერელედ განსაწვლულმა პოეტებმა, ვაი-მოლექსებმა და სილამაზის მეტრფეებმა ყველაფერი ასერიგად გააზვიადეს? ისტორიის კითხვისას მსგავს ეფექტურ განცდებს რაღაც, ვერსად ვხვდებით.

არა, რა თქმა უნდა, ისტორიის ფურცლისას რაღაც-რაღაცებს მაინც გადავაწყდით, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა. ჩვენ ვისურვებდით, ყოველ ფურცელზე ბრწყინავდეს რომელიმე უებრო მარგალიტი, თორემ რა ბედენაა, საუკუნეში ერთხელ თუ შევხვდებით რაღაც საეჭვო ტრფიალსა თუ კურკურს.

აი ჩვენ აქ ძლივძლივობით მოვუყარეთ თავი რამდენიმე სასიყვარულო მოთხრობას, საამისოდ კი საჭირო გახდა, გულმოდგინედ გადაგვეკითხა თითქმის მთელი ისტორია, დაწყებული, ბოდიში მომიტხოვია, ეთიოპთა და ქალღველთაგან დღიდან ქვეყნის გაჩენისა აგერ, ჩვენს დრომდე.

და მხოლოდ იმის შეგროვება შევძელით, რასაც ქვემოთ დაინახავთ. აი, მაგალითად, მოთხრობა ერთ საკმაოდ ძლიერ სიყვარულზე, რის გამოც ქალიშვილმა მამა ეტლით მიასრისა.

აი, როგორ მოხდა ეს:

30. რომაელ იმპერატორს სერვიუს ტულიუსს ესვა ერთი ასული, რომელსაც საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის ქმარი ჰყავდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალს იგი თავდავიწყებით უყვარდა. ჰოდა, იმ ვაჟბატონმა განიზრახა ტახტიდან ჩამოეგდო ამ ქალის კეთილშობილი მამა სერვიუს ტულიუსი. რა თქმა უნდა, ეს იმპერატორი საკმაოდ ხანმოთეული გახლდათ და ვიღაც ეტრუსკებს წარუმატებლად ეომებოდა, მაგრამ მისი ტახტიდან ჩამოგდება და, მით უფრო, მოკვლა, მაინც დასაძინი იყო. ეს უკვე ღორობას უდრიდა, მაგრამ ის ენერგიული სიძე მოხუცის ქალიშვილს მოელაპარაკა, მამის მკვლელობაზე დაითანხმა და რადგან ქალს ქმარი უყვარდა, ამ სისხლისმსმელის წინადადებას დათანხმდა.

ჰოდა, ჩვენმა ენერგიით აღსავსე სიძემ დაჭირავებული მკვლელი მიუგზავნა და შეუბრალებლად განგმირა კეთილშობილი მოხუცი, რომელმაც დაუვირებაც კი ვერ მოასწრო, ისე დაასკდა მიწას. ხალხმა კი იხუფლა: ვინ იქნება, ბატონებო, ახლა ჩვენი იმპერატორი?! და აი, მოკლულის ქალიშვილი, ნაცვლად იმისა, რომ მწუხარებისაგან შეძრულს ეტირა და მშობლის ცხედარს ზედდამხობოდა, ოთხთვალაზე ახტა, რათა ახალ იმპერატორს, თავის თანამეცხედრეს მისალმებოდა და ოთხთვალა სიხარულის ყიჟინით გადაატარა ახლად მოკლული მამის ცხედარზე.

ეს სურათი თუმცა საზიზღარი და სულის შემძვრელია, მაგრამ მაინც ძალზე ძლიერი გახლავთ და გამოდის, რომ მეფის ასულის სიყვარული საკმაოდ შინაარსიანი იყო. ალბათ, ძალიან უნდა გიყვარდეს ვინმე, რომ მისი გულისთვის ასეთ დროს მოხუცს ოთხთვალათი გადაუარო.

დგას ოთხთვალაზე, ყიჟინას სცემს, თმაგაწეწილია. სიფათი მოღრეცია

„ვაშაო! — ესალმება ახალ იმპერატორს და გზად ყველაფერს ბორბლებქვეშ იტყვის.“

ხალხში კი გაისმის ყვირილი:

„დახეთ ამ უსინდისო დედაკაცს, არც კი მოერიდა, საკუთარ ქაშა ბორბლებქვეშ მიეჭყლიტა!“

არა, ასე თუ ისე, ეს მაინც სიყვარული იყო და ნაწილობრივ ალბათ სურვილიც, რომ თავად გამეფებულიყო, ერთი სიტყვით, აქ ბევრი რამ გაურკვეველია.

31. თუმცა, აი კიდევ ერთი ძლიერი სიყვარული, ეს ამბავი თავს გადახდა ერთ, ისტორიაში კარგად ცნობილ მანდილოსანს, მისი სიცოცხლის მიწურვის ეამს.

რუსეთის დედოფალი ეკატერინე მეორე ასე, ორმოცდათვრამეტი წლის სიბერეშეპარული ქალი იქნებოდა, თავდავიწყებით რომ შეუყვარდა ერთი მამაცი, ულამაზესი ჯაბუკი — პლატონ ზუბოვი. პლატონი ამ დროს ოცდაერთი წლისა იყო და თვალტანადობით მართლაც ყველასგან გამოირჩეოდა, მაგრამ მისი ძმა ვალერიანი უფრო ლამაზი ჩანდა. რუსულ მუზეუმში შემონახულია ორივე ძმის პორტრეტი. ამ პორტრეტზე ვალერიანი მართლაც სასწაულებრივად ლამაზია.

ხანმოთუთულ დედოფალს პლატონი დანახვისთანავე შეუყვარდა, მერე კი, მოგვიანებით, ვალერიანიც რომ წარუდგინეს, გაოცებისაგან ამოიხვნეშა და თქვა: „ჰო, ეს ახალგაზრდაც მომეწონებოდა, მაგრამ რადგან პლატონი უკვე მიყვარს, ყველაფერი ასევე დარჩესო“.

პლატონმა კი, როცა დაინახა, რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვალერიანმა ბებრუხანაზე, თავის ძამიკოს ომში უკრა თავი, და ამ უმშვენიერეს ახალგაზრდას ბრძოლის დროს ყუმბარამ ფეხი წააგლიჯა. ბებრუხანა კი ძალიან შეეთვისა პლატონს და წყალობით აავსო, საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ გაიბა მათ შორის რომანი. ლამაზი ჯაბუკი თავდაპირველად ძალიან მორცხვობდა და კრთებოდა, როცა ხანშესული ქალი შეტევაზე გადადიოდა; რა თქმა უნდა, შეკრთებოდა, რაც უნდა იყოს, ეკატერინე წმინდა პიროვნება იყო, სრულიად რუსეთის დედოფალი და ასე შემდეგ, და უეცრად, წარმოიდგინეთ ასეთი უკეთურება...

32. ალბათ რომანი ამგვარად დაიწყო:

— ჰო, მომეხვიე, სულელო! — ამბობს დედოფალი.

— რა ვქნა, ღმერთმანი, ვერ გამიბეღია, თქვენო უდიდებულესობავ, — ბუტბუტებს ფავორიტი, — მრცხვენია და დიდად მერიდება თქვენი.

— ოჰ, დაივიწყე ეგ ამბავი, აბა დამიძახე, ეკატერინა ვასილევნა-თქო (თუ რა ვიცი, რა ერქვა დედოფლის მამას).

ბიჭმა არაბუნებრივად გაიცინა და დედოფალს მოწიწებით შეახო ხელი შემპყნარ მხრებზე, მაგრამ მერე და მერე შეეჩვია და თავისი სიყვარულისათვის რაც ეგებოდა, იმაზე მეტი მიეზლო.

ერთი სიტყვით, ოცდაათნი წლისა, პლატონი უკვე გენერალ-ანშეფი, ნოვოროსიისკის მხარის მეფის ნაცვალი და მთელი არტილერიის უმაღლესი მეთაური იყო.

ხნიერი დედოფალი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ეტრფოდა თავის ფავორიტს, და აღარ იცოდა, რით და როგორ ესიამოვნებინა. მან უფლება დართო პლატონს გადაეთვალისწინებინა ყველა საიდუმლო დეპეშა და სა-

ზღვარგარეთიდან მიღებული ცნობები. მინისტრებსა და გენერლებს, ვიდრე დედოფალთან შევიდოდნენ, მის ხელში უნდა გაეცლოთ.

მინისტრებსა და კარისკაცებს ბუზარულ აბრეშუმის ხალაოში გამოწყობილი პლატონი ტახტზე წამოწოლილი იღებდა. ხანმოთეული გენერლები მოკრძალებით თრთოდნენ და გაჭიმულები იდგნენ ამ ლამაზი კრწანის წინაშე.

თავდავიწყებამდე შეყვარებული მოხუცი იმპერატორი ქალი პლატონს ყველაზე საპასუხისმგებლო სახელმწიფო საქმეებს ანდობდა. სიყვარულმა იგი ჭეშმარიტად დააბრმავა.

33. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭუკელას მეტაქმედ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, ასე, მაგალითად, ცნობილია მისი ახალი რუსეთის პროექტი.

ამ გასაოცარ პროექტში პირველი რანგის ქალაქებად დიდის ამბით დასახლებულია: პეტერბურგი, ბერლინი, ასტრახანი, მოსკოვი და კონსტანტინეპოლი. მეორე რანგის ქალაქებს შორის რატომღაც მოხსენებულია კრაკოვი, ტაგანროგი და დანცინგი, აღნიშნულ პროექტში გვხვდება ასეთი წინადადებაც: „ასერიგად ვრცელი იმპერიის დედოფალი უნდა იყოს მზის დარი, რომ თავისი მადლმოსილი მზერით გაათბოს ყველაფერი, რასაც კი მისი სხივები მისწვდება“.

ერთი სიტყვით, მართო ამ პროექტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რა გულგრილად ეკიდებოდა დედოფალი სახელმწიფო საქმეებს და როგორ გაუფერულდა მის თვალში მსოფლიო პოლიტიკა ამ უკანასკნელ სიყვარულთან შედარებით. მაგრამ ეს შემთხვევა უფრო მეტად წარმოგვიჩენს სიბერეში ფეხშედგმული ადამიანის სულიერ განცდებს მთელი თავისი მტკივნეული სილამაზით, ვიდრე სიყვარულის ნეტარი გრძნობის და მისი არსის გამოვლენას.

ახლა კი მინდა მოგითხროთ ერთ დიდ სიყვარულზე, სიკაბუკის გაფურჩქვნის ეამს რომ გამოაშუქა.

34. ეს ამბავიც საკმაოდ გახმაურებულია და თითქმის ყველა თეატრალური სცენა შემოვლილი აქვს. ასე რომ მასზე დიდხანს არ შევჩერდებით. თბრობა აგებულია იმაზე, თუ როგორ შეიყვარა რომის კონსულმა მარკუს ანტონიუსმა ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა. ერთი სიტყვით, მოდიოთ, გავიხსენოთ ეს ამბავი, მით უფრო რომ, იგი უკიდურესად ამაღელვებელი და გასაკვირია.

პატივმოყვარე მამაკაცს, ვინც, თქვენ წარმოიდგინეთ, უზარმაზარი ძალაუფლების პატრონი იყო, შეუყვარდა ქალი და უყოყმანოდ აიღო ხელი ყველაფერზე, მიატოვა თავისი ჯარები, ვისთანაც ერთად ჭვეყნის დასაპყრობად გამოემართა და სამუდამოდ ეგვიპტეში დარჩა.

ანტონიუსმა კლეოპატრას უძღვნა მის მიერ დაპყრობილი მიწები — სომხეთი, სირია, კილიკია, ფინიკია და დედოფალი ძლიერთა შორის უძლიერესი გახადა. რომის სენატმა ამ სკანდალური ნაბიჯის გამო მზედართმთავარი სასწრაფოდ გადააყენა კონსულობიდან, მაგრამ შეყვარებულმა ანტონიუსმა სამშობლოში დაბრუნებაც კი აღარ ისურვა. მაშინ რომმა კლეოპატრას ომი გამოუცხადა და რომსა და ეგვიპტეს შორის სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა.

ანტონიუსი კლეოპატრასთან ერთად უტევდა რომაელთა ჯარებს. რომის ლაშქარი ალექსანდრიას უახლოვდებოდა და რომის კონსულმა ოქტავიანემ კლეოპატრას აახლა წერილი, სადაც ატყობინებდა: რომ მას ჯერ კიდევ შეეძლო

გადაერჩინა ტახტი და საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ საამისოდ ანტონიუსი უნდა გაეწირა.

35. ქალბატონი დედოფალი ხედავდა, რომ ბედმა მისგან პირი იბრუნა და გადაწყვიტა გაეწირა და გაეცა მგზნებარე თაყვანისმცემელი, და კიდრე ანტონიუსი ოქტავიანეს ეომებოდა. კლეოპატრამ მსახურების მხარეზე შეიტყობინა, დედოფალმა თავი მოიკლაო. იცოდა, მისი მეტრევე გლახტანდა ამ დიდ განსაცდელს და მართლაც ასე მოხდა. კლეოპატრას დალუპვის ამბავი რომ შეიტყო, ანტონიუსმა მახვილი დაიცა. მაგრამ კრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და როდესაც დაჭრილმა რაინდმა შეიტყო, კლეოპატრა ცოცხალიო. ბრძანა, საკაცით სასწრაფოდ მასთან მიეყვანო. მომავლადემა დედოფალს ყველაფერი შეუხდო და მის შკლავებში განუტევა სული.

ეს უცნაური ამბავი მართლაც მოგვითხრობს დიდ სიყვარულზე, რომელმაც სხვა ყველაფერი დაჩრდილა. შემდგომ კი კლეოპატრაც იძულებული გახდა თავი მოეკლა.

საქმე ის გახლდათ, რომ ოქტავიანემ მას, როგორც ტყვეს, რომში გაგზავნა დაუპირა. კლეოპატრამ განიზრახა თავისი კვლუცობით ეს ბელადიც მოეხიბლა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუფარდა და რაკი არ სურდა შერცხვენილი და თავლაფდასხმული დარჩენილიყო, საწამლავი დალია. თავი მოიწამლა კლეოპატრას ოცდაათმა მოახლემაც. და ჩვენ რატომღაც გვებრალემა ეს უღამაზესი ქალი, რომელსაც ოქტავიანემ უთხრა: „მოეშვი, დედოფალო, მაგ თვალთმაქცობას, მაგეებით მე ვერ გამომიჭერ“.

დედოფალი კი ამ დროს უკვე ორმოცი წლისა გახლდათ და მიხვდა, რომ უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო.

36. ახლა კი ვთავაზობთ მოთხრობას კიდევ ერთ მხურვალე სიყვარულზე, რამაც ადამიანს თავისი რევოლუციური მოვალეობაც კი დაავიწყა. ეს ამბავი ეხება ცნობილ შადამ ტალენის მეუღლეს.

საფრანგეთის რევოლუციის დროს რევოლუციური საბჭოს მთავარი მდივანი ტალენი რობესპიერმა ბორდოში მიაგლინა იქ გადაბეჭვილი არისტოკრატების დასაპატიმრებლად. ტალენმა საპურობილეში ახალგაზრდა პატიმარი ქალი ტერეზა ფონტენე გაიცნო, შეუყვარდა იგი და პატიმრობიდან გაათავისუფლა. რობესპიერმა ეს ამბავი რომ შეიტყო, ბრძანა ქალი ხელახლა დაეპატიმრებინათ. მაშინ ტალენი დანტონის თანამოაზრეების მხარეზე გადავიდა, შეებრძოლა რობესპიერს, და სულ მალე შეძლო მისი დამარცხება. ხოლო ამ ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი უეჭველად ტერეზა ფონტენესადმი სიყვარული იყო. შემდგომ ტალენმა ტერეზა ცოლად შეირთო, მაგრამ ქალმა მალე მიატოვა ქმარი და ვიღაც თავადს გაჰყვა.

თუმცა ისტორიამ კიდევ უფრო მეტიც იცის.

ზოგჯერ ხდებოდა უმნიშვნელო და ერთი შეხედვით ნაკლებ შესამჩნევი ამბები, მაგრამ მიუხედავად მათი უბრალოებისა, ეს ამბები, შეიძლება ითქვას, მზის სხივებივით ატანდა ტყუთა ტვერებში რადგან ისინი დიდ სიყვარულზე მოგვითხრობდნენ.

37. საამისოდ თუ გნებავთ გავიხსენოთ დეკაბრისტთა ცოლები. მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე მანდილოსნები, რომელთაც ყველაფერი მიატოვეს და თუმცა მათი გადასახლება არაეის განუზრახავს, საკუთარი ნებით გაპყვნიენ ქმრებს ციმბირში.

● ავადმყოფ რადიშჩევს გადასახლებამდე რამდენიმე ბნით ადრე ცოლი გარდაეცვალა. მაშინ ცოლის დამ ჩაკითხა მას ციმბირში.

● მდიდარი მემამულის შვილს, ბრწყინვალე კავალერგარდს ივანოვს თავიანთი გუვერნანტი ქალი კამილა შეუყვარდა. მშობლებმა, რა თქმა უნდა, კორწინებაზე უარი უთხრეს. მაგრამ როცა ივანოვი დეკაბრისტებთან ერთად ოცი წლით გადასახლეს ციმბირში, ახალგაზრდა გუვერნანტი თან გაჰყვა საყვარელ ადამიანს.

● ინგლისელ პოეტს რ. ბროუნინგს სათაყვანებელი მეუღლე გარდაეცვალა. ბროუნინგმა მწარედ განიცადა ცოლის სიკვდილი და მიცვალებულს თან ჩააყოლა თავისი ახალი სონეტების რვეული, რაც მისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი იყო. მართალია, შემდგომ, როდესაც ცხოვრების გზაზე სხვა ქალი შეხვდა, რვეული ისევ ამოიღო კუბოდან, მაგრამ ეს სულაც არ არის აქ მთავარი და უმთავრესი.

● 1796 წელს ნაპოლეონი გააფთრებული ბრძოლის დროს სწერდა ეოზეფინას: „შენგან შორს მყოფს მთელი ქვეყნბერება უდაბნოდ მეჩვენება. სადაც ყველასაგან მიტოვებული და მარტოდმარტო შთენილი ვარ. შენა ხარ ჩემი სიცოცხლის მიზანი და სალოცავი“.

● ლასალი სწერდა ელენ დენიგესს: „მე გოლიათური ძალის პატრონი ვარ და ამ ძალას გავაითასკეცებ, რათა შენ ჩემად გიგულო. ჩვენ ამქვეყნად ველარაფერი დაგვაშორებს, მე ათასჯერ უფრო მეტად ვიტანჯები, ვიდრე კლდეზე მიჩაკვული პრომეთე...“

38. თავის მეუღლეზე შეყვარებული ჩერნიშევსკი სწერდა ნეკრასოვს: „ადამიანებს მსოფლიო საკითხები როდი უბიძგებთ თავი დაიხრჩონ, ტყვია დაიხალონ ან გალოთდნენ. — მე საკუთარ თავზე გამოვცადე ყველარაფერი და ვიცი, რომ გულის პოეზია ისევე უფლებამოსილია, როგორც პოეზია გონებისა“.

● ქალაქი ვაინსბერგი მტრის ალყაში იყო მოქცეული, ვიდრე იქაურობას დაარბევდნენ, გამარჯვებულებმა ნება დართეს ქალებს დაეტოვებინათ ქალაქი და თან წაეღოთ ყველარაფერი, რაც ყველაზე ძვირფასად მიაჩნდათ და რის ზიდვასაც შესძლებდნენ. და აი, მოხდა ისე, რომ რამდენიმე ქალმა მკლავებზე გადაწვენილი გამოიყვანა თავისი მამაცი მეუღლე.

რა თქმა უნდა, ეს მონათხრობი უფრო ლეგენდას წააგავს. ისტორიას უყვარს დროდადრო, ასე ვთქვათ, მორალური წონასწორობის დასაცავად შემოგვთავაზოს ამდაგვარი გულის ამაჩუყებელი ამბები.

39. გრძნობების ამშლელ ანეკდოტებს შორის საინტერესოა შემდეგიც: ვილაც რაინდმა ლაშქრობაში გამგზავრების წინ ცოლი მეგობარს ჩააბარა; ამ ქალსა და მეგობარს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ ერთგულების ფიცს ხომ ვერ დაარღვევდნენ. და აი, ფიცისთვის რომ არ ეღალატნათ, ერთ საწოლში წვებოდნენ. შუაში კი ორღესული მანვილი ედოთ. ეგება მანვილი კიდევაც იდო მათ შორის, ისიც შესაძლოა, რომ ერთ საწოლში ეძინათ — ჩვენ არ უარვყოფთ ამ ისტორიულ ფაქტს, მაგრამ, რაც შეეხება სხვა დანარჩენს, ბოდიშს გიბდით და, რაღაც ეკვი მაინც გვიტრიალებს გულში.

ერთი სიტყვით, ამ სანტიმენტალური მონათხრობით გვინდა დავასრულოთ ჩვენი ისტორიული ნოველები.

აი, რას მოგვითხრობს ისტორია სიყვარულზე, თუმცა იგი ამ საკითხზე, საერთოდ, მეტად ძუნწ ცნობებს გვაწვდის. უწადინოდ გვეუბნება, დიახ, ამ-

გვარი გრძობა, მგონი, მართლაც არსებობს. ეს ემოცია ისტორიისთვის მთლად უცხო არ არის, ამ ნიადაგზე ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანი ამბები და შემთხვევები ხდებოდა. და არც დანაშაული იყო გამორიცხებული.

მაგრამ სიყვარული რომ რაღაც ისეთი გრანდიოზული გრძობა იყოს, პოეტები თავიანთი ტენორებით რომ დამღეროდნენ და ამტკბებოდნენ, ისე რომ თითქმის არ ეთანხმება. პირიქით, კომერციულმა სულებმა ხელერთიანად დაიმორჩილეს ეს გრძობა და იგი არავითარ საშიშროებას არ უქმნის ისტორიის მშვიდ მსვლელობას.

40. არა, ამ გრძობას არ შეუფერხებია ადამიანები, ევლოთ იმავე გზით, რომლითაც კეთილსინდისერად და მოთმინებით მიდიან. და ისტორია უფლებამოსილია მონოტონური ხმით მოგვითხროს რაც იყო, ან რომელმა სასიძომ რამდენი „კარბოვანეცი“¹ მიიღო ამა თუ იმ გრძობის სანაცვლოდ. დიან, რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი იყო გარდასულ საუკუნეებზე, და შესაძლოა სადღეისოდ ზოგი რამ კიდევ შეიცვალა. ჩვენ, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ არ ვყოფილვართ და ამიტომ არ შეგვიძლია სრულად დაგვაკმაყოფილოთ თქვენი ცნობისმოყვარეობა. მაგრამ, ვფიქრობ, რომ იქ მაინცდამაინც დიდი ცვლილებები არ მოხდებოდა. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ რომელიმე დიდგვართვანი მარკიზი ახლაც ითვლებოდეს სამიოდე წლის პაწაწკინტელა გოგონას საქმროდ და მამიკო ყოველთვიურად უხდიდეს ხელფასს მომავალ სასიძოს, და, ალბათ, მავან და მავან ხანმოთეულ ქალბატონს, ამქვეყნად ყველაფრისთვის თვალი რომ მოუხუჭავს, გვერდით ჰყავს ვინმე მოცეკვავე ზუბოვი. ვისაც წყალობით და საჩუქრებით ავსებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი როგორც ხდებოდა, იმგვარადვე ხდება, რაც შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში, უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ამ მიმართებით საკმაოდ დიდი ცვლილებები მოხდა.

41. და სიყვარულთან დაკავშირებული ზოგიერთი არასასურველი მოვლენები ჩვენში, ასე თუ ისე, თანდათანობით ისპობა. მაგალითად, კომერციული ანგარიშიანობა თითქმის შეწყდა; ფულის ანგარიშსწორებები გამარტივდა ან ძალიან შემცირდა და ყველაფერი რაღაცნაირად უფრო გასაგები და ნაკლებ დამამძიმებელი გახდა.

ახლა მოდიოთ, გადავხედოთ, რა უარყოფითი მოვლენები გვაქვს სიყვარულის ფრონტზე და, ასე ვთქვათ, სატირის რეინის ცოცხით გავგავოთ ყველაფერი, ის, რისი გაგვაც შესაძლებელი იქნება.

ამრიგად, გადავდივართ სადღეისო სატრფიალო მოთხრობებზე ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან.

მოთხრობა ერთი ზაუაგაუგნეაელ მოხუცზე

ეგება გახსოვთ ერთი ძველი ცნობილი სურათი: „შეუფერებელი ქორწინება“. ამ სურათზე, თქვენ წარმოიდგინეთ, საპატარძლოს და საქმროს ვხედავთ. საქმრო საკმაოდ ხანმოთეული კაცია, ასე, სამოცდაცამეტის, ან ცოტა მეტისაც იქნება, და სურათზე ისეთი დაჩაჩანაკებული მოჩანს, ადამიანს მისი ცქერა დიდად ვერ ასიაშოვნებს. გვერდით ამ ბატონს თეთრ საქორწინო კაბაში

1. კარბოვანეცი — უკრ. მახეთი.

გამოწყობილი საცოლო უდგას, ნამდვილი პაწაწინა მართვე, ალბათ, ესეც ცხრა-მეტროდუ წლისა. თვალეში შიში ჩასდგომია, სანთელი ხელში უცახცახებს, ხმა უფროს. როცა ღიპიანი მღვდელი ეკითხება, ემაყოფილია თუ არა ეს ბატონ-ტვინა კორწინებით. არა, რა თქმა უნდა, სურათზე არ ჩანს, ჩველი რომ უცახცახებდეს, ან მღვდელი სიტყვას ამბობდეს, მხატვარს. ვგონებ, მღვდელიც კი არ ჰყავს გამოყვანილი იმ დროის იდეოლოგიური მოტივების შესაბამისად, მაგრამ, როცა სურათს უცქერით, ყველაფერი, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ცხადლივ დაგიდგებათ თვალწინ, ერთი სიტყვით, ეს მხატვრული ტილო უცნაურ ფიქრებს აღგვიძრავს.

მართლაც, ამგვარ მიხრწნილ ბერიკაცს რევოლუციამდე ნამდვილად შეეძლო ნორჩ გოგონაზე დაქორწინებულობა, რადგან ეს ბებრუხანა შეიძლებოდა „მისი ბრწყინვალება“ ან თუნდაც სენატორი ყოფილიყო და პენსიაც, თქროს ფულით, ორას მანეთზე მეტი ჰქონოდა. საცოლო კი, ეტყობა, ღარიბი ოჯახიდანაა და დედამ ალბათ გული გაუწვრილა ჩიჩინით: რა სალაპარკოა, ცხადია, უნდა გაჰყვეო.

რა თქმა უნდა, ამყამად მსგავსი რამ აღარ ხდება, ახლა, რევოლუციის წყალობით, ყველაფერი ამდაგვარი წარსულს ჩაბარდა და უკვე აღარ განმეორდება. ჩვენში ახალგაზრდა ქალი ახალგაზრდა ვაჟს მიჰყვება, შეხნიერებული ხნიერთან ირჩევს ცხოვრებას, მთლად ხანმოთეულნი კი რაღაც ეფემერულს ეპოტინებიან, შაშის თამაშით ირთობენ თავს ან სანაპიროზე დასეირნობენ. არა, რასაკვირველია, ახალგაზრდა ქალი ზოგჯერ ჩვენშიც ქორწინდება ხანდაზმულ მამაკაცზე. მაგრამ ეს შაშაკაცი, ჩვეულებრივ, შეიძლება გამოჩენილი ფიზიოლოგი ან ბოტანიკოსი იყოს, ანდა ყველას გასაოცრად, რაღაც ისეთი გამოგონება ჰქონდეს, ან ბოლოს და ბოლოს შეიძლება პასუხისმგებელი ბუნალტერი იყოს და თავისუფლად შეეძლოს ორი ადამიანის რჩენა. არა, ამგვარი ქორწინებები აღარ იწვევს უსიამოვნების გრძნობას, მით უფრო, რომ ახალგაზრდა ქალს შეიძლება გულწრფელად შეუყვარდეს საკმრო — რომელიც სავარაუდოა, რაიმე ნიჭით აღბეჭდილი პიროვნება ან დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი იყოს ან სულაც კარგ ორატორად ითვლებოდეს და შესანიშნავი ხმა ჰქონდეს. ისეთ რამეს კი, ზემოთ ნახსენებ სურათზე რომ არის ასახული, ჩვენში, რა თქმა უნდა, ვეღარ შევხვდებით და თუ მსგავსი რამ მაინც მოხდება, საყოველთაო სიცილსა და გაოცებას იწვევს.

აი, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ, ლენინგრადში ერთმა, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდაზმულმა მამაკაცმა, ჩვეულებრივმა მოსამსახურემ, მოულოდნელად ახალგაზრდა ქალი მოიყვანა ცოლად. ეს ქალი ოციოდე წლისა იქნებოდა, მეტისმეტად ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა. პენზიდან იყო ჩამოსული, კაცი კი საკმაოდ ხანმოთეული, ალბათ ასე, სამოც წელს გადაცილებული იქნებოდა, რაღაცნაირი გაქუცული იყო. ყოველდღიური ზრუნვით სიფათი მოთენთვოდა, ჩაწითლებული თვალები ჩაფერფლოდა, ერთი სიტყვით, ერთი იმათგანი გახლდათ, ყოველ ტრამვაიში ათობით მაინც რომ გადაეყრებით ხოლმე. ამასთან, არც მხედველობა უვარგოდა, დალტონიზმი აწამებდა, ყველაფრის გარჩევა როდი შეეძლო, — მწვანე ლურჯად ეჩვენებოდა, ლურჯი კი — თეთრად. ამასთან, ცოლიც ჰყავდა და თავის ბებრუხანასთან ერთად ერთი პაწაწინტელა, უბვირო ოთახში ცხოვრობდა. მაგრამ მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ნაკლისა, ეს ჩვენი მოხუცი, მოულოდ-

ნელად და ყველას გასაოცრად. ახალგაზრდა მშვენიერ ქალზე დაკორწინდა. ნაცნობებს კი ეს ამბავი შემდეგნაირად განუმარტა:

— ახლა ახალი ხანაა ჩვენს დროში მოხუცებიც კი ახალგაზრდულად გამოიყურებიან და საკმაოდ სიმპატიურნიც ჩანანო.



ნაცნობები ეუბნებიან:

— აგიტაცია-პროპაგანდას ნუ გადაჰყვებით. ამის ნაცვლად სჯობს, გაარკვიოთ, რას გამოელის ეგ ქალი თქვენგან. ეს ხომ ნამდვილი ანეკდოტია ასეთი ქალი ცოლად რომ მოგყვებათ.

მოხუცი ამბობს:

— გარდა გარეგნობისა და სულიერი ღირსებებისა მე არაფერი გამაჩნია, ხელმოკლედ ვცხოვრობ, ხელფასი მცირე მაქვს. მთელ ჩემს აელადიდებას შარვალი და ორიოდე დაფრეწილი ცხვირსახოცი შეადგენს. რაც შეეხება ბინას, ახლა ასეთი ფასი რომ დაედო, ამასაც ადვილად მოვაგვარებ. ჭერხნობით ჩემს ბებრუხანასთან ერთად ვცხოვრობ ერთ პატარა ოთახში, რომლის გაყოფასაც ვაპირებ და ცხრამეტრიან ოთახში, ზედ ნარცხის ორმოს რომ გადამოჭყურებს, ბედნიერებით გიყად ქცეული ვიცხოვრებ იმ ადამიანთან ერთად, ბედმა სიბერის ეამს რომ მომივლინაო

ნაცნობები ეუბნებიან:

— ჯანდაბას თქვენი თავი! კაცი ვერაფერს შეგასმენთო.

და აი, მოხუცმა მართლაც გაყო თავისი ბინა, ცხრამეტრიანი ოთახი შელება, შეათეთრა და ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალთან ერთად ბედნიერად იწყო ცხოვრება. მერე კი ამგვარი რამ მოხდა: მოხუცის ცხოვრების მეგობარმა ეს პატარა ოთახი უფრო დიდზე გადაცვალა, რადგან გამოჩნდა მოქალაქე, ვისაც ბინის ღირსი გადახდა ეძნელებოდა. ამიტომ ერჩივნა, ეცხოვრა კანონით კუთვნილ ცხრამეტრიან ოთახში, ყოველგვარი ზედმეტი ფაქტობის გარეშე. და ახალგაზრდა ქალიც, თავის გამოთავგანებულ ბერიკაცთან ერთად საცხოვრებლად ახალ, თორმეტმეტრიან ოთახში გადავიდა. აქ ერთხანს ცხოვრობდა, მერე ისევ საოცარი ენერჯით აღიჭურვა. ეს ოთახი ბელახლა გადაცვალა ოცმეტრიანში და თავისი ფუტურო ბებერიც საცხოვრებლად იქ გადაიყვანა. მაგრამ შედგა თუ არა ფეხი ახალ ბინაში, მყისვე წაეჩხუბა ქმარს და გაზუოში განცხადება გამოაქვეყნა: ასე და ამგვარად, ვცელი ჩინებულ ოცმეტრიან ოთახს, ორ პატარა ოთახზე სხედასხვა რაიონშიო.

პოდა, რა თქმა უნდა, გამოჩნდა წყვილი, რომელიც ერთად ცხოვრებაზე ოცნებობდა და სიბარულოთ გადაუცვალეს ოცმეტრიან ბინაში თავისი ორი პატარა ოთახი, მოკლედ რომ თქვათ, ჩვენი ბებერი სულელი, როგორც იტყვიან.

ქორწინების საიდუმლოს შესრულების ორი თვის თავზე მარტოდმარტო გამომწყვდეული აღმოჩნდა ერთ ციკქა ოთახში ქალაქგარეთ — ოზერკებში. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ხვირიანად ვერც კი გაარკვია, თუ რა ამბავი დატროი აღდა მის თავს. ახალგაზრდა ქალი კი ვასილის კუნძულზე გადაბარგდა პატარა, მაგრამ შესანიშნავ ოთახში, და რაკი ბინა ბელთ იგდო სულ მალე ვილაც იჩვიხერს გაჰყვა ცოლად და ახლა უზომოდ ბედნიერი და კმაყოფილი გახლავთ.

ბებერმა სულელმა ერთი პირობა დააპირა ყოფილ ცოლისთვის სასამართლოში ეჩივლა შეცდენისა და მოტყუებისათვის. ამის თაობაზე ელაპარაკა კიდევ ერთ იურისტს, მაგრამ ამ იურისტმა, ყოფილმა ადვოკატმა, მხიარულად გადაიხარბარა და უთხრა, ტყუილის დამტკიცება ძალიან გაძნელებია, ამას-

თან, ახალგაზრდა ქალს ეგება მართლა გულწრფელად უყვარდით, მერე კი ახლოს რომ გაგიცნოთ, იმედი გაუცრუვდაო.

ამ ტკბილმა ოცნებამ დაამშვიდა ჩვენი ყვეუჩი მოზუცი. და ახლა მატარებლით ყოველდღე მიიჩქარევა იმ თავისი ოზურკებიდან სამსახურში სიტყვით, როგორც ამბობენ, ჩვენმა ბებერმა სვავმა ძვალი ვერ მოხონა და საბოლოოდ ხახამშრალი დარჩა. საბრალო გრძნობას აპყვა: სასიყვარულო ოცნებებში ჩაიძირა და სიცოცხლე სამუდამოდ გაიშწარა.

საერთოდ, როგორც ხედავთ, სიყვარულის ფრონტზე ჩვენს სინამდვილეშიც ხდება უსიამოვნებანი, ახალგაზრდებში უფრო იშვიათად. ხოლო ხანდაზმულობა, ხელმოკლეობა და დაწითლებული, ბრუტიანი თვალები სასიყვარულოდ ვერავის განაწყობს.

ქვემოთ გთავაზობთ კიდევ ერთ პატარა მოთხრობას კომერციულ სიყვარულზე, მერე კი უფრო საყურადღებო შემთხვევებზე გადავალთ.

ცოლის შერთვას რომ დააკირავ, კარგად დაფიქრდი, საკმა სანანებლად არ გაიხადო

ამბობენ, უწინ მზითვეის გარეშე არავინ ქორწინდებოდაო. ყველა რიგიანი სასიძო კრიკაში ედგა საცოლოს მშობლებს, აბა, რას ატანთ თქვენს ქალიშვილს მზითვეად, ფულს რამდენს აძლევთ და სხვას ცალკე, კიდევ რამდენსო. შეშინებული მშობლები უსახელებდნენ თანხას და ჩამოუკაკლავდნენ რაც ეწერათ მზითვეის სიაში.

ამჟამად კი ჩვენ სიტყვა „მზითვეი“ დავიწყებას მივცეთ და კარგად ვერც კი წარმოგვიდგენია, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი ადრე.

რაც თქმა უნდა, ახლაც გვხვდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ცოლის შერთვასთან ერთად, ცდილობენ რაღაც სხვაც მიიმასქნან, ვთქვათ, ავეჯი, ოთახი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტანსაცმელი, რომ მერე თავისთვის გადაიკეთონ. მაგრამ ეს ჩვენში არც ისე იოლად ხდება და საქმრო ყოველთვის როდი ანერხებს ბორცი შეასწას თავის უგერგილო ფანტაზიას. ავიღოთ მაგალითად, თუნდაც ამგვარი უმნიშვნელო რამ — საპატარძლოს გულზე აბნევია ლამაზი ბროში, მაგრამ სინამდვილეში ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ითხოვს კაცი ცოლს და, სადღაა ბროში? თურმე ის ბროში საპატარძლოს მეგობარი ქალისაგან უთხოვია, იმ ქალმა კი ეგება ექვსი ქმარი მაინც გამოიცვალა და ის ბროშიც ფერადი ლითონისაგან იყო ნაკეთები და გროშ-კაპიკად არა ღირდა, ან თუნდაც ასეთი ამბავი — ხედავს საქმრო საკიდარზე ქურჭი ჰკიდია, მერე კი ეს ქურჭი ვილაც მობინადრის კუთვნილება აღმოჩნდება.

არა, ახლა ცოლის მთხოვნელებმა იციან, რომ საპატარძლოსგან ბევრს არაფერს უნდა გამოელოდნენ, რაც თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ქონებაზე მეტად ცოლის სამსახურებრივი მდგომარეობა რომ აინტერესებთ, მაგრამ აქაც ყველას როდი უმართლებს.

აი რა მოხდა ერთხელ:

ერთმა ახალგაზრდა კაცმა მეტად ლამაზი და სანდომიანი ქალიშვილი გაიცნო, მაგრამ ქალის გარეგნობამ იმდენად როდი მოხიბლა, რამდენადაც გააოცა

მისმა სპეციალობამ. ქალი ბუღალტერი გახლდათ. ბუღალტრობა საქმად იშ-
ვიათი პროფესიაა და გონების განსაკუთრებულად დაძაბვას მოითხოვს. ამი-
ტომ ბუღალტრები ცოტანი გვეყვანან და მათ გვარიან ხელფასსაც უნდიან.

ეს ჩვენი ახალგაზრდა კი ცხოვრებასა და მის გამოვლინებას შეტყობდა
სადაც უყურებდა, სიყვარულისა არაფერი გაეგებოდა და მხოლოდ ერთი რამ
აინტერესებდა: რაც შეიძლება კარგად ეცხოვრა და კაი ჯამა-სმა არ მოჰკლე-
ბოდა.

და აი ახლა გადასარევი შემთხვევა მიეცა — ბუღალტერი ქალი გაიცნო.
ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ საქმეს მოაკვარახკინებდა, ასე ვთქვათ, მთელი სი-
ცოცხლის მანძილზე დამხმარე და ხელის შემწყობი ეყოლებოდა. ჰოდა, უფრო
დაუახლოვდა ამ ჩვენ ბუღალტერს, ერთი ორჯერ კინოშიც წაიყვანა, მერე სი-
ყვარული აუხსნა და უთხრა: „ხომ არ გნებავთ, ხელი მოვაწეროთ?“

„ოჰ, კი ბატონო, ძალზე მოხარული ვიქნებიო“, — მიუგო ქალმა.

ჰოდა, მოაწერეს ხელი, ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი... მაგრამ ერთ-
ხელ ქალი სამსახურიდან მობრუნდა და ქმარს უთხრა:

— იცო, რას გეტყვი, პეტია? სამსახურს თავი გავანებე, არ დავფიცავ, დი-
დი ხანია ვოცნებობდი. გავთხოვდები თუ არა. კანცელარიებში პორწიალს თავს
დავანებებ-მეთქი, ერთი სიტყვით, სამსახური მივატოვე.

აქ მეუღლე საშინლად აღელდა: ოხრავდა, ყვიროდა, ევედრებოდა. თან
ფიქრობდა: „აი, ოინი თუ გინდა ეს არის! მე ხომ საგანგებოდ იმისთვის შევი-
რთე ცოლი, კარგი სამსახური და ხელფასი რომ ჰქონდა!“ მაგრამ ცოლი აქ
უკვე გაუძალიანდა: არა, მეყოფა წყლის ნაყვა, აღარ ვიმსახურებ, სულაც არ
ვაპირებ დახუთულ კანცელარიაში გამოვახუნო ჩემი მაღალკვალიფიციური
სიღამაზე და ახალგაზრდობაო.

ქმარმა უთხრა:

— კი მაგრამ, როგორ არ გესმით, ეს ხომ ბურჟუაზიული მეშჩანობაა! მე
ამიტომ მომეწონე, რომ ასეთი დამოუკიდებელი იყავი. ამ სამწუხარო ამბავმა
პირდაპირ თავზარი დამცაო.

მაგრამ ვინ უგდო ყური, ქალმა თავისი გაიტანა და მუშაობას თავი გა-
ანება, ქმარი საშინლად იტანჯება და სულ გაყრაზე ოცნებობს. მაგრამ
ვეღარ გაეყრება. რადგან მათ შეუღლებისას თავიანთი ოთახები გადაცვალეს
და საცხოვრებლად საერთო ოთახში გადავიდნენ. რა თქმა უნდა, ეს უფრო
ადვილი საქმე იყო, ვიდრე ხელახლა ცალ-ცალკე ოთახების ძებნა. ყოველივე
ამასთან ერთად, ქალს შვილი შეეძინა და ამით ქმარი კიდევ უფრო მოთოკა.
აწი როგორღა მიატოვებს ცოლს, — ტყუილუმბრალოდ ალიმენტების გადახდა
დაენანება. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი ახალგაზრდა ანგარიშში მოტყუვდა და
ახლა ამის გამო სასტიკად იტანჯება.

ეს შემთხვევა, რა თქმა უნდა, კერძო ხასიათისაა — ჩვეულებრივი და
უპრეტენზიო. ჩვენ არ ვაპირებთ მის განზოგადებას, არც ის გვინდა, რომ
ჩვენი გმირები ზედმეტ ანგარებაში ვამზილოთ. ამიტომ სატრფიალო ამ-
ბებიდან უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე შევჩერდებით.

ქვემოთ გთავაზობთ საინტერესო მოთხრობას, სადაც დაინახავთ, თუ რა
მოიმოქმედა სიყვარულისა და ეჭვიანობის ნიადაგზე ერთმა ახალგაზრდა ქა-
ლმა.

მოდხრობა, წერილზე და წერა-კითხვის არმცოდნე ქალზე

ცხოვრობდა ლენინგრადში ცოლი და ქმარი. ქმარი პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკი იყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე, განათლებული და, საერთოდ, ენერგიული, სოციალიზმის საქმის ერთგულად და მუშაობდა. და თუმცა ამ უბრალო სოფელს კაცს არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ უსწავლია, ქალაქში გატარებული წლების განმავლობაში სამკაო გამოცდილება შეიძინა, ყველაფერში ერკვეოდა და ნებისმიერ აუდიტორიაში შეეძლო სიტყვით გამოსულიყო ან სხვადასხვა სპეციალობის მჭონე სწავლულებთან კამათშიც კი ჩაბმულიყო. ამ დროს კი მისი ცოლი პელაგეა წერა-კითხვის უცოდინარი ქალი იყო და თუმცა სოფლიდან ქმართან ერთად ჩამოვიდა, ის მაინც უწიგნური და უცოდინარი დარჩა, საჭიროების შემთხვევაში თავისი გვარის მოწერაც კი არ შეეძლო. პელაგიას მეუღლეს გულს სწყვეტდა ეს გარემოება, ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეშველა საქმისთვის, მით უფრო, რომ, თვითონ მუდამ მოუცლელი იყო და ცოლთან სამეცადინოდ დრო აღარ რჩებოდა. პოდა, ხშირად ეტყოდა ხოლმე პელაგეას:

— ეგება როგორმე გესწავლა კითხვა, ან ხელმოწერა, პელაგეიუშკა ჩვენი ქვეყანა თანდათანობით აღწევს თავს საუკუნეებით გამეფებულ წყვდიადს და უკულტურობას. ჩვენ ვსპობთ უცოდინარობას და უწიგნურობას, აქ კი, პურის ქარხნის დირექტორის ცოლმა წერა-კითხვაც კი არ იცის, წიგნს ვერ კითხულობს, რაც ძალიან მაწუხებს.

პელაგეა ამაზე, რა თქმა უნდა, ხელს ჩაიქნევდა და ეტყოდა:

— ეპ, ივან ნიკოლაევიჩ, ღირს ამაზე თავის შეწუხება? რაღა დროს ჩემი სწავლაა, თავის დროზე ვერ მოვკიდე წიგნს ხელი, ახლა კი წლები მემატება, ჩემი ახალგაზრდობაც თან მიაქვს, აღარც ხელები მაქვს ისე მოქნილი რომ, მაგალითად, ფანქარი დავიჭირო, რად მინდა სწავლა და ანბანზე ჯანირი, უმჯობესია, ახალგაზრდა პიონერებმა ისწავლონ, მე კი სიბერემდე უამისოდაც ვიცხოვრებო.

პელაგეას ქმარი, რა თქმა უნდა, გულნატკენი ობრავედა და ეუბნებოდა:

— ეპ, ეპ, პელაგეა მაქსიმოვნა!

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ივან ნიკოლაევიჩმა მაინც მოიტანა შინ დაწყებითი სახელმძღვანელო.

— აი, პოლია, ახალთახალი წიგნი, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით შედგენილი, თავად აგიხსნი ყველაფერს და გთხოვ სწავლაზე უარს ნუ მეტყვი.

პელაგეამ კი უხმოდ ჩაიცინა, წიგნი აიღო, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე კი კომოდში ჩაკეტა. იღოს აქ, ეგება შთამომავლობას გამოადგესო.

ერთხელ დღისით პელაგეა საქმეს ჩაუჭდა, ივან ნიკოლაევიჩის პიჯაკს სახელო გაცრეცოდა და უნდა შეეკეთებინა. პოდა, დაჯდა მაგიდასთან, ნემსი აიღო, პიჯაკის სარჩულში ხელი შეაყურა და უეცრად რაღაც შრიალი შემოესმა.

„ფული ხომ არ უდევს ჯიბეში?“ — გაიფიქრა პელაგეამ.

ამოიღო, დახედა და, ხელში წერილი შერჩა. სუფთა, პატარა კონვერტზე წერილი ასოები იყო ჩაწიკწიკებული, ქალაქს ოდნავ ასდიოდა სუნამოს თუ ოდეკოლონის სუნი. პელაგეას გულმა რეჩხი უყო, ნუთუ ივან ნიკოლაევიჩი მლაღატობსო. — გაიფიქრა. — ნუთუ სასიყვარულო მიწერ-მოწერა აქვს წესიერ მანდილოსნებთან, მე კი უსწავლელ, სულელ დედაკაცს დამციინისო. პე-

ლაგეამ დახედა კონვერტს, წერილი ამოიღო, გახსნა. — მაგრამ ვერაფერი გა-
არკვია. თავის სიცოცხლეში პირველად იხანა, კითხვა რომ არ ეტოდა.

„მართალია, სხვისი წერილია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რას სწერენ ჩემს
ქმარს. იქნებ ამ წერილის გამო მთელი ჩემი ცხოვრება შეტრიალდეს. მაშინ
აჯობებს, ისევ სოფელში გავბრუნდე და გლებურ სამუშაოს მოვუკიდო ხელიო“,
— გაიფიქრა.

აუტანელი წყენა და შეურაცხყოფა იგრძნო, მწუხარებისაგან გული დაე-
თუთქა.

„ალბათ, ძალიან მიყვარს ივან ნიკოლაევიჩი, რაკი ამ წერილის გამო ამ-
გვარად ვიტანჯები და ვეჭვიანობ, — ფიქრობდა გულში. — როგორ მწყინს,
რომ არ შემიძლია წავიკითხო, რაც აქ წერია, მაშინ ხომ ყველაფერს შევიტ-
ყობდი.“

ჰოდა, ატირდა პელაგეა, გაიხსენა ათასი წვრილმანი ივან ნიკოლაევიჩზე.
დიან, ამ ბოლო დროს თითქმის მართლაც შეიცვალა, უღვაშს ელოლიავენა,
ივარცხნის, ხელებსაც ხშირად იბანს, ახალ კეპს იხურავს. ზის პელაგეა, ფიქ-
რობს თავის საფიქრალს, დასჩერებია წერილს და ცრემლად იღვრება, მაგრამ
ნაწერს, რა თქმა უნდა, ვერ წაიკითხავს, ანბანისა არაფერი გაეგება, ხოლო ვი-
ნმე სხვას რომ წააკითხოს, ცხადია, ეთაკილება. ერთხანს ასე იქვეითინა, მერე
წერილი კომოდში შეინახა, პიჯაკი შეაკეთა და ივან ნიკოლაევიჩის მოსვლას
დაელოდა.

როდესაც ივან ნიკოლაევიჩი შინ მობრუნდა, პელაგეამ თავი არ გასცა, არც
არაფერი შეიმჩნია, პირიქით, მშვიდად და თავდაჭერილად ესაუბრებოდა ქმარს
და სიტყვაც კი გადაუკრა, მინდა ვისწავლო, მრცხვენია, ასეთი ბნელი და უვიცი
დედაკაცი რომ ვარო.

ივან ნიკოლაევიჩი ამ ამბავმა მეტად გაახარა.

— ძალიან კარგი! წერა-კითხვას მე თვითონ შეგასწავლიო, — უთხრა.

— მაგას რა სჯობიაო, — დაეთანხმა პელაგეა.

თან თვალი გაუშტერა ივან ნიკოლაევიჩის კონტა, სწორად შეტრილ ულ-
ვაშს და წყენისა და ტკივილისაგან ისევ შეეკუმშა გული.

პელაგეა ორი თვის განმავლობაში მოთმინებით სწავლობდა წერა-კითხ-
ვას. გულდაგულ გამოჰყავდა ასოები, სიტყვებს ადგენდა და წინადადებებს
იზებირებდა. თანაც ყოველ საღამოს იღებდა კომოდიდან სახუკვარ წერილს
და ცდილობდა ჩასწვდენოდა მის იღუმალ აზრს. მაგრამ ეს ძალზე ძნელი საქ-
მე იყო, მხოლოდ მესამე თვეს მიადწია საწადელს.

დილით, ივან ნიკოლაევიჩი სამუშაოზე რომ გაისტუმრა, კომოდიდან წე-
რილი ამოიღო და კითხვას შეუდგა. გაჭირვებით არჩევდა წერილ ხელნაწერს.
მაგრამ სუნამოს ოდნავ შესამჩნევი ნაზი სურნელი, ქალაღდს რომ ასდიოდა,
აქებებდა და გულს უმაგრებდა. წერილი ივან ნიკოლაევიჩის სახელზე იყო
გამოგზავნილი.

„პატივცემულო ამხანაგო კუჩკინ, — კითხულობდა პელაგეა: — გიგზავ-
ნით შეპირებულ სახელმძღვანელოს. ჩემი აზრით, თქვენი მეუღლე ორ-სამ
თვეში შეძლებს მთელი ამ სიბრძნის დაძლევას. პირობა მომეცით, გეთაყვა,
რომ საქმეს როგორმე თავს მოაბამთ, ჩააგონეთ, აუხსენით, თუ რა სამარცხვი-
ნო იქნება, წერა-კითხვის უცოდინარი რომ დარჩეს.“

ახლა ჩვენ ყველანი ვიბრძვით იმისთვის, რათა გამარჯვების წლისთავეზე

აღმოვფხვრათ უწიგნურობა მთელ რესპუბლიკაში, ამ დროს კი ჩვენი აბლობ-
ლები რატომღაც გვავიწყდებიან.

სიტყვა მომეცით, ივან ნიკოლაევიჩ, რომ ჩემს თხოვნას სერიოზულად
მოეკიდებოდ.

კომუნისტური სალამით, მარია ბლოხინა“.



პელაგეამ ორჯერ გადაიკითხა წერილი, კვლავ შეურაცხყოფილად იგრძნო
თავი და ატირდა. მაგრამ მერე მიჰყვა ფიქრს ივან ნიკოლაევიჩზე, იმაზეც, რომ
მათ ცხოვრებაში ყველაფერი ისევე რიგზე იყო, თვალები ამოიშრალა და სა-
ხელმძღვანელო და ის თარსი წერილი კომოდში შეინახა.

ამრიგად, სიყვარულითა და ექვით, წაქეზებულმა ჩვენმა პელაგეამ, წერა-
კითხვა შეისწავლა და წიგნიერი გახდა. ეს იყო გასაოცარი შემთხვევა საბჭოთა
კავშირში წერა-კითხვის ლიკვიდაციის ისტორიიდან.

ახლა კი მინდა შემოგთავაზოთ მოთხრობა სიყვარულზე, რომელიც ამ
პატარა ამბავზე უფრო საინტერესო იქნება.

მოთხრობა ქალზე, ყვავილები რომ უხვარდა

ამ მოთხრობაში მინდა აგვიწეროთ, თუ როგორ დაიბრჩო ერთი მანდილოსანი.
ასე ვთქვათ, სასაცილო აქ მაინცდამაინც არაფერია, თუმცა უნდა მოგახსენოთ,
რომ ზოგი რამ აქ მაინც საცინლად გვეჩვენება. თუმცა ყველაფერს თავად და-
ინახავთ და განსჯით.

რა თქმა უნდა, არ მინდა თავი შევაწყინო მკითხველს ამგვარი, არცთუ
ისე ბრავურული თხრობით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თვით თემა
მატერიალიზმსა და სიყვარულზე ძალზე თანამედროვე, და მნიშვნელოვანია.

ერთი სიტყვით, ეს მოთხრობა აგვიწერს, როგორ გაირკვა საბოლოოდ
უბედური შემთხვევის წყალობით, რომ ყოველგვარი მისტიკა, იდეალისტობა,
არაამქვეყნიური სიყვარული და ასე შემდეგ, მხოლოდ ფუჭი სიტყვები და ლა-
ყაფი, ნამდვილი აბდაუბდა და მონაჩმახია და რომ ცხოვრებაში, ჩვენდა სამ-
წუხაროდ, კეშმარიტი გახლავთ ნამდვილ მატერიალისტური თვალსაზრისი და
სხვა არაფერი.

ეგება ზემოთქმული ზოგიერთ ჩამორჩენილ ინტელიგენტსა და აკადემი-
კოსს, მეტისმეტად ნაღვლიანი ეჩვენოს და ამის გამო აქეთ შემოგვწყმუტუნოს,
მაგრამ წყმუტუნს რომ მორჩებიან, თვალი გადაავლონ თავიანთ წარსულ ცხოვ-
რებას და მაშინ თავად დარწმუნდებიან, რამდენი ზედმეტი რამ შემოუტმას-
ნიათ ირგვლივ ტყუილ-უბრალოდ.

ამრიგად, ნება უბოძეთ მოხუც, უხეშ მატერიალისტს, ამ შემთხვევის შე-
მდეგ საბოლოოდ რომ დაუსვა ჭვარი მრავალ ამადლებულ გრძნობას, მოგი-
თხროთ ეს ამბავი და კიდევ ერთხელ მოგიბოდიშოთ თუ ჩემი მონათხრობი
ვერ გამოიწვევს ისეთ ერთობლივ სიცილს, როგორსაც ვისურვებდი.

მით უფრო, რომ, ვიმეორებთ, რა დროს სიცილია, როცა ერთი მანდილო-
სანი მდინარეში დაიბრჩო. საბანაოდ მიდიოდა და მორებს გაუყვა. იქ მდი-
ნარის ნაპირზე სარბოლი ტივები იდგა და ქალი ჩვეულებრივ მორებს მი-
ჰყვებოდა ხოლმე, რომ რაც შეიძლება დაშორებოდა ნაპირს, უფრო გაშლი-
ლი, ლამაზი ადგილი შეერჩია და იქ ებანავა. ჰოდა, რა თქმა უნდა, დაიბრჩო.
აი, როგორ მოხდა ეს.

სოფელ ოტრადნოეში მდინარე ნევით სააგარაკოდ ჩამოვიდა ვინმე ინჟინერი — ნიკოლაი ნიკოლაევიჩ გორბატოვი, არ ვიცი, ინჟინერ-ტექნოლოგი იყო თუ გზათა ინჟინერი. ერთი სიტყვით, ფორმის ქუდზე რაღაც მიშაბი ეკეთა, — უფროსი იყო თუ რაღაც ამდაგვარი, მაგრამ მთავარი მხარე მისი იყო, ამ გაზაფხულზე ოტრადნოეში ჩვენი ინჟინერი თავის ახალგაზრდა მეტელესთან, ნინა პეტროვნასთან ერთად ჩამოვიდა. ნინა პეტროვნა განსაკუთრებულად არაფრით გამოირჩეოდა. ჩვეულებრივი ქალი იყო, შავგვრემანი, აფერადებული, მუდამ ყვავილებით ხელში, ყვავილები ან ისე ეჭირა, ან ყნოსავდა, და რა თქმა უნდა, საუცხოოდ ეცვა. მიუხედავად ამისა, ინჟინერ გორბატოვს ცოლი გაგიჟებით უყვარდა. თუმცა ეს გასაგებია, ჩვენს ინჟინერს ცხოვრებაში სხვა არაფერი გააჩნდა და არაფერს ელტეოდა. საზოგადოებრივი დატვირთვა არ ჰქონდა, საგაზეთო წერილებს არ წერდა და, საერთოდ, გულახდილად უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას გაუბოდა.

გორბატოვმა ფეხი ვერ აუწყო თანამედროვეობას იგი, რა თქმა უნდა, ასე, ორმოციოდე წლის იქნებოდა, მაგრამ მთლიანად წარსულში იყო ჩაძირული. ერთი სიტყვით, მოსწონდა ძველი ბურჟუაზიული ცხოვრება, სხვადასხვაგვარი ყურთბალიშებით, კონსონეთი¹ და ასე შემდეგ. ხოლო აწმყოში უხეშობის მეტს ვერაფერს ხედავდა, საკუთარი თავიც კი ვერ განეკვირბა და ყველაფერს პირს უქცევდა.

ჰოდა, რამდენადაც ნინა პეტროვნა მისი მეუღლე იყო და არ გასცემდა, თავის რეაქციულ აზრებს და შეხედულებებს დაუფარავად უზიარებდა.

— მეო, — ეუბნებოდა, — ძირის-ძირობამდე ინტელიგენტი ვარ, უნარი შემწევს ჩავწვდე მრავალ მისტიკურ და განყენებულ ამბებს, ბავშვობაში თავს რომ გადამხდენია. და ვერანაირად ვერ მაკმაყოფილებს ეს უხეში სინამდვილე, სილატაკე, შემცირებები, ბინის ქირა და ასე შემდეგ. მე არ მაკლდა ლამაზი სანებივრო საგნები და სამკაულები, ვიცი, რას ნიშნავს სათუთი სიყვარული და კარგს არაფერს ვხედავ უხეშ ბევნა-კოცნაშიო და ასე შემდეგ. მე მხოლოდ სულიერ მოთხოვნილებებს და გულის კარნახს ვუწევ ანგარიშს, ხოლო რაც შეეხება მაგათ მარქსიზმს, სასაცილოდაც არ მყოფნის და არც არაფრად მიმაჩნიაო.

ჰოდა, არაერთხელ უთქვამს ცოლისთვის ამგვარი რამეები და, რა თქმა უნდა, რაკი მსგავსი რწმენის პატრონი იყო, არც უნდოდა ჩვენს სინამდვილეში რაიმე სიკეთე დაენახა. ყოველივე ამის გამო მოსწყდა მასებს. საბოლოოდ შემოიფარგლა საკუთარი ოჯახური ყოფით და ამ ყვავილებიანი ლამაზი ქალისადმი სიყვარულით. ეს ქალი კი, რა თქმა უნდა, სავსებით გორბატოვის შესაფერისი იყო. და, რამდენადაც მისი მეუღლე გახლდათ, ქმარს ხასიათს უწყობდა, ყველაფერში ეთანხმებოდა, და წარსულზე მეტისმეტად დარდობდა. ერთი სიტყვით, პოეტური ბუნების ქალი იყო. შეეძლო მთელი დღის განმავლობაში ეყნოსა ყვავილები, ან მჯდარიყო ნაპირზე და მზერა შორეთისთვის მიეპყრო, თითქოს იქ მართლაც გამოკვეთილად ხედავდა რაღაც ისეთს — ვთქვათ, ხილს ან გულ-ღვიძლის ძეხვს.

აი, მაშასადამე, როგორი იყო ეს ცოლ-ქმარი და მათი სიყვარული. ქალზე ვერ იტყოდით, ქმარი მეტისმეტად უყვარს ან ეთაყვანებო, მაგრამ ქმარი კი მართლაც თვალს არ აცილებდა. იგი დილ-დილობით გემით მიემგზავრებოდა

¹ კონსონე ფრანგ — ერთგვარი მულიონი

და ნინა პეტროვნაც მის გასაცილებლად მიჩქაროდა, ლამაზი პენუარი ეცვა, კონტად ადგამდა თხელ ინტელიგენტურ ფეხებს. გორბატოვი იდაყვზე აშველებდა ხელს, ღმერთმა დაიფაროს, ფეხი არ ეღრძოსო, თან რაღაცას ეჭიკჭიკებოდა, გემიდან პაეროვან კოცნას უგზავნიდა, ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი და მძიმე საცქერი იყო.

აი, ქმარი გაემგზავრა, ნინა პეტროვნა კი სულელივით დასმარდა თავისთვის რაღაცაზე ოცნებობს. იმის ნაცვლად, მიდგეს-მოდგეს და რამე გარეცხოს, თუ ეს არ უნდა, ივარჯიშოს ან, ვთქვათ, ადგეს და იმავე გორბატოვს საწოლი გაუსწოროს. არა, ბატონო, ზის და ზის, საკმელსაც არ თხოულობს; ალბათ, ამიტომაც იყო, ოცნებებში ჩაძირულს მხარი რომ მოექცა და ნაპირზე გასვლა ველარ მოახერხა, მაგრამ რაკი უკვე დაიხრჩო, ნუ შევლახავთ მის ხსოვნას დამამცირებელი მოგონებებით. ასე, შვიდი საათისთვის გორბატოვი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა. მოიჩქაროდა სამუშაოდან და, ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა თავის გვრიტს. ყველაზე პირველი გადმოხტებოდა ხოლმე გემიდან, ხელში უეჭველად უნდა სჭეროდა რამე: ტკბილეული ან ტრუსი ცოლისთვის ან, ვთქვათ, ახალი ბიუსტპალტერი. იქვე გადასცემდა საჩუქარს, ცოლს ზურგზე ხელს უტყაპუნებდა, ელლაბუცეობოდა, ეხვეოდა, სხვა რაღა უნდოდა! რაც მთავარია, მას ხომ არავითარი საზოგადოებრივი დატვირთვა არ ჰქონდა და მთლიანად თავის ფიქრებში, თავის ნაზ განცდებში იყო ჩაძირული. ქალი დახედავდა, რა მომიტანა ქმარმაო, ცხვირს შეიკმუნხნიდა და თხელ ფეხებზე შემდგარი გვერდით აედევნებოდა.

ერთი სიტყვით, ნინა პეტროვნა დაიხრჩო, რა თქმა უნდა, ძალიან საწყენი და სამწუხარო შემთხვევაა, მაგრამ მისი ვაცოცხლება, მით უფრო თანამედროვე მედიცინის საშუალებებით, შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, თავის დროზე გამამხნევებელი ვარჯიშისთვის რომ მოეკიდა ხელი, სულ ბოლო წამს მაინც მოისაზრებდა რამეს და ნაპირზე გააღწევდა. მან კი თავის ყვავილებიანად ჩაიყურყუმელაეა წყალში და მყისვე ფსკერისკენ დაქანდა, ისე რომ წინააღმდეგობის გაწევა აზრადაც არ მოსვლია. მით უფრო, რომ მორები სლიპინა იყო. როცა საბანაოდ მიდიოდა, მუდამ ამ მორებზე უნდა გადასულიყო. ახლა კი წვრილ, ფრანგულ ქუსლებზე შესკუპებულს ნაწვიმარზე მოუხდა გავლა და ფეხი მოუცურდა, ტივზე მხოლოდ მისი ტრუსი დარჩა. თუმცა შეიძლება განზრახაც ჩავარდა წყალში, ეგება იცხოვრა-იცხოვრა ამ ჩამორჩენილი ელმენტის გვერდით, მერე კი ადგა და თავი დაიხრჩო. მით უფრო, რომ, გორბატოვმა თავისი მისტიკით თავგზა აუბნია საბრალოს. მაგრამ, ეს ჩვენი ვარაუდი ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ, უფრო ფსიქოლოგიურად თუ მივეუდგებით საკითხს, ქალს მორებზე ფეხი აუსხლტა და დაიხრჩო.

ჩვენ, რასაკვირველია, არ გვინდა ნამეტნავად მოვეუშხამოთ გუნება მკითხველებს შემდგომი მოვლენების მხატვრული აღწერით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ინჟინერი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი თავს დატეხილი უბედურებისაგან საშინლად იტანჯებოდა. ნაპირზე ეგდო, ქვითინებდა და ასე შემდეგ. მაგრამ მისი მეგობარი სამუდამოდ გაქრა, ისე რომ გვამიც ვერსად იპოვეს და ინჟინერი ამან კიდევ უფრო დაამწუხრა.

— გვამი რომ გვეპოვა, უფრო დავმწუხრდებოდით, — ეუბნებოდა იგი დისასახლისს. — რა შემზარავი ამბავია, ვერსად რომ ვერ პოულობენ, ამან საშინლად დამასუსტა, მთელი ღამეები არ მძინავს, გამუდმებით ნინა პეტროვნაზე

ეფიქრობ, მით უფრო, რომ არამკვეციური სიყვარულით მიყვარდა და ახლა სხვა არა შინდა რა, ოღონდ კი ვიპოვო, მის ნეშტს ვემთხვიო. სადმე რიგიან ადგილზე დავკრძალო და უოველ შაბათს მის საფლავს მივაყიფებო, რათა სულიერად დავეუკავშირდე და იმ ქვეყანაში მასთან ლაპარაკი შევძლო, რადგან ჩემი სიყვარული მიწიერ გრძნობებზე ბევრად უფრო ამოღებულიაო.

ასე ბრძანა, ქალაღდი დაკრა და ფურცლებზე დიდწილად დაწერა: „გვამის მკვლევარს და ასე შემდეგ, მიეცემა კარგი გასამრჯელო, ოცდაათი მანეთის რაოდენობითო“. — და სხვა ამგვარი. შემდეგ ეს ქალაღდები მთელ სოფელში და მეთევზეთა დაბაში გააკრა. მაგრამ ამო ძებნაში თვე გაიღია. ძალიან ბევრი დაეძებდა გვამს ჩანგლებით, ბარჯით და ასე შემდეგ, თუმცა რატომღაც ვერ იპოვეს.

იმას კი, ჩვენს ინჟინერ გორბატოვს, თავი ყველასგან შორს ეჭირა, არავის ესალმებოდა, ყველაფერს თავი მიანება და სულ იმის მოლოდინში იყო, როდის იპოვნიდნენ მის მეგობარს. რა თქმა უნდა არ შეიძლება ადამიანის მწუხარება უსამველოდ დიდხანს გაგრძელდეს. ამ მხრივ ჩვენი ორგანიზმი გასაოცრად არის მოწყობილ. ყველაზე საშინელი დრამაც კი სწრაფად ეძლევა დაეიწყებას და მისგან თითქმის არაფერი რჩება. ასე რომ, ჩვენს ინჟინერსაც რამდენადმე მაინც განუქარდა მწუხარება, თუმცა ესევე გლოვობდა და სწამდა, რომ მისი დიდი სიყვარული არასოდეს ჩაქრებოდა. გლოვით გულშეკირვებული, იმავე აგარაკზე დარჩა, რადგან არ უნდოდა მისთვის ძვირფას ადგილებს განშორებოდა და სამსახურშიც უოველდღე აქედანვე დადიოდა.

და აი, სექტემბრის დასაწყისში მეთევზეებმა გვამი იპოვეს, ჩქერს დამხრჩვალნი ხუთიოდე კილომეტრზე წაეღო და ნაპირზე გაერიყა. ჰოდა, მოვიდა გორბატოვთან ორი მეთევზე, წამობრძანდით, ნახეთ გვამი და, თუ ამოიცნობთ, საქმე თქვენზე იქნებაო, უთხრეს. ჩვენი ინჟინერი დაფაცურდა, გადაფითრდა, აჩქარებით ჩაჯდა ნავში და მეთევზეებს გააყვა.

არ ვთვლით საჭიროდ ამბის გაზეიადებას და არც ფსიქოლოგიურ წვრილმანებს გამოვეკიდებით, ვიტყვი მხოლოდ, რომ ინჟინერი გორბატოვი იქვე ნაპირზე მიუახლოვდა თავისი ყოფილი მეგობრის ცხედარს, მის გვერდით გაჩერდა ირგვლივ კი, რა თქმა უნდა, მეთევზეები იდგნენ და მდუმარედ შესცქეროდნენ. აბა, რას იტყვის, ამოიცნობს თუ ვერაო. მით უფრო, რომ ამოცნობა არც ისე ადვილი საქმე იყო — დროს და წყალს თავისი შავბნელი საქმე შეესრულებინა, გვამზე შემორჩენილი ჭუჭყიანი ძონძები არაფრით მოგაგონებდათ იმ მშვენიერ კოსტიუმს, ოდესღაც ქალს ტანთ რომ ემოსა, რომ არაფერი ვთქვათ პირისახეზე, ერთიანად რომ დასივებოდა და გაბრწნოდა.

მაშინ ერთ-ერთმა მეთევზემ, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ სურდა უქმად დაეკარგა ძვირფასი დრო, თქვა: ჰო, როგორაა საქმე? ის არის? თუ ის არ არის, მაშინ, მოდი, მოქალაქენო, დავიშალოთ, ასე ტყუილუბრალოდ რატომ უნდა ვიდგეთო.

ინჟინერი გორბატოვი უფრო დაიხარა გვამისკენ და უეცრად ინტელიგენტური სახე ზიზღით და ზაფრით დაემანჭა. ფენსაცმლის ჭკინტით თავისკენ შემოაბრუნა დამხრჩვალის თავი და ხელახლა დააკქერდა სახეზე. მერე თავი დახარა და თავისთვის ჩუმიად დაიჩურჩულა:

— დიან, ის არის.

მხრები კვლავ ზიზღით შეუტოვდა, შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაეშუ-

რეზივინს, აქ კი მეთევზეებმა მოაყვირეს: ფული, ფულიო, ფულს შეგეპირდა თვითონ, კი. ხედავ, როგორ მოუსვამო! თანაც ყოფილი ინტელიგენცია, ქუდიც ახლოავსო! გორბატოვმა, რა თქმა უნდა, ფული უხმოდ ამოიღო, მეთევზეებს გაუწოდა, თან ზუთი თუმახიც დაფროთო, ეგები ეს მანდილოსანი როგორს უნდა ურ სასათლაოზე თვითონ დაასათლაეოთო



ამის შემდეგ ნ. ნ. გორბატოვი ოტრადნოვში გაემგზავრა, ნინგრადს მიაშურა. ამას წინათ უნააავო — ქუჩაში ვილაც მანდილოსანთან ერთად მიდიოდა იდაყვზე ხელამოდებული მიკყავდა და რაღაც საინტერესო ამბავს ედუდუნებოდათ.

ასე გაბლდათ ეს ამბავი. დამბრჩეალი ქალის ხსოვნას და მისდამი ინჟინრის ღრმა, არამიწიერ სიყვარულს ფებზე ადგომით პატივი ეცუთ და გადავიდეთ სხვა საკითხზე. მით უფრო, რომ ახლა დროც ისეთი აღარ არის, დამბრჩეალ მანდილოსნებზე დიდხნობით შევარჩერთ ყურადღება და ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია თუ ამდაგვარი რამეები მივუსადაგოთ. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ცხოვრებიდან კიდევ დაგვრჩა საკითხები სიყვარულზე, და მათზე, ალბათ, ისევ მოგვიწევს მუშაობა. მანამდე კი თვალი გადავაგლოთ ერთ სასაცილო და უბრალო შემთხვევას ჩვენი პირადი ცხოვრებიდან.

უხნიუხნელო უხმთხვევა პირადი ცხოვრებიდან

მიუდივარ ერთხელ ჩემთვის ქუჩაში და უეცრად ვამჩნევ, ქალები აღარ მიცქერიან. ადრე, როგორც ამბობენ, ყინჩად რომ გამოვაბიჯებდი საბლიდან, თვალი ყველას ჩემკენ ექირა, მიგზავნიდნენ პაეროვან მზერას, თანაგრძნობის ღიმილს, ჩაიხითხითებდნენ, შეპრანქებოდნენ, ახლა კი ვხედავ, არაფერი ამის მსგავსი არ ხდება, აქ, ეს კი ნამდვილად საწყენია. — გავიფიქრე, ქალი პირად ცხოვრებაში, ასე თუ ისე, მაინც ერთგვარ როლს თამაშობს-მეთქი.

ერთმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა, თუ, ვგონებ, ქიმიკოსმა გამოთქვა ორიგინალური მოსაზრება: განა მართო პირადი ცხოვრება, სხვაც ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ქალების გამო ეთდებათ და მაშასადამე, ბრძოლები, საბელი და დიდება, სიმდიდრის მობვეჭა, ბინის გაცელა, პალტოს შეძენა, და ასე შემდეგ. — ყველაფერი ქალის გულისთვის ხდება, თუმცა, რა თქმა უნდა, აქ იმ ძალღობაპირმა ცოტათი გადააქარბა, ბურჟუაზიის საამებლად და გულგასახარად რაღაც-რაღაცები მიჰქარა, მაგრამ რაც შეეწება პირად ცხოვრებას, ამაში სავსებით ვეთანხმები, ვეთანხმები იმ აზრს, რომ ქალი რაღაც გარკვეულ როლს თამაშობს პირად ცხოვრებაში.

მოხდებოდა ხოლმე, წაბვიდოდი, კინოში და გული აღარ გწყდებოდა, უხეირო სურათს რომ ეცქეროდი, მო, ქალს ხელზე ხელს მოუჭერდი, ათასნაირ სისულელეს ებუფტურებოდი. — ეს ყველაფერი ზომ ამკობს და ალაშაზებს თანამედროვე ხელოვნებას და ულიბლამო პირად ცხოვრებას.

ჰოდა, რა გუნებაზე უნდა დავმდგარიყავი, როცა ერთხელ შევამჩნიე, რომ ქალები ზედაც აღარ მიყურებდნენ? ეს რაღა ღვთის წყრომია? რატომ აღარ მიცქერიან ქალები, ნეტა რა მოხდა, რამ წამოუარათ-მეთქი, გავიფიქრე, მივედი თუ არა შინ, სასწრაფოდ სარკეს ვეცი, ვხედავ, ჩემ წინ გამოილანდა

საკმაოდ შელანძლული სიფათი და გამოცარიელებული თვალები, სახეზე ფერი გამკრთობოდა.

„პო, ახლა კი გასაგებია ყველაფერი, ვუთხარი ჩემს თავს — გაძლიერებულ კვებაზე უნდა გადავიდე, ფერგამკრთალ სხეულში სისხლს უნდა ავაჩქეფო“.



პოდა, სასწრაფოდ შევიძინე საჭირო სანოვაგე. ვბრუნდებოდი და ძეხვი კაკაოც მივიტანე შინ და ყველაფერ ამას პირგაუჩერებლად ვკამდი ან ვსვამდი და სულ მოკლე ხანში უკვე დავიბრუნე ძველი იერი — წარმოუდგენლად ჯანსაღად და მხნედ გამოვიყურებოდი.

და ამ სახით ხელახლა გამოვყიადი ქუჩაში. მაგრამ ვხედავ, მანდილოსნები კვლავინდებურად არც ახლა იცქირებიან ჩემკენ.

„აჰა. — ვუთხარი ჩემს თავს. — ეგება აჯაბაჯა დავაბიჯებ, იქნებ ტანვარჯიშია საჭირო, რგოლებზე კონწიალი, ხტომები? მანდილოსნებს ჩვეულებრივ, მაგარ კუნთებზე რჩებათ ხოლმე თვალი, იქნებ მე სწორედ ეს მაკლია?“.

ავდექი და ვიყიდე დასაკეცი ტრაპეცია, სავარჯიშო რგოლები, ორბირთული და რაღაც განსაკუთრებული ჩილიკა. დამთხვეულივით ვტრიალებდი ყველა ამ რგოლსა და ხელსაწყოებზე, დილ-დილობით ჩილიკით ვიქცევდი თავს. მეზობლებს უფასოდ ვუჩეხავდი შეშას. ბოლოს სპორტულ წრეში ჩავეწერე, დავსრიალებდი კარჭაპით და ნავეებით, ნოემბრამდე ვიცურე და ვიბანავე. ამასთან, ერთხელ კინალამ არ დავიბრჩე. გავბრიყვდი და ღრმა ადგილას ჩავიყურე ყუმბელავე, ფსკერს ფეხი ვერ მივუწვდინე და რადგან ცურვა ხეირიანად არ ვიციოდი, ბუშტუკებით წყალი ავაბუყბუყე. მთელ ამ დავიდარებას ნახევარი წელი შევადიე. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ორჯერ გავიტეხე გოგრა ტრაპეციიდან ჩამოვარდნისას. ყველაფერ ამას ვაყვაცურად გავუძელი და ერთ მშვენიერ დღეს მზემოკიდებული და ზამბარასავით დაძაგრული ქუჩაში გამოვედი იმ იმედით, რომ ახლა კი ნამდვილად შემომეგებებოდა დიდი ხნის წინათ მივიწყებული, ქალის წამქეზებელი ღიმილი, მაგრამ ამ ღიმილს მაინც ვერ ველირსე. მაშინ ღია ფანჯარასთან დავიწყე ძილი. ფილტვები საღი ჰაერით მეფსებოდა, სახეზე ფერი დამიბრუნდა, გამივარდისფერდა, გამიწითლდა, მერე კი რატომღაც ლილისფერიც გადაიკრა.

ასე სიფათგალილისფერებულნი ერთხელ თეატრშიც გახლდით, იქ შლეგივით ვტრიალებდი ქალების ირგვლივ, რისთვისაც მამკაცებმა საყვედურები და უხეშად გადაკრული სიტყვები გამაგონეს. ამასთან, მკერდში ხელის წაკერა და მუჯღუგუნებიც არ ამცდენია. ყოველივე ამის შედეგად ორი-სამი ქალის უბადრუკი ღიმილი დავიჭირე, მაგრამ ამგვარი ღიმილი ნაკლებად საკმარისი მეჩვენებოდა.

იქვე, თეატრში დიდ სარკესთან მივედი, ვტკბებოდი ჩემი ჯანღონიერ სხეულის ცქერით, აგრეთვე მკერდით, რომლის გარშემოწერილობა გაჭგიმვის დროს სამოცდათხუთმეტ სანტიმეტრამდე აღწევდა. მკლავებს ვხრი, წელში ვსწორდები, ფეხებს ხან ისე ვდგამ, ხან ასე, და გულწრფელად მაკვირვებს ეს წუნიაობა და ქირვეულობა ქალების მხრივ, რომელნიც ან საკუთარ ტყავში ველარ ეტევიან ან, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა სურთ. ვტკბები ამ ფართო სარკეში ჩემი ორფულის ცქერით, მაგრამ უეცრად ვამჩნევ, რომ ცუდად ჩაცმული ვარ. პირდაპირ ეიტყვი — უხეიროდ, თითქმის საძაგლად მაცვია, მუხლის თავებზე გადაცრეცილი ძალზე მოკლე შარვლის დანახვა თავზარს მცემს და გულს მიხეთქავს. მაგრამ ნამდვილად ვშეშდები, როცა დავეყურებ ჩემს ქვედა კიდუ-

რებს, რომელთა აღწერა მხატვრულ ლიტერატურაში უადგილოდ მეჩვენება.

„ოჰ, ახლა კი გასაგებია! — ვეუბნები ჩემს თავს. — აი, რა მიშხამავს პირად ცხოვრებას — ცუდად ჩაცმული დავდივარ“.

გულდამძიმებული მივაფრატუნებ მოღრეცილ ფეხებს, შინისკენ მივდივარ და თავს სიტყვას ვაძლევ, ტანსაცმელი განვიახლო. და აი, სასწრაფოდ ვიცვლი გარდერობს, ლილისფერი სქელი მძიმე ფარდიდან უკანასკნელი მოდის მიხედვით ვუკვეთავ პიჯაკს. ვყიდულობ ორ გალიფეს, ვარღვევ და ვიკერავ შარვალს — „ოქსფორდს“. დავდივარ ამგვარად გამოწყობილი, თავი საპაერო ბუშტში მჯდარი მგონია და კარგა გვარიანად ვუკურობებ ანლანდელ მოდას.

ბაზარში პალტოც ვიყიდე. ისეთი ფართომხრებიანი პალტო ჩვენს პლანეტაზე ალბათ, საერთოდ არ არსებობს.

და ერთხელაც, დასვენების დღეს ამგვარად ჩაცმული ტვერის ბულვარს მივაშურე. შევდივარ ბულვარში და გაწვრთნილი აქლემივით დავაბოტებ. მხრებს ვატოკებ. და ფეხებით პა გამოძყავს. ქალები ალმაცერად შემომცქერიან, სახეზე გაოცება და შიში აწერიან. მამაკაცები მათსავით ირიბად არ მაყოლებენ მზერას, მაგრამ ყურს სწვდება მათი უხეში და უკულტურო შენიშვნები, რაც იმის დასტურია, რომ ეს ხალხი სიტუაციაში ცუდად ერკვევა. აქეთიქიდან მომძახიან:

— ეჰე, ეს რა საფრთხობელაა, დახეთ ამ არამზადას, როგორ გამოწყობილა!

— როგორ არა სცხვენია, სამი კილომეტრი მატერია მაინც ახვევია ტანზე!

საცინლად მიგდებენ და ხარხარებენ.

დავაბიჯებ ბულვარში ისეთი შეგრძნებით, თითქოს ორ მწკრივად ჩარიგებულ როზგომომარჯვებულ სალდათებს შორის დავდიოდე, მაგრამ ბუნდოვნად მაინც რაღაცის იმედი მაქვს. და უეცრად პუშკინის ძეგლთან ვხედავ კარგად ჩაცმულ მანდილოსანს, რომელიც უსაზღვრო სინაზითა და თითქმის კეკლუცად შემომცქერის. პასუხად მანდილოსანს სამჯერ გავუღიმე, ფეხების თამაშით შემოვუარე პუშკინის ძეგლს და ქალის მოპირდაპირე მზარეს ძელსკამზე დავჯექი. კარგად ჩაცმული ქალი, გაცრეცილი სილამაზე ჯერ კიდევ რომ შემორჩენია, თვალჩააციებით მომშტერებია. სიუვარულით დაატარებს მზერას ჩემს დარბაისლურ სხეულზე და სიკეთემოსილ სახეზე. მე თავს ვხრი, მხრებს ვათამაშებ და სულის სიღრმეში ვტკბები ბურჟუაზიული ეკონომისტის განმკურეტი სისტემით ქალის დანიშნულებაზე ჩვენს ცხოვრებაში. თვალს ვუბაკუნებ პუშკინს: ჰე, უკვე დაიწყო, ალექსანდრ სერგეევიჩ-მეთქი. მერე ისევ მანდილოსნისკენ გამიბრბის მზერა, ვხედავ, თვალდაუხამხამებლად მომჩერებია და ყოველ ჩემს მოძრაობას ხარბად იქერს. რატომღაც შიშს მგვრის ეს დაშტერებული თვალები. აღარც კი მახარებს ამ მანდილოსანთან ჩემი ასეთი წარმატება და უკვე წასასვლელად ვემზადები. მინდა ძეგლს ირგვლივ შემოვუარო, ტრამვაიში ჩავჯდე, გავშორდე აქარობას, ვავადე ქალაქგარეთ, სადაც ვერ შეხვდები ასეთ თვალდაკვეტილ ადამიანებს, მაგრამ მოულოდნელად ეს წესიერი მანდილოსანი მომიახლოვდა და მითხრა:

— მაპატიეთ, პატივცემულო... ძალზე უცნაურად მეჩვენება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ აი სწორედ ასეთი პალტო მოჰპარეს ჩემს მეუღლეს. თუ შეიძლება, ქვნიდ სიკვთე, მაჩვენეთ სარჩულია.

„ღიან, რა თქმა უნდა. — ვფიქრობ ჩემთვის. — ცხადია, ვრიდება ასე პაიპარად მომვარდეს და გამეცნოს“.

პალტო გავიხსენი, თან გავიჯგიმე და მკერდი, რაც კი შემეძლო, წინ წამოვწიე. ქალმა სარჩულს ახედ-დახედა და გულშემზარავი ხმით მორთო წივილი: ღიან, ცხადზე უცხადესია, ეს მისი პალტოა! მოპარული პალტო, ამ არამზადას (ესე იგი, მე) რომ მოუღვია მხრებზე.

მისი წივილი ყურს მკრის, ვნატრობ, მიწა გამისკდეს და ჩემი სხელი შარვლიან-პალტოიანად შიგ ჩამიტანოს.

ჩვენ მილიციაში მივდივართ, იქ ოქმს ადგენენ. შეკითხვებს მაძლევენ მეც ალაღმართლად ვპასუხობ. და როცა სხვათა შორის, წლოვანებას მეკითხებიან, ციფრს ვასახელებდი, ამ თითქმის სამნიშნა ციფრმა ლამის თავგზა ამიბნიოს.

„ოჰო, აი თურმე რატომ აღარ მიყურებენ ქალები! — ვამბობ გულში. — დაებერებულვარ, მე კი მარცხი პირად ცხოვრებაში რომ განვიცადე, მინდოდა ჩემი ჩაცმულობისთვის გადამებრალეებინა“.

ბაზარში ნაყიდ ნაქურდალ პალტოს პატრონს ვუბრუნებ და მსუბუქად ჩაცმული, გულაფორიაქებული გავდივარ ქუჩაში.

„არაფერია, იოლად წავალ, — ვიმშვიდებ თავს. — ჩემი პირადი ცხოვრება ამიერიდან შრომა იქნება, ვიმუშავებ და ხალხს სარგებლობას მოვეუტან“.

ახლა სიცილადაც არ მყოფნის ბურჟუაზიული მეცნიერის სიტყვები.

„ეს აბღაუბდაა, — ვამბობ ჩემთვის. — უსაქმო კაცის როშვაა! ტიპიური დასავლური მონაჩხმაბი“.

მე ვხარხარებ, მარჯვნივ და მარცხნივ ვიფურთხები და გამვლელ ქალებს სახეს ვარიდებ. მაგრამ საინტერესო აქ მაინც ის არის, რომ ეს უმნიშვნელო ამბავი ორი წლის წინათ გადამხდა თავს. ამ ორი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ხანი უფრო მომემატა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სიყვარულის ასპარეზზე ჩემი საქმეები სულ სხვაგვარად წარიმართა. ამ ზაფხულს ერთი ქალი გავიცანი, რომელსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან მოვეწონე. მთავარი და, ცოტა არ იყოს, სასაცილოც კია ის ამბავი, რომ ამ დროს, თითქოს განგებ, განსაკუთრებით ცუდად ვიყავი ჩაცმული. ეშმაკმა უწყის, რა შარვალი მეცვა და ძირგავარდნილი სპორტული ფეხსაცმლით დავტყაპუნობდი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიყვარულზე ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. და ამის გამო მეტიმეტად კმაყოფილი და ბედნიერი გახლავართ. მალე დავქორწინდებით კიდევ, რადგან ერთმანეთი გვიყვარს.

და იმედი მაქვს, თქვენ თავს არ გადაგხდებათ იმგვარი ამბავი, მომდევნო მოთხრობაში რომ უნდა შემოგთავაზოთ.

საქორწინო შემთხვევა

რა თქმა უნდა, ვოლოდკა ზავიშუტკინი ცოტათი აჩქარდა. ეშმაკმა აცდუნა და მხარი მოუქცია. ვოლოდკას, შეიძლება ითქვას, ხეირიანად არც კი შეუვლია თვალი თავისი საცოლესათვის, ის კი არა, გულწრფელად რომ ვთქვა, უქუდოდ და უპალტოდ ერთბელაც არ უნახავს, იმიტომ რომ, უმთავრესი მოვლენები მაინც ქუჩაში წარიმართა.

რაც შეეხება იმ ამბავს, ვოლოდკა ზავიშუტკინი ზედ ქორწილის წინ თავის საცოლესთან ერთად, სასიდედროს გასაცნობად რომ მივიდა, პა-

ლტრ არც კი გაუხდია, ისე ჯაიპარად, წარუდგა ქალს იქვე, მოსაცდელში.

ვოლოდკა ზავიტუშკინი საცოლეს ტრამვაიში შეხვდა, ქორწინებამდე რაღაც ხუთიოდე დღით ადრე.

ზის თავისთვის ტრამვაიში და ხედავს, გვერდით ვიღაც ქალიშვილი უდგას, არა უშავს რა, გვარიანი შესახედია, მოწესრიგებული, ზამთრის პალტო აცვია. ჰოდა, დგას ვოლოდკას წინ ეს ზამთრის პალტოში ჩაცმული ქალიშვილი, ცალი ხელი თასმისთვის წაუვლია, მგზავრებმა რომ არ წაჰყვანეს, რეთი კი მკერდზე პარკი მიუყრავს. ტრამვაიში კი, რა თქმა უნდა, ზედახორაა, ჯიკაობენ, ხელს იკვრევიან. გულახდილად უნდა ითქვას, რომ მეტისმეტად უწესრიგოდ იქცევიან. ჰოდა, ვოლოდკასაც შეებრაღა ქალიშვილი.

— აგერ, მუხლზე ჩამომიჭექით, უფრო ადვილად იმგზავრებთო, — უთხრა.

— თქ. არა. მერსიო. — მიუგო ქალიშვილმა.

— მაშ ეგ პაკეტი მაინც მომეცით, მუხლზე დამიდეთ. ნუ მოგერიდებათ, მაშინ უფრო თავისუფლად იმგზავრებთო.

არა, ხედავს, პაკეტსაც არ აძლევს, ეგება ეშინია, არ ამწაპნოსო. ან კიდევ რაღაც სხვა მიზეზია. ვოლოდკა ზავიტუშკინმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ქალიშვილს და მოულოდნელობისაგან მთლად გამოლენჩდა, ღმერთო, რა მოხდენილი ქალიშვილები ამოდიან ხოლმე ტრამვაიშიო, — გაიფიქრა.

ამგვარად გაიარეს ორი გაჩერება. მესამე, მეოთხე, ბოლოს ხედავს ზავიტუშკინი, ქალიშვილი გასასვლელისკენ მიიჭექვება, თვითონაც წამოდგა და, მამასადამე, სწორედ იქ, გასასვლელში, გაიცნეს ერთმანეთი. გაიცნეს ერთმანეთი, მერე ერთად წავიდნენ... ეს ყველაფერი ისე სწრაფად და ხარჯის გაუღებლად მოხდა, რომ ორი დღის შემდეგ ვოლოდკა ზავიტუშკინმა ქალიშვილს ცოლობა სთხოვა. არ ვიცით, ქალიშვილმა მაშინვე მისცა თანხმობა თუ არა, ეს კია, რომ მესამე დღეს სამოქალაქო ქვეგანყოფილებაში გამოცხადდნენ და ხელი მოაწერეს. დიან, „მმაჩში“ მოაწერეს ხელი და მთავარი ამბებიც სწორედ ამის შემდეგ დატრიალდა, ხელი რომ მოაწერეს. ჩვენი ახალგაზრდები ქალიშვილის დედიკოს ბინისკენ გაეშურნენ. იქ, რა თქმა უნდა, დიდი გაწამაწია იყო, სუფრას შლიდნენ, სტუმრები ბლომად ჰყავდათ და, საერთოდ, ოჯახში ზეიმი იყო, — ახალგაზრდებს ელოდნენ, ვიღაც ქალიშვილები და კავალრები ოთახში დაფუსფუსებდნენ, ჭურჭელი გამოჰქონდათ და ბოთლებს ხსნიდნენ.

ვოლოდკა ზავიტუშკინმა კი თავისი ახალგაზრდა მეუღლე ჯერ კიდევ წინკარში დაკარგა. რაღაც ეშმაკად, მაშინვე გარს შემოეხვივნენ ვიღაც დედიკოები და ნათესავები. ულოცავდნენ და ოთახისკენ ეწეოდნენ, შეიყვანეს ოთახში, ესაუბრებიან, ხელს ართმევენ, ეკითხებიან, რომელ კავშირში ხარო. მაგრამ ვოლოდკას საქმე კარგად არა აქვს — ვერ გარკვეულა, სად არის მისი ახალგაზრდა ცოლი. ოთახში ბლომად არიან ქალიშვილები, ყველანი ტრიალებენ, ფაქტობენ, თვითონ კი ეს-ესაა შემოვიდა გაკაშკაშებული ქუჩიდან, მზერა ბუნდად უჭრის, ჰოდა, მოკალი თუ გინდა, ვერ მიმხვდარა, რომელია მისი ცოლი.

„ღმერთო, — ფიქრობს ვოლოდკა, — ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ დამმართვნია, როგორ ამოვიცნო ახლა ამათში ჩემი და სხვისი?“

მოჰყვა ოთახში ბორიალს. ხან ერთს ქალიშვილს მიეტმასნა, ხან მეორეს, ისინი კი საცმაოდ უხალისოდ ხვდებიან და მაინცდამაინც დიდ სიხარულს არ გამოხატავენ, აქ ვოლოდკას, ცოტა არ იყოს, შეეშინდა კიდევაც

აქა, რა დღეში ჩავეარდი, საკუთარი ცოლი ველარ მიპოვნიაო. — ოხრავს გულში.

მერე კიდევ ნათესავეებმაც დაუწყეს აღმაკერად ცქერა, ეს ჩვენი ახალი სიძე რა ჭკუააყირავებულივით დააბოტებს, ქალიშვილებს ებღღარძუნებაო.

ქალიშვილები

ვოლოდკას სხვა რაღა დარჩენოდა, კართან მიდგა და მკვრივად აკრთიანად განადგურებული.

კარგი იქნება, თუ ახლა სუფრაზე დასხდებიან, მაშინ შეიძლება რაღაც გაირკვეს, ვინც გვერდით მომიჯდება, ცხადია, ჩემი ცოლიც ის იქნება. ოჰ, ეს თეთრი გოგო მაინც დაჯდეს, თორემ, ღმერთმანი, შემოგაჩეჩებენ ვინმე მაიმუნს, მიდი და იცხოვრე მერე მასთანო. — ფიქრობს.

სწორედ ამ დროს სტუმრებმა სუფრისკენ გაიწიეს, დედა ყველას ევედრება, თუ ღმერთი გწამთ, ცოტა კიდევ მოითმინეთ, ნუ დასხდებითო. მაგრამ სტუმრები თავს ველარ იკავებენ, იქვე დაესივნენ ჩასახეთქ-ჩასაცეცხლებელს. ჩვენი ვოლოდკა ზავიტუშკინი საბატო ადგილისკენ მიაბრძანეს და გვერდით ერთ მხარეს ქალიშვილი მიუსვეს.

იფ, როგრი ყოფილაო, — ფიქრობს, — სამკაოდ ლამაზია; უქუდოდ უფრო კარიგ ჩანს, ცხვირი ისე წაგრძელებული აღარ მეჩვენებო.

მოჭარბებული გრძნობებისაგან ვოლოდკა ზავიტუშკინმა ღვინო დაისხა, ქალიშვილსაც შეუვსო ჭიქა, მიულოცა და საკოცნელად მიეტანა. მაგრამ მოსახდენი სწორედ მაშინ მოხდა. გაისმა ყვირილი და ღრიალი.

— ეს ვიღაც ძალღიშვილი სწორედ რომ ჭკუადანთხეულია, გოგო არ დაუტოვებია, რომ არ ძგერებოდა. პატარძალი ირთვება — ჯერ სუფრაზე არც დამჯდარა, ეს კი აქ სხვებთან იწაფავს ხელსო.

აირია მონასტერი, კაცი ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა. ვოლოდკას, რასაკვირველია, ყველაფერი ხუმრობად უნდა ექცია. მაგრამ ძალიან განაწყენდა. ამ რიარიაში ვიღაც ნათესავემა კეფაზე ბოთლი დააფშვნიტა.

ვოლოდკამ ყვირილი მორთო:

— ეშმაკმა ნუ იცის თქვენი თავი. წამომისკუპეს აქ ეს დედაკაცები და მე უნდა ვარკვიო, რომელი რომელია.

ამ დროს თეთრ ბალახონში გამოწყობილი პატარძალიც გამოჩნდა, ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

— ოჰ, მაშ ასეო? — თქვა, — ამას კი აღარ შეგარჩენთო.

და, რა თქმა უნდა, ისევ დაიწყო ისტერიკები, ატყდა ყვირილი და აღიაქოთი. ნათესავეებმა, რასაკვირველია, ვოლოდკას გაგდება დაუპირეს. ვოლოდკა აყვირდა:

— ამ დავიდარაბის გადამკიდე დილიდან ლუკმა არ ჩამიდვია პირში, ჩაცეცხლა მაინც მაკალეთო.

მაგრამ ნათესავეები მიესივნენ და ვოლოდკა კიბეზე დააგორეს. მეორე დღეს სამუშაოს დამთავრების შემდეგ ვოლოდკა ზავიტუშკინმა სამოქალაქო განყოფილებაში შეიარა და გაყრა გააფორმა. აქ ორიოდღე მწარე სიტყვა უთხრეს.

— თუმცა ზოგჯერ ქორწინდებიან ხოლმე ასე ქარაფშუტულად, მაგრამ შემდგომ ამგვარად აღარ მოიქცეთ, თორემ პასუხისგებაში მიგცემთო. — გააფრთხილეს.

ასე რომ, ახლა ვოლოდკა უცოლოა და კვლავ შეუძლია მსურველებზე

დაქორწინდეს. მაგრამ რა ყრია ამ ქორწინებაში რატომ გინდა შაინცდა-
შაინც დაქორწინდე, ეს ნამდვილად ძნელი გასაგებია.

ჩვეულებრივად, ცოლები ღალატობენ ქმრებს და, რაგინდ უცნაურად გე-
ჩვენოთ, ქმრის ნაცვლად, ყოველთვის სხვა ვინმე უყვართ. ასე რომ, თუ ვინმე არ
ვიცი და, მე კი ამგვარი ქორწინების წინააღმდეგი ვარ. თუმცა, თუ ქორწინებ-
ზე ვილაპარაკებთ, მე მტკიცე და ურღვევ ქორწინებას ვუპირისპირდები
მიუხედავად, ამისა, თვალს არაფერს ვუხუჭავ და კარგად ვიცი, რა რა არის.
ერთი სიტყვით, ახლა მინდა მოგითხროთ, თუ რა მოხდა ერთხელ სიყვარულ-
ლის ფრონტზე.

გასართობი ამბავი

ერთი მოსამსახურის ცოლმა, საკმაოდ ახალგაზრდა და ძალიან ლამაზმა
მანდილოსანმა, რომელიც წვრილბურჯუაზიული ოჯახიდან იყო გამოსული,
ვიღაც მსახიობი შეიყვარა. ეს მსახიობი დრამასა და კომედიაში ასრულებდა
როლებს, პოდა, ქალსაც შეუყვარდა. ალბათ ან სცენაზე ნახა ეს მსახიობი და
მისი დიდებული თამაშით მოიხიბლა, ან პირიქით, ეგება არც უნახავს და, უბ-
რალოდ, მისმა არტისტულმა გარეგნობამ გაიტაცა. მაგრამ საერთოდ ეს მსა-
ხიობი ზომაზე მეტად შეუყვარდა. იყო დრო, ვერც გადაეწყვიტა, როგორ მოქ-
ცეულიყო. ქმარს გასცლოდა და მსახიობთან გადასულიყო, თუ ისევე ქმარ-
თან დარჩენილიყო, თავისი ცხოვრების ნირი არ შეეცვალა და მსახიობი ისე
ყვარებოდა. მაგრამ მერე და მერე, როცა დარწმუნდა, რომ დრამის მსახიობს
თითქმის არაფერი ებადა, — არც მომარაგება ჰქონდა და არც რაიმე ისეთი
განსაკუთრებული გააჩნდა, გადაწყვიტა, ქმარს არ გასცლოდა. მით უფრო,
რომ, არც მსახიობი იკლავდა თავს მისი ცოლად შერთვისთვის, რადგანაც დი-
დი და მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი იყო. მაგრამ რამდენადაც ერთმა-
ნეთი უყვარდათ, დროდადრო შაინც ხვდებოდნენ.

მსახიობი ურეკავდა ტელეფონით, ქალი შეირბენდა ხოლმე მასთან რე-
პეტიციაზე, რომ ენახა, რა დიდებულად ასრულებდა როლს, ამის შემდეგ
გრძნობა კიდევ უფრო უძლიერდებოდა და ოცნებობდა თავის რჩეულს უფრო
ხშირად შეხვედროდა. მაგრამ რამდენადაც შესახვედრი ადგილი არსად ჰქონ-
დათ რომეო და ჯულიეტასავით ერთმანეთს ქუჩაში ან კინოში ხვდებოდნენ,
ან კაფეში შეირბენდნენ და ალერსიან საუბარში გაჰყავდათ დრო. მაგრამ ამ-
გვარი ნაწმოკლე შეხვედრები, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდათ და გამუ-
დმებით წუნდნენ, რომ ვერ მოიგვარეს ცხოვრება. ვერც ადგილი გამონახეს
სადმე, თავიანთ უსაზღვრო სიყვარულზე ლაპარაკი რომ შეძლებოდათ.

ქალი მსახიობთან შინ ვერ მივიდოდა, რადგან ეს უკანასკნელი ცოლშვი-
ლიანი გახლდათ. თავად კი ხშირად იწვევდა თავისთან, როცა ქმარი სამსახურში
ეგულებოდა. მსახიობი ერთი ორჯერ ესტუმრა, მერე კი გადაქრით უთხრა უა-
რი, რადგან ნერვიული ადამიანი იყო, ამასთან, ავადმყოფური წარმოსახვის
პატრონი. ამიტომ უბრალოდ ეშინოდა ქალთან მისვლის, ფიქრობდა, რა
იცი, რა მოხდება, მაშინვე შემოვა ქმარი, ატყდება ჩხუბი, სროლა და ასე შემ-
დეგო.

და ამგვარი ფიქრების წყალობით, როცა კი ქალს ესტუმრებოდა, თავს
ნორმალურად ვერ გრძნობდა, და საერთოდ, შიშისაგან სანახევროდ მკვდარს

ემსგავსებოდა, კვლავ ხედავდა, რომ მსახიობი რაღაც საშინელების მოლოდინში სულიერად ავადდებოდა და შიშით გული უსკდებოდა, ამიტომ, რა თქმა უნდა, ბოლო ხანებში თავისთან აღარ ეპატივებოდა. და ამ ერთხელ ასეთ რამ უთხრა:

— მაშინ იცით, რა! თუ გინდათ ერთმანეთს შევხვდეთ, მომავალ დასვენების დღეს ჩემს მეგობარ ქალთან მომაკითხეთ.

— ძალიან კარგი! თორემ, იცით, ჩემი პროფესიის კონტრაქტითი ნერვები უნდა ჰქონდეს, მე კი, როცა თქვენთან ვარ, შიში ვერ დამიძლევი და ყველაფერს ისე განვიცდი, როგორც სცენაზე.

ქალს აყავდა უახლოესი მეგობარი სონეჩკა, მეტად სანდომიანი, არცთუ გაუნათლებელი და ვგონებ ბალეტში მომუშავე ჩვენი მანდილოსნის ქმარი კარგი თვალით უყურებდა მათ ნაცნობობას, ამბობდა. ჩემი კოლისთვის უკეთეს მეგობარს ვერც ვისურვებდიო. ჰოდა, ჩვენმა ბალერინამაც მხურვალე ბვეწნა-მუდარის შემდეგ ნება დართო თავის მეგობარს საყვარელ ადამიანს მოსალაპარაკებლად მის ბინაში შეხვედროდა.

დასვენების დღეს, დილით, ჩვენი მსახიობი კარგად გამოეწყო და პაემანზე გაეშურა. უნდა ითქვას, რომ ტრამვაიში პატარა ეპიზოდი გადახდა თავს, გვერდით მჯდომს ეჩხუბა. ერთი სიტყვით, რაღაცაზე წაკინკლავდნენ, აყვირდაყვირდნენ და რაკი მსახიობი თავშეუყავებელი კაცი გახლდათ, საჭიროზე მეტად გაცხარდა. და როდესაც ამ აყალმაყლის შემდეგ მგზავრი ტრამვაიდან ჩავიდა, მსახიობმა თავი ვეღარ შეიკავა და უკან ფურთხი მიაცოლა. ამასობაში ტრამვაი აიძრა და მერე სწრაფად უმატა სვლას. რითაც მსახიობი მეტად კმაყოფილი დარჩა, ახლა ის მგზავრი ნამდვილად ვეღარ დაეწეოდა.

ამ პატარა ინციდენტმა ჩვენს გმირს გუნება ვერ გაუფუჭა. იგი თავის ქალბატონს შეხვდა და ორივენი ერთად წავიდნენ მეგობარ ქალთან. რომელსაც კომუნალურ ბინაში ერთი პატარა, მაგრამ კეთილმოწყობილი ოთახი ეჭირა. ოთახის გასაღები ახლა ხელთ ჰქონდათ.

ჰოდა, შევიდნენ ოთახში, დივანზე დასხდნენ. რომ თავიანთ მომავალ გეგმებზე ელაპარაკათ, მაგრამ უეცრად კარზე კაკუნი გაისმა. ახალგაზრდა ქალმა ანიშნა მსახიობს, ჩუმად იყავიო. მაგრამ ამ უკანასკნელს უამისოდაც ენა ჩაუვარდა და გაშეშდა. უეცრად კარს უკან ვილაცამ იკითხა:

— მითხარით, სონეჩკა მალე დაბრუნდება?

ამ ხმის გაგონებაზე ჩვენი ქალბატონი საშინლად გაფითრდა და მსახიობს უჩურჩულა: ეს ჩემი ქმრის ხმაა, ეტყობა, ნიკოლაიმ ქუჩაში დაგვიხანა და უკან გამოგვევაო. ამგვარი კამუფლეტის¹ გაგონებაზე დრამის მსახიობი კანკალმა აიტანა, სუნთქვა შეეკრა, დივანზე წამოწვა და ნაღვლიანად შეაცქერდა თავის სიყვარულის ობიექტს. კარს უკან კი კვლავ გაისმა ხმა:

— მაშ წერილს დავწერ. გადაეცით, რომ მასთან შემოვიარე.

და ჩვენი ქალბატონის ქმარმა (დანამდვილებით ის იყო) წერილი დაწერა. კარის ქვეშ შეაცურა. თვითონ კი გასასვლელისკენ გაემართა. ქალბატონი ძალიან გაოცდა. მყისვე სტაცა იელი წერილს და კითხვას შეუდგა, შემდეგ ხმა მალლა ატირდა, აღრიალდა და დივანზე დაეცა.

¹ კამუფლეტი — ფრანგ. საარტილერიო ქურვის, ავიაციის ან ნაღვის აფეთქებაში წის ქვეშ

ქალის ხმაზე დრამის მსახიობი ოდნავ გონს მოეგო, თვითონაც გაკვირვებით გადაავლო თვალი წერილს, და აი, რა ამოიკითხა:

„ჩემო პაწაწა სონეჩკა! მე შემთხვევით დროზე ადრე გავთავისუფლდი და შენთან შემოვიბინე, მაგრამ, სამწუხაროდ, შინ არ დამხვდის სამზე გამოვალ-ლი, მაგრამ გეოცნი ნიკოლაი“.

ჩვენი ქალბატონი ტირილით და ცრემლთა ფრქვევით ეკითხებოდა მსახიობს:

— როგორ გგონიათ, რას მოასწავებს ეს ყველაფერი?

მსახიობი პასუხობს:

— მე მგონია, თქვენი ქმარი მოხიბლულია თქვენი მეგობრით და აქ იმიტომ შემოიარა, ცოტა ხნით მაინც რომ გარიდებოდა ოჯახური ცხოვრების სიმძიმეებს და დაესვენა, ახლა სინდისმა აღარ უნდა შეგაწუხოთ, მიბოძეთ თქვენი ხელი.

და ის იყო ქალის ხელი თავის აქერცლილ ტუჩებთან უნდა მიეტანა, რომ კარს უკან სონეჩკას შეშფოთებული ხმა გაისმა:

— ოჰ, გამიღეთ ჩქარა! მე მოვედი, ჩემს აქ არ ყოფნაში ხომ არავის შემოუვლია?

ამ სიტყვების გაგონებაზე ჩვენი ქალბატონი ისევ აქვითინდა, კარი გააღო და ტირილთ გადასცა წერილი თავის მეგობარს.

სონეჩკამ წერილი გადაიკითხა, ოდნავ შეეცბუნდა და თქვა:

— აქ გასაოცარი არაფერია და რაკი ყველაფერი იცით, აღარც მე დაგიმაღვთ, ერთი სიტყვით, გთხოვთ ახლავე წაბვიდეთ, რადგან ჩემთან ვილაც უნდა მოვიდეს.

ჩვენი ქალბატონი ამბობს:

— ესე იგი, როგორ თუ ვილაც? წერილიდან ჩანს, რომ შენ ახლა ჩემს ქმარს ელოდები. — კარგი საქმეა! ასეთ დროს უნდა წავიდე, ეგება მინდა ვნახო, როგორ გადმოაბიჯებს ის არამზადა ამ საროსკიპოს ზღურბლზე.

ახალგაზრდა მსახიობს მთელი ამ დავიდარაბის გამო გუნება გაუფუჭდა და დააპირა აქაურობას გასცლოდა, მაგრამ ჩვენმა გაცეცხლებულმა ქალბატონმა უბრძანა, დარჩენილიყო.

— აი ახლა მობრძანდება ჩემი ქმარი და ეს აბურღული კვანძიც მაშინ გაიხსნებაო, — უთბრა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მსახიობმა თავისი ქუდი მოიძია, უფრო ენერგიულად დაიწყო დამშვიდობება და წასასვლელად გაიწია. მაგრამ ახლა მეგობრებს შორის ატყდა კამათი იმის გამო, უნდა წასულიყო თუ არა მსახიობი აქედან, თავდაპირველად დააპირეს იგი ქმრის მოსვლამდე დაეტოვებინათ, როგორც ნივთიერი საბუთი, ჩვენი ქალბატონი იმიტომ ცდილობდა ამას, რომ უნდოდა ქმრისთვის დაენახვებინა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა მისი მეგობარი ქალი, ვინც მათ თავისი ოთახი დაუთმო, სონეჩკა კი იმიტომ, რომ ეჩვენებინა, ვინც იყო მისი ცოლი. მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალეს, სონეჩკამ აღარ მოისურვა სირცხვილი ექამა, ცოლმა კი არ ინდომა ქმრის თვალში დაცემულიყო. ამაზე შეთანხმდნენ და უბრძანეს მსახიობს, სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ გასცლოდა აქაურობას, და სწორედ იმ დროს, საქმის ასე სასიკეთოდ შეტრიალებით კმაყოფილმა მსახიობმა დამშვიდობება რომ დააპირა, კარზე მოულოდნელად ისევ გაისმა კაკუნი და ქმრის ხმა:

— სონეჩკა, ძვირფასო, ეს მე ვარ, გამიღეთ კარი!

ოთახში მყოფნი დაიბნენ და აფორიაქდნენ, დრამის მსახიობი ისევ შეც-

მედიკი ბიბლია

ბუნდა, საშინელი ნალველი შემოაწვა გულზე, უნდოდა დივანზე გამოტილიყო, თავი მოეკვამოფებინა ან მოემკვდარუნებინა. მაგრამ დროზე მიხვდა რომ სწორედ ამგვარ პორიზონტალურ მდგომარეობაში უფრო ადვილი იყო ტყვიებით დაეცხრილათ. ასე ფუქსავატურად გამოტევისათვის, მაშინ ოთახში სირბილს მოძევა, ხან აქეთ მიაწყდა. ხან იქით. ყველაფერს ედებოდა. ბორბა კობდა და საშინელ ხმაურს იწვევდა. ქმარი დერეფანში ჩნდა, მაშინ გაოცდა. კარი იმწამსვე რომ არ გაუღეს, ხმაურმაც შეაშფოთა, იფიქრა, ოთახში რაღაც უჩვეულო რამ ხდებოდა და ახლა უკვე ენერგიულად ატეხა კარზე ბრახუნით. მაშინ სონეჩკამ მსახიობს უთხრა:

— აი, ეს კარი ჩემი მეზობლის ოთახში გადის, ახლავე გაგიღებთ. შედიე შიგ. იქიდან კი მოუსვით დერეფანში. კიბეც იქვეა. მხურვალე სალამი!

მერე სასწრაფოდ გადასწია კარზე რაზა და მსახიობს უბრძანა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. მით უფრო, რომ ხმაურით თავგზააბნეული ქმარი უკვე კარის ანჯამებიდან ჩამოგლეჯას ლამობდა, რომ ოთახში შესულიყო. ჩვენი მსახიობი ტყვიასავით შევარდა მეზობლის ოთახში და დერეფნის კარს ეცა. მაგრამ კარი გარედან დაუხვდა დაკეტილი, ვკონებ, ბოქლომით ჩაერაზათ. მსახიობმა უკანვე მოძუძგა, რომ ქალებისთვის ეთქვა, გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, კარი ჩაკეტილია და გზა მოჭრილი მაქვსო, მაგრამ უკვე გვიან იყო. ქმარი ოთახში შესულიყო და ახლა იქიდან ისეთი ხმები მოისმოდა, მსახიობის გამოჩენა ნამდვილად არასასურველ სიტუაციას შექმნიდა.

ჩვენი მსახიობი ისედაც არ იყო დალაგებული, ახლა კი ამდენი ალიაქოთის შემდეგ, მთლად აერია გონება, ერთბაშად წაერთვა ძალა, თავბრუ დაეხრა და საწოლზე გაიშოტა, ასეთ მდგომარეობაში რატომღაც, თავი უკვე გადარჩენილად ჩათვალა. იწვა თავისთვის უქმურ ფიქრებში გახვეული, ხან რა წამოაგონდებოდა, ხან რა, მერე სასიყვარულო გატაცებათა უაზრობაზე დაიწყო ფიქრი, და სწორედ ამ დროს დერეფნიდან გასაღების ჩხაკური მოესმა. ერთი სიტყვით, ვიღაც კართან ჩახირობდა და, ალბათ, ახლავე ოთახში შემოაბიჯებდა.

ანაზღად კარი მართლაც გაიღო და ზღურბლზე მამაკაცი გამოჩნდა ტორგინში წაყიდი ტკბილღვეზელებიანი კალათით ხელში. თავის საწოლზე გამოტილი კაცი რომ დაინახა, მოსულმა გაოცებისაგან პირი გაალო, ვერ გაარკვია, რა ხდებოდა, ერთი პირობა ისიც კი დააპირა, გასულიყო და კარი ზურგს უკან მიეკეტა.

მსახიობმა ბოდიშის მოხდა დაიწყო, რაღაცას გაურკვეველად ლულულღებდა, მაგრამ უეცრად თავზარდაცემულმა დაინახა, რომ ოთახის პატრონი სწორედ ის კაცი იყო, ამ დილით ტრამვაიში რომ ეჩხუბა და ბაქნიდან მიაფურთხა.


რაკი აქედან საღსალამათად გასვლის იმედი დაკარგა, ჩვენი მსახიობი ისევ პატარა ბავშვივით გაიშოტა ლოგინზე, ფიქრობდა, რომ ეს, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ სიზმარი იყო, რომელიც ახლავე გაქრებოდა და მერე დაიწყებოდა შესანიშნავი ცხოვრება ყოველგვარი განსაკუთრებული უსიამოვნებისა და ვაი-ვაგლახის გარეშე.

მოსულს სიბრაზე გაოცებით შეეცვალა და შესაბრალისი ხმით იკითხა:

— რას ჰგავს ეს, ბატონებო? ჩემთან ახლა ნაცნობი ქალი უნდა მოვიდეს, ჩემს ოთახში კი, ვიღაც ოხერ-ტიალი მოკალათებულა, ნეტა საიდან შემოუხეტა, კარი ხომ ჩაკეტილი იყო?

მსახიობმა დაინახა, ხელეზს რომ არავინ ამტვრევდა და არც გვერდებს უზღელდა, სული ოდნავ მოიბრუნა და ამოღერდა:

— ოჰ, პარდონ! მე ახლავე წავალ, მე მხოლოდ წუთით წამოვწევი დასასვენებლად... არ ვიცოდი, თუ თქვენი საწოლი იყო... ამდენი დასჯილობისგან თავბრუს დამეხვა.



აქ, ოთახის პატრონმა, რომლის გაოცება ისევ მრისხანებამ შესცვალა, ყვირილი მორთო:

— ეს რა საზიზღრობაა! ერთი უყურეთ, ჩემს საწოლზე ფეხებით აბრძანებულა. ეგება მე ჩემს ნაცნობებსაც არ ვანებებ საწოლზე ფეხები დამიწყონ. ეს რაღა ახალი ამბავია! დახეთ ამ არამზადას!

იგი მსახიობთან მიიჭრა, მხრებში სწვდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით საწოლიდან გადმოფერთა. უეცრად, მსახიობის სახე ნაცნობი ეჩვენა, და ისიც გაახსენდა, თუ სად ენახა ამ სახის პატრონი.

აქ მცირე პაუზა ჩამოვარდა.

მერე საბტად დარჩენილი ოთახის პატრონი, ამბობს:

— აჰა, აი, როდის ჩამივარდი ხელში, ვაჟბატონო! — და უნდა რომ მოსულს ყელში სწვდეს. მაგრამ ამ დროს კარზე ნაზი კაკუნი ისმის. ოთახის პატრონი ამბობს: — აბა, მადლობა თქვი, რომ ჩემთან მანდილოსანი მოვიდა, სწორედ ის, ვისაც ველოდებოდი, თორემ აქვე ძვალ-რბილს დაგინაყავდი.

ამ სიტყვებით მსახიობს საყულოში სწვდა და კარისკენ წაათრია, რომ დერეფანში ჩვარივით მოესროლა. მის მოქმედებას მსახიობი არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, კმაყოფილიც კი იყო. მაგრამ უეცრად კარი გაიღო და ოთახში საკმაოდ ლამაზმა ქალმა შემოაბიჯა, იგი ოთახის პატრონთან სტუმრად მოვიდა და ერთგვარად მხსნელად მოველინა ჩვენს ყბადაღებულ მსახიობს.

მსახიობმა კი ქალის დანახვაზე უკან-უკან გააბიჯა და გვარიანად შეტორტმანდა კიდევ, რადგან ეს ქალი მისი მეუღლე იყო. დიახ, მართლაც რაღაც გასაოცარი დამთხვევა მოხდა, ჩვენი მსახიობი ბოლო ორი საათის განმავლობაში კრინტიც რომ არ დაუძრავს, ახლა საშინლად აყვირდა და ერთი ამბავი დააწია, ცოლს უბრძანა განემარტა მისთვის, თუ რას მოასწავებდა ეს საიდუმლო ვიზიტი.

ცოლმა ტირილი დაიწყო, მერე აქვითინდა და თქვა, ეს კაცი ჩემი თანამშრომელია და ზოგჯერ მართლაც მოვდივარ ხოლმე მასთან ღვეზლით ჩაის დასალევადო. დარცხვენილმა თანამშრომელმა ამოღერდა: ახლა, როცა ბარბარს ვართ, შეიძლება შევერიგდეთ და ჩაი სამივემ ერთად დავლიოთო! ამაზე მსახიობმა ისეთი ლანძღვა-გინება და ყვირილი ატეხა, რომ ცოლს ისტერიკა დაემართა. ცოლის თანამშრომელმა კი დილანდელი ფურთხისთვის თავი ისევ შეურაცხყოფილად იგრძნო და მსახიობისკენ გაიწია.

ამ აურზაურზე ყველა მეზობელი მათკენ გამოქანდა, რომ ენახათ, რა ხდებოდა. მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი მანდილოსანი ქმართან და სონეჩკასთან ერთად, როდესაც გაიგეს, რა მოხდა, ექვსივე ოთახში შეიკრიბა და იწყეს ბჭობა იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. სონეჩკამ ასე უთხრა თავის მეგობარ ქალს:

— სულ უბრალო ამბავია! აი, რა უნდა ვქნათ. მე ნიკოლაის გავყვები ცოლად, მსახიობმა შენ შეგირთოს, ერთ დაწესებულებაში მომუშავე ეს ორი თანამშრომელი კი სავსებით ბედნიერი წყვილი იქნებაო.

თანამშრომელმა, ვისაც მსახიობის ცოლი ესტუმრა, თქვა:

— ნურას უკაცრავად, ეს მრავალშვილიანი ქალი ცოლად რატომ უნდა შევირთო, მნახეს რაღა სულელიო.

აქ დრამის მსახიობმა თავი გამოიღო:

— გთხოვთ, ჩემს ცოლს შეურაცხყოფას ნუ აყენებთ, მით უფრო რომ სულაც არ ვაპირებ, პირველ შემხვედრს შევაჩეჩოო.



მსახიობის ცოლმა თქვა:

— ამასთან არც კი ვადმოვიდოდი, ნახეთ, როგორი ოთახი აქვს, ბავშვთან ერთად აქ ცხოვრება განა შეიძლებაო?

თანამშრომელმა თქვა:

— მე შენი ბავშვებიანად ამ ოთახს ახლოსაც არ ვაგაკარებდი, ასეთი არა მზადა ქმარი გყავს, და ახლა ჩემს ოთახსაც უქვეშ თვალს. აგერ, ერთი უკვე ჩემს საწოლზე გაშობილათ.

მაშინ სონეჩკა, ბალერინა, შემრიგებლურად ამბობს:

— რაკი ასეა, ბატონებო, მოდიო. ასე მოვიქცეთ: მე ნიკოლაის გავყვები, მსახიობი და მისი ცოლი, როგორც იყვნენ, ისევე დარჩებიან, ნიკოლაის ცოლი კი ამ სულელ თანამშრომელზე დავაქორწინოთ.

თანამშრომელმა თქვა:

— რასა ბრძანებთ! ეს კიდევ უარესი, როგორ არა, ახლავე გავიქცევი ხულის მოსაწერად. ამ გაქუცულ ქალს დღეს პირველად ვხედავ, თანაც რა ვიცი, ვგება ჭიბის ქურდბაცაცაო.

მსახიობმა თქვა:

— გთხოვთ, ჩვენს მანდილოსნებს შეურაცხყოფას ნუ აყენებთ, თანაც ჩემი აზრით, ეს ყველაზე სწორი გამოსავალიაო.

ჩვენი მანდილოსანი ამბობს:

— არაფერიც, მე სულაც არ ვაპირებ ჩემი ბინიდან სადმე გადასვლას. ჩვენ სამი ოთახი და აბაზანა გვაქვს და არავითარი სურვილი არა მაქვს, კომუნალურ ბინებში ვიფრატუნოო.

სონეჩკა ამბობს:

— სამი არამზადას გულისთვის ყველაფერი უნდა ჩაგვეშალოს, რა კარგად გამოდიოდა: მე ნიკოლაის გავყვებოდი, ეს ამას, ესენი კი ძველებურად დარჩებოდნენ.

აქ მანდილოსნებს შორის ატყდა უხეში ლანძღვა-გინება და ანგარიშის სწორება ამაზე თუ იმაზე რის შემდეგაც მამაკაცებმა უგუნებოდ გადაწყვიტეს, ყველაფერი ძველებურად დარჩესო და ამაზე დაიშალნენ.

მაგრამ ყველაფერი მთლად ძველებურად მაინც არ დარჩენილა.

სონეჩკა ცოტა ხნის შემდეგ თავის მეზობელს — მსახიობის ცოლის თანამშრომელს მისთხოვდა, და მასთან დროდადრო სტუმრად დადის ჩვენი მსახიობი, რომელიც ქალს მოეწონა მისი რბილი ხასიათისა და უმწეობის გამო.

ჩვენს ქალბატონს კი მსახიობის ობივატელურმა ხასიათმა გული გაუტეხა და ვილაც ფიზიოლოგი შეიყვარა, ხოლო რაც შეეხება ნიკოლაის, ვგონებ, ამჟამად რომანი არავისთან აქვს გაბმული და მთლიანად ჩაფლულია თავის საშუალოში. თუმცა სონეჩკას ზოგჯერ ისევ ხვდება და დასვენების დღეებში მასთან ერთად ხშირად მიემგზავრება ქალაქგარეთ.

აი რა შემთხვევები ხდება ხოლმე ზოგჯერ სასიყვარულო ფრონტზე.

ამით გვინდა დავასრულოთ ჩვენი სატრფიალო მოთხოვნები და გადავიდეთ შემდეგ ნაწილზე, რომელსაც ვერაგობა ვუწოდებთ.

მაგრამ ამ ნაწილის სიახლოვე საშუალებას გვაძლევს შემოგთავაზოთ კიდევ ერთი ნოველა, სადაც ეს ორი რამ -- სიყვარული და ვერაგობა ერთმანეთს უკავშირდება.

აი, რა მივიღეთ აქედან:

ბოლო მოთხოვნა დასათაურებულია შემდეგნაირად --



1 ვერაგობა და სიხვარული

ახალგაზრდა კაცი, ეინშე სერგეი ბრენოვი, ერთ-ერთი დაწესებულების მიმღები-წუნმდებელი, გაუმეჩნურდა ერთ ქალიშვილს, ვთქვათ, მუშას ან შეიძლება ქალიშვილმა დაუწყო პირველად არშიყობა. ახლა, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, გვიჭირს ამის გარკვევა, ვიცით მხოლოდ, რომ ისინი ხშირად უნახავთ ერთად სარატოვის ქუჩებში.

ჯერ ისე დადიოდნენ, მერე ხელმკლავითაც კი დასეირნობდნენ, სხვადასხვა სააღერსო სიტყვებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ასე შემდეგ. პოდა, ერთხელ ამ მოფრანტო წუნმდებელმა უთხრა თავის გულის ქალბატონს:

— აი, რა უნდა გითხრა, მოქალაქე ანა ლიტკინა, ჩვენ ახლა ერთად დაესეირნობთ, ერთად დავდივართ და, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია გავითვალისწინოთ, რა იქნება ან რა გამოვა აქედან. კეთილ ინებეთ და, ყოველ შემთხვევისათვის, მომეცით ხელწერილი, რამე რომ მოხდეს და ბავშვი დაიბადოს, ჩემ მიმართ არავითარი პრეტენზია არ გექნებათ და შთამომავლობის სარჩენად ფულს არ მომთხოვთო, მე კი, როცა ამგვარი ხელწერილი მექნება, უფრო თბილად და თავაზიანად მოგეპყრობით, თორემ ახლა, როდესაც ყოველ ჩემს მოქმედებას სამოქალაქო კოდექსი უდგას კრიკაში, თავს შებოჭილად ვგრძნობ და ალბათ მიჯობს, გავწირო ჩვენი სიყვარული, ვიდრე მომავალში ვნახობდე ჩემს საქციელს და შთამომავლობის გამოსაკვებად ფულს ვუხდიდეო.

ვერ ვიტყვით, ანა ლიტკინას ძალიან უყვარდა ეს ჩვენი ფრანტი თუ ფრანტმა მხარი მოუქცია, ეს კია, ტყუილუბრალოდ კამათი არ გაუმართავს, ადგა და ქალაღდს ხელი მოაწერა: ასე და ამგვარად, რამე რომ მოხდეს, თქვენდამი არავითარი პრეტენზია არ მექნება, დაე, ასე იყოს, ფულს არ მოგთხოვთო.

ქალმა ქალაღდზე ხელი კი მოუწერა, მაგრამ, რასაკვირველია, რამდენიმე მწარე სიტყვა მაინც უთხრა:

— ეს ყველაფერი ძალიან უცნაურად მეჩვენება, ადრე მსგავი ხელწერილები არასოდეს არავისთვის მიმიცია, მეტისმეტად მწყინს, თქვენი სიყვარული ასეთ ახირებაში რომ გადაიზარდაო. მაგრამ რაკი ასე დაყინებით მთხოვთ, რა თქმა უნდა, შემძლია მაგ თქვენს ქალაღდზე ხელი მოგიწეროთო.

— დიახ, თუ შეიძლება! მე უკვე მრავალი წელია თვალს ვადევნებ ჩვენს ქვეყანას, ვიცი, რამაც ამიტება შიშის ფეთებაო.

ერთი სიტყვით, ანა ლიტკინამ ქალაღდზე ხელი მოაწერა, ბრენოვმა კი აიღო და მისი ნატიფი ხელით ჩაწიკწიკებული ხელმოწერა სახლმმართველობას დაამოწმებინა და ეს ძვირფასი დოკუმენტი გულთან ახლოს შეინახა.

მოკლედ რომ ვთქვათ, წელიწადნახევრის შემდეგ ორივენი სახლახო სა-

სამართლოს წინაშე იდგნენ და თავიანთ ადრინდელ, აწ ჩამქრალ გრძნობაზე შესწიოდნენ მოსამართლეს.

ქალს თეთრი ნაქსოვი თავსაფარი ეხურა და ჩვილს ^{ანანავებდა} მოვაწერე ხელი. მიგრამ აი, გაჩნდა ბავშვი, როგორც ასეთი და მამამაც ინებებს ^{მისთვის} წილის გაღება, მით უმეტეს, რომ ახლა სამუშაო აღარა მაქვსო, — და ასე შემდეგ.

ის კი, ესე იგი, ყოფილი ახალგაზრდა მამა, იდგა თავისთვის ყინჩად და უღვაშებში იცინოდა.

— რაზეა აქ ლაპარაკი? რა ხდება აქ? რა ამბავია, ვერ გამიგია, როდესაც ყველაფერი ისედაც ცხადი და ნათელია და საბუთიც, აგერ, ინებეთ, ხელთ მაქვსო.

მან დიდის ამბით გაიხსნა პიჯაკი, ჭიბები მოიქექა, ცოტა ხნის შემდეგ სანუკვარი ქაღალდი ამოაძვრინა, მოსამართლის მაგიდაზე დადო და უხმოდ ჩაიციხა.

სახალხო მოსამართლემ დახედა ამ ქაღალდს, ხელმოწერას, ბეჭედს, გალიმა და თქვა:

— ეს საბუთი, უდავოდ, სწორია...

წუნდებელმა ბრძანა:

— დიახ, ბოდიში მომიხდია, ასე ვთქვათ, სავსებით სწორია, და, საერთოდ, საეჭვო აქ აღარაფერი რჩება, ყველაფერი გათვალისწინებულია და არც დარღვევებს აქვს ადგილიო.

სახალხო მოსამართლემ თქვა:

— საბუთი, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ არსებობს საქმის მეორე მხარე: საბჭოთა კანონი ბავშვის მხარეზე დგას და მის ინტერესებს იცავს. და ამ შემთხვევაშიც, კანონის მიხედვით, ბავშვი პასუხს არ უნდა აგებდეს და იტანჯებოდეს მაშინაც კი, თუ მამა, შემთხვევით, საკმაოდ გაიძვერა და მამაძალი აღმოჩნდებაო. ზემოაღნიშნულის გამო თქვენს საბუთს არავითარი ღირებულება არა აქვს, და მხოლოდ სახსოვრად თუ გამოგადგებათ. აი, დაიბრუნეთ და საჩქაროდ შეინახეთ გულთან ახლოს განვლილი სიყვარულის მოსაგონებლადო.

მოკლედ რომ ვთქვათ, უკვე ნახევარი წელიწადია, რაც ყოფილი მამა ფულს იზდის, რაც სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია.

ამით, ამხანაგებო, ვამთავრებთ ჩვენ მოთხრობებს სიყვარულზე.

ჩვენ ხელთ გვქონია რვა ამგვარი მოთხრობა და არა ათი, დაე, ასე იყოს. ჩვენი ცხოვრება არც იმდენად მდიდარია სასიყვარულო ამბებით, რომ უსასრულოდ ვიმსჯელოთ ამ მგრძნობიარე თემებზე. ამიტომ მოთხრობებს სიყვარულზე ამით დავასრულებთ.

ქვემოთ წავიკითხავთ კიდევ მცირე ბოლოთქმას და დიდი მღელვარებით გადავდივართ მესამე ნაწილზე, შიშის მომგვრელი სათაურით — „ვერაგობა“.

ამრიგად, გადაიკითხეთ ეს ბოლოთქმა მეორე ნაწილისათვის. იგი მკიდროდ დააკავშირებს ერთმანეთს შორის ყველაფერ იმას, რაც სიყვარულზე ვილაპარაკეთ.

ბოლოთქმა

მაშასადამე, პატივცემულო ამხანაგებო, დავასრულებთ ჩვენი წინამდებარე ნაწილი — „სიყვარული“.

და რა დაეინახეთ, როცა ეს ყველაფერი კეთილსინდისიერად და გულმოდ-

გინედ გადავიკითხეთ? რა დასკვნა გამოვტანეთ, როდესაც ჩავეიკითხეთ წიგნი
ლები ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან და სასაცილო მოთხრობები. წაბ-
სულში მომხდარი ამბებიდან?

ჩვენ დაეინახეთ, რომ სიყვარული, რაგინდ გასაოცარიც უნდა გვეჩვენოს
ეს, უბირველეს ყოვლისა, დიდ უსიამოვნებებთან არის დაკავშირებული, ხან
სიცრუე გამოაშქარავდება, ხან ჩხუბი და დავიდარაბა ატყდება, ხან თქვენი
სატრფოს კმარი რეგვენი აღმოჩნდება, ხან იმგვარი ცოლი შეგხვდება, როგ-
ორც ამბობენ, თავბედს გაწყევლინებს, ხან საშინელი ანგარების მოწმენი
ვხდებით, როცა ზოგ-ზოგნი იმაზედა ფიქრობენ, როგორმე ფული ხელთ იგ-
ღონ.

ჩვენი უმთავრესი დასკვნა მაინც ის არის, რომ ძალზე საძაგელი ხასიათის
პატრონები ვართ. ეს ჩვენი ხასიათი ჭერჭერობით ნაკლებადაა მომზადებული
ისეთი შესანიშნავი გრძნობისათვის, როგორც გახლავთ, მაგალითად, სიყვარ-
ული, ქორწინებები, კეთილშობილ მანდილოსნებთან შეხვედრები და ასე
შემდეგ. დიახ, უნდა ვალიაოთ, რომ მეტიმეტად ცუდი და ანგარებიანი ხა-
სიათი გვაქვს, რისი წყალობითაც თვითონვე ვიბერგავთ ნათელი ცხოვრებისკენ
მიმავალ ყველა გზას.

და ამ მხრივ ცოტათი მაინც გვშურს იმ მომავალში სრულიად ახალ ყაი-
დაზე აღზრდილი ახალგაზრდებისა, რომლებიც უზრუნველად იცხოვრებენ,
ვთქვათ, ამ ორმოცდაათი წლის შემდეგ, აი, ისინი კი ნამდვილად გაინაღდებენ
თავისას, ეშმაკმა ნუ იცის მაგათი თავი! არ დაკარგავენ დროს ყოველგვარი
სისულელის — ვთქვათ, ჩხუბისა თუ ყვირილისათვის!..

წარმოდგენილი გვაქვს, რა გასაოცარ, უმშვენიერეს ქალებთან გააბამენ
ნაცნობობას!

ვინმე ფუტურო კაცუნაც კი, არსებითად არაფერს რომ არ წარმოადგენს,
ალბათ სხვებთან ერთად იცხოვრებს იმ დროის ადამიანთა შესაფერისი ზღაპ-
რული და საუცხოო ცხოვრებით, რისი ღირსიც მაშინდელი ადამიანები იქნე-
ბიან.

ოჰ, არა, ჩვენ არ ვწუწუნებთ, ამ მხრივ, ნაწილობრივ მეტად კმაყოფილე-
ბიც კი გახლავართ ჩვენი სამიჯნურო საქმეებით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს
ხელს არ გვიშლის ნაკლიც რომ დავინახოთ, მაგალითად, ვთქვათ, ჩვენი ნაც-
ნობი ქალი დაუდევრად არის ჩაცმული, ხედავ, თავზე ისეთი ქუდი წამოუკო-
სებია, რომ მის დანახვაზე ცხენები ფრთხებიან, ხან რესტორანში წაყვანას
გთხოვთ, აგერ ამას წინათ ერთი მანდილოსანი ხელკავით მომყავდა და, წარ-
მოდგინეთ, ფეხსაცმელზე ფრანგული ქუსლი მოსძვრა, რაც მთავარია, რცხვე-
ნია, ძლივძლივობით დადის, — ცალი ფეხი მოკლე აქვს, მეორე — გრძელი,
სიარულისას კოჭლობს, მე კი ნებას არ ვაძლევ ფეხსაცმელი გაიხადოს და წინ-
დების ამარა იაროს, როგორღაც მეთაკილება გვერდით ასეთი მანდილოსანი
რომ მომყვება, ეტლი არსად ჩანს, ფულიც ცოტა მაქვს, რომ ქალის წასაყვანად
ვინმე ვიჭირავო, ჯანმრთელობა კი ხელს არ მიწყობს, რომ ხელში აყვანილი თა-
ვად წავიყვანო, მანდილოსანი ტირის, ოჰ, რა არ გადაგხდება ხოლმე ზოგჯერ
თავს.

რა თქმა უნდა, მარადიულობასთან შედარებით ყველაფერი ეს უბრალო
და უმნიშვნელო წვრილმანია, მაგრამ ადამიანი მაინც ისწრაფვის კომფორტი-
საკენ, რაც ჩემი აზრით, უკვე აღარც ისე შორს უნდა იყოს.

დესანკა გაქსიგოვიჩი

ლექსები



სერბიულიდან
თარგმნა მადია კახიძემ

ტაძარი

ომში მხედარი თუ დაანგრევს
ღვთის კუთვნილ ტაძარს,
დაე ძაღლები მიუსიონ
თუ სიტყვას დაძრავს,
ანდა ფეხებით ჩამოკიდონ
გამხმარ ხეს ნაძრახს.

და თუ სიმძიმით ჩამოწყდება
ბაწარი ხეზე,
ან ტოტი ტვირთის
დაკავებას დიდხანს ვერ შეძლებს,
ნუ დაახანებთ მარჯვე ხელით
ვანგმირეთ ზეზე.

თუ ანგელოზი ხელისგულებს
ფარივით გაშლის,
მხედარს მოჰკვეთონ ორთავ მკლავი
შიგ ძირში მაშინ,
ეკლებზე იწვეს, ვერ დაბრუნდეს
ვერც როდის სახლში.

ჭიანჭველებმა თუ მიკერძეს
ცვარი და ცერცვი,
დაე შიშველი
ჯოჯობეთის ჩავარდეს ცეცხლში.

წვიმის მდინარე
ჩასაქრობად თუ კოცონს ეცა,
ეს იმას ნიშნავს
რომ ჯარისკაცს

იფარავს ზეცა,
თუ ასე მოხდა
უნდა ერთხმად ვირწმუნოთ მაშინ
რომ ჯარისკაცმა სიკვდილისგან
დაიხსნა ბავშვ

დამცინავეები

მეფეო დუშან! შენ შეიწყალე
ვისაც, საცინლად ყოფნის ყოველი
მთეარის ავსება, სიმშვიდე სხვის,
ხომლი ასობით, ველზე მთოველი.
ცნობისმოყვარე ნაკადულები,
იები მინდვრის სამკაულები,
ის ვინც ამ ქვეყნად
მარტოსულია
და რაც მიწაზე ამოსულია.
ისიც, ვინც ბოროტს
არ გავს სრულებით.
ვისაც მთელი დღე
ყოფნის საცინლად,
ვნება ხანგასულ ბერიკაცისა,
დასცინის თუ კაცს
აცვია ფლასი,
იმასაც რასაც აქვს დიდი ფასი,
სასაცილოა ქვეყანა მისთვის,
დასცინის ყველას,
ვინც იღწვის სხვისთვის.
მდიდარია თუ ჩრდილზე ღარიბი,
ყველაფერს ზომავს ერთი ყალიბით
და საწუთრო კი როგორც ექსპრესი
მიქრის ვეწევით ნისლში ვერც ერთ

მეგობრად ჩაქოლვა

კლების ქალების ჩასაქოლად
თუ არ მოდიან,
თუ არ სურს ვისმე ჩააქვევოს
ღიაცი სიძვის,
სჩანს. ქვეყანაზე
სხვებსაც ბევრი შეუცოდიათ,
თუ ადგილიდან ჩასაქოლად
არავინ იძვრის.

დაე მოუხმეთ სეფე ქალებს
მაშინ სასწრაფოდ,
ქვების სროლაში
შიშველ მკერდზე
ხელი გაწაფონ.
თუ ვერც ისინი გაბედავენ
სროლონ ქვები,
მაშინ მონაზვნებს
ვინც ღირსია, ყოველგვარ ქების
ბიეცით ნება
შელანძღული ქალის ჩაქოლვის,
ვინც ფოთოლივით
სიყვარულში არის ნათრთოლი!
თუ მონაზვნებმაც მოინდომეს
ქალის შენდობა,
მაშინ ამალით
უხმეთ დედოფალს,
თუ დედოფალმაც
მძიმე ცოდვა, თავს არ იტვირთა.
ტრფიალში ცოდვილს
არ დაუშვა, თავში რიყის ქვა.
მაშინ მცველებმა
არ დაიწყონ
ფუჭი კამათი,
დე, ნირწამხდარი
მოედანზე დარჩეს ჭალათი,
დაე, მოკურცხლოს შერცხვენილმა
საითაც უნდა,
ნუ დაეწევა გზაზე წყევლა,
ნურც თოვლის გუნდა!

მოჯამაგირა ერნეი

მე ვთხოვთ შეიბრალოთ
საბრალო ერნეი,

რომელსაც კანონი
არასდროს არ სწყალობს,
არ უნდა იმედის
ფარ-ჩმალი დაყაროს,
თუმც უსიხარულოდ
შეყურებს სამყაროს.



ქომაგად ვუდგები
მხნე მოჯამაგირეს.
ვისი გავლებული ხნულები მიწაზე,
სიგრძეში ნამდვილიად
აჯობებს ეკვატორს,
ვის თავზეც იმდენი
ქვა ღორღი ამტვრიეს
სიძკვრივით, სიმაგრით
ერთ მწვერვალს შეამკობს.
რამდენსაც ერნეი
დააწყობს ძნებს ძნებად.
ყვავილის მკრეფავიც
იმდენს ვერ შეძლებდა.
გავედრებ ერნეის
მხნე მოჯამაგირეს,
რამეთუ ამოდ თბოულობს უფლებას,
სურს მხოლოდ სინდისის
და შრომის სუფევა!
მე ვთხოვ შეიბრალო
მაშვრალი ერნეი,
დილიდან დამემდე რომელიც
გაყვირის.

— ჩემს ნახნავ ხოდაბუნს
მიწას ორ ადლიანს,
დაეუთმობ არავის
არც ჩემს თავს, საკუთარ
მხრებზე რომ მამია!
მე მინდა დავიცვა
ყოველი საწყალი,
რომელსაც მეფე და
კანონი არ სწყალობს.
მე ვთხოვ შეიწყალოთ
საწყალი ერნეი,
ხელმწიფის საბლობის
დაქცევის მდომელი,
ათას ფუთ ქვებზედაც
ათასჯერ მძიმეა,
ის წყევლა ხელმწიფეს
ეკუთვნის რომელიც!

ციური ფრინველები

მონასტრის ბერებს და
 ღვთისმოსავ წინამძღვარს,
 დე გულს უჩუყებდნენ
 მზეწვია ჩიტები,
 რადგან ზეცაში
 ცხოვრობენ ღვთის ნებით.
 ყვავის გუნდს, მიხრწნილებს
 შიმშილით, სიცივით,
 პურის ნამცეცებით
 კვებავდნენ ისინი.
 დე გულით ეცადოს
 ქორებისკოპოსი.
 როცა მზე ვერ აღწევს
 თავს ზამთრის ტყვეობას
 ნუ დააკარგვინებს
 წიფწივებს მხნეობას.
 — როდესაც არსაით
 წვეთიც არ უსხიათ
 უმწეოდ ებრძვიან
 იანვარს სუსხიანს.
 შეინდეთ, გინდ ეზო
 ჩიტებმა წალეკონ,
 მტრედების, გვრიტების
 მწედ იქცეს სამრეკლო.
 თუ მიტროპოლიტის
 ან ეინმე მთავარის,
 გარშემო ჩიტუნა
 არ ფრინავს ფრთამალი,
 თუ სახლწინ ფრინველი
 ბუდეს არ იკეთებს,
 არ ამწყალობებენ
 ჩიტუნებს სიკეთეს.
 მას ნურვინ შეუნდობს
 ნურც უთაყვანება,
 ისინიც ჩავთვალთ
 საბრალო ყვავებად.

საკურთხეველი

ნება არ აქვთ მიეახლონ
 ღვთის საკურთხეველს
 უშვილძიროებს,
 გათხოვილებს
 და უქმრო მხეველებს

მედიანაწარმოების

შეირაცება დედოფალს
 მისი ასულიც
 საკურთხეველთან თუ მივიდა,
 — როგორც ^{უჩუყებდნენ} ~~მზეწვია~~
 თვით მღვდელთმთავარი
 უნეტარეს მღვდლების ამალით,
 მონანიების და შენდობის
 ლოცვებს ადავლენს —
 საკურთხეველთან დაჩოქილი
 ათ დღეს, ათ ღამეს.

— თუ საკურთხეველს მიეახლა
 ქალი საწყალი,
 უსიერ ტყეში გაისტუმრებს
 მეფე გამწყრალი.
 დე ფიქვის კედელს მიეყუდოს
 ღამით მარტოკა,
 ემუქრებოდეს მალლა სვაკი
 დაბლით მარტორქა.

ხანის მკალი

მე გთხოვთ
 შეიწყალოთ გლეხკაცი მშრომელი,
 კვდება და კვლავ მოდის
 ბალახად რომელიც,
 ვინც მტკაველ მიწაზე
 ახარებს კართოფილს.
 ნაგვალვი სიმინდი
 არ მოსდის სამყოფი.
 შეინდეთ რამეთუ
 პაპის გზას ადგანან.
 ხან სიტყვით ხან საქმით
 ცდებოდნენ რადგანაც,
 ამ მიწის ერთგული
 გლეხკაცი შეინდეთ.
 რომელსაც სწამს ღმერთი
 და უყვარს ცხელი მზე,
 თუმც თვალწინ უქრება
 სულ თითო ოროლად,
 ანწლია, მწერია თუ მინდვრის
 ტოროლა.
 ის მაინც მხნედ არის
 მოწყალე ხელმწიფევე,
 ყოველდღე ცხოვრებას უხვდება
 კაცივით.

თუ ვინდაც მარტოდენ
იმიტომ შეინდე,
ქვეყანას უტოვებს
ათზე მეტ ვაჟიშვილს!

მაცნე

მეფესთან მოჩქარე მოციქულს
მაცნეს რუსეთიდან, რომიდან,
დე კალთა წყალობით აუვსეთ
რადგან სხვა ქვეყნიდან მოვიდა.
როგორც კი სოფელში შემოვა,
მასპინძლის ადათი იწამეთ,
თაფები დაბარეთ მიწამდე,
პატივი მიაგეთ იმწამსვე.
როცა დაპურდება დაღლილი,
გაყვება მეზობელ შარაგზას,
კაუფრთხონ გზადაგზა ნადირი,
არ გააძარცვინონ ავაზაკს,
ღიაცვან ქარისგან ავდარში
ისე ვით წვიმისგან ლადარი.

თითისტარზე მრთველი

ებრძანებ სამეფოს შემოგარენში
ნუ შეახვედრებთ ნურავის წყენას,
დე მოძალადემ დათმოს თარეში,
ღიაცხროს ყველამ ბოროტი ენა.
თვით თითისტარზე
მრთველ ობლის მიმართ
მოვითხოვ თქვენგან პატივისცემას.
თუ გადათქერავს ცხენების რემა,
ბატონის მდელოს ან მეფის ყანას,
მას დამცველები საკმაოდ ყვანან,
და ჯოგს გომურში შეყრიან ხელად.
მაგრამ თუ ობლის კანაფის ნათესს
ფეხქვეშ გაიგდებს თავხელი ცხენი,
ფეხებს მოვამტვრევ ჩლიქებში
თავხედს,

ველებს შევეუსობ მწვალებლის ხელით.
ნუ აღმოხდება ნურავის ოხვრა,
ვინმეს წყალობით ღარიბის ქობმახს,
რადგან, ისე ვით სასახლეს მეფის,
ქობმახს, რომელსაც ღარიბი ეთქმის,
თავზე წყალობად მზის შუქი ადგას
მოწყალე ღმერთი იფარავს რადგან.

გუთნისდედა



კვირაში ორჯერ გუთნის დედას,
როგორც ჩვეოდა, ერქმუნული
მოემსახუროს უნდა ფეხდამსმენ
ერთი დღეც ალბათ დაჭირდება
ვენახის ფარცხვას
და მეორე დღეს რიყრაყამდე
აკეთოს არცრა.
თიბოს და თიბოს,
მომდევნო დღეს იმავე გზნებით,
მცხუნვარე მზეში ქვით მოკირწყლოს
სამეფო გზები.
დაატრიალოს დოლაბები უნდა
წისქვილის.
მონასტერს ფქვილი ჩამოუფქვას
თეთრი ფიფქივით.
ერთი დღეც ბატონს მოუხადოს
უნდა ბეგარა,
და სახურავი შეაკეთოს
ცერზე შემდგარმა,
გადაარჩიოს ხელმწიფისთვის
პური სათესლე,
რომ არ მოაკლდეს ხვავი ნათესებს,
დანარჩენ დღეებს
გუთნისდედას მოწყალედ ვჩუქნი,
კვირას უბოვის ზედმეტ დღეს თუ კი!

ლტოლვილი

თუ მოხდა ისე ლტოლვილი მონა,
ვის გულში დახსნის იმედი ბოლავს,
სერბი, ბერძენი ან ალბანელი,
ტყვე, ვინც გადმოვლო
უცხო მთა-ველი,
სთხოვს შეწყალებას
ხელმწიფე-ბატონს
ხელმწიფე ტყვეს არ დატოვებს მარტო.
მეფის სახლობამ სამეფო კარის,
უნდა გულლიად გაულოს კარი.
თუმც ტყვე, დედოფლის
არ არის ტოლი,
წყალი მიართვას დაქანცულ
ლტოლვილს,
ვიდრე მდევარი ჩლიქებით მოცვეთს
მდელოს და ბრაზით

მოწყალედ ექმენ
 უღრან ტყეში ვისაც გაყვება,
 ჩბიკვებისა და შაშვის გუნდი
 ერთგულ მაყრებად.
 ვისაც მცირედიც
 ყოფნის გულის გასახარებლად,
 ტყე ფურცელ-ფურცელ გაუშლია
 ვით სახარება.
 მეფე-დედოფალს
 ტყე როდესაც დაუსევამს კითხვას,
 გთხოვთ მიპასუხოთ!
 ერთმანეთი თუ მართლა გიყვართ!
 პასუხს ჯერ ვაყი,
 მერე ქალი წარმოსთქვამს გზნებით,
 წმინდა ტაძარში, ჩვენ ჯვარს ვიწერთ
 ჩვენივე ნებით.
 ეს იმას ნიშნავს
 ქვეყანაზე ბედნიერები
 ვიქნებით და გზებს დაგვიფარავს
 მზე მზის ფერებით.
 მთვარის ნათელით
 იკაშკაშებს იმედი ხვალის,
 არ ვიწუწუნებთ
 ჩასაყლაპად წინ დაგვხვდეს ხრამიც.

სიკვდილს დავიწყებული

მეფეო დუშანი!
 შეწყალებას
 მე გთხოვ იმათთვის,
 ვის სულშიც მუდამ
 ქარჩამდგარი ამინდებია,
 ვისაც აცოცხლებს
 სიმღერები ძველი წინაპრის
 და წარსულ დღეებს
 ორთავ ხელით ჩასჭიდებია.
 ისე, ვით წინათ,
 წერს ასოებს
 კვლავ ძველებურად,
 თუმცა ამგვარად
 დღევანდელ დღეს
 არვინ აღარ წერს.
 ფებს ვერ აჩქარებს,
 დაკოჭაობს გზაზე ბებრულად,
 წუხს რომ არავინ არ აფასებს
 მის ძველ ნაღვაწევს.

მოუხმობს სიკვდილს
 მივაბლოს საწყალს ეგების,
 რადგან ელავ გულს სტკენს
 ტკივილები განშორებებს,
 გარს ჩიტებივით - **ქრქვენი**
 ახვევია მოგონებები.
 გულში ფერფლია ჩარჩენილი
 ძველი ვნებების.
 მოწყალედ ექმენ,
 რადგან მისთვის
 არის ძვირფასი,
 ეს სულერთია
 ძირტკბილი თუ
 მწარე წლებია,
 გონების თვალთ
 წარსული ვერ გადააფასა,
 მამის სახლივით
 ის დრო ჯერ არ დავიწყებია.
 ის ჩამქრალ მნათობს
 დღესაც ისევ უდგას ქომაგად,
 და ძველი თოვლის გახსენება
 გულს სტკენს ორმაგად.

გლეხის კალეგი

დე გლეხის ქალი
 დღეგრძელი იყოს,
 ხულოში სულს რომ
 უბერავს ბიკონს.
 ახალგაზრდული მათი სიცილი
 დე,
 დულდეს როგორც
 ქვევრში მაქარი,
 შენ დაიფარე,
 თვალთა ციმციმი
 მათი ოცნება მზეში გამთბარი,
 ვისი კალთებიც, ტკბილსასურველი
 გაყდენთილია თივის სურნელით,
 ვინც წლობით შვილებს
 შობდა უპოვრად,
 და ვინც უყვარდათ —
 ახსოვთ ბუნდოვნად.
 იყოს დღეგრძელი
 ბევრის ამტანი,
 მათი მთრთოლვარე
 ნაზი გულები.

ყოველ საღამო
ჩხუბით, ტატანით
დედამთილისგან დატუქსულები
ადრე მოწყვეტილს
დედის კალთიდან
საჭმარო გაზრდას
რომ არ აცლიდა.
შემორჩენიათ რაც კი აქამდე
ძველი თილისმა შვილის აკვანზე
თუ ბაზილიკა
სხვენში ნადები,
ან უფლისწულზე ძველი ზღაპრები,
იყოს დღეგრძელი
მათი დარდები,
ღვთისადმი რწმენა
და თავდადება,
მას ვისაც სჯერა,
შვილი ბრძოლაში
თუ მოკვდა და ზვალ
ველარ მოვა შინ.
განგების ნება არის ყოველი,
თავს დაატეხა ღმერთმა რომელიც.

ვინც მუდამ გორძიანით დადის

გთხოვ შეიწყალო
კაცი მიმნდობი,
ვისაც აკვირვებს
ცა და მინდორი.
ის ვინც კვლავ სუნთქავს
ბავშვურ ვნებებით,
დარჩნენ მარადის მეოცნებენი.
ვინც წყალში იდგა
და ვერ დარწყულდა,
დათმო განძი და
ცხოვრობს საწყლურად.
ისინი, ვინც მე
არ მგავს სრულებით,
ისიც ვინც არის
ჩემი გუნების.
წყნარი მწუხარე
გულის პატრონიც,
უწიგნურნი და უეშმაკონიც.
ვინც ბორძიკ-ბორძიკ
მიდის მიჯნამდის,
ძირს უვარდება, ვისაც ფინჯანიც.

ვისაც მიერგო
ღვთისგან ეს ხვედრი,
უყვარს ყოველი
გზაზე შემხვედრი,
ფიქრში წასული
პეშვით მიქონდეს
თითქოს ნამწყალი.
შეინდე, ვინც მე
არ მგავს სრულებით
ისიც, ვინც არის ჩემი გუნების!

ბერი

შეინდე ბერი, მაცხოვრის სურათს
ვინც შეპფოფინებს
გულით კი ცრუა.
ვინც მიჯდომია სასანთლეს დიდხანს,
ლამეს ანდომებს ბიბლიის კითხვას,
და ფურცელ-ფურცელ
გაკვრიოთ თვალს ავლებს,
სასიყვარულო თავგადასავლებს,
სახელდახელოდ გადაშლის უცებ
ძმის მკვლელ კაენის
შემზარავ ფურცელს.
არც ათი მცნებით
არ ილღის თვალებს,
სტოვებს და სტოვებს
ზედიზედ ბწყარებს.
და უცაბედად დაარკობს მზერას
სადაც სცოდავენ ადამ და ევა.
სტრიქონებს მისდევს
გულდასმით თითით,
მოსწონს რუფის და
სოდომის მითი.
სიძვის დიაცზე ღიმილს ვერ მალავს,
გაელვიძება ვიდრემდე მამალს
ვიდრე გაუთბობს მზე
ბუდეს გვრიტებს,
ფურცლავს და ვნებებს
გულში ვერ იტევს.
შეინდე ბერი,
ვინც სატრფოს ჩურჩულს,
სიზმრებში ისმენს
და ებრძვის ურჩხულს,
ვინც ძილში ქალებს
მიარღვევს მტკრულით.

და უკან ჰაბუკს
 ბისწივის მტერი,
 ვინც სამოთხიდან
 იტაცებს სატრფოს,
 და ღამღამობით
 სიზმრებით ათრობს.

უფლისწულის ქორწილი

მამა ხელმწიფე
 როცა შვილის ქორწილს გადაწყვეტს,
 მოუხმეთ ყველას, წამოჭიმონ
 მისთვის სასახლე.

დაე მოუხმეთ ახალგაზრდას,
 ქალს თუ ბერიკაცს,
 სასახლის კარი ერთად შეიკრას,
 დე შევარდნები ბაზიერმა
 უძღვნას საჩუქრად,
 და მეჯინებემ ჯოგმრავალი
 კვიცი ჩაუქა.

ხელმწიფემ ყმები სიძუნწეში
 რომ არ დაძრახოს,
 უნდა სიუხვით მოაწონონ
 თავი სამძახლოს.

და თუ დედოფალს შეეძინა
 მეფის ასული,
 კეთილშობილის უნდა იყოს
 ჩადგან ნათლული.

დე ნათლობის დღეს
 იბრწყინვალონ ოქროს შანდლებმა,
 ლოცვა კურთხევა აღავლინონ
 მამამთავრებმა.

ოქროქსოვილი მიუბოძოს
 ყველა მქსოველმა,
 და ქარავანმა გაიაროს
 გზაზე რომელმაც
 პატივი დასდოს დიდვაჭარმა
 მეფის სამთავროს,
 ოქროს მონეტით
 მეფის შვილთან თავი დახაროს.

რაც აბადიათ მოუყვანონ
 არა ნაკლები,
 სოფლის მწყემსებმა
 მეფის ასულს თოთო ბატკნები.
 მაგრამ საწყალი
 როცა შვილის ქორწილს გადაწყვეტს,

ღარიბი ქოხი
 მიიჩნიოს უნდა სასახლედ.
 დე მეზობლებმა შეუკეთონ
 დაუყვედრებლად
 ქოხი, ქორწილი იზეიმონ
 ძველმა კედლებმა.

დე ხვავ-ბარაქა
 მიეშველოს შემოდგომური
 ხელხვავრიელად გამოუესოს
 სხვენი, გომური.
 რომ არ დაუხვდეს
 ძვირფას მძახლებს
 ნაუცბათევად,

და ბუ არჩიოს ქორწილის დღეს
 მღვდელსაც, მნათესაც.
 თუ ღარიბ ქოხში დიბადა
 გლეხის ასული,
 მოლაღურების, ბულბულების
 იყოს ნათლული.

თავთან დაეცეს
 ანგელოზის ხელით ნამკალი
 ოქროს მონეტა
 მოწყვეტილი ზეცის ვარსკვლავი.
 აბლაბუდებმა მოუქსოვონ
 ქსოვილი საბნის,
 და გამოზარდონ გლეხის დაწულ
 ტირიფის აკვნით.

მხედარი

მხედრიონიდან დაბრუნებულ მეომარს
 ძვირფასს

დიდი ბატონი იქნება თუ ყმა ვინმე
 იგი,
 მეფე უბოძებს საგარეო ტანსაცმელს
 იმ წამს

და სამი კვირით
 ჯალაბობას მოუსხამს ირგვლივ.
 ხელმწიფე აძლევს სალალობოდ
 მხედარს სამ კვირას,
 რომ მთიდან სურით
 მოუტანონ წყარო ცივცივი,
 ძველმა ჰანგებმა აუჩუყოს
 გული საკვირვლად.
 უმცროსმა ძმებმა
 ცხენს დაბანონ სიცილ-სიცილით,

გადმოიფრინოს შევარდენმა ლამაზი
 მთები
 მცხუნვარე მზეში მოუჩრდილოს
 დიდრონი ფრთებით.
 მხედრიონიდან დაბრუნებულ
 მეომარს ძვირფასს,
 დიდი ბატონი იქნება თუ
 ყრმა ვინმე იგი,
 მეფე უბოძებს საგარეო ტანსაცმელს
 ძვირფასს.

და სამი კვირით
 ნათესავეებს მოუსხამს ირგვლივ.
 გინდ მოსამართლემ დაიბაროს.
 სახლის წინა ზღვარს
 არ გადასცდება
 გინდ დასჭირდეს საყდრის
 წინამძღვარს,
 გინდ მოეჩვენოს ყველას საკვირვლად
 უნდა უცადოს ხალხმა სამ კვირას.
 მეფის სახლობამ, მონასტრის
 მრევლმა,
 თვით მოციქულმაც
 უცადოს ყველამ!

კონკია

თავდებად ვუდგები
 უზადო სიტურფეს,
 ობოლს ვინც, ობლობის
 სიმძიმე იტვირთა,
 კონკიას გავედრებ
 გომურში მძინარეს
 ვის თავზეც ყოველდღე
 შურის ზღვა მძვინვარებს.

ვიდრემდე კონკია
 ძილშია წასული.
 ნაწნავეებს უვსებენ
 ფერფლით დაწნაწნაწნა
 ხელმწიფის მეჭლისხე
 ბოროტი ასული,
 ცეკვავს და ზეიმობს
 და დედინაცვალი
 აზომებს გონჯ ასულს
 კონკიას ფეხსაცმელს
 და გამწარებული
 აცმევს და ვერც აცმევს.
 შენ ექმენ, მეფეო,
 კონკიას თავდებად,
 ვისი დღეც უმზეოდ
 საბძელში თავდება.
 ის ერთი ლამაზი
 საბრალო გერია,
 რომელმაც ცხოვრება
 ვერ მოიგერია.
 თვალით არ უნახავს
 ხელმწიფის მეჭლისი,
 გადავიწყებია
 აწმყო და მერმისი.
 და დედინაცვლის
 ბოროტი ასული
 ცეკვავს უფლისწულთან
 ბურანში წასული.
 მეფეო, ექმენი, კონკიას მოწყალედ
 ის მშვენიერია, შენა ხარ მოწამე,
 ის თუმცა ბრწყინავს და
 სიტურფეს ვერ იშლის,
 ვერასდროს იცეკვებს
 ხელმწიფის მეჭლისში.





ინგლისურიდან

თარგმნა თამარ მხარგრძელმა

ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ისტორია

პირველი თავი

რემო საყვარელო ბავშვებო!

მინდა იესო ქრისტეს ცხოვრების ისტორია გიამბოთ. მის შესახებ ხომ ყველამ უნდა იცოდეს. ის იყო ყველაზე კეთილი, სათნო და უწყინარი ადამიანი. ვისაც კი ოდესმე უცხოვრია. ბოროტებს, ავადმყოფებსა და ჩაგრულებს რომ ბედავდა, გული სიბრალულით ევსებოდა. ახლა იგი ზეცაშია, სადაც, იმედია, ჩვენც ყველანი წაველთ და შევხვდებით ერთმანეთს სიკვდილის შემდეგ. იქ კი მარად ბედნიერები ვიქნებით. ვერასოდეს წარმოიდგენთ, რა კარგი სამყოფელია ზეცა, თუ არ იცით, ვინ იყო იესო და რა გააკეთა.

ის დაიბადა ბეთლემში ძალიან დიდი ხნის, დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ. მისი მშობლები ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ საქმემ მოითხოვა და ბეთლემს გაემგზავრნენ. მამას იოსები ერქვა, დედას კი — მარიამი. ქალაქი მათსავე ჩამოსული ხალხით იყო სავსე. ამიტომ იოსებმა და მარიამმა ვერც ფუნდუკში, ვერც კერძო სახლში, ადგილი ვერ იშოვეს და ბაგაში მოთავსდნენ. ამ ბაგაში იშვა იესო ქრისტე. იქ არც აკვანი იყო, არც სხვა რაიმე ბავშვის ჩასაწვენი და მარიამმა თავისი პატარა, ლამაზი ბიჭუნა კუთბეში მიაწვინა, სადაც საქონელს თივასა და ჩალას უყრიან. ბავშვსაც იქვე ჩაეძინა.

ამ დროს მინდვრად მყოფმა მეცხვარეებმა იხილეს ღვთისგან მოვლენილი ჰაეროვანი და მშვენიერი ანგელოზი, მათკენ რომ მოფრინავდა. ისინი შეშინდნენ, მიწაზე დაემხნენ და საბეები ჩამალეს. მაგრამ ანგელოზმა თქვა: „აქ ახლოს, ქალაქ ბეთლემს, დღეს იშვა ყრმა, რომელიც ისეთი კეთილი გაიზრდება, რომ ღმერთი საკუთარ ძესავე შეიყვარებს. იგი ადამიანებს ერთმანეთის სიყვარულს ჩაუნერგავს, რათა არ იჩხუბონ და გული არ ატკინონ ერთიმეორეს. ეს იესო ქრისტეა. ხალხი მიხვდება, რომ იესო ღვთის საყვარელი ძეა და მის სახელს ლოცვებში მოიხსენიებს.“ ანგელოზმა მწყემსებს ისიც კი უთხრა,

წადით და ბაგაში მძინარე ბავშვი ნახეთო, ასეც მოიქცნენ. შევიდნენ თუ არა ბაგაში, მძინარე ბავშვის წინ დაიჩოქეს და თქვეს: „ღმერთმა აკურთხოს!“

იმ ქვეყანაში მთავარი ქალაქი იერუსალიმი იყო, ისე როგორც ლონდონია ინგლისში. იერუსალიმში ცხოვრობდა მეფე ჰეროდე, მასუფრეუფელეთის შორეული ქვეყნიდან მოგვები ეახლნენ და უთხრეს: „ჩვენ მსჯელობის სკვლა ვიზილეთ, იგი გვამცნობს, რომ ბეთლემში დაიბადა ყრმა, რომელიც ყველასთვის საყვარელი ადამიანი გაიზრდება.“ მეფე ჰეროდე ძალიან ბოროტი კაცი იყო და ეს ამბავი რომ შეიტყო, შურით აღივსო თავი კი ისე მოაჩვენა, თითქოს გულში ავი განზრახვა არ ედო და სად არისო ყრმა, იკითხა. მოგვებმა მიუთქეს: არ ვიცით, მაგრამ ალბათ ის ვარსკვლავი გვიჩვენებს, წინ რომ მიგვიძღვისო. ჰეროდემ უბრძანა, თუ ყრმას იპოვიო, ჩემთან დაბრუნდითო. მოგვები წავიდნენ, ვარსკვლავი მათ კვლავ წინ უძღლოდა, ბოლოს იმ საბლის თავზე შეჩერდა, სადაც ყრმა იმყოფებოდა. ეს მართლაც სასწაულებრივი იყო. ღმერთმა იხება ასე

მოგვები ბაგაში შევიდნენ და იქ იხილეს პატარა იესო დედასთან, მარიამთან ერთად, ძალიან შეიყვარეს იგი და ძღვენი მიართვეს, მერე იქაურობას გასცილდნენ, მაგრამ ჰეროდესთან აღარ წასულან, მიხვდნენ, რომ ის შურიანი იყო თავიანთ ქვეყანაში ღამით დაბრუნდნენ, იოსებსა და მარიამს ანგელოზი გამოეცხადა და ამცნო, თუ ყრმას ეგვიპტეში არ წაიყვანო, ჰეროდე მოკლავსო. დედა, მამა და შვილი ღამით გაიპარნენ და ეგვიპტეში მშვიდობით ჩააღწიეს

უწყალო ჰეროდე დარწმუნდა, რომ მოგვები არ ეახლნენ, თვითონ კი ვერ გაიგო, სად ცხოვრობდა ყრმა იესო ქრისტე, ამიტომ დაუყოვნებლივ უბმო ჯარისკაცებს და უბრძანა, ჩემს სამფლობელოში ორ წლამდე ასაკის ყველა ბავშვი მოკალითო.

ბოროტ კაცებსაც მეტი რა უნდოდათ, ქუჩებში აქეთ-იქით დარბოდნენ გულში შვილებჩახუტებული დედები, საწყლები მათ გადარჩენას, მღვიმეებსა და სარდაფებში დამალვას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. ჯარისკაცებმა ამოწყვიტეს ყველა პატარა, ვინც კი ხელთ მოხვდათ, ამ საზარელ ხოცვა-ჟლეტას უცოდველთა მკვლელობა ეწოდა. პატარა ბავშვები ხომ უცოდველები იყვნენ.

მეფე ჰეროდე იმედოვნებდა, რომ იესო ქრისტე ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა, მაგრამ, როგორც იცით, მან მშვიდობით შეაფარა თავი ეგვიპტეს და იქ დედ-მამასთან ერთად ცხოვრობდა ბოროტი მეფის — ჰეროდეს სიკვდილამდე.

მეორე თავი

გარდაიცვალა მეფე ჰეროდე, ანგელოზი კვლავ გამოეცხადა იოსებს და უთხრა, იერუსალიმისაკენ გზა ხსნილია, ბავშვს საფრთხე აღარ ემუქრებაო. მართლაც, იოსები, მარიამი და მათი ვაჟი იესო ქრისტე (წმინდა ოჯახად წოდებულნი) იერუსალიმისაკენ გაემგზავრნენ. გზაში ჰეროდეს ვაჟის გამეფების ამბავი შეიტყვეს და შეშინდნენ, ვაითუ ბავშვს რამე დაუშავოსო, ამიტომ გზიდან გადაუხვიეს, ნაზარეთში ჩავიდნენ და იქ დაიწყეს ცხოვრება. როცა იესო ქრისტე თორმეტი წლისა გახდა, იოსები და მარიამი წავიდნენ რელიგიურ დღესასწაულზე, რომელიც იმ დროს იერუსალიმის ტაძარში იმართებოდა, თან იესო ქრისტეც წაიყვანეს, დღესასწაული რომ დასრულდა, ნაცნობ-მეგობრებთან ერ-

თად ნაზარეთისკენ გაეშურნენ. იმ დროს ხალხი მძარცველების შიშით ერთად მგზავრობდა. გზები ისეთი უსაფრთხო არ იყო, როგორც ახლას და მოგზაურობა ძნელდებოდა.

იოსები და მარიამი ახლობლებთან ერთად მთელი დღე მიდიოდნენ. მარია ვალრიცხოვანი ბრბო შეყრილიყო. მშობლებს იესო იქვე ახლოს დაელოდა. მარია რეული ეგულებოდათ, მაგრამ იქ არ დაუხვდათ და შეშფოთებულები ისევ უკან, იერუსალიმში გაბრუნდნენ. იესო ტაძარში იპოვეს. იგი მწიგნობრებსა და სწავლულებს ღვთის მოწყალებაზე ესაუბრებოდა და კიდევ იმაზე, თუ როგორ უნდა ვილოცოთ ღვთისათვის, თან ისეთ ცოდნას ამჟღავნებდა, ყველას აოცებდა.

იესო დედ-მამამ შინ, ნაზარეთში წაიყვანა და სანამ ოცდაათი წელი შეუსრულდებოდა, იქ იმყოფებოდა.

იმ დროს ცხოვრობდა ერთი ძალიან კეთილი კაცი — იოანე, მარიამის ბიძაშვილის — ელისაბედის ვაჟი. გაბოროტებული ხალხი ერთმანეთს დაუნდობლად ხოცავდა და ღვთისადმი თავის მოვალეობას არაფრად აგდებდა. ამიტომ იოანე დადიოდა ქვეყნად, უქადაგებდა მათ და ევედრებოდა, უფრო სათნოები ყოფილიყვნენ. საკუთარ თავზე მეტად მას ხალხი უყვარდა. ღარიბულად, აქლემის ტყავით იყო შემოსილი და მხოლოდ გზაზე ნაპოვნი ფხალითა და ფუტურო ხეებში ჩარჩენილი ველური თაფლით იკვებებოდა. ალბათ არასოდეს გინახავთ აქლემი. მაგრამ ნუთუ მართლა არ გინახავთ? ის ხომ ხანდახან აქაც ჩამოჰყავთ ხოლმე და თუ მოისურვებთ, გაჩვენებთ.

იერუსალიმთან ახლოს მდინარე იორდანე მოედინებოდა. ამ მდინარეში იოანე ნათლავდა ყველას, ვინც ჰპირდებოდა, უკეთესი გავზდებიო, ურიცხვი ხალხი მიაწყდა. იესო ქრისტეც მივიდა. მისი დანახვით იოანე ძლიერ განცვიფრდა: „რატომ უნდა მოგნათლო, შენ ხომ ჩემზე ბევრად უკეთესი ხარ?“ იესო ქრისტემ კი უპასუხა: „დაე აღსრულდეს ყოველი სიმართლე!“ მართლაც, იოანემ იესო მონათლა და უეცრად ცა გაიხსნა, მშვენიერი, მტრედის მსგავსი ჩიტი ძირს ჩამოფრინდა, ზეცაში კი ღვთის ხმა გაისმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე სათნო ვყავ!“

მალე იესო ქრისტე გაემართა უკაცრიელ და მიტოვებულ მხარეს, რომელსაც უდაბნო ერქვა. იქ მაცხოვარმა ორმოცი დღე-ღამე დაჰყო, თან ლოცულობდა, უნდოდა ადამიანებისათვის სიკეთე შთაეგონებინა, რათა ისინი სიკვდილის შემდეგ ზეცაში ბედნიერები ყოფილიყვნენ.

მერე იესომ უდაბნო მიატოვა და ხელის შეხებით ავადმყოფთა მორჩენა დაიწყო. უღონოდქმნილთა განკურნების, ბრმათა თვალის ახელისა და მრავალი საოცრების მოხდენის ნიჭი მას ღმერთმა უწყალობა. თანდათან ყველაფერს გიამბობთ. დაიმახსოვრეთ, ამ საოცრებებს „ქრისტეს სასწაულები“ ეწოდება.

სასწაული იმდენად უჩვეულოა, რომ ღვთის ნებისა და შემწეობის გარეშე არ სრულდება. პირველი სასწაული იესო ქრისტემ მოახდინა კანაში, სადაც დედასთან ერთად ქორწილში იყო დაბატიებული. მექორწილებს ღვინო შემოეღლიათ. მხოლოდ ექვსი წყლით სავსე დოქი დარჩენოდათ. იესომ ხელი მალა ასწია, წყალი ღვინოდ აქცია და ყველა იქ მყოფს დააღვინა.

ღმერთმა უბოძა იესო ქრისტეს სასწაულების ჩადენის უნარი და ისიც ახდენდა სასწაულებს. ამით ხალხს არწმუნებდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, ღვთისგან მოვლენილი იყო. უამრავმა ხალხმა შეიტყო, რომ იესო ავად-

მყოფებს შეელოდა, ირწმუნა იგი და სადაც წავიდოდა, ყველგან ბრბოდ დაჰყვებოდა

მესამე თავი



იესო ქრისტეს ხალხში მოძღვრების გასავრცელებლად თორმეტი მოციქული ანუ მოწაფე გაჰყვა. მან მოციქულები ღარიბთაგან შეარჩია: ღარიბებს ყოველთვის უნდა სცოდნოდათ, რომ ზეცა მათთვისაც ისევე იყო შექმნილი, როგორც მდიდრებისათვის, ღმერთი ხომ არ არჩევს კარგ ტანსაცმელში გამოწყობილსა და ძონძებში მოსიარულეს. გახსოვდეთ, ყველაზე საცოდავი, შეუზბედავი, უპოვარი არსება მანათობელ ანგელოზად იქცევა ზეცაში, თუ იგი სათნოა მიწაზე. ამიტომ ნურასოდეს იქნებით ამაყები და ცუდები. ჩემო ძვირფასებო, რომელიმე ღარიბი კაცის, ქალის ან ბავშვისადმი, თუ ისინი ბოროტები არიან ნუ გაბრაზდებით, მათ კეთილი მეგობრები რომ ჰყოლოდათ და კარგად აღზრდილი ყოფილიყვნენ. უკეთესები იქნებოდნენ. ეცადეთ, გულთბილი საუბრით ისინი უფრო სათნოები გახადოთ. თუ შეგიძლიათ, დაამშვიდეთ კიდევაც. და როცა ხალხი აუგად მოიხსენიებს გლანაკებსა და ჩაგრულებს, მაშინ გაიხსენეთ, რომ იესო ქრისტე მათ შორის დადიოდა, უქადაგებდა და წყალობის ღირსად თვლიდა. მუდამ გებრალეობდეთ ისინი.

თორმეტი მოციქულს ერქვა: სიმონ-პეტრე, ანდრია, იაკობ ზებედეს ძე, იოანე, ფილიპე, ბართლომე, თომა, მათე, იაკობ ალფეს ძე, ლებეოს, სიმონ და იუდა ისკარიოტელი. შემდგომ იუდამ გასცა იესო ქრისტე.

პირველი ოთხი მოციქული ღარიბი მეთევზე იყო. ისინი ზღვის პირას ნავეებში ისხდნენ და ბადეებს კემსავდნენ. ამ დროს ქრისტემ ჩაიარა, სიმონ-პეტრეს ნავში შევიდა და პკითბა, ბევრი თევზი დაიჭირეო?

— არაო, — უპასუხა პეტრემ. თუმცა მთელი ღამე ეთევზავათ, მაინც ვერაფერი დაეჭირათ. „კვლავ ისროლეთ ბადე!“ — უთბრა ქრისტემ. მართლაც ისროლეს და უეცრად ბადე თევზით ისე გაივსო, რომ მის ამოსათრევად სხვებიც კი მოიშველიეს. ეს იესო ქრისტეს კიდევ ერთი სასწაული იყო. შემდეგ მან მოწაფეებს მიმართა: „გამომყევით!“ ისინიც უმაღ დაემორჩილნენ. მას მერე თორმეტი მოციქული ქრისტეს არ მოშორებია.

იესოს გზად უამრავი ხალხი დაჰყვებოდა. ამიტომ მან მთაზე ასვლა ამჯობინა და იქიდან ასწავლიდა ლოცვებს. „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა. ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა. და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ“. ეს საუფლო ლოცვაა, რომელსაც ყოველღამ წარმოვთქვამთ საუფლოა იმიტომ, რომ პირველად იესო ქრისტეს ბაგეთაგან გაისმა და სწორედ მან ჩააგონა მოწაფეებს. ამ სიტყვებით ელოცათ.

მთიდან დაშვებისას იესოსთან უცნობი კეთროვანი მივიდა. კეთრი იმ დროს გავრცელებული დაავადება იყო და ამ სენით შეპყრობილებს კეთროვანებს ეძახდნენ. კეთროვანი იესო ქრისტეს წინ მუხლებზე დაემხო: „უფალო, იყოს ნება შენი, რომ გამომაჯანმრთელო!“ იესომ, რომლის გული მუდამ თანაგრძნობით იყო სავსე, ბელი შეახო: „გამოგაჯანმრთელებ, განიკურნე!“ ავადმყოფობა იმავე წამს გაქრა და კეთროვანი განიკურნა.

იესოს ყველგან ურიცხვი ხალხი დაჰყვებოდა. ერთხელ იგი მოსასვენებლად ერთ სახლში შევიდა, თან მოწაფეები ახლდნენ, მასთან საწოლს მოგატყულო, დამბლადაცემული კაცის მიყვანა დააპირეს. ის მთელი სხეულით განკალბდა და ვერ მოძრაობდა.

ქარ-ფანჯრებთან ბრბო შეგროვილიყო და იესო ქრისტესთან მიმართული შეუძლებელი გამხდარიყო. ამიტომ სახლის სახურავზე აძვრნენ და იქიდან ოთახში ჩაუშვეს საწოლი, რომელზეც ავადმყოფი ესვენა. „აღსდექ, წაიღე შენი ლოგინი და შინ წადი!“ — თქვა იესომ. გამოჩანმრთელებული კაცი ლოცავდა და მადლობას სწირავდა უფალს.

ერთხელ მაცხოვართან ჯარისკაცების ასისტავი მივიდა და უთხრა: „უფალო! ჩემი მოსამსახურე მძიმე ავადმყოფია!“ „მოვალ და განვკურნავ!“ — უპასუხა იესო ქრისტემ.

„უფალო, ღირსი არა ვარ, რომ შინ მეახლო, თქვი მხოლოდ სიტყვა და განიკურნება“. იესო ქრისტეს გაუხარდა, რომ მისი სწამდათ და ბრძანა: „დაე, აღსრულდეს!“ მოსამსახურე იმავე წუთს გამოჩანმრთელდა.

ქრისტესთან მიმავალ ხალხთაგან ყველაზე დამწუხრებული ერთი მმართველი იყო. იგი გამწარებული მოთქვამდა: „უფალო, ჩემი ქალიშვილი, ჩემი მშვენიერი, უცოდველი პატარა გოგონა მკვდარია. ო, მოდი მასთან, შეაბე შენი კურთხეული ხელი და დაუბრუნე სიცოცხლე. გაგვაბედნიერე მე და დედამისი. ო, უფალო, ჩვენ ის ისე ძალიან გვიყვარს, ისე ძალიან!“

იესო ქრისტე მოწაფეებთან ერთად მის სახლში წავიდა. შევიდა იმ ოთახში, სადაც საცოდავი გოგონა ესვენა და ნაზი, სამგლოვიარო მუსიკა უღერდა ყველა ახლობელი ტიროდა.

იესომ ბავშვს სიბრალულით შეხედა და საწყალი მშობლების დასამშვიდებლად ჩაილაპარაკა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“ შემდეგ ოთახის დაცლა ბრძანა, მკვდარ გოგონასთან მივიდა და ხელი შეაბო. გოგონა ისე წამოდგა, თითქოს მხოლოდ ეძინათ. ო, რა სანახაობა იყო! როგორ ეხვეოდნენ მშობლები ბავშვს და მადლობას სწირავდნენ ღმერთს და მის ძეს იესო ქრისტეს ასეთი დიდი წყალობისათვის.

იესო ყოველთვის მწყალობელი და ნაზი იყო. ის ხალხს შთააგონებდა, როგორ უნდა ჰყვარებოდათ ღმერთი და როგორ უნდა ჰქონოდათ სიკვდილის შემდეგ ზეცაში ასვლის იმედი. ამიტომ მას ჩვენი მაცხოვარი უწოდეს.

მართა თავი

იმ ქვეყანაში, სადაც მაცხოვარი სასწაულებს ახდენდა, ცხოვრობდნენ ფარისევლები. ისინი ძალიან ამაყები იყვნენ და ფიქრობდნენ, ყველას ვჯობივართო. იესო ქრისტესი კი ეშინოდათ, ის ხომ ხალხს უკეთესად მოძღვრავდა. აი ასეთები იყვნენ ებრაელები — იმ ქვეყნის მოსახლეთა უმრავლესობა.

ერთ შაბათ დღეს მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად მინდორში სეირნობდა. მოწაფეები ხორბლის თავთავებს კრეფდნენ და ჭამდნენ. ფარისევლების აზრით, ეს ცუდი ჩვეულება იყო. ხოლო როცა მაცხოვარი ერთ-ერთ მათ ეკლესიაში — სინაგოგაში შევიდა და საცოდავ, ხელგამხმარ კაცს სიბრალულით შეხედა, ფარისევლები აღშფოთდნენ: „ნუთუ შეიძლება შაბათს ხალხის განკურნება?“ მაცხოვარმა კი მიუგო: „რომელიმე თქვენგანს ცხვარი რომ ჰყოლოდა

და შაბათ დღეს ორმოში ჩავარდნოდა. არ ამოიყვანდით? ადამიანი კი განა ცხვარს აღარ სჯობია?"

შემდეგ საბრალო კაცს მიუტრიალდა:

„გამომიწოდე ხელი!“ — და იმავე წამს განკურნა.

„ასე რომ, — მიმართა იესომ ხალხს, — ყოველდღე უნდა თქვით სიკეთე“.



ქრისტიანული

სულ მალე მაცხოვარი ქალაქ ნაინში გაემგზავრა, თან უამრავი ხალხი ახლდა. მათ ქუჩებში უღონოდქმნილი ნათესავეები, მეგობრები და ბავშვები გამოჰყავდათ და იესოს სთხოვდნენ, ხელი შეეხებო. ავადმყოფები კი ხელის შეხებისთანავე კარგად ხდებოდნენ.

იესო ბრბოს შეაგულში მიდიოდა. უეცრად ქალაქის ქიშკართან ახალგაზრდა კაცის დასაფლავებას შეესწრო. მკვდარს თავლია კუბოთი მიასვენებდნენ. იმ ქვეყანაში ასეთი ტრადიცია ჰქონდათ, იტალიის მრავალ კუთხეში ახლაც ასეა. საცოდავი დედა კუბოს მიჰყვებოდა და მოთქვამდა. მის დანახვაზე მაცხოვარს სიბრაღისაგან გული მოუკვდა და ანუგეშა: „ნუ ტირი!“ შემდეგ ცხედარს მიუახლოვდა, ხელი შეახო და აღმოხდა: „წამოდექ, ჭაბუკო!“ მაცხოვრის ხმის გაგონებაზე მკვდარი გაცოცხლდა, წამოდგა და ალაპარაკდა. იესომ ის დედამისთან დატოვა ო, რა ბედნიერები იყვნენ ორივენი!

ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ამიტომ იესო ქრისტემ ნავით მყუდრო ადგილას წასვლა გადაწყვიტა. ნავში ჩაეძინა. მოწაფეებიც იქვე ისხდნენ. უეცრად მძვინვარე ქარიშხალი ამოვარდა. ტალღებმა კინაღამ წალეკა ნავი, ქარმა კი ისე შეათამაშა, ეგონათ, ჩაეძირებოდა. შეშინებულმა მოწაფეებმა მაცხოვარი გაადვიძეს და სთხოვეს: „უფალო, გვიხსენ, თორემ ვიღუპებით!“ იესო წამოდგა, ხელი ასწია და აბობოქრებულ ზღვასა და მძვინვარე ქარს მიმართა: „დადუმდი, ჩადექ!“ უცბად ქარი დაცხრა, ამინდი საამური გახდა. ნავი მშვიდობიანად მიცურავდა წინ.

გალმა ნაპირზე, ქალაქის გარეუბანში უბატრონო და მივარდნილ სასაფლაოს წააწყდნენ. იმ დროს ყველა სამარხი ქალაქგარეთ იყო. იქ საფლავებს შორის ერთი გიჟი ცხოვრობდა, დღითა და ღამით ღმუოდა, მგზავრებს გულს უხეთქავდა. გიჟის დაბმა მრავალჯერ ეცადათ, მაგრამ იგი ისეთი ძლიერი იყო, რომ ბორკილებს წყვეტდა, წვეტიან ქვებს ეხეთქებოდა და საშინელი ჭრილობები უჩნდებოდა. გამუდმებით ტიროდა და ღმუოდა, როცა ამ უბედურმა შორით იესო დალანდა. უმაღლესი წამოიძახა: „ეს არის ღვთის ძე! ო, ღვთის ძეო, ნუ მაწამებ!“ იესო მიუახლოვდა და დაინახა, რომ საბრალო კაცი ავი სული-საგან დატანჯულიყო. სიგიჟე მოუხსნა და იქვე ახლოს მობალახე ღორების კოლტს ჩაუგდო. ღორები დაფეთდნენ და ციცაბო კლდიდან ზღვაში გადაიჩენნენ.

იესო ქრისტეს სასწაულების ამბავი გაიგო ჰეროდემ, იმ უწყალო მეფის ვაჟმა, რომელმაც უღნაშაულო ყრმები დახოცა. შეიტყო, თუ როგორ უბრუნებდა იგი მხედველობას ბრმებს, სმენას — ყრუებს, მეტყველებას — მუნჯებს, გამართულ ფეხებს — კოჭლებს. ჰეროდემ იცოდა, რომ იესოს უამრავი ხალხი დაჰყვებოდა და იფიქრა, ეს კაცი იოანე ნათლისმცემლის თანამგზავრი და მეგობარიაო. ხომ გახსოვთ კეთილი იოანე, ტანზე აქლემის ტყავი რომ ემოსა და ველური თაფლით იკვებებოდა, ხალხ! რომ მოძღვრავდა და უქადაგებდა. ჰეროდემ იგი სასაბლის ციხეში გამოამწყვდევინა.

ამ დროს ჰეროდეს დაბადების დღეც მოახლოვდა. ჰეროდეს ქალიშვილ-

მა ჰეროდიაშ მშვენიერი ცეკვით მეფე ისე მოხიბლა, რომ მან ქალიშვილს შექ-
ფიცა, რასაც მოისურვებ, ყველაფერს შეგისრულებო.

„მაშინ, — სთხოვა ჰეროდიაშ, — ნადიმზე ლანგარზე დადებული იოანე
ნათლისმცემლის თავი შემოიტანეთო!“ იგი ბოროტი, დაუნდობელი ქალი იყო
და იოანე სძულდა. დატყვევებული იოანე მეფეს მოსაკლავად მძინვრე ქმე-
ტებოდა. მაგრამ რაკი ქალიშვილს ყველა სურვილის შესრულებას შეჰპირდა,
ციხეში ჯარისკაცები გაგზავნა და უბრძანა, იოანე ნათლისმცემელს თავი მოკვე-
თეთ და ჰეროდიას გადაეცითო. მართლაც, მოკვეთილი თავი ქალიშვილს სულ
მალე მიართვეს.

როდესაც იესო ქრისტემ მოციქულებისაგან ეს საზარელი ამბავი შეიტყო,
ქალაქი დატოვა და მათთან ერთად სხვა მხარეს გაემართა. ამ დროს იოანეს
გვამი უკვე ჩუმად დაეკრძალათ.

მეხუთე თავი

ერთმა ფარისეველმა მაცხოვარი პურის საჭმელად შინ მიიპატიჟა. შუა ჭა-
მის დროს ოთახში იმ ქალაქის მცხოვრები უცნობი ქალი შემოიპარა. იგი აღ-
რე უწესო ცხოვრებას ეწეოდა და ღეთის ძესთან შეხვედრისა რცხვენოდა, თუ-
მცა მონანიე ცოდვილებისადმი იესოს თანაგრძნობისა ისე სჯეროდა, რომ უმალ
მიუახლოვდა, დაუჩოქა, ტერფები ცხარე ცრემლებით დაუსველა, დაუკოცნა
და გრძელი თმით შეუმშრალა, მერე კი სურნელოვანი მალამო წააცხო. მას
მარიამ მაგდალინელი ერქვა.

ფარისეველმა დაინახა, რომ იესომ ქალს შეხების ნება დართო და გაიფი-
ქრა, ალბათ მისი ცოდვებისა არაფერი იცისო. მაგრამ იესო ქრისტე ფარისე-
ველს ყველაფერს მიუხვდა და უთხრა:

„სიმონ, კაცს რომ მოვალეები ჰყავდეს, ერთს ხუთასი პენსი ემართოს,
მეორეს კი — ორმოცდაათი და მან ორივეს აპატიოს, შენი აზრით, რომელი
მოვალე უფრო კმაყოფილი დარჩება?“

„ეისაც მეტი აპატია“, — უპასუხა სიმონმა, იესო დაეთანხმა. „თუ ღმერ-
თი ამდენ ცოდვას მიუტევებს ამ ქალს, მას უფრო მეტად შეუყვარდება უფა-
ლი“. „ღმერთმა მოგიტევოს ცოდვები!“ — მიმართა იესომ ქალს. იქ დამსწრე-
ები გაოცდნენ, რომ იესოს ცოდვების მიტევების უნარი გააჩნდა, ეს უნარი ხომ
ღმერთმა უბოძა ქალმა მადლობა გადაუხადა წყალობისათვის და იქაურობას
გასცილდა.

ჩვენც ყოველთვის უნდა მივუტევოთ მათ, ვინც გულს გვატკენს, გინდ
ინანონ და გინდ არა. და თუ ჩვენ მივუტევებთ, ღმერთი ჩვენც მოგვიტევებს.

სულ მალე ებრაელთა დიდი ზეიმი გაიმართა. იესო ქრისტე იერუსალიმში
წავიდა. იქ ცხვრის ბაზართან იყო აუზი, რომელსაც ბეთსაიდი ერქვა. ზეიმო-
ბისას ავადმყოფები და ხეიბრები აუზისაკენ საბანაოდ მიემართებოდნენ, ასე
ეგონათ, იქ ანგელოზი ჩამოფრინდება და წყალს შეარბევსო; ხოლო ვინც ამის
შემდეგ წყალში პირველი შევიდოდა, ყოველგვარი ავადმყოფობისაგან განი-
კურნებოდა.

ერთი საცოდავი კაცი ოცდათვრამეტი წელიწადი ავადმყოფობდა. იესოს
ეცოდებოდა საწოლს მიჯაჭვული. უპატრონო სნეული. მან მაცხოვარს შესჩივ-
ლა: ვერ ვმობრძობ და აუზში ჩასვლა არ შემიძლიათ. მაცხოვარმა კი ბრძანა:

„წაიღე შენი საწოლი და წადი!“ გამოჯანმრთელებული კაცი უმაღლეს მხედ გაუდგა გზას.

ამის მხილველ ებრაელებს უფრო მეტად შესძულდათ იესო ქრისტე, რადგან ის, ვინც ქრისტესაგან სწავლობდა და განიკურნებოდა, ებრაელ/მღვდლებს აღარ დაუჯერებდა. ფარისეელები ხომ სიყალბეს ქადაგებდნენ და ერთმანეთს იესო ქრისტეს მოსაკლავად აქეზებდნენ, რადგან იესო მათ: „ქრისტე კანონს არ ღვევდა: შაბათ დღეს კურნავდა სნეულებს, თანაც თავის თავს ღვთის ძეს უწოდებდა. ისინი იესოს წინააღმდეგ ხალხის ამხედრებას ცდილობდნენ, მაგრამ მაცხოვარს ბრბო მაინც ყველგან დაჰყვებოდა, ლოცავდა და მისი ხელი განკურნებას ნატრულობდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ იესო მხოლოდ სიკეთეს თესავდა. ერთხელ იგი მოწაფეებთან ერთად ტიბერიის ზღვის გაღმა გავიდა, მთის ფერდობზე მათთან ერთად დაჯდა, ქვემოთ მომლოდინე ლარებები დაინახა და მოციქულ ფილიპეს მიმართა: „სად ვიყიდოთ მათი სამყოფი პური, დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ რომ არ მოვამშობოთ?“ „უფალო, ამდენ ხალხს ორასი პენსის პურიც არ ეყოფა, ჩვენ კი სულ არაფერი გვაბადია!“ „მხოლოდ ხუთი პატარა ქერის კვერი და ორი თევზი გვაქვს“. — თქვა სიმონ-პეტრეს ძმამ — მოციქულმა ანდრიამ.

„ყველანი დასხდნენ!“ — ბრძანა იესო ქრისტემ დასხდნენ მწვანეზე. იესომ პური აიღო, ზეცას ახედა, აკურთხა, გატეხა და მოციქულებს დაურიგა, მათ კი ხალხს გაუნაწილეს, ხუთი პურითა და ორი თევზით, ქალებისა და ბავშვების გარდა, კიდევ ხუთი ათასი კაცი დააბურა. დანაყრდნენ თუ არა, ნარჩენებით თორმეტი კალათი აავსეს. ეს იესოს კიდევ ერთი სასწაული იყო.

მალე ჩვენმა მაცხოვარმა მოწაფეები ნავით წყლის გაღმა გაგზავნა და უთხრა, როგორც კი ხალხს გავუშვებ, მეც გამოგყვებითო. ბოლოს, იგი მარტო დარჩა სალოცავად. ჩამოლამდა. მოწაფეები კვლავ ნავით მიცურავდნენ და ქრისტეს გამოჩენას ელოდნენ.

გვიან ღამით ტალღები აღიღდა და ზურგის ქარმა დაუბერა. უცებ მათქვენ მომავალი იესო დალანდეს, წყალზე ისე მოაბიჯებდა, თითქოს მიწაზე დადიხოდ. შეშინებულმა მოწაფეებმა შეჰყვირეს, მაგრამ იესომ დაამშვიდა: მე ვარ, ნუ გეშინიათო!

პეტრემ გამბედაობა მოიკრიბა და თქვა: „უფალო, თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე შენთან მოსვლა წყალზე“. „მომიახლოვდი!“ — ბრძანა იესო ქრისტემ. პეტრე მისკენ გაემართა, მაგრამ მძვინვარე ტალღებს ხედავდა, ქარის ღრიალი ესმოდა და ძლიერ ეშინოდა. იესოს ხელი რომ არ მოეკიდა და ნავისკენ არ წაეყვანა, უკვე იძირებოდა. სულ მალე ქარი დაცხრა და მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს: „ქეშმარიტად! ის ღვთის ძეა!“

იესომ კიდევ მრავალი სასწაული მოახდინა, უამრავი ავადმყოფი განკურნა. კოჭლებს ფეხი გაუმართა, ბრძმებს თვალი აუხილა, მუნჯები აამეტყველა. კვლავ დიდძალი ხალხით იყო გარშემორტყმული. ისინი, სუსტები და მშვივრები, სამი დღე მასთან იმყოფებოდნენ და ცოტას კამდნენ. იესომ მოწაფეებს შვიდი კვერი და რამდენიმე თევზი გამოართვა და ოთხი ათას კაცს გაუნაწილა. ყველა დაკმაყოფილდა. ნარჩენებმა შვიდი კალათი აავსო. იესომ მოწაფეებს ღვთის სახელით ხალხის განკურნების ნიჭი უწყალობა და ქალაქებსა და სოფლებში საქადაგებლად გაგზავნა.

ქრისტემ მოწაფეებს უთხრა, ერთ დღეს იერუსალიმში წავალ, იქ ძლიერ მაწამებენ და აუცილებლად მომკლავენო. თან დასძინა. სიკვდილის შესამე

დღეს საფუძვლიდან აღვსდგები და ზეცაში ავალ, იქ ღმერთის მარჯვნივ დავჯდები და ცოდვილთა პატიებას შევეთხოვო.

მეამბნე თავი



პეტრისა და თევზის სასწაულოდან ექვსი დღის შემდეგ იესო ქრისტე მალაქ მთაზე ავიდა, თან ახლდა სამი მოწაფე — პეტრე, იაკობი და იოანე. მოწაფეებთან საუბრისას სახე უეცრად მზესავეთ გაუნათდა, თეთრი მანტია ვერცხლივით აუელვარდა და თავადაც ანგელოზს დაემსგავსა. ამ დროს ნათელმა ღრუბელმა დააჩრდილა მათ. ღრუბლიდან მოისმოდა ხმა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე სათნო ვყავ! უსმინეთ მას!“ ამ სიტყვებზე შეშინებული მოწაფეები მუხლებზე დაემხნენ და სახეები ჩამალეს, ამას მაცხოვრის ფერისცვალება ეწოდება.

მთიდან ჩამოსვლისას იესო ქრისტეს უცნობმა კაცმა დაუჩოქა და შეკვლიდა: „ღმერთო, შეიბრალე ჩემი უგონო ვაჟი, ზან ცეცხლში ვარდება, ზან — წყალში და სულ დაიარავებულია. შენმა რამდენიმე მოწაფემ მისი მორჩენა სცადა, მაგრამ ამაოდ.“ მაცხოვარმა უმალ განკურნა ბავშვი, მერე მოწაფეებს მიუტრიალდა და აუხსნა: განკურნება იმიტომ ვერ შესძელით, რომ ჩემი კეშმარტად არა გწამთო.

„მოძღვარო, ვინ არის მეუფე ცათა შინა?“ — იკითხეს მოწაფეებმა.

იესომ პატარა ბავშვი მოიხმო, ხელში აიყვანა და უპასუხა: — „აი ასეთი ბავშვი, გახსოვდეთ, ზეცაში ვერავინ ავა, თუ ბავშვივით მორჩილი არ იქნება. ის, ვინც პატარა ბავშვს შეიყვარებს, მეც შემიყვარებს, ხოლო ვინც ბავშვს გულს ატკენს, უჯობს კისერზე წისქვილის ქვა გამოიბას და ზღვაში თავი დაიხრჩოს, ყველა ანგელოზი ბავშვია.“

მაცხოვარს ძლიერ უყვარდა ბავშვები, მასავით გულწრფელად ხალხი არავის პყვარებია.

ერთხელ პეტრემ იესოს ჰკითხა: „უფალო, რამდენჯერ ვაპატიო მას, ვინც რამეს დამიშავებს? შვიდჯერ?“ მაცხოვარმა კი მიუგო: „უსასრულოდ, განა ღმერთი მოგიტევებს სიავის ჩადენას, თუ შენ არ მიუტევებ ყველას?“ შემდეგ კი მოწაფეებს ასეთი რამ უამბო:

„ერთ მოსამსახურეს, თავისი ბატონის დიდი ვალი ჰქონდა და ვერ ისტუმბებდა. გაბრაზებულმა ბატონმა მისი მონად გაყიდვა დააპირა, მოსამსახურე დანაღვლიანდა, დაუჩოქა და პატიება სთხოვა, ბატონმა შეუწოდო, ამ მოსამსახურესაც თავის მხრივ პყავდა მსახური, რომელსაც მისი ასი პენსი ემართა და იმის ნაცვლად, რომ საწყალი კაცისათვის მასაც ეპატიებინა, მოვალე ციხეში ჩასვა, მალე ეს ამბავი მისმა ბატონმაც შეიტყო, მოიხმო და, უთხრა: „ო, ბოროტო მოსამსახურე, მე რომ ვაპატიე, შენ კი რად არ დაინდე შენი მსახური?“ ამის გამო ბატონმა იგი მშიერ-მწყურვალი გააძევა.

„მართლაც, — თქვა ჩვენმა მაცხოვარმა, — როგორ მოგიტევებთ ღმერთი, თუ თქვენ არ მიუტევებთ სხვებს?“ აი ამას ნიშნავს საუფლო ლოცვის ის ნაწილი, სადაც წარმოვთქვამთ: „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი“, ესე იგი ცოდვები, „ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა!“ და კიდევ ერთი ამბავი მოუყვა:

„ერთი კაცი დილაადრიან წავიდა თავის ვენახში და მუშებს დღიურ სამუ-

შათზე გაურიგდა მალე მან კიდევ რამდენიმე მუშა დაიკირავა იმავე პირობით — ერთ პენად დღის ბოლოს მუშები ფულის მისაღებად მივიდნენ. დილიდან მომუშავეები ჩიოდნენ, რომ გასამრჯელოს ყველა ერთნაირად ვლებულობდა. გინდა დიდხანს ვიმუშაოთ, გინდა ცოტა ხანსო, ეს მათი აზრით, უსამართლობა იყო. მაშინ ვენახის მფლობელმა უთხრა: „მეფუჭებულნი ერთ პენად შეგითანხმდი და სხვას რომ იმდენივეს ვუხდო, ნუთუ არ იყურებოდა?“

ამით მაცხოვარი ქადაგებდა, რომ სიცოცხლეში სიკეთის მთესველი სიყვდილის მერე ზეცად ამალდებდა. ხოლო სიღარიბისაგან გაბოროტებული შეწყნარებული იქნება და ზეცაში ავა, თუ თავის სიბედობას კვამარითად მოინანიებს და ლოცვებით ღმერთს პატიებას შეევედრება. ასე მოძღვრავდა მოწაფეებს იესო, იცოდა, რომ ხალხს ამბების მოსმენა უყვარდა და უკეთესად იმახსოვრებდა ამ ამბებს იგავები ჰქვია, დაიმახსოვრეთ, მალე უფრო ბევრ იგავს მოგიყვებით.

მაცხოვრის მოყოლილს ხალხი მწყურვალავით ეწაფებოდა, თუმცა იესო ზე ყველას განსწავლებული აზრი ჰქონდა, ფარისევლები, ებრაელები მისდამი მტრულად იყვნენ განწყობილი, ზოგს იესოს მოკვლაც კი უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდნენ მისი სათნოების, ღვთიურობისა და სიღიადის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს ძალიან უბრალოდ, ლატაკივით ეცვა, თვალს მაინც ვერავინ უსწორებდა:

ერთ დილას იესო ზეთისხილის მთაზე იჯდა და მის ირგვლივ შეჯგუფებულ ხალხს უქადაგებდა. უეცრად ფარისევლებისა და მწიგნობრების ხმაური შემოესმათ. ისინი ყვირილითა და აურზაურით მოათრევდნენ ერთ ცოდვილ ქალს.

„მოძღვარო! შენედე ამ ქალს, კანონით იგი უნდა ჩავქოლოთ. შენ რა აზრისა ხარ?“

იესომ ახმაურებულ ბრბოს თვალი მოაელო და ჩაფიქრდა. თუ იტყოდა, რომ კანონი მცდარი და უწყალო იყო, ბრბო თვითონ მას მოკლავდა. ყველამ დაიმორცხვა, ყველა შეშინდა და დაფრთხა, როდესაც იესომ მათ თვლებში ჩახედა, მაგრამ მაინც ჭიუტად გაპყვიროდნენ: „შენ რას იტყვი, მოძღვარო? რას იტყვი?“

იესო ძირს დაიხარა და თითოთ ქვიშაზე დაწერა: „დაე მან, ვინც თქვენ შორის უცოდველია, ამ ქალს პირველმა ესროლოს ქვა!“

წაიკითხეს თუ არა, ერთიმეორეს გადახედეს და ბრბო ნელ-ნელა დაიშალა.

იესო ქრისტე და ცოდვილი ქალი მარტო დარჩნენ, ქალს სახე ხელებში ჩაერგო.

შემდეგ ქრისტემ პკითხა: „— დიაკო, სად არიან შენი ბრალმდებლები? არავინ დაგდო მსჯავრი?“ „არა, უფალო“, — თრთოლვით უპასუხა ქალმა. მაშინ მაცხოვარმა უთხრა: „არც მე გდებ ბრალს, წადი და აღარ შესცოდო“.

მეშვიდე თავი

ერთხელ როცა მაცხოვარი ჩვეულებისამებრ ხალხს უქადაგებდა, უცნობი მოსამართლე წამოდგა და იკითხა:

„მოძღვარო, რა გავაკეთო ისეთი, რომ გარდაცვალების შემდეგაც ბედ-

ნიერი ვიყო? იესომ მიუგო: „უპირველესი მცნებაა: არსებობს ერთი ღმერთი და შეიყვარე უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა; ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა, მეორე მცნება პირველის მსგავსია, შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შეიყვარე, სხვა ამაზე დიდი მცნება არ არსებობს.“

მოსამართლემ იკითხა: — „ვინ არის ჩემი მოყვასი?“ იესომ იგავით უპასუხა:

„ერთი მოგზაური იერუსალიმიდან იერიქონში მიდიოდა, გზაში ქურდები დაესხნენ თავს, გაძარცვეს, დაჭრეს და ცოცხალმკვდარი მიატოვეს. ამ დროს შემთხვევით მღვდელმა ჩაიარა, დაინახა ის საცოდავი, მაგრამ არ შეიმჩნია და გზის მეორე მხარეს გაუხვია. ახლა ლევიტელმა ჩაიარა, წამიერად შეხედა საბრალოს და ისევ გზა განაგრძო. ვიღაც სამარიტელმა კი ქრილობებზე მალამო და ღვინო წაუსვა, პირუტყვზე შესვა და სასტუმროში მიიყვანა. მეორე დილას კიბიდან ორი პენსი ამოიღო, სასტუმროს პატრონს მისცა და სთხოვა: „უპატრონე ამ საბრალოს, ნურაფერს დაიშურებ, დავბრუნდები და გადაგიხდი“. ახლა ამ სამიდან, — უთხრა მაცხოვარმა მოსამართლეს, — რომელია ქურდებისაგან გაძარცული კაცის მოყვასი?“ მოსამართლემ მიუგო: „რომელმაც შეიბრალა, მართალი ხარ. — დაეთანხმა იესო, — წადი და შენც ასე მოიქეცი! ყველა გებრალებოდეს, ყოველი კაცი ხომ შენი მოყვასი და ძმა არის“.

იესომ გაიხსენა ერთი ამბავი. იგი გვასწავლის, რომ არასოდეს ვიყოთ ამაყები, პირიქით, ღვთისადმი მუდამ მორჩილება და თავმდაბლობა გვმართებს. „როდესაც ქეიფზე ან ქორწილში მიგიწვევენ, საუკეთესო ადგილზე ნუ დასხდებით, შეიძლება უფრო ღირსეული სტუმარი მოვიდეს და ის ადგილი ეკუთვნოდეს. ყველაზე მოკრძალებული ადგილი უნდა აირჩიოთ და თუ იმსახურებთ, უკეთესს შემოგთავაზებენ, რადგან ვინც თვით ამაღლდება — დამდაბლდება, ხოლო ვინც თვით დამდაბლდება — ამაღლდება“.

ამის გარდა სხვა იგავებიც მოჰყვა იესომ. „ერთმა კაცმა ვახშმად დიდძალი ხალხი მიიწვია, მოსამსახურეც გაგზავნა მოპატიჟედ, მაგრამ ყველამ მოიბოდიშა და უარი შეუთვალა: ერთმა თქვა, მიწის ნაკვეთი ვიყიდე და სანახავად მივდივარო; მეორემ — ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და გამოსაცდელად მივდივარო; მესამემ — ახალდაქორწინებული ვარ და ვერ მოვალო. მასპინძელი ძალიან გაბრაზდა და მსახურს დაავალა, ქუჩა-ქუჩა, შარა-შარა იარე და მათ ნაცვლად ღარიბები, კოჭლები, ხეიბრები და უსინათლოები დაპატიჟეო“.

ამ იგავით ჩვენი მაცხოვარი გვასწავლიდა, რომ ვისაც პირადი სიამოვნება ყველაფერს ურჩევნია, ღმერთი ისეთ პატივს არ მიაგებს, როგორც ავადმყოფებს და საწყლებს.

ერთხელ მაცხოვარმა ქალაქ იერიქონში ყოფნისას ხეზე ერთი ცოდვილი შეამჩნია, სახელად ზაქე. იგი ხიდან ქრისტეს უყურებდა. იესომ დაუძახა და სთხოვა, პური ერთად ვკამოთო. ამაყმა ფარისევლებმა და მწიგნობრებმა კი ჩაიბუტბუტეს: „ცოდვილებთან პურის ჭამას კიდრულობს“. მათ საპასუხოდ იესომ მოჰყვა უძღვები შვილის არაკი:

„ერთ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროსმა ერთ დღეს გამოაცხადა: „მამა, ჩემი წილი ქონება მომეცი და როგორც ისურს, ისე მოვიხმარ“. მამა დაეთანხმა, უმცროსი ვაჟი შორეულ ქვეყანაში წავიდა, ღრეობასა და დროსტარებაში ფული სულ მალე შემოეხარჯა.

ის ქვეყანა დიდმა შიმშილობამ მოიცვა. პური არ იშოვებოდა, ხორბალი

და ბალახი გადახმა. უძლები შეილი გაჭირვებაში ჩავარდა და მოჯამაგირედ დადგა. მინდორში ღორებს უვლიდა. იმითაც კმაყოფილი იქნებოდა, ღორებს საკვები — უბეში რკო რომ ეჭამა, მაგრამ მეპატრონე მისთვის არაფერს იმეტებდა. ამ უბედურებაში ჩავარდნილმა გაიფიქრა: „მამაჩემის მოსამსახურეებს პური თავსაყრელად აქვთ, მე კი შიმშილით ვკვდები“. წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: მამა, ზეცისა და შენს წინაშე შევეცადე და დროსი არ ვარ შენი ვაჟი ვიყო!“

დიდი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით დაბრუნდა მამისეულ სახლში. მამამისმა ძონძებში გამოხვეული შეილი შორიდანვე იცნო, მისკენ ტირილით გაიქცა და გადაეხვია. მოსამსახურეებს კი უბრძანა ჩემს ღარიბ, მონანიე ვაჟს საუკუთესო ტანსაცმელი ჩააცვით და მისი დაბრუნების აღსანიშნავი ლხინი გამართეთო. მართლაც კარგად მოილხინეს.

უფროსი ძმა ამ დროს მინდორში იყო და ძმის დაბრუნებისა არაფერი იცოდა. შინ მისულს მუსიკისა და ცეკვის ხმა მოესმა და ერთ-ერთ მოსამსახურეს ჰკითხა, რა ამბავიაო. მოსამსახურემ უპასუხა, ძმა დაგიბრუნდაო. უფროსი ძმა ისე გაბრაზდა, რომ სახლში აღარ შედიოდა. ეს მამამაც გაიგო და მის დასამშვიდებლად გარეთ გამოვიდა.

„მამა, — უთხრა უფროსმა შეილმა, — უსამართლოდ მექცევი, წლობით შენი ერთგული ვიყავი, მაგრამ ჩემთვის ნადიმი არასოდეს გაგიმართავს, ჩემი უქნარა ძმის დაბრუნებას კი აღფრთოვანებით ეგებები და მთელ სახლს ამხიარულებ!“

„შვილო, — მიუბრუნდა მამა, — შენ ყოველთვის ჩემთან იყავი და რაც გამაჩნია, ყველაფერი შენია. შენი ძმა კი მკვდარი გვეგონა და ცოცხალი რომ დაგვიბრუნდა, ბუნებრივია, გაემხიარულდით“.

ამით ჩვენი მაცხოვარი გვასწავლიდა, რომ ვინც ღმერთი დაივიწყა და შესკოდა, ყოველთვის მიიღებს ღვთის წყალობას, თუ გულწრფელად მოინანიებს ცოდვებს.

ფარისევლები მაცხოვრის ქადაგებას აგდებით შეხვდნენ; ისინი მდიდრები და ნარბები იყვნენ და ფიქრობდნენ, ყველას ვჯობივართო. ქრისტემ ისინი „მდიდრისა და ღაზარეს იგავით“ დაარიგა:

„ერთ მდიდარს აღისფერი ღამაში სამოსი ეცვა და ყოველდღე კარგ საქმელს მიირთმევდა. მის გვერდით ცხოვრობდა მათხოვარი ღაზარე. იგი მდიდრის ქიშკართან იწვა, ტანი იარებით ჰქონდა დაფარული და მდიდრის ნასუფრალი ენატრებოდა. ხანდახან მასთან ძაღლები მიდიოდნენ და იარებს ულოკავდნენ.“

ერთ დღეს მათხოვარმა სული განუტევა და ანგელოზებმა აბრამის გულისაყენ წაასვენეს. აბრამი ძალიან კეთილი კაცი იყო, დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა და იმ დროს უკვე ზეცაში იმყოფებოდა. მდიდარი კაციც მოკვდა და დაძარხეს. ჯოჯოხეთში მან თვალები აღაბყრო, შორს, სამოთხეში აბრამი და ღაზარე დაინახა და უეცრად წამოიყვირა: „მამაო აბრამ, მოწყალება მოიღე და გამომიგზავნე ღაზარე, რათა მან თითი წყლით დაისველოს და ენა გამიგრილოს, მე ხომ ალი მეკიდება. მაგრამ აბრამმა მიუგო: — „ჭაბუკო, გაბსოვდეს, რომ სიცოცხლეში არაფერი გაკლდა. ღაზარე კი იტანჯებოდა, ახლა ის მოსვენებულია და შენ იტანჯები“.

ქრისტემ ამაყ ფარისევლებს სხვა იგავებთან ერთად ერთი ასეთი იგავიც მოუყვა: „ერთხელ ორი კაცი ტაძარში სალოცავად შევიდა. ერთი ფარისეველი იყო, მეორე კი — ხარკის ამკრეფი. ფარისეველმა ოქვა: „ღმერთო, ძლიერ

ვიმადლო, რომ სიტყვებით უსამართლო და ავი არა ვარ, ანდა ისეთი, როგორც ეს ხარკის ამკრეფია". ხარკის ამკრეფი მოშორებით იდგა და ზეცისკენ ახედა ვერც ვაებედა. ბოლოს ძირს დაემხო და აღმოხდა: „ღმერთო, შემიწყალე ცოდვილი!“ „ალბათ მიხედვებით, — უთხრა მათ მაცხოვარმა, — რომ ღმერთს ხარკის ამკრეფის ლოცვა უფრო აამებდა, მისი გული ხომ ღვთისაღმართობის ღმერთისა და მოკრძალებით იყო სავსე“.

ამ იჯაეების მოსმენის შემდეგ ფარისევლები ისე გაბრაზდნენ, რომ ქრისტეს ჯამუშები მიუგზავნეს, ეგებ მაცხოვარს კანონის საწინააღმდეგო რამ წამოვაცდენინოთო.

იმ ქვეყნის იმპერატორს კეისარს უწოდებდნენ. ხალხს მისთვის ხარკი მუდმივად უნდა ეხადა და იგი ამ კანონის არც ერთ დამრღვევს არ ინდობდა. ჯამუშებმა გადაწყვიტეს, მაცხოვარი იძულებული გაეხადათ, ამ უსამართლო გადასახადის გამო ხმა აემაღლებინა. ამით მას იმპერატორი შეიძულებდა იესოს თავი მორჩილად მოაჩვენეს, მასთან მივიდნენ და უთხრეს:

„მოძღვარო, შენ ღვთის სიტყვას სწორად ქადაგებ, ხალხს სიმდიდრისა და საპატიო წოდებისათვის არ სცემ პატივს. მოგვახსენე, კანონიერია, რომ კეისარს ხარკი გადავუხადოთ?“

ქრისტე ყველაფერს მიხვდა და უპასუხა: „რატომ მეკითხებით? აბა, მაჩვენეთ პენი“. ისინიც ასე მოიქცნენ. „ვისი სახე და ვისი სახელია მასზე?“

„კეისრისა“ — უპასუხეს მათ.

„მაშინ, — თქვა იესომ, — მიეცი თ კეისარს კეისრისა!“

გაშმაგებულმა და სასოწარკვეთილმა ფარისევლებმა ქრისტე მიატოვეს, რადგან მისი მახეში გაბმა ვერ შეძლეს. მაცხოვარმა კი კარგად იცოდა, თუ რა ედოთ მათ გულში. ხვდებოდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობოდა.

ამ ქადაგებისას იესო სახალხო საგანძურთან იჯდა. იქ გამვლელები ღარიბებისთვის ფულს ყუთში ყრიდნენ. იესოს თვალწინ მრავალმა მდიდარმა ჩაიარა და წყალობა გაიღო. ბოლოს ღარიბი ქვრივი ქალი მივიდა, ორი ნაბევარგროშიანი ჩააგდო და ჩუმად გასცილდა იჭაურობას. ამის მხილველმა იესომ მოწაფეებს უხმო და უთხრა: ამათ შორის ყველაზე მოწყალე ქვრივი ქალიაო. მას თავადაც არაფერი აბადია და ღარიბთათვის პურის ფული — ორი ნაბევარგროშიანი გაიღო.

მოდით, ყოველთვის გავიხსენოთ ღარიბი ქვრივი, როცა ვიფიქრებთ, რომ გულუხვები ვართ.

მეჩვე თავი

ცხოვრობდა ვინმე ლაზარე ბეთანიელი, ძმა იმ მარიამ მაგდალინელისა, რომელმაც ქრისტეს მალამო წააცხო და ტერფები თავისი თმით შეუმშრალა. ერთხელ იგი ავად გახდა. მარიამმა და მისმა დამ მართამ ქრისტეს შეატყობინეს, უფალო, შენი საყვარელი ლაზარე სიკვდილის პირას არისო. ამის შემდეგ ორმა დღემ განვლო. იესო კი ლაზარესთან არ წავიდა. ბოლოს, მოწაფეებს უთხრა: „ლაზარე მკვდარია, მოდი, ბეთანიაში წავიდეთ“. ჩავიდნენ იერუსალიმთან ახლოს მდებარე ბეთანიაში და ნახეს, რომ ქრისტეს წინასწარმეტყველება გამართლებულიყო: ლაზარე მკვდარი იყო და ოთხი დღის წინ დაემარხათ.

მართამ გაიგო, რომ იესო მათთან მიდიოდა. სამძიმარზე მისულ ხალხს

გამოეყო და ქრისტეს შესახვედრად გაიქცა. მტირალი მარიამი კი შინ დატოვა. იესოს დანახვაზე მართას ცრემლები წასკდა: „უფალო, შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა“ „შენი ძმა კვლავ აღდგება“ მიუგო მაცხოვარმა „მე ვიცი, რომ აღდგება. უფალო, აღდგომის ვაჟი, უკანასკნელ დღეს“

ერქუნული

იესომ კი უთხრა: „მე თვით ვარ აღდგომა და სტამბლამყამებთა?“ — „დიან, უფალო!“ — უპასუხა მან.

მართა თავის დასთან გაეშურა და ქრისტეს მოსვლა შეატყობინა. მარიამი მაშინვე გარეთ გამოვარდა. თან მგლოვიარეები გამოჰყვნენ. მაცხოვარს მიუახლოვდა, მის ფერბთით დაემხო და აქვითინდა. ასევე მოიქცნენ სხვებიც. თანაგრძნობით სავსე იესოს თვითონაც ქვითინი აღმოხდა: „სად დამარბეთ?“ „უფალო, მოდი და იხილე!“ — მიუგეს მათ.

ლაზარე დაემარხათ მღვიმეში, რომლის შესასვლელსაც ლოდი ფარავდა. საფლავს რომ მიუახლოვდნენ, იესომ ბრძანა ქვა გადააგორეთო. თვალები ზეცად აღაპყრო, ღმერთს მადლობა შესწირა და საზეიმო ხმით წამოიძახა:

„ლაზარე, გარეთ გამოდი!“ ლაზარე გაცოცხლდა. ხალხში გაერია და დებთან ერთად შინ გაეშურა. ამ ამალეღვებელი სურათის მხილველთა უმრავლესობამ იწამა, რომ ქრისტე ქეშმარიტად კაცობრიობის მქადაგებლად, და მხსნელად მოვლენილი ღვთის ძე იყო. სხვები კი გაიქცნენ, რათა ყოველივე ფარისევლებისათვის ეცნობებინათ. იმ დღიდან ფარისევლებმა გადაწყვიტეს იესო მოეკლათ და ხალხში მისდამი რწმენა ჩაეხშოთ. ისინი ტაძარში ყოფნისას ერთმანეთს შეუთანხმდნენ, თუ იესო იერუსალიმში მოახლოებულ, პასეჟის დღესასწაულამდე მივიდოდა, უმალვე შეიპყრობდნენ.

პასეჟის დღესასწაულამდე ექვსი დღე იყო დარჩენილი, როცა იესომ ლაზარე მკვდრეთით აღადგინა. ღამით, ვახშამზე, როცა ლაზარეც მათთან იჯდა, მარიამი ადგა, ერთი გირვანქა ძვირფასი ნარდის მალამო აიღო, იესოს ტერფებზე წააცხო და თავისი თმით კიდევ ერთხელ შეუმშრალა. მთელი სახლი მალამოს სურნელებით აივსო. იუდა ისკარიოტელმა, ქრისტეს ერთ-ერთმა მოწაფემ, თავი გაბრაზებულად მოაჩვენა, მალამო შეიძლებოდა სამას პენსად გაგვეყიდა, ფული კი ღარიბებისთვის დაგვერიგებინათ. სინამდვილეში (მაშინ სხვებმა არ იცოდნენ), ის ქურდი იყო და სურდა რაც შეიძლება ბევრი ფული ეშოვა. მან ქრისტეს ღალატი მღვდელმთავრების ჩაგონებით დაიწყო.

პასეჟის დღესასწაული ახლოვდებოდა. იესო ქრისტე მოწაფეებთან ერთად იერუსალიმში წავიდა. ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, მაცხოვარმა მოწაფეებს ერთი სოფელი დაანახა, ორ მოწაფეს იქ შესვლა დაავალა და სთხოვა: ხეზე მიბმულ ვირს და ჩოჩორს ნახავთ და მომიყვანეთო. პირუტყვები მიუყვანეს. იესო ვირზე შემჯდარი შევიდა იერუსალიმში, ბრბო გარს შემოეხვია, იგი წინ მიიწევდა, ხალხი კი ტანსაცმელს მიწაზე აფენდა. ხის მწვანე რტოებს ჭრიდა და ფეხებთან უყრიდა. თან ყვიროდა: „ოსანა ძესა დავითისასა (დავითი იერუსალიმის ძლიერი მეფე ყოფილა). „ის მოდის ღვთის საბელით! ეს იესოა, ნაზარეველი წინასწარმეტყველი!“ და როცა იესო ტაძარში შევიდა, ფულის გადამცვლულების მაგიდები გადააყირავა; ისინი იქ მტრედებით მოვაჭრეებთან ერთად ისხდნენ.

„— მამაჩემის სახლი ლოცვის სავანეა, თქვენ კი ის ქურდების ბუდედ გადაგიქცევიათ!“ — წამოიძახა მან. ტაძარში მყოფი ბრბო აყვირდა: „ეს იესოა, ნაზარეველი წინასწარმეტყველი!“ და არ ჩუმდებოდა. შეგროვდნენ ბრმები

და კოჭლები, იესოს ხელით რომ განიკურნებოდნენ. მღვდელმთავრები, მწიგნობრები და ფარისევლები კი მისდამი შიშითა და სიძულვილით აღიშინებდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, იესო ავადმყოფთა განკურნებას მაინც არ წყვეტდა. მალე იგი იერუსალიმთან ახლოს, ბეთანიაში წავიდა და იქ დასახლდა.

ერთ ღამეს მოწაფეებთან მყოფი იესო ვახშირიდან წამოიჭრა და წყლით სავსე ტაშტი აიღო და მოწაფეებს ტერფები დაბანა. სიმონ-პეტრემ დაბანა სულაც არ სურდა. მაგრამ მაცხოვარმა უთხრა: — ასე იმიტომ ვთქვი, რომ დაგამახსოვრდეთ, კეთილები და სათნოები იყოთ, არ იამაყოთ და ერთმანეთს ავი არ უსურვოთ.

უცბად იესო დანალვლიანდა, მოწაფეებს გადახედა: ერთ-ერთი თქვენგანი მიღალატებსო!“ ისინი კი აყვირდნენ:

„— მე რომ არა, უფალო? მე ხომ არა?“ მან მხოლოდ მიუგო: „ვინც ჩემთან ერთად ხელს ჩაყოფს ჯამში, ის გამცემს“.

ამ დროს მისი ერთი საყვარელი მოწაფე იესოს მკერდს მიყრდნობოდა. სიმონ-პეტრემ მას ანიშნა, მოღალატე კაცის სახელი ჰკითხეო.

„მოღალატე ის იქნება, ვისაც თეფშზე დასველებულ პურის ნატებს მივცემ“. — უპასუხა იესომ. ხოლო როცა პურის ნატები დაასველა, იუდა ისკარიოტელს გაუწოდა, თან უთხრა: „რასაც იქმ, სწრაფად მოიმოქმედე“. სხვა მოწაფეებმა ვერაფერი გაიგეს, იუდა კი მიხვდა, რომ ქრისტე მის ბნელ აზრებს კითხულობდა.

იუდამ პურის ნატები აიღო და იქაურობას გასცილდა. ღამე იყო. იგი პირდაპირ მღვდელმთავრებისაკენ გაეშურა და ჰკითხა: „რას მომცემთ, იესო რომ ჩაგაბაროთ?“ ოცდაათ ვერცხლის მონეტას შეპირდნენ. მალე იუდა უფლისა და მოძღვრის იესო ქრისტეს მოღალატედ იქცა.

მეცხრე თავი

პასექის დღესასწაული ახლოვდებოდა. იესომ თავის ორ მოწაფეს — პეტრეს და იოანეს სთხოვა: „წადით იერუსალიმში. იქ შეხვდებით კაცს ხელში წყლით სავსე კოკით, შინ გაჰყევით და ჰკითხეთ — სად არის სასტუმრო ოთახი, სადაც მოძღვარს მოწაფეებთან ერთად შეუძლია პასექი მიირთვას. ის გაჩვენებთ დიდ, ავეჯით გაწყობილ ზედა ოთახს. იქ მოამზადეთ ვახშამი“.

მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იესომ თქვა. შეხვდნენ კაცს, რომელსაც წყლით სავსე კოკა ეჭირა და სახლამდე გაჰყვენენ. როდესაც იგი ოთახში შეუძღვა, მოწაფეებმა ვახშამი მოამზადეს. იესო და დანარჩენი ათი მოციქული დანიშნულ დროს მივიდნენ, დასხდნენ და ვახშამს შეექცნენ. ამას საიდუმლო სერობა (პურობა) ჰქვია. ამ დროს მაცხოვარმა თავის მოწაფეებთან უკანასკნელად ივახშმა. მან სუფრიდან აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მოწაფეებს მისცა. შემდეგ ღვინით სავსე თასი აკურთხა და დალია, მათაც გაუწოდა, თან თქვა: „ასე მოიქეცით და გამიხსენეთ!“ საიდუმლო სერობა დასრულდა. ჰიმნი იგალობეს და უმაღლ ზეთისხილის მთისაკენ გაეშურნენ. იქ იესომ მოწაფეებს უთხრა, ამაღამ შემიპყრობენ, თქვენ მიმატოვებთ და მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნებთო. პეტრე შეპირდა, არსოდეს მიგატოვებო.

„— სანამ მამალი დაიყივლებს, — მიუტრიალდა მაცხოვარი, — შენ სამჯერ უარმყოფ“.

„არა, უფალო, კიდევ რომ ვკვდებოდე, მაინც არ უარგყოფ“. — მიუგო პეტრემ სხვა მოწაფეებმაც იგივე გაიმეორეს.

მალე იესო კედრონის ნაკადულის გაღმა, გეთსიმანის ბაღისაკენ გაემართა და სამ მოწაფესთან ერთად ბაღის ყველაზე მყუდრო ადგილას სეირნობდა. შემდეგ განმარტოვდა, თან სთხოვა: „დაიცადეთ და იხილეთ!“ მერე მარტოსულმა ლოცვები აღავლინა. დაღლილ მოწაფეებს ~~ვიჩინებდათ!~~

ქრისტე განუზომლად იტანჯებოდა გეთსიმანის ბაღში იერუსალიმის ბოროტი კაცები ხომ მოკვლას უპირებდნენ. ღრმად დამწუხრებულმა ღვთის წინაშე ცრემლები დაღვარა.

ბოლოს ლოცვები დაასრულა, დამშვიდდა და მოწაფეებს მიუბრუნდა: „აღსდექით! წავიდეთ! მოლაღატე სულ ახლოა!“

იუდამ კარგად იცოდა, სად იყო გეთსიმანის ბაღი. მაცხოვარი ხომ თავის მოწაფეებთან ერთად იქ ხშირად სეირნობდა. ზუსტად იმ დროს, როცა იესომ ეს სიტყვები წარმოთქვა, იუდა ბაღში შევიდა. მას მღვდელმთავრებისა და ფარისევლებისაგან გამოგზავნილი მსახურებისა და ჯარისკაცების ძლიერი რაზმი ახლდა. ბნელოდა. მათ ფარნები და ლამპები მიჰქონდათ, მახვილებითა და კეტ-კომბლებით იყვნენ შეიარაღებული. იცოდნენ, რომ ხალხი იესო ქრისტეს დასაცავად აღდგებოდა და მისი შეპყრობისა დღისით, ქადაგებისას ძლიერ ეშინოდათ.

რაზმის მეთაურებს მაცხოვარი არასოდეს ენახათ და მოციქულებისაგან ვერ ანსხვავებდნენ. ამიტომ იუდამ გამოაცხადა: „კაცი, რომელსაც ვაკოცებ, იესო იქნება“. და საკოცნელად წაიწია. ამ დროს იესომ ჯარისკაცებს ჰკითხა: „ვის ეძებთ?“ „— იესო ნაზარეველს.“ — მიუგეს.

„ნაზარეველი მე ვარ, დაე, ჩემმა მოწაფეებმა აქაურობას თავი მშვიდობით დააღწიონ“.

ის რომ მართლაც ნაზარეველი იყო, იუდამ სალმით დაამტკიცა და ქრისტეს აკოცა. „იუდა, მკოცნი და თან მლაღატობ!“ — უთხრა იესომ.

რაზმი ქრისტეს შესაპყრობად დაიძრა. დაცვა არავის უფიქრია. მხოლოდ პეტრემ იძრო ხმალი და მღვდელმთავრის ერთ-ერთ მსახურს — მალქოზს მარჯვენა ყური მოაჭრა. მაგრამ იესომ პეტრეს ხმალი ქარქაშში ჩააგებინა და მტერს დანებდა. იესოსთან არავინ დარჩენილა. ყველა მოწაფემ მიატოვა და იქაურობას გასცილდა.

მეათე თავი

გავიდა ხანი. პეტრემ და იესოს კიდევ ერთმა მოწაფემ გამბედაობა მოიკრიბეს და მალულად გაჰყვნენ რაზმს მღვდელმთავარ კაიაფას სახლამდე. იესო იქ ჰყავდათ დატყვევებული და მის დასაკითხავად მწიგნობრები შეკრებილიყვნენ. პეტრე კარებთან დადგა, მღვდელმთავრის ნაცნობი მეორე მოწაფე კი შიგნით შევიდა და კარის მცველ ქალს სთხოვა, პეტრეც შემოეშვიო.

„შენ იესოს ერთ-ერთი მოწაფე არა ხარ?“ — ჰკითხა ქალმა და პეტრეს შეხედა. „არა“, — მიუგო მან. ქალმა შეუშვა. პეტრე ოთახში შევიდა და სხვა მსახურებთან ერთად ცეცხლს მიეფიცხა. იქ ხომ ძალიან ციოდა. მალე მსახურებმაც იგივე შეკითხვა გაუმეორეს პეტრეს: „შენ იესოს ერთ-ერთი მოწაფე არა ხარ?“ მან კვლავ უარყო. ამ დროს ერთმა მათგანმა, პეტრეს მიერ ყურმო-

ჭრილი კაცის ნათესავმა წამოიძახა: „რუნღითან ერთად არ იყავი ბაღში?“ პეტრემ კვლავ ფიცით უარყო და მათ მიმართა: „მე არ ვიცნობ ამ კაცს.“ უეტრად მამალმა დაიყვილა. იესო მოტრიალდა და დაყინებული მხერგა მიაბურთ პეტრეს. პეტრეს იესოს ნათქვამი ვაახსენდა, მამლის ყივილამდე სამჯერ უარყოფო და მწარედ ატირებული გარეთ გავიდა.

მღვდელმთავარმა ქრისტეს ჰკითხა, ხალხს რას ასწავლიდი. ქრისტემ მიუგო, დღისით-მზისით ვმოძღვრავდი ქუჩაში, ყველას თვალწინ, დაე, მათ ჰკითხეთ, რა შეითვისესო. ერთმა მსახურმა ასეთი პასუხისათვის იესოს სილა გააწინა, ორი ყალბი მოწმე შემოვიდა და ამტკიცებდა, იესომ დაიტრაბახა, ღვთის ტაძარს დავანგრეე და სამ დღეში ისევ ავაშენებო. იესო შეკითხვებზე ძუნწად პასუხობდა. მწიგნობრებმა და მღვდლებმა გადაწყვიტეს, რომ იგი ღვთის გმობისათვის სიკვდილით დაესაჯათ. მათ მაცხოვარს მიაფურთხეს, შემდეგ კი გაამართლეს.

იუდა ისკარიოტელი მიხვდა, რომ მოძღვარს დაღუპვა ემუქრებოდა და თავისი საქციელით შეძრწუნებულმა ოცდაათი ვერცხლის მონეტა მღვდელმთავრებს უკანვე მიუყარა: „მე ვუღალატე უცოდველ სისხლს და ვერ შევინახავ ფულს!“ სასოწარკვეთილი გაიქცა და თავი ჩამოიხრჩო. თოკმა სხეულის სიმძიმეს ვერ გაუძლო და გაწყდა. მთლად დაიარავებული იუდა მიწაზე უსულოდ დაეცა. ო, რა საზარელი სანაბავი იყო! მღვდელმთავრებმა აღარ იცოდნენ, სად წაეღოთ ის ოცდაათი ვერცხლის მონეტა და უცხოელთა სასაფლაო იყიდეს. მას მეჭურჭლის მინდორი ერქვა, მაგრამ ხალხი სისხლის მინდორს ეძახდა, იმიტომ რომ ქრისტეს სისხლის ფასად იყო ნაყიდი.

იესო მღვდელმთავრებს მოაცილეს და წაიყვანეს სასამართლოში. სადაც ცინის უფროსი პილატე პონტოელი „მართლმსაჯულებას“ აღასრულებდა. პილატემ (ის ებრაელი არ იყო) უთხრა ქრისტეს: „ებრაელმა მღვდლებმა შენი თავი მე გადმომცეს, რა ჩაიძინე?“ პილატემ გაიგო, რომ იესოს არაფერი დაეშავებინა, გარეთ გავიდა და ეს ებრაელებს მოახსენა. მათ კი თქვეს: იგი გალილეადან მოყოლებული დღემდე სულ სიცრუეს ქადაგებდაო. იმ დროს პეროდეს გალილევას კანონდამრღვევთა დასჯის უფლება ჰქონდა. ამიტომ პილატემ ითხოვა: მასში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პეროდესთან წავიყვანოთო.

და იესო პეროდეს მიჰგვარეს. იგი მკაცრი ჯარისკაცებითა და შეიარაღებული ხალხით იყო გარშემორტყმული. მათ იესო მასხარად აიგდეს, ლამაზად შემოსეს და ისევ უკან გაგზავნეს. პილატემ კვლავ მღვდლებსა და ხალხს მოუხმო და გამოაცხადა: „მე და პეროდე ამ კაცს ბრალს ვერ ვდებთ. იგი სიკვდილს არ იმსახურებს“. მათ კი პასუხად იხუვლეს: „იმსახურებს, იმსახურებს, მოკალით, მოკალით!“

პილატე შეწუდა, იესოს სიკვდილს ასე დაყინებით რომ მოითხოვდნენ. პილატეს ცოლიც მთელი ღამე წუხდა და ქმარს სთხოვდა, ამ უცოდველ კაცს არაფერი დაუშავოო. პასეჩის დღესასწაულზე ჩვეულებად ჰქონდათ რამდენიმე პატიმრისათვის თავისუფლება ეწყალობებინათ. პილატემ ხალხს მოუწოდა, იესოს განთავისუფლება ითხოვეთო. მაგრამ ისინი — ველურები და უვიცები — მაინც ცივ უარზე იდგნენ. მღვდლები ხომ ასე ბრძანებდნენ: „არა, არა, ჩვენ მის განთავისუფლებას არ მოვიტხოვთ, გაათავისუფლეთ ბარაბა, ეს კაცი კი ჯვარს აცვიოთ!“

ბარაბას მძიმე დანაშული ჰქონდა ჩადენილი. ციხეში იჯდა და სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა.

პილატე დარწმუნდა, რომ ხალხი იესოს სიკვდილს დაჟინებით მოითხოვდა და მაცხოვარი გასამათრახებლად ჯარისკაცებს გადასცა. მათ ეკლის გვირგვინი დაწნეს, თავზე დაადგეს. ალისფერი სამოსი ჩააცვეს, ფურცლები და ცემა დაუწყეს და დაცინვით მიახალეს: „სალამი ებრაელთა მეფეს!“ ასე რომ, რომ როცა იგი იერუსალიმში შევიდა, ბრბო დავითის ძეს ეძახდა: „უხეშად ექცეოდნენ. მაგრამ იესო ყველაფერს ითმენდა და მხოლოდ თავისთვის ემბობდა: „მამაო! შეუნდე, მათ ხომ არ იციან, რას სჩადიან!“

პილატემ ალისფრად შემოსილი და თავზე ეკლის გვირგვინდადგმული იესო კიდევ ერთხელ გამოიყვანა და ბრბოს მიმართა: „შეხედეთ!“ მათ კი შეუბრალებლად იხუვლეს: „ჯვარს აცვით! ჯვარს აცვით!“ მღვდელმთავრები, მსახურებიც ასე ყვიროდნენ. „წაიყვანეთ და თქვენ თვითონ აცვით ჯვარს, მე მას ბრალს ვერ ვდებ!“ — თქვა პილატემ. მათ კი წამოიყვირეს: „ის თავის თავს ღვთის ძედ მიიჩნევდა, რაც ებრაელთა კანონით სიკვდილით დასჯას იმსახურებს! და თავს ებრაელთა მეფედ ასაღებდა, ეს კი რომაულ კანონს ეწინააღმდეგება. ჩვენ მეფე კი არა, კეისარი გვყავს. კეისარი რომის იმპერატორია და თუ მას დაუსჯელს გაუშვებთ, კეისრის წყალობას ვერ დაიმსახურებთ, ჯვარს აცვით! ჯვარს აცვით!“

პილატე მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, წყალი მოითხოვა და ხელები დაიბანა. „უცოდველი ვარ ამ სამართლიანი კაცის სისხლის დაღვრაში“. — ამ სიტყვებით იესო საწამებლად გადასცა. ბრბო ყვირილით შემოეხვია და ცემა-ტყუპით დასასჯელად წინ გაიგდო. იესო კი მაინც მათთვის შეჰღალაღებდა ღმერთს.

მეთერთმეტე თავი

„ჯვარს აცვით! ჯვარს აცვით!“ — გაიძახოდა ხალხი, იმ დაუნდობელ დროს (მადლობა ღმერთსა და იესო ქრისტეს, რომ ის დრო წარსულს ჩაბარდა) ასეთი ჩვეულება იყო: სიკვდილმისჯილებს ცოცხლად მიაღურსმავდნენ მიწაში ჩასობილ. ხის დიდ ჯვარზე და გააშიშვლებდნენ მზესა და ქარში, სანამ ტკივილითა და წყურვილით არ დაიხოცებოდნენ. მხარზე ჯვარაკიდებელი წამებულები დასჯის ადგილამდე თავიანთი ფეხით მიდიოდნენ. იმ ჯვარზე ხელ-ფეხით მიკედებულებს, სახალხოდ არცხვენდნენ და აწამებდნენ.

და ასე ყველაზე საშიშ დამნაშავესავით მხარზე ჯვარაკიდებელი, ხალხით გარშემორტყმული ჩვენი კურთხეული მაცხოვარი იესო ქრისტე წავიდა იერუსალიმიდან გოლგოთისაკენ (ებრაულად — თხემის ადგილი). გოლგოთის მთაზე იესო ჯვარზე მიაღურსმეს ორ სხვა ჯვარს შორის. თითოეულ მათგანზე ქურდი იყო გაკრული. ზემოთ კი ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად წააწერეს:

„იესო ნაზარეველი, ებრაელთა მეფე“.

ამასობაში ჯარისკაცებმა მისი განძარცული სამოსი გაიყვეს და კვართზე ყარეს წილი. შემდეგ ბანქოს მიუხდნენ, თან საუბრობდნენ, იესო კი იტანჯებოდა. დასაღვეად ნაღველნარევი ძმარი და შემურვილი ღვინო შესთავაზეს, მაგრამ მან არაფერი ისურვა. ბოროტი კაცები გვერდით ჩაუვლიდნენ და დასცინოდნენ: „თუ ღვთის ძე ხარ, ჯვრიდან ჩამოდი!“ მღვდელმთავრებიც აბუჩად იგდებდნენ: „ცოდვილთა დასახსნელად მოგვევლინა, ნეტავ თავისი თავი

დაიხსნას!“ — ერთ-ერთი ქურდიც მასხარად იგდებდა: „თუ ქრისტე ხარ, ჯერ შენი თავი იხსენი და მერე — ჩვენ!“ მეორე მონანიე ქურდი კი ამბობდა: „უფ-ალო! გამიბსენე, როცა შენს სასუფეველში შეხვალ!“ „დღეს შენ ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში!“ — უთხრა იესომ.

არავის ებრალებოდა ღვთის ძე — იესო ქრისტე, ერთი მთავრული მტკიცებით ოთხი ქალის გარდა. ღმერთმა დალოცა ის სათნო ქალები, ისინი იყვნენ: იესოს დედა, დეიდა, მარიაში — კლეოპასის ცოლი და მარია მადალინელი, რომელ-მაც ტერფები თავისი თმით ორჯერ შეუმშრალა, მოციქული კი იესოს საყვარელი იოანე იყო. ალბათ გახსოვთ, მან მაცხოვარს მოლაღატე კაცის სახელი ჰკითხა, იესომ ჯვართან მდგომი ქალები და იოანე დაინახა და დედას უთხრა, როდესაც გარდავიცვლები, შენი შვილი იოანე იქნება და განუგეშებსო. მართლაც, იმ წუთიდან იოანე მარიაშის ძე გახდა და ღვთისმშობელი ძლიერ შეიყვარა.

დაახლოებით ექვს საათზე საშინელი სიბნელე ჩამოწვა და ცხრა საათამდე გაგრძელდა. მერე იესომ წამოიყვირა: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ გამწირე! ჯარისკაცებმა ძმარში ღრუბელი დაასველეს და პირთან მიუტანეს.

„დასრულდა! ღმერთო, სულს შენ გაბარებ!“ — კვნესით აღმოხდა და მიიცვალა.

შემდეგ ძლიერი მიწისძვრა დაიწყო, ტაძრის კედელი შეზანზარდა და კლდეები შუა გაიპო. შეშინებულმა ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „ჭეშმარიტად, ის ღვთის ძე იყო!“ შორიდან მაცქერალმა ქალებმა კი გულმკერდი დაიხოკეს და დანადგლიანებულები და შეშინებულები შინ გაეშურნენ.

მეორე დღე შაბათი იყო. ებრაელებმა პილატეს დამნაშავეების დახოცვას თხოვეს. იმ ორ ავაზაკს წვივები ჩაულეწეს, ხოლო როცა იესოსთან მივიდნენ, უკვე გარდაცვლილი იყო, ამიტომ მხოლოდ ფერდი გაუკვეთეს შუბლით. ჭრილობიდან უმალ ითქრიალა სისხლმა და წყალმა.

იმ დროს ცხოვრობდა ერთი კეთილი კაცი — იოსებ არიმათიელი (არიმათია ებრაელთა ქალაქია). მას ქრისტესი სწამდა, ებრაელების უჩუმრად წავიდა პილატესთან და შეეხვეწა იესოს გვამი არ გადააგდოთო. პილატე დათანხმდა. მან და ერთმა კაცმა — ნიკოდემოსმა გვამი ტილოში გაახვიეს, ზედ კი ნელსაცხებელი წაუსვეს — მიცვალებულთა ასეთი მომზადება დასამარხავად ებრაელთა ჩვეულება იყო, იესო ბაღში დამარხეს, კლდეში გამოკვეთილ ახალ საფლავში, ჯვარცმის ადგილთან. საფლავის პირას ლოდი მიაგორეს და ზედამხედველებად მარია მადალინელი და მეორე მარიაში დატოვეს.

მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა იცოდნენ, თუ რა უთხრა იესომ მოწაფეებს: გარდაცვალების მესამე დღეს საფლავიდან აღვდგებიო. ამიტომ პილატესთან წავიდნენ და სთხოვეს, საფლავს თვალი ადევნეო. მათი აზრით, მოწაფეები გვამს მოიპარავდნენ და ხალხს ეტყოდნენ, ქრისტე მკვდრეთით აღდგაო.

პილატემ მეთვალყურედ ჯარისკაცები დააყენა და ლოდი დალუქა. ასე გაგრძელდა გარდაცვალების მესამე დღემდე.

განთიადისას მარია მადალინელი, მეორე მარიაში და სხვა ქალები საფლავზე მივიდნენ, თან თავიანთი დამზადებული ნელსაცხებლები მიიტანეს.

„როგორ გადავაგოროთ ლოდი?“ — ჰკითხეს ერთმანეთს. ამ დროს მიწა

შეზანზარდა. ზეციდან ანგელოზი დაეშვა, ლოდი გადააგორა და ზედ დაესვე-
ნა. მისი სამოსი თოვლივით თეთრი იყო. სახე უბრწყინავდა. გვამის დამცველებს
მის დანახვაზე შიშისაგან გული წაუვიდათ.

ლოდი რომ გადააგორდა, მარიამ მაგდალინელი საფლავისკენ მიმავალ პე-
ტრესთან და იოანესთან გაიქცა და უთხრა: „უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად
დაასაფლავეს!“ იმწამსვე გაიქცნენ საფლავისკენ. პირველი იოანე მივიდა,
ძირს დაიხარა, შიგ შეიხედა და დაინახა ტილო, რომელშიც ადრე გვამი იყო
გახვეული. შემდეგ პეტრე მივიდა, შიგ შევიდა, დაინახა ტილო და სუდარა, რო-
მელიც ადრე ქრისტეს ჰქონდა თავზე წაკრული. მერე იოანეც შევიდა შიგ
და იგივე იხილა. მალე ყველანი შინ გაემართნენ, რომ ეს ამბავი სხვებისთვის
საც უცნობებინათ.

მარიამ მაგდალინელი საფლავის გარეთ იყო და ტიროდა. მერე დაიხარა
და შიგ შეიხედა. იქ, სადაც ადრე ქრისტეს გვამი იყო დამარხული, ორი თეთ-
რად შემოსილი ანგელოზი ჩამომჯდარიყო. „რატომ ტირიხარ?“ — ჰკითხეს
ანგელოზებმა მარიამს. „— ჩემი უფალი მოიტაცეს და არ ვიცი, სად დაასვე-
ნეს“. უცბად იგი შეტრიალდა და უკან მდგომი იესო იხილა.

„რატომ ტირიხარ, ვის ეძებ?“ — ჰკითხა ქრისტემ, მარიამმა იფიქრა, ეს
კაცი მებაღეაო და უბასუხა: „ბატონო, თუ ჩემი უფალი აქედან შენ წაასვენე,
მიტხარი, სად დაასაფლავე და უკან წამოვასვენებ“.

„მარიამ!“ — წარმოთქვა იესომ. ქალმა უმაღ იცნო და შემკრთალმა წა-
მოიძაბა:

„მოძღვარო!“

„არ შემენო! — სთხოვა ქრისტემ. — მე ხომ ჯერ კიდევ არ ავსულვარ
მამაღმერთთან, ჯერ ჩემს მოწაფეებთან მივალ და ვეტყვი, რომ მივდივარ მა-
მაჩემთან და მამამენტთან, ჩემს ღმერთთან და შენს ღმერთთან!“

მარიამ მაგდალინელი მუისვე მოწაფეებთან გაიქცა და უთხრა, ქრისტე
ვნახეო, მისი სიტყვებიც გადასცა. ამ დროს მან და მოწაფეებმა საფლავთან
ქალები დაინახეს. ისინი იქ იყვნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მარიამი პეტრესა
და იოანეს დასაძახებლად წავიდა. ამ ქალებს საფლავთან მბრწყინავ-ტანსაცმ-
ლიანი ორი უცნობი კაცი შეუნიშნავთ, შეშინებიათ და მუხლებზე დავარდნი-
ლან. უცხო კაცებს უთქვამთ, უფალი მკედრეთით აღდგაო და გზად მიმავალ
მაცხოვრისთვის მუხლმოდრეკით უციათ თავიანი. მაგრამ მოციქულებს ეს
ყველაფერი ტყუილი ეგონათ.

რაზმის ჯარისკაცები გონს მოსვლისთანავე მღვდელმთავრებთან მივიდ-
ნენ. სურდათ ყველაფერი ეთქვათ, რაც ნახეს. მაგრამ ისინი ფულით ჩააჩუმეს
და უბრძანეს სინამდვილე გადაესხვაფერებინათ: ვითომ როცა მათ ეძინათ,
გვამი მოწაფეებმა მოიპარეს.

იმავე დღეს სიმონი და კლეოპა იერუსალიმთან ახლოს, სოფელ ემაოსკენ
მისერირობდნენ, თან ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაზე საუბრობდნენ. სი-
მონი ერთ-ერთი მოციქული იყო, ხოლო კლეოპა — ქრისტეს მიმდევარი. ამ
დროს გზად ერთი კაცი შეხვდათ იგი ბიბლიასა და ღმერთზე ესაუბრა და თავ-
ვისი ცოდნით ძლიერ გააოცა ისინი. სოფელს რომ მიიღწიეს, უკვე ღამდებო-
და. უცნობ კაცს დარჩენა სთხოვეს, ისიც დაეთანხმა, უცნობმა აიღო პური, აკუ-
რთხა და გატეხა ისე, როგორც იესომ საიდუმლო სერობის ეამს. მის შეცვლილ
სახეს გაოცებით შეხედეს და მიხვდნენ: ეს თვით ქრისტე იყო! მაგრამ ის უმა-
ღვე გაუჩინარდა.

სიმონი და კლეოპა იმავე წუთს წამოდგნენ. იერუსალიმში დაბრუნდნენ და მოწაფეებს ყველაფერი უამბეს. საუბრისას უეცრად მათ შუა იესო დადგა და ხმამაღლა წარმოთქვა: „მშვიდობა თქვენდა!“ მოწაფეები ძლიერ შეშინდნენ. ამიტომ მაცხოვარმა ხელის შეხების ნება დართო და მათთვის გონს მოსვლის დრო რომ მიეცა, შემწვარი თევზის ნაჭერი და ცოტათი დენი

იმ დროს ერთ-ერთი მოციქული — თომა იქ არ იყო. როცა დაბრუნდნენ მოციქულებმა უთბრეს. უფალი ვიხილეთო. მან მიუგო: „სანამ მის ხელზე ნალურსმს არ ვნახავ და მის ფერდში ხელს არ ჩავყოფ, არ დავიჯერებ“. თუმცა ყველა კარი დაბნეული იყო, უეცრად, სად იყო და სად არა, იესო ისევ გამოჩნდა. მათ შუა დადგა და წარმოთქვა იგივე სიტყვები: „მშვიდობა თქვენდა!“ შემდეგ კი თომას მიმართა: „იხილე ჩემი ხელები. შემებე და ხელი ჩაყავი ჩემ ფერდში. ნუ იქნები ურწმუნო. იწამე მარად!“

„უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!“ — აღმოხდა თომას. „თომა, შენ მირწმუნე, რადგან მიხილე. ნეტარ არიან ისინი, რომელთაც ვერ მიხილეს და მარცხ მირწმუნეს“.

ამის შემდეგ ხუთასმა მიმდევარმა ერთდროულად ნახა იესო ქრისტე. იგი ორმოცი დღე დარჩა მათთან. ასწავლიდა და მოუწოდებდა წასულიყვნენ და ყველგან მისი რელიგია ექადაგათ. ბოროტი ადამიანების რისხვისა არ შეშინებოდათ.

მაცხოვარმა მოწაფეებს უკანასკნელად ბეთანიაში უქადაგა და აკურთხა. მერე ზეცაში ავიდა და იქ ღვთის მარჯვნივ დაიკავა ადგილი.

ერთხელ მოწაფეები ცისფერ, ნათელ ცას შესცქეროდნენ. უცებ ორმა თეთრსამოსიანმა ანგელოზმა გამოაშუქა და აუწყა, ერთ დღეს ქვეყნის განსასჯელად ციდან დაშვებულ იესო ქრისტეს დაინახავთ.

როცა ქრისტე უკვე აღარ ჩანდა, მისი მოძღვრების ქადაგება მოციქულებმა დაიწყეს. მათ ბოროტი იუდას მაგიერ მოციქულად მათე აირჩიეს. მოციქულები მსოფლიოს ყველა კუთხეში დაიარებოდნენ, ისინი ხალხს ქრისტეს ცხოვრებასა და სიკვდილზე — მის ჯვარცმასა და აღდგომაზე ესაუბრებოდნენ, ნათლავდნენ ქრისტეს სახელით და იმ ძალით, რომელიც მან შთაბერა მათ. მოციქულები კურნავდნენ ავადმყოფებს, სინათლეს უბრუნებდნენ ბრმებს, მეტყველებას — მუნჯებს და სმენას — ყრუებს.

ციხეში გამომწყვდეული პეტრე შუალამით ანგელოზმა გაათავისუფლა. ღვთის წინაშე წარმოთქმულმა მისმა სიტყვებმა ერთი კაცი, სააელად ანანიასი და მისი ცოლი საფირა მოაკვდინა და მიწაზე განართხო. მათ ადრე ტყუილი ეკადრათ.

ქრისტიანებს ყველგან დევნიდნენ და უხეშად ექცეოდნენ. ერთი კაცი — საული მათ ძალზე ემტერებოდა. მაგრამ მალე ღმერთმა გული მოუღბო. ერთხელ ის დამასკოსაკენ მიემართებოდა, რათა იქაური ქრისტიანები დაეპატიმრებინა. ამ დროს ზეციდან ნათელი მოეფინა და ჩამოესმა ხმა: „საულ, საულ, რატომ მდევნი? და უეცრად უხილავმა ძალამ თანმხლები ჯარისკაცების თვალწინ ცბენიდან გადმოავდო. როცა ჯარისკაცებმა წამოაყენეს, დაინახეს, რომ დაბრმავებულიყო. სამი დღე ასე დარჩა, არც ჭამდა, არც სვამდა. ბოლოს, ერთმა ანგელოზისგან მოვლენილმა ქრისტიანმა იესოს სახელით მხედველობა დაუბრუნა.

საული გაქრისტიანდა და მოციქულებთან ერთად ქადაგებდა.

ქრისტიანებმა სახელი ქრისტიანი ქრისტესაგან აიღეს და ატარებდნენ

ჯვარს, როგორც თავიანთ ნიშანს. იესო ხომ ჯვარზე გაკრული მოკვდა. იმ დროს გავრცელებული ყალბი და სასტიკი რელიგიები ხალხს ძალმომრეობისაკენ უბიძგებდა.

მხეცებს და ადამიანებს ეკლესიებში კლავდნენ იმ რწმენით, ვითომ მათი სისხლის სუნი ღმერთებს სიამოვნებთო. მათი აზრით, მრავალ ღმერთი არსებობდა და უამრავი უწყალო, ამაზრზენი ცერემონია ბატონობდა. თუმცა ქრისტიანობა სასიკეთო და ჭეშმარიტი იყო, ძველი რელიგიების მღვდლები დიდხანს შთააგონებდნენ ხალხს, ქრისტიანებს რაც შეიძლება მეტი ზიანი მიყენეთო. მათ აბრჩობდნენ, თავებს კვეთდნენ და წვაავდნენ, ცოცხლად მარხავდნენ და საძიძვნად მხეცებს უგდებდნენ ხალხის გასართობად. ასე გრძელდებოდა წლობით. მათ მაინც არაფრის ეშინოდათ. მტკიცედ სწამდათ, რომ თუ თავიანთ ვალს მოიხდიდნენ, ზეცაში ავიდოდნენ.

ათასობით ქრისტიანი გამოჩნდა და ქადაგებდა. მათ კლავდნენ, სამაგიეროდ სხვა ქრისტიანები ენაცვლებოდნენ, სანამ ქრისტიანობა მსოფლიოს ძლიერი რელიგია არ გახდა.

დაიმახსოვრეთ! თუ ქრისტიანები ვართ, ყოველთვის კარგი უნდა გავაკეთოთ. ბოროტებასაც კი სიკეთით უნდა ვუპასუხოთ. ქრისტიანობა მოითხოვს, რომ მოყვასი საკუთარი თავივით გვიყვარდეს და ყველას იგივე ვუსურვოთ, რასაც ჩვენთვის ვისურვებდით.

ქრისტიანობა სიკეთეს, წყალობას, სათნოებასა და მიტევებას ქადაგებს. ეს თვისებები გულში უნდა დავიმარხოთ და ლოცვებითა და ღვთის სიყვარულით არასოდეს ვიტრაბახოთ. პირიქით, ღვთის სიყვარული და მორჩილება ყოველთვის მოწიწებით უნდა გამოვავლინოთ. თუკი მარად გვემახსოვრება ჩვენი უფლის — იესო ქრისტეს ცხოვრება და მოძღვრება და ვეცდებით მის კვალობაზე მოვიქცეთ, ღმერთი მოგვიტევეს ცოდვებს — ვიცხოვრებთ და გარდავიცვლებით მშვიდად.

ქართული პოეზია

ლექსები



თარგმნა ენვერ ნიჟარაძემ

პენ-ციონ ტოვარი

სამი ლექსი

1

შენი ჩემდამი სიყვარული
 ძლიერია თვითონ სიკვდილზეც.
 ვიცი ლეთასაც გადმოლახავ,
 ხავერდოვან ჩვენს ძველ ენაზე
 ჩაგჩურჩულებ ჩუმად რა წამსაც.
 — ო, გამოფრინდი, ძვირფასო,
 ჩემსკენ.

ფრთები შეისხი და გამოფრინდი.
 მე აქ ვიჯექი და აქ ვტიროდი,
 როს ვიგონებდი ღღეებს
 ჩვენი ერთად ყოფნისა.

2

შენ დაბრუნდები ვიცი ჩემთან,
 თვითონ ქვესკნელსაც კი გამოარღვევ
 და არ დატოვებ ძაბილს ჩემსას
 ხმად მლალადებლის უდაბნოს შინა.
 დაბრუნდი სულთ,
 დაუბრუნდი სიცოცხლეს შენსას,
 ჩემს სიცოცხლესაც —
 იგი უშენოდ რადგან შენზე
 ასეზის მკვდარია.

3

შენ დაბრუნდები,
 გრძნეული გული მეუბნება,

რომ დაბრუნდები.
 გრიგალო ჩემო,
 ტივო და ზღვაო.
 წყვილიადის ქიმზე გალესილი
 კბილებით გაღრღნი
 სიკვდილის ბადეს.
 სუდარას მკვიდრისას გადაიძრობ
 გველის ტყავით
 და შემოხვალ ჩემს ოთახში,
 სიცილით:

— ეე!.. აი, მე აქ ვარ! —
 სიტყვათა შენთა შრიალიდან და
 შენი სახელის თბილი ფერფლიდან
 მე აღვდგები და მოგეახლები.
 მლაშე ცრემლებით დაგინამავ
 მშვენიერ სახეს.
 შემომხვიე მაგრად მკლავები.
 მაგემე თაფლი შენთა ბაგეთა,
 ტკივილო ჩემო,
 მზეო და ზღვაო.

დონ-კიხოტი

გადაღლილმა სიზმრებში ომით
 გამოიღვიძა დონ-კიხოტმა.
 ჩახედა სარკეს და დაინახა
 სანჩოს გოგრა — იდალგოს მხრებზე.
 ფრუტუნებს ვირი დაბმული
 ზღურბლთან.

ამხედრდა ვირზე,
 გაძვალტყავებულ გრძელი ფეხებით

მიჩიჩქნის მიწას.
წინ. მეგობრებო, წინ. ძველებურად.
სიჩუმისა და მზის ჭავლები
მის გამხდარ სხეულს
ბასრი კლანჭებით ჩაფრენია,

როგორც მიმინო.

მიღულა თვალი მზის ეკლებით
შეწუხებულმა.

რომ კვლავ სიზმარში ჩაეხედა.
მაგრამ პირველად, დიდი ხნის მერე,
იგი ხედავს ცარიელ სიზმარს,
არც ხმა მოისმის არსაიდან და არც
რამ ექო.

ძილ-ღვიძილშია, მიჩაქჩაქებს.
უეცრად მბრწყინავ ფანჯარაში
მან დაინახა სახე ტურფა დულცინეასი,
თავი ჩაპკიდა. ჩაიფერფლა.
და მზე ჩავიდა. ჩამოწვა ბინდი.
წამით თითქოს და ბასრმა შუბმა
გასჭრა უკუნი.

და მისი გული ძველებური ცეცხლით
აენთო:

„წინ! შევეუტიოთ სახიფათო ქარის
წისქვილებს!“

მაგრამ თავი რომ სანჩოსია რაინდის
მხრებზე:

„წყნარად, ძმობილო, თავს
გაუფრთხილდი!“

მათრახს უღონოდ ხელი უშვა.
დაღლილი ვირი წალასლასდა
ბაგეებისკენ.

აი, ამგვარად მგზავრობდნენ ერთად
გოგრა სანჩოსი, გული კიდევ
ღონ-კიხოტისა.

იცის კი ჩიტმა
ხე რაირიგად ბედნიერია,
როს საღამოთი
უბრუნდება ის თავის ბუდეს.
ნეტავი თუ გრძნობს.
როგორ თრთიან მწვანე ფოთლები,
როცა ჩიტს გზაში აგვიანდება.
ანდა
რა იცის მან ფესვებზე,

ამ ხის ფესვებზე,
მათ მძაფრ სურვილებზე,
რომ ჰქონდეთ ფრთები,
რომ ერთხელ მსხვერპლი
ერთხელ მისხვერპლნი
ზღვასა და ზეცას შორის
ამოიკივლონ
სიბნელე სულის.

ჩრდილის ბავშვები

დავხუჭავ თვალებს
და ის ხმები
მესმის ისევე.
მოდინ ჩუმად
თითისწვერებზე.
ჩრდილის ბავშვები
მზესა და შუქს ერიდებიან,
როგორც მე ვუვლი
გვერდს პატარა,
მკვდარი თავის ლეშს
და გზას ვაგრძელებ.

ჩრდილის ბავშვები
ღამით მიდიან.
იპარებიან ჩუმად
ხსოვნის ჭუჭრუტანებში.
მე ახლაც მტანჯავს
იმ ვაგონის მდუმარება
ბავშვები რომ გადმოცალეს
ქვანახშირივით.

ვერძნობ მათ თბილ სუნთქვას.
ვხედავ ობოლ მიტოვებულ
ჭინჭის თოჯინას
და დაქმუქვნილ
ქალაქის ხომალდს.
ღიღებს.
ძაფებს.

ანგელოზებს ცვილისსახიანს,
ისინი უნდა ცაში აფრინდნენ.
აფრინდნენ კადეც
და აღარ ჩანან.
მაგრამ კეფაში
მათი მზერა
სოლივიტ მაქვს ჩაქედებული.

ზღვაზე ჩამოდგა წარმართული
 ზაფხულის ღამე
 ზანგი ქალივით გაწვა ქვიშაზე,
 სხეული მისი ცხელი მზეა.
 ძუძუებიდან —
 მარადმღელვარე ბორცვებიდან
 მხურვალე ვნების
 თაფლი მოწვეთავს.
 ასეთი რამ არ უგემნიათ
 ჩერ თვითონ პლაჟის ტანგარუჯულ
 მეფუტკრეებსაც,
 რომ იწონებენ თავს სპილენძის
 მკვრივი კუნთებით.
 მზის საძებნელად ამ მხარეში
 შემოფრენილი
 გვირვალკანიან, გრძელკისერა მსუქანი
 მწყრების,
 ჩრდილოელ ქალთა ცისფერთვალა
 გუნდის წინაშე,
 ტრანზისტორების მძაფრ კივილში და
 „როკის“ რიტმში
 შეძახილებით: ო, ზღვაო, ცაო,
 ხმელთაშუაზღველ ვიკინგების
 საკურთხეველზე
 მათ მიაქვთ მსხვერპლი
 — ალილუია! —
 ვიკინგები კი ლხინის შემდეგ
 მასხარაობენ
 და ცხელ სიგარეტს ყინულივით ლუღს
 აყოლებენ.
 ამ დროს მთვარიან ზღვის ნაპირას,
 ციცაბო კლდეზე
 ცხელსისხლიანი შვილი მზისა
 ჩერნიახოვსკი
 ბირქვე ემზობა ქანაანის ბებერ მიწაზე.

მოხე დორი

ისევ აუღერებს შენთვის
 თუ არა
 დაეითი სიმებს ოქროს არფისას?

ნახევარღმერთის თავი ცვარვით
 გაბრწყინებულა-
 მთრთოლვარ ნესტოებს მობრიალე
 ლამაზმანებულა-
 ღამეულ მინდერის მსხვერპლს
 სურნელი ათრობთ,
 განცვიფრებული ბოდავს იგი:
 ო, ილილ! ილილ!
 და აღმასების ვარსკვლავთცვენა
 მეშვიდე ციდან
 თვალებს ჭრის მწვანე და წითელი
 ნაპერწკალებით.

ო, ილილ! ილილ! ნიჟარებში
 ზვირთთაღელვაა,
 მიწა მის მკერდქვეშ განრთხმულია
 შავი ქალივით,
 მზისა და სისხლის გვირგვინები
 მიუწვდომელი
 დღეს უეჭველად გარდუვალად
 ჩაისახება.

დანაშაული

მე დამნაშავე არა ვარ, მამა,
 მე ნანგრევებზე ამოვედი,
 როგორც ყვავილი.
 შენი სახლი ჩაიძირა, მამა,
 და კუნძულივით
 მხოლოდ მე დავრჩი.

საშინელია ნანგრევებზე
 ყვავილად გაშლა,
 კუნძულად ყოფნა
 სისხლის ზღვაში.
 მამა, დამნაშავე მაინც
 ვიყო რამეში.

და სოლომონი თავის ცბიერი
 არაკებით
 თუ გთაფლავს ისევ?
 სად, რომელ ველზე მიაქროლებენ
 ცისკენ ილიას

ცეცხლისმფრქვეველი გიჟი რაშები
 ცეცხლოვან ეტლით
 ახეივანს ამათრახებს
 ნეტა ვისი ფრთა.
 რომელ მხეცებთან იბრძვის იგი
 განთიადისას
 და სურნელოვან გუნდრუკის კვამლში
 ჭერ ისევ
 შენდობას და სიყვარულს ითხოვს,
 კვამლზე ფერმკრთალი
 ნაწამები იესოს სახე.
 რომელ ანთებულ და ჩამქრალ მზეთა,
 ო, რომელ, რომელ
 ჭკუაზე შემშლელ ბიბლიაში იქექებიან
 მონანიებით.
 დაძარღვეული შენი ხელები
 გაცრუებულ იმ აღქმათა ამოსაგლეჯად

მე ჩიტვი ვარ

მე ჩიტვი ვარ, რომელიც ოდესღაც
 იყო პოეტი
 — ეგონა — ოდესღაც, სამყაროს მეფე

მე ჩიტვი ვარ,
 ოდესღაც რომ იყო პოეტი,
 თქვენ ალბათ ვერც კი შეამჩნევთ,
 ვიდრე
 ჩემი ჩიტობის იპოსტატი
 დამთავრდებოდეს,
 რომ მექნება პოეტის სმენა —
 ოდესმე რომ თავად ვიყავი,
 როგორც კი დილით
 ჩემს ნაზ ბუმბულს მზე შეეხება,
 მაშინვე ჩემდა უნებურად
 გალობას ვიწყებ.
 მე ლექსებს ვგალობ.
 და ვუმღერი თავდავიწყებით
 დამაბრმავებელ სინათლეს მზისა
 თქვენ ალბათ ვერც კი შეამჩნევთ,
 მაგრამ
 ოდეს დამის გრილი ხავერდი
 ესაღბუნება
 თვალებს ჩემსას ახანძრებულებს.
 მე ჩიტვი —
 ოდესღაც რომ იყო პოეტი

ელდანაკრავი ვგრძნობ,
 რომ ქურდივით მოიპარება
 ახალი ლექსი
 ჩემს ლამაზად შებუმბულულ მკერდში.
 უცრად როგორც მხეცებს
 დაბუგული ჩემი ყელისას,
 რომ ისევ უკან დაბრუნდეს ცეცხლად
 და აენტოს გარიყრაყისას.
 პოეტს, რომელიც იყო ჩიტი
 ძალიან უნდა
 აიქნიოს მალლა ხელები
 ისე, ვით ფრთები.
 მოსწყდეს ცოდვილ დედამიწას და
 ცისკენ გაფრინდეს.



მენახშირე

ო, ქალბატონო, მე რომ თქვენი
 მენახშირე ვყოფილიყავი,
 ისე, როგორც ძველ მოთხრობებში,
 გაეჩრდებოდი ყინვიან დილით
 თქვენი ქიშკრის წინ
 და აგივსებდი ქვანახშირით
 სასახლის სარდაფს,
 რომ თქვენ ზამთარში
 არ შეგცივნოდათ.
 ქუდს მოვიხდიდი
 და პატარა, მუჭი შალის
 ხელთათმანში ჩათბუნებულ
 ხელისგულზე დაგიდებდი
 ორ ან სამ ნატებს
 მაგარი, შავი ქვანახშირისას.
 თქვენ, ქალბატონო, შეცბუნდებოდით
 და გაოცებით მიაპყრობდით
 მშვენიერ თვალებს
 ანტრაციტის სხივოსან ციაგს,
 ამ ყურადღების გამოჩენას
 ჩემი თქვენდამი დაჩაგრული
 სიყვარული გაიძულებდათ.
 ეს ქვანახშირის ნატეხებიც —
 აღმასებია
 ოღონდ ჩაგვრაში დაბადებული.
 ჩაგვრა კი თავის საქმეს აკეთებს
 საიდუმლოდ და გარდაუვალად

მიდის კაცი

თავის ძაღლს უკან მიჰყვება კაცი.
როგორც ბედს თვისას.
იძირება ქალაქის ბაღის
მწვანე ქაფში
ისე,
თითქოსდა რისკავს სიცოცხლეს.

მედგა ჩაგაზი.
მედგა კაციც-
ოდენ
ხეგბი ირხვევიან
ქარდანაყრავი.

ვაშალა მუჭი და უეცრად
ხელისგულიდან
აფრინდა რაღაც.
ან
ჩიტა იყო,
ან
კიდევ სული.

სინოპტიკოსმა
იწინასწარმეტყველა

სინოპტიკოსმა ქექა-ქუხილი
იწინასწარმეტყველა ხვალინდელ
დღისთვის,
დღეს კი დილიდან მშვენიერი
იღგა ამინდი.
სინოპტიკოსის ხმა მძლავრად
ელერდა,
მასში მუხი მწიფდებოდა,
ფანჯარაში კი
უღარდვლად
შზე იღერებოდა
და ქადრის ფოთლებს
ეფერებოდა,
ხვალ უეჭველად მოხდება რაღაც,
იღონდ დღეს არა.
დღეს,
სახამდისაღ
თვალი გასწვდება,
სილაქვარდუ განფენილა
იქრორეული.

ხოლო ჭადრები ამ სიმშვილეს
მედგრად იცავენ
მომაველი ქარიშხლისაგან.
ქარქვეშაღი
გინგლიჩოთქა

განსაზღვრება

ლაბორატორიაში მეცნიერი დიდხანს
დაყოვნდა.
იგი ეძებდა განსაზღვრებას
პოეტმა კი უკვე განსაზღვრა:
ვაშლი,
ჩიტა,
სული,
ფოლადი,
მეცნიერმა დაიგვიანა.
სამყარო უკვე განსაზღვრული იყო
ადრევე.
პოეტმა ვაშლი ჩაკბიჩა და თითებიდან
ამოფრინდნენ ჩიტები და სულები
მყისვე
და წარბაზნების ლულებზე დასხდნენ.

ქალაქი

ქალაქი,
სადაც მე დავიბადე
და დღესაც ვცხოვრობ —
ემოგრანტების მღელვარების
არის მიზეზი
დროს კი მიდის
და იცრება
ისე, ვით ქვიშა
თითებს შორის
შორით მოსულის.
მაგრამ მითხარით,
ყოველ გაზაფხულს,
ოდეს თუთა წებოვან ფოთლებს
ააშრიალებს,
რისთვის მხრავს კმუნვა
იმ ქალაქებზე.
სადაც მე არ დავბადებულვარ
და არასოდეს არ ვიქნები
გარმიანელი.

ზეთისხილის ხეები



ზეთისხილის ხეები მწკრივად
 მიდიან, როგორც შავი ბერვები
 უსანთლებოდ და უკანდელგონად
 ღონეშიხდილან საბოლოოდ
 გაძევებულნი სუსხიან კვამლში.
 დაგრეხილნი და მოკაცვულნი
 მიდიან ზეთისხილის ხეები
 მათა ჯაჭვებზე, უფსკრულებზე,
 ციკაბობებზე.
 მოსპილენძისფრო-მოყვითალო
 ტურის თვალები
 მიაცილებენ ჩუმ პროცესიას.
 მიდიან ზეთისხილის ხეები
 შავები, როგორც ბერ-მონაზვნები,
 და მათ მწუხარე მდუმარებაში
 წყვედიადი სუფევს.

ხეები

შიშველ ხეებს მომავალი
 გაზაფხულის ტკბილი სურნელი
 ტოტებში და ფესვებში
 აქვთ შემონახული.
 ჩვენც ხეები ვართ
 და ხელები, როგორც ტოტები,
 აწვდილი გვაქვს რუხი ზეცისკენ.
 სადაც ფრინველსაც
 ვერ დალანდავ
 ვერსაით თვალით.
 მხოლოდ ჩვენ ვიცით
 ამ გამოხრულ, დიდი ტყის ტევრში,
 რომ თვითეული ჩვენთაგანი
 საკუთარ თავში
 როგორც გაზაფხულს, ისე ვინახავთ
 შენ ჩემს სურნელს.
 ხოლო მე — შენსას.



თარგმნა რუსულიდან ქავთაძემ

მამა და მისი მუზეუმი

...მე მინდა მკვდრებით აღვადგინო ის სამყარო — რა რომ ფუჭად ჩავლილად არ დაშთეს მათი ცხოვრება — და არც მე მეცხოვროს ფუჭად ამ ქვეყანაზე.

მუზეუმის დაბადება

1

რეკდა ზარები იმპერატორ ალექსანდრეს მიცვალებისა გამო, როცა ამ წუთისოფელს ეთხოვებოდა ერთი მოსკოველი მოხუცი ქალი.¹ და თქვა მან ამ ზარების რეკვის სმენისას: „მე მსურს ჩემი ქონება გარდაცვლილი ხელმწიფის ხსოვნის აღსანიშნავად საღვთო დაწესებულების დაარსების საქმეს მოხმარდეს“. ქონება კი დიდი არ იყო: მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი, ამ ოცმა ათასმა გადაწყვიტა კიდევ მუზეუმის დაარსების საქმე. აი სიტყვასიტყვით ის, რაც პატარაობითვე ბევრგზის მსმენია მამაჩემის, ივან ცვეთაევისგან იმპერატორ ალექსანდრე III-ის საბელობის ხელოვნების მუზეუმის დაარსებაზე.

მაგრამ მუზეუმზე ოცნება მამამ გაცილებით ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა შუისკის მაზრის სოფელ ტალიცას მღვდლის ვაჟი ვლადიმირის გუბერნიიდან კიევის უნივერსიტეტმა საზღვარგარეთ მიავლინა და ოცდაექვსი წლის ფილოლოგმა რომის მიწაზე პირველად დადგა ფეხი. თუმცა ვცდები: მუზეუმის შექმნა მან მაშინ გადაწყვიტა, თორემ მუზეუმზე ოცნება უფრო ადრე აღეძრა, ჯერ კიდევ რომში წასვლამდე, ჯერ კიდევ კიევის გაშლილ ბაღებში ან იქნებ ამაზე ადრეც, შუისკის მიყრუებულ ტალიცაში, სადაც კვარის შუქზე ლათინურსა და ბერძნულს სწავლობდა. „ნეტა თვალით მაინც მაჩვენა!“ ხოლო როცა თვალთ ნახა: „ნეტა სხვებსაც (ანუ მასავით ფეხშიშველებსა და „კვარისშუქიანთ“) აჩვენა!“

ისე რომ, შემძლია თამამად ვთქვა: ოცნება ქანდაკებათა რუსულ მუზეუმზე მამასთან ერთად დაიბადა. მამაჩემის დაბადების წელი კი 1846 წელი გახლდათ.

კალუგის გუბერნია. ქალაქი ტარუსა. აგარაკი „პესოჩნაია“ (მემამულის ყოფილი სახლი, აგარაკად გადაქცეული), ტარუსიდან ორიოდ ვერსზე, ოკის მაღალ ნაპირზე — არყის ხეების ტყეში სულ მარტოდმარტო მდგარი... შემო-

¹ იგულისხმება მდიდარი ვაჭრის ქალი (ი. ვ. ცვეთაევის გადმოცემით) ვარვარა ალექსეევა.

დგომაა... ჰყვავის უკანასკნელი წერილი ვარდისფერი უსახელა. შემდგომ ყველგან და მუდამ საცნობი — ჰყვავის ნაურმალსა და ნაკვალევში, დედა და მამა ურალს იქით იმყოფებიან მუზეუმის მარმარილოს ჩამოსატანად. პატარა ასია ბონას მიმართავს: „მუზეუმი რა არის, ავგუსტა იენიფენდჷლი“ „საბლი, სადაც სხვადასხვა თევზი და გველია ხმელი“. — „როგორღაა სტუდენტი რომ ისწავლოს“. ჰოდა, ბონაც: „სტუდენტის“ მომავალი განსწავლულობით თუ ჩემი დედ-მამის აქ არყოფნით ფრთაშესხმული ანაზდად ტიროლურ „იოდლს“ შემოსცხებს. დედასა და მამას წერილებსა ვწერთ, უკეთ, მე ვწერ, ასიამ ჭერ წერა არ იცის და მუზეუმებსა და ურალის მთებსა ჩატავს, თითო მთაზე — თითო მუზეუმს. „აი ურალი, კიდევ ურალი“. — სიბეჭითისაგან ენა ლამის ყურთან მიუტანია: „აი მუზეუმი, კიდევ მუზეუმი, კიდევ მუზეუმი...“ მეც, ასევე ენაგამოყოფილს, პატიოსნად და მთელი ძალით გამომყავს: „ნახეთ კია მარმარილო მუზეუმისთვის, თანაც მაგარი? აქ, ტარუსაშიც არის მარმარილო, ოლონდ არამაგარი...“ ჩემს გულში კი: „კატას თუ ჩამოგვიყვანთ, ურალის კატას? აქ, ტარუსაშიც გვყავს კატები, ოლონდ ურალის არა“. თუმცა ამის დაწერა ჩვენი ოჯახის წესის თანახმად ვერ გამიბედავს.

ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვენი აგარაკი ფერად-ფერადი მარმარილოს ნატეხებით გადაიჭედა. თუ ცისფერი, თუ ვარდისფერი, თუ ლილისფერი, ნაკადულეებით და მდინარეებით, მთელი ხედებით... ერთი როსტბიფის ნაკერსა ჰგავს, ეს კი, ზედაპირდაბეჭეტი, ლურჯსა და ქაფქაფა ყავას. ხოლო დიდ, სწორ, მონაცრისფრო, ოღნავ მოციმციმე ქვის ნატეხს არც კი ვუყურებთ, თუმცაღა მუზეუმის მარმარილო თურმე ისაა. ეს კია, ურალის აღოქმული კატა დედ-მამამ არ ჩამოგვიყვანა.

ჩემი ერთ-ერთი პირველი შთაბეჭდილება მუზეუმზე მისი საძირკვლის ჩაყრა გახლავთ, საძირკვლისა, ჩვენს ცხოვრებაში სხვა სიტყვებით რომ შემოვიდა და გააზრებულად თუ გაუაზრებლად დაემკვიდრა. საძირკვლის ჩაყრისათვის დედა და ლიორა² კაბებს შეიკერავენ, საძირკვლის ჩაყრისათვის ბაბუა კარლსბადიდან ჩამოვა. ღმერთმა ქნას, საძირკვლის ჩაყრის დღეს კარგი ამინდი გამოვიდეს. საძირკვლის ჩაყრას ხელმწიფე და ორივე დედოფალი დაესწრებიან, ბოლოს და ბოლოს ერთმა ჩვენგანმა (მე არა, რამეთუ უკუ ცნობისწადილი ანუ აბსოლუტური ფატალიზმი მჩვეოდა მუდამ): „დედა, რა არის საძირკვლის ჩაყრა?“ — „როცა პარაკლისს გადაიხდიან, მერე ხელმწიფე ქვის ქვეშ ფულს დადებს, ამას ჰქვია საძირკვლის ჩაყრა“. — „ფულს ვითომ რატომ?“ — „ღმერთმა რომ წყალობის თვალით გადმოხედოს“. — „მერე უკანვე ამოიღებს?“ — „არა, დატოვებს“. — „რატომ?“ — „თავი გამანებე.“ (ქვის ქვეშ ფულს ამოღებსო... ჩვენც ხომ ვასკა კატას მიერ დაბდღვნილ ჩიტის ნარჩენებს ტარუსის მიწაში ვფლავთ, ზემოდან კი ჭვარს ვარქობთ ხოლმე). საძირკვლის ჩაყრაზე ჩვენ, ცხადია, არ წაგვიყვანეს, მაგრამ დღე კი მზიანი და კაშკაშა იდგა, დედა და ლიორა მორთულ-მოკაზმულები გაემგზავრნენ. ხელმწიფემაც დადო თურმე ფული ქვის ქვეშ და მუზეუმსაც საძირკველი ჩაეყარა. ხოლო მამა კი მთელი სამი დღე იმ ერთადერთ ჰანგს მღეროდა, მან რომ იცოდა: ეს იყო ვერდის რომელიღაც არიის პირველი სამი ტაქტი.

² ი. ვ. ცვეტაივის ქალაშვილი ვალერია პირველი ცოლისაგან.



ჩემი პირველი ხილვა მუზეუმისა იყო ხარაჩოები. ხარაჩოებზე კი ვით
 ჩიტები ლატნებზე ანდა თხები კლდიდან კლდეზე, ლალად და მანქანის
 როგორც მხოლოდ სიზმარში ხდება, იმ სიმალლეზე და იმ სიცარიელეში...
 „ეგრე ნუ დახტი, შე თხა!“ გთხოვთ, ეს „თხა“ არ დაივიწყოთ, რამეთუ იგი
 მუზეუმის ჩემს ბოლო ხილვაში გაიელვებს.

მე და ასია წინ მივაბიჯებთ, უფროსები — მამა, დედა, არქიტექტორი
 კლეინი და კიდევ ვილაც სხვა ბატონები უკან მოგვდევენ. მესმის მამის მშვი-
 დი და მხიარული ხმა: „აქ ეს იქნება, იქ ესა, ხოლო აქედან იქამდე კი...“ (სად
 ხედავს მამა „ესა და ესა“-ო ანდა „აქედან აქამდე“-ო? არადა, მართლა ისე ნა-
 თლად ხედავს, ხელითაც აჩვენებს ყველას!) ქვემოთ, ხარაჩოების ჯვარედინებ-
 ში — შავი მიწა ჩანს, ზემოთ, იგივე ჯვარედინებში — ცისფერი ცა. ასე გგო-
 ნია, აქედან ისე ადვილია ზემოთ აფრენა, როგორც — ქვემოთ ჩაფრენა. მუზე-
 უმის ხარაჩოები ჩემი პირველი მოწყვეტა გახლავთ დედამიწისგან.

და მეორე ხილვაც. მომავალი მუზეუმის ეზოში მხიარული და შავთვალა
 ადამიანები უზარმაზარ, საკუთარ თავზე მაღალ მარმარილოს კვადრატებს მო-
 აგორებენ ტეხურ ყინვაში, თან ყაყანიტ ლაპარაკობენ, ამ ყაყანში კი ყურს ყვე-
 ლაზე მკვეთრად ასო რ ხვდება, ამ მარმარილოს კვადრატებივით მსხვილი და
 მკლერი. „ესენი იტალიელები არიან, მუზეუმის ასაშენებლად ჩამოსულები. აბა
 უთხარი: „Buon giorno, come sta?“³ ჩემი სალმის პასუხად კი ელავს კბილები.
 ყველა შაქარზე და მარმარილოზე უფრო თეთრი, მადლიერი ღიმილით შემორკა-
 ლული. წლების (მინდა ვთქვა საუკუნეთა) გასვლის შემდეგ, როცა ფურცელ-
 ზე მანდელშტამის ჩემდამი მოძღვნილი „ფლორენცია მოსკოვში“ წავიკითხე
 — კი არ გამახსენდა, უბრალოდ, დავინახე ის იტალიელი კალატოზები ვოლ-
 ხონკაზე.

ჩვენ, ბავშვებს, „მუზეუმი“ მუდამ სხვადასხვა სახელების გარემოცვაში
 გვესმოდა ხოლმე. ეს იყო: დიდი მთავარი სერგეი, ნეჩაევ-მალცევი, რომან
 კლეინი და კიდევ ბროლის გუსევი. პირველი საკვირველი არ უნდა იყოს, დი-
 დი მთავარი ხომ ხელოვნების მფარველი გახლდათ, არქიტექტორ კლეინზეც
 იგივე ითქმის (მან ააგო დრაგომილოვოს ხიდი მდინარე მოსკოვზე), მაგრამ ნე-
 ჩაევ-მალცევს და ბროლის გუსევს ახსნა სჭირდება. ნეჩაევ-მალცევს ეკუთვ-
 ნოდა ყველაზე დიდი ბროლის ქარხნები ქალაქ გუსევში და მიტომაც იქცა
 ჩვენთვის ბროლის ქალაქად. არ ვიცი, მიზეზი ხელოვნების გულწრფელი სიყ-
 ვარული იყო თუ უბრალოდ სურვილი „სულის ცხონების“ (ფულის უწმინ-
 დურების გრძნობას რუსის გულიდან ვერა ძალა ვერ აღმოფხვრის). ყოველ შე
 მთხვევაში, მამაჩემის გამუდმებული და ფიცხელი ზემოქმედებით (შეიძლება
 ითქვას, მამა მალცევს — როგორც იტალიელები მარმარილოს — ისე ამუ-

³ დილა მშვიდობისა, როგორ ბრძანდებით? (იტალ.).

შაგებდა), იგი იქცა მუზეუმის მთავარ და თითქმის ერთადერთ შემომწირველად, ანუ მის ისეთივე ფიზიკურ შემქმნელად, როგორც მამა იყო მისი სულიერი შემომქმედი (მოსკოვში ასეც ხუმრობდნენ: „ცვეტაევ-მალცევი“).

ნეჩაევ-მალცევი მოსკოვში არ ცხოვრობდა, ამიტომ ქვეყნის ფულდენ ბავშვობაში ის არ გვინახავს, სამაგიეროდ სულ გვესმოდა მისი ხმა ^{საბრალო, საბრალო კანიტფერშტანი!} ქვენთვის შინაურ სახელად იქცა. „ტელეგრამაა ნეჩაევ-მალცევისაგან“, „ნეჩაევ-მალცევთან უნდა ვისაუზმო“, „პეტერბურგში ნეჩაევ-მალცევთან მივემგზავრები“. დიახ, თითქმის შინაურ სახელად იქცა და ცოტაოდენ კანიტფერშტანად,⁴ რასაც, ბრწყალებში ვიტყვი, ვერც ერთი ბავშვი ვერ გაიგებს ბავშვებისდა სასახელოდ, მისი ჭეშმარიტად იუმორისტული ანუ ჭეშმარიტად ადამიანური გაგებით (საბრალო, საბრალო კანიტფერშტანი!).

— რა ვუყო ამ ნეჩაევ-მალცევს? — შესჩიოდა ყოველი ასეთი საუზმის შემდეგ მამა დედაჩემს, — ისევ ყვერულები, ხამანწკები... მე კი ამ ხამანწკებს პირს ვერ ვაკარებ, რომ არაფერი ვთქვა ნაირ-ნაირ შაბლიზე. აბა თქვი, რად მინდა სოფლის მღვდლის შვილს ეს ხამანწკები? არადა, საშველს არ მაძლევს ის ავსტული! „არა, ჩემო კარგო, უთუოდ უნდა მიირთვათ!“ იქნებ ჰგონია, მრცხვენია? მრცხვენია კი არადა, ლამის ჯავრით ჩემს გულს შევასკდე: იმ ასი მანეთით ხომ რამდენი რამე გაკეთდება მუზეუმისთვის! კარის ყოველ კლიტზე ვაჭრობას მიწყებს ხოლმე — ეს რატომ და რისთვისაო — თავის მუცლისთვის კი იმ უგვიანო ხამანწკებზე ასი მანეთი არ ენანება, ასე ყრის ფულებს იმის ნაცვლად, მე მომცეს მუზეუმისთვის! ყველაზე მეტად ის მიკლავს გულს, მევე რომ ვქამ მუზეუმის ფულს...

დროთა ვითარებაში მამამ წესად იღო ნეჩაევ-მალცევისათვის ხარჯების ანგარიში წარედგინა — ანუ უკვე მომხდარი ფაქტი, და სწორიც გამოდგა: ანგარიში არ შეგიძლია არ გაანაღდო, შემოთავაზებულ წინადადებაზე კი შეგიძლია უარი უთხრა. საქმიანი კაცისთვის ანგარიში ხომ — ბედისწერაა, თხოვნა კი — შენი ნების თავისუფლება და, ასე განსაჯეთ, თვითნებობის სრული უფლება. მთელი მანძილი „შეიძლება არ გადავიხადო“-დან „არ შეიძლება არ გადავიხადო“-მდე, არასაქმოსანთა შორის ყველაზე არაპრაქტიკულმა მამაჩემმა ეს ამბავი კარგად ინიშნა. ასე უმასპინძლდებოდა ნეჩაევ-მალცევი მამას ქამა სოკოებით, მამა კი მას — ანგარიშებით. თანაც მუდამ საუზმის ბოლოს, იმ დაძალებული შაბლის სმისას. „მსახური რომ თავის ანგარიშს წარუდგენს ხოლმე, მე ჩემსას დავუდებ...“ „მერედა?“ — „წაიზმუვლებს, სხვა არაფერი“. მაგრამ როცა გულისწადილს აყოლილი მამა ამბავთ მსვლელობის რიგს დაარღვევდა (ანუ საუზმის ბოლომდე წარუდგენდა), „კარგი იქნებოდა, იური სტეპანოვიჩ, უცხოეთიდან გამოგვეწერა...“ უკვე შეშფოთებული შემომწირველი სიტყვის დამთავრებას არ აცდიდა: „არ შემიძლია, კაცი გავკოტრდი... მუშებმა... მართლა და მართლა, მთლად ხომ არ უნდა გამაკოტროთ? ეს რა აუვსებელი საწყაულია ბოლოს და ბოლოს! დაე ხელმწიფემ მოგცეთ, აკი მისი მშობლის სახელი ჰქვია...“ — და რაც ნაკლები იყო ხარჯი, მით უფრო მტკიცე უარზე იდგა შემომწირველი. ასე რომ, სულ წვრილმან რაღაცებს არ დაეთანხმა ბებერი მილიონერის სიკერპითა და სიჯიუტით. მაგრამ როცა 1905 წელს მის-

⁴ ვ. ა. ქუკოვსკის ბალადიდან „ორი იყო და კიდევ ერთი...“, რომლის შესაბამე ნაწილში გერმანელი პოეტის, ი. პ. ჰებელის (1760-1820) მოთხრობა „Kanitverstan-ია გადმოცემული, ამსტერდამში ჩამოსულ გერმანელს თურმე ყოველ თავის კითხვაზე ესმის „კანიტფერშტან“, რაც პოლანდიურად ნიშნავს „არ მესმის“, მას კი რომელიღაც ნახევრად მითიური სახელი ჰგონია.

მა ქარბნებმა მუშაობა შეწყვიტეს და დიდადაც დააზარალეს. მუზეუმის შესაწირისთვის მას მანეთიც არ დაუკლია. მუზეუმს მან სამი მილიონი მანეთი შემოსწირა, მეფემ კი მხოლოდ სამასი ათასი. ეს ციფრები მე ზუსტად მახსოვს. ალექსანდრეს მუზეუმი მამაჩემის თოთხმეტი წლის უანგარო შრომისა და მალცევის ასევე უანგაროდ შემოწირული სამი მილიონი მანეთის ნაშთია. ნეტა სადაა ცვეტაევ-მალცევის ის ფუთობით მიმოწერა, რომელიც მამამ თავის ერთ-ერთ ძმისწულს, მღვდლის პირმრგვალ, კურსებზე მოსწავლე ტონიას მისცა უზარმაზარ დაეთარში გადასატანად, ცოტა ფულს მაინც გააკეთებო? საწყალ ტონიას ქსიტინ-ქსიტინით გადაპქონდა ყველაფერი დაეთარში, თუმცა არაფერი გაეგებოდა (ის ხომ მედიკოსი იყო) და ამ დაეთარს მუდამ თავის გამჭაჩლებელს ეძახდა. როგორც მახსოვს, ამ სამთვიან სამუშაოში მან ოცდაათი მანეთი მიიღო მხოლოდ. რადგან გადაწერა მაშინ ასე ფასობდა. და ასეთი იყო მამაჩემის განსაკუთრებული მომჭირნეობაც — როცა საქმე მუზეუმს შეეხებოდა. „ოცდაათ მანეთს მიიღებს და იმასაც გაიგებს, რა არის მუზეუმი და როგორ შენდება! ეს სჯობია დაქალებაში ჩაის წრუპვას!“

მაგრამ ყველაზე დიდი მწე და დამხმარე მამაჩემისა დედა იყო, მარია ალექსანდროვნა მეინ-ცვეტაევა. მას ებარა მთელი ის დიდი უცხოური მიმოწერა, სადაც თავისი ენამზეობით, სხარტი და ტკბილი სიტყვებით (ფრანგთან), პოეტური სტროფით (ინგლისელთან), შვილებისა და ბალის ამბების გამოკითხვით (გერმანელთან), — ანუ ოფიციალურ და საქმიან წერილებში ადამიანური და პირადული კილოს შეტანით — იმას აღწევდა, რის მისალწევად მამას დიდი წვალეა და სულ სხვა გზები დასჭირდებოდა. მაგრამ წარმატების საიდუმლო განა მარტო მოქნილი და სხარტი სიტყვა იყო, რომელიც მხოლოდ მსახური და დამხმარეა, არამედ ის გულმხურვალება, ურომლისოდაც სიტყვის გამოთქმის ნიჭი არარას ნიშნავს. და როცა ვამბობ, მამაჩემის მწე და დამხმარე დედა იყო-მეთქი, პირველ ყოვლისა მე ვგულისხმობ მის იმ სულიერ და დაუცხრომელ, იმ სასწაულმოქმედ თანაგრძნობას, ყველაფერს რომ აძლევს და ყველგან იმარჯვებს. მუზეუმის საქმეში დახმარება და შემწეობა პირველ ყოვლისა მამაჩემის შემწეობა და დახმარება იყო: ერწმუნა მისი და მის მაგივრადაც, ისე რომ, დაწყებული შემომწირველის ფულით ნაყიდი კარის სახელურებით და გათავებული სვეტთა გრეხილებით, მუზეუმი მთლიანად ქალური თანაგრძნობის ქვაკუთხედზეა აშენებული. მე, იმ წლების პატარა მოწმე, მოვალე ვარ ეს განვაცხადო, ვინაიდან მე თუ არ ვიტყვი, ჩემ მაგივრად არავინ იტყვის (რამეთუ ეს ჩემებრ ღრმად არავინ იცის). ხოლო როცა 1902 წელს დედა ქლეკით დაავადდა, მისი სურვილი დახმარებისა სენმა არათუ შეინელა, დარდმა უფრო მძაფრი გახადა. მოსკოვიდან ხან გენუის ნერვიში, ხან ლოზანასა თუ ფრეიბურგში დაწვრილებითი ცნობები მოდიოდა, მუზეუმმა სიმალღესა თუ სიგანეში რამდენი გოჯი მოიმატა (ასე ინიშნავენ ხოლმე მშობლები შვილის სიმალღეს კარის წირთხლზე თუ დღიურებში). და ასეთივე სიყვარულით სავსე შეკითხვები იგზავნებოდა ნერვიდან, ლოზანიდან თუ სხვა ადგილებიდან. როცა ჯანმრთელობა, უკეთ, სენი ნებას აძლევდა, დედა მამის დავალებით გერმანიის ძველ, პატარ-პატარა ქალაქებში მიემგზავრებოდა, სადაც მამას მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იქ არჩევდა, იქიდან აგზავნიდა თუ გამოგზავნას აჩქარებდა და თავისი გულმხურვალებით იმას აღწევდა, რომ ფასსაც უკლებდნენ და ღიმილითაც ასაჩუქრებდნენ (არადა, ღიმილის დამსახურება საქმიანი გერმანელისაგან...) არც მე და ასია ვივიწყებდით ჩვენს გიგანტ

უმცროს ძამიას, ვის ამბებსაც, ლოზანიდან იყო ეს თუ ფრეიბურგიდან, რომელიმე Jour du lac-ისა თუ შვარცვალდის მორიგ მთაზე ასევე ალწერის შემდეგ ჯერ ბალღური უმეცრებით: „ვასკა კატა როგორაა? ან მუზეუმი?“ — შემდეგ და შემდეგ უფრო მეტი შეგნებით ვკითხულობდით, თუ რა მტკიცე წლისა მეც ჩავები მუშაობაში, კერძოდ, როცა ზაფხულში ყველაფერი დაგვიტოვებდა მოვიყრიდით, მამის მაგიერ გერმანულად ვწერდი წერილებს. (მამამ ენები კარგად იცოდა, მაგრამ, როგორც ყველა თვითნასწავლს, სხვა ენაზე წერა და ლაპარაკი უფრო თარგმანი გამოსდიოდა, იტალიურის გამოკლებით, რომელიც მშობლიურ ენასავით იცოდა და რომელზედაც ახალგაზრდობის ხანს დიდხანს კითხულობდა ლექციებს ბოლონიის უნივერსიტეტში.) დღევანდელივით მახსოვს Hildesheimer silberfund⁵ და „Professor Freu“. სამაგიეროდ რა სიამაყით ვიბადრებოდი, როცა საპასუხო წერილში ამა თუ იმ Ne-ის შემდეგ ბოლოში წავიკითხავდი: „Grüssen Sie mir ihr liebenswuerdiges und pflichttreues Töchterlein“.⁷

მამაჩემის გერმანულ მიმოწერას მის გარდაცვალებამდე (1913 წ.) მე ვაწარმოებდი.

ახლა გიამბობთ, თუ რა თავზარი დაგვცა და რარიგ დაგვამწუხრა იმ ამბის გაგება, რომ მუზეუმის კოლექციის ნაწილი (ეს იყო 1904-1905 წლების ზამთარი) ცეცხლში დაიწვა (ალბათ ის ხის ქანდაკებანი, გერმანიაში რომ იყო შეკვეთილი): ეს, მგონი, შობის დღეებში მოხდა, რადგანაც მამა ჩვენთან იყო ფრეიბურგში. მამამ ტელეგრამა დედას უხმოდ გადასცა, მახსოვს დედის სულშეგუთული უსიტყვო ამოძახილი, მგონი: „აააააჰ!“ და მამაჩემის — დედა მაშინ უკვე ძალიან ავად იყო — დამაშოშმინებელი, ბედს დამორჩილებული, უსაზღვროდ გულმოკლული ხმით ნათქვამი: „არა უშავს, ღმერთი გვიშველის, როგორმე ალბათ...“ (ტელეგრამა ჰაიპარად, ცხელ ვულზე იყო გამოგზავნილი: მუზეუმი იწვისო.) და მისი უხმო ცრემლები, რომელთა დანახვაზე მე და ასია შეძრწუნებით შევეტრიალდით, რადგან მისი ცრემლები არასოდეს არ დაგვინახავს.

დედას უკანასკნელ წუთებამდე ახსოვდა მუზეუმი და სიკვდილის წინ უკანასკნელი ხმით, უკანასკნელი ფილტვებითა და ამოსუნთქვით უსურვა მამას მისი (და თვისი!) ქმნილების სვებედნიერად დამთავრება. მგონი, არა მარტო ჩვენ გვხედავდა მომაკვდავი დედა გაზრდილებსა და ზრდადასრულებულთ.

დედასთან ერთად არ შემიძლია არ ვახსენო მისი მამა და ჩემი ბაბუა ალექსანდრ მენი, რომელმაც ჯერ კიდევ იმ მოხუცი ქალბატონის დანატოვარათასებამდე, ჯერ კიდევ კლეინის გეგმამდე, ჯერ კიდევ ცხადლივ დანახვამდე თუ აღქმამდე ირწმუნა და დაიჯერა მამის ოცნება, მამის ძალა და შესაძლებლობა, რომელიც, ავადმყოფობის მიუხედავად, მუდამ მწე და დამბმარე იყო მამაჩემისა და მუზეუმს კიდევ დაუტოვა ნაწილი თავისი ქონებიდან. ისე რომ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, სინამდვილეში მუზეუმს საძირკველი ბაბუაჩემ ა. მენის სახლში ჩაეყარა, ნეოპალიმოვის შესახვევში, მდინარე მოსკოვთან. ისინი უკვე აღარ არიან და მე მოვალე ვარ, მე უნდა ვთქვა ეს ყველაფერი.

აგვისტო 1933

⁵ ტბაზე გასვირნება (ფრანგ.).

⁶ პილდესჰაიმის ვერცხლის საგანძური (გერმ.).

⁷ ჩემი მოკიობვა თქვენს კარგსა და ზეჯით გოგონას (გერმ.).

მუზეუმის გახსნა

(ნარკვევიდან)



ცა უხვად ლურჯი და ამ ცის ქვეშ თეთრად ქათქათებს, ვით ჩმანტაშაშა-
 ზეუმი. შესასვლელის აქეთ-იქით ლიცეისტები ჩამწკრივებულან, კარგა ხანს
 დგომით დაღლილები ერთმანეთს ზურგით მიყრდნობიან და ამის წყალობით
 ყოველი მწკრივი მრავალსახიერ-ორსახიერ — თუმცა რაოდენ ნორჩსახიერ! —
 იანუსს დამსგავსებია. პირველი, ვინც თვალში მხვდება — გრძელქურქიანი
 (ამ მაისის თვეში!) ბერიკაცია. „ქურქი სად ჩამოგვიდო?“ — „აქეთ მობრძან-
 დით, თქვენო აღმატებულებავ“. — „ნომერს არ მომცემთ? თორემ თახვის ქუ-
 რქია, ვაითუ ამ ზეიმის დროს...“ ეს მამაჩემის სიმამრია, ისტორიკოსი (ი. ილო-
 ვაისკი).⁸

კიბე თეთრ ზმანებად ამართულა ყველაფერსა და ყველაზე მალლა. მარჯ-
 ვენა მხარეს, დარაჯივით, მიქელანჯელოს დავითი დგას, არა კაცის თუ ღმერთის
 სიმალლე, არამედ გმირთაგმირისა. მეფეს ელიან და მის მოლოდინში სტუმ-
 რები დარბაზში მიმოიფანტნენ. უცებ — ზრიალ-გრიალი, დამფრთხალი და
 შიშით უკან მიმწყდარი ხალხი. ვერცხლისფერი ნამსხვრევები და ნაკადები:
 თურმე მამაჩემის თვრამეტი წლის სიძეს მკლავი გაუკრავს კავკასიური წყლე-
 ბით სავსე ლანგრისათვის და წყლებიც ისე ჩამოჩხრიალდა და ჩამობრჭყვიალ-
 და, ვით მათი მშობი წყაროები. რომ დარწმუნდნენ, ბომბი ათ იყო, ბერიკა-
 ცები დაშოშმინდნენ.

მოხუცები, მოხუცები და მოხუცები, ორდენები, ორდენები და ორდე-
 ნები. შუბლს ვერ ნახავ ნაოქებით დაულარავს და მკერდს — ვარსკვლავებით
 შეუმკობელს. ახალგაზრდათაგან მხოლოდ ჩემი ქმარი და ძმია. ყმაწვილ დიდ
 თავადთა ჭგუფი არ ჩაითვლება, რამეთუ სწორედ ჭგუფი გახლავთ: მარმარი-
 ლოს ბარელიეფი. ასე გგონია, რუსეთის მთელ სიბერეს თავი აქ მოუყრია
 საბერძნეთის მარადიული სიჭაბუკის სათაყვანებლად. ცოცხალი გაკვეთილი
 ისტორიის და ფილოსოფიის: თუ დრო რად აქცევს ადამიანს და რად —
 ღმერთებს. ან დრო რად აქცევს ადამიანს და რად — ხელოვნება (ქა-
 ნდაკებებს როცა შეხედავ). და საბოლოო გაკვეთილიც: თუ დრო რად აქ-
 ცევს კაცთა მოდგმას, კაცთა მოდგმა კი დროს. თუმცა ამაზე ჩემი სიყმაწვი-
 ლით არცა ვფიქრობ. ეს ყველაფერი მხოლოდ ძრწოლას მგვრის.

სიბერეს თავისი მთავარი ნიშნით — ფერმიმქრალობით დაუძლევეია ოქ-
 როს ბრჭყვიალი და ელვარება, რადგან ეს სიბერე თავით ფეხამდე ოქროთი გახ-
 ლავთ დაფარული: რაც უფრო მეტად ბებერია, მით უფრო მეტი ოქრო ფარავს,
 რაც უფრო მეტად მიმქრალა თვალი, მით უფრო მეტად ბრწყინავს მკერდი.
 თუ დიდ თავადთა ყმაწვილკაცობა ჰგავს ქანდაკებებს ცოცხალი მარმარილოსი,
 წარჩინებული დიდებულები თაბაშირის ქანდაკნი გახლავთ, ბებერი, ფუყე, სი-
 კვდილის კირით სავსე ძვლებით. არასოდეს დამავიწყდება, როგორ წაიქცა ერ-
 თი ასეთი ბერიკაცი — მას კიბეზე დაუსხლტა ფეხი — როგორ იწვა და თავს
 აქეთ-იქით ატრიალებდა, ვინემ კიბეზე ჩემი ქმარი ჩამოირბენდა და ფრთხი-
 ლად, მაგრამ დაყინებით — ვითარც თოჯინას — ფეხზე დააყენებდა. თო-
 ჯინებს ჰგავდნენ თავად ქალებიც. თეთრ სამოსელში, ერთნაირად ყელყარყა-
 რანი, მალალი ვიწრო საყულოები ყელს კიდევ უფრო რომ უგრძელებდათ.

⁸ ი. ვ. ცვეტაევის პიტიველი კოლის მამა.

ერთნაირ გრძელ კორსეტებში, ერთნაირად მალლა თმაავარცხნილნი, იქნებ კიდევაც ახალგაზრდები, მაგრამ მაინც ბებრები — არა ხანდაზმულები — არამედ რალაც გაურკვეველი. რალაც კრებითი ასაკისა, ცხოვრებაში რომ არ არსებობს და აქ დღეს, ადგილს, სამოსს ან სულაც იქნებ ზემოდან ჩამოფრქვეულ, გაბნეულ ფოტოგრაფიულ-სტერეოსკოპურ შუქს შექმნილი თოჯინები მთელი თავისი საზეიმო ზარდამცემი იერიითა და მთელი ნიბლით ამ სულაც არაბავშვური სათამაშოსი. სამმაგი სიქათქათე: კედლების, ქალარისა და ქალებისა — მხოლოდ ფონია, მხოლოდ ნაპირები ოქროს სირმების და ორდენების ამ ბებრულ, შეუწყვეტლივ მომდინარე პაქტოლისა.⁹ და კიდევ ერთი თვალში საცემი წინააღმდეგობა: ახალთახალი შენობა და უსაზომოდ მიხრწნილი მაყურებელი, ჯერ კიდევ ფეხდაუდგმელი იატაკები და ზედ მავალი უსაშველოდ გაცვეთილი ფეხების რიგი. ზმანებანი (ანუ ქადაკებანი), აჩრდილები (ანუ წარჩინებულნი), სიზმრები (ანუ ის ცოცხალი მარმარილოს ყვავილნარი) და თოჯინები... ისე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა, მუზეუმის არსებობის იმ პირველ დღეს ქანდაკებები ადამიანებზე ცოცხლები ჩანდნენ და არათუ ჩანდნენ, იყვნენ კიდევაც, რადგან ყველა მათგანი, ესდენ ცხოველი მზრუნველობით ოსტატისაგან ჩამოსხმული, ესდენ ცხოველი სიყვარულითა და მზრუნველობით იყო მამაჩემისგან ამოღებული ბურბუშელიდან, ყველა მათგანს ისეთი სიყვარულით დგამდა მისთვის განკუთვნილ ადგილზე და ყველა მათგანზე ასე იძახდა: „ჰოი, რა დიდებულია!“ ხოლო ეს ჩინოსანნი და მანდილოსანნი ახლა კი არა, იქნებ არავის არც არასოდეს არ ჰყვარებიან, როგორც მათ — არავინ და არაფერი... ჭეშმარიტი მუზეუმი, ამ სიტყვის მთელი გულგამთოშავი მნიშვნელობით, ირგვლივ კი არა, თვით მათში იყო, იყვნენ — ისინი, მაგრამ ჩუ: ბანოვანების ერთიან თეთრ ღრუბელში — ყოვლად მოულოდნელად — ყველასგან განსხვავებულად და დამოუკიდებლად — გაკრთა რალაც ცოცხალი! ჭრელჭრულა ქვედაკაბა! სწორედ ქვედაკაბა, ზემოდან ბლუზაგადმოშვებული... ვითომ „სამოციანელი წლების“ ქალი, კერპი და თავისნება? ან ვინმე გაღარიბებული დიდგვაროვანი ქალბატონი? არა, ეს გახლდათ ძალზე მდიდარი და კონსერვატორი მეუღლე კონსერვატორზე კონსერვატორ ისტორიკოსის.¹⁰ თავისი კონსერვატორობა სკივრებზეც რომ გაავრცელა ანუ ბრძანება დაარღვია — (ბანოვანები თეთრ, გულდახურულ სამოსელში უნდა იყვნენო) ხუთი არშინი თეთრი ფაიას გადასარჩენად. ჰოდა, კმაყოფილი თავის წინაშე ვალის მოხდით და ჭრელჭრულა ქვედაკაბის წყალობით მარტოობის მონუსხულ წრეში დარჩენილი, კიდევ უფრო ამაყად სწევს ქალარა, გულდაგულ დავარცხნილ, ჯერ კიდევ ახალგაზრდულ, მარკიზასავით დიდებულ თავს, ბუნებრივი *accrochecoeur'ami*¹¹-ით. მე კი ისე ძლიერ მიზიდავს ეს მარტოეული სიმამაცე, რომ, თუმცა კი ვიცი, რა მღვრიე წყარომ წარმოშვა იგი, ალტაცებით შევყურებ მაინც! მაგრამ ცერემონმაისტერი სულაც არ გახლავთ ალტაცებული, იგი მალიმალ იყურება ამ მისთვის შეურაცხყოფელ საგნისაკენ და შეწუხებული ფიქრობს იმაზე, სად და რა გზით მოაფაროს თვალს. მხოლოდ ახალი საზრუნავი ბოლოს და ბოლოს ავიწყებს ამას: მწკრივში არავინ დგება, გარდა ვაჭართა წვერ-მედლებიან მამასახლისებისა, შემოსვლის უმაღლეს რომ ჩამწკრივდნენ. „ბატონებო და ქალბატონებო... მათი უდიდებულესობანი სადა-

⁹ მდინარე ლიღიაში, სადაც ძველად ოქრო იპოვებოდა.

¹⁰ ი. ილოვებისკი.

¹¹ საყვეთქლეებზე ჩამოშვებული კულულები (კრანგა).

ცაა მობრძანდებიან... ძალიან გთხოვთ... ქალბატონები — მარჯვნივ, ბატონები — მარცხნივ..." მაგრამ მას ყურს არავინ უგდებს. უსმენენ ერთ ზურბა, წარმოსადგე კაცს, ჭკვიანური სახე რომ აქვს და ხელების მძიმე, მშვიდ მოძრაობით ერთს — ყველას გასაგონად — რაღაცას ეუბნება (ეს ვიტყვ გახლავთ). მამასახლისნი კი ნეჩაევ-მალცევის მკერდზე თეთრ არწივს მიჩენენ (მჭხე-უმისათვის ბოძებულს). „ბატონებო... ბატონებო... ძალიან გთხოვთ... მამასახლისნი დაბეჭდესო...“

ყველანი უკვე ზემოთა ვართ, იმ დარბაზში, სადაც პარაკლისს გადაიბდიან. ხელმწიფესათვის დაგებულ წითელ ფარდაზე ფეხები თითქოს ვერ მიდიან, სამღვდელოება უკვე აქ არის. ვიცდით. რაღაც ახლოვდება, ახლა ალბათ რაღაც მოხდება, ვინაიდან იქ მყოფთ სახეებს ტალღასავით რაღაც უვლის, ჩამჭრალ თვალებში რაღაცა კრთის. თითქოს სანთლები წამიერად გააელვებს. „აი ახლა მობრძანდებიან... მობრძანდნენ... უკვე მოდიან!“ და თითქოს კვერთხის ერთი მოქნევით — გამოთქმა არამარტო შესატყვისი, შეუნაცვლადიც — ქალბატონები — მარჯვნივ, ბატონები — მარცხნივ დგებიან...

— აკურთხე, უფალო!(.....)

პარაკლისმა პაერი ცოტა განმუხტა. რამდენიმე თავი ქანდაკებებისკენ მიტრიალდა. ისმის ღმერთებისა და ქალღმერთების სახელები... მოწონების შეძახილები...

მამას ძველი მოთაყვანე გარუსებული იტალიელი ქალი, აქამდე მოკრძალებით ჩრდილში მიმდგარი, — თუკი ჩრდილი ეთქმება ადგილს, საიდანაც მოდის მთელი სინათლე — წინ წამოდგა და იმ ხელაღებული სითამამით, დიად გადაწყვეტილებებს რომ თან სდევს მუდამ, მამას სახელოზე სტაცა ხელი: „ივან ვლადიმეროვიჩ, უნდა გახვიდეთ!“ და შემლოცველივით სამჯერ გაუმეორა: „უნდა გახვიდეთ, უნდა გახვიდეთ, უნდა გახვიდეთ და იქ დადგეთ!“ და საოცრებაე, კამათისა და დავის გარეშე, თითქოს ნათქვამის აზრი არ გაუგია და მხოლოდ კილოს დაემორჩილა, მამა მთვარეულივით გადის, პატარა, ჭალარა და მრგვალი თავი ოდნავ გვერდზე გადაუხრია, როგორც სჩვეოდა ხოლმე კითხვის ან მოსმენის დროს (იმ წუთს ის წარსულს კითხულობდა და მომავალს, მყობადს უსმენდა) და დგება მთავარი შესასვლელის თეთრ სვეტებთან, ზედ ფრონტონის ქვეშ, მარტოდმარტო, თავისი ცხოვრების ზენიტსა და თავისი საქმის მწვერვალს მიღწეული, ალბათ ვერც ამჩევდა მისკენ მიპყრობილ თვალებს. და იყო იგი სრულზე სრული სიმშვიდის განსაზიერება...

1933

2

შარლოტენბურგი

შარლოტენბურგი ბერლინთან ახლოს მდებარეობს. დღისა და წლის მცხუნვარე დროა. მზის ჩანჩქერების, ნიაღვრების და შვავეების დრო. გვაცვია იმდროინდელ ყმაწვილ ქალთა საზარო მოდის მიხედვით: გრძელი ქვედაკაბები, გრძელი სახელოები, მუხრუჭებივით შემოჭერილი მაჯები და ილღიები, ხაფანგივით საყელოები. კაბები კი არა, დილეგები! შავი წინდები! შავი წალები, შავი ფეხები!

— მამა, კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?

შევე ნახევარი საათია მივაბიჯებთ. მამასთან ერთი საათი სიარული კი ზოგ მალემსრბოლთან მთელი დღის სიარულს უდრის.

მამას გატაცებით, უკეთ — მთელი გზებით, კიდევ უკეთ — ლამის დაბადებიდან უყვარს სიარული. რამეთუ მისთვის სიარული იგეგმება სუნთქვა გახლავთ, შეუცნობელი მოქმედება. არ იაროს — მისთვის იგეგმება უკეთესი სხვისთვის სუნთქვის შეწყვეტა. მე და ჩემი და ქოშინ-ქოშინით მივყვებით უკან. მივდივართ გაბაწრულები — წინ მამა, მერე მე, მერე ასია.

„შარლოტას ქალაქში“ (ალბათ რომელიმე შარლოტა „დიდის“, რაკი მისი სახელი ჰქვია) — ანუ შარლოტენბურგში სამარისებური სიჩუმეა. დარაბები ყველგან მიკეტილია. ირგვლივ ძაღლიც კი არ ჭაჭანებს. ძაღლები მხოლოდ ჩვენ ვართ... ქუჩაში. დარაბები მიკეტილია. მაგრამ არის კია დარაბები? არის სახლები? არ ვიცი და, არც შეიძლება ვიცოდე, ვინაიდან თავაუღებლივ მივაბიჯებ, თვორ ფილაქანზე ჩემი შავი ფეხების მოძრაობით მონუსხული.

— მამა, მალე მივალთ? — ისევ კითხულობს ასია, მე კი დაბადებიდან ფეხით მოსიარულის სიამაყის — თუ კიდევ სხვა ჩემს სიამაყეთა გამო ხმას არ ვიღებ.

ექვსი შავი ფეხსაცმელი ფილაქანზე მიაბიჯებს.

ორი წინ, ორი უკან, ორი — სულ ბოლოს.

კი მაგრამ, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე! რალაც უნდა მოვიგონო და — ვიგონებ კიდევ. ეს ყველაფერი — სიზმარია. მე სიზმარში ვარ. ვინაიდან ასეთი სიცხე, კაცს რომ ცხრა პირი ოფლი გადასკდეს, ასეთი პაპანაქება, ასეთი საშინელება არ შეიძლება არსებობდეს. ხოლო რალაი ყველა სიზმარი, ძალზე ხანგრძლივიც, სამ წუთზე მეტი არ გრძელდება, მაშასადამე, მე დაღლა ვერ მოვასწარი. სიზმარშიაც კი.

და რაწამს თავი დავირწმუნე — დაღლაც უკვალოდ ქრება.

— აი კიდევ მოვედით. — მესმის მამაჩემის ხმა.

უზარმაზარი, თუ უსასრულო არა, Gipsabgüsserei, ანუ: მარმარილოს ქანდაკებებიდან გადმოღებული თაბაშირის ტვიფრების საწყობთა რიგი.

ქანდაკებები, ქანდაკებები, ქანდაკებები.

— რა უოჩალი გოგოები ხართ, გზაში არ წუწუნებდით, — გვეუბნება მამა და ოფლს იწმენდს, — ამიტომაც თვითეულს ორ-ორი ტვიფრით გაჩილდოვებთ. ამოირჩიეთ, მე და ბატონი დირექტორი კი ვიმუსაიფებთ. აბა ჭკვიანად, მალე მოვრჩებით.

და აი, მე და ასია მარტონი ვართ ამ მოჯადოებულ სამეფოში, მარტონი და უცნაურად შავფეხიანნი ამ გაქვავებულ თვორ და შიშველ ფეხოსანთ შორის. დავდივართ ქანდაკებებსა და ტორსებს შორის. ერთი თავიდან მეორემდე. მართალი რომ ვთქვა, ქანდაკებები არცთუ ძალიან მიყვარს, ორი ტვიფრის მაგივრად, მამა რომ ორ წიგნს დაგვპირებოდა, ყველაზე სანატრელთაგან მყის ათიოდენს ჩამოვუთვლიდი. მაგრამ რაკი სხვა გზა არაა, შევეცდები ისეთი მაინც ამოვარჩიო, ქანდაკებას მეტისმეტად რომ არ ემსგავსოს.

მივდივართ სხვადასხვა მხარეს, რომ, ღმერთმა ნუ ჰქნას, ერთი და იგივე

არ შევარჩიოთ, როგორც ტყეში სოკოს კრეფისას, შიგადაშიგ ერთმანეთს ვეხმიანებით:

- პაუ, იპოვე?
- ჯერ არა, შენ?
- არც მე.
- მზედავ?
- სად ხარ?
- აქა.



გეგონება, ქანდაკებათა შორის დამალობიას ვთამაშობდეთ. უცებ ასიას კივილი:

- ვნახე, მგონი, ბიჭია!

იჭვიანი ცნობისწადილი მყის მისკენ გამაქანებდა, მაგრამ სად გაქანდები! კი არ მივდივარ, ლამის მივძვრები.

მართლაც ბიჭია, ჩვენი კბილა, იქნებ ცოტა უმცროსიც, ჩვენსავით შუბლზე თმაჩამოყრილი. არც ქანდაკება, არც ტორსია, მხოლოდ თავია.

- მოგწონს?
- საშენოდ კი, საჩემოდ — არა.

თვალს მოფარება ვერც მოვასწარი ამ გაქვავებულ სხეულთა ტევრში, ისევ — კივილი:

- კიდევ ვიპოვე! ესეც ბიჭია!
- მივუახლოვდი, დავაკვირდი.
- სულაც არაა ბიჭი.
- ბიჭია-მეთქი!
- გეუბნები, ბიჭი არაა.
- ჭკუაზე შეშლილხარ, თუ ეს გოგო გგონია!
- მე არც მითქვამს, გოგოა-მეთქი. უფრო ანგელოზია.
- მერე ფრთები?

— მაშინ ბერძნული ანგელოზია. ან რომაული. ყოველ შემთხვევაში, ადამიანის ძე არ უნდა იყოს.

— ადამიანისა თუ არაადამიანის, მე უკვე ორი ამოვირჩიე, შენ კი არც ერთი.

მართლაც — არც ერთი, ვინაიდან მინდა რაღაც ძალიან ჩემეული, არა ამორჩეული, ვისაც პირველი ნახვით შევიყვარებ, ვინც ბედისაგან ჩემთვის იქნება განკუთვნილი. ეს კი არანაკლებ ძნელია, ვინემ საბედოს პოვნა.

აფსუსს, რომ აქ ბონაპარტის თავი არაა! რა ხანია ხელს ვტაცებდი და ჩავიხუტებდი — მაგრამ იგი ხომ საბერძნეთსა და რომზე კარგა ხნის შემდეგ დაიბადა! აბა კეისარი სულაც არ მინდა, არც ავრელიუსი, ისევ ქალებში უნდა ვეძიო.

და პა ისიც! თავი გვერდზე გადაუგდია, წარბები ტანჯვით შეჭმუხნია. პირა — კივილს გაუხვევია. ამ უსიციოცხლო ლამაზთა შორის ერთადერთი ცოცხალი სახე!

ვინაა? ეს არ ვიცი, ვიცი მხოლოდ — იგი ჩემია! ჰოდა, რაკი აქ საჩემოს სივს ვერაფერს ვნახავ, ვინაიდან მე არაფერი (და არაფინს) მის გარდა არ მსურს — დაუფიქრებლად ვტაცე ხელი ვიღაც ყოველად კეთილზნიან უტვინო ასულს, თმაზე რომ რაღაც შარფივით წაუკონჭავს — ანუ პირველს, ვინც თვალში მომხვდა!

რაკი ჩვენ ჩვენი ვნახეთ, უკვე ნელა ვსეირნობთ.

- კანფეტი გინდა?
- მომე!

ჩემს უკვე გატკბილულ თითებში სისხლის წვეთივით ელავს რუსული მომთავო შაქარყინული. ფრანგულად რომ მონპასი ჰქვია, რუსულად კი — სახელი ემიგრაციის დროინდელია? ერთმანეთს გადავხედეთ და — უჩვეულოდ ჩავატენეთ: ასიამ მწვანე კანფეტი ლომს ხახაში — მე კი წითელი გმირთა-გმირს პირში.

პოი, რარიგ გამოაცოცხლა ამ ზურმუხტმა და ლალმა თაბაშირის თეთრი ენები!

ასიამ ხელი უფრო ღრმად ჩაყო და:

- იცი, ყანყრატო არ ჰქონიათ. სულ არა. შიგნით — მხოლოდ ჩიხია! (მამა გვეძახის: „ასია! მუსია!“ — „ახლავე, მამა!“)

— უნდა გამოვიღოთ!

— არა, დავტოვოთ!

— დირექტორი რას იფიქრებს?

— ვერც დაინახავს: სათვალე უკეთია. რომც დაინახოს, არ დაიჯერებს, რომ ასეთი მამის შვილები...

— რომც დაიჯეროს, თქმას ვერ გაბედავს...

— რომც გაბედოს, ვეღარ მოასწრებს....

— ...რა ჰქენით, ამოირჩიეთ?

ვაიმე, მამა და დირექტორი ჩვენკენ მოდიან!

— ნახეთ რამე თქვენი მოსაწონი, საყვარელო გოგონებო? (დირექტორი).

— აი ეს-ეს და ეს-ეს.

— გეტყობათ, ვისი შვილებიც ხართ! (მოწონებით:) დონატელო — და (სახელი დამავიწყდა) — კიდევ ამორძალი — და ასპაზია, დიდებულად შეგი-რჩევიათ! ნება მომეცით, პატივცემულო პროფესორო, ეს ტვიფრები თქვენს გოგონებს ვუსახსოვრო!

მამასადამე, ერთი დანახვით ვინც შევიყვარე — ამორძალია! აქილევის ტურფა მტერი, თვითონ რომ მოჰკლა და თვით დაიტირა, მეორე კი — ყოვლად კეთილზნიანი — პირველი, ვინც თვალში მომხვდა — თურმე ასპა-ზიაა!

— მადლობა გადაუხადეთ ბატონ დირექტორს ამ შესანიშნავი საჩუქრებისთვის!

მადლობას ვუხდით, თუმცა ჩვენს ქეშმარიტ მადლიერებას დირექტორი მოგვიანებით აღმოაჩენს — გმირთაგმირისა და ლომის ხახაში.

მოჯადოებული სამეფოდან კმაყოფილები გამოვდივართ.

— ახლა წავიდეთ და ლუდი დავლიოთ, — ამბობს მამა.

მუნღირი

მამაჩემისთვის ახალი ტანსაცმელი სიხარული კი არა, მწუხარება და ლამის კატასტროფა იყო.

— მამა, კოსტიუმი უნდა შეიკერო. შენი...

— ჯერ არა უშავს, კარგადაა შენახული და გახვრეტილიც არსადაა.

— მაგრამ ფერი...

— ბუთი წელი რომ გაცვია, აბა რა მოუვა, ჩემს ბანში თვითონ მიივ-
დები, რომ წლები არც ჩვენ გვამწვენებს.

— და მაინც რად არ გინდა შეიკურო?

— რატომ, თუკი ესეც ვარგა? ვისაც არ მოსწონს, ნუ შემოქმედებს და
რა ვინ აქცევს ყურადღებას, რა აცვია ბებერ პროფესორს?

მეორე დღეს ჩემს ძმას კიბეზე ეხმიანება:

— ანდრეი, არ გახსოვს ჩემი ნაცნობი თერძის — ვოლოდინის მისამარ-
თი? მაინც გადავწყვიტე ამის გადაბრუნება.

— რისი?

— პიჯაკის.

— იქნებ სჯობს ახალი შეიძინო?

— ახალი? მაგას შენ ხარ ნაჩვევი, აკვნიდანვე გაჭირვება არ გინაბავს.
მე კი გროშებზე მისწავლია და არ ვარ ნაჩვევი ის გადავაგდო, რაც ჯერ კი-
დეც გამომადგება.

მერწმუნეთ: ეს არ იყო სიძუნწე.

უკეთ — იყო, მაგრამ სიძუნწე აღმატებითი ანუ საუკეთესო ხარისხისა.

სიძუნწე უქონელი დედ-მამის შვილის, ვისაც რცხვენია საკუთარ თავს ის
დაახარჯოს, რასაც უკანასკნელ წუთამდე, მშრომელი მისი დედ-მამა ვერ დახა-
რჯავდა.

ანუ: სიძუნწე დედ-მამის პატივისმცემელი შვილისა, სიძუნწე ყოფილი
ლატაკი სტუდენტისა, ვისი ახლანდელი ხარჯები თითქოსდა ახლანდელ ლატაკ
სტუდენტებს აზარალებდა.

ანუ ერთგულება თავის სიყრმისა.

სიძუნწე მიწის მუშისა, ვინც იცის, რა სიმწრით შობს ეს მიწა ფულებს.

ანუ ერთგულება თავის მიწისა.

სიძუნწე ასკეტისა, ვისაც ყველაფერი ეზედმეტება, რაც ზორცს სჭირდე-
ბა, და ყველაფერი ეცოტავება, რაც სულისათვის არის საჭირო, ასკეტისა,
ვინც არჩევანი გააკეთა ნივთსა და არსს შორის.

სიძუნწე ყველა საქმით დაკავებული კაცის, ვინც იცის, რომ ყველა ხა-
რჯვა უპირველესად დროის ხარჯვაა.

სიძუნწე — ანუ დროის დაზოგვა.

სიძუნწე ყველა იმათი, ვინც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ვისაც
უბრალოდ არაფერი არ უნდა და არ სჭირდება. (ლევ ტოლსტოის
ყველა მიწიერ სიკეთისაგან განდგომა იყო მოთხოვნილება და არა მისი
„ფანტაზია“, რამეთუ მწერლისათვის გაცილებით უფრო ძნელია ქონების მო-
ვლა, ვინემ მისი გაცემა. რამეთუ ჩვეულებრივი შეუღებავი მაგიდა იმ გალა-
ქულ მაგიდაზე უფრო სჭირდება, უსარგებლო საგნებით გამოტენილი უამ-
რავი უჯრა რომ აქვს და პირველ ყოვლისა ტვინს ანაგვიანებს. ვაგნერის ეგ-
ზოში სწრაფვა ცხოვრების მდიდრული დეკორაციებისადმი ჩემთვის მუდამ
უფრო დიდი გამოცანა იყო, ვინემ მისი გენიოსობა).

სიძუნწე — ანუ სულიერობა.

(ყველა ეს სიძუნწე ტყუილად როდია ჩემთვის ნაცნობი — მე ისინი მა-
მისგან მომდგამს ბევრ სხვა რამესთან ერთად! ხვალ მილიონი რომ მოვიგო,
ცხვრის ქურქს ვიყიდი და არა წავის მოსასხამს. ცხვრის ქურქს, უბ-
რალოდ გამოყვანილს, ყველა გლებს რომ აცვია, ცხვრის ტყავი განა

კრაველია, იგი თბილია, არა ცვდება, არც შერს ბადებს, არც უბერბულობას და არც სინდისის ქნაჩას.)

დაბოლოს სიძუნწე მიმცემ-გამღებისა: იყო ძუნწი, ~~რათა შერბულობის სხვას~~ დაეიმარო.

რამეთუ იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იყო დამტყუან-დაქმნული, რამეთუ მისი უკანასკნელი ამოსუნთქვაც იყო იმისი სინდისის ქნაჩა, რამდენიმე წელი არ დასცალდა პროფესორის, დირექტორისა და საპატიო მეურვის კვალობაზე თავისი გასამკეცებელი ჯანაგირიდან შესძლებოდა მუზეუმის სვეტების გადაკეთება. კრიტიკოსებს რომ გაცილებით წვრილი ვჩვენათ სიმალღესთან შედარებით.

მერედა, რამდენ ლატაკ სტუდენტს, ლატაკ მეცნიერს, ლატაკ ნათესავს ზელს უმართავდა და ეზმაოებოდა!

მაგრამ ისიც ვინიშნოთ: მის სიუბევს ყაირათი ახლდა მუდამ წვრილმანებში. მაგალითად, როცა სტუდენტს ორას მანეთს მისცემდა იტალიაში გასამგზავრებლად, თან დაატანდა: „სადგურზე კი ტრამვაით წადით, ათჯერ უფრო ჩქარა მიხვალთ და ათჯერ უფრო იაფად, ვინემ ეტლით: ასე შაური დაგიჯდებათ, ისე — ათი შაური!“

მამის „სიძუნწეს“ ყველაზე დიდი ლახვარი მუნდირმა ჩასცა. მუნდირმა „საპატიო მეურვისა“ (ეს წოდება მას ებოძა მუზეუმის დაარსებისთვის). მუნდირმა, რომლის გადაბრუნებას ვერ შეძლებდა, რადგანაც იგი ახალთახალი უნდა ყოფილიყო და მთლიანად ოქრომკერდით ნაქარგი!

— ჰო, მაგრამ შეიდასი მანეთი რომ დამიჯდება! — გვითხრა პასუხად, როცა ახალი წოდება მივულოცეთ.

— განა წოდებაში ფულს იხდიან?

— არა, მუნდირში.

— რაა! მუნდირი უნდა შეიკერო? ვერცხლით ნაქარგი?

— ნეტავ კი ვერცხლით...



მერე დადგა მოზომების დრო — სამარისებურ დუმბულში გატარებული. — თერძმა თვითონ შეხედოს, მისი ხელობაა!

თუმცაღა, როგორც მახსოვს, მას სარკეში შეგნებულად არც არასოდეს ჩაუხედავს, მდუმარე მოზომებებს თან სდევდა დათფური ბურღუნ-ბურღუნნი:

— შეიდასი მანეთი ჩასაცმელში გადაიხადო, ეს ხომ წმინდაწყლის ყაჩაღობაა! აბა ვიანგარიშოთ: მაუღში სამოცდათხუთმეტი მანეთი, ოქრო-ვერცხლით ნაქარგში ასი მანეთი, მასალისა და მუშაობისთვის კიდევ ორმოცდაათი მკერავს... ჰო, სარჩულშიც ოცდახუთი — მეტი რა უნდა! სულ ორას ორმოცდაათი მანეთი — მშვენიერი ფასია! სინდისის მოსაწმენდად ჰა, სამასი იყოს, ოთხასი სადღა მიდის? რალაში მიაქვს?

— კი მაგრამ, სამეფო კარის მკერავი ხომ ორმოცდაათად არ შეგიკერავს ჩვეულებრივი მკერავივით?

— მე არ ვიცი სამეფო თუ ჩვეულებრივი მკერავები... ვიცი მხოლოდ კარგი თუ ცუდი მკერავი, ჩემთვის ყველა კარგია, ვინც ხელ-ფეხის გასაყრელს

შემიკვარავს! სამეფო კარის მკერავიო! გამოდის, სახელში ვაძლევ ზედმეტს, რაჯო „სამეფო კარისა“ ჰქვია!



ქრონოლოგი

და პა, მუნდირიც უკვე მზადაა. ვენმარებით ხელები გაუყვარებლად სვეტსა და დუგმა შეიკრას.

„რა ლამაზია! როგორ გიხდება! სარკეში მაინც შეხედე შენს თავს!“

ბეცი კაცის დაბნეული და უნდო მზერა სარკეში მხოლოდ წამით გაკრთება.

— მიხდება? მეტიმეტადაც! (და ისევ, როგორც ყოველთვის, უმაღლესს:) ვაი სირცხვილო, შეიდასი მანეთი საკუთარ თავს დაახარჯო!

— ეს ხომ შენთვის არ დაგინარჯავს! ეს მუზეუმისთვის იყო საჭირო!

— დაიცა... რა თქვი? — მამამ ყურები ცქვიტა.

— მუზეუმისთვის იყო-მეთქი საჭირო, შენს მუზეუმს რომ პატივი დასდო. ახალი მუნდირით რომ ახალ მუზეუმს პატივი სცე. მარმარილოს მუზეუმს — ოქრომკერდით ნაქარგი მუნდირით.

— დედაშენივით ენამკვევრი ხარ. სიტყვით ყველაფერზე მიყაბულებდა.

— მაგრამ ეს ხომ მართო სიტყვა არაა, ეს ხომ თვალითაც დაინახება. მუზეუმის თეთრი კიბე, მაღლა ორ სვეტს შუა კი — შენ, ოქრო-ვერცხლით ნაქარგ მუქლურჯ მუნდირში. ნახე აბა რა ლამაზი ნაქარგია! ეს ფოთლები, ეს რტოები...

— ოქროს ძაფი მაინც არ იყოს!

— ოქრო თითქმის არ შეიმჩნევა! მხოლოდ — ოქროს ჩრდილია, ძლივს შესამჩნევი, თითქოს ცოტა მომწვანოც, სადა და კეთილშობილი!

— პო, თვალს თითქოს არ სჭრის. მაგრამ კაცი... ხატს დაემსგავსო! — და ოხვრით:

— თუმცა მუზეუმისთვის თუა საჭირო...

1936

დაფნის ბვირბვინი

მუზეუმის გახსნის დღეა. საზეიმო დღე. ეს-ესაა ირიყრაქა. ზარი რეკავს. შიკრიკია მუზეუმიდან? არა, ქალის ხმაა.

ზარით გამოღვიძებული მამა უკვე ზღურბლთანაა. აცვია მორუხო-მომწვანო ფერის, ავდრის ფერი, დროების ფერი თავისი ძველი ხალათი. შემოდის ძალზე ლამაზი, ძალზე მაღალი ბანოვანი და მის შესახვედრად მოემართება — კარმენივით დიდზე დიდი მწვანე თვალები, მუქი წამწამებითა და ქუთუთოებით შემორკალური — კარმენივით შავგვრემანი.

ეს ჩვენი საერთო მეგობარია: მეგობარი ჩემი მოხუცი მამის, მუზეუმის, ჩემი ლექსების, ჩემი უფროსი ძმის თევზაობაში გათენებული ღამეების, ჩემი უმცროსი დის პირველი გამარჯვებების, მეგობარი ცალ-ცალკე ყველა ჩვენგანისა და მთლიანად მთელი ოჯახის, ის, ვის მეგობრულ ფრთებსაც ჩვენ შევეფარეთ დედის დაკარგვის შემდეგ — ანუ ლიდია ალექსანდროვნა ტ. დაბადებ-

ით გაერინო, ნახევრად უკრაინელი, ნახევრად ნეაპოლელი, სისხლით თავადის ქალი და სულით რომანტიკოსი.

— ღვთის გულისთვის, მამატიეთ, ლიდია ალექსანდროვნა! შესძახა მამამ, როცა სტუმარი იცნო: — ასე ჩაცმული... არ ვიცოდი, თქვენ თუ იყავით, მეგონა — შიკრიკი იყო... თუ ნებას დამრთავთ, მე... (დარცხვენით, ხალათს დახედავს).

— არა, არა, ჩემო ძვირფასო და დიდად პატივცემულო ივან ვლადიმირივიჩ! ასე გაცილებით უკეთესია. ამ დიდებულ დღეს თქვენი ხალათი რომაელის ტოგას მაგონებს, დიახ — ტოგას, ბერძნულ პეპლუმსაც.

— მაგრამ... (მამა კიდევ უფრო მეტი დარცხვენით), იცით, მიჩვეული არ ვახლავართ...

— მერწმუნეთ, ბრძენის ჰეშმარიტ ტოგასა ჰგავს! თანაც რამდენიმე საათის შემდეგ მთელი ბრწყინვალეებით წარმოგვიდგებით. ასე ადრე მიტომ მოვედი, მინდოდა პირველს მომელოცა ეს დიადი, ეს დიდებული დღე თქვენი და ჩემი ცხოვრების. დიახ, ჩემისაც, რომელშიაც ვერაფრის შექმნა ვერ შევძელი. ეს ბედნიერება ღმერთმა არ მომანიჭა, ასე მიტომაც შეგიყვარეთ თავიდანვე და მეყვარებით, ვინემ პირში სული მიდგას, ვინაიდან შემოქმედი ხართ. სწორედ შემოქმედი, მე პირველს უნდა მეთქვა მადლობა ასეთი გმირული შრომისათვის. პოდა, რუსეთისა და ჩემი სახელით — აი ეს მოგართვით.

სახტად დარჩენილი მამაჩემის წინ დაფნის გვირგვინია.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ...

— ახლავე, აქვე დაიდგით თავზე ჩემ თვალწინ, რომ დაგიმშვენოთ ეს დიდებული და კეთილშობილური შუბლი!

— შუბლი? ლიდია ალექსანდროვნა, ჩემო ძვირფასო, მე უსაზღვროდ მადლობელი ვარ, მაგრამ... დაფნის გვირგვინი... მე?! ეს, ეს, მართალი გითხრათ, სირცხვილიცაა!

(გარეგნული იერის სრულიად უგულველმყოფელ მამას არც უფიქრია, თუ რა სანახავი იქნებოდა ხალათმოსხმული ლაურეატი!)

— არა, არა, არ შემედავოთ! — ცრემლით სავსე თვალებით დაყინებით ამბობს სტუმარი, — თუნდაც წამით, მაგრამ ეს გვირგვინი ჩემი ხელით უნდა დაგადგათ!

და როცა მამამ მადლობის ნიშნად ორივე ხელი გაუწოდა, ქალმა ვერაგულად და წმინდა იტალიური სილალით მამას დაადგა, უფრო სწორად, ჩამთავბატა თავზე გვირგვინი.

მამა დასხლტომას შეეცადა:

— გემუდარებით, არა და არა!

— ო, არ მოიხატოთ, იცით, როგორ გიხდებათ! — ეხვეწებოდა სტუმარი ქალი.

და ალტაცების მთელი ძალით (რამეთუ ალტაცებაზე ძლიერი გრძნობა მე სხვა არ ვიცი) ეს ოცდათხუთმეტი წლის მზეთუნახავი თითქმის სამოცდაათი წლის მოხუც მამაჩემს შუბლზე ეამბორება.

— მინდა იცოდეთ, რომ ეს დაფნა რომიდან გამოვიწერე, კასრში ჩარგული გამომიგზავნეს. გვირგვინი კი ჩემი ხელით დავწანი. მერე რა, რომ ვლადიმირის გუბერნიაში დაიბადეთ, რომი — თქვენი სიყრმის ქალაქია და სულითაც რომაელი ხართ. — აჰ, თქვენს ცოლს ბედნიერება რომ ჰქონოდა და ამ დღეს მოსწრებოდა, ამ საჩუქარს ივით მოგართმევდათ!

მამა 1913 წლის ოცდაათ აგვისტოს გარდაიცვალა, ერთი წლისა და ხამრთვის შემდეგ მუზეუმის გახსნის დღიდან. დაფნის გვირგვინი ჩვენ მას კუბოში ჩავატანეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუროს კოშკი

ამას წინ, რილკეს ერთ-ერთი „ელეგია“ რომ გადავშალე, წავიკითხე: „ვუძღვნი თავადის ცოლ ტურნ-უნდ-ტაქსისს“. ტურნ-უნდ-ტაქსისი? რაღაც მეცნობა! თუმცა არა, ის ტური იყო: აჰ, ვიცი, სუროს კოშკი!

— Russenkinder, ihr habt Besuch! („პატარა რუსებო, სტუმარი გეწვიათ!“) — შემორბის ცარიელ საკლასო ოთახში მეცეცხლური მარია. მოწაფე გოგოებიდან მარტო ჩვენა ვართ პანსიონში დარჩენილები. მე და ასია უგულოდ ვფურცლავთ სახელმძღვანელოებს ხვალინდელი დღის მოლოდინში: ხვალ აღდგომაა, სასიხარულო კი არა გველის რა.

— ვილაც ბატონია, — განაგრძობს მარია.

— როგორი?

— როგორც ყველა. ნამდვილი ბატონი.

— ბებერი თუ ახალგაზრდა?

— აკი გითხარით, როგორც ყველა-მეთქი. არც ბებერი და არც ახალგაზრდა, როგორიც უნდა იყოს. ჩქარა წადით, ოლონდ, ფროილან ასია, თმა შუბლიდან გადაიყარეთ, თორემ ვირთხასავით თვალები აღარ გიჩანთ.

იღუმალ „მწვანე ოთახში“, თან რომ პანსიონის პატრონი ქალების მისაღებია, ჩვენ შესაგებებლად მწვანე სავარძლიდან ნაცნობი დგება, ახლა ძლივას საცნობი. ვინც მუდამ უბიჯაკო გვახსოვს, მუდამ ლანგრით ხელში, დღეს ჯობით და შლაპითაა, ვიწროზე ვიწრო საყელოთი, ასე უცხოდ რომ ჩანს პანსიონის პატრონი ქალის გვერდით, ამ მწვანე ფარდების ფონზე. იგი „ანგელოსის“ (Engelswirth), ჩვენი სოფლის სასტუმროს პატრონია და ჩვენი ზაფხულის მეგობრების, კარლის და მარილეს მამა.

— ბატონმა მაიერმა დიდი სიკეთე გამოიჩინა და ხვალ მთელი დღით თავისთან დაგპატიყათ. დილის ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე გამოგივლით და საღამოს იმავე დროს უკან მოგიყვანთ. თუ, რა თქმა უნდა, კარგი დარი იქნა. მე უკვე ნება დავრთე. აბა მადლობა გადაუხადეთ ბატონ მაიერს.

ბედნიერებითა და ამ წმიდათაწმიდა ადგილით გაოგნებულნი მადლობას ვუხდით: მე — მორცხვად და რატომღაც ხმადაბოხებით, ასია — წრიპინით. მცირე სიჩუმე. ამ წმიდათაწმიდა ადგილითა და უჩვეულო ვიწრო საყელოთი ჩვენზე უფრო დათრგუნული პერ მაიერი თავის ფეხებს დაპყურებს, მართლაც ძნელად საცნობთ ახალთახალ ფეხსაცმელებში. ასე მგონია, ძალიან უნდა თვალი ჩავვიკრას. ყველანი ფეხზე ვდგავართ. გამოსვლისას ასიამ მაინც მოისაზრა და გაბედა კითხვა: კარლი თუ გაიზარდა და საღამდე წვდება ახლა მამას.

ცარიელი დორტუარი. ეს-ეს არის მარია მამბას ჩაუწია დახუცულ ქუთუთობებზე — ჯერ ხვალინდელ აღმართს ვხედავ, მერე რომელიღაცა მოსახვევიდან, უფრო წარმოდგენილ, ვინემ თვალით ხილულ ტირიფების ორმაგ ჩარჩოში მოქცეულ ცივ, საყვარელ უნდინას.¹² ნაკადულს ხვდებით დახვების დღეს, რომელშიც შესვლა ნიადაგ გვეკრძალებოდა, ყინულივით ცივი არისო, მაგრამ რომელშიც ერთხელ კაბიანად ვართ შესულები... შემდეგ — ჯვარცმადგას გადასახვევში, საიდანაც გზიდან მარცხნივ უნდა გადაუხვიო, მერე უკვე ახლოსაა! — ქლიავისა და ვაშლის ხეთა მწვანედან ჯერ გასტკაუზი,¹³ მერე თავად ანგელოზი, ფუნჩულა, ფრთიანი ანგელოზი შეგვეგებება, ძველი, ოღონდ გარეგნულად სრულიად ნორჩი, გაცილებით ჩვენზე უმცროსი — თითქმის სამი წლის საყვარელი ანგელოზი სახლის შესასვლელის თავზე, სახლიდან ჩვენ შესახვედრად გამოვა ფრაუ ვირტინი, რაც მთავარია, კარლი და მარილე, რომელთაგან ჩემთვის მთავარი — მარილეა, ასიასთვის — კარლი.

— ხვალ! ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე, თუკი ამინდი კარგი იქნა.

თვალის გახელის უმაღ — ფანჯრისაკენ, უკეთ, ფანჯრისა და საათისაკენ ვიმზირები. დიდებულია: ცა ნათელია, ხუთი საათია, ასიას ზურგზე ექვს ღილს ვუკრავ. მაგრამ კაბებს რა ვუყოთ! ჩვეულებრივი კაბა ჩავიცვათ, არ შეიძლება — დღეს -აღდგომაა, საგარეოთი კი ვერც ხეზე ახვალ და ვერც მის ძირში დაჯდები.

— როგორც კი მივალთ, მარილეს ძველი კაბა უნდა ჩავიცვა.

— მე კი რაღა ვქნა? (ასია წყენით) მარილეს კაბა გრძელი მექნება, კოჭებამდე!

— შენც კარლის შარვალი ამოიცვი! (მაგრამ ვხედავ, უკვე ტირის.) მაშინ მარილეს ყოფთა ჩაიცვი, მუხლამდე მოგივა სწორედ, სახელოებს კი გადაიწევი! საუზმის ზარი მარტო ჩვენთვის წკრიალებს. პანსიონის პატრონ ქალებს სძინავთ. ვსაუზმობთ ჩვენ და მარია, როგორც ყოველთვის, ვსვამთ შერის უშაქრო ყავას (მთელი შაქარი პანსიონმა ერთხელ და სამუდამოდ „ლატაკ ბავშვებს“ დაუთმო ნებაყოფლობით), პურის ნაკერს კარაქის ნაცვლად რაღაც წითელი, გულისამრევი ზეთი სცხია, რომელსაც ზიზლის გარეშე — როცა ახერხებს — ყველას მაგივრად მხოლოდ და მხოლოდ მუდამ მშვიერი, საოცრად ღორმუცელა ბრაზილიელი ანიტა იაუტცი ჭამს ანუ ლოკავს.

— ეჰ, ფროილაინ ასია, ისევ გაწებეთ მთელი მუშამბა! მოდით მე შევჭამ თქვენ მაგივრად, თორემ თხუთმეტი წუთი დარჩა.

შვიდის ნახევარია. შვიდს თხუთმეტი წუთი აკლია. უკვე შვიდია. ამინდს

¹² უნდინა — გერმანელი მწერლის ფრიდრიხ დე ლა მოტ ფუკეს (1777-1843) რომანტიკული მოთხრობა, რომელიც მ. ცვეთაევას ბავშვობაში ძალზე უყვარდა.

¹³ სასტუმრო (გერმ.).

უფრო საშუალო ეტჰმის, ვინემ კარგი, მთელი ცა ღრუბლებს დაუფარავს, ოღონდაც არ წვიმს. რვის ნახევარია. რა თქმა უნდა, ბაზარში შეავიანდა და საცაა მოვა. ჰერ მაიერი ვაჟკაცია და ამ რამდენიმე წვეთს წვიმად არ ჩათვლის... წვიმამ მოუხშირა, მერე ღვართქაფად მოსკდა. რვა საათზე პანსიონის უმცროსი პატრონი, ფროილაინ ენი გამოგვეცხადა.

— ბავშვებო, ნახევარი საათის შემდეგ გაემზადეთ ეკლესიაში წასასვლელად. ჰერ მაიერი, ცხადია, აღარ მოვა.

მღვდელი რას ქადაგებს? მთელ პანსიონში ყველაზე პატარა ასია, რომელსაც ქადაგებებზე ყოველთვის სძინავს, ახლა პირველად ფხიზლობს. უხმოდ, მსხვილ-მსხვილი ცრემლებით ტირის. თუმცა „არ მოვიდა“-ზე უფრო უარესი მეორეა: „ვაითუ მოვიდა და, რომ არ დავხვდით, ისევ წავიდა? დღეს ხომ აღდგომა დღეა, მთელი ქალაქი „ანგელოზს“ მიაწყდება, ჰერ მაიერს კი სანოვაგე აქვს ნაყიდი და დაცდა არ შეუძლია“.

დაბრუნებისას ფროილაინ ენი მეკითხება:

— შენ რატომ არაფერს ამბობ, რუსენკინდ? ასია ტირის მაინც, განა არა გსურს შენს მეგობრებთან მალლა, გორაზე წასვლა?

— ო, მე ეს ვიცოდი, წინასწარვე უკვე ვიცოდი. ეს მეტიმეტად დიდებულის რამ იქნებოდა!

და უეცრივ, ცრემლების ნაცვლად, ცნობილ ორ ტაეპს ვაფრქვევ:

Behüt Dich Gott, es wär zu schön gewesen!

Behüt Dich Gott, es hat nicht sollen sein!

(„გფარვიდეს ღმერთი, ეს მეტიმეტად დიდებულის რამ იქნებოდა! გფარვიდეს ღმერთი, ეს ალბათ არც უნდა მომხდარიყო!“)

— მიხარია, პოეტები ასე რომ გიყვარს, მაგრამ შენთვის მაინც ადრეა შაფელის კითხვა.

— მე არც წამიკითხავს, ამას მუდამ დედა მღერის ხოლმე!

როგორც ყოველ კვირადღეს — საუზმედა გვაქვს: „წითელი მხეცი“ (ასე შევარქვით) და რევანდის კომპოტი, ზარის წკარუნის შემდეგ (რომელიც მარტო ჩვენთვის წკარუნებს) ცარიელ დორტუარში ხელებს ვიბანთ. ნამტირალევი ცა საუცხოოა!

მარია ქოშინით მორბის:

— რუსენკინდერ, ფროილაინმა თქვა, გამოეწყვენო.

— ჩვენ ისედაც გამოწყობილები ვართ.

— როგორ, მაქმანის საყელოები არ გაქვთ?

— არა.

მარიას სახე უბრწყინავს:

— ჩემსას გათხოვებთ... იმიტომ, იმიტომ, რომ მეც თავს აქ ცუდადა ვგრძნობ!

მირბის და მოაქვს: ერთი — გიპიურის უზარმაზარი მოსასხამი, წელს ქვემოთ ჩაკონწიალებული ვავილონებით — პირწმინდა ზღვის ვარსკვლავი. რომ-

ლის შუაგულში შეგიძლია თავი გაპყო. გიბიურის ვარსკვლავი ჩემი გახლავთ, ხელით ნაქსოვი — ასიასი. ჩემი — წელამდე მწვდება, ასიას — მუხლამდე — ახლა პატარა ანგელოზებივით ლამაზები ხართ!

(ოპ, ანგელოზო, ანგელოზო!)

...უნდა გავისეირნოთ. გავისეირნოთ მარტო ჩვენ ორმა, ფროილაინ ენის თანხლებით — თანაც საკვირაო კაბებში — რომლებშიც ვმჯობნობდით და ვერც ვერაფერს... ფროილაინ ენი მარტო ჩვენ ორს მოგვყვება...

ვიცვამთ ფაქეტებს. ჩემი ისე ვიწროა, ლამის უკანვე გამომისროლოს, ასიასი ისე სრული, მისგან სადღაც ცალკე ფარფარებს, და ქვემოთ ჩავდივართ გაუხარელი ბავშვებისა თუ ჩრდილების დარად.

ეტლი ანუ ლანდო ქვემოთ გველის, ამ სიტყვის მთელი ბრწყინვალეობით და მნიშვნელობით. ლანდო ფართოა და გალაქული, მის ორ ცხენსაც ასეთივე ბზინვა გაუდის. შიგ ორივე ფროილაინი ზის, აცვიათ კლიტებით გაწყობილი რაღაც შავი სამოსი, საზეიმო ძაძებს რომ მოგავს, ახურავთ ლილისფერი ყვავილებით გაწყობილი შავი შლაპები და ხელში უჭირავთ თეთრი შროშნების თაიგულები.

— ბავშვებო, აბა დასხედით!

ლანდოს საფეხურზე გაუბედავად ავაბიჯეთ.

— მარინა, როგორც უფროსი, ჩემ წინ დაჯდები, ასიია, როგორც უმცროსი, ფროილაინ ენის პირდაპირ.

(ნეტარა სჯობს: უყურო ფროილაინ პაულას კიბოსა თუ ბაყაყივით დაკუსულ დიდ, უხამხამო თვალებს თუ ფროილაინ ენის ფინიასავით ხუჭუჭა თმიდან გამომზირალ, წამდაუწუმ მოხამხამე მოწითალო-მოციხფრო თვალებს?)

ლანდო ნელა მიცურავს. ყველანი ვდუმვართ.

ჯერ ძველ-ძველ, მერე ბედნიერ სახლების წყებას მივყვებით, ბედნიერ მინდვრებს რომ გადააპყურებს... მერე შორს ნაძვნარიანი გორები წამოიმაართა, მოახლოვდა... ეს ხომ შვარცვალდის გორებია...

სად მივყავართ? იქნებ (გიჟური ოცნება) „ანგელოზში?“ მაგრამ გზა რომ სხვაა, იქ გზა აღმართზე აღის, ეს კი სწორია. ჭიშკარიც სხვაა, აქ წმინდა გორგია, იქ მარტინი... ხოლო თუ იქ არა, მაშ სად მივდივართ? იქნებ არსად? იქნებ მხოლოდ გავისეირნეთ?

— რატომ არ გვეკითხებით, რუსენკინდერ, სად მივდივართ და ცხენები ვინ გამოგზავნა?

— უფროსებს არ შეიძლება შეეკითხო (ასია.)

— უკეთესია ალბათ არც ვკითხოთ (მე).

— საქებარი საქციელია (ასიას). სახიფათო მეოცნებობა (მე). ჩვენ მივდივართ... — და უეცრივ ყურში ხმიერად მხვდება: ტურ-უნდ-ტაქსისი. და მყის თვალწინ დამიდგა სუროს კოშკი. ახლა პირველად რომ დავუფიქრდი, კარგად მესმის: Thurn, მე რომ Turm¹⁴-ად ჩამესმა, ფრანგული tour (კოშკი) გამოდიოდა, ხოლო Taxis, მცენარე Taxus-ის თანხმიერად, რომლის ზუსტი

¹⁴ კოშკი (გერმ.).

მნიშვნელობა მაშინ არც კი ვიცოდი (ტისის ხე, ტისი) — სურო. ტურ-უნდ-ტაქსისი ანუ სუროს კოშკი.



არა, კოშკი არ იყო. იყო ტერასიანი თეთრი სახლი, ღამესავე დაიწყო მზირალი ღრმა თვალებით, ანუ ფანჯრებ-თვალებით, ასე რომ ჰგავდა მზირალს, ჩვენ რომ მოგვაპყრო ყმაწვილმა ქალმა, მთლიანად მუქ თაფლისფერმა და ისეთივე თაფლისფერთვალამ, როგორც მის თანმხლებ მუქ თაფლისფერ ბანჯგვლიან პატარა ძაღლს აქვს, ქალმა, რომელიც მუქ თაფლისფერ ღრუბლად ჩვენკენ დაეშვა და არც ერთ სხვა ქალს არ ჰგავს.

— რა გულით მადლობელი ვარ, ბავშვებიც რომ წამოიყვანეთ. მაშ პანსიონში მარტონი იყვნენ ამ აღდგომა დღეს? საბრალონი! რა ჰქვიათ? მარინა? აზია? რა ლამაზი სახელებია, წმინდა იტალიური. ამბობთ: რუსენკინდერო? მაგრამ უფროსი მისი ასაკისათვის რიზენკინდიც ყოფილა კიდევ! (გოლიათი).

ამ ქალს ხმაც მქლერი, გულში ჩამწვდომი და მშვენიერი აქვს! ისიც თითქოს თაფლივითაა. („გუშინ ჩელოს ვუსმენდი, მისი ჟღერა შენს თაფლისფერ თვალებსა ჰგავდა“, სწერს გოეთეს მოხუცი დედა ყმაწვილ ბეტინას).

— გიხარია, აზია, ჩემთან რომ მოგიყვანეს?

— დიახ, ლიბე ფრაუ. (საყვარელო ქალბატონო, რაიც აგრეთვე ღვთისმშობელს ნიშნავს.)

— „ლიბე ფრაუ“ არ უნდა თქვა, უნდა თქვა „ფრაუ ფიურსტინ“ (თავადის ცოლი), — შენიშნა ფროილაინ პაულამ.

— ღვთის გულისათვის, განა შეიძლება ბავშვს, ისიც ასეთ ბავშვს შეუსწორო! (და ენაზე იკბინა უმაღლეს:) რა თქმა უნდა, საყვარელო აზია და მარინა, ფროილაინ პაულას მუდამგზის უნდა დაუჯეროთ, მაგრამ დღეს ჩვენ ყველანი ერთად ვართ — მარინა, აზია, მე და...

— ტირასიც, — ჩააკერა ასიამ.

— ჰო, ტირასიც, და ყველანი ვთხოვთ მას შეგვინდოს და მოგვიტევოს ჩვენი პატარა შეცოდებანი, ვინაიდან მე და ტირასიც, პატარებო, თქვენზე არანაკლებად ვცოდავთ, არა, ტირასს?

ტირასი შოკოლადისფერი სეტერია, არც მოწითანო და არც ბანჯგვლიანი, არც ირლანდიური. ანლოდან მომწვანო თვალები აქვს — ზუსტად მისი პატრონივით. ამ ახალი ადგილითა და უფროსების ყურადღებით დარცხვენილები ჯერჯერობით გაუბედავად, თითქოს გულგრილად ვეფერებით, თუმცა ვიცით, ჩვენი დროც მოვა, როცა უფროსები საუბარს შეუყვებიან, და დანაკლისსაც მაშინ შევივსებთ.

ჩაის ენა ვერ აწერს. ის რომ აღწერო, უნდა აღწერო მთელი ჩვენი ექვსთვიანი შიმშილი პანსიონში და ბავშვებისათვის შიმშილზე უფრო გაუსაძლისი, აუწერლად მოსაწყენი სპარტანული მენიუ: ფქვილის თუ ოსპის წვნიანი და რევანდი, ცერცვის წვნიანი, კარტოფილი და ისევ რევანდი. რევანდი მუდამ და გაუთავებელივ. ალბათ იმიტომ, რომ ბაღში ხარობდა და შაქარი არ სჭირდებოდა. ჰოდა, რამდენად უნდა გყოფილიყავით გაბეზრებულნი და დამშეულები ეს ორი გოგო, რომლებსაც გაუმაძღრობა სულ არ მოგვდევდა და არც სისბლისმსმელები დაგვერქმეოდა, რომ საათობით გვეოცნება, ოდესმე ხელით დაგვეჭირა და ლამპის აღზე შეგვებრაწა „ენის“ ზღაპრული, ტანდაწინწკლული, ნაზი, ცისფერი კალმახები, ბა-

ლის რუში რომ დასრიალებდნენ და, ფროილიან ენის თქმით, სხვა ყველაფერთან ერთად მუსიკაც გაეგებოდათ.

ალარ გავაგრძელებ იმ ენით აუწერელ ჩაის ამბავს, ხალაქ ბარემ აქვე ვიკვი, იყო უზღვავე რაოდენობით შოკოლადი, ასევე უზღვავე რაოდენობით შემოთავაზებული კი არადა, თეფშებზე დაწყობილ ^{ქაქაქაქაქაქა}¹⁵ ვიტყვი მხოლოდ, რომ მუცელი ისევე ბედნიერი იყო, როგორც ^{ქაქაქაქაქაქა} ყური, ყური კი — როგორც გული.

თუმცა ყურს თითქოს რაღაც ეჩოთირება, ზოგი რამ ვერ გამიგია, ზოგი ველარ მიცვნია. ჩემი მამა, ფროილიან პაულას თქმით, სახელგანთქმული არქიტექტორი, მოსკოვში უკვე მეორე მუზეუმს აშენებს თურმე (პირველი, ეტყობა, რუმინანცევის მუზეუმი) და და ცნობილი პიანისტია (დედას საჯაროდ არასოდეს არ დაუკრავს), მე — საოცრად ნიჭიერი ბავშვი, „geistreich“, (მაგრამ არითმეტოკა? მაგრამ ხელსაქმე?, ასია საოცრად „lieblich“, (მოსიყვარულე), მე იმდენად „geistreich“ და „irühreif“ ვარ თურმე (ნაადრევი განვითარების), უკვე რუსულ გაზეთებში ვიბეჭდები (მომდის „Друг детей“ და „Родник“). ასია კი იმდენად მოსიყვარულე, რომ ჭამის შემდეგ ფროილიან პაულასთან მიდის ფისოსავით მოსაფერებლად. (ხელსაწმენდებს მოწაფეებს არ გვაძლევდნენ, ასია კი, რაკი ჯერჯერობით უხელსაწმენდოდ ჭამას ვერ შეეჩვიო, ყოველი ჭამის შემდეგ სრულიად შეგნებულად პირს, ლოყებს და ხელებს ანუ ცერცვს, ქონსა და რევანდს გულუბრყვილო და გულაჩვილებულ ფროილიან პაულას შავ კაბას აწმენდს. ეს ყველამ ვიცით იმის გარდა, ვისაც ეფერებიან და ყველა შურისგების ნეტარი გრძნობით ამ წუთებს ველით.)

— ყველაფერს ვაპატიებ... კიდევ რამე რომ დააშავონ!.. იმ ხმისათვის, რა ხმითაც ძაღლს ეძახიან, როცა ქუჩაში დაინახავენ: „Ein Hu-und!“¹⁶

ამ დროს კი ჩვენ, „გაისტრაიპიც“ და „ლიბრაიპიც“, უკვე ძაღლთან ერთად იატაკზე ვართ გაშოტილები და, თავდავიწყებით და საჭმიანად, ასია ერთ ლოყაში, მე — მეორეში, ჩვენ — ჩვენს მხარეზე, ვკოცნით და ვკოცნით.

— იქნებ სჯობს დრუნჩზე არ აკოცოთ, — თითქოს ყოყმანით გვეუბნება დიასახლისი, — ამბობენ, ძაღლებს...

— არაფერიც არ სჭირთ! — გულმხურვალედ ვესიტყვები, — მთელი სიცოცხლე ასე ვკოცნით!

— მთელი სიცოცხლე? — იმეორებს ტურ-უნდ-ტაქსისი, — ამდენი ხანი? მაშასადამე, მართლაც არაფერი სჭირთ.

და კვლავ ერთფეროვნად ჩამესმის ყურში პაულას ქება-დიდება: მამა ესა და ესო... დედა — ესა და ესო... უმცროსი მწერსაც კი უცრემლოდ ვერ უყურებს... (ცოცხალი ტყუილი!) ხოლო უფროსმა მთელი ფრანგული პოეზია ზეპირად იცის... თუ ფრანუ ფიურსტინს სურს, თვით შეამოწმოს...

— აბა მითხარი ლექსი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვარს!

ჩემს ხმაზე მევე ყურები მეცქვიტება, პიუგოს დიდებულ ოდა „ნაპოლეონ II“-ის ტალღებზე რომ მიცურავს უკვე.

— ახლა მითხარი, მარინა, ყველაზე მეტად რას ინატრებდი?

— ნაპოლეონი რომ მენახა.

— კიდევ?

¹⁵ ფხვიერი ნამცხვარი (გერმ.).

¹⁶ ძაღლი (გერმ.).



— რუსებმა რომ იაპონიას ვაჯობოთ, მთელ იაპონიას!

— რაიმე არაისტორიულს, მესამეს არ ისურვებდი?

— ვისურვებდი.

— მაინც რას?

— წიგნს, რომელსაც „Heidi“ ჰქვია.

— ასეთი რა წიგნია?

— როგორ დაბრუნდა მთებში გოგო, რომელიც სამუშაოდ წაიყვანეს. —

მაგრამ ვერ გაძლო და კვლავაც თავის „auf die Alm“ (ალპურ საძოვრებს) მოუბრუნდა., თხები ჰყავდათ მას და ბაბუას. ცხოვრობდნენ სულ მარტოდმარტო, მათთან არავინ დადიოდა. ეს წიგნი იოჰანა სპირიმ¹⁷ დაწერა, მწერალმა ქალმა.

— შენ კი, აზია, რას ინატრებდი?

— ედისონზე გათხოვებას. ეს პირველი, მერე „ascenseur“¹⁸ რომ მქონოდა, ოღონდ სახლში არა, გარეთ, ბაღში...

— მესამე?

— მესამეს ვერ გაგიმხელთ. (ფროილან პაულას გადახედავს.) ვერამც და ვერამც.

— ნუ, ნუ გრცხვენია, ჩემო პატარავ! ცუდი შენ რატუნდა ინატრო?

— ეს ცუდი კი არა... უხერხულია, (ფროილან პაულას შიში დაეტყო.) იწყება W-ზე. არა, ის არა, თქვენ რომ გგონიათ! — უცბად ფეხის წვერებზე დგება, შეშინებულ და მოღიმარ ფრაუ ფიურსტინს ეხვევა და — ხმამაღალი ჩურჩულით: — Weg! (შორს!) შორს პანსიონიდან!

მაგრამ იმ ორს, ეტყობა, არ გაუგია, რადგან ერთდროულად და გაცხოველებით სულ სხვა რამეზე ალაპარაკდნენ, Pfingstferien-ზე (ანუ სამების უქმის არდადეგებზე) სად წავა პანსიონი ან წავა კია.

რა კარგია, როცა დამშვიდობებისას ცხენებისაკენ ზურგით ზიხარ! და ცხენების ნაცვლად, იქ რომ უთუოდ წაგიყვანენ და უთუოდაც მიგიყვანენ, სადაც არ გინდა, უყურებ იმას, საიდანაც წასვლა არ გინდა, იმას, ვისგანაც... ურცხვად, უშიშრად თვალს ვარიდებთ, ასია: ფროილან ენის, მე — ფროილან პაულას და მათ შლაპებს შუა, მათ თავებს ზემოდან ვუჭვრეტთ — ასია ჯერ წამოიწევა, მერე წამოდგება — თეთრ სახლს, წიწვების ქურქში გახვეულს, ვისმენტ ტირასის უკანასკნელ „ჰამ-ჰამს“, ვინც გასეირნების ნაცვლად დიასახლისს სახლისკენ მიჰყავს და ვისაც ესოდენ ხალისით მარტო ადგილს არ გავუცვლიდით! ყურში კი — უფრო ღრმა, შინაგან სმენით დაჭერილი და დაცული — დიდხანს გვიჟღერს წარმტაცი ხმა:

— Gott behüt Euch, liebe Fremdenkinder! (გფარავდეთ ღმერთი, საყვარელო, უცხო ბავშვებო!)

ერთი კვირის შემდეგ, როცა ის თეთრი სახლი საბოლოოდ გაუჩინარდა, როცა ნაძვებმა საბოლოოდ შეკრეს კამარა, როცა ხმა საბოლოოდ ჩაიძირა სმე-

17. შვეიცარიელი მწერალი ქალი (1829-1901).

18. ლიფტი (ფრანგ.)

ნის სიღრმეში, ფროილაინ პაულამ ისევ იმ მწვანე ოთახში მე და ასიას პაკეტები მოგვცა. ჩემსაში, „მარინა“ რომ იყო წაწერილი, აღმოჩნდა წიგნი „Heidi“ და კიდევ მეორე წიგნი „Was wird aus ihr werden“ („ნეტა მას რა მოეწივს?“). „ihr“-ზე კი ლამაზი დახრილი ხელით ეწერა: „dir“ (შენ), ხოლო „werden“-ის შემდეგ — „liebe Marina?“. (ნეტა შენ რა მოგეწივს მარინა?) ხოლო პაკეტში, რომელსაც „აზია“ ეწერა — კუბიკების კოლოფი იდო, იმ კუბიკებიდან კი არათუ ლიფტი, მთელი ნიუ-იორკი აშენდებოდა, ის ნიუ-იორკი, სადაც ასიასა და ედისონის ქორწილს იზეიმებდნენ.



რილკეს დუინის „ელეგიები“. ტურ-უნდ-ტაქსისი. სუროს კოშკი.

1933

დედა და მუსიკა

როცა ნანატრ, ლამის უკვე წინასწარ გადაწყვეტილ, თითქმის შეკვეთულ ალექსანდრეს ნაცვლად მე დავიბადე, დედამ ოხვრა ამაყად შეიკავა და თქვა: „ყოველ შემთხვევაში მუსიკოსი მაინც იქნება. ხოლო როცა ჩემი პირველი, აშკარად უაზროდ, თუმცა საკმაოდ მკაფიოდ ნათქვამი სიტყვა — ერთი წლისაც არ ვიყავ მაშინ — „გამა“ აღმოჩნდა, დედამ მხოლოდ დაადასტურა: „ასეც ვიცოდი“, — და უმაღლესი მუსიკის სწავლა დამიწყო, ანუ გაუთავებლავ მიმღვროდა სწორედ ამ გამას — „დო, მუსია, დო, ეს კი — რეა, დო—რე...“ ეს დორე მალე იქცა ჩემი ნახევარი სიმალლის წიგნად ანუ „წინგად“, როგორც მაშინ ვამბობდი, თუმცა ჯერხნობით მხოლოდ წიგნის ყდად, და მის ლილისფერ ყდაზე ისე ძალუმად და თვალისმომკრელად ბრწყინავდა ოქრო. დღესაც კი გულის გარკვეულ, გულის უნდინისეულ კუნჭულში რაღაც მწვავს და რაღაცა მაკრთობს, თითქოს ეს მრუმე ოქრო, გამლღვარ-გამდნარი, გულის ფსკერზე დაღეჭილი, შეხების უმაღლესი ხევიტ ამოცურდება, თვალეზამდე დამფარავს და ცხარე ცრემლს მადენს.. ეს დო—რე (დორე) გახლავთ, რე—მი კი რემი, ბედნიერი რემი „Sans Famille“¹⁹-დან, ვისაც didi-ის ბოროტი ქმარი (estopie²⁰, თითქოსდა ფეხმოხერხილი: pied), ხეიბარი Père Barberin-ი ხელდახელ აუბედურებს, ჯერ ბლინების ჭამას არ აღირსებს, მეორე დღეს თვით რემისაც მოხეტიალე მუსიკოს ვიტალისს მიყიდის, სამი ძაღლი: კაპი, ზერბინო, დოლჩე და ერთადერთი მაიმუნი, გალოთებული ყოლი კიორი რომ ჰყავს, ვინც რემის უბეში ტლექით კვდება შემდეგ. ეს რემის რაც შეეხება, ხოლო ცალ-ცალკე აღებულნი: დო — აშკარად თეთრი, ცარიელი — აქედან და იქამდე, ყველაფრამდე, რე — ცისფერი, მი — ყვითელი (midi²¹ ხომ არა?), ფა — ყავისფერი (იქნებ დედის საგარეო ფაიას კაბა), რე კი — რახან ცისფერი — ვითომ მდინარე? და ასე შემდეგ, და ყველა ეს „შემდეგ“ მართლაც იყო, ოღონდ არ მინდა მკითხველის დაღლა, ვისაც თავისი ფერები აქვს და თავისი აზრი ამ ფერებზე.

19 „უსახლკარო“ — ფრანგი მწერლის გ. მარლოს რომანო.

20 სახიჩარი (ფრანგ.).

21 შუადღე (ფრანგ.).

დედა ხარობდა ჩემი სმენით და უნებლიეთ მაქებდა ხოლმე, თუმცა ყოველ წამომცდარ „ყოჩაღ“-ს ცივად დააყოლებდა: „შენ არაფერ შუაში არ ხარ, სმენა ღვთისაგან ნაბოძები ნიჭია მხოლოდ“. ასედაც მწამდა ხელ ბოლომდე, რომ მე აქ არაფერ შუაში არ ვარ, რომ სმენა ღვთისაგან ნაბოძებული ნიჭია მხოლოდ. ამან დამიცვა და დამიფარა თვით-წარმოდგენის, თუ ხელოვნებაში ყოველგვარი თვით-მომწონეობისგან — რაკილა ნიჭი ღვთისაგან მქონდა ბოძებული. „შენი საქმეა — სიბეჯითე, ვინაიდან ყველანაირი ნიჭი შეიძლება კაცმა დაღუბოს“, — მეუბნებოდა დედა ოთხი წლის გოგოს, ვისაც აშკარად არაფერი გაეგებოდა და ამიტომაც ისე იმახსოვრებდა, მერე თავიდან ველარაფერი აღმოუფხვრიდა. და თუკი ჩემი სმენა არ დავლუბე და ცხოვრებასაც არ დავაღუბინე (არადა, როგორ ვცდილობდი!), ისევ და ისევ დედის წყალობით. დედები რომ თავიანთ შვილებს ხშირ-ხშირად ესაუბრონ გაუგებარ რაღაცებზე, შვილები არათუ უფრო გაგებულნი და მიხვედრილები გაიზრდებიან, უფრო მტკიცედაც იმოქმედებენ. ბავშვს ახსნა არ სჭირდება, ბავშვს — შელოცვა უნდა. და რაც მეტად გაუგებარი იქნება ეს შელოცვები, მით მეტად და გარდაუვალად იმოქმედებს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“

როიალს — კლავიშებიანს და მის დო-რე-მი-ს ხელდახელ და მყის შევეთვისე. თურმე საოცრად მოქნილი ბელი მქონია. „ხუთი წლის გოგო თითქმის ოქტავას იღებს, ცოტა, ცოტა აკლია! — ამბობდა დედა და ხმის დაჭიმვით ცდილობდა იმის შევსებას, რაც მაკლდებოდა, ოღონდ დიდად რომ არ გავამაყებულყავ: — თუმცა ფეხებიც ასეთი აქვს!“ — და ამ სიტყვებით გაურკვეველ და მძაფრ სურვილს მიღვიძებდა, რომ ოქტავას ფეხითაც მივწვდომოდი (მით უმეტეს, ბავშვებიდან მე ერთს ძალმიძდა ზედ თითების მარაოდ გაშლა), თუმცა ამის ჩადენა კი არადა, თავში გავლებაც ვერ გამებედა, რადგან „როიალი — წმიდათაწმიდა იყო“, რომელზედაც არ შეიძლება წიგნიც კი დადო. გაზეთებს, მამა რომ გულუბრყვილოდ ყოველ დილას ზედ დებდა ხოლმე, დედა უბმოდ და მოწამებრივი სიჭიუტით როიალიდან მყის გადმოყრიდა. და იქნებ სულაც როიალის ლაპლაპა სიშავისა და გაზეთების უფერული, უწესრიგო გროვის დაპირისპირებამ, თან დედაჩემის ესოდენ ძლიერმა და იმავე დროს პედანტურმა შურისძიებამ აღძრა ჩემს გულში აღმოუფხვრელი, აქსიომური რწმენა: გაზეთები უწმინდურია, აღძრა ჩემში მათდამი ასეთი სიძულვილი და მთელი გაზეთური სამყაროს ჩემ მიმართ — ასეთი შურისძიება. და თუ ოდესმე ლობის ძირას აღმომხდა სული, ის ხომ მაინც მეცოდინება, თუ რა იყო ამის მიიზეზი.

დიდი ხელის გარდა მე აღმომაჩნდა „სავსე, ძლიერი ბგერა“ და „ასეთი პატარა გოგოსათვის საოცრად გრძნობიერი ტუშე“. გრძნობიერი ტუშე ყურს ხავერდით ჩაესმოდა, ამასთან იყო ყავისფერი, ბოლო რაღაი „toucher“ — შეხებას ნიშნავს, გამოდიოდა, რომ მე როიალს ხავერდით ვეხებოდი: ყავისფერი ხავერდით ანუ კატასავით: კატის patte de velours.²²

თუმცა ფეხებზე საუბარი არ დამიმთავრებია. როცა ალექსანდრეს — ანუ ჩემი დაბადებიდან ორი წლის შემდეგ ნანატრი კირილე — ანუ ასია გაჩნდა, ბედის სიმუხთლეს უკვე ნაჩვევმა ჩემმა დედამ თქვა: „რას იზამ, მეორე მუსიკოსიც გვეყოლება“. მაგრამ როცა საწოლის ცისფერ ბადეში გაბლანდულ ას-

²² ხავერდის ოათით (ფრანგ.).

იას პირველი აზრიანი სიტყვა „panga“ (ანუ ფეხი) გამოდგა, დედას ეწვიო-
 კი არადა. აღშფოთდა კიდევ: „ფეხი? მაშასადამე, ბალერინა? ჩემი შვილი და
 — ბალერინა? ბაბუას შვილიშვილი და — ბალერინა? ღვთის მადლით, ჩვენს
 ოჯახში არავის არ უცეკვია!“ (თუმცა ცდებოდა კია: რუსეთის ცხოვ-
 რებაში ერთი საბედისწერო მეჭლისი და ცეკვა, საიღმარისო წესისადაა ყვე-
 ლაფერი: დედის მუსიკა და ჩემი ლექსები, მთელი ჩვენი საერთო ლირიკული
 უსასრულო უბედობა თუ უიღბლობა, მუდამ, ნიადაგ თან რომ გვდევდა,
 თუმცა მას ეს არ შეუტყვია. შევითქვე — მე, მისი ამაყი წამოძახილიდან ორ-
 მოცი წლის გასვლის შემდეგ, წმ. ენევიევას რუსთა საცხოვრებელში — თუ
 როგორ მოხდა. თავის დროზე ამასაც ვიტყვი.)

გამოხდა წლები. „ფეხის“ ამბავი თანდათან მართლდებოდა. ცქვიტი, ფეხ-
 მარდი ასია გულშემალონებლად ცუდად უკრავდა, საბედნიეროდ ისე სუსტად,
 გვერდით, სასტუმრო ოთახშიაც კი არ ისმოდა. თუმცა იქნებ ვცდები, მაგრამ,
 მგონი, რომ კეთილსინდისიერად გაწელილ ხელის მიუხედავად დოდან ფამ-
 დეც კი ვერ წვდებოდა. რამეთუ ხელი (როგორც ფეხი) პაწაწა ჰქონდა, კლავი-
 შებს მუდამ აცდენდა, მისი ტუშე უფრო ბზუილსა ჰგავდა. ჰოდა, სმენას ეს
 ყველაფერი ისე სჭრიდა, როგორც დანა (ყურის ბიბილოს).

— მაშასადამე, ივან ვლადიმეროვიჩს დაემსგავსა, — ჰმუნვით, მაგრამ ბედს
 შეგუებულა კაცის კილოთი ამბობდა დედა, — მასაც ხომ სმენის ნატამალი
 არ გააჩნია, თუმცა ასენკას სმენა — თითქოს აქვს, თუკი როგორმე გაიგონებ,
 რასაც მღერის, იქნებ სწორადაც მღერის? თუმცა კლავიშები ასე რატომ ერე-
 ვა?

დედას ვერა და ვერ გაეგო, რომ პატარა ასიას როიალთან აუტანელი მოწ-
 ყენილობისგან ეძინებოდა და ხელს (ნოტებს!) მიტომ აცდენდა, როგორც
 ბრმა ლეკვი ცხვირს აცდენს — ლამბაქს. ან იქნებ ორ ნოტას ერთად იღებდა
 — იმ განზრახვით, ყველა დანარჩენს უფრო მალე ჩავათავებო? ან იმიტომ,
 რომ, ბუზივით მჩატე წონისა, სწორედ იმ კლავიშს ვერ უმიზნებდა, ძალა არ
 ჰყოფნიდა? ასე იყო თუ ისე, მისი დაკვრა არათუ სატირალი, ცრემლიანიც
 კი გამოდიოდა, ვინაიდან ჰუჭყიანი ცრემლების ღვარი ლაბალუბით ჩამოსდი-
 ოდა და თან კოლოსავით ი-ი, ი-ი, ი-იო, გაბზუოდა, რის გაგონებაზედაც ყვე-
 ლა შინაური, მეეზოვეც კი, თავზე ხელებწავლებულნი, სასოწარკვეთით გა-
 იძახოდნენ: „ოპო, გააბა!“ სწორედ იმიტომ, რომ ასია დაკვრას თავს არ ანებე-
 ბდა, დედა მის მუსიკალურ კარიერაზე დღითი დღე რწმენას ჰკარგავდა და
 მთელ იმედებს ჩემზელა ამყარებდა, რაკი დიდი ხელი მქონდა და არც ცრემ-
 ლებს ვღვრიდი.

— ფეხი, ჰო, ფეხი, — ამბობდა იგი ჩაფიქრებით, როცა კალუგის ჩვენს-
 ვით გაკრეჭილ მინდორზე, უკვე მოზრდილებს, გვერდით მოგვდევდა, — მე-
 რე რა, განა ბალერინა არ შეიძლება იყოს წესიერი, მე ვიცნობდი ერთ ასეთ
 ქალს სოკოლნიკებში — ექვსი შვილის პატრონს და ჩინებულ დედას, იმდენად
 სამაგალითოს, ბ ა ბ უ ა მ ა ც კი ნათლობაზე ერთხელ მასთან გამიშვა... — და
 მერე უკვე ხუმრობით (ამას ჩვენც მივხვდით:) — მუსია — განთქმული პი-
 ნისტი, ასია (ყელში თითქოს რაღაც გაეჩხირაო)... განთქმული ბალერინა, მე
 — სიამაყისგან ჩამოსული ორკეც ლაბაბით. — ხოლო შემდეგ უკვე დადინ-
 ქებით, ღრმა, გულითადი სიხარულით და თან გულდაწყვეტით: — ჰოდა, ჩემი
 შვილები „თავისუფალი შემოქმედნი“ იქნებიან, ის, რაც მე მინდოდა ვყოფი-
 ლიყავი. (მის მამას მტკიცედ სწამდა, რომ განათლება ქალმა ოჯახში უნდა მი-

იღოს და ოჯახი არ მიატოვოს. ისე რომ, დედა ესტრადაზე მხოლოდ ერთხელ იდგა მოხუც პოსარტთან ერთად, თავის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე (პოსარტიც იმ წელს გარდაიცვალა).

...მაგრამ ნოტებს სულ თავიდან ალლო ვერა და ვერ ავუღე. დააქერ, ნოტს კი რა უნდა უყო? კლავიში ავერაა, გინდა თეთრი და გინდა შავი, ნოტი კი აქ არაა. ნოტი ხაზზეა (მაინც რომელზე?). თანაც კლავიში გესმის, ნოტი — არა. ან კი ნოტი რა საჭიროა, როცა კლავიშია? და მანამდე ვერაფერს მივხვდი, ვინემ ერთხელაც მისალოც ფურცლის თავში, ავგუსტა ივანოვნამ დედისათვის Ceüekwunsch²³-ად რომ გადმომცა, ნოტების ხაზზე ნოტების ნაცვლად ჩამოსკუპული ბელურები არ დავინახე! მაშინღა მივხვდი, თურმე ყველა ნოტი თავთავის ტოტზე ცხოვრობს, კლავიშებზე იქიდან ხტიან და მაშინღა ეღერენ, ხოლო რომელიც დაავიანებს (როგორც კატია „სალამოს საკითხავიდან“; მატარებელი უკვე გადის, დაავიანებული კატია და ძიძა კი ცრემლებს ღვრიან...“), ის ტოტებზე დაიბუდებს, ჰაეროვან ტოტზე, თუმცა იქიდან კლავიშზე მერე მაინც ჩამოხტება (ყოველთვის დროულად არა, და მაშინ ყალბადა ეღერს). ხოლო როცა დაკვრას ვამთავრებ, ნოტები ისევ ტოტებზე ასკუპდებიან, როგორც ჩიტები დასაძინებლად. და ჩიტებივით არასოდეს ღირს არ ცვივიან. ეს კია, ოცი წლის შემდეგ ისინი მაინც მოსწყდნენ და გადმოცვივდნენ ჩემი ფურცლიდან:

მოსწყდა ფურცელს ყველა ნოტი,
როგორც ბაგეთ ზეშთავონება....²⁴

ოღონდ ნოტების ზეპირად კითხვა უფრო სწრაფად და კარგად ვისწავლე (ვინემ ადამიანთა სახეებისა, მე ხომ მათზე დიდხანს მხოლოდ კარგს ვკითხულობდი!), — თუმცა ისინი ვერასოდეს ვერ შევიყვარე. ნოტები მუდამ ხელს მიშლიდნენ — კლავიშებისთვის მეყურებიანა, უკეთ, არ მეყურებიანა, მიბნევენ პანგს, მიქარწყლებდნენ იდუმალებას. როგორც ნაბიჯს, ხელებსაც ისე მირევდნენ, თავისით სწავლას არ აცლიდნენ, მესამე პირად ეჩრებოდნენ, იმ „მესამე პირად სიყვარულში“ ჩემი პოემიდან²⁵ (მისი — სიმარტივისა თუ ჩემი — სირთულის გამო კაციშვილმა რომ ვერ გაიგო) — და არც არასოდეს ისე თავდაჯერებით და დარწმუნებით არ დამიკრავს, როგორც ზეპირად.

მაგრამ გარდა ზემოთქმულისა, რაიც არათუ მე, ყველა დამწყებს კარგად მოეხსენება, ახლა ჩემთვის ცხადზე ცხადია, რომ ნოტებისათვის მაშინ მეტად პატარა ვიყავ. პოი, რარიგ ჩქარობდა დედა — ნოტები იყო, ასოები, „უნდინები“, „ჯენ ეარები“, „ბეჩავი ანტონები“, ფიზიკური ტკივილის არად ჩაგდება თუ წმინდა ელენე (სად ერთი — ყველას წინააღმდეგ, სად ერთი — ყველას გარეშე), თითქოს იცოდა, ვერ მოასწრებდა, ყველაფერს მაინც ვერ მოასწრებდა, პოდა, ეს მაინც კიდევ მოეცა, ეს მაინც კიდევ, ეს და ეს კიდევ... რომ მისაგონრად დაგვრჩენოდა! რომ ერთბაშად გამოვეძღეთ — მთელი ჩვენი ცხოვრება! როგორ გვაძლევდა და გვაძალებდა! — პირველი წუთიდან მოყოლებული, ვინემ სუნთქვას შეწყვეტდა — არ აცლიდა დაწდომას და არც დალექვას, (ჩვენ — სულის მოთქმას), გვატენიდა ლამის პირთამდე — შთაბეჭდილების

23 მისალოც (გერმ.).
24 მ. ცვეტაევის ლექსიდან „ვითარც მთვარეს, სულსაც აქვს თავისი ეამი...“
25 მისივე ლექსიდან „ნაიადა“

შთაბეჭდილებაზე, მოსაგონარს მოსაგონარზე — როგორც სკივრებს, რომლებიც თავამდე უკვე გავსებულია და მაინც თურმე უძირონია — უნებლიეთ თუ განგებისად? გვატენიდა ყველანაირ განძს და საუნჯეს — რათა რვალთაგან რაც შეიძლება დიდხანს მოფარებული და გადანახული ყოფილიყო რამ უკიდურესი გასაჭირის შემთხვევისათვის, როცა ყველაფერი თითქოს უკვე დასრულდა და უკანასკნელისათვის ჩაძვრები შიგ „არადა, სკივრში თურმე უკვე უკიდურესი ისეა. (ჰოი, დედის გულის უძირო და უღვევო ფსკერო, მისი გულუხვობის ეს ასრულობავ! თითქოს ცოცხლადვე დაიმარხა მან თავისი თავი ჩვენს სულებში — რათა მარად ეცოცხლა.) რარიგ მჭიდროდ გვაგვებდა უხილავი და უწონადი რალაცებით და რარიგ სამუდამოდ გვაცლიდა ამით მთელ წონადობას და ხილვადობას. ბედი ჩვენი, რომ ეს იყო ლირიკა და არა მეცნიერება, ლირიკა, რაიც მუდამ ასე ცოტაა, ორმაგად ცოტა, როგორც ცოტაა მშვიდობისათვის ქვეყნიერებაზე არსებული მთელი პური. ის, რაიც სამყაროში ისე ცოტაა, როგორც რადიუმში, ხოლო რაც არის — უკმარობაა ყველაფრისა ანუ თვით უკმარობა და მხოლოდ ამიტომ ეპოტინება ალბათ ვარსკვლავებს! ის, რისი სიჭარბე არც შეიძლება, რამეთუ თავად არის სიჭარბე, ნალველისა და ძალის სიჭარბე ანუ ნალველში გადასული ძალის სიჭარბე, მთასაც რომ დაძრავს ადგილიდან.

დედა არ გვზრდიდა, დედა გვცდიდა, დედა ცდიდა: გაუძლებს კია ჩვენი გულის ყაფაზი, ხომ არ შეიკუმშება? არ შეიკუმშა, პირიქით, ისე გადიდდა და გაგანიერდა, რომ მერე — ანუ ახლა — ველარარით ველარ გააძლებ, ვერ გაავსებ, დედა გვარწყულებდა ლირიკის ღია ძარღვიდან, როგორც ჩვენ ვცადეთ შემდეგ საკუთარი ნალველის სისხლით ჩვენი შვილების უმოწყალო დარწყულება. მათი ბედი — რომ ვერ შევძელით, ჩვენი ბედი, რომ დედამ შეძლოს!

ასეთი დედის შემდეგ მხოლოდ ერთი გზა დამრჩენოდა: პოეტი გაემხდარიყავი, რომ მისი ნაბოძვარი დამეხარჯა — რაიც ან დამახრჩობდა ანდა კაცთა ყველა კანონის დამრღვევს გამხდოდა.

იცოდა დედამ (ჩემი ამბავი, როგორც პოეტის)? არა, მაგრამ იგი va banque-ზე მიდიოდა, იგი რისკს სწევდა მისთვის უცნობზე, იმაზე, — როგორიც თვითონ გულში იყო, ყველასგან მალულად იყო, როგორიც მისი განმგრძობი, არდაბადებული ალექსანდრე უნდა ყოფილიყო, ვისაც არ შეიძლება ყველაფერი არ შეძლებოდა.

მაგრამ ნოტები მაინც ადრე იყო, ჩემთვის ადრე, თუ არასრული ხუთი წელი სულაც არაა ნაადრევი ასოებისთვის — ოთხი წლიდან მე თავისუფლად ვკითხულობდი და ასეთ ბევრ სხვა ბავშვს ვიცნობ — ნოტებისათვის არასრული ხუთი წელი დიახაც გახლავთ ნაადრევი და საზიანოც. ნოტებ-კლავიშების პროცესი ისე რთულია ასოებ-ხმისეულზე, როგორც თვით კლავიშია რთული საკუთარ ხმაზე, მხატვრულად რომ ვთქვათ: ნოტი კლავიშს რომ არ დაემთხვეს, ეს შეიძლება, მაგრამ ასო ხმას არ დაემთხვეს, არ შეიძლება. ხოლო თუ სულ უბრალოდ ვიტყვით: ჩემსა და კლავიატურას შორის მუდამ — ნოტები იდგა, ჩემსა და ნოტებს შორის — კლავიატურა, რაიც სანოტო ფურცლის გამო ნიადაგ მეკარგებოდა, თუ არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ წაკითხული სიტყვის აზრი აშკარად ცხადი და ნათელია, მაშინ როცა დაკრული ტექტის — ამოსაცნობი. წაკითხული სიტყვა აზრად გადმოგაქვს, დაკრული ნოტი — ბგერად, რაიც კიდევ რალაცაზე უნდა გადაიტანო, თორემ ბგერა ლიტონ ბგერად დარჩება. მაგრამ ხუთი წლის გოგომ როგორ ვიგრძნო და ეს გრძნობა ამასთან როგორ გამოვხატო, როცა თვალით ისევ ვეძებ ვერ ხაზზე ნიშანს, მერე ამ ნიშ-

ნის შესატყვის გამის ნოტებს გონებაში, მერე — თითო — ამ ნოტის შესატყვის კლავის? ეს უკვე სამ უცნობთან თამაში იყო, ხოლო ხუთი წლის ბავშვისათვის ერთი უცნობიც საკმარისია, რომელსაც მუდამ სხვა უცნობი მოსდევს, რომელიც მხოლოდ შესავალია უფრო დიდი უცნობის, ყოველგვარი უცნობისა და ბგერის გარეშე რომ შეგიძლებოდა სულის წიაღში. არადა, მაშინ მოცარტი უნდა იყო!

მაგრამ კლავიშები — მე მიყვარდა: მიყვარდა მათი სიშავე და მათი სითერე (ოდნავ სიყვითლეს რომ დაიკრავდა), მათი ესდენ აშკარა სიშავე — და ესდენ იდუმალ-ნაღვლიანი სიქათქათე. კიდევ იმიტომ, რომ ერთნი ასე ფართონია, მეორენი ასე — ვიწრონი (საცოდავები!), ვინაიდან მათზე ადგილის მოუნაცვლებლად შეგიძლია, როგორც კიბეზე, ისე ახვიდე, ვინაიდან ამ კიბეს — შენი ხელები ქმნის! და ამ კიბეზე მყის ყინულის ნაკადები — ყინულის წყლის კიბეები ზურგში დაგივლის — ხოლო თვალებს კი ის ცეცხლი გიწვავს — რა ცეცხლიც სწავს დალესტნის ველს.²⁶

კიდევ იმიტომ, რომ თითის დაჭერით თეტრები აშკარად მხიარულ ხმას გამოსცემდნენ, შავები კი — დასტურ ნაღვლიანს, იმზომ ნაღვლიანს, რომ თუ თითს დავაჭერ, ასე მგონია, ჩემს თვალს დავაჭერ და მაშინვე ცრემლს გამოვადენ.

და კიდევ თითის დაჭერის გამოც: ვინაიდან რაწამს დააჭერ, უმაღვე სადღაც იძირები, და ვინემ არ გაუშვებ, ქვემოთ და ქვემოთ მიექანები, ვით უძირო წყალში — მაშინაც კი, როცა თითს მოაცილებ!

ვინაიდან ზედაპირი ერთი შეხედვით ასე წყნარი აქვს, მაგრამ ამ წყნარი ზედაპირის ქვეშ — ისე ღრმაა, როგორც ოკა, ოლონდ ოკაზე უფრო წყნარი და უფრო ღრმა, ვინაიდან შენ ხელებქვეშ — უფსკრულია და ამ უფსკრულს — შენივე ხელები ქმნის, ვინაიდან ადგილიდანაც დაძვრა არ გინდა, ისე ეშვები ამ უფსკრულში დაუსრულებლივ.

კიდევ იმიტომ, რომ ამ კლავიშებს ასე წყნარი და თან ვერაგი ზედაპირი აქვს, ხელის პირველი შეხებისთანავე მზად რომაა გაიბოს და — მთლიანად გშთანთქას.

კიდევ იმ მწვავე სურვილის გამო — თითი დააჭირო, და ამ თითის დაჭერის შიშის გამოც: ვაითუ თითის დაჭერით ყველაფერი — გამოაღვიძო. (იგივეს გრძნობდა 1918 წელს ყველა სალდათი მებატონეთა სასახლეებში).

კიდევ იმიტომ, რომ ეს — გლოვა იყო, დედის გლოვა და დედის ძაძა, მისი ზოლ-ზოლა ზედაწელი იმ ზაფხულის დამლევს, როცა ტელეგრამას: „ბაბუა მშვიდად მიიცვალა“, მალე თავად ჩამოჰყვა, ნამტირალევი და მაინც მოლიმარი და პირველს მე მითხრა: „მუსია, შენ ბაბუას ძალზე უყვარდი“.

კიდევ იმ გრილი „ivoire“²⁷-ისათვის, იმ მოციმციმე „Elfenbein“²⁸-ისათვის, იმ საარაკო „სპილოს ძვლისათვის“ (არ გინდა სპილო და ელფი შეათავსო?).

(და კიდევ — რაც მე, ბავშვმა აღმოვაჩინე: ვთქვათ და, უეცრივ დაივიწყე, რომ იგი — როიალია, ეს ხომ უბრალოდ — კბილებია, უსაშველოდ დიდი კბილები ყურებამდე უსაშველოდ გახეულ პირში, და ეს როიალი კრეჭიაც

26 ლერმონტოვის ლექსიდან „და იწვის, იწვის დალესტნის ველი“.
 27 სპილოს ძვალი (ფრანგ.).
 28 სპილოს ძვალი (გერმ.).

გახლავთ, არა, ანდრიუშას რეპეტიტორი ალექსანდრ პავლოვიჩ გულიაევი ქ
 არა, სულ რომ კბილები უჩანს და ამის გამო კრეჭიას ^{ეძახის} დედა. თანაც
 კრეჭია სულაც როდია მხიარული, იგი საშინელია.)

და კიდევ „კლავიატურის“ გამოც — ესდენ ძლიერ ^{ქრისტიანულ} მატყუმი სახე-
 ლისათვის, რასაც ახლი მხოლოდ და მხოლოდ არწივის ^{განმლილ} ვეება ფროს.
 მაშინ კი ვერაფერს შევადარებდი.

კიდევ „ქრომატიული გამისთვისაც“ — რომელიც ჟღერდა მთის ბროლის
 ჩანჩქერის დარად, ქრომატიული გამის გამო, რომელიც გაცილებით უკეთ
 მესმოდა, ვინემ გრამატიკული — რომელიც ახლაც არ მესმის, ახლაც ტვინს
 მიბნევს. იმ ქრომატიულის გამო, რომელიც უმალ გამჯობინე უბრალოს, უტ-
 ვინოსა და მაძღარს, იმ ქრომატიულის გამო, რომელიც ადგილიდან ფეხს არ
 იცვლის, სულ აქ არის, არც მარცხნივ მიდის და არც მარჯვნივ, მხოლოდ ზე-
 ვით და ზევით აღის და იმდენად უფრო გრძელია და უფრო წარმტაცი ჩვე-
 ულებრივზე, რამდენადაც უფრო გრძელია და უფრო წარმტაცი ჩვენი ტარუ-
 სას „დიდი შარაგზა“ — სადაც შეგიძლია ყოველი ხის უკან დაიკარგო — უფ-
 რო გრძელი, ვინემ ტვერის ბულვარი პუშკინის ძეგლიდან — პუშკინის ძეგ-
 ლამდე.

კიდევ იმიტომ, რომ — ამას ახლა ვამბობ — ქრომატიკა მთელი სულიერი
 განწყობაა და ეს განწყობა ჩემი გახლავთ. იმიტომ, რომ ქრომატიკა — იმის
 საპირისპიროა, რაც გრამატიკას აქვს — რომანტიკა, და დრამატიკა.

მეტსაც ვიტყვი: ქრომატიული გამა ჩემი ხერხემალია, ცოცხალი კიბე,
 რომელზედაც თამაშდება ყველაფერი, რაც შეიძლება ჩემში გათამაშდეს. და
 როცა ვუკრავ, ჩემი ხერხემლის მალეებზე უკრავენ თითქოს.

...კიდევ იმიტომ, რომ კლავიში ჰქვია.

იმიტომ, რომ — სხეულია.

იმიტომ, რომ კლავიში — საქმე გახლავთ.

კიდევ მიყვარდა სიტყვა „ბემოლი“, ესდენ ლილისფერი, გრილი და თით-
 ქოს ცოტა თლილიც ვალერიას შუშის პატარა ბოთლებივით, ბემოლი, ჩემს
 გულში ჟელტოფიოლს²⁹ რომ ერთმეზობდა, „პატარა გოგოს ამბის“³⁰ პირველ
 ფურცელზე ამ გოგოს დედის საფლავზე რომ ჰყვართ და მე არასოდეს არ
 მინახავს. და კიდევ „დიეზი“, ისეთი სწორი და მკვეთრი, როგორც სარკეში
 ჩემი ცხვირი. Labemol-ი კი ჩემთვის ლილისფრის საზღვარი იყო: ტარუსაა
 ზამბახებზე, სტრახოვოს ღრუბელზე და სეგიურის „Forêt des Lilas“³¹-ზე
 უფრო ლილისფერი.

დაბახული ბემოლი კი მუდამ იდუმალ ნიშნად მიმაჩნდა: თითქოს დედის
 მინიშნებად, როცა სტუმრებთან წარბს აბრიდა ან დახრიდა და სულის სიღრ-
 მეში ამით რაღაცას ჩამიკეტავდა.

ბეკარი კი იყო — სიცარიელე: იმის ნიშანი, რომ არაფრად არ ჩაითვლე-
 ბა, რომ თავად არაფერს ნიშნავს, რომ თავად თითქოს არ არსებობს, და მეც
 ისევე შემწყნარედ ვეჭვოდდი, როგორც სულელს. თანაც მას ცოლად ბეკარი
 ჰყავდა.

პირველად კიდევ მაცბუნებდა ზედა და ქვედა კლავიატურა. ზედას ყო-

²⁹ იაყვითელა.
³⁰ ე. სოსოევის მოთხრობა (1829-1893).
³¹ იასამნის ქალები (ფრანგ.)

ველთვის შევიგრძნობდი, როგორც ბანებს, როგორც კლავიატურის მარცხენა კიდეს, ხოლო ქვედას — დისკანტებად, მის მარჯვენა კიდეს, უნმო ელრიალად, ხმის დასასრულად და როიალის ლაქის საწყისად. (ზემოთ მთებია და ჰეჰა-ქუხილი, ქვემოთ — მუმლი და ბუზები, კიდევ ზანზანა, ქვემოთ — წვერები, კოლოები, ციმორები — და სხვანი და სხვანი...) ახლა კი ვიცი, არც ვტყუოდი, ჩვენ ხომ მარცხნიდან მარჯვნივ ვკითხულობთ ანუ დასაწყისიდან დასასრულამდე, დასაწყისი კი არ შეიძლება ქვედა იყოს, ვინაიდან ეს არარამდე დასვლა იქნება (წერილი ხმა არარამდე დადის, ხოლო დაბალი და ყრუ — ins All³²-მდე, როიალის შავ ლაქამდე, ჰეჰა-გრიალამდე.) კლავიშ-ვოკალური განსაზღვრა ზედა-ქვედასი ებრაული დამწერლობის შესატყვისი თუ იქნებოდა.

მაგრამ ამ ადრეული როიალის ამბებიდან ვიოლინოს გასაღები მაინც ყველაზე უფრო მიყვარდა, სიტყვა — ესოდენ საოცარი და გაბმით სათქმელი. სიტყვა, სწორედ თავის ბუნდოვანებით და გაურკვევლობით (რატომ ვიოლინოსი, როცა როიალია?) თავში რომ გებეჭდებოდა, გასაღებივით რომ გიღებდა ვიოლინოს ზღაპრულ სამყაროს, სადაც სრული ბნელეთიდან უკვე ჩუმად კვნესოდა პაგანინის, ხოლო მთის ბროლის დარად ელავედა და გრიალებდა სარაზატის საბელები, სამყარო, სადაც — მე ეს უკვე ვიცოდი: — ოსტატობისთვის კაცი ეშმაკს სულსაც მიჰყიდის! — სიტყვა, რომელიც თითქმის მევიოლინედ მხდიდა მყისვე. და კიდევ ერთი: მე იგი მეორე ნაკადს Born-ს Oheim Kühleborn-ს მაგონებდა: ანუ ძია ნაკადს,³³ მარგალიტის წყაროებიდან მომაკვდინებელ ღვარცოფებად რომ იქცეოდა... და კიდევ ერთ სხვა ნაკადს:

და გულის ცეცხლს ყველაზე მეტად
ანელებს თურმე ცივი წყარო დაეიწყებისა! ³⁴

ანდრიუშას ქრესტომათიიდან, ორი უცნობით: „დაეიწყება“ და „განელება“, და ორი ცნობილით: „გული“ და „ცეცხლი“, რაიც ერთია.

მოყვანილობა კი ამ გასაღებს გედისა ჰქონდა და როცა იგი ნოტის ფურცელზე სიყვარულით გამომყავდა, ასე მეგონა, მას ტელეგრაფის ბოძზე ვასკუპებ-მეტეჟი.

ბანის გასაღები კი ჩემთვის არაფრის მთქმელი იყო: არც ხმითა და არც მოყვანილობით, და ჩემს გულში მას არაფრად ვთვლიდი. ჯერ ერთი — ის ყური იყო, უბრალო და უხეში ყური ორი ნახვრეტით, თანაც — ჰოი, სისულელევე! — ნახვრეტი ყურს გვერდზე ჰქონდა — ორი ნახვრეტი ერთის მაგივრად, თითქოსდა შეიძლება ერთ ყურზე ორი საყურე დაიკიდოს, თითქოსდა შეიძლება კაცს ერთი ყური ჰქონდეს. (ყურის საკითხი დიდ ცნობისწადილს მიღვიძებდა, რამეთუ დედა, თუმც თავად ყურები გახვრეტილი ჰქონდა და საყურეს იკეთებდა, ამას მუდამ ბარბაროსობად თვლიდა. მის გერს კი, ვალერიას თუმცა ყურის გახვრეტა ძალზე ეწადა. ვერა და ვერ მოეხერხებინა: ხან უსივდებოდა, ხან უნორცდებოდა და სულ გაავებული დადიოდა ყურში აბრეშუმძაფ-გაყრილი). თვით სიტყვა „ბანისა“ კი — უბრალოდ ბარაბანია, ბანი — შა-

³² უსასრულობა (გერმ.).

³³ უნდინას მოქმედი გმირი.

³⁴ ა. პუშკინის ლექსიდან „საწყუროს მწუხარე ველზე“...

ლიაპინია. ხოლო მისი ერთი უჭკუო თაყვანისმცემელი ქალი (ანუ ნაკლები უჭკუა რომ აქვს და სულ მუდამ თავს გიჭიციანებს) ღამის თორმეტ საათზე თავის სამი წლის საშას მაგიდაზე შესვამდა ხოლმე და ძალით ამღერებდა „შალიაპინივით“. იმიტომაც სულ ამოღამებული ჰქონდა ბიჭს, თვალები და არც სიმალღეში იმატებდა. არა, ბანის გასაღები ღმერთმა დაგვიწყოს! ამყოფოს ჰოდა, საკუთრივ ჩემი სიამოვნებისთვის — სკამს ღამის მუხლებით ვბურღავ, მაგიდას კი იდაყვებით — ვხატავ და ვხატავ ერთმანეთის მიყოლებით ქვემოთ ხანიერ, ზემოთ წერწეტა ვიოლინოს საუცხოო გასაღებებს ანუ მთელ გუნდს ვიოლინოს გედებისას!

მაგრამ ეს იყო წერის, მწერლის გულმოდგინება, მუსიკალური სწრაფვა კი, დროა ესეც ვთქვა — მე არ მომდგამდა. დამნაშავე, უფრო სწორად, ამის მიზეზი იყო დედაჩემის მეტისმეტი თავგამოდება. იგი ჩემგან განა იმას ითხოვდა, რაც მე ჩემი ნიჭით შემიძლო. არამედ რაც ჭეშმარიტ მოწოდებას, მის უსაზღვრობას მოეთხოვება. მთხოვდა იმას, რასაც თავის თავს თხოვდა! მთხოვდა მე — უკვე მწერალს, მე — ვინც მუსიკოსად არ ვიყავი დაბადებული. „ორ საათს დაუკრავ და გიხარია — უკვე მოვრჩიო! აბა მე როცა ოთხი წლის ვიყავ, როიალს ვერა ძალით ვერ მაშორებდნენ! ნეტა ერთხელ მაინც გეთხოვა: Noch ein wenig³⁵!“-ო, არა, არ მითხოვია, პატიოსნება მიშლიდა ამას, ვერც დედა ჩემისთვის სიხარულის მინიჭების სურვილმა ვერ მაიძულა ის მეთხოვა, რაც პირიდან არ ამომდიოდა. (დედამ თავისი მუსიკით მე გამაწამა.) მაგრამ არც მუსიკაში მიღალატნია ჩემი თავისთვის, პატიოსნად ვუკრავდი ხოლმე ჩემთვის დაწესებულ ორ საათს დილით და ორს საღამოთი (მუსიკალურ სკოლამდე ანუ ექვს წლამდე!), არც მალიმალ ვიყურებოდი საათის მხსნელი ისრებისაკენ (რადგან ათ წლამდე საათის ცნობა ვერასდიდებით ვერ ვისწავლე — გინდ საათისთვის შემეჩედა და გინდ ეტაყერს ზემოთ დაკიდებულ „კეისრის სიკვდილისათვის“), არადა, როგორ მიხაროდა, როცა მის რეკვას გავიგონებდი! დედას გარეშე ისე ვუკრავდი, როგორც მასთან, მიუხედავად დედაჩემზე გაგულისებულ გერმანელი აღმზრდელი ქალის და გულჩვილი ძიძის ცთუნებისა („გატანჯეს ბავშვი!“). მეეზოვეც კი, დარბაზში რომ დუმელს ანთებდა, მეუბნებოდა: „ადე, მუსენკა, გაიქეც-გამოიქეცი!“ ზოგჯერ მამაც გამოდიოდა კაბინეტიდან და გაუბედავად მეტყოდა ხოლმე: „ვითომ ორი საათი არ გავიდა? ასე მგონია, სამი საათი გისმენ უკვე...“ საწყალი მამა! საქმეც ის იყო, რომ ჩვენი მას არც გამები, არც განონები, არც ვალოპები, არც დედაჩემის მუსიკის რაკრაკაღვარი, არც ვალერიას რულადები (იგი მღეროდა) არ ესმოდა. იმდენად, რომ კაბინეტის კარი არც არასოდეს მიუჭეტავს, რადგან თუკი მე არ ვუკრავდი, ასია უკრავდა; ასია თუ არა, ვალერია აწყობდა ხოლმე რაღაც თავისას, დედა კი ყველას გვალვრიდა და გვაფრქვევდა თავის მუსიკას — მთელი დღე და თითქმის ღამე! ხოლო მამამ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოტივი იცოდა „აიდადან“ — თავისი პირველი, უდროოდ დადუმებული მომღერალი ცოლის წყალობით. „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“-ო, ესეც ვერ გიმღერია!“ — საყვედურობდა დედა ბუმრობით, — „როგორ თუ ვერ მიმღერია? აი გმღერი!“ — და მყის — „ღმერთო!“-ს წამოიწყებდა, მაგრამ „მეფემდე“ მისვლას ვეღარ ასწრებდა, სახეშეწუხებული დედა ყურებზე ხელებს აიფარებდა და მამაც მაშინვე დუმდებოდა მამას ძლიერი ბანი ჰქონდა.

³⁵ ცოტა კიდევ! (გერმ.)

დედის სიკვდილის შემდეგ მამა ასიას ბშირად ეუბნებოდა: „რაც ხომ არ გეშლება“, — ეუბნებოდა დედის მაგიერად, სინდისის მოსაწმენდად.

არა, არა ცთუნება, არა ვისიმე შებრალება ჩემზე არ ჭრიდა — მაინც ვუკრავდი, ვუკრავდი მტკიცედ და ჯიუტად.

პაბანებაა, ლურჯად კამკამებს ყველაფერი, ისმის ბუზების მუსიკა, მუსიკა, მუსიკა დევ — ჩემი, რა წამებაა! როიალი ფანჯარასთან დგას, თითქოს უნდაო თავისი ზორზოხა ტანით როგორმე გარეთ გააღწიოს, ფანჯრიდან კი ადამიანივით — თითქმის უასმინი შემოსულა ნახევრამდე, ხვითქი გადამდის, თითები დამწითლებია — ვუკრავ მთელი სხეულით, მთელი ჩემი არცთუ მცირედი ძალით და მონდომებით, რაც მთავარია, მთელი ზიზლით, დავყურებ ხელის მტევანს, რომელიც დედაჩემის პატარაობის დროს იდაყვსა და თითების პირველ სახსარს უნდა გასწორებოდა, ამასთან ისე (პოი, ვერაგობავ!), ზედ დადგმული სევერის ფინჯნიდან მდულარე ყავა არ დაგექცია ან ვერცხლის მანეთიანი არ გადმოგეგდო, ახლა კი, ჩემს ბავშვობაში, ხელს შეეძლო ისე თავისუფლად ემოძრაეა წინ და უკან, რომ იდაყვს, მტევანს და თითის წვერებს წყალს დაწაფებული გედი შეექმნა, ჩემი ხელის (ანუ მტევნის) ცისფერი ძარღვები დაძაბვისას „ნ“ ასოს ქმნიდა იმ ნიკოლაის საბელისას, ვისზეც, ჩემი გერმანელი აღმზრდელი ქალის მარჩიელობით, თორმეტი წლის შემდეგ გავთხოვდებოდი: თუმცა ფრანგი აღმზრდელის თქმით ის Henri იქნებოდა, ყველანი წასულებია: მამა და ანდრიუშა საბანაოდ, დედა და ასია „მურაბის მოქაფვაზე“, ვალერი ტარუსას ფოსტაში, მხოლოდ მზარეული ქალი აბრაზუნებს კატლეტის დანას, მე კი — კლავიატურას, ან შემოდგომით: ანდრიუშა ჯოხს თლის, ასიას ენა გამოუყვია და სახლებს ხატავს, დედა „Eckerhardt“-ს კითხულობს, ვალერია ვერა მურომცევას წერილსა სწერს, მარტო მე — „ვუკრავ“. (რისთვის, რატომ??)

— არა, არ გიყვარს შენ მუსიკა! — გულმოსული მეტყობდა დედა (მართლა გულმოსული), როცა ორი საათი დაკვირვებულ შემდეგ ტაბურეტიდან აშკარა და უტიფარი სიხარულით ჩამოვხტებოდი. — არა, არ გიყვარს შენ მუსიკა!

არა — მიყვარდა, მუსიკა მართლა მიყვარდა, არ მიყვარდა მხოლოდ — ჩემი, ბავშვებისთვის მომავალი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ის, რაც ამ წუთას, ახლა არის (რაც მისთვის ნიშნავს — მუდამ, მარადის). ახლა, ამ წუთას კი იყო გამები, განონები, პაწაწუნა „პიესები“, თავისი პაწაწუნობით რომ შეურაცხყოფდნენ, ჩემი მომავალი ვირტუოზობაც ჩემთვის იგივე იყო, რაც ნიკოლაიზე გათხოვება, დედას რა უჭირს, ის ხომ კლავიატურაზე ისე დასრიალებს, ვით გედი წყალზე, ის ხომ სამი გაკვეთილის შემდეგ გიტარაზე საკონცერტო რაღაცებს უკრავს უკვე, ის ხომ ნოტის ფურცლიდან ისე კითხულობს, ვით მე წიგნიდან, მისთვის მუსიკის სიყვარული ადვილი იყო, მის ძარღვებში, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან, მუსიკალური სისხლი ჩქეფდა, ამ ორმა შექმნა იგი მთლიანად! იმას გულისხმად არ იღებდა, რომ თავისი მგალობელი, ლირიკული, ერთსტიქიური სისხლი თვითონვე, თავისი ქორწინებით ჩემს არსებაში შეორეს — ფილოლოგიურს და აშკარად კონტინენტურს უპირისპირა, მის სისხლს რომ ვერ შეერეოდა და ამიტომაც — არ შეერია.

დედამ მუსიკით აგვაგვსო და ლამის წაგვლეკა, ლირიკად ქცეულ მუსიკიდან

ვერც ვერასოდეს ამოვყვინთეთ დღის სინათლეზე! წაგვლეკა, როგორც წყალდიდობამ იცის წალეკვა მისი შვილები, დიდი მდინარის პირზე მდგარი ქობმაზებივით, დაბადებითვე იყვნენ განწირულები. წაგვლეკა თვისი აუხდენელი ცხოვრების მთელი სიმწარით და ნალველით. წაგვლეკა როგორც სისხლით მეორე დაბადებისა, ისე რომ შემოძლია ვთქვა, მე დავიბადე არა ins Leben, არამედ in die Musik hinein³⁶. რაც რამ საუკეთესოს მოსმენა შეიძლება (მომავლის ჩათვლით), დაბადებითვე მაქვს მოსმენილი. პოდა, რა გულით უნდა მესმინა იმ გაუსაძლისად გრძნეული რაკრაკის შემდეგ (სწორედ იმ უნდინისეულ, ტყის მეფისეულ, „მარგალიტისებრ ნაკადთა“ შემდეგ). ყოველ საღამოს რომ ვისმენდი, ჩემი ბეჯითი, მოსაწყენი, თავგადაკლული „ტყაპატყუპისტვის“ საკუთარ თელასა თუ მეტრონომის ტაკატუკზე? განა არ უნდა შემზიზილებოდა? მუსიკოსად დაბადებული ამას დაძლევედა, მაგრამ მე მუსიკოსად არ ვიყავი დაბადებული. (ბარემ იმასაც აქვს ვიტყვი, რომ დედას რუსული წიგნებიდან ყველაზე მეტად „ბრმა მუსიკოსი“ უყვარდა, რომელიც მუდამ მაგალითად მოჰყავდა ჩემთვის და მამუნათებდა, როგორც მოჰყავდა მაგალითად მოცარტი, როცა იგი სამი წლის იყო, თავისი თავი, როცა თვითონ ოთხი წლის იყო, ხოლო უფრო მოგვიანებით — მუსია პოტაპოვა, ვინც მე მუდამ მჯობნიდა, კიდევ, ვინ მოსთვლის, ვინ და ვინ არა!..)

ტკაც — იძახის მეტრონომი (...) ტკაც — ისევ იძახის მეტრონომი. მუსიკალური ყური ამას ნეტავი როგორ უძლებს? (ან იქნებ მუსიკალური ყური საგაა და მუსიკალური სული კი საგა?) მეტრონომი ოთხ წლამდე კიდევ მიყვარდა, მიყვარდა თითქმის ისე, როგორც გუგულიანი საათი, მიყვარდა იმავე მიზეზით — რომ იქაც ვიღაცა ცხოვრობს, თუმცა ვინ — არავინ იცის, ეს იყო სახლი, სადაც იმ ვიღაცას მე ვასახლებდი და სადაც თავადაც სიამოვნებით ვიცხოვრებდი. (ბავშვები მუდამ ნატრობენ ხოლმე ყოველად უცნაურ სახლში იცხოვრონ. ჩემი ექვსი წლის ბიჭიც ასე ოცნებობდა ქუჩის ფარანში ჩასახლებაზე: იქ სინათლეა, სითბო, თან მაღალია და თან იქიდან ყველაფერი ჩანს... „კი მაგრამ, შენს სახლს ქვა რომ ესროლონ?“ — „მეც ავდგები და ცეცხლის აღს ვესვრი!“). მაგრამ რა დღიდან მისი მელოდური ტკაცანის მორჩილი გავხდი, იმ დღიდან ისე შევიჯავრე, გული ისე მელეოდა და მეყინებოდა შიშისაგან, როგორც ახლა მაშინებს ხოლმე ლამლამობით მალვიძარას ბმა, როგორც ახლა მეშინია ყველანაირი ლამისეული ხმიანობის, თითქოსდა მან სულზე უნდა გადამიაროს! თითქოსდა ვიღაც თავზე მადგას, მაჩქარებს და თან მაკავებს, სულის მოთქმას აღარ მაცლის, და ასევე ამაჩქარებს და შემაკავებს მაშინაც კი, როცა წავალ, თვით კი მარტო დარჩება ამ ცარიელ დარბაზში, ამ ცარიელი ტაბურეტისა და დახურული როიალის თავზე — რაკი გამორთვა დაავიწყდათ — ვინემ თავად გამოირთვება, ამაჩქარებს და შემაკავებს ეს უსულო — მე სულიერს, არარსებული მას — ვინც ვარსებობ. მაგრამ ვაითუ არასოდეს არ გამოირთოს, ვაითუ ტაბურეტიდან ველარასოდეს ვეღარ ავდგე, მის ტაკატუკს თავი ვერა და ვერ დავაღწიო... ეს დიხააც სიკვდილი იყო სულს, ცოცხალს, თავზე რომ წამომდგომოდა — სულს მოკვდავს, უკვდავი (და

36 ცხოვრების... არამედ მუსიკის შინა (გერმ.).

უკვე მკვდარი) სიკვდილი. მეტრონომი კუბო იყო და შიგ ბინა — სიკვდილს დაედო, მისი ხმა ისეთ თავზარს მცემდა, მის საზარელ გარეგნობასაც. მაზიწვებდა: თითოვით გამოჩრილ ფოლადის ჯოხს, მანიაკური გამოთაყვანებით რომ ქანობდა ცოცხალი ზურგის უკან. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ტექნიკასთან. სხვა მომავალი შეხვედრები წინასწარ რომ გადამიწყვიტა, ტექნიკის შესახებ ალთაბალი, მისი ფოლადის თაიგული, პირველი მისი კოკორი. ო, მე მეტრონომს უკან არასდროს ჩამოვრჩენივარ! იგი მაიძულებდა არათუ ტაქტი არ დაშერდვია, ტაბურეტს ფიზიკურადაც მივჯაჭვოდი. საათისკენ არმიხედვის ყველაზე დიდი გარანტია გახლდათ გახსნილი მეტრონომი. და თუ, ჩემდა საბედნიეროდ, დედას ზოგჯერ ავიწყდებოდა მისი ჩართვა, ჩემი — ანუ მისეული — პროტესტანტული პატიოსნებაც კი ვერ მაიძულებდა ამის თქმას და სატანჯველად თავის გაწირვას. თუკი ოდესმე ვისიმე მოკვლა მომდომებია, ეს იყო მხოლოდ მეტრონომი. და ჩემს თვალს ჯერაც არ დავიწყებია ის ავზორცული შურისძიებით სავსე მზერა, ამაყად აწეულ მხრებიდან მას რომ ვესროდი, როცა დაკვრის შემდეგ ეტაყერს ლაღად ჩავუვლიდი: „მე — მივდივარ, შენ კი — აქ რჩები!“

მაგრამ ეტაყერისთვის განათუ მხოლოდ ჩამივლია, ხშირად დიდხნობითაც ვმდგარვარ მასთან. იგი ხომ თან ბიბლიოთეკაც იყო, ოღონდ მუნჯი — თითქოს უეცრად დავბრმავდი ან გონი წამერთვა. ანუ იგივე კედელი მამაჩემის ლათინური, დედის კი ინგლისური წიგნებისა, სწორედ კედელი — რომელშიც ვერაფერს განკვრეტ, რომელსაც კითხულობ და ვერ გაგიგია. იმდენი ჭკუა კი მყოფნიდა, რომ შემეგნო, ამ ყავისფერ, ამ სანუკვარ სქელტანიან უზარმაზარ რვეულებში — დედის მუსიკის მთელი „მარგალიტის ნაკადებია“ და ხმების ზღვები, ოღონდ — დახშული! არა შესწვდა კატა ძეხვსაო... ჰოდა, რაკი სხვა გზა არ იყო, ისევ კითხვას ვიწყებდი: Opus—Moll—Rubinstein — ნუველისტი...³⁷

ეტაყერი დედაჩემისა და ლიორას ნოტებად იყოფოდა. დედასი იყო: ბეთჰოვენი, შუმანი, ოპუსები, Dur-ები, Moll-ები, სონატები, სიმფონიები, Allegro non troppo, ლიორასი კი — ნუველისტი. ნუველისტი + რომანსები (ფრანგული an-ით). მე, რა თქმა უნდა „ანსებს“ ვარჩევდი. ჯერ ერთი, იქ უფრო მეტი სიტყვები იყო, ვინემ ნოტები (ნოტის ერთ პწკარზე — ასოთა ორი პწკარი მოდიოდა), მეორეც, ლიორას მთელი ბიბლიოთეკა მე შემეძლო პწკარებად წამეკითხა, ნოტებგარეშე. (როცა მერე ჩემმა რიტმიკამ მაიძულა სიტყვა მარცვლებად დამეშალა და დამეგლიჯა ლექსისათვის უჩვეულო ტირეებით, რის გამოც წლების მანძილზე ყველა მლანძღავდა — მაქებარნი იშვიათად აღმომჩენია (ერთნიც და მეორენიც „გათანამედროვეობის“ გამო), მე კი ვერაფერს ვეუბნებოდი, გარდა: ასეა საჭირო-მეთქი, — ერთხელაც უცბად თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობის რომანსთა ტექსტი კანონიერ ტირეთა წყებით — და ვიგრძენ, რომ განვიფშინდე, რომ მუსიკამ მე განმწმინდა „თანამედროვეობის“ ყველა ცოდვისგან, რომ მან მე მზარი დამიჭირა, გამამაგრა, დასტურმქნა და დამაკანონა — როგორც ბავშვი გვარის რაღაც იდუმალ ნიშნით შენი სისხლ-ხორცი აღმოჩნდება და სიცოცხლის უფლებას იხვეჭს! თუმცა იქნებ ბალმონტიც მართალი იყო, როცა ყვედრებით და თან ალტაცებით მეუბნებოდა: „შენ ლექსისგან იმას მოითხოვ, რისი მოცემაც მხოლოდ მუსიკას შეუძლია!“ რომანსები იგივე წიგნი

³⁷ ყოველთვიური ნოტების კურნალი (1840 - 1905) პეტერბურგში.

იყო, ოღონდ ნოტების წიგნი, წიგნი — ნოტების სახით. მაგრამ ვაი რომ ასე მოკლე იყო, გადაშლილი და — მყის ჩაათავებ.

აი, დგას კოშკი საარაკო, ოჩოფეხებზე შემდგარ დახატულ მწვანე აგარიკით და იღუმალი, სოლისებური ირიბი მინაწერით: „ძღვნად მის უმაღლესობა დიდი თავადის ასულს (არ მახსოვს, რომელს) მისი უავგუსტისა და კარლს, პრინც (დამავიწყდა რომლის) დაბრუნებისა თუ გამგზავრების გამო“. „დგას კოშკი საარაკო — შიგ პალატია ბევრი...“³⁸ მახსოვს, თუ რარიგ მშანთავდა და თან აღტაცებით მივსებდა გულს ეს შეძახილი: — „დაგიბრუნდება საქმრო!“ — თითქოს ქვეყნიერებას მხოლოდ და მხოლოდ საქმროს დაბრუნება გადაარჩენდა, რასაც მუსიკა აღქმად აქცევდა და ჟღერდა როგორც: „კურთხეულ არს სახელითა უფლისათა აწ და მარადის!“ — და ამავე დროს მწუხარებით და დარდით მავსებდა — ვაითუ საქმრო აღარ დაბრუნდეს. ეს მაგიური ლახვარი გულში — ეს დიდზე დიდი მწუხარებისა და დარდის გრძნობა — მერე შევიცან ნიბელუნგებში, ხოლო მთელი ცხოვრების განვლის შემდეგ ზიგრიდ უნდსეტის უკვდავ ეპოსში.³⁹ ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო სკანდინავიის ჩრდილოეთთან. „საქმრო“ კი რატომღაც მესაბებოდა ჯადოსნურ ხალიჩაზე მომფრინავად ან უბრალოდ გველემაპ-გორინიჩად, ყოველ შემთხვევაში, ისეთ ვიღაცად, ციდან რომ სწორედ იმ მთაზე დაეშვებოდა. ხოლო იმ მთის გაგრძელება იყო უკვე სხვა რომანსში: „ჩვენ დავბრუნდებით, მთანო ტურფანო...“ ეს რას ნიშნავდა? ან ვინ შეთხზა ეს უცნაური სიტყვები, რომელთა გარდა სხვა არაფერი მახსოვს და, მგონი, არც იყო სხვა არაფერი. ვინ ანუგეშებს მთებს, დავბრუნდებითო (თანაც ჩვენო, მრავლობით რიცხვში)? იქნებ სწორედ დიდი თავადის ქალი და გველემაპ-გორინიჩი, თავიანთ მთიდან გასამეფებლად რომ მიფრინავენ? ყოველ შემთხვევაში, რომანსისათვის ეს უცნაური სიტყვები იყო და, სვიატოპოლკ მირსკის თქმისა არ იყოს, „აღარ ვიცი, რა ვიფიქრო“. ერთი ცხადია: ჩემი ლტოლვა მთებისაკენ, ჩემი ნაღველი და წუხილი, როს ვაკეზე ვარ, შუაგულ რუსეთის შვილისათვის ესოდენ უჩვეულო — იქიდან მოდის. მათი ნატვრით და ასე განსაჯეთ, მათი ლტოლვითაც — ჩემკენ: მე ხომ მათ სანუგეშოდ ვმღეროდი: „ჩვენ დავბრუნდებით!“

და კიდევ ერთი რომანსი, ისიც სურათიანი, ამ სურათს ვალერია გაუთავებლივ უხატავდა თავის ინსტიტუტულ დაქალებს ალბომებში: ყარაჩ დედაბერს, ცალსაყურიანს, დედას რომ აქვს, ისეთ კუბოკრულ შალში გახვეულს, ნიკაპზე ჩამოსულ ცხვირით, ერთი სიტყვით, მარჩიელ ქალს.

მომკითხავე, დედაბერო,
რა ხარია უკვე გელი
გაჩეჩილი ბოშა ქალიც
უუბნება: მომე ხელი

— მომე ხელი! — მთელი ხმით შემოსძახებდა ხოლმე ანდრიუშა, როგორც კი რომანსის მომღერალი ვალერია ამ სტრიქონამდე მივიდოდა. სიმღერა მთავრდებოდა დევნა-სირბილით, ხოლო რომანსი — ვაჟს უყვარხარო. „პირზე ქალს დიმი გადაეფურჩქნა, გული ლხენით და შიშით აევსო, როცა ყვავილმა წაუჩურჩულა, ვაჟს უყვარხარო...“

³⁸ მ. გლინკის რომანსიდან „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“

³⁹ ნორვეგიელი მწერალი ქალი სიგრიდ უნდსეტის (1882 — 1949) ტრილოგია „ქრისტინ, ლაგრანსის ქალი“

ლიორას ნოტების ამ თაროს მე მთელი დღე ნეტარებით ვიმეორებდი, ასე ვთქვათ, უსიმღეროდ, ზოგჯერ დედის თანდასწრებითაც, როცა კი ვიხსენებდი. „რა თქვი კიდევ? გაიმეორე!“ — „გული ლხენით და შიშით ავესო“, — „ეს რას ნიშნავს!“ — მე ჩუმად: „გული ლხენით და შიშით ავესო“ — „რა?“ — მიტევს დედა. მე კიდევ უფრო ხმადაბლა (ოღონდ მტყინავს) ვთქვან: „ნით და შიშით ავესო“. — „რისი შიშით? რას ნიშნავს — შიშით?“ — „იმას, რომ ეშინია“. — „ვის ეშინია?“ — „გოგოს, დედაბერთან რომ მივიდა, ვინაიდან საშინელი დედაბერია. თუმცა არა, დედაბერი მივიდა მასთან“. — „ვინ დედაბერი? ხომ არ გაგიყდი!“ — „აი ის, ლიორას სიმღერაში რომ არის! ერთი გოგო ზიზილას ფურცლებს აწყვეტს და უცბად ხედავს: ჯოხიანი დედაბერი მოდის მასთან: ის მარჩიელია“. (მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე ვსვამ). „იცი, რას ნიშნავს მარჩიელი?“ — „არ ვიცი“. დედა გამარჯვებული ხმით: „აი ხომ ხედავ, არ იცი და ამბობ კია განა ათასჯერ არ მითქვამს შენთვის, ლიორას ნოტებს ნუ კითხულობ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს ეტაყერსაც ხომ არ ჩავკეტავ!“ — ეუბნება დედა დერეფანში პორტფელით ხელში სწრაფად მიმავალ მამას, ვითომ ყურადღებით რომ გვისმენს, მაგრამ არ ესმის არაფერი, მეც დრო ვიხელთე და მყის კიბეს მივაშურე თავის საშველად, მაგრამ შუა კიბიდან მაინც: „პირზე ღიმი გადაეფურჩქნა, გული ლხენით და შიშით ავესო... ტა-ტა-ტა-ტა... ბიჭი თვალეში ჩაჰყურებს გოგოს...“ — ასე რომ, მეტრონომის ბრწყვილა ცხვირის წინ, იჭიდან, სადაც ის იდგა, მე მეფრქვეოდა ყოველად უტაქტო ანუ ტაქტის არმქონე ლირიკის ღვარი. ხოლო როდესაც ზედ წამასწრებდნენ — ვტყუოდი კიდევ. (დედაჩემის თქმით, ოთხ წლამდე თურმე მხოლოდ სიმართლეს ვლაპარაკობდი, მერე ალბათ ჭკუა ვისწავლე...) „აქ ისევ რატომ დგახარ?“ — „მეტრონომს ვუცქერ“. — „რას ნიშნავს, მეტრონომს ვუცქერ?“ — მე არაბუნებრივი ალტაცებით: „ეგ ისეთი ლამაზია! (დუმილი და რაკი სხვა ვერაფერი მოვიგონე): თანაც ყვითელი!“ — დედა გულმომბალი: „მეტრონომს უნდა უსმინო, კი არ უცქირო“ მე უკვე მხსნელი კიბის თავზე მყოფი, იმის შიშით, არ გაიგონოს, თან ამის დიდად მსურველი, მაინც ხამამალაი ჩურჩულით ვამბობ: „დედა, მე ლიორას ნოტებში ვიქექებოდი! მეტრონომი კი — მახინჯი და მაიმახია!“

ლიორას რებერტუარს ასევე ეკუთვნოდა ლიორას დედის მთელი ნოტები, ოპერები, არიები, ჩემთვის გაუგებარ ენაზე დაწერილი სიტყვებით (ლიორას დედა ნეაპოლში სწავლობდა თურმე სიმღერას), სადაც ჩემთვის საძულველი, სამჯერ თუ ოთხჯერ გადახაზული ხაზზედა ნოტები იყო. „ნუველისტს“ კი, ბავშვურად მარტივ ნოტების ნახაზს, ჩემთვის ადვილად მისაწვდომს, მე აგდებოდაც კი ვუყურებდი: ამდენი თეთრი ნოტიდან გადახაზული ერთიც არ იყო — თითქოს დედაჩემის ნოტის ფურცლიდან მთელი წლის სამყოფი „ნუველისტი“ მიმოაბნიეს (როგორც საკენკს უყრიან ქათმებს) ისეთნაირად, რომ ყოველ ფურცელზე ცოტა მაინც მოხვედრილიყო — თითქმის როგორც ჩემს „ლებერტსა და შტარკზე“⁴⁰ გახლდათ — ოღონდ პედალით, რისი ხმარებაც მე სასტიკად შეკრძალებოდა. „პედალი გინდა იხმარო, როცა მიწას არ აცდენიხარ! რა გასურს იყო: მუსიკოსი თუ („ლიორა“ აღარ თქვა)... ის ბარიშნა, ვინც პედლებისა და გადაბრეცილი თვალეების გარდა... არა, შენ ისე დაუკარი, პედალი ხელით

⁴⁰ ზიგმუნდ ლებერტი და ლუდვიგ შტარკი — მათ შექმნეს ფორტეპიანოზე დაკრის თეორიული სკოლა სისტემატური სწავლებისათვის.

გამოგივიდეს!“ გამომდიოდა ფეხით, და როცა დედა იქ არ იყო, იმდენ ხანს მჭონდა ფეხი დაჭერილი, მე თვითონაც აღარ ვიცოდი. მე (ვგუგუხებდი) თუ — ისევ პედალი? (რაც, ბარემ ამასაც ვიტყვი, ნაცარქექის გოგოს რქოს მაშინად მჭონდა წარმოდგენილი — Plattfuss⁴¹) მაგრამ პედალს ერთი სიტყვიერი ნათესავიც ჰყავდა კიდევ: პედელი⁴² ანუ პედელი სტუდენტთა კრებებში, რომელმაც ანდრიუშას რეპეტიტორი არკადი ალექსანდროვიჩი (არკაექსანიჩი) დაიჭირა, ვისი სიყვარულით მე და ასიას ლამის გვეყვებოდა. პედელმა დამაწერინა მაშინ ჩემი მეორე ლექსი:

ყველა შიშის კრებაზე,
სად, სადაა კრება?
ეზოშია კრება.

ჩემი წარმოდგენით პედელი იყო ერთი უზარმაზარი, მთელ ამ ეზოზე მაღალი კაცი, ვინც სტუდენტებს (არკაექსანიჩებს) ზემოდან ჩამოწვდენილი გაპარჭყული ტორით მიათრევს, როგორც კაციჭამია — ცეროდენებს. მაგრამ რაკი ეს კაციჭამია მაინც უნივერსიტეტის მსახურია — რა თქმა უნდა, მედლებითაა აჩონჩხილი. და რა თქმა უნდა, ისევე ერთია, როგორც პედალი არის — ორი. მაგრამ პედელი რომ ვახსენე, არ შემიძლია მისი სიტყვიერი ნათესავიც არ ვახსენო: ანუ პედელი, თეორი, სწავლული პედელი კაბი „Sans Famille“-დან, პედელს შარვალს რომ შემოაფხრეწს — და პედელიც არკაექსანიჩს ათავისუფლებს. კიდევ პედელს და პედელის საერთო სიტყვიერი ნათესავი, მათი ბიძაშვილი პედალი (ანუ მძორი) რისი სუნიც — წამიერად — ყოველ ჯერზე — მძაფრად გეცემა ჩვენი ტარუსის აგარაკზე ანწლის ბუჩქებთან და რომელიც ბავშვობისა და ტარუსის გამო ისეთი ახლობელია და ჩემეული, რაწამს ეს სიტყვა ჩამესმება, არ შემიძლია არ მივტრიალდე.

თუმცა დავუბრუნდეთ ჩემს მაწამებელ და მტანჯველ ტაბურეტს. ალბათ ისიც ისეთი იყო, როგორც ყველა სხვა ტაბურეტი, მაგრამ მე ხომ ეს არ ვიცოდი. ეს იყო ტაბურეტი, რომლის მსაგვსს ჩვენს ოჯახში მეორეს ვერ მოძებნიდი, რამეთუ ყველა ნივთიდან მარტო ეს მაგიური ტაბურეტი მოითხოვდა, რომ გაუნძრევლად ვმჯდარიყავი, თავად კი — ეტრიალა იმ თავის ღვარჯნილ კისერზე, ინდაურის გაპუტულ კისერს რომ მიუგავდა. დაატრიალებ ბოლომდე და ცოტა არ იყოს კანკალით ელი, როდის მოუყანყალდება და მოწყდება „თავი“, თუმცა ისიც მახსოვს, რომ თავი მას კი არა — მე მწყებოდა, როცა სკამზე ხელებ და ფეხებჩაფრენილი, ლამის სულგაპარული, საცაა ველი მოახლოებული გულისრევის ნეტარ შეგრძნებას, როცა ჯერ ზევით, ზევით მიფრინავ და მერე ქვემოთ ჩასრიალდები, როცა გგონია, კისრიდან თავი ისე გწყდება, როგორც დაბზრიალეებულ ჯობიდან ბურთი. „აჰა, ისევ ბზრიალე! — ნიშნის მოგებით მომჩერებია სახეგამწვანებულს ჩუმად შემოპარული და უხმოდ მოთვალთვალე ანდრიუშა. — ჯაყვა მომეცი, თორემ დედას ვეტყვი, აქ უმისოდ როგორ უკრავ იმ შენს ლებერტებსა და შტარკებს. (დუმილი.) მომცემ თუ არა?“ — „არა“. — „მაშინ აჰა შენი ლებერტიც და შენი შტარკიც!“ მისი დარტყმა კი, მერწმუნეთ, staccat-ური სულაც არ იყო.

ანდრიუშა მუსიკას არ სწავლობდა, იგი სხვა დედის შვილი იყო, მომღერალი დედის შვილი და ეს ლალატი იქნებოდა. ჩვენი ოჯახი ხომ დასტურ ორად

⁴¹ ბრტყელი ტერფი (გერმ.).

⁴² რუსეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა ზედამხედველი.

იყოფოდა: ეს გახლდათ სიმღერა (პირველი ცოლი) და როიალი (მეორე ცოლი), რომლებიც შიგადაშიგ ტარუსის ველებზე ჩამოწოლილ გვიან ბინდბუნდში ვალერიასა და დედაჩემის ორხშიან სიმღერაში ირწყვებოდა. თუმცა თითქოს ახლაც ჩამესმის დედის — ყრუ-გაწამებული ამოძახილი, „ოოჰ“, როცა ვალერია საათობით აწყობდა და ამღერებდა როიალზე, როცა სახე და ხელი მუხრუჭებდა, პედლების დახმარებით, განსაკუთრებულად მეტყველ აკორდს და განსაკუთრებულად მაღალ ნოტს აიღებდა თვალეზმით და ნიკაპაწეული, ნოტს, რომელსაც, ჰა და ჰა, მოჰყვებოდა ის საშინელი უხმო ცივი ამოკივლება, რომლის გამოც შეიძლება კაცი მოგეკლა.

მაგრამ დავუბრუნდები ისევ უმუსიკოდ და უსიმღეროდ დარჩენილ ანდრიუშას. მისი სწავლების წინააღმდეგ თვით მისმა ბაბუამ ილოვაისკიმ გაილაშქრა: ივან ვლადიმეროვიჩს საკმარისზე მეტი მუსიკა აქვსო! საწყალი ანდრიუშა, ორი ქორწინების, ორი ბედისწერის შუა რომ გაიჭყლიტა! ბიჭებს სიმღერას არ ასწავლიან, როიალი კი მ ე ი ნ ი ს ე უ ლ ი ა (ანუ მეორე ცოლის). საწყალი ანდრიუშა, ვისთვისაც ვერ მოიცალა ვერც ყურებმა, ვერც კლავიატურამ, ვერ გამოინახა ნახევარი საათი დრო. საწყალი ანდრიუშა, ვინც სმენამაც დააღალატა. არადა, ბოლოს საპირისპიროდ კი გამოვიდა; არც ჩემი გრძნობიერი ტუშესაგან, არც ასიას „ტილი-ტილისაგან“, არც ვალერიას ყელის ვარჯიშისაგან არაფერი არ გამოვიდა, ჩვენი სწავლა და ტანჯვა-წამება წყალში ჩაყრილი შრომა გამოდგა. ანდრიუშას კი გამოუვიდა, იმ ანდრიუშას, ვინც ჩვენს მედიდურ მუსიკალურ ხომალდზე არ გავიკარეთ, ვინც ჩვენს ოჯახში მუსიკათაშორისო სივრცეში მოხვდა, რათა სტუმრებს, მსახურებს და იქნებ სულაც პოლიციელს ფანჯრის მიღმა მისგან მაინც მოესვენათ, სული მოეთქვათ, ოღონდ გამოუვიდა სხვანაირად. ორმაგმა აკრძალვამ თავის ქნა: არც სიმღერა და არც როიალზე დაკვრა არ უსწავლია, მაგრამ როცა ანდრიუშა ანდრეიდ იქცა, თვითონ, თავისით, თავისი სმენით და ხელით ჯერ გარმონიკაზე დაკვრა ისწავლა, მერე ბალალაიკასა, მანდოლინასა და გიტარაზე. იგი ყველაფერს სმენით უკრავდა. და არათუ თვითონ ისწავლა, ასიასაც შეასწავლა, ისე რომ, ბალალაიკაზე ასია ბევრად უკეთესად, ბევრად ხმიერად და სწორად უკრავდა, ვინემ დედამ როიალზე დაკვრა ასწავლა. და დედაჩემის უკანასკნელი სიხარული სწორედ მისი ლამაზი, მორცხვად მომღიმარი ნეაპოლეელი გერის ხილვა იყო, რომელიც მოკლედ თმაგაკრეჭილ გიმნაზიელად დატოვა და რომელიც ახლა მომაკვდავ დედას მისივე გიტარით ხელში სარეცელზე ეჯდა და მორცხვად და მარჯვედ უკრავდა ყველაფერს, რაც იცოდა, იცოდა კი ყველა სიმღერა. ეს გიტარა დედამ კიდევაც უანდერძა, ხელიდან ხელში მისცა ამ სიტყვებით: „შენ ისე კარგად უკრავ, თან ისე გშვენიხს...“ მაშინ იქნებ იხანა კიდევ, რომ დაუჯერა მოხუც ილოვაისკის, რომ მოეხატრა, მოერიდა, რაკი მეორე ცოლი იყო, არ აჰყვა თავის გონიერ, თავის ფიცხ გულს, არ დაივიწყა ყველა ბაბუა და ცოლები: ის, პირველი, ხოლო მეორე — თავისი თავი, ჩემი და ასიას მუსიკალური, ანდრიუშასი კი ისტორიული ბაბუები, და მე — საწერ მაგიდას, ასია — პერკულესს, ანდრიუშა კი — როიალს არ მიუხვია: „დო, ანდრიუშა, დო, ეს კი რეა, დო-რე...“ (რომლიდანაც მე არაფერი გამომივდია, გარდა Dore-სი, Gustav'-ისა...)

თუმცა ვამჩნევ, რომ ჯერ არაფერი მითქვამს ჩემი სიყრმის უმთავრეს გმირზე — თვით როიალზე (ოქროს ასოებით რომ ეწერა „ბეკერი“ *Royale queene*.) მაგრამ როიალი ერთი არაა. ყველას, ვინც ბავშვობაში მუსიკას სწავლობს, ერთი, ორი, სამი, ოთხი როიალი აქვს. პირველი — რომელსაც შენ უზ-

იხარ (რომელთანაც გული გელევა და ასე იშვიათად გეამაყება!). მეორე — სხვა რომ უზის — ანუ დედა — როცა სიამაყით და ნეტარებით გვესება გული, არა, ისე არა, „თითქოს ახლა ვხედავ“ — ახლა ისე უკვე არ ვხედავ — არამედ თითქოს მაშინ ვხედავ მის დატალღულ, მოკლედ შეკრეჭილ თმას, მის მუდამ გადაგდებულ თავს, წერისა და დაკვრის დროსაც რომ არ მოდრეკდა, თავს — ამართულს ყელის მაღალ ღეროზე, როიალის გამოსაწევ გვერდით ფიცრებზე მდგარ ორ შანდალს შუა, თავს, არეკლილს დარბაზის ერთ-ერთ მაღალ სარკეში და კიდევ პორიზონტალურ როიალში. თავს, ჩვენთვის უკვე უჩინარ მხრიდან (სარკის იდუმალებას უფრო აღრმავებს პროფილის იდუმალება!) — შვეულ სარკეთა შორის, რაიც ასე შორს აჩენს დედას სარკის ჩვეული შეუცნობლობით და შეუვალაობით, თავს, რომელიც სარკიდან ასხლეტილ ორი შანდლის შუქს ნაძვის ხედ უქცევია!

და კიდევ მესამე როიალი — ის როიალი, რომლის ქვეშ იქნებ ყველაზე დიდხანს ზიხარ: როიალი თავის წყალქვეშა და როიალქვეშა სამყაროთი, წყალქვეშა არამართო თავზე დაფრქვეულ მუსიკის თქეშის გამო: ჩვენ უკან, როიალსა და ფანჯრებს შორის, იდგა ყვავილები, პალმები და ფილენდრონები, რომელთაც როიალის ვეება ტანი შავ ტბასავით ისარკავდა და როიალის ქვეშ მყოფ სამყაროს მართლა წყლის ფსკერად აქცევდა, საიდანაც მწვანე შუქი სახესა და თითებს ეფინებოდა, სადაც შეგეძლო ფესვებისთვის ხელი შეგეველო და სადაც უხმოდ მოძრაობდნენ, ვით უდიდესი სასწაულები, დედის ფეხები და პედლები.

შეიძლება კაცმა იკითხოს: როიალის უკან ყვავილებს რა უნდოდაო? რომ მორწყვა უფრო ძნელი ყოფილიყო? (დედის ხასიათის პატრონისაგან ეს გასაკვირი არც იქნებოდა!) მაგრამ ამ შერწყმამ: როიალის და სარწყავი წყლისა, დედის ხელების, რომ უკრავდნენ და ყვავილებსაც წყალს ასხამდნენ, მონაცვლეობით ხან წყალს, ხან მუსიკას გადმოაფრქვევდნენ, როიალი ჩემს გულში წყალს სამუდამოდ გაუიგივა, წყალსა და მწვანეს: ფოთლების შრიალს და წყლის ჩხრიალს.

ეს — დედის ხელებზე. მაგრამ აგერ — დედის ფეხები, ცალკე ცოცხალი არსებები, რომელთაც არა კავშირი არა აქვთ დედის გრძელი და შავი კაბის კობასთან. იმათ, უფრო სწორად, ცალ ფეხს, რომელიც პედალზეა, აქედან ვხედავ. იგი ვიწროა, მაგრამ გრძელი. დედის შავი უქუსლო ფეხსაცმლის ლილვებს ჩვენ მოპსის თვალებს ვეძახდით, ვინაიდან პრიუნელისაა (prunelles des yeux⁴³ — მოპსის). ფეხი შავია, პედალი ოქროსფერი, მაგრამ დედისთვის თუ მარჯვენაა, ჩემთვის მარცხენა რატომ არის? განა შეიძლება ერთსა და იმავე დროს მარცხენაც და მარჯვენაც იყოს? ფეხი რომ აქედან ანუ როიალის ქვემოდან დავაჭირო, პირით დედის მუხლებისაკენ, უთუოდ მარცხენა გამომივა ანუ მოკლე (ხმის მიხედვით). დედას კი როგორ გამოუდის მარჯვენა ანუ ხმის განმგრძობი? ან რა იქნება დედის ფეხთან პედალს მეც ხელი დავაჭირო? იქნებ გრძელ-მოკლე გამოვიდეს? მაგრამ გრძელ-მოკლე ხომ არაფერს ნიშნავს? მაშასადამე, მე არაფერი გამომივა? თუმცა დედის ფეხს ხელს ვერ ვახლებდი, ეს თავშიც არ მომივიდოდა.

„ესეც კიდევ ერთი საბუთი შენი არამუსიკალობის!“ — იძახდა დედა, როცა ერთი საათის შემდეგ აღმოაჩენდა (მუსიკა ისე აბრუებდა, ვით მოცურავეს

⁴³ გუგები (ფრანგ.)

აბობოქრებულ წყალში დიდხანს ცურვა, ვერავის და ვერაფერს ცნობდა), რომ ჩვენ თურმე მთელი ერთი საათი როიალის ქვეშ ვიმყოფებოდით, ასია მუქი კალაღიდან ხორცისფერ თოჯინებსა და მზითვეს კრიდა, მე — მარცხენა და მარჯვენა ფეხზე ვფიქრობდი, უფრო ხშირად ალბათ არც არაფერზე ვფიქრობდი, როგორც ოკაში ბანაობისას. ანდრიუშამ მალე ანება და მარცხენა ქვეშ ჩვენთან ჯდომას. ფეხები ერთბაშად ისე დაუგრძელდა, არ შეიძლება დედისათვის ფეხი არ წაეკრა. დედაც მაშინვე დგებოდა და წიგნს მიუსვამდა, რაც მას ჰირივით ეჩავრებოდა, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ წიგნებს ჩუქნიდნენ და ჩუქნიდნენ სწორედ იმიტომ, წიგნები შეყვარებოდა. კიდევ იმიტომ სძულდა, რომ კითხვის შემდეგ ცხვირიდან მუდამ სისხლი სკდებოდა. ჰოდა, თავის სახსნელად როიალის ქვეშ აღარ ძვრებოდა, თავის შტეკენპფერდზე⁴⁴ იჯდა ხოლმე გაუნძრევლად დარბაზის თაღებქვეშ და მე და ასიას იქიდან მუშტებით გვემუქრებოდა და ენას გვიყოფდა. „მუსიკალური ყური ამ გრიას ვერ გაუძლებდა! — ისე გრგვინავდა უკვე დედა, ლამის ყურები გამხეთქოდა. — კაცი შეიძლება დააყრუოს!“ — (ჩემს გულში, უხმოდ: „სწორედ ეს მომწონს!“ ხმამაღლა კი:) — „აქედან უფრო კარგად ისმის!“ — „კარგად ისმისო! ყურის ბარბნები გაგისკდება!“ — „მე კი, დედა, არაფერი არ გამიგია! — ჩქარ-ჩქარა და ტრაბახით აყრის ასია. — სულ ამ პატარა კუწუბოზე ვფიქრობდი ჩემთვის!“ და მიამიტად აჩრის ცხვირში თოჯინის ნიფხვის უზადოდ გამოჭრილ კუწუბოებს. „რაო, მჭრელი მაკრატლითაც კრიდი?! — უკვე თავზარდაცემით ყვირის დედა. — სად ხართ, Fränlein? ერთმა მითხრა — აქედან უკეთ მესმისო, მეორემ — არაფერი გამიგიაო, ამათ ჰქვიათ ბაბუას შვილიშვილები და ჩემი შვილები?.. ოჰ, ღმერთო ჩემო! — მაგრამ ასიას აკანკალებული ტუჩების დანახვაზე: — ასენკას ეპატიება... ასენკა პატარაა... მაგრამ შენ ხომ იოანე ლეთისმეტყველის დღეს უკვე ექვსისა გახდი!“

საწყალი დედა, რამდენი წყენა იგემა ჩემგან და ისე წავიდა, ვერც გაიგო, რომ ჩემი „არამუსიკალობა“ სხვა მუსიკალობა იყო თურმე!

მეოთხე როიალი ეს ისაა, რომელთან დგახარ, დაჰყურებ და თანდათანობით შიგ შედიხარ, რომელიც ჯერ თავით შენზე მაღალია, მერე ყელამდე გწვდება (და როგორც დანა, თავს გაცლის თავისი შავი კიდეთი), მერე მკერდამდე, ხოლო მერე უკვე წელამდე, სიღრმის ყველა კანონის საპირისპიროდ. დაჰყურებ და თანდათანობით ჯერ ცხვირის წვერს უახლოებ, მერე პირსა და მერე შუბლს მის მაგარ და შავ სხეულს. (ნეტა რადაა ასე ღრმა და ასე მაგარი? როგორც წყალი და როგორც ყინული? ასე დამყოლიც და არადამყოლიც?) თუმცა ამას გარდა ეს კიდევ ბავშვური თამაშიც იყო: დააორთქლო, ვით ფანჯრის მინას, და მერე დანაორთქლის ელვის სისწრაფით გამდნარ ვერცხლის ოვალზე მოასწრო და შენი ცხვირ-პირის ანაბეჭდი დაამჩნიო: ცხვირი — შაურიანივით ბრტყელი გამოდის, პირი — ფუტკრის ნაკბენივით გასიებული! — ღრმა და სიგრძივი ნასერებით, რომელიც შენს ნამდვილ პირზე ორჯერ მოკლე და ორჯერ განიერია და რომელიც, სწრაფად გამჭრალი, როიალის შავ ზედაპირს უერთდება, თითქოს ჩემი პირი — როიალმა გადაყლაპაო. ზოგჯერ კი, როცა მეჩქარებოდა, ჯერ დერეფანში სასტუმროს, სასადილოსა და მეზონინში გამავალ დარბაზის ოთხ კარს გავხედავდი, საიდანაც შეიძლება დედა შემოსულიყო, და ტუჩების გასაგრილებლად — როიალს ვკოცნიდი ხოლმე. თურმე შეძლებულა ერთსა და

⁴⁴ ჯობის ცხენი (გერმ.).

იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა. და ჰა. მისი შავი ფსკერიდან ჩემკენ მოცურავს ხუთი წლის გოგოს პირისახე მცდელზე მცდელი თვალებით. რომილგარეშე, ვარდისფერი ამ ფონზეც კი: — ალიონის სიწითლეში ამოვლებული ზანგისა თუ მელნის გუბეში ამოსვრილი ვარდის დარად. როიალი ჩემს უჩვეულო სარკე იყო. ჩემი სახის პირველი აღქმა მის შავ სარკეში, მის ხეშფეხეშე გადატანილი, როგორც ენაზე. რომელიც შენთვის უცნობი, მაგრამ გასაგებია. ასეც დამჩემდა მთელი სიცოცხლე — უმარტივესი რამ რომ გამეგო, ის ლექსში უნდა ამომეველო და იქიდან დამენახა.

დაბოლოს ის უკანასკნელი როიალი, რომელშიც იხედები, ანუ როიალი წიაღისა. წიაღი როიალისა, სიმებიანი მისი წიაღი, იდუმალი ყველა წიაღის მსგავსად, ანუ პანდორას როიალი: „ნეტა შიგ რაა?“ — რაზედაც ფეტი ამბობს იმ სტროფში, სულს რომ შეგიძრავს და მხოლოდ პოეტი და მუსიკოსი თუ გაიგებს:

და თავგადაბდილ როიალში ნელიად თრთოდა სიმები ყველა...⁴⁵

არა ალეგორიული „სულის სიმები“, არამედ მართლა სიმები, ოსტატის მიერ გადაჭიმულნი, რომელთაც შეგიძლია ხელი შეაბო და თვალი გააყოლო ვერცხლისფერი სამაგრებიდან წითელი ხავერდის მაშიებიან ჩაქუჩებამდე, Hammerlein im Kämmerlein⁴⁶. რალაციით — გრიმებისეულნი, რალაციით — გნომებისეულნი. ანუ როიალი საზეიმო დღეებისა, კარეტებისა, როტონდებისა, როიალი ვარსკვლავებივით მობრდღვიალე ქალისა, ოთხხელიან დიდ შეჯიბრებებისა, როიალი რომაულ კვადრიგისა! — გასაოცარი რამ სანახავი, როს თავაბდილი არფას ემსგავსებოდა, არფა ხდებოდა, მისი ტბასავით გასარკული ზედაპირი კი გრიგალისა თუ ვინმე ბუმბერაზის მიერ ჩარიგებულ სიმების მესრად, ფასკუნჯის მესრად იქცეოდა. — აბა შეეხე და ნახავ, თუ რა ატყდება! ის როიალი, რომლისგანაც, როგორც ღამის ყველა სასწაულისგან, კვალიც აღარ რჩებოდა!

მაგრამ არ მინდა ჩემს მტერ-მოყვარეს: Notepult-ს ანუ სანოტო პიუპიტრს ვაწყენინო, იმ უსიცოცხლო ყვავილთა მესერს, ხის იმ გალაქულ შავ ყვავილებს — თავისუფლებას რომ მილობავდნენ — და ვაჰმე, კალიების, გველხოკერების და ჟოლოს დღეებში მინდვრის ყვავილებს რომ მიცვლიდნენ! პიუპიტრს, რომელიც შეგიძლია ისეთნაირად დააყენო, ნოტთა რვეული გულწასულივით გადაიქცეს — ან კლდესავით გადმოეყუდოს და ყოველ წამს კლავიშების გულშემზარავი შვავით გემუჭრებოდეს. პიუპიტრი, რომლის ტკაც! და დახურვა თავისუფლებას ნიშნავდა ჩემთვის.

და კიდევ ის როიალი, რომლის ტანი ბავშვობაში გაქვავებულ ურჩხულად, ჰიპოპოტამად მესახებოდა, განა იმიტომ, ჰიპოპოტამს ჰგავდა მართლა — მე ხომ ჰიპოპოტამი არასოდეს არ მენახა — არამედ ხმის, ბგერის, ეღერის გამო: ჰიპოპო (ანუ ტანი აქ), კუდი კი — ტამ (იქ). მერე და მერე, საგნების ადამიანებთან მიმსგავსებისას — ჩემს თვალში იგი ოცდაათიანი წლების ხანდაზმულ მამაკაცს ჰგავდა, ზორზოხასა და ტანდამძიმებულს, მაგრამ bien pris dans la taille⁴⁷-ს, ზორზოხობის მიუხედავად — იმ გამოცდილ, ხნიერ, უთუოდ ფრანკან მოცეკვავეს, ვისაც ქალიშვილები ერთა შეხედვით ყველაზე მოქნილ სამ-

⁴⁵ ა. ფეტის ლექსიდან „და იყო ღამე ნათელი...“

⁴⁶ პაწაწა ჩაქუჩები პაწაწა სახლებში (გერმ.)

⁴⁷ აქ: მოხდენილი (ფრანგ.).

ხედროს ამჯობინებდენ. ან სულაც შავებში მოსილ უსახო ღირიყორს, ვინაი-
დან იგი შენთან მუდამ ზურგით ღვას — და მუდამ ხიბლით სავსეა. როგორ
რომ ააყუდო — ეს ხომ იგივე ღირიყორია! მაგრამ ღირიყორსა და მოცეცხვეს
რომ თავი ვანებოთ — როიალი ხომ მხოლოდ ახლოდანაა მოუქნელი და უშვე-
ლებელი. ხოლო კარგა დიდ მანძილზე რომ გაეცალო და მასა დაშენებულ
ხშიანობისთვის საჭირო სივრცე დატოვო, ყველა დიდი საგანიერით აღვივლო მსა-
სცე გახდეს მისდათავადი, კალიასავით მოხდენილი და მოქნილი შეიქნება.
როცა მათა სიდიდე სულს შეგიხუთავს, გზა ხსნისა მხოლოდ ერთია — განე-
რიდო ან ზეახვიდე. როიალსაც ზეასვლა უნდა, როგორც დედა ზეადიოდა ხოლმე
ხელებით.

დედაჩემის დაკვრა ცოტათი მაინც რომ წარმოვადგინო — სამ შემთხვევას
მოვიყვან მხოლოდ. როცა კლექმა პირველად ძალუმ შემოუტია და ჩვენც მას-
თან ერთად ნერვიში ჩავედით, ლამე იყო და დაკვრა აღარ შეიძლებოდა. პოდა,
ისე დავიძინეთ, მე და ასიამ ზღვა ვერ ვნახეთ, დედამ კი როიალზე დაკვრა ვერ
მოახერხა. სამაგიეროდ დილიდანვე — თუმცა მთელი გზა სისუსტის გამო არ
წამომდგარა — მყისვე როიალს მიუჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე ვი-
ლაცამ დააკაკუნა. ზღურბლზე შავთმიანი ლამაზი კაცი იდგა, თავზე მრგვალი
ქუდი ეხურა. „ნება მიბოძეთ თავი გაგაცნოთ: ექიმი მანყინი ვარ. თქვენ, თუ
არ ვცდები, ესა და ეს სინიორა, ჩემი მომავალი პაციენტი? (ფრანგული ცოტა
უჭირდა), ჩავლისას თქვენი დაკვრა მომესმა. არ შემიძლია არ გაგაფრთხილოთ,
თუ შემდეგშიც ასე განაგრძეთ, არათუ თვით დაიწვებით, მთელ ჩვენს Pension
Russe-ს — გადაწვავთ“ და უკვე ენით უთქმელი ნეტარებით იტალიურად და-
ამატა: „Geniale, Geniale...“ დაკვრა ექიმმა, ცხადია, დედას კარგა ხნით აუკ-
რძალა.

მეორე შემთხვევა იყო — როცა დედა რუსეთში ბრუნდებოდა — რათა
სული იქ დაეღია, სადღაც, მგონი, მიუნჰენში, დედამ — როგორც ყოველთვის,
სადაც არ უნდა ჩავსულიყავით — ხელების დაბანისთანავე, ტანზე არც კი გა-
მოუცვლია, მყისვე როიალს მიაშურა. პოდა, ვხედავთ მე და ასია, რომ ვილაც
ბიჭი, ჩვენზე უფროსი, ალბათ ასე თოთბმეტი წლისა, მთლიანად ვარდისფერი,
ოქროსფრად მობრჭყვიალე თმის ბურვილში, სკამს ნელ-ნელა დედაჩემისაკენ
მიაჩოჩებს: მისი ხელებისკენ, საიდანაც ხმების ღვარი ჩქეფს. მაგრამ მძინარე-
სავით ვედარ მოზომან და დედის ფეხებთან ანუ როიალის ქვეშ სკამიანად გაი-
შხლართა. დედა, დაკვრისას რომ ვერაფერს ამჩნევდა ხოლმე, მყისვე ყველა-
ფერს მიხვდა: არც კი გაუღიმიო, ფეხზე ისე წამოაყენა. მერე თავზე ხელი დაადო
და მაშინვე, ხელის აუღებლად, შუბლი გადაუწია, თითქოსდა შუბლზე უნდა
რალაც წაიკითხოსო. (ძე ალექსანდრე.) ისიც უნდა ვთქვა, რომ იქ დამსწრეთა-
გან — ესწრებოდნენ მუდამ ერთნი და იგივენი, სადაც არ უნდა ჩავსულიყავით
— არავის არ გაუციინია. (რამეთუ ბიჭი — ისევ ისე პირლია, ისევ იმ სკამით
— ასევე შეიძლება ცხელ ლუმელში — ან ლომებით სავსე გალიაში ჩავარდნი-
ლიყო.) მე და ასიამ კი დაბადებითვე ვიცოდით, რომ წაქცეულ კაცზე გაციონება
სისულელეა. ნაპოლეონიც ხომ წაიქცა! (მე, ჩემი მაქსიმალიზმით, უფრო მეტ-
საც ვფიქრობდი: სისულელეა, როცა კაცი არ ეცემა. მიდის, მიდის და არ ეც-
ემა — აი სულელი!) არასოდეს დამავიწყდება დედაჩემისა და იმ ბიჭის ამბავი,
ასე თავყვანით მუხლის მოყრა ვინმეს წინაშე მე არასოდეს არ მინახავს.

— დედა (ეს იყო მისი ბოლო ზაფხული, ბოლო ზაფხულის სულ ბოლო

თვე) — რატომ გამოგდის „Warum“⁴⁸ სხვებისგან ასე განსხვავებულად?

— Warum⁴⁹ — „warum“? — იხუმრა დედამ ბალიშებითან, და უმაღლიმილი ჩამოირეცხა:—აი შენც რომ გაიზრდები და საკუთარ თავს შეეკითხები, ყველაფერი ასე warum გამოვიდაო — როგორც გამოვიდა, warum არავის არაფერი გამოუვიდა, განა მარტო შენ, არამედ ყველას, ვინც გრყავარდა, ვისაც უკრავდი და ასრულებდი — მაშინ შეძლებ დაუკრა „warum“. მანამდე კი ცდა გმართებს მხოლოდ.

და უკანასკნელი — სიკვდილის წინ .1906 წლის ივნისის თვე. მოსკოვამდე ვერ ჩავალწიეთ და „ტარუსკაიას“ სადგურზე გავჩერდით. იალტიდან მთელი გზა დედა სხვებს ხელით გადმოჰყავდათ მატარებლიდან. („სამგზავროთი წამოვედი, სატვირთოთი კი ჩამიყვანენ“ — ხუმრობდა დედა.) ასევე, სხვებმა ჩასვეს იგი ტარანტასშიც, მაგრამ სახლში კი თავისი ფეხით შევიდა, დაბმარება არ მოინდომა.

ჩვენ, ადგილზე გაქვავებულთ, ჩავვიარა და პარმალიდან როიალამდე ის რამდენიმე ნაბიჯი თვით გაიარა, რამდენიმე თვე ლოჯინში წოლამ ისე შეცვალა, ვეღარ იცნობდი, ძალზე მაღალი ჩანდა იმ ბეჭი ფერის საზაფხულო პელერინაში, მხოლოდ იმიტომ რომ შეიკვრა, სახელოების ჩაზომება არ დასჭირებოდა.

— აბა ვნახოთ, თუ კიდევ რამედ ვარგივარ? — ჩაცინებით და აშკარად თავის თავს უთხრა. დაჯდა. ჩვენ ყველანი ფეხზე ვიდექით: და პა, უკვე გადაჩვეულმა მისმა ხელებმა — არა, რა დაუკრა, ჯერ არ მინდა ვთქვა, ეს ჯერ კიდევ ჩემი და მისი საიდუმლოა...

ეს დედაჩემის უკანასკნელი დაკვრა იყო, და უკანასკნელი სიტყვებიც, ფიქვის ახალი ყავრით ნაშენ, იმ ქასმინით ჩაბნელებულ სადგომში, იყო:

— მხოლოდ მზეზე და მუსიკაზე მწყდება გული.

დედის სიკვდილის შემდეგ დაკვრას თავი ვანებე. არა, კი არ ვანებე, მივუშვი ხელი. მასწავლებლები ისევ და ისევ მომდიოდნენ, მაგრამ რაც მის ხელში ვისწავლე, იმის იქით აღარ წავსულვარ. მე ხომ მისი შიშით, მისი ხათრით, მისი გულის გასახარად ვსწავლობდი მხოლოდ. გახარება კი ახლა აღარავისი არ მჭირდებოდა — ყველასათვის სულ ერთი იყო, უფრო სწორად: მას ერთს დატანჯავდა ჩემი არამუყაითობა. — შიში კი გამიქრო იმის შეგნებამ, რომ იქიდან უკეთ დამინახავდა (რაც ვიყავი)... რომ იგი — როგორიც ვიყავ — ისეთს შემინდობდა და მაპატიებდა?

ჩემი მრავალრიცხოვანი სკოლების მასწავლებლები ჯერ ვიშვიშს ატეხდნენ ხოლმე, მერე ჩუმდებოდნენ და ახლა სხვა ამბებზე იწყებდნენ ვიშვიშს. მე კი უსიტყვოდ და ჩიუტად ჩემი მუსიკა ნელა-ნელა დამყავდა ნულზე. ასე ტოვებს ხოლმე ზღვა მიქცევვისას ჯერ ღრმა, მერე და მერე უფრო მომცრო გუბეებს, შემდეგ კი მხოლოდ სისველეს. ეს მუსიკალური გუბეები, ნაკვალევი დედის ზღვებისა — სამარადისოდ დარჩა ჩემში.

დედა ცოცხალი რომ ყოფილიყო — კონსერვატორიას დავამთავრებდი და არცთუ ცუდი პიანისტი გამოვიდოდი — რადგან მონაცემები მქონდა ამისა. მაგრამ იყო სხვა მონაცემიც, მუსიკასთან შეუღარელი და მუსიკის ჩემში განმგრძობი, დამბრუნებელი: საერთო მუსიკალობა და — არცთუ „პატარა“ (და მაინც კოტი!) ნიჭი.

48 „რატომ“ — შუმანის საფორტეპიანო პიესა.

49 warum — რატომ (გერმ.).

ფის ცოლმა ძალს შეხედა და დაინახა, რომ ძალის თვალები კი არაა, საზღვარი ბებრული მწვანე თვალები ჰქონდა და მყისვე იცნო თავისი უფროსი და მყისვე ეტლიდან ჩამოაგდო — დაცოთხ ნაწილად დაიმსხვრა!

— ჰო, — ისევ კვერი დაუკრა დედამ. — მათ ხომ მამა არ ჰყავდათ. მართოდედა ჰყავდათ.

— მამა დიაბეტით მოუკვდათ, ხომ? რადგან ძალზე ბევრ შაქარს ჰკამდა, ბევრ ნამცხვარს, ნაირ-ნაირ ტორტებს, კრემს, პლომბირს, შოკოლადს, ირისსა და კუწუბოიან ვერცხლისფერ კანფეტებს, ასე ხომ, დედა? თუმცაღა ზახარინმა აუკრძალა, ეს ყველაფერი საფლავში ჩაგიყვანსო!

— ზახარინი აქ რა შეაშია, — გამოფხიზლდა უეცრივ დედა, — ეს ხომ დიდი ხნის წინათ მოხდა, მაშინ სად იყო ზახარინი ან საერთოდ ექიმები.

— მაგრამ ბრმა ნაწლავი ხომ მაინც იყო? აბ-ენ-დი-ციტი? ისეთი პაწაწუნა ბრმა და მუნჯი ნაწლავი, შიგ რომ ყველაფერი იყრება: ძვლები, თევზის ფხები, კომპოტისა და ალუბლის კურკები, კიდევ ფრჩხილები... დედა, მე ჩემი თვალით დავინახე, მუსიამ როგორ შემოღრღნა ფანქარი! კი, კი, ფანქარს თლიდა, მაგრამ ჭაყვა არ ჰქონდა და კბილებით თლიდა, ნათალს კი ყლაპავდა. ფანქარი ისე დაილია, მერე ვერაფერიც ვერ დახატა და ამის გამო მწარედ მიჩქმიტა!

— ნუ სტყუი! — აღშფოთებამ და გაოცებამ ხმა ჩამიხრინწა. — თვალწინ შემომიღრღენი ფანქარი, მელნით „მუსია“ რომ ეწერა, და მიტომ გიჩქმიტე.

— დედა! — აწრიპინდა ასია, მაგრამ რაკი ეს ხელს არ აძლევდა, გეზი მყისვე იცვალა, — როცა ადამიანი იტყვის, კო, მაგრამ პირს შიგნით არას ამბობს, მაშინ რა თქვა მან? ხომ ორი თქვა, დედა? ნახევრად, თქვა? მაგრამ თუ იმწუთას მოკვდა, სად მოხვდება?

— ვინ სად მოხვდება? — ჰკითხა დედამ.

— სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში? ნახევრად მატყუარა ადამიანი. სამოთხეში?

— ჰმ... — თქვა დედამ. — ჩვენთან არ ვიცი. კათოლიკეებს კი განსაწმენდელი აქვთ საამისოდ.

— ვიცი, ვიცი! — ზეიმით წამოიძახა ასიამ. — ეს დიკია, ფეხსაცმლის მწმენდავი დიკი, პატარა ლორდს რომ წითელი ფულიარი აჩუქა ნალებითა და ცხენის თავებით.

— და როცა იმ ყაჩაღმა დედას მოსთხოვა, აბა აირჩიეო, იგი ორივეს მოეხვია და თქვა...

— დედა! — იწივლა ასიამ. — მე ხომ არ ვიცი, ვინ არის ის ყაჩაღი!

— მე კი ვიცი! — მყის მივატანე. — ყაჩაღი იმ დედის მტერი იყო, რომელსაც ჰყავდა ორი ასული. ცხადია, მათი მამა მანვე მოკლა. ხოლო მერე, რაკი ძალზე, ძალზე ბოროტი იყო, ერთი ასულის მოკვლაც ისურვა, თუმც ჯერ ორივესი...

— და როცა იმ ყაჩაღმა დედას მოსთხოვა, აბა აირჩიეო, იგი ორივეს მოეხვია და თქვა...

— დედა! როგორ ბედავს მუსია შენი ზღაპრის მოყოლას?

— ჯერ ორივესი მოკვლა უნდოდა, მაგრამ ღმერთმა ნება არ მისცა და მაშინ ერთ-ერთის...

— მე ვიცი, ვიცი! — თქვა ასიამ.

— არ იცი, რადგან თვითონ ყაჩაღმაც არ იცოდა, მისთვის სულ ერთი იყო, რომელს მოკლავდა, მას მხოლოდ იმ ქალისთვის სურდა გული მოეკლა — რაკი-ღა მას არ მისთხოვდა, ასეა, არა, დედა?

— შესაძლოა, — დედა ყურს გვიგდებდა. — მაგრამ მე თვითონაც ეს არ ვიცოდი.

— იმიტომ, რომ იმ ქალს ეტრფოდა! — წამოვიძახე მე ზეიშით და მერე თავშეუკავებლივ: — ყაჩაღს ერჩივნა ქალი მკვდარი ენახა, ვინემ...

— რა აფრიკული ვნებებია! — წაილაპარაკა დედამ. — საიღამ ბრეტანე?

— პუშკინიდან. მე აბლა სხვას ვეკუთვნი და მისი ერთგული დავრჩები მარად. (მყის გუნებაში შევამოწმე და) არა. მგონი, „ბოშებიდან“ უნდა იყოს.

— მე კი მგონია, „კურიერიდან“. ხომ აგიკრძალე მისი კითხვა.

— არა, „კურიერში“ სულ სხვა იყო. „კურიერში“ ელფებია ანუ სილფები, რომლებიც მინდორზე ფერხულს უვლიან. იმ ყმაწვილს კი, თივის ზვინში რომ ეძინა, რადგან მამამ დასწყევლა იგი, ერთბაშად შეუყვარდა ყველაზე დიდი სილფიდა, ვინაიდან მის ძუძუმტე დას ჰგავდა, წყალში რომ დაიხრჩო.

— დედა, ძუძუმტე რაა? — ჰკითხა ასიამ, ჩემი უპირატესობით ნირწამხდარმა.

— ძიძიშვილი.

— მე მყავს ძუძუმტე?

დედამ ჩემზე ანიშნა:

— ფუ! — თქვა ასიამ.

— ასია ხომ ჩემი ძუძუმტე არაა, დედა?

— არა, — დედამ დამიდასტურა. — ასიას ძუძუ მე ვაჭამე, შენ კი ძიძამ. შენი ძუძუმტე შენი ძიძის გოგო იქნებოდა, შენს ძიძას რომ ვაფი არ ჰყავდეს. შენი ძიძა ბოშა იყო, იმდენად აფი, ხარბი და გაუმადლარი, როცა ერთხელ ბაბუამ ოქროს საყურეების ნაცვლად მოოქრული აჩუქა, ყურებიდან გამოიგლიჯა და ფეხებით ისე ჩასრისა პარკეტში, ველარც მონახეს.

— იმ გოგოებს კი, რომლებიც მერე მოკლეს, რამდენი ძიძა ჰყავდათ? — ჰკითხა ასიამ.

— არც ერთი. — მიუგო დედამ, — ორივეს დედამ აჭამა ძუძუ და მიტოვაც ვერც ერთი ვერ გაიმეტა. ყაჩაღს ასედაც უთხრა: „არჩევა არ შემიძლია, ვერც ვერასოდეს ვერ ავირჩევ, ამიტომ ყველა ერთად მოგვკალი“. — „არა, მე მინდა დიდხანს, დიდხანს ეწამო, ამიტომ ორივეს არ მოგიკლავ, რათა შენი სიცოცხლე იმ ფიქრმა გტანჯოს. ამის თავი ვარჩიე, მეორე კი... მაშ რომელს გაიმეტებ?“ — „უმაღ შენ ამოგხდება სული ჩემ წინ სიძულვილით ან სიბერით, ვინემ ჩემი შვილებიდან სასიკვდილოდ რომელიმე ერთი გავწირო“.

— და მაინც რომელი უფრო ენანებოდა? — გულმა ვერ მოუთმინა ასიას, — ერთი ხომ ისე სუსტი იყო... ცუდადაც ჰამდა, არც კატლეტებს, არც ცერცვს არ ეკარებოდა. ნავაგაზე ხომ გული ერეოდა...

— კი, როგორ არა! ხიზილალას რომ მისცემდნენ, სუფრას ჰვემოდან აზელდა. ჭაშაყის ნალექს ავგუსტა ივანოვნას ხელისგულში უფურთხებდა... საერთოდაც მისი სკამის ქვეშ მუდამ ნავაგი იყო, — ვამბობ სიძულვილით.

— მაგრამ შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, დედა დაჩოქილი ეუბნებოდა: „ღვთის გულისათვის, კიდევ ერთი ლუკმა შეჭამე: აბა გააღე, ჩემო სულიკო, პირი და ლუკმა ჩაიდე!“ მაშასადამე, დედას იგი — უფრო უყვარდა!

— შესაძლოა, — პატიოსნად გამოტყდა დედა, — ანუ უფრო ეცოდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ასე ცუდად აჭამა ძუძუ.

— დედა, აპენდიციტი არ დაგავიწყდეს! — აღელვებით იძახის ასია, — ვინაიდან როცა უმცროსი ოთხი წლის იყო, ქვაზე დაეცა, აპენდიციტი გაუჩნდა

და კიდევ მოკვდებოდა — ექიმი იარხო ღამით მოსკოვიდან არ ჩამოსულიყო — უქუდოდ და უქოლგოდ — არადა, ისეთი სეტყვა მოდიოდა — სულ გაიწუწა. იგი ხომ მართლა წმინდანია?

— კი, წმინდანია, — მტკიცედ თქვა დედამ, — მასზე უფრო წმინდანი კაცი არ შემხვედრია. თანაც ავადმყოფი, შეიძლება გაცივებულყოფილ და გადაპყობოდა — ისე გაავდრდა! წაიქცა კიდევ საწყალი ჩვენი სახლში წმინდა

— კი მაგრამ, აპენდიციტი რატომ არ დაემართა? იმიტომ, რომ ექიმია? არადა, ექიმი რომ ავად გახდეს, მას ვინ უშველის? მხოლოდ — ღმერთი?

— მუდამაც ღმერთი. მაშინაც შენ — ღმერთმა გადაგარჩინა. ექიმ იარხოს შემწეობით.

— დედა, — ასიას სმენამ უკვე დამლალა, — ექიმი თუ წმინდანია, მუცლის მაგივრად მუდამ ღიპუნას რატომ ამბობს? „ისევ ღიპუნა გტკივა, მუსია?“ ეს ხომ უწესო სიტყვად ითვლება.

— უფრო უჩვეულოა, — თქვა დედამ, — იქნებ პატარაობისას ასწავლეს ასე?.. რა თქმა უნდა, უჩვეულოა, მაგრამ მისთანა გულის პატრონს ყველაფერი ეპატიება. კიდევ მეტი, ვინემ პირში სული მიდგას, მისი დღეგრძელობისთვის მუდამ სანთელს ავანთებ.

— დედა, იმ გოგოებს ყელი აღარ გამოჰკრეს? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა ასიამ, — ან იქნებ ყაჩაღს მობეზრდა, დედა ამდენ ხანს რომ ფიქრობდა, და წავიდა.

— არ წასულა, — თქვა დედამ, — არამედ უთხრა: „მოდი დავანთოთ ეკლესიაში ორი სანთელი. ერთი...“

— მუსია იქნება! მეორე — ასია!

— არა, ამ ზღაპარში სახელი არავის ჰქვია. „მარცხენა უფროსი, მარჯვენა კი უმცროსი იყო! რომელიც მალე ჩაიწვება...“ ჰოდა, აიღეს ორი სრულიად ერთნაირი სანთელი და...

— ერთნაირი სანთლები არ იქნებოდა, დედა! ვრთი სულ ცოტათი, ერთი ბეწოთი...

— არა, ასია, — დედას ხმა გაუმკაცრდა, — მე ვთქვი: ორი სრულიად ერთნაირი სანთელი-მეთქი. „შენი ხელით დაანთე“, — უთხრა ყაჩაღმა. დედამ პირჯვარი გადაიწერა და დაანთო. და სანთლებიც აპარპალდნენ, სულ ერთნაირად, გეგონებოდა, აღარ იწვიანო. აი დაღამდა კიდევ, სანთლები კი ისევ ანთია, ერთმანეთზე არც მეტი და არც ნაკლები, ტყუპებივით. და თქვა მაშინ ყაჩაღმა: „ღმერთმა იცის. კიდევ რამდენ ხანს ენთებიან. წადი შენს სახლში, მეც სახლში წავალ, დილით კი, როცა მზე ამოვა, ორივენი აქ მოვიდეთ. რომელიც პირველი მოვა, მეორეს დაუცადოს“.

გამოვიდნენ, დაკეტეს კარი ვეებერთელაზე ვეებერთელა ბოქლომით და გასაღები ქვის ქვეშ ამოდეს.

— რა თქმა უნდა, ყაჩაღი უფრო ადრე მოვიდა ანუ მოვარდა! — თქვა ასიამ.

— დამაცადე! გათენდა დილა, მზე ამოვიდა. და არცთუ ადრე და არცთუ გვიან — ორი სხვადასხვა მხრიდან — დედა მარჯვენა, ყაჩაღი მარცხენა მხრიდან — ვინაიდან ეკლესიიდან ორი მკლავივით, ორი ფრთის მსგავსად ორი სრულიად ერთნაირი გზა მიდიოდა — ერთნაირი სიჩქარით და წამით წამზე — მზე ეკლესიის წინ ამოდიოდა — ყაჩაღი და დედა ეკლესიას ერთად მიაღწენ. გააღეს კარი, შეაბიჯეს და...

— ერთი სანთელი სულ ჩამწვარი და შავი დახვდათ! მეორე კი სულ ოდნავ, ოდნავ... — ასიამ მღელვარედ.

— არა, ორივე სანთელს ერთნაირად ეკიდა ცეცხლი, ერთიმეორეზე არც მეტი იყვნენ და არც ნაკლები, ოდნავ ჩამწვარიც არც ერთი იყო... როგორც გუშინ დაანთეს. — ისევე ენთნენ და პარპალებდნენ, რამდენ ხანს ედგნენ ასე ორივენი, არავინ იცის, ეს კია. დედა რომ გამოერკვა — ყაჩაღი დაიწყო — როდის წავიდა, სად წავიდა — ვერვინ გაიგო. არც თავის კოშკში მისულა თურმე. რამდენიმე წლის შემდეგ კი ხმა დაირხა, გამოქვაბულში ცხოვრობსო ვიდაც წმინდანი განდევილი და...

— ეგ განდევილი, დედა — ყაჩაღი იყო, ის ყაჩაღი — მივატანე მე. — ასეა მუდამ. რა თქმა უნდა. ყველაზე კარგი კაცი გახდა ღმერთის შემდეგ! ოი, როგორ მეცოდება!

— ვინ — გეცოდება?

— ვინ და ყაჩაღი! ნაცემ ძალღივიტ რომ გაეცალა იქაურობას — ხახამ-შრალი! დედა, ცხადია... არა, მე, რა თქმა უნდა, სიგიჟემდე შევიყვარებდი. წამოვიყვანდი და მერე უთუოდ ცოლად ვითხოვდი..

— ცოლად გაყვებოდი. — მისწორებს დედა. — ცოლს მამაკაცები თხოულობენ.

— ვინაიდან ქალს მ ა ნ ა მ დ ე ც უყვარდა იგი, მაგრამ უკვე ქმარი ჰყავდა, როგორც ტატიანას.

— ის დაგავიწყდა, რომ ქმარი მანვე მოუკლა — აღელდა დედა, — განა შეიძლება იმ კაცს მისთხოვდე, შენს შვილებს რომ მამა მოუკლა...

— არ შეიძლება, — ვთქვი მე, — ყოველდამ შიშში იქნებოდა, რადგან თავმოკვეთილი ქმარი ყოველდამ მოაგონდებოდა. თანაც ათასნაირ ხმებს გაიგონებდა. ან შვილები ავად გაუხდებოდნენ.. მაშინ მე თვითონ წავიდოდი განდევილად და თბრილში ჩავსახლდებოდი...

— შვილებს რაღას უზამდი? — დედა ღრმაზე ღრმა გრძნობით, — განა შვილების მიტოვება შეიძლება?

— მაშ, ლექსებს რვეულში ჩავუწერდი!

1934

Elancourt — სექტემბერი.

Clamart — (30 თქტომბერი — 1 ნოემბერი).





ქართულიდან

თარგმნა მაცვალა გონაპვილმა

ჩვენ წარღვნის მერე მოვედით
ქვეყნად
და ჩვენში ისევ ბორგავს წარსული,
ჩვენი სულია ძველი ეტრათი
წლებით ნაწერი და ფერწასული,
არ გვასვენებენ მაინც კითხვები,
ხვალ რა იქნება, ზეგ, ანდა მაზეგ,
დრო კი...
დრო მიდის შეუჩერებლად
და არად აგდებს ჩვენს ბტანჯველ
აზრებს.

ნუთუ ცხოვრების შმაგი მდინარე
ჩაივლის,
წაშლის ამ ჩვენს ნაკვალევს?
ნუთუ სულ მალე დავავიწყდებით
ზეცის მტრედისფერ,
უძირო თვალებს,
უნდა გავკაფოთ გზები უვალი,
თორემ ხვალ უკვე იქნება გვიან,
დედამიწაზე ჩვენს გავლილ მანძილს,
ჩვენს ჩავლილ დღეებს ცხოვრება
ჰქვია.

ნუ შეგაშინებს სულის ეტრატზე
თუა სტრიქონი გაუმართავი,
ნუ შეგაშინებს თვითონ სიკვდილიც,
თუ ხარ საკუთარ თავთან მართალი.
საშიში მხოლოდ გულგრილობაა
და დაბანგული სული ჰაშიშით,
საშიში მხოლოდ სიცრუე არის,
მხოლოდ სიცრუე არის საშიში.

ტყვიისფერი ქარი ჩემი სახლის სარკმელს
 ამინანქრებს, დილით თეთრი თრთვილით რთავს,
 და მზე მეწამული, განაწამებს, ნათელს,
 მომაგონებს წამით ნათლისმცემლის თავს.
 დრო მიგორავს, მიდის, დღე დღეს მისდევს ისევ,
 არც ბარათი მომდის, არც გაზეთი უკვე.
 თოვლში ჩაძირულა ჩემი მისამართი,
 როგორც ძაღლი მთვარეს, — სიმარტოვეს ვუყვებ.
 — ალო, ალო, ყურმილს ჩავიხუტებ გულში,
 მე არ ვეტყვი კბილით რომ მიჭირავს სული,
 რატომ გახდი ჩემთვის ასე შორეული,
 ვით ზღაპარი, ანდა ჟამი გარდასული?
 დაუფარავს ნამქერს ჩემი თეთრი ხატა,
 ტისკენ მიდის კვამლი ნელა, ნება-ნება,
 აკვნესდება ქარში მავთულების ჩანგი,
 შენ იღვიძებ ჩემში, როგორც მოგონება.
 და მეძახი, მიხმობ, აქ კი სიზმარია
 და სითეთრე თოვლის აელამებს თვალებს,
 წაუშლია ნამქერს ჩემი მისამართი,
 დამნავსვია გზები ქვეყნის ოთხსავე მხარეს.
 გამოვტაცებ ლუმელს ცოტა გულის სითბოს,
 მოვინატრებ დღეებს უქაროს და მზიანს,
 ბედნიერების და უბედობის ზღვარზე
 ვცხოვრობ, ჩემს ამ ყოფას თუ ცხოვრება ჰქვია.



ჩვენ შევსრიალდით ღამის წყვედიადში,
 მანქანამ უცებ დაკარგა კვალი,
 ზეცა გადახსნა ელვის მახვილმა,
 რტოებში ავად აკვნესდა ქარი.
 ტყე შეეზარდა ღამეს ტოტებით,
 ღამის შევასკდით ტანმაღალ ნაძვებს,
 ნუთუ დღეს უნდა გადავიხადო
 დაბადებამდე რაც ცოდვად მადევს?!
 ნუთუ არ მეყო ამდენი ტანჯვა,
 ელჭექიანი დღეების რიგი?
 ვინც ჩემი ბედის ძაფს ასე ხლართავს
 ვინ არის იგი?
 ვინ არის ნეტავ, ანდა სად არის?
 გამომიწოდოს საშველად ხელი,
 მაინც რა არის ესე ცხოვრება?
 რაც უკვე მოხდა თუ რასაც ველით?

მუზას

შემოდგომაა, გარეთ ფოთლებს აცეკვებს ქარი,
 შენ კვლავ მოხველ და სიმარტოვის შეხსენ კარები,
 რად ხარ ზოგისთვის დედასავით გულმოწყალო და
 ზოგისთვის მარად შეუცნობი, მიუკარები ^{ქრისტეშვილი}
 თ, როგორ გშვენივს ეგ სანდლები, ნაქარგი სხივით, ^{გულმოწყალო}
 ქარმა გიქსოვა ალბათ წვიმით თეთრი მანტია,
 შენი სტუმრობა, საოცარი შენი სტუმრობა,
 ამ დედამიწას სულ ლექსებად გულზე ატყვია.
 ვის რა აქვს განძად, ზოგი ყვითელ ფოთლებს
 აგროვებს,
 ზოგი ზღვის კენკვებს, ზოგი ეკალს, ზოგი მონეტებს,
 ამ ათას ჭურის ხალხში, ათას ფერად ნიღაბში,
 მითხარი, მუზავ, როგორ არჩევ ნამდვილ პოეტებს?
 შენ მათ კარნახობ ბედისწერას და არა სიტყვებს,
 შენი სტუმრობა არასოდეს არ არის გვიან,
 მადლობელი ვარ, რომ მაჩუქე სევდა და ლექსი,
 მადლობელი ვარ, რომ მეც შენი მხევალი მქვია.

კაცი ჰქვია მიწას მხოლოდ
 უფლის ხელით მონაზელს,
 აქ ამ კასთან ალბათ ხშირად
 ჩაუვლიათ მონაზვნებს.
 მონასტერთან, როცა ხეებს
 შემოდგომა ფერავდა,
 ალბათ ბევრჯერ გატეხვით
 კასთან თიხის ხელადა.
 ტანი მათი — მწუხარება,
 სული მათი — ნეტარი,
 სახე მათი — მსგავსი ცვილის
 რად მეზმანა ნეტავი?
 არც დღეები სავსე ვნებით
 და არც თავდავიწყება,
 ამპლიტუდის ვერცხლის ძაფზე
 რა ხილვები ირწევია?
 რომ არ ლექსი — შველა ჩემი
 ზმანებანი შემშლიდა,
 იპარება თეთრი ნისლი
 ველ-მინდვრების პეშვიდან.



გეზინა ორ ნაწილად ჰყოფდა რეზას დასახლებას. ოვერნის ამ მიყრუებულ კუთხეში ოცდახუთამდე ვარდისფერსახურავიანი სახლიდან თორმეტიოდე ამწვანებულ ველზე იყო განლაგებული, დანარჩენი კი — გეზინას გაღმა მხარეს, მწირ მიწაზე. ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა მეტად საბიფათო იყო, შეიძლება ფეხი დაგცდენოდა, ხრიოკ ფლატეზე ჩაგორებულიყავი და პირდაპირ გეზინას პატარა, მაგრამ საშიშ მორევში ამოგეყო თავი. გასაკვირი არა იყო, რომ ამ გაღმა-გამოღმა მცხოვრებ ხალხს, რომელთა შორის ეს საშიში მორევი ტრიალებდა, არ ჰყვარებოდა ერთმანეთი.

განსაკუთრებით კი ორი ადამიანი შეეპყრო სიძულვილს: ჟაკინო და კინკინი. ერთი იყო ხმელი, საგოზავივით პირყვითელი კაცი, მეორე კი მშვიდი, ლაქლახა, მხიარული და ბავშვების გამრთობი.

ამბობდნენ, ოდესღაც უანლოენი მეგობრები იყვნენო და ისე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, დიდხანს არ შეიძლება გაგრძელებულიყო მათი სიახლოვეო. ერთხელ ერთ-ერთი მათგანი შურმა მოიცვა — ეს ჟაკინო იყო ჩათესილი. შური მერე სიძულვილში გადაიზარდა. კინკინს წინააღმდეგობა არ გაუწევია.. არ ვიცი, სისულელით მოუვიდა თუ რით, როგორც გნებავთ განსაჯეთ, და ბედს დამორჩილდა.

ასე და ამგვარად, ამ ორ ახალგაზრდას შორის საოცარი შუღლი ჩამოვარდა. ისინი ახლა ერთმანეთის ჯიბრზე ცდილობდნენ გამდიდრებას, ეს იყო მათი ერთადერთი მიზანი — ვინაიდან ერთის გამარჯვება მეორის დამარცხებას ნიშნავდა.

თავდაპირველად მათი ფინანსური მდგომარეობა ერთნაირი იყო. 1894 წლის შემოდგომაზე ჟაკინომ ეტაბლეში მიწის ნაკვეთი იყიდა. 93-ში კი კინკინმა მანსურში შეიძინა შავმიწიანი ფერდობი. გავიდა რამდენიმე წელი და ჟაკინომ თეთრხალებიანი მეწველი ძროხით გაამდიდრა თავისი ოჯახი, მაგრამ ვერ მოასწრო ამ შენაძენით გახარება, რომ კინკინმა თავის საბლს სახედარი შემატა, რომელსაც რემი ერქვა.

ამ ამბის შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა მათ ცხოვრებაში. შეიცვალა კინკინიც, ჩვეული უदारდელობა ისევ გაელვიდა და ძველებურად მეოცნებე გახდა. თანაც ძლიერ შეუყვარდა თავისი ერთადერთი ახლობელი, სულიერი არსება. გრძელნაცრისფერბეწვა. დიდყურა და ალალთვალეობა რემი.

რაც უფრო ეჩვეოდა თავის ცხოვრების უტყვე თანამგზავს, მით უფრო კარგავდა ჟაკინოსთან ბრძოლის სურვილს, დაუზოგავ შრომასა და ეკონომიურ ცხოვრებას თავი ანება და მოქიშპეს აღარ ეჯიბრებოდა.

ჟაკინო კი პირიქით, იარაღს არ ყრიდა. კვლავ ენერგიულად იღვწოდა კინკინის წინააღმდეგ. გამარჯვების წყურვილი ახრჩობდა. მისმა დაუოკებელმა სი-

ხარბემ ნაყოფიც გამოიღო: როცა მარი პეზარის ნაყოფიერი მიწის გაყიდვა გამოცხადდა, რომელიც ორმოცდაათი წელი გამოუყენებელი იყო, ჟაკინომ ისიც შეიძინა.

ასეთი მოულოდნელი ლახვარი მკვდარსაც კი გამოაცოცხლებდა, მაგრამ კინკინის უნდილობასა და სიმშვიდეს ვერაფერი დაავლევდა. მთვრალი კაცივით, რემის კი შეშლილივით უღიმოდა. ხან თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან კიდევ უარესი, რემის მიმართავდა, — და ვირიც დინჯად მისჩერებოდა სახეში.

ზოგჯერ სახლიდან გადიოდა და მინდვრებს გასცქეროდა, მუშაობა არ უნდოდა. იდგა მხოლოდ და გაპყურებდა მშვენიერ არემარეს, ზოგჯერ უმიზნოდ შემოუვლიდა ხოლმე სოფელს და იმით ერთობოდა, რომ მტირალა ტირიფებს იმ სოფლის კაცებს ადარებდა. ნიადაგ სისულელეების ჩმახვაში რომ იყვნენ, ზოგჯერ სახურავებს შესეული ასობით მტრედის ხმაურიანი აფრენა მარაოს გახსნასა და შრიალს აგონებდა, და კიდევ ბევრი ამგვარი ფიქრი და წარმოდგენა მოაწვებოდა ტყის, ფოთლებისა და ცხოვრების შემყურეს.

და აი, მოხდა ისე, რომ კინკინს ვალი დაედო, ეს ვალი თავდაპირველად უმნიშვნელო იყო. მერე გაიზარდა და მდგომარეობაც გაძნელდა. ჯერ დააცადეს, მაგრამ ბოლოს ყოველგვარი ვადა ამოიწურა. ვინ არ იცის, რომ ნოტარიუსის მიერ გამოგზავნილი შეტყობინება ისევე სარწმუნოა, როგორც სულიერი მამის დარიგება, ამიტომ რალაც უნდა გაეყიდა. ასე გამოაცალა ხელიდან ჟაკინომ მიწის ის ნაგლეჯიც, რომელზეც ბევრი ოფლი უღვრია კინკინს.

ო, რა დიდებული გამარჯვება იყო! ჟაკინო გეზინას გაღმა მხრიდან პირდაპირ მტრის გულში შემოიჭრა. მართლაც შთამბეჭდავი სანახავე იყო კინკინის მამულში აღმართული ღობე, რომელმაც ყველაფერი დაამახინჯა.

ამის შემდეგ კინკინმა, ცოტა არ იყოს, მოიწყინა, დაღონდა და ქუჩაში თავდახრილი დადიოდა. მერე გაზაფხული დადგა და ცოტა გამოფხიზლდა, დამშვიდდა და ერთ დღეს გამოუსწორებელი ჩიტივით კვლავ გაისმა მისი სიმღერა.

და აი, სწორედ მაშინ შეხვდა ლეონტინას, ქალი მზესავით ანათებდა, ოქროსფერა თმა ცეცხლის ენებივით ეხვეოდა თავზე, მის ნათელ თვალებში თითქოს ურიცხვი განძი იმალებოდა. კინკინი ჯერ გაბრუებული დადიოდა, ყველგან მას ხედავდა, მისი ხმა ესმოდა, მაშინაც კი, როცა ერთად არ იყვნენ. მერე მთელი ქვეყანა ერთ მშვენიერ სასახლედ გადაიქცა, რომელიც ლეონტინასათვის იყო აშენებული. ერთ საღამოს ქალი ანაზდად შეჩერდა მის გვერდით და უცოდველი თვალებით შეხედა. ამის შემდეგ რამდენიმე ღამე გავიდა და კაცმა ძლივს გაბედა ლოცვასავით რალაც წაელუღლუღა მისთვის. ქალს ხავერდივით ნაზი ლოცვები შეეფაკლა და პოი, სასწაულო! ყურადღებით მოუსმინა!

მაგრამ ივნისი არ იყო მიწურული, რომ ქალი გაქრა. თავზარდაცემული კინკინი ყველგან ეძებდა, ელოდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს დაინახა, მისი ყვავილი მდინარის გაღმა მხარეს, ჟაკინოს სახლის ზღურბლზე გაფურჩქნულიყო.

ჟაკინომ საცოლეს წაართვა. ბედშავმა ერთხელაც გაიბრძოლა, შეეცადა ქალი დაებრუნებინა, მაგრამ ლეონტინა დაემალა, მასთან სალაპარაკოდ მამა მიუშვა, მამამისმა კი უხეში და უშვერი სიტყვებით გამოსიტუმრა კინკინი.

ამ ამბის შემდეგ იმედგაცრუებული კინკინი ამაოდ ცდილობდა დაკარგული სიხარულისა და სიმშვიდის დაბრუნებას. ჟაკინო ხარობდა, კინკინის საქმე კი თანდათან უკან და უკან მიდიოდა. სახე დაუნაოჭდა, მწუხარე იერი დაედო, ყველა ერიდებოდა, სოფლის გოგოები გაურბოდნენ. მხოლოდ რემი შერჩა, ერთგუ-

ლი რემი, რომელსაც უფრო დაუახლოვდა. შემოხვევდა ხოლმე მკლავებს/ტი
სერზე და საოცრად მაღლიერი იყო, როცა სახედარი მისკენ მიიწეოდა, რათა
უკეთ მიხახუნებოდა თავის პატრონის მკერდს.

შემოდგომის წვიმებმა საბოლოოდ გააკოტრა საბრალო კინკინი/რისკინი
ლი იყო ყველაფერი გაეყიდა, რაც გააჩნდა. როგორც ყოველთვის ხდებდა ხოლმე,
ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა, იმ დღეს, როცა ყველაფერი გაეყიდა, ავად
გაბდა და ლოგინში ჩაწვა.

მთელი ღამე სიცხისაგან იწვეებოდა, საშინელი კოშმარები ჰქონდა, თვალი
რომ გაახილა, გათენებულიყო, ის მარტო იწვა. იფიქრა, დავუძახებ ვინმესო, მაგ-
რამ რადგან გულშემატკივარი არავინ ეგულებოდა, გადაიფიქრა. თანაც სი-
ხისაგან დასუსტებულს განა შეეძლო ყვირილი?

მარტოდმარტო იწვა და სევდიანად ატრიალებდა ნასიცხარ თვალებს. მაგ-
რამ აი, გაიღო ოდნავ მიხურული ფანჯარა და უჩვეულო ლანდი გამოჩნდა — ეს
იყო რემი, რომელიც პატრონის სანახავად მოვიდა, საბრალო, გაოგნებული რემი.
უტყვი სინაზისა და სიყვარულის განსახიერება.

კინკინს უნდოდა ეთქვა, მხოლოდ შენ ერთმა არ მიმატოვეო, მაგრამ რაღაც
უჩვეულო ხმა აღმოხდა. თითქოს სიზმარშიაო, ისე გაიშვირა მისკენ ხელები და
მთელი არსებით, სულით და გულით მიმართა მისთვის ყველაზე ახლობელ არ-
სებას.

მაგრამ ასეთი გრძნობებისათვის ყრუ რემიმ ერთი გააქნია თავი და წავიდა.
კინკინი იმ ღამით ან სულაც იქნებ მეორე დღით გარდაიცვალა.

ქაკინომ იყიდა მისი სახლი. მტრის უდროოდ სიკვდილმა დაჩრდილა საბო-
ლოდ გამარჯვების სიხარული.

ყველაზე მეტად რემის წაყვანა გაუძნელდა. ვირს თითქოს გადაეწყვიტა აქ
დარჩენილიყო და ჯიუტად ჩაერჭო ფეხები მიწაში. მაგრამ სცემეს და იძულებ-
ული გახდა ახალ პატრონს გაჰყოლოდა. ისინი გაჰყვნენ გეზინას ნაპირს, გა-
იარეს ხიდი. შეორე მზრიდან მარჯვნივ მიმავალ გზას აჰყვნენ და ქაკინოს სახლს
მიადგნენ. იმავე დღეს შეაბეს რემი ურემში და კალამანდას ბაზრობაზე წაიყ-
ვანეს.

ლეონტინა კისკისებდა, უხაროდა, რომ ახლა საკუთარი ეტლიც ჰყავდა.
სიამაყითა და სიხარულით აღვსილ ქაკინოსაც უფერული ნაკვთები შეფაკლოდა.

ცოლ-ქმარი ძლივს მოთავსდა მწვანილსა და კალათებს შორის და რემიც
მათრახის ცემით დაიძრა ადგილიდან. მაგრამ ვირმა, იმის მაგივრად, რომ პირდა-
პირი გზით წასულიყო, მარცხნივ გაუხვია და მინდორ-მინდორ კინკინის სახლი-
საკენ გაჰყენდა მდინარის გაღმა.

აუწერელი იმედით ბრუნდებოდა ვირი თავისი პატრონის სახლში. ურემი
გზას აცდა და არახრახდა. ქაკინო იგინებოდა. ღრიალებდა, ლეონტინა კიოდა,
მაგრამ რემის არც მათი ყვირილი ესმოდა, არც საშველად გამოქცეული გლეხე-
ბის შეძახილები, არც ქაკინოს მიერ მაგრად მოჭიმულ სადავეებს გრძნობდა.
მთელი თავისი ალალი, ერთგული არსებით იმისკენ მიისწრაფოდა, ვინც უყვარ-
და. საკუთარ სახლში სურდა დაბრუნება და სხვა არაფერი ჰქონდა საბრალოს
გულში. ქაკინო წამოდგა, რათა გადამხტარიყო, მაგრამ გაგიჟებული ლეონტინა
ჩამოეკიდა და არ გაუშვა. ურემი მიუახლოვდა კლდეს. სანამ მორევში გადაე-
შვებოდა, რემი ერთი შემოტრიალდა და სახეში შეხედა თავის ახალ პატრონებს.
მათ მოასწრეს სახედრის ალალ თვალებში აკიაფებული უჩვეულო შუქი დაენა-
ხათ.



ფრანგულიდან

თარგმნა მამუკა სალუძვაძემ

ჟანა ტიტინებს

ტიტინებს ჟანა, თუმც რას ამბობს თვით უწყის განა?!
მიმართავს დედას გაჯავრებულს, ტყეებს შრიალას,
ხეებს, ბუდეებს, პირქუშ ღრუბლებს ცაზე რომ ჩანან;
ვეღურტულება მოწყენილი ბაღლი იალაღს.
ისეთი ღრმაა საუბარი, როგორც დუმილი;
და კვლავ ღიმილი, კრთომა სულის, თრთოლა ოცნების;
ჩურჩული ჩუმი, უცნაური და იდუმალი.
ღმერთი — ბაბუა ისმენს ბაასს განაოცები.

სასჯელი

ცუდ დღეში გახლდათ: საკუჭნაოს ერთ ბნელ კუთხეში
მიყუჟულიყო და დასჯილი სწუხდა ყრუდ ხვნეშით.
საქმეებს მოვწყდი, დამნაშავე მოვინახულე,
თანაც მურაბა მივუტანე გადანახული,
მაგრამ კანონი?... უკანონოდ ვინც კი ირჯება,
კანონის ძალით, როგორც წესი თავად ისჯება.
და ჟანამ მითხრა მოწყენილად, თვალეებში ცქერით:
„პირობას გაძლევ, არ ვიწვალე აწი ცხვირს ცერით;
რომ არ დამპორტყნოს, აღარც კატას მივეკარები“...
აქ შემოგვისწრეს, შემოიღო უცებ კარები.
„ამ ბავშვმა თქვენი ყველა სუსტი წერტილი იცის.
იცის, სხვები რომ უწყობიან, თქვენ იწყებთ სიცილს;
ეს რა წესია?! აღარ არის მართლაც საშველი,
აღარც დატუქსვა აღარა სჭრის, არც რამ სასჯელი.
თქვენი წყალობით ყველაფერი წყალში ჩაყრილა“
და მე კუთხეში ატუხული და თავდახრილი
ვპასუხობ: „ღიახ, სასამართლო რამეთუ ადგენს,
ვალდებული ვარ, დამნაშავე კუთხეში დავდგე-
ადამიანებს ხშირად ბრალად იმას ადებენ.“

სიკვდილმისჯილებს თანაგრძნობას რომ უცხადებენ“.
და უნაზესთა ქმნილებათა უფლებით სრულით,
ჟანა, უმანკო თვალთა კრთომით, მთრთოლვარე სულით
მეჩურჩულება და ნუგეში არის ამ ხმაში:
„შენ რომ დაგსჯიან, მე მოგიტან მურაბას მაშინ“.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ცხოველი

პატარა ჟანა ოცნებობდა ბალახში მჯდარი;
მივუახლოვდი, ვკითხე: „ჟანა რა გსურს, მითხარი?“
მისი სურვილი, რადგან ჩემთვის იყო ბრძანება,
უნდა მცოდნოდა მე ყოველი, თუნდაც ზმანება,
თუნდაც ოცნება, თუნდაც ფიქრი, ან თუნდაც ზრახვა;
„იცი რა მინდა?!“ გამომიტყდა — „ცხოველთა ნახვა.“
მე ჭიანჭველა დავანახე: „ხედავ, პაწიავ?!
უკმაყოფილოდ შემომხედა, თავი ასწია.
„არა, ცხოველი არის დიდი“. მათი ოცნებაც
არის ცხოველი, ამიტომაც მათებრ დიდია;
ისინი ქარში ოკეანის პირას მიდიან,
სადაც მოვლით სისასტიკე და საოცრება.
აქ, უგზოუკვლოდ ძრწიან ქარში მათი ჩრდილები
და კვალად სთვლემენ ცხელ ქვიშაში ჩაბეჭდილები.
„რა ვუყვით, სპილოს სამწუხაროდ აქ ვერ გავაჩენ,
სხვა ყველა სურვილს შეგისრულებ, ყველა დანარჩენს“.
„მაშინ ის“ თქვა და მიმითითა საღამოს ცაზე...
შორს ჰორიზონტზე იდგა მთვარე ბადრი და სავსე.

გატეხილი ლარნაკი

ოპ, ღმერთო ჩემო! დამსხვრეულა მთელი ჩინეთი!
ფერმკრთალი ვაზა, ისე ნაზი ვით ათინათი,
აქრელებული ყვავილებით და ჩიტუნებით,
ლურჯ ოცნებიდან გადმოხატულ უცხო ბუნებით.
სახლს ალაგებდა მარიეტა, ხელი თუ გაჰკრა
და პა, ოცნება სამუდამოდ დაიმსხვრა, გაქრა.
ლამაზი ვაზი, ოვალური, ზმანებით სავსე;
ოქროს ხარები ფაიფურის ფერდობის თავზე,
როგორ მიყვარდა! სენის პირას მქონდა ნაყიდი;
ხშირად მიცდია რომ ამეხსნა მისი ნახატი;
ფიქრში წასული ვკითხულობდი ბუტბუტით ნახატს:
აი იაკი; აი კიდევ ოთხფეხა რაღაც;
ბუ ფულუროში, მეფე ტახტზე, ხოლო ეშმაკი
ზის ჯოჯოხეთში შემზარავი და სახეშმაგი,
ეს ურჩხულები საშინელნი სულ არ არიან;

ბაეშვი გრძნობს, მაინც ეშინია, თან უხარია
მოგონებების გატყდა ვაზა; იგი მკვდარია
ამ აზრმა ხელად გამახელა და გადამრია
„ვინ გადმოაგდო?!“ ვიღრიალე, სიჩუმე დადგა
და მ სიჩუმემ იმავე წამს ჩემი ხმაც შეასმენეს
ალბათ შემატყო განრისხება, შემეტყო რადგან
უნამ გახედა მარიეტას და იცით რა თქვა?
„ეს მე, შემთხვევით...“ და მომაპყრო რიდით თვალები
ჩემი ღრიალით დამფრთხალები და შემკრთალები.



და მერე, თურმე მარიეტას უთხრა პაწიამ:
„ბაბუაჩემი კეთილი და კარგი კაცია.
მე ხომ ვიცოდი რომ არაფერს მეტყოდა ბაბა;
შენ რა გეგონა, სხვანაირად ფიქრობდი აბა?!
საწყალს, იმის დროც კი არა აქვს, რომ გამიბრაზდეს;
ის ხომ ყვავილებს, როგორც პეპლებს მთელს ბაღში
დასდევს;
და მხოლოდ მაშინ, როცა გარეთ ძალიან ცხელა,
გვარიგებს, მზეზე რომ არ ვიყოთ ჩვენ თავშიშველა,
რომ ცხოველები არ ვაწვალოთ უბრალოდ, ტყვილად,
რომ მარმარილოს კიბეებზე ავიდეთ ფრთხილად,
რადგან კიბეებს წვეტიანი აქვთ კიდეები.

გვეტყვის, წავა და გაპყვებიან მწყრივად ბეები“.

ჩემს ძალიშვილს

მთლიდ პაწაწინას, შენ გეძინა ჩემს გვერდით
ტკბილად,
ვით ყრმა იესოს ბაგასა შინ მიქცეულს ძილად;
უთუოდ, რაღაც ლამაზ სიზმარს ხედავდი ძილში...
და ძილი შენი იყო ისე წყნარი და მშვიდი,
არც კი გესმოდა ბაღში როგორ გალობდა ჩიტნი
ნის ტოტზე მკდარი ჩეროთა ჩრდილში.

მე ჩამესმოდა ანგელოზთა ფრთათა შრიალი,
მძინარეს თავს რომ გეხვეოდნენ ფრთხილი
ფრთხილით;
და ვლოცულობდი მოდარაჯე შენი ძილისა;
გეფერებოდი, ჩვეულებრივ საფენტა ნაცვლად
მიხაკს და ეასმინს სურნელოვანს გიფენდი საცვლად,
თვალდანამული ცვარით დილისა.

ერთ მშვენიერ დღეს, ოდეს მიწას მიმაბარებენ,
საბნად მძინარეს მეც ყვავილებს მიმაფარებენ

და ჩარაზავენ, ჩალურსმავენ ჩემს შავბნელ საკანს;
ველარ გავიგებ ღრმად მძინარე, ჩიტის გალობას;
შენ კი ილოცებ, შესთხოვ უფალს ჩემთვის წყალობას
და სამუდამოდ დამირწევ აკვანს.



პერიის სიხარული

ოჯახი ბავშვის დაბადებას ხვდება მჭუხარედ
და ამ დღეს სახლში აღარავინ არის მჭუხარე
და გულიც ყველას ხალისით უძგერს.
შუბლშექმუხვნილი, მკმუნვარე და გულჩათხრობილი,
თვით მოხუციც კი ღაღობს, როცა ახლად შობილი,
ჩვილი უმანკო ღიმილით უცქერს.

თითქოს ივნისი შეახლო, ისე შეახლო
ხილვა ბუნების ახლადშობის და ვგრძნობ მე ახლო
ამ განახლებით მოგვრილ სიხარულს.
ბავშვის გაჩენით ჩნდება სახლში იმედი ხვალის,
თუმცაღა დედის მღელვარება თან ახლავს ხალისს,
როდესაც შვილი იწყებს სიარულს.

ზოგჯერ ვსაუბრობთ სამშობლოზე მხურვალედ,
გზნებით;
ვსაუბრობთ ღმერთზე; პოეზიის ხვეული გზებით
და გზად ვედრებით მალღდება სული;
მაგრამ როდესაც ჩნდება ბავშვი, მშვიდობით მაშინ,
ღმერთიც, სამშობლოც, პოეზიაც თავს იყრის მასში
და ცვლის საუბარს სიჩუმე სრული.

შენ, პაწაწინავ, ცისკარი ხარ, მე ვარ დაბლობი;
მე ყვავილებით შენს სუნთქვაში ვარ შთანაფლობი,
შეშფოთებული ფშვენით, თუ ქშენით;
ფაფარაშლილი, მოშრიალე ტყე გადახრილი
სულია ჩემი, სადაც ტოტებს შორის ჩაღვრილი
ოქროსფრად კრთიან სხივები შენი.

თვალეები შენი შუქის მფენი, ხოლო ხელები,
პაწაწინები, ფაფუკები, უცოდველები,
ჯერ ყოფის ჭუჭყში არ ამოსვრილან;
ტერფებიც ჯერ არ შეგნებიან ტალახს მიწიერს;
სული კი წმინდა, რომ არ იცნობს ვნებებს მიწიერს,
შარავანდედის სხივით მოსილა.

შენა ხარ მტრედი კიდობნისა, კაცთ გადამრჩენი;
ჩვენ დანარჩენნი შენს იმედად ვართ დანარჩენნი,
ლაყვარდფრთიანო მაცნევ კეთილო.

ფერფლი და ალმასი



რომანი

პოლონურიდან თარგმნა ბიორგი მაჭუტაძემ

გამოჩენილი პოლონელი მწერლის ეჟი ანჯეფესკის რომანი „ფერფლი და ალმასი“ 1959 წელს ნეიტხველთა ასეციის მიხედვით პირველ იქნა ომის შემდგომი თხუთმეტწლეულის საუკეთესო წიგნად; იგი შეტანილია სკოლის პროგრამაში.

პოლონეთის საზოგადოებრიობაში მომხდარი ცვლილებების ასახვა, ახალი საზოგადოებრივი ძალების გამარჯვება, აი, რაშია ან პოლიტიკური და ფსიქოლოგიური რომანის ღირებულება.

ნაწილები „დღიურიდან“

13 ივნისი

1946

სანტონ კოსეცკის ამბავი. პატიოსანი და თავაზიანი კაცია, ყველას უყვარს; ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში სულით ეცემა. რა მოსდის, შინ რომ ბრუნდება? სახელწოდებაა: „ომის შემდეგ“.

4 სექტემბერი

სანამ საწერად დაეჯდებოდე, საოცარი შიში შემიპყრობს ხოლმე. არაფერს მშველის, როცა მაქებენ და იმ ნაწარმოებებს ასხამენ ხოტბას, აქამდე რომ დამიწერია. ბუნდოვნად წარმოვიდგენ, რისი დაწერაც მწადია, მაგრამ რაკი ძალიან ბევრის მოსურნე ვარ, ეს ჩემს ძალას აღემატება, ოცნება ოცნებად რჩება. აღიარებას ველოდი, მაგრამ ხანდახან საკუთარი თავის აღარ მჯერა. რამდენჯერ ყოფილა, მწერლად მიგრძვნიდა თავი რამდენი რამ განმიცდია ჩემს ცხოვრებაში; ახლა, ორმოცი წლისა რომ ვხდები, ისეთივე მტანჯველი ექვეები მიჩნდება, როგორც მაშინ, როცა ჩვიდმეტი წლის ვიყავი. ათასნაირი ფიქრი და ოცნება მიკლავდა გულს, მაგრამ ვერაფერი მელონა. ვიცი, რამდენი ნაკლი მაქვს, იმისი კი აღარ მჯერა, რაიმე ღირსება თუ გამაჩნია.

კვირა კვირას მისდევდა, თვე — თვეს, მაგრამ კმაყოფილება მაინც არ მიგრძენია. მიუვარს წინააღმდეგობრიობა. ერთადერთი რაც მაწუხებდა. ეს იყო ჩემს არსებობაში ჩაბუდებული შეშფოთება. უნდა დავძლიო ეს შეშფოთება.

ეროვნული
გზისკაცობა

პრალას გამგზავრება 20 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე გადაიდო. ვაითუ, როგორც სხვა დროს, ახლაც ვერ წავიდე უცხოეთში. სულ ამერიკა ახლო მომავლის გეგმები. ბოლოს და ბოლოს უნდა ჩავჯდე და ვწერო, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც მესმის, რომ ახლა წერის დაწყებას აზრი არა აქვს, ცოტა ხანში ერთი თვით უნდა შევწყვიტო მუშაობა. გამოვითვალე, რომ ოქტომბრის მიწურულს კრაკოვში დავბრუნდები. ამ წიგნზე მუშაობა შუა ნოემბრამდე მაინც გაგრძელდება.

წუხელ, ლოგინში რომ დავწექი, დიდხანს არ დამეძინა, დიდ, ეპიკურ რომანზე ვფიქრობდი, უკანასკნელი ომის ბოლო დღეები გამახსენდა, იქნებ ხორცი შემესხა ორასიოდე ადამიანისათვის და მათ შორის უთანხმოება ჩამომეგდო, მაგრამ ვიცი, ეს არ არის ჩემი საქმე, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს ცოცხალ ფაქტებზე, უფრო მემარჯვება ადამიანის განცდებზე ვილაპარაკო, ვიდრე იმ ქვეყანაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ, ბატის ტვინი მაქვს. არასოდეს მქონია განსაკუთრებული მეხსიერება. მხოლოდ იმას ვიმახსოვრებდი, რაც მჭირდებოდა, ამ ბოლო წლებში სულ დამისუსტდა მახსოვრობა. დაბნეულობა, უყურადღებობა დამჩემდა, მავიწყდება წვრილმანები, ადამიანთა სახეები, დამახასიათებელი მიზრა-მოხრა და ხმა. ჩემთვის საგულისხმო ხალხს ვიმახსოვრებ, მაგრამ სხვას? ერთხელ რომ ვილაყას ვნახავ, მეორეჯერ მავიწყდება მისი სახე. ამის გამო ათასჯერ მოვქცეულვარ უზრდელურად. ვიცი, რომ ზოგის თვალში უზრდელი ვარ და სწორედ ამიტომ ვწერ. არ ვასახელებ ქალს, რომელსაც უკვე წარუდგინეს ჩემი თავი, და ვეცნობი მამაკაცს, ვინც თურმე სხვა გარემოებაში გავიცანი.

ომამდე და ოკუპაციის წლებში თუმცა დიდძალი მასალა დამიგროვდა, უამრავი ჩანაწერები მქონდა, ყველაფერი დამეკარგა; მას მერე უკვე ამდენი თვე გავიდა, მაგრამ უფრო მტკივნეულად განვიცდი ამ ამბავს. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ დიდ სარგებლობას მოუტანდა 1927-29 წლებში, შესაძლოა სულაც 1931 წლამდე ნაწერი დღიური. ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა ისაა, რაც მწერლის ლაბორატორიაში ხდება. დასრულებული წიგნი უკვე აღარ მაინტერესებს. სამაგიეროდ, ძალიან საგულისხმოა იმის გახსენება, რა გზით მივალწიე გარკვეულ წარმატებას.

ამდენი თვის უქმად ყოფნის შემდეგ წერა თუ დავიწყე, ეს ჩემთვის განსაკუთრებით დიდი რამ იქნება. რა შემიძლია, რა არ ძალმიძს? კაცმა რომ თქვას, რა ვიცი საკუთარ თავზე? შეიძლება გაქრა ჩემი ნიჭი, გაიყინა, იქნებ სიტყვა მლატობს. პროზა, პროზის ხელობა ნაკლებად რომ ვიცი, შეიძლება ეჭვი არ შემპარვოდა და ისე მეწერა, მაგრამ უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ამის გადმოცემა ძალმიძს.

16 ოქტომბერი

1851 წელს გამოცემულ „პოლონეთის სამეფოს თავად-აზნაურების ნუსხიდან“ დღეს გადმოვწერე სახელები და გვარები. ახლა ეს გვარები რუკაზე მიდევს. გაცოცხლდებიან კი ოდესმე? ვის სამსახურში ჩადგებიან? რა ბედ-იღბლი-

სა იქნებიან? ვინ გახდება პრეშელი, ხელმიცკი, შჩუკა, ფუციაციკი ან ლიპინსკი?

გუშინ და დღეს ისევ შემოდგომის მშვენიერი, მზიანი ამინდია. მწყინს, რომ ახლა არა ვარ მთაში.



21 ოქტომბერი

მთელი კვირა ჩანაწერებს ვუზივარ, რომანისტის რომ გამომადგება; ეს ჩანაწერები 1939 წლის მარტში უნდა იყოს დაწყებული და აჯანყების ჩაქრობამდე გრძელდებოდეს. ერთხელ კიდევ ვიხსენებ წიგნის სახელწოდებას: სამყაროს ბოვანა?

10 ნოემბერი

სამი დღეა კრაკოვში დავბრუნდი ჩეხოსლოვაკიაში ერთთვისანი ყოფნის შემდეგ. შინ ყველაფერი რიგზეა. მარისია თავს უკეთესად გრძნობს. მარცინი გაზრდილა, წითელი სვიტრი აცვია და ძალიან კარგად გამოიყურება.

19 ნოემბერი

დილის რვის ნახევარზე დაიბადა აგნეშკა.

10 დეკემბერი

დღეს მარცინი პირველად მყავდა თეატრში, გროტესკული სპექტაკლი — „დახატული სიმღერები“ ვნახეთ. ძალიან კმაყოფილი დარჩა; ყველაფერს მშვენივრად იგებდა, მხოლოდ ბოლოს წაიტერა, როცა იგრძნო, წასვლის დრო დადგა.

მარისია და აგნეშკა ერთი კვირაა შინ არიან.

14 დეკემბერი

წუხელ „ომის შემდეგ“-ის იმ სამ ფურცელს მივუბრუნდი, ჯერ კიდევ ამ წლის დამდეგს რომ დავიწყე. ამჯერად სულ სხვანაირად დავიწყე წერა, კოსეცკის ცხოვრებას კი არ აღვწერ, იმით დავიწყებ, ხანშიშესული კოსეცკის საქმეებს რომ შეამზადებს, რა უჩვეულო კაცია შჩუკა!

17 დეკემბერი

საშინელ პირობებში მიხდება ამ მოთხრობის წერა. პარასკევის მერე, დღემდე (სამშაბათამდე) მხოლოდ ცალი თვალით ვხედავ, მეორე თვალზე ჭიბლიბო მაქვს. ჩემს ბინაში ცივა, ჩემი ოთახი გალიგვებულია. თავს ძალას ვატანდი და ისევ ვწერდი, ხანდახან დაღლილობისაგან ვერაფერს ვხედავდი.

დღეს მეორე კარის წერას შევუდექი, რაც პირველი ვერსიის გავრცობა იქნება. მაინც არა ვარ დარწმუნებული, ბოლომდე კარგია თუ არა, ყველა ამბავს ვერ შევასხი ხორცი. შჩუკა, რომელიც თავდაპირველი ჩანაფიქრით საერთოდ არ

უნდა ყოფილიყო, წერის პროცესში გაჩნდა და ეპიზოდური როლი რომ უნდა შეესრულებინა, ჩემდა მოულოდნელად იმოძენა ფიგურად იქცა, საკრებულოში მაგდებს. ამ ორი ყმაწვილი კაცის: ლუდვიკ კოსეცკისა და სტანისლავ ხელმიცკის წინაშე სხვადასხვა ვითარებაა გადაშლილი. კოსეცკის უფროს ვაჟს ალექს რომ დაეკისროს რაიმე როლი?

გენერალის რეზიუმე

1947

11 იანვარი

„ომის შემდეგ“-ის მეოთხე კარის წერა დავიწყე. იმ კვირიდან ყოველკვირულ „რენესანსში“ დაიბეჭდება გაგრძელებებით. კურილუკმა, ვისაც მოთხოვნის სამი კარი მივუტანე, დამარწმუნა, აქედან რომანი გამოვაო. სიამოვნებით მივიღე კურილუკის წინადადება, ახლავე დავიწყოთ გაგრძელებებით ბეჭდვაო. მხოლოდ აუცილებლობა ამიხელდა თვალს, რა მექნა მერე, მხოლოდ აუცილებლობა თუ გამიფანტავდა ეჭვებს. არ მომწონს რომანის სათაური, იქნებ ნორვიდის სიტყვებით შემეცვალა:

გაქრობა ლამის და გათენების ზღვარზე?

8 თებერვალი

ზაკოპანეში ოცდაათი გვერდი დავწერე.

11 თებერვალი

ბიჭების ეპიზოდი პარკის ღვინის სარდაფში სრულიად იოლად დავძლიე სამ დღეში. შვება ვიგრძენი.

19 თებერვალი

მთელი დღე ისე გავიდა, ერთ წინადადებას ვერ მოვაბი თავი. ალბათ, შვება ვიგრძენი-მეთქი რომ დავწერე, იმისათვის დავისაჯე. ქვასავით მადევს გულზე, რომ „რენესანსისთვის“ მისაცემი აღარაფერი მაქვს.

26 თებერვალი

ექვს დღეში ერთი გვერდი ძლივს დავასრულე. გამიჭირდა. ძალიან დიდხანს ვასწორებ მანქანაზე ნაბეჭდს.

5 მარტი

მგონია, ერთადერთი რამ, რითაც ეჭვებს განიფანტავ კაცი, შრომაა, გამუდმებული. ყოველდღიური შრომა, მაგრამ გულში ეჭვი თუ ჩაგებულა, ეს საშინელებაა. აპათიას იწვევს, რაც გადაულახავად გეჩვენება.

დადლილობას გრძნობ, მტანჯველი ფიქრი მოგესევა, არა, ეს ასე არ არისო.

ნამდვილი შემოქმედებითი ალტყინება გვერდს გივლის, ერთი ხელის გაწვდენა-ზეა, მაგრამ მაინც გვერდს გივლის, არ ძალმიძს მისი სუსტი გაელვების მოხელ-თება, იმდენად უძლური ვარ, სასოწარკვეთილება მიპყრობს, მთელი ცხოვრება წაგებულია, დამარცხება შეუქცევადია, სიამოვნებით დავიძინებდი, ნეტავ, ღმერთო, თუ საათს ვაგრძელებდი ღამე.

ნეტავ, ღმერთო,
გინებლიყოთქა

7 მარტი

მთელი დილა სუფთა ქალაქს დავცქეროდი, მაგრამ სიტყვა ვერ დავწერე, უბრალოდ ამის ნიჭი რომ მქონდეს, მართლაც დიდი მწერალი ვიქნებოდი.

8 მარტი

დავიწყე მეექვსე კარი, თითქოს კარი გაიღო, სიმსუბუქეს ვგრძნობ და ისე ვბეჭდავ მანქანაზე.

29 მარტი

რამდენიმე ნაყოფიერი დღის შემდეგ ისევ მიცდება მთელი კვირა, ამ მოთხ-რობის პირველ კარს რომ ვწერდი, ბევრი სიძნელე შემხვდა, ბუნებრივად მე-სახეობდა გაგრძელება: განუწყვეტლივ ვმუშაობ, მხოლოდ ამის წყალობითაა, რომ წერა შემიძლია, საკმარისია მუშაობა შევწყვიტო და მაშინვე აბათიური ვხდები საკუთარი თავისა და იმის მიმართ, რასაც ვწერ.

დღეს დილიდანვე აუტანელი წუხილი შემომაწვა, ხელი არ გამიქანებია, ერთი წინადადებაც ვერ დავალაგე, თავში სიცარიელეა, მხოლოდ ნაშუადღევს გამოვცოცხლდი.

უბრალოდ, რა შევებას ვიგრძნობ, როცა ბოლოს და ბოლოს დავასრულებ „ომის შემდეგ“-ს. გულზე ლოდი მომეხსნა, არა, იმას კი არ ვამბობ, კმაყოფილებას ვიგრძნობ-მეთქი, წინასწარ ვიცი, ეს წიგნი კმაყოფილებას არ მომანიჭებს, კმა-ყოფილი მაშინ ვიქნები, როცა ახალ წიგნზე დავიწყებ ფიქრს, ნამდვილად საინ-ტერესო მხოლოდ ის წიგნებია, ჯერ ერთი სიტყვაც რომ არ დაწერილა, სხვა ყველაფერი შავი სამუშაოა. წამიერი ალტაცება, სიხარული და შეგრძნება იმისა, რომ ჩანაფიქრს ხორცი ესხმება, ვერ შეგიმსუბუქებს იმ მტანჯველ, მონურ ყო-ფას, თითოეული გვერდის დაწერას რომ ეწირება.

28 აპრილი

გუშინ სახლიდან არ გავსულვარ, ბოდნიცკის „კომედიაანტებსაც“ ვერ და-ვესწარი; მთელი საღამო ვიმუშავე, არაფერი გამომივიდა, ორი საათი ამაოდ ვი-ჯექი მაგიდასთან, ყველაფერი გადავშალე, რაც დავწერე და დავიძინე. რამდენი-მე დღეა, მკვდარივით მძინავს, დილით დაღლილობას ვგრძნობ, დამტვრეული ვარ, ისევ მოუსვენრობა მაწუხებს, მზარავს დრო, ასე რომ მიქრის, ნეტავ რამ-დენი ხანი ვიცოცხლებ კიდევ?

ყველაფერი, რასაც ახლა ვწერ, სუსტია, ხელოვნური, ღირებულებას მოკ-ლებული.

ორ დღეს დაპყო კრავოვში ზაკოპანეს მიმავალმა აღოლფ რ.-მ, ხუთშა-

ბათს ნაშუადღევს ჩამოვიდა ბრიუსელიდან იოზეფ ხ. ადოლფი ამ ერთი წლის წინათ ვნახე ზელენი გურაში, ორივენი ვროცლავს მივემგზავრებოდით. ზინე ხ. აჯანყების შემდეგ აღარ მინახავს, მოხდა ისე, რომ ჩემს ორ უფროს მეგობარს ერთ დღეს შევხვდი. ადოლფმა და მე ერთად ვისადილეფი, მკვლელებში ვსეირნობდით. რა გვაკავშირებს მოგონებების გარდა? დაგტყვევებდნენ? კარგად მესმის მისი. ნამდვილად დიდებული მწერალია, რა ადვილია მასთან ურთიერთობა! ისეთ კაცს, როგორც ადოლფია, ეჭვი რომ გაუჩნდება, ჩემს თვალში მხოლოდ ამაღლებს მას. ჩემი საკუთარი ეჭვი კი მამცირებს მე. მჯერა, რომ ადოლფი ყველაფერს დასძლევს, აი, ჩემი თავისა კი არა მჯერა. ნახევარ საათს ვისხედით ბეივანში, მოვიგონეთ წარსული, პაუ, რა ბანი გასულა მას შემდეგ, რაც ადოლფის პატარა ბინაში ხარბად შევექცეოდით უკანასკნელი გროშის ფასად ნაყიდ ბატის ხორცს! მაშინ მომავალი ჩვენ გვეკუთვნოდა, ყოველ შემთხვევაში ასე გვეგონა. იმ ახალგაზრდულ რწმენას, ოცნებებსა და მხურვალე ზმანებებს უკვე ვეღარ გავაცოცხლებდით.

სალამოს კოპერნიკის საბელობის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რამდენიმე პროზაიკოსის ეგრეთ წოდებული საავტორო სალამო გაიმართა. აქ ვიყავით ბრეზა, კისელევსკი, კურევი, მალევსკა, ვიატკოვსკი და მე. სტეფან კ. შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ ეკბინა და ჩემი მოთხოვნა არ ეხსენებინა. ამტკიცებდა „ომის შემდეგ“ მართალი ნაწარმოები არ არისო. სვეცკი ბოროტი კაცი ყოფილა, შჩუკა სუსტი და უნიათო. დამცინოდნენ, შენი რომანის ყველა პერსონაჟი პაპიროსს ეწევათ.

3 მაისი

ვერ დავუღე გული წერას. ვერაფერს ვხედავ, ჩემს გმირებს ბინდი ჩამოეფარა, თხრობის ძაფი გამიწყდა და ვეღარ გავსკვენი. მცირე იმედი მაინც მიბეჭტავდა გულში, რომანს მაისის მიწურულამდე დავასრულებ-მეთქი.

5 მაისი

დღეს ერთხელ კიდევ გავასწორე „ომის შემდეგ“-ის ასზე მეტი გვერდი. ამ კვირაში გლუკმანს გადავცემ. მის ღირსებაზე ვერაფერს ვიტყვი.

6 მაისი

წუხელ ეტი ხ.-მ. ლექცია წავიკითხა კათოლიკურ მწერლობაზე. უნივერსიტეტის დიდი სააქტო დარბაზი გაკედილი იყო. კარდინალი საპეპაც კი მობრძანდა. ეტი კარგად ლაპარაკობდა, ცნობილ მწერლებს ახასიათებდა, მოიყვანა მარიტენისა და შარლ დიუ ბოს ბევრი ციტატი, მერე პერსონალიზმზე ისაუბრა; ისე, კაცმა რომ თქვას, არც ერთი ახალი, საგულისხმო აზრი არ გამოუთქვამს. 1939 წლის გაზაფხულზე ლექცია წავიკითხე მწერლის ინდივიდუალობაზე, ეტის მწერლური პოზიცია ჩემთვის ძალიან ახლოს იყო. მაგრამ მეჩვენება, რომ იგი მაშინ ისევე არ იყო ჩემით კმაყოფილი, როგორც ახლა მე ვარ ევით უკმაყოფილო.

მთელი დღე მაგიდას ვუჯექი. ორი გვერდი დავწერე.

9 მაისი

ორი დღეა დადგა გაზაფხულის უმშვენიერესი დღეები. აყვავდა იასამანი. კიდევ ერთი გაზაფხული წამივიდა. გუშინ არაფერი დამიწერია, თუმცა მთელი დღე შინ ვიჯექი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
10 მაისი

დღეს დობრიში მივდივართ.

11 მაისი

მთელი დღე კარგად ვიმუშავე. შუალამისას გარეთ გავედი და დილაშუალოდ ვსერირობდი ხეივანში. დიდხანს ველაპარაკე ბიჭებს, სურნელოვან, დაცვარულ იასამანს რომ იპარავდნენ.

14 მაისი

ოსტერვას დაკრძალვაა. პაპანაქებაა. ერთ საათს გაგრძელდა სიტყვების თქმა თეატრის წინ. რა არ ილაპარაკეს მიცვალებულზე. ყველაზე მძაფრი ადამიანური წუხილიც კი შეიძლება გროტესკად იქცეს, დამაფიქრებელია, რა საოცრად ვგავართ მაიმუნებს: ადამიანების წინაშე ვიცვლებით ხოლმე. ხშირად ვიქცევი მაიმუნურად? ჰო, ვიცი მე ეს.

15 მაისი

დილით კატოვიცეს უნდა გავემგზავროთ და ჩეხოსლოვაკ მწერლებს დავხვდეთ: შარშან შემოდგომაზე ჩვენ ვიყავით იქ, ახლა ისინი ჩამოვიდნენ. ავტომანქანით მივდიოდით მე და პროფესორი ჰენრიკ ბ. დღემდე არ ვიცნობდი მას. ღმერთო!

ჩამოვიდნენ: ჰალასი, რეჟეაჩი, ნორი, პუიმანოვა და ორი სლოვაკი მწერალი. სავოევოდოში ვისაუბრეთ. წარმოითქვა სიტყვები, მოწყენილობამ ბელი დაგვრია, მე და ჰალასი კინალამ არაყის მოსატანად წავედით.

21 მაისი

საშინელ სასოწარკვეთილებას, უკმაყოფილებასა და დაღლილობას ვგრძნობ. მესამე დღეა თხუთმეტ-თხუთმეტ საათს ვმუშაობ. ყველაფერი, რასაც ვწერ, უმნიშვნელო და მოსაწყენი მეჩვენება. ძილი გამიჭრა, არც ჭამა მინდა. ჩემი ტვინი ნაკუჭშია ჩაკეტილი. აღარ მეოცნებება. ყველა სურვილი და მისწრაფება ამერ-დამერია, ვერაფერი გამირკვევია. ვინ ვარ? რა მინდა? რისი მაქნისი ვარ? ის, ვინც არ მიცნობს, ალბათ ფიქრობს, რომ კარგად ვცხოვრობ, ბედის ნებიერი ვარ. ოჰ, რა სუსტი და მარტოეული ვარ! აღარ მინდა ამაზე წერა. დავკარგე სირცხვილის გრძნობა. უძლურობა მკლავს, უსირცხვილობას საზღვარი აღარა აქვს.



წუხელ ვერ მოვისვენე. უძილობა მაწუხებს. მერე ჩამეძინა. ინათა თუ არა, ძილი გამიკრთა. უფრო მეტ დაღლილობას ვგრძნობდი, ვიდრე მძინის ლოგინში რომ ვიწექი. დავაკვირდი, ეს ერთი ხანია ისევ მესიზმრებოდა — ისტაბულის დროინდელი მოგონებები. მესიზმრებოდა გერმანელები, მრავალი გაქცევა, ადამიანური შიში გარდაუვალი სიკვდილის წინაშე. გასაოცარი ის არის, რომ როცა სიკვდილი მემუქრებოდა, არ მეშინოდა და იმიტომ კი არა, რომ მამაცი ვიყავი, უბრალოდ, მჯეროდა, არაფერი მომივა-მეთქი.

ღამით მარტო ავედი მთაში. ქვემოთ დამინახეს და მიხვდნენ, რომ მებრძოლი ვიყავი. უცნაური პარტიზანი, ადამიანი-თვითმფრინავი, შვეულად რომ ავდიოდი მთაში. ვულოცავდი კაფეებში მსხდომთ, რენუარის ქალებსა და კაცებს რომ ჰგავდნენ. მერე დიდ ხეზე ავედი (ალბათ, ის მოთხრობა გამახსენდა, 1943 წელს რომ მინდოდა დამეწერა: გერმანელებმა გესტაპოს მიერ გამორეკილი სოფლელები დიდ ხეზე რომ აუშვეს). შემდეგ მრავალსართულიანი სახლის ფანჯრიდან გადმოვხტი და მთაში ავედი, მაგრამ მტრებით სავსე სახლი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ის ადგილი, მე რომ ავედი. მერე სროლა ამიტეხეს.

ლოცვა რომ შემძლებოდა, მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვდი: იმის შეგნება მქონოდა, რომ რასაც ვაკეთებდი, სწორი და მართალი იყო.

გუშინს მერე დაულალავად ვმუშაობ. ხანდახან მეჩვენება, რომ ეს მოთხრობა უკეთესია, ვიდრე ვვარაუდობდი. ყოველ შემთხვევაში ისევ მივუბრუნდი და ვმუშაობ.

თავს უკეთესად ვგრძნობ. დაახლოებით ათი დღე დამკვირდება და დავასრულებ. ახლა თავში ნათელი აზრები მიტრიალებს. და თუ რამ მაწუხებს, ფიზიკური დაღლილობაა. დღეს ორჯერ დავლიე ყავა, სალამოს, რა თქმა უნდა, ძილის წამალი გადავყლაპე. ერთი კვირაა. წვერი არ გამიპარსავს, ოჰ, რა მასხარა ვარ! ერთხელაც არ ავყოლივარ ცდუნებას, გარეთ გავალ-მეთქი. ბუნაგში ვზივარ და თავს კარგად ვგრძნობ.

დავიწყე მეათე კარის წერა. ჩემი გონება ისე გამალებით მუშაობს, ჩაწერას ძლიერ ვასწრებ. ნამდვილად ბედნიერი ვარ.

მხოლოდ ერთ-ერთი. უკანასკნელი. მეათე თავი დამრჩა. მეათე დღეა სახლში ერთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს. ბოლო დღეები გულის გამაწვრილებელი სიცხეებია. ჩვეულებრივ ჩემს გრილ ოთახშიც კი იგრძნობა სიცხე. ძილის წამალს ვსვამ და ისე მეძინება, მაგრამ ქეშმარიტად ბედნიერი ვარ.

7 ივნისი



ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს, ბოლოს და ბოლოს შევცვლი ამ უკბილო სახელწოდებას. თავიდანვე ნორვიდის ნაწარმოებებში ვეძებდი მსგავსი რის სათაურს, მაგრამ ვერ ვიპოვე. გუშინწინ ნორვიდის ტომს ვაბრალებდი, რომ ტაძო კვიატკოვსკიმ რომ მომიტანა დაბადების დღეს, და „კულისებში“ ორი ოთხთაეპიანი ლექსი ვნახე. ეს ტაეპები ამ წიგნის საუცხოო დევიზად მეჩვენება.

აი, ესეც:

დარჩება შენგან მხოლოდ ფერფლი, მხოლოდ ნაცარი,
და ქარიშხალი მიმოფანტავს ამ ქვეყანაზე
მარადიული გამარჯვების მაუწყებელი:
უცებ გაკრთება დამარხული ფერფლში ალმასი...

უკვე არაერთხელ შემიმჩნევია, რომ მწერლის აზრობრივი და მხატვრული სიმართლე თვით ცხოვრებას ემსახურება. მუშაობის პროცესში ეს ახალ სიმართლეს ანიჭებს ნაწარმოებს და იგი — თუ მუშაობა თავიდანვე ყალბად წარიმართა — მთლიანად ფარავს სიყალბეს. მშვიდად ვარ, ბოლოს და ბოლოს ვიცი, როგორი გამოვა წიგნი, ახლა მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ახლოა დასასრული, ძილი მიკრთება, ვფიქრობ უკანასკნელ ეპიზოდზე, როცა ჩვენს დროშას თავისუფლების პირველ დღეს დააკვდება მაცეკი. ვიცი, რომ ამ დროს ხელი უნდა გავიშვირო რევოლვერისაკენ; ვიცი რომ მაცეკის ჩანთიდან გადმოვარდება იის კონა და ათასნაირი რამე-რუმე, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამისვამს ბოლო წერტილი, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ამ რამდენიმე დღეში ქალაქში გავალ.

10 ივნისი

ოთხის ნახევარზე დავამთავრე „ფერფლი და ალმასი“, ჯოჯოხეთურად სულელური, დამთრგუნველი შეგრძნება მაქვს, არ ვიცი, რა მომდის. მარისია მეუბნება, საღამოს ცოტა ხანს გავისეირნოთო, ალბათ, გავივლით.

ბრუნავ, ტრიალებ და მიირიად ნაპერწკალსა ყრი:
იწვი, არ უწყვი: იქნები კი თავისუფალი?
თუ ყველაფერი, რაც აქამდე გამოგვოლია,
განქარდება, რაც იყო შენი, შენი რაც არის,
დარჩება შენგან მხოლოდ ფერფლი, მხოლოდ ნაცარი,
და ქარიშხალი მიმოფანტავს ამ ქვეყანაზე
მარადიული გამარჯვების მაუწყებელი:
უცებ გაკრთება დამარხული ფერფლში ალმასი...
ნორვიდი: კულისებში

I

პოდგურსკიმ შრენიავის ხიდისკენ ქუჩაზე მიმავალი ქალი დაინახა, ტროტუარისკენ გადაუხვია და ავტომანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა, ორმა ახალგაზრდა, ავტომატებით შეიარაღებულმა მილიციელმა ურუები ცქვიტა. პოდგურსკის

გვერდით მჯდომი პარტიის სავოევოდო კომიტეტის მდივანი შჩუკა წელში გასწორდა და დამძიმებული, ნამძინარევი თვალები მძლოლს მიაბჯინა.

— გაფუქდა?

— არა. ერთი წუთით მოითმინეთ, ამხანაგო მდივანო.

ძრავა არ გამოუერთავს, ჯიპიდან გადმოხტა და ნალდაქედელი ჩექმების კაქუნით ქალს გამოეკიდა. ხიდს რომ უახლოვდებოდა, იმ ადგილას ტროტუარი ქურვებს დაეხეთქა და ქალი ქვაფენილზე გადავიდა. ნელა მიდიოდა, ბეჭში მოხრილს თავი ჩაეჭინდრა, მარცხენა ხელში დიდი, გატენილი ჩანთა ეჭირა.

— პანი ალიცია! — დაუძახა კაცმა ქალს.

კოსეცკა ისე იყო ჩაფიქრებული, რომ როცა შემობრუნებულმა ჩექმებიანი, სამხედრო შარვალსა და შავ სვიტერზე შემოცმულ ტყავის კურტაკში გამოწყობილი ყმაწვილი კაცი დაინახა, უცებ ვერ იცნო თავისი ქმრის ყოფილი სტაჟიორი-იურისტი. მაგრამ მოულოდნელი შეხვედრით გახარებული პოდგურსკი ისე ჩქარობდა, ვერც შეამჩნია ქალის დაბნეულობა.

— გამარჯობათ! — ხელზე აკოცა მან ქალს, — რა კარგია, რომ მანქანიდან დაგინახეთ.

კოსეცკამ მხოლოდ ახლა იცნო იგი ოდნავ ჩახლეჩილი ხმით და წაგრძელებული, საფეთქელში შევიწროებული, თავისებურად გადახრილი თავით, რამდენიმე დღის წვერგაუპარსავ პოდგურსკის შავად გაჯაგრული სახე კიდევ უფრო გამხდარი უჩანდა.

ქალმა ძირს დადო მძიმე ჩანთა და ალერსიანად გაუღიმა. თმაშევერცხლილს, შუბლდაღარულს თვალებში უსაზღვრო დაღლილობა ჩასწოლოდა, მაგრამ საოცრად ახალგაზრდული ღიმილი ჰქონდა.

— ფრანეკი ხართ? როგორ გიკითხოთ?

— მშვენივრად!

უკანასკნელად კოსეცკამ პოდგურსკი რამდენიმე თვის წინათ, ზამთარში ნახა, მას მერე, რაც ოსტროვეცს ფრონტი გადმოსცდა. ერთ საღამოს პოდგურსკიმ სულ რამდენიმე წუთით შეუარა ქალს, აი, როგორც ოკუპაციის დროს შეუვლიდა ხოლმე, როცა გერმანელებს ემალებოდა. მას მერე აღარ უნახავს კოსეცკას იგი, თუმცაღა იცოდა, რომ პოდგურსკი ოსტროვეცში დაბრუნდა და ერთი ხანია საპოვიატო კომიტეტის მდივანად დაიწყო მუშაობა.

პოდგურსკის გამოცოცხლება ეტყობოდა, მაგრამ კოსეცკას დაავადმყოფებული და დაღლილი ეჩვენა.

— კარგად ვერ უნდა იყოთ, პან ფრანეკ.

მან გულგრილად ჩაიქნია ხელი. თუხთუხებდა ჯიპის გამოუერთველი ძრავა. ვილაცამ უკან ორჯერ დააპიპინა.

— ალბათ, თქვენ გეძახიან.

პოდგურსკი მიტრიალდა. დიდი ტანის, გაფიქვინებულმა შჩუკამ მანქანიდან თავი გამოჰყო, ანიშნა, დაუჩქარეო. ერთი ავტომატიანი მილიციელი ჯიპთან იდგა.

— მოვდივარ! — დაუყვირა პოდგურსკიმ და კოსეცკას აუხსნა: — ძალიან გვეჩქარება. ბიალიში, ცემენტის ქარხანაში გველოდებიან, კრებაზე უნდა გამოვიდეთ. რაღაც უნდა გკითხოთ ამიტომ გადმოვედი მანქანიდან... მართლა დაბრუნდა მოსამართლე?

ქალმა თავი დაუქნია.

— როდის?

— გუშინწინ.

პოდგურსკის გაუხარდა.

— ჯანზეა? როგორ არის, შერჩა ძალა? რა გუნებაზეა?

ქალმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ისევ გაისმა პიპინი. პოდგურსკიმ საათზე დაიხედა. ექვსის ოცი წუთი იყო. მუშათა კრება ბიალინსკის საათზე უნდა მოეწვიათ.

— მაპატიეთ, მაგრამ ჩემს ამხანაგს მოთმინება აღარ უოფნის... მოვდივარ, მოვდივარ! — გასძახა მან შჩუკას და კვლავ კოსეცკას მიუბრუნდა:

— თუ ნებას მომცემთ, დღეს საღამოს შემოგივლით, კარგი?

პანი ალიციამ ხელი პირზე მიიღო და გულთბილად უთხრა:

— რა მიხარია, რომ ბატონი კოსეცკი შინ დაბრუნდა და სული უდგას...

შჩუკას პოდგურსკისთვის საყვედური არ უთქვამს, უსიტყვოდ დააბნედა საათზე. პოდგურსკიმ გაზი მისცა და მანქანა გააქროლა.

— მომიტევეთ, მაგრამ ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, — ცოტა ხნის შემდეგ უთხრა მან. — თხუთმეტ წუთში იქ ვიქნებით.

შჩუკამ დიდი ხელები მუხლებზე დაიწყო და თვალბმილულული გზაზე იყურებოდა. ოსტროვეცის გარე ქუჩებით მიდიოდნენ, თუმცა სიარული ჭირდა — გზა ოღროხოღრო იყო, მაინც სწრაფად მიქროდნენ.

ქუჩის ორთავე მხარეზე, მალლა-მალლა რომ ადიოდა, პატარა, შეუხედავი, ორსართულიანი სახლები იდგა. ამასწინანდელი ომის კვამლი რომ აჩნდა. კედლები საარტილერიო ქურევებს დაეცხრილათ, აქა-იქ შემორჩენილ კრამიტზე ფანერიანი ფიცრები აეკრათ და მკვდარივით გამოიყურებოდნენ. აგერ-ეგერ ღორლის გორებს თავს გადმოსხდომოდნენ ბომბებით დამსხვრეული კედლები. სიჩუმე იდგა. ქალაქის ამ უბანში კაცის ქაჭანება არსად იყო. მხოლოდ ერთი დაღეული, კუზიანი დედაბერი მიათრევდა კარტოფილით დატვირთულ უზარმაზარ კირის მაზიდას. აგერ-ეგერ შავად ილანდებოდნენ გამხმარი აკაციის გადმოხეული რტოები.

— ვის ელაპარაკებით? — ჰკითხა შჩუკამ.

პოდგურსკიმ მეორე ქუჩაზე გადაუხვია. გვერდით დიდმა, ბრეზენტით გადახურულმა სატვირთო მანქანამ ჩაუქროლა.

— კოსეცკას, — უპასუხა მან, ავტომანქანას რომ გასცდა. — მოსამართლის მეუღლეს.

— ოსტროვეცელია?

— იცნობთ?

— არა, ფრთხილად...

ბაზარში გავიდნენ; იქ ერთი არეულ-დარეულობა და ხმაური იდგა. ირგვლივ ხალხი ირეოდა: მოქალაქეები პოლონელ და საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებში ჩამდგარიყვნენ. ფართო მოედანზე, შუაში დროებითი ჭიხურები რომ გაემართათ და ხის, თეთრ-წითლად შეღებილი ტრიბუნა აღემართათ, საიდანაც რამდენიმე დღის წინათ საპირველმაისო პარადს იღებდნენ, სამხედრო მანქანები, ბენზინის კასრებით გატენილი სატვირთო ავტომობილები ჩაემწკრივებინათ. თუმცა ფრონტის ხაზი ჯერ კიდევ იანვარში აქ გადიოდა, ახლა დასავლეთისაკენ გადაიწია და აქედან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით ებრძოდნენ მტერს, ქალაქი გასაოცრად მოგვაგონებდა ფრონტისპირა ქალაქს.

ბაზრის სიღრმეში, გაზაფხულის ლურჯი ცის ფონზე მკვეთრად ისახებოდა გადამწვარი სახლების მოხაზულობა. ქუჩებში, აქა-იქ, უზარმაზარი ტრანსპარან-

ტები გამოეკრათ, რეპროდუქტორიდან მოედანზე კაცის ხმა მოისმოდა:

„გუშინ, 4 მაისს, დილის 8 საათზე მარშალ მონტგომერის შტაბში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის აქტს, რომლის თანახმად...“

პოდგურსკიმ სვლას უკლო, გამუდმებით აპიპინებდა, ძლივს მიიკვლევდა გზას ბრბოში, მაღლიდან კარგად ისმოდა დიქტორის ხმა:

„გერმანიის ჯარები ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, პოლანდიაში, დანი-აში, ფრიზიისა და სხვა კუნძულებზე, აგრეთვე ამ რაიონებში მყოფი მათი სამხედრო გემები იარაღს ყრიან და უსიტყვოდ ნებდებიან. საომარი მოქმედება შეწყდება შაბათს, დილის 8 საათზე“.

რეპროდუქტორთან შეკრებილი ხალხი დუმდა. ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ ტროტუარზე ადამიანები.

დიქტორმა ხმას აუწია:

„ეს აქტი პირველი ნაბიჯია გერმანიის სრული და საბოლოო კაპიტულაციისაკენ“.

პოდგურსკიმ თანამგზავრს გადახედა.

— წავიდეთ! — უთხრა შჩუკამ.

პარტიის კომიტეტის შენობას რომ გასცდნენ, რომელზეც წითელი დროშა ფრიალებდა, შესასვლელთან მდგარმა ყარაულმა რაღაც ანიშნა, გააჩერეო.

— წავიდეთ, წავიდეთ! — გაუმეორა შჩუკამ. — დრო არა გვაქვს.

პოდგურსკიმ ხელით ანიშნა ყარაულს, ძალიან მეჩქარებაო. წუთში ხალხიდან გამოვიდა და პირველივე მოსახვევში შეუხვია.

— ნახეთ, ამხანაგო შჩუკა, რა სახეები ჰქონდათ იმათ, ვინც გადმოცემას უსმენდა?

შჩუკამ თავი დაუქნია.

— შეამჩნიეთ, იოტისოდენა სიხარული არ ეტყობოდათ?

— დიდხანს ელოდნენ.

— მარტო ამიტომ?

— ცხადია, მარტო ამიტომ არა, — მოკლედ მოუპრა შჩუკამ, სულ გზისკენ რომ ეჭირა თვალი.

— ათ წუთში მივალთ?

— ალბათ მივალთ, შორს აღარ არის.

ისევ უკაცრიელ, აყრილ ქუჩებში მიდიოდნენ.

— ვინ არის ეს კოსეცკი? — ნათქვამს დაუბრუნდა შჩუკა. — იცნობდით ომამდე?

— კი, ვიცნობდი, ორ წელიწადს ვმუშაობდი მასთან აქაურ სასამართლოში; ომის დაწყებამდე ვმუშაობდი. ნამდვილად წესიერი და პატიოსანი კაცია. სულ ახლახან დაბრუნდა ბანაკიდან.

— ოსვენციმიდან?

— გროს-როზენიდან.

შჩუკა გამოცოცხლდა.

— გროს-როზენში იყო?

— ოთხ წელიწადს.

პოდგურსკის ახლადა გაახსენდა, რომ შჩუკამ ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკი მოიარა და გროს-როზენშიც იყო.

— ჰო, თქვენც იქ არ იყავით?

— ჰო, მაგრამ ბოლომდე არ ვყოფილვარ. პირველივე ევაკუაციის დროს, თებერვალში გავიქეცი.

— იქ კოსეცკის შეხვდით, არა?

შჩუკა დაინტერესდა:

— მგონია, არა. აბა, ამიწერე.

— კარგა მაღალი კაცი, მხარბეჭიანი, წაბლისფერი თმა აქვს...

შჩუკამ ნაცნობები გაიხსენა.

— ვერ ვიხსენებ, ოსტროვეცელი მოსამართლეო?

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — შეაწყვეტინა პოდგურსკიმ. — ცხადია, ამ გვარით არ გეცოდინებოდათ, სხვა გვარი ჰქონდა შერქმეული.

— ალბათ ასე იქნებოდა!

— მაინც რა გვარი? კარგად მახსოვდა.

მეხსიერება დაძაბა, ეგებ გამახსენდესო, მაგრამ ბოლოს თავი გააქნია.

— დამავიწყდა...

— საიდან წაიყვანეს, ოსტროვეციდან?

— არა, ვარშავაში დაიჭირეს. ჯერ კიდევ ათას ცხრაას ორმოცი წლის მიწურულს გაიქცა აქედან, როცა პირველად ჩაფლავდნენ.

— ერთად მუშაობდით?

— თავდაპირველად ჰო. მხოლოდ მოგვიანებით დავამყარე ურთიერთობა ჩვენებთან.

— ფრთხილად იარეთ! — წაიბურტყუნა შჩუკამ.

პოდგურსკის გაეცინა.

— ნუ გეშინიათ! ამ გზას ხუთი თითივით ვიცნობ.

ოსტროვეცის იმ მხარეს მდინარე შრენიავაზე ხიდი ააფეთქეს და შემოვლით უნდა გეარა, ხეობაში ჩაქედნილ ვიწრო გზაზე გველო. უარეს გზას ვერ ნახავდი, ჯიპს რა გზაზე არ ევლო, მაგრამ მაინც უჭირდა ამ ოღროჩოღროზე სიარული.

ერთ ადგილზე ხეობა ვიწროვდებოდა და თხემლების ტოტები, იმ ადგილებს რომ შეჰფენოდა, მანქანაში ჰყოფდნენ ხოლმე თავს. პოდგურსკიმ ხელი სტაცა ყველაზე მეტად გამოწეულ რტოს, რამდენიმე ფოთოლი მოწყვიტა და შჩუკას აჩვენა.

— შეხედეთ, გამოზაფხულდა უკვე!

გზამ მკვეთრად მოუხვია და ფართო, ნამიანი ბალახით დაფარულ მინდორზე გავიდა. დამრეცად რომ ეშვებოდა მინდორზე გადებული დროებითი ხის ხიდისკენ. იქვე ახლოს უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

შჩუკა მინისკენ გადაიხარა.

— რა ხდება?

მოსახვევს რომ გამოსცდა, პოდგურსკიმ ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა თავშეყრილი ხალხი. კარგა ბლომად იყვნენ, ასე ოციოდე კაცი იქნებოდა. მაშინვე გამოარჩია მათ შორის რამდენიმე მილიციელი. ოდნავ განზე, შუა მინდორზე, გვერდზე გადახრილი მანქანა — ამერიკული ჯიპი იდგა.

ამასობაში ისინი ქვემოდანაც დაინახეს; ორი მილიციელი ბრბოს გამოეყო, გზაზე გამოიჭრა და ნიშანი მისცა პოდგურსკის, გააჩერეთ. უკან მჭდარი მილიციელი მისკენ გადაიხარა.

— ჩვენი ოსტროვეცელი ბიჭები არიან.

— ვხედავ.



ახლა უკვე სხვებიც გამოიქცნენ გზისკენ; მათ შორის პოდგურსკიმ იცნო ბიალელი მუშები. გაჩერდა თუ არა მანქანა, გარს შემოერტყნენ პოდგურსკიმ გადმოსვლა ვერ მოასწრო. მასთან ერთი მუშა, პარტიზანი მივიდა.

— იცი უკვე?

პოდგურსკიმ თვალი შეავლო ირგვლივ მდგომ ხალხს, ვეწლას მოღუშული დადინჯებული სახე ჰქონდა.

— არა, — ნელა წარმოთქვა მან. — რა ამბავია?

— ორი ბიჭი მოგვიკლეს, — უპასუხა უკან მდგომმა თმაჭაღარა მუშამ. — აი, რა მოხდა!

პოდგურსკი გაფითრდა.

— ვინ მოკლეს?

— სმოლარსკი და გავლიკი.

შჩუკამ ძლივს გამოიტანა თავისი უზარმაზარი ტანი მანქანიდან და პოდგურსკის გვერდში ამოუდგა. კოჭლობდა და ამიტომ ჯობით დადიოდა. პოდგურსკიმ პირდაპირ შეხედა.

— გაიგონეთ?

მან თავი დაუქნია.

— ცუდ დროს მობრძანდით, ამხანაგო მდივანო, — უთხრა ვილაცამ გვერდზე მდგომმა.

— როდინდელი ამბავია? — იკითხა შჩუკამ.

ერთი მილიციელი მასთან ახლოს მივიდა.

— ერთი საათი არც კი იქნება, მუშებმა ხიდზე რომ მუშაობდნენ, გაიგონეს სროლა. მაშინვე მოირბინეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— დამნაშავე დაიჭირეს?

— ჯერჯერობით არა.

შჩუკამ ხელი ჩაიქნია:

— იმათ უკვე დიდანს ველარ დაიჭერთ. აქ მოხდა ეს ამბავი?

— ხეობაში. ალბათ, იქ დაიმალნენ. რამდენჯერმე ისროლეს, მანქანა ძირს დაეშვა და გადაბრუნდა...

— სახელმწიფო უშიშროებიდან ვინმე არის აქ?

— შევატყობინეთ, ყოველ წამს ველოდებით.

სიჩუმე ჩამოვარდა. ხელჯობზე მთელი სიმძიმით დაყრდნობილ შჩუკას თავი ჩაეჭინდრა. მალლა უღრუბლო ცაში ხმამალლა ეჩვევივებდნენ ტოროლები.

— რა ექნათ? — სიჩუმე დაარღვია შჩუკამ. — წავიდეთ. დაეხედოთ. — იგი კოჭლობით პირველი გაუყვა გზას, მას პოდგურსკი მიჰყვა. ხალხი გაწი-გამოწა და მათ კვალში ჩაუდგა. რამდენიმე ათეული ნაბიჯის იქით დამტვრეული ჭიბი იდგა. ხშირი, წვნიანი ბალახი თითქმის მუხლებამდე გწვდებოდა კაცს.

— დიდებული ბალახია! — ჩაიბუტბუტა შჩუკამ.

მოკლულები გულალმა იწვნენ გვერდიგვერდ, მანქანის ახლოს. ხშირ ბალახში იწვნენ გახვევებულები და გაყინული თვალებით ცაში იყურებოდნენ. სისხლით დალაქული სპექტანსაცმიანი მუშები უფრო თოჯინები გეგონებოდა, ვიდრე ადამიანები, აი, თუნდაც ისეთები, ერთი საათის წინათ რომ იყვნენ. პოდგურსკი კარგად იცნობდა ორთავეს, მაგრამ მათ, ვისაც ახლა გონებაში აცოცხლებდა, არაფერი ჰქონდათ საერთო მიწაზე მისვენებულებთან. თეთრი პეპელა ჩვეულებრივი გაზაფხულის კომბოსტოს მატლი, დაჭრენდა მათ გაყინულ სახეებზე.



ქართული

თვალედახრილი შჩუკა დიდხანს იყურებოდა მოკლულებისაკენ, ბოლოს მთელი ტანით დააწვა ხელჯოხს, ხელი გაიშვირა და იქვე ახლოს მოკლულს მი-ათითა.

— ვინ არის ეს?

პოდგურსკის ყელი გაუშრა და ნერწყვი გადაყლაპა.

— სმოლარსკია, საქარხნო საბჭოს წევრი. ძველი პარტიელია. უკლეს, ერთი ოცდაცხრამეტ წელს, მეორე ორმოცდაოთხ წელს დახვრიტეს აქ...

გარკვეულად, თუმცა ჩურჩულით ლაპარაკობდა; ჩვეულებრივ ასე ლაპარაკობენ, როცა ოთახში მიცვალებული ასვენია. შჩუკა უსიტყოდ უსმენდა.

— ეს ვინლაა?

— გავლიკია. სულ ახალგაზრდა ბიჭია, ოც წელს იქნებოდა გადაცილებუ-ლი...

— ოცდაერთისა, — უკარნახა ვილაცამ ბრბოდან.

პოდგურსკი მოკლულის გახევებულ სახეს მიაჩერდა.

— რამდენიმე კვირის წინათ დაბრუნდა გერმანიიდან, სამუშაოდ გარეკილ-თა შორის იყო.

შჩუკამ ნაბიჯი გადადგა, ორივე ხელით ჩამოეყრდნო ხელჯოხს, ძლივს დაი-ხარა მიცვალებულებისკენ და თავდახრილი უთვალთვალეზდა მოფარფატე პე-პელას. ერთი წუთის შემდეგ წელში გასწორდა.

— მე მგონია მათ ნაცვლად ჩვენ ორი უნდა ვიწვეთ აქ, — უჩურჩულა მან პოდგურსკის.

პოდგურსკი შეკრთა:

— ასე გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ.

პოდგურსკიმ ძლიერი ტკივილი იგრძნო და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მას შემდეგ, რაც მანქანიდან გადმოვიდა, ხელები მომუშტული ჰქონდა, ფრჩხილები ხელისგულში შეესო. თითები გაშალა და ხელიდან მურყნის დაკმუჭნული ფოთ-ლები გადმოუცვივდა. თავდაპირველად, თითქოს რაღაც საჭირო ნივთი დაეკარ-გაო, დააპირა დახრილიყო და ფოთლები აეკრიფა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ხელისგულები გაოფლიანებოდა და შარვალზე შეიწმინდა.

შჩუკამ ზურგი აქცია მოკლულებს.

— წავიდეთ! — წაიბუზლუნა მან.

რამდენიმე კაცი გაჰყვა ოდნავ მოშორებით; ხმას არავინ იღებდა. შრიალეზ-და ჩექმებით გათელილი ნორჩი ქბალახი.

— რას იტყვით? — მიუბრუნდა შჩუკა ჩაფიქრებულ პოდგურსკის.

— მე? სულ იმაზე ვფიქრობ, რაც მითხარით. მართალი ხართ, რომ არ და-გვეგვიანებინა...

— ახლა იქ, მინდორზე ვიწვებოდით, ისინი კი ცოცხლები იქნებოდნენ. რას იზამ, ყველაფერი ხდება ცხოვრებაში, მაგრამ ეს არაა მთავარი.

კოკლობით განაგრძო გზა, მაგრამ უცებ გაჩერდა. ისინიც შედგნენ, მას რომ უკან მიყვებოდნენ.

— თავი მალლა გეჭიროთ, ამხანაგო პოდგურსკი! სანამ ცოცხალი ხართ, საქ-მე უნდა აკეთოთ, აი, რა არის მთავარი!

ერთი დაბალი ტანის, გალეული, ჩოფურა მუშა მივიდა მათთან.

— მაპატიეთ, ამხანაგო...

შჩუკა მისკენ მიტრიალდა.

— თქვენ ყველაფერ ამაში ერკვევით, ამხანაგო; გესმით პოლიტიკა, იცით, რა როგორაა... ჰოდა აი, მინდა გკითხოთ... ყველა გეკითხებით, — ხელი გაიწოდა თავის ამხანაგებისაკენ, მასთან რომ მივიდნენ და გარს შემოერტყნენ, — სანამდე გაგრძელდება ეს?

შჩუკამ დაღლილი ქუთუთოები ასწია და გაწითლებული ფეხები შეავლო ირგვლივ მდგომთ. ყველას მასზე შეეჩერებინა მომლოდინე მსურველებიანი მზერა. წამით ჩაფიქრდა და მერე მოკლულისაკენ გააქნია თავი.

— მათ გულისხმობთ?

— აბა ვის? სანამდე უნდა გვბოცონ? ესენი პირველი ხომ არ არიან!

— არც უკანასკნელებია, — უბასუხა შჩუკამ. — გეშინიათ?

მუშამ მხრები აიჩეჩა.

— მე? ყველას უნდა სიცოცხლე, მაგრამ შიში რას გიშველის.

— მაშასადამე?

მუშამ მაშინვე არ გასცა პასუხი. დიდხანს შესცქეროდა მის წინ მთასავით აზიდულ შჩუკას, თითქოს მის სახეზე უნდოდა ამოეკითხა პასუხი. უცებ ხელი გაუწოდა.

— მესმის თქვენი. მართალი ხართ, ამხანაგო.

შჩუკამ მაგრად ჩამოართვა ხელი.

— რას იზამ, სამწუხაროდ, იოლი არ არის ამის თქმა.

— ვიცით.

მუშამ შჩუკას თვალი გაუსწორა, უბრალოდ და დინჯად უთხრა:

— ღმერთი გფარვიდეთ ამხანაგო.

შჩუკამ პირი გააღო და რალაციის თქმა დააპირა, მაგრამ შეყოყმანდა და აღარაფერი უთქვამს.

— მადლობელი ვარ, — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ. — თქვენც გფარვიდეთ ღმერთი.

ვიდრე სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები მოვიდოდნენ, შჩუკა და პოდგურსკი მდინარეზე ჩავიდნენ. არც ისე ფართო, მაგრამ ღრმა მდინარე თითქმის ნაპირის სიბრტყეზე მიედინებოდა. შეშფოთებული ბაყაყები ბალახიდან ხტებოდნენ და წყალში ადენდნენ ზღართანს.

შჩუკა ნაპირზე გაჩერდა, თვალი დახუჭა და შუბლზე გადაისვა დიდი ხელისგული. პოდგურსკის ეს არ გამოპარვია.

— ხომ არ დაიღალეთ?

შჩუკამ იუარა და თვალი გააბილა.

დიდმა თევზმა მიიბყრო მისი ყურადღება; შუა მდინარიდან ამოხტა და ისევ წყალში ჩაეშვა. ფართო წრეები მოიხაზა წყლის ზედაპირზე.

— უპ. რამოდენაა! — წაიბუტბუტა პოდგურსკიმ.

მოულოდნელად თითები გაატკაცუნა.

— ჰო, მომაგონდა! იცით, რა გვარად იწერებოდა კოსეცკი, როცა დააპატიმრეს? რიბიცკი იყო... სულ ამაზე ვფიქრობდი.

ფიქრებში ჩაფლული შჩუკა პირველად ვერ მიხვდა, ვისზე ლაპარაკობდა პოდგურსკი.

— კოსეცკი, კოსეცკი? აჰა! გაიხსენეთ?

პოდგურსკის გაეცინა.

— თევზთან დაკავშირებით.

შჩუკასაც გაეღიმა.

— ჰო, ეს სულ უბრალო რამაა.
 უცებ იგი პოდგურსისკენ შებრუნდა.

— დაიცათ... რა გვარი თქვით?

— რიბიცკი.

— სახელი?

პოდგურსკი ჩაფიქრდა.

— ლუდვიკი? ლეოპოლდი? არა, რაღაც სხვა...

— იქნებ ლეონი?

— სწორია, ლეონი! მახსოვდა, „ლ“-ზე იწყებოდა. იცნობდით თუ?

შჩუკა ისევ მდინარისაკენ შებრუნდა.

პირადად არა. ალბათ სხვა ბარაკში იყო, მაგრამ ეს გვარი გაგონილი მქონდა.

ახლა უფრო პატარა, მაგრამ მაინც კარგად მოზრდილი თევზი ამოხტა წყლიდან. შჩუკამ ხელჯობი აიღო.

— დიდი თევზი სკოდნია შრენიავაში.

II

კოსეცკების ვილა შრენიავის მარცხენა ნაპირზე, ლამაზ ადგილზე იდგა. დიდებულ, ბორცვიან ადგილზე გაშენებულ ამ ახალ რაიონს ძველი, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადაჭიმული ქალაქისაგან განსხვავებით ახალ ოსტროვეცს ან, უბრალოდ, დაბას უწოდებდნენ. ბოლოს და ბოლოს ეს სახელწოდება ჩვეულებრივ სახელად იქცა.

დაბას, ბაზრიდან თხუთმეტი წუთის სავალზე რომ იყო, საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა. მისი მშენებლობა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო; სწორედ მაშინ მოჰკიდეს ხელი კოოპერაციულ მშენებლობას. იმხანად ბევრი სახელმწიფო და კერძო დაწესებულება შეუდგა უშენ ადგილზე, შრენიავას გაღმა, თანამშრომლებისათვის იაფი საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. ეს საერთოდ უშნოდ ნაგები შენობები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე საწყალობლად გამოიყურებოდნენ და დანგრევას აღარაფერი უკლდათ. საბედნიეროდ, ეს შენობები ვერაფერს აკლებდნენ დაბის საერთო შესახედაობას. სკოლის მოსწავლეების სათამაშო ადგილებმა სწრაფად გაშალა მხრები, და როცა კრიზისმა გაიარა, მშენებლობა კიდევ უფრო დაჩქარდა, ახალი ომი რომ ატყდა, მხოლოდ მაშინ დაჩქარდა. დაბაში თუ ცხოვრობდი, კაცი იყავი ოსტროვეცში, შეძლებული ქალაქელები — ვაჭრები, ფაბრიკანტები, დიდკაცობა და თავისუფალი ხელობის ფულის კარგად მშოვნელი ხალხი ერთიმეორის მიყოლებით იშენებდნენ დაბაში ვილებს. ვისაც საკუთარ სახლზე ხელი არ მიუწევდებოდა, მაგრამ მაძლრად ცხოვრობდა, დაბაში ცხოვრებას ამჯობინებდა. იქ შეედლო დაეჭირავენინა საუკეთესო ვილა, თუმცა ბინა უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე ქალაქში, მაგრამ თანამედროვე სახლები იყო და იმ ადგილს ოსტროვეცის ვიწრო, მტვრიანი, უშნო ქუჩები რას შეედრებოდა. ომი დაწყებული არ იყო, სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტმა დაბაში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა რომ დაიწყო, ხალხის შემოწირულებით ახალი სტილის ეკლესიის აგებასაც აპირებდნენ, ოსტროვეცის პოვიატის სავარაუდო სამრეწველო განვითარებასთან დაკავშირებით ქალაქს დიდ მომავალს უქადდნენ. მაგრამ ჯერ არაფერი იუწყებოდა უსახლკაროთათვის ბარაკების გაქრობას გზატკეცილზე, ბი-

ალიში, ცენტრის ქარხნისაკენ რომ მიემართებოდა, არც ის იყო მოსალოდნელი, მუშებს თავიანთი მყრალი სოროები და ნოტიო სარდაფები დაეტოვებინათ ძველ ქალაქში, ბაზრის იქით. მართალია, სხვადასხვა გარემოების გამო, რომელთა გათვალისწინება ვერავინ შეძლო, ხსენებული ბარაკები აღარ ემსახურებოდნენ უსახლკაროებს — იქ ადგილობრივი შრომის ბანაკი განლაგდა, მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია.

კოსეცკები თავის ვილაში ომამდე ერთი წლით ადრე გადავიდნენ. მანამდე კი ვარშავიდან ოსტროვეცში გადმოსახლებულები სამი წელი ცხოვრობდნენ ქალაქის გულში, სამი მაისის ფეშენებლურ ხეივანში, სახელგანთქმულ ულანთა პოლკის ყაზარმების მახლობლად. საკუთარ სახლში გადასვლა დიდი ამბავი იყო მათ უფერულ უღიმღამო ცხოვრებაში, ვილის მშენებლობა სწორედ იმდენი დაჯდა, რაც თავის დროზე კოსეცკის დაეგროვებინა კერძო საადვოკატო პრაქტიკით, სანამ ოსტროვეცის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ, შემდეგ ერთი ფართოდ ცნობილი კოოპერაციული ფირმის იურისკონსულტის შემოსავლიან ადგილზე დანიშნავდნენ. ახალ სახლში გადასვლამ თითქოს ვერ შეცვალა მათი ცხოვრება, თუ, რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობთ, რომ ახლა მოსამართლეს სასამართლომდე და მის ორ ვაჟს გიმნაზიამდე უფრო დიდი დრო სჭირდებოდათ. მაგრამ ის ამბავი, რომ საკუთარი ბალიანი სახლი ჰქონდათ, რომელსაც პანი ალიცია მთელ თავის ძალასა და როს ახმარდა, აგრეთვე იმის შეგრძნება, რომ მტკიცე მდგომარეობა ეკავათ, შთააგონებდა მათ, ჩვენმა ცხოვრებისეულმა პრინციპებმა გაგვიმართლაო.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ანტონი კოსეცკის უკვე ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. თუმცა ორმოც წელზე მეტს არ მისციემდი, სინამდვილეში კარგა ხანია ორმოცს გადააბიჯა და ორმოცდაათს ბევრი აღარაფერი უკლდა.

განსაკუთრებული ნიჭი ღმერთს მისთვის არ მოემადლებინა და ბედის ნებიერებს არ ეკუთვნოდა, ყველა ცხოვრებისეული ოცნება თავისით რომ აუხდებოდა ხოლმე. იოლად ვერაფერს აისრულებდა და როცა სიმწიფის ხანში შევიდა, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე არ სწამდა თავბრუდამხვევი, დამაბრმავებელი კარიერა, ზიზღით უცქეროდა გაქნილ ადამიანებს, ნაცნობობით რომ იკვალავდნენ გზას. პატიოსნება, სიმტკიცე და პატივმოყვარეობა, აი, ხასიათის ამ სამ თვისებას ემყარებოდა მისი ნელინელ, მაგრამ მუდმივად მზარდი კეთილდღეობა. თანდათანობით აღიოდა იგი მალლა-მალლა. არც უცებ ავარდებოდა ზემოთ და არც მოულოდნელად ჩავარდებოდა. ახლობლებისაგან ბევრს ითხოვდა, მაგრამ ისევე მკაცრად და კრიტიკულად ეპყრობოდა თავის თავს და საქციელს. ვინც ახლოს არ იცნობდა, შეიძლება იგი უფულო კაცი ჰგონებოდა. თუმცა როცა დაუახლოვდებოდა, მის თვალში ამალღდებოდა და თუ ყოველთვის დიდ სიმპათიას არ აღვიძრავდა (ეს ხშირად მოსდით იმ ადამიანებს, ძნელი, უსიხარულო ცხოვრება რომ გამოუვლიათ), მოწინააღმდეგეებსაც კი აიძულებდა, პატივი ეცათ.

იგი იმ საუკუნის ბოლო ათწლეულში დაიბადა წვრილბურჟუაზიულ ოჯახში, რომლის ორი თაობა დაკავშირებული იყო კუთხვას შაქრის მრეწველობასთან. ოჯახში ყველაზე ახალგაზრდა იყო და შეიძლება უფროსი დებისა და ძმების მაგალითმა, რომელთაც სხვა მისწრაფება არ გააჩნდათ შაქრის ქარხანაში მუშაობისა და ოჯახის გარდა, აიძულა იგი სხვა გზა ეძებნა ცხოვრებაში. ოჯახი — ნოტიო და ჩაბნელებული ქვის სახლი, უკან ბალი და საფუტკრე რომ ჰქონდა, ძალიან ადრე, ცამეტი წლისამ დატოვა დადგა დრო, როცა ნაბოლარა ბავშვის მომავალ-

ზეც უნდა ეფიქრა მოხუც კოსეცკის, რომელსაც ორმოცდაათი წელი შაქრის ქარხანაში საწყობის გამგედ ემუშავა; მოაგონდა, რომ ერთი მისი ბავშვობის ამხანაგი ამჟამად შეძლებულ ვაჭრად ითვლებოდა ვარშავაში. ამ შორეული ხანობის გამო ანტონი ერთ მშვენიერ დღეს დედაქალაქში აღმოჩნდა — 1905 წელი იდგა — საბაყლოში შევირდად მიიღეს, თუ არ ვცდები, მის ცხოვრებაში ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა ნაცნობობა გამოიყენა. მისი მის საფასურად აძლევდნენ საჭმელს, ტანისამოსს, წელიწადში ერთ წყვილ ფეხსაცმელს. ხმელნის ქუჩაზე, მაშინდელი ვენის ვაგზლის ახლოს, მანსარდის ნიშში დასაკეცი საწოლი ედგა, მის გარდა ამ მანსარდში კიდევ სამი კაცი ცხოვრობდა.

უჭირდა ვარშავაში ცხოვრება. მისი ამხანაგები ყველა საშინაო სამუშაოს მას ავალებდნენ. გათენდებოდა თუ არა, ფეხზე წამოხტებოდა, ზამთარში ჭერ კიდევ ბნელოდა, სამ კაცს ფეხსაცმელსა და ტანისამოსს უწმენდდა, ეზოდან წყალი შემოჰქონდა, ჩაის ადუღებდა, ოთახს ხვეტავდა და ალაგებდა; ამასობაში ბატონები ფარდის მიღმა თავს ილამაზებდნენ; ექვს საათზე უკვე ვერკის ქუჩაზე, მალაზიისაკენ გარბოდა. ამ რთულ სავაჭრო მანქანასთან გაცნობას იგი სულ თავიდან იწყებდა: ყველას ემსახურებოდა და ეხმარებოდა. კვირაში სამ დღეს მალაზიაში დაკეტვამდე, დაახლოებით თერთმეტ საათამდე რჩებოდა, დანარჩენ დღეებში კი მას ადრე უშვებდნენ და იგი საღამოს სავაჭრო კურსებს ესწრებოდა. მაგრამ რა წამება იყო ეს! სადაც დღეებში ამხანაგები არ ანებებდნენ ანტონ კოსეცკის ლამპა აენტო, მხოლოდ შაბათ დღეს თუ გამოიყენებდა. კვირაობით ერთი მისი ოთახელი უწყინარი, ჭლეჭიანი პან იოზეფი ყოველ კვირას დედასთან მარიმონტში ჩადიოდა, დანარჩენ ორს კი: პან ედმუნდსა და პან თეოს გოგონები მოჰყავდათ. ნიშს სადაც კოსეცკი წვებოდა, ჰუტყუიან ზეწარს ჩამოათარებდნენ, ანტონი ყურებს დაიცობდა და გვიან ღამემდე შეეძლო წიგნის კითხვა.

ასე და ამგვარად იცხოვრა სამი წელიწადი. ისწავლა ფულის, დროის ყადრი და ზიზლით ეპყრობოდა ფულით ნაყიდ სიყვარულს. სამი წლის შემდეგ იმდენად მოლონიერებულად იგრძნო თავი, რომ დააპირა დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო. რომლის იდეალი ჭერ კიდევ ადრე გაუჩნდა გულში. საწყალი პან იუზეფის სიკვდილის შემდეგ გამყიდველად შეეძლო ემუშავა, ჰოდა, მანაც მიატოვა მალაზია. მანსარდა, და რაკი ოც მანეთამდე ჰქონდა გადანახული, იაფად იქირავა ოთახი აქციზის მოხელის ქვრივისაგან. ორიოდ თვის დღიან-ღამიანად მუშაობის შემდეგ ისე მომაგრდა, რომ ძალიან კარგად არა, მაგრამ დამაკმაყოფილებლად ჩააბარა გამოცდა გიმნაზიის მეხუთე კლასში. მხოლოდ ამის შემდეგ შეატყობინა მან მშობლებს, რა ცვლილება მოხდა მის ცხოვრებაში. მამა ერთი წლის წინათ გარდაიცვალა, დედამ წერილით დამოძღვრა და ათი მანეთი გამოუგზავნა. ეს შინიდან მიღებული პირველი და უკანასკნელი ფული იყო. ხანდახან დედა ცოტაოდენ სურსათს უგზავნიდა: თაფლს, შინ გამომცხვარ პურს, კარაქს, მაგრამ უმეტესწილად შიმშილობდა.

მოუქნელი, გრძელხელეა, თმაგაჯაგრული ბიჭი იყო. დიდი, გაცვეთილი სასკოლო ტანსაცმელი ეცვა. ქარიფანტია არ ეთქმოდა, თავაზიანობა აკლდა, მხიარულებას ერიდებოდა. არ ჰყავდა ამხანაგები. უჭირდა სწავლა, მაგრამ თუკი რამეს ისწავლიდა, კარგად დაიხსომებდა. სიმწიფის ატესტატი რომ უნდა აეღო, დედა მოუკვდა. არჩევანის წინაშე დადგა: დაუყოვნებლივ წასულიყო დაკრძალვაზე ან ერთხელ კიდევ გაემეორებინა ტრიგონომეტრია, რაშიც ძლიერი არ იყო. ტრიგონომეტრია აირჩია. მშობლიურ ქალაქში მას მერე აღარასოდეს ჩასულა. არ აინტერესებდა და-ძმის ბედი. მათაც, უკვე დაცოლშვილებულებსა და გათხო-

ვილებს, გადავიწყებოდათ იგი. თავისი საკუთარი, გამორჩეული გზა აირჩია, და თუ ოდესმე ბავშვობასა და ყრმობას გაიხსენებდა, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ეგრძნო, რა გრძელი გზა გამოევლო იმ შორეული წლების მერე, ის გამოვლილი წლები კიდევ უფრო უმტკიცებდა საკუთარი ძალისა და მომავლის რწმენას.

ჯერ კიდევ მეექვსეკლასელმა გიმნაზიელმა გადაწყვიტა ~~მეექვსე~~ გამოსულიყო და ამ განზრახვაზე ხელი აღარ აუღია, თუმცა არც მასწავლებლისა და არც მამართლმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაეწერა და არც სწავლის დროს, არამცთუ გამორჩეული, საშუალო ნიჭიც კი არ გამოუჩენია. საშუალო მეხსიერებაც ჰქონდა, დიქცია — ცუდი, მაგრამ ამ ნაკლოვანებების პატრონი ძალას არ ზოგავდა მათ აღმოსაფხვრელად. ბოლოს, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მისმა თითო-ორო-ლა უნივერსიტეტელმა ამხანაგმა სახელი მოიხვეჭა ან დიდი ადგილი დაიკავა, კოსეცკის, როგორც კეთილსინდისიერ ვეჭილს, ისე იცნობდნენ, მოგვიანებით კი პატიოსანი, სანდო, ღირსეული მოსამართლის სახელი გაუვარდა. ეს აზრი მისთვის ყველაფერი იყო. იგი იშვიათ ადამიანთა ჯურს ეკუთვნოდა, რომელთაც საკუთარი უბედურება და თანდაყოლილი ნაკლოვანებები ასწავლიან კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ბედისა. სხვა ვინმე მასავით პატივმოყვარე კაცი გაბოროტდებოდა და შურიანი გახდებოდა, კოსეცკისათვის კი უცხო იყო შურიცა და გაბოროტებაც.

სწავლის დროს დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა. არც მერე ამოუსუნთქავს, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია რომ დაიცვა. მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, მაგრამ ცვლილებებმა კოსეცკის ბედ-იღბალზე შესამჩნევი გავლენა ვერ იქონია. მან ერთი ცნობილი ვარშაველი ადვოკატის ნდობა დაიმსახურა და მის კანცელარიაში იშოვა ადგილი. საქმეების შესწავლისა და სასამართლოს საიდუმლოებათა შენობაში კიდევ რამდენიმე წელი გაუფრინდა, ვიდრე კიევზე შეტევის დროს, ჯარში არ გაიწვიეს. მთელი ომი ისე გადაიტანა, ბედის ყველა უკუღმართობას უძლებდა შემთხვევითი ამხანაგების გვერდით. მსუბუქად დაიჭრა, რიგითი მეგრძოლიდან სერჟანტობას მიაღწია, რომელიღაც უმნიშვნელო ორდენიც კი მისცეს, დემობილიზებული ოცდაერთი წლის დამდეგს მეცადინეობას დაუბრუნდა კანცელარიაში, მალე მისი ცხოვრების ამ მხედრულ ეპიზოდს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. იგი სხვა, ამჯერად განსაკუთრებულმა და გადამწყვეტმა მოვლენებმა გადაავიწყეს.

ბოლოს და ბოლოს ანტონი კოსეცკიმ ხელი აიღო სტაჟირებაზე და პატარა, საკუთარი კანცელარია დააარსა, რაც იმაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში, თავის დროზე საბაყლო რომ მიატოვა. სწორედ იმ ხანებში ოცდათერთმეტი წლისამ შექმნა ოჯახი, პრაქტიკული ჯკუა, კეთილგონიერება გამოიჩინა და ვინმე ალიცია სკოროდინსკაზე დაქორწინდა. უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნებულ ყმაწვილი ქალის მშობლებს, ნამდვილ პროვინციელ შლახტიჩებს, პატარა მამული ჰქონდათ ბიალა ცერკვის მახლობლად. მამა დაეღუპა, დედას კი, ტიფმა რომ იმსხვერპლა, სამუდამოდ დაშორდა სასაზღვრო რეპატრაციულ პუნქტში და სრულიად მარტომ, ულუკმაპურომ თავი ვარშავეაში ამოჰყო. დამწყებ ადვოკატს, ნაკლებად მიმზიდველ, ათიოდე წლით უფროს მამაკაცს გაჰყვა ცოლად, რომელმაც ბედნიერება ვერ აგრძნობინა. ალიციამ ქმარს მზითვად ჯანმრთელი სხეული, ახალგაზრდული სილამაზე, საშუალო, მაგრამ კეთილი გონება, გამტანი ხასიათი და მოვლენებთან შეგუების უნარი მოუტანა, რაც ბედდამწვარ ადამიანებს ცხოვრებას უადვილებს. უფრო ლამაზ მომავალზე ოცნებობდა, მაგრამ რაც ღმერთმა არგუნა, იმითაც კმაყოფილი იყო. უნდა ითქვას, რომ

არა მართო ახლო მომავალმა, შემდეგმა წლებმაც ვერ გაუტეხა მას გული. მეოჯახე ქალი იყო, ერთგვარი, ერთფეროვანი ოჯახური ცხოვრება ყოველდღიური წვრილმანებითა და პატარა სიხარულით დიდ სულიერ ძალასა და დროს ართმევდა, მაგრამ არ შურდა სხვისი კეთილდღეობა. თუმცა კოსეცკები ნივთიერად ხელმოკლენი იყვნენ, გაქირვება არასოდეს განუცდიათ. გარკვეულ დრომდე არც მწუხარება უგრძნია ალიციას. ქმრის მხრიდან უფრო მეტ სიახლოვეს გრძნობდა, ვიდრე ელოდა. ორი ჯანმრთელი ბიჭი ეყოლა. ქმარი არ ლალატობდა; ბოლოს ანტონი მოსამართლე გახდა და ამის წყალობით ცოლ-ქმარს პატივს სცემდა საზოგადოება. ალიციას მოსამსახურე ჰყავდა, ტყავის პალტო შეიძინა, საკუთარ ვილაში ცხოვრობდნენ. მეტი რაღა უნდა ესურვა?

მაგრამ ახლა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

ამ ბოლო თვეში, როცა პანი ალიცია ქალაქიდან დაბაში მიმავალ კარგად ნაცნობ გზას დაადგებოდა, რთული, წინააღმდეგობრივი გრძნობები დაეუფლებოდა ხოლმე. ერთ დღეს დაღლილმა ხიდზე შეისვენა — გაზაფხულის პირი, მზიანი დღე იდგა, კამკამა ჰაერი დაგათბობდა კაცს — უცებ მისდა მოულოდნელად მიხვდა, რომ ამიერიდან ველარასოდეს დაბრუნდებოდა შინ ისეთ მშვიდ გუნებაზე, როგორც აქამდე ბრუნდებოდა.

დაბაში დიდხანს არ დარჩენილა, პირიქით — წელიწადი ძლივს მოასრულა. მაგრამ კატასტროფის წინამორბედი დრო თვეობით კი არ იზომება, არამედ შემდგომი ტანჯვისა და დანაკარგების ყოვლისმომცველი საზომით. ამიტომაც პანი ალიცია ყოველთვის დაბას იხსენებდა ხოლმე. მის განკარგულებაში ხუთი წელი იყო, რომ ეს მოკლე დრო ომის დაწყებამდე ღრმად განეცადა და არ დაევიწყებინა.

ისე მოხდა, რომ მოსამართლის ვარშავიდან გაქცევა პოლონელების დაბიდან გასაბლებას დაემთხვა. პანი ალიცია მოხუც როზალიასთან დარჩა ოსტროვეცში, იგი ჯერ კიდევ ვარშავაში ემსახურებოდა მათ, უმცროს ვაჟს, ალექსანდრეს ალიცია მშობლიური მხარის სიყვარულით, რუსულ ყაიდაზე ალექს ეძახდა. მთელი ოჯახი მას ამ კნინობით სახელს უწოდებდა. სამაგიეროდ უფროსი ვაჟი, თექვმეტი წლის ანჯეი, არაფერი მოუვიდესო, მამამ ვარშავაში წაიყვანა.

ელვისუსწრაფესად გამოასახლეს ხალხი. მოსახლეობას მხოლოდ სამიოდე საათი მისცეს, თავი მოიყარეთო, და ნება დართეს ყველაზე აუცილებელი ნივთები წაეღოთ. შინ დაბრუნებულ პანი ალიციას თითქმის ყოველთვის ის დღე აგონდებოდა. — თითქოს ის დღე აგერ ნაცნობ ადგილებში მიმალულიყო და გამოწვევას ელოდებოდა, — გვიანი შემოდგომის ის დღე, როცა იძულებული იყო თავისი ვილა დაეტოვებინა. ბინდდებოდა, თქორავდა და ჯანლი წვებოდა. გერმანელების ბრძანებისამებრ, ვილები გაებრყლვიალებინათ. ყოველი მხრიდან ჟანდარმებისა და ჯარისკაცების შეძახილები გაისმოდა. ამ ყვირილსა და სინათლის შუქზე, ცარიელი ვილებიდან რომ გამოდიოდა, უამრავი ადამიანი ეშვებოდა მდინარე შრენიავისკენ, სადღაც ბნელში გულამოსკვნით ტიროდა ბავშვი.

პირველი თვეები პანი ალიცია ნაცნობებთან ცხოვრობდა. სწორედ იმ ხანებში მოვიდა ცნობა, ანტონი შემთხვევით დააპატიმრესო. ანჯეი უკან აღარ დაბრუნებულა. იგი უკვე შეეჩვია ვარშავას, ყოველდღიურ ლუკმას შოულობდა და ალბათ სწავლობდა. მერე ანტონი გორს-როზენში წაიყვანეს. ეშინოდა, ჩემ ნამდვილ გვარს თუ მოვაწერ, ალიციას არაფერი შეემთხვესო, და ცოლს წერილებს არ სწერდა. მხოლოდ ანჯეი თუ შეატყობინებდა ჯანდახან დედას, ასე და ასეო.

ქმარი ცოცხალი იყო. მალე — დიდი დრო არ გასულა, მაგრამ მათთვის, ვინც იტანჯებოდა, თითქოს წლები გაფრინდაო, — ოსტროვეცში გეტო შეიქმნა და კოსეცკა ებრაელის ბინაში შეასახლეს; უკანასკნელი ფულით იყიდა საქსოვი დაზგა და თავს ქსოვით ირჩენდა. ეს ის დრო იყო, როცა ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზე იყო აგებული, სიმდიდრე სიღარიბეზე, ხელშეწყობილი, პრივილეგია — უსიამოვნებაზე; სიცოცხლე, თვითონ სიცოცხლეც კი თავისი შემთხვევითობით შემოინახა.

საქსოვი დაზგით ცოტა ფულს შოულობდნენ და ოდნავ რომ სული მოეთქვათ, როზალია სოფელში დადიოდა სურსათის საყიდლად. მაგრამ მოგვიანებით, როცა იგი ერთხელ ქანდარმებმა მიბეგვეს და ლოგინად ჩაეარდა, ეგრეთ წოდებულ კონტრაბანდას პანი ალიციამ მოჰკიდა ხელი.

ამასობაში დაბამ სწრაფად იცვალა იერი და გაგერმანელდა. საუკეთესო ვილებში ადგილობრივი ბობოლები, გესტაპოელები, ოფიცრები და დიდი მოხელეები ჩასახლდნენ; სახლები დაბომბილი გერმანიიდან ევაკუირებულმა სამოქალაქო პირებმა დაიკავეს. ხოლო ძველი, განახლებული და შეკეთებული შენობები „პიტლერიუგენდის“ ყაზარმებად აქციეს. ოკუპაციის შემდეგ ალიციას ფეხი არ დაუდგამს დაბაში. შემოდგომა შემოდგომას ცვლიდა, გაზაფხული — გაზაფხულს. ყოველ გაზაფხულზე იმედოვნებდნენ, ომი დამთავრდებაო, მაგრამ გაზაფხული გადიოდა და ადამიანებს მაინც უჩნდებოდათ იმედი, მომავალ გაზაფხულზე დაადგება საშველიო. კაცი როცა სასტიკად იტანჯები და საერთოდ გაქრობა გიწერია, უკეთესია გული გაგიტყდეს და მერე ისევ იმედი გაგიჩნდეს, ვიდრე სიმართლეს თვალში შეხედო.

ანტონი ცოცხალი იყო, მაგრამ მისგან ცნობები სულ უფრო იშვიათად მოდიოდა და თანდათანობით მოკლე-მოკლე ხდებოდა... ალექი თერთმეტი წლის ბიჭიდან, ომის დაწყებისას რომ იყო, უცებ მომწიფებულ ყმაწვილად გადაიქცა. ვარშავაში გადაკარგული ანჯეი აჯანყების ჩაქრობის ორი კვირის მერე ერთ დღეს გამოცხადდა ებრაელის ყოფილ ბინაში. წლებმა შეცვალა იგი და პანი ალიციას საშინლად უცხო მოეჩვენა შვილი. ცოტა, თითქმის არაფერი უთქვამს თავის თავზე, მაგრამ გრძელი ფეხსაცმელებით, ჩაშავებული სახით, ცინიკური სიცილით და ვარდისფერყვავილებიანი ცისფერი შპალერით გაკრულ ამ ოთახისათვის შეუფერებელი ქცევით იმ უცხო სამყაროს შეშფოთება შემოიტანა, სადაც რამდენიმე წელი იცხოვრა და იმედებითაც იყო აღსავსე, გამარჯვებაც განუცდია და დამარცხებაც, შინ დიდხანს არ დარჩენილა, ანჯეიმ ოსტროვეცში ტყეს შეაფარა თავი. ბოლოს...

ფრონტი სწრაფად, მოულოდნელად მიუახლოვდა ოსტროვეცს. გერმანელები შრენიავაზე გამაგრდნენ და ორ დღე და ღამეს არტილერიის ცეცხლს უშენდნენ. მესამე დღეს, განთიადისას, დაიგრიალეს „კატუშებმა“ და ერთდროულად ბიალისა და დაბის მხრიდან წითელმა არმიამ დაიწყო მდინარის გადმოლახვა. შეადღისას პირველი საბჭოთა ტანკები შევიდნენ ოსტროვეცში.

პანი ალიცია პირდაპირ სარდაფიდან გაიქცა დაბაში. გაქცეულმა გერმანელებმა ბოლო წუთში გადაწვეს ქალაქი და ახლა ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული. იწვოდა ბაზარი, ყაზარმები, საპატიმრო და ოგროდოვის ქუჩა, სადაც გესტაპო იყო მოთავსებული. მზიანი, სუსხიანი დღე იდგა. ხანძარს არავინ აქრობდა. წყალი არ მოდიოდა. მთელი ხალხი ქუჩაში იყო გამოფენილი. ყველა ტიროდა, ამსხვრევდნენ და ძარცვავდნენ მალაზიებს. სპორტის მონოპოლიის საწყობების წინ გატეხილი კასრიდან ეონავდა სპირტი და ცისფერი ნაკადი ორი

გერმანელი ჯარისკაცის შიშველ ცხედრებს ეღვრებოდა. მთვრალების ყვირილი ავტომატების კაკანს ერთვოდა, მჭახედ ენაცვლებოდა სროლის ხმას. ქვემეხების ყრულრიალისაგან ცახცახებდა ცა დასავლეთისაკენ.

ის შორეული შემოდგომის დღე თვალწინ დაუდგა პანი ალიციას და ათასი რამ მოაგონდა. მდინარე შრენიავის ხიდზე რომ გადადიოდა, მას ყოველთვის აგონდებოდა საბჭოთა ჯარისკაცები, რომელთაც არ უნდოდათ ფიგურირებოდათ ვათ. გაყინული მდინარის პირიდან ცივი ქარი ქროდა. გზატკეცილზე განუწყვეტლივ ნაკადად მიდიოდნენ ტანკები, მოტორიზებული ქვეითი ჯარი, მოტოციკლები, არტილერია. ბოლოს და ბოლოს გასქრა კარგმა რუსულმა კილომ და ქალი დაბისაკენ გაუშვეს. ლითონის გრიალსა და ხრკიალში იგი ხან მალლა ადიოდა. ხანაც ჩამოვაკდებოდა. ჯარისკაცები ყოველწუთს ეძახდნენ და აჩერებდნენ. აქა-იქ ტროტუარზე მკვდარი ცხენები ეყარა. იქით გზა დახეთქილიყო, ტანკსაწინააღმდეგო ორმოები ამოეთხარათ. პანი ალიცია პირველ სახლებს მიუახლოვდა, ფეხქვეშ დამსხვრეული მინა აუტკაცუნდა, პაერში თეთრი ღრუბლები მიცურავდნენ. იქვე ახლოს ვილაც ტუჩის გარმონზე სამხედრო სიმღერას უკრავდა. ჩამოლამდა.

პანი ალიცია თავის ვილაში ჩაიკეტა, მაგრამ თვალი არ მოუხუჭავს. ფანჯრის მინები ჩამტვრეული იყო. დახურულ დარბაზებში ქარი ქროდა და ოთახებში დაშტიალობდა. ეშინოდა ქალს შუქის ანთება. სახლის კარს ჯარისკაცები მოეჯაჯგურებდნენ ხოლმე. ბნელში გაისმოდა მათი ყვირილი და სიმღერები. ოსტროვეცს თავზე უზარმაზარი მთვარე გადმოსდგომოდა. განუწყვეტლივ ისმოდა ქვემეხების ლამეული გრიალი.

III

გაზაფხულის დიდებული დღეები იდგა. მაისის ხასხასა სიმწვანე. თეთრად აფეთქებული ხეები თითქოს მალავდა ნგრევის ნაკვალევს, მაგრამ პანი ალიციამ ზეპირად იცოდა, რა სჭირდება მის სახლს; იგი ისე ფიქრობდა მასზე, როგორც მძიმე ავადმყოფზე, მისი ოდესღაც სალი, ჯანმრთელი სხეული დასნეულდა და ახლა ყოველმხრივ მკურნალობას ითხოვდა. მაგრამ ფული არ იყო და პანი ალიცია ხანდახან თუ შეაკეთებდა სახლს.

ჯერ კიდევ დიდმა ყინვებმა დახეთქეს წყალსადენი მილები. პანი ალიციამ ფანჯრის მინები ვერ ჩასვა და ნოტიო სახლი არ თბებოდა. ათასი რალაც იყო შესაკეთებელი. სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა და ორ ზედა ოთახში არ შეისვლებოდა. გარეთ კედლები ყუმბარის ნამსხვრევებით იყო დახოჭილი, ფანჯრებზე ფირფიცარი აეკრათ, ქერი ჩამონგრეულიყო — აი, ასე საწყალობლად გამოიყურებოდა ერთ დროს ქებული სახლი!

პანი ალიცია მთელ დღეებს საქსოვ დაზგასთან ატარებდა, და თუმცა ნაქსოვ ქსოვილებზე დიდი მოთხოვნილება იყო, ბევრი რამ აკლდა. ხანდახან ისეთ დაღლილობას გრძნობდა, ქანცი უწყდებოდა და, რაც ყველაზე უარესია, სურვილი უქრებოდა ამ დაღლილობას შებრძოლებოდა და დაეძლია. მანამდე ერთთავად დაძაბული იყო, ახლა კი, როცა დღიან-ღამიანად აღარ ეშინოდა, გამუდმებით შინაგან სიცარიელეს გრძნობდა. ეამ-ეამად ისეთი წუხილი შემოაწვებოდა, რა ექნა, აღარ იცოდა. უცებ ჯავრს გადაიყრიდა და გამალეობით იგონებდა ათასნაირ საქმესა და მოვალეობას, ხსნას ეძებდა. მაგრამ საქმე და მოვალეობა იმდენი იყო, ვერ დათვლიდი, საშინელი სამუშაო ძალას აცლიდა და სასოწარკვეთილება იპყრობდა. ბოლოს და ბოლოს რისთვის იყო სა-

ჭირო ყოველივე ეს? რანაირად უნდა ეცხოვრა? კი, ყველაზე უბედური წლები განვლილია, მაგრამ ახლა, ახალი ცხოვრების დამდეგს აღმოჩნდა: იმ წლებში იმდენი რამ წაიღო, იმდენი რამ დაანგრია, ადამიანი ისე გატანჯა და მიწასთან გაასწორა, რომ თავისი დამანგრეველი ძალით წარსულ მოვლენათა საზღვრებს გადააჭარბა და მერმისი მოწამლა, რომელიც ყველაზე მძიმე წუთებში იმედით ავსებს ხოლმე ადამიანს.

ჩვეულებრივსამებრ სახლს ირგვლივ შემოუარა და სამზარეულოს კარზე დააკაკუნა. მთავარ შესასვლელთან ზარი არ მუშაობდა, დააკაკუნებას კი გამოყრუებული როზალია ვერ გაიგებდა. პანი ალიცია სულ აპირებდა რამდენიმე გასაღები კიდევ გაეკეთებინა, სულ ორი გასაღები შემორჩათ და ორივე ბიჭებმა მიითვისეს.

როზალიას მაშინვე არ გაუღია. ამ ფაშფაშა, სამოცი წლის ქალს დიდი წითური სახე და პატარა თვალები ჰქონდა, თეთრი თმა თავზე გადაეტკიცა. საერთოდ ყრუჩუნებისა არ იყოს, ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— ვინმე ხომ არ მოსულა? — ჰკითხა პანი ალიციამ.

თურმე კოსეცკების ჯერ კიდევ ომამდელ ნაცნობს, მაიორ სტანევიჩის მეუღლეს შემოევლო. იგი ხშირად დაჰყვებოდა ალიციას ღორის ქონისა და რძის ნაწარმის საყიდლად.

— დიდი ხანია?

— ერთი საათი იქნება! — უპასუხა როზალიამ. — მაშინვე წავიდა, პან მოსამართლემ არ მიიღო.

არ მოეწონა პანი ალიციას ამის გაგონება, მაგრამ მაინც ქმარი გაამართლა.

— ძალიან დაიღალა, უნდა დაისვენოს.

როზალიამ ფართო მხრები აიჩეჩა.

— რა თქმა უნდა, განა არ ვიცი? ცხადია, უნდა დაისვენოს.

პანი ალიცია პოლში შევიდა. პოლში არავინ იყო, ბნელოდა და რალაცნაირ უცხო შთაბეჭდილებას ტოვებდა. როზალია მას მიჰყვებოდა.

— სხვა არავინ ყოფილა?

— ფაბიანსკიმ მატყლი მოიტანა.

— მატყლი? — გაიხარა პანი ალიციამ, — ძალიან კარგია. სად არის?

— წავიდა.

— განა ფაბიანსკიზე გეკითხები, როზალია! მატყლი სად არის-მეთქი, ამის გაგება მინდა.

— მატყლი? მე საიდან მეცოდინება? — გაბრაზდა ის. — თან წაიღო.

— რა წაიღო?

— ასე თქვა; ვერ დაგიტოვებთ, ფული ახლავე უნდა მომცეთო.

პანი ალიციამ სიმწრისაგან ხელები დაიმტვრია.

— ღმერთო, რანაირი კაცია! განა მაშინვე არ ვაძლევდი?

— ვუთხარი, ახლავე მოგცემთ-მეთქი.

— პოდა, რა გითხრა?

— მითხრა, რაკი შინ არ არის, მატყლს ვერ დაგიტოვებთ, საჩქაროდ ფული მჭირდებაო.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! — მოიწყინა პანი ალიციამ. — ახლა ძალიან ჭირს მატყლის შოვნა...

— ისიც თქვა, შინ კიდევ მაქვს, მხოლოდ უფრო ძვირია, სამი ათასი ლირისო.

პანი ალიცია ჩაფიქრდა.

— ეჰ, რას იზამ, ის ძვირი მატყული უნდა ავიღოთ, მხოლოდ ნუ გადავდებთ, ხვალ შეიძლება კიდევ უფრო გაძვირდეს.

— ჰო, იქნებ გაძვირდეს, თვითონ გვითხრა.

— ფაბიანსკიმ თქვა? ოჰ, რა კაცია! — უცებ მოუთმენლობა დაეკრძალა ალიციას.

— როზალია, ახლავე უნდა წახვიდეთ ფაბიანსკისთან, დაუჩქარეთ.

— წავალ, ქარი ხომ არ ქრის?

— ქარი საიდან მოიტანე? მშვენიერი, თბილი ამინდია... ახლავე ფულს მოგიტანს და წადით.

ჰოლიდან საძინებელ ოთახში შევიდნენ.

ომამდე კოსეცკების საძინებელი ოთახი ზემოთ იყო მოთავსებული, მაგრამ სახურავიდან წვიმა ჩამოდიოდა და კოსეცკები ქვემოთ ჩამოვიდნენ. გერმანელების ნაქონი ავეჯიც ჩამოიტანეს, ეს ავეჯი საშინელებად ეჩვენებოდა პანი ალიციას. მუშათა დამჭირავებელი განყოფილების გამგემ, თავის დროზე კოსეცკების ვილა რომ დაიკავა და ჰიტლერელთა გადაკეთების მანია სჭირდა, ყველაფერი გადაეკეთებინა, მთელი სახლი თავის გემოზე მოართვევინა, მაგრამ უკეთესად შეიძლებოდა. ყველა კუთხე უცხო ეჩვენებოდა, პანი ალიციას კარგად ახსოვდა თავისი სახლი და ვერაფრით შეჰგუებოდა ახალ, უცხო მორთულობას. გემოვნებისამებრ გადააღაგა ოთახებში ავეჯი, დიდი ძალა დახარჯა, მაგრამ მაინც გული არ ერჩოდა, თითქოს სხვის სახლში გრძნობდა თავს. როგორც კი საძინებელ ოთახში შევიდოდა, ლამის ზიზღით უცქეროდა უზარმაზარ, უგემოვნო მდიდრულ ტახტს, განიერ კარადას, რბილ სავარძლებსა და ჩამოსხმულ კალს. ყველაფერი კომფორტული სასტუმროს მოსაწყენ მორთულობას მოგაგონებდა.

როზალია კარის ზღურბლზე შეჩერდა.

— გვეყოფა ფული?

— როგორ თუ გვეყოფა? — გაიკვირვა ალიციამ. — განა გუშინ ოთხი ათასი არ მომცეს იმ ლეგა-ნაცრისფერ ნაქურში...

დაეჭვებულმა როზალიამ პატარა თვალეები მიაპყრო თავის ქალბატონს.

— მე რა ვიცი, ჩემთვის ხომ არაფერი გითქვამთ.

— როგორ არა, გუშინ საღამოს არ გითხარით?

მონუცი ქალი მართლა გაბრაზდა.

— ყრუ კი ვარ, მაგრამ ისე არა, ვერ გამეგონა, რა მითხარით.

პანი ალიციამ იფიქრა, არ დავუთმობო, მაგრამ როზალიას შემყურემ გადაიფიქრა.

— ჰო, შეიძლება მართლა აღარ მახსოვს...

— რა თქმა უნდა, აღარ გახსოვთ.

— ასეა თუ ისე, ფული გვაქვს.

ალიციამ გერმანული კარადა გააღო, გულში ასე ეძახდა კარადას, და გრილი, ერთმანეთზე დაწყობილი ზეწრების ქვემოდან ძველი, მამის ნაქონი საფულე გამოიღო, რომელშიც რამდენიმე წელია სახარჯო ფულს ინახავდა. „ღმერთო, რამდენი რამ გადაიტანა იმ საწყალმა!“ — გაიფიქრა აღელვებულმა. ფოტოსურათების გარდა ეს ერთადერთი სახსოვარი დარჩა მშობლებისაგან. საფულე გახსნა და გული კინაღამ გაუსკდა, იგი ცარიელი იყო.

ცოტა ხანს გახევებული იდგა, მარტო იმას გრძნობდა, რომ საფეთქლებ-

ში ცივი ოფლი ასხამდა. კიდევ ერთხელ გაჩხრიკა მთელი საფულე. ვერაფერი ნახა. „სიმშვიდეა საჭირო. სიმშვიდე...“ — სჩუტრულვებდა იგი, მოიგონა, გუშინ რომ ფული შეინახა და დღეს, ქალაქში წასვლა როცა დააპირა, რვა ხუთთუმნიანიდან ერთი ამოიღო სახარჯო ფულად, დანარჩენი ისევ თავის ადგილზე ჩადო. არა, არ შეცდებოდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა შეწერები გადააწყო და, ვერაფერი რომ ვერ იპოვა, მთელი თარო გადასწორებდა.

ამასობაში როზალიას მოთმინება დაეკარგა: ვერ ხედავდა, რას შვრებოდა კარადის კარის იქით კოსეცკა.

— წასასვლელი თუ ვარ, ბარემ წავალ... მალე დაღამდება...

— ახლავე, ახლავე, როზალია! — კარს იქიდან უჩვეულოდ ხმამაღლა გამოსძახა ალიციამ. — წადით, ჩაიცვით.

— ფული?

ალიციამ ხელის გულები საფეთქლებზე მიიღო.

— ანჯეი შინაა?

— ანჯეი?

— გეკითხები, შინ არის-მეთქი?

— სახლშია, ახლახან დაბრუნდა. ვილაცები ესტუმრენ.

ალიცია შეყოყმანდა.

— ალექი? სად არის?

— ალექი? მაგას როდისმე სახლში ნახავ? გახვედით თუ არა, გარეთ გავარდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა ვქნა? — ჰკითხა როზალიამ. — ბოლოს და ბოლოს ვერაფერი გავიგე...

— ხომ გითხარით, ჩაიცვით-მეთქი. ამ წუთში მოვიტან ფულს.

ბოლოს როზალია გავიდა და ალიციამ კარადის კარი მიხურა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდა, კარადის კარი გამოაღო და სათითაოდ გადააწყო ზეწრები. სულ ამაოდ. ისევ მიხურა კარადის კარი. უცებ კარადის დიდ სარკეში ერთი ხელის გაწვდენაზე თავისი გაფითრებული, შებერებული სახე დაინახა და წამით შეშინდა — მრუმე თვალებში აუტანელი ტკივილი ჩაბუდებოდა. აზრმოუკრებლად ასწია ხელები და თმა გაისწორა. მთელ სახლში ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს ცარიელიაო. მეზობელი ოთახიდან, ახლანტონის კაბინეტი რომ იყო, ჩქამი არ ისმოდა. გარეთ, ბაღში მხიარულად ეღურტულებდნენ ჩიტუნები.

ალიციამ სარკეს ზურგი აქცია და გარეთ გასვლა დააპირა, როცა ტახტთან დადებული ალექის ფოტოსურათი დაინახა. ძალიან ძველი, მაშინდელი სურათი იყო, როცა იგი სამი წლისა გახდა. მზით განათებულ ქვის კიბეზე იჯდა, საზაფხულო პერანგი და მოკლე შარვალი ეცვა. მარჯვენა ხელი ბავშვურად მუხლში მოხრილ ფეხზე შემოეხვია. მაშინ ლამაზი ბიჭი ეთქმოდა, ღია ფერის ხუჭუჭა თმა და ანგელოსივით მრგვალი სახე ჰქონდა. უცებ გაახსენდა, რომ სწორედ იმ წელს, როცა ეს სურათი გადაუღეს, ალექმა თავისი პირველი დიდი დრამა განიცადა. ბუდიდან გადმოგდებული ორი ყარყატის ბარტყი ნახა: რამდენიმე საათს ქვითინებდა, ღამით ყვირილით გამოიღვიძა და საწყალობლად ტირილობდა, მერე კი დიდხანს, ზამთარშიც არაერთხელ ჩამოაგდებდა სიტყვას საწყალ „ყარყატის ბარტყებზე“. მას შემდეგ აგერ უკვე რამდენი წელი გავიდა, მაგრამ თვალი რომ მოკუტა, ცხარე ცრემლებს შევიკავებო. პანი ალიციამ თა-

ვის ხელებში ატატიებული ბავშვის სიტბო იგრძნო: გულს სიყვარული, წუხილი, უსაშველო დარდი შემოწოლოდა და მაშინდელივით ცახცახებდა, როცა უნუგე-შოდ მტირალა ბიჭუნას მკერდზე იხუტებდა.

ალიცია თავს მოერია და სწრაფად გამოვიდა ოთახიდან, კიბეებზე რთმ ჩაყრი-ლიოდა, ანჯეის ხმა მოესმა. ერთი წამით შეყოყმანდა, მაგრამ იმბსი ~~გაფრთხილებას~~ ზე, როზალია არ მიხვდეს, ფული ვინ წაიღო, მაშინვე დასძლია წამიერი ყოყ-მანი.

ერთადერთი საცხოვრებლად გამოსადეგი ოთახი მალლა ალექს ეკირა. მე-რე მარტში ტყიდან რომ დაბრუნდა მასთან ანჯეი ჩაასახლეს, რამდენიმე ყმა-წვილი კაცი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, გეგონებოდა, ჩხუბობენო.

— პირველმა მაცეკმა დაიწყო. ყველაფერი შენი ბრალია, ყეყეჩო!

— თვითონ ხარ ყეყეჩი!

— აბა, აბა, იცოდე...

— ოჰ, ღმერთო, რა გინდა ჩემგან, ჯანდაბას თქვენი თავი! საიდან უნდა მცოდნოდა? დროც ემთხვევა ერთმანეთს და მანქანაც ისეთივე იყო...

ღრიანცელმა დაახშო მოლაპარაკის ხმა. მერე ვიღაც სხვამ დაილაპარაკა:

— დაწყნარდით, ბიჭებო! ჩუმად, ტყეში ხომ არა ვართ...

ალიცია მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მისი შვილი ლაპარაკობდა. ამის შემ-დეგ ხმა არაეის ამოუღია.

— ...მეორე, არც ერთი თქვენთაგანი არ არის განსაკუთრებით დამნაშავე, ყველანი ერთად ვიყავით და ეს საქმე ერთად ჩავაფლავეთ...

ალიციამ კარზე დააკაკუნა და ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ერთი წუთის შემდეგ ანჯეის ხმა გაისმა, მან ხაზგასმით წარმოთქვა:

— მობრძანდით!

ქალს არ უნდოდა ოთახში შესვლა. შვილს დავუძახებო, იფიქრა, როცა კარი გაიღო: ზღურბლზე ანჯეი იდგა, როგორც ყოველთვის, მალაღყელიანი წა-ღები ეცვა. უბიჯაკოს მოკლესახელოებიანი პერანგი მკერდზე გაელელა. ქერა-თმიანი, მალალი ანჯეი მამას ჰგავდა. ოთახში პაპიროსის კვამლი იდგა.

— შენ ხარ, დედა! — ოდნავ გაიკვირვა და ზღურბლზე გადმოაბიჯა. — რამდენიმე ამხანაგია ჩემთან...

— ვიცი, ვიცი, — გააწყვეტინა მან. — ხელს არ შეგიშლი, მხოლოდ ორი-ოდე სიტყვას გეტყვი. კარი მოხურე, კარგი?

ანჯეი ასეც მოიქცა.

— მოხდა რამე?

— ერთი რამ უნდა გთხოვო, — მორიდებით დაიწყო მან. — ცოტა მატყლი მაქვს საყიდელი ჩემი დაზვისათვის.

— ფული გაკლია?

ალიცია გაწითლდა, მაგრამ კიბეზე ბნელოდა და ანჯეის არაფერი შეუმჩნე-ვია.

— ასე მოხდა, თუ შეგიძლია...

— რამდენჯერ უნდა გითხრა, — გააწყვეტინა ანჯეიმ, — მოეშვი იმ დაზვას-მეთქი. ფული კი მაქვს, მაგრამ ყოველთვის მერიდები.

— მალე შევეშვები, მალე შევეშვები, — სიტყვა ბანზე აუგლო დედამ. — როგორც კი მამა საქმეს შეუდგება...

ანჯეიმ აგდებულად ჩაიქნია ხელი.

— ეჰ, მამამ რა უნდა იშოვოს! ისე, როგორც მეტყვი, დედა. რამდენი გინდა, ხუთი, ათი ათასი?

ალიციამ შეშინებულმა გახედა.

— ამდენი საიდან გაქვს? ბევრად ნაკლები მჭირდება... სამი ათასი.

— სამი გეყოფა? ეს რა სალაპარაკოა! აი, დედა.

შარვლის ჯიბეში ჩაიყო და დაუდევრად ამოიღო ხუთთუმნიანების დიდი შეკვრა. ფული ხელში ეჭირა და დედას უყურებდა.

— მეტი მართლა არ გინდა?

შვილს ამდენი ფული რომ დაუნახა, ალიციას თავნარი დაეცა და ისე გახევდა, რომ მისი შეკითხვა ვერ გაიგონა. იცოდა, რომ ანჭეის მუდმივი სამუშაო არ ჰქონდა; ნეტავი სად იშოვა ამდენი ფული?

— შვილო, — მორიდებულად დაიწყო მან, — ეს ალბათ შენი ფული არ არის?

— შენი არ არისო? — კმაყოფილმა ჩაიცინა მან. — ვითომ რატომ?

დედის გამომცდელი მზერა დაიჭირა, გაწითლდა და თვალი აარიდა.

— შენ გგონია, ძალიან ბევრია? ერთი შეხედვით კი გეგონება — სასწრაფოდ გადათვალა ექვსი ქალაღის ფული და დედას გაუწოდა.

— აილე სამი ათასი.

— მადლობელი ვარ, — ჩურჩულით უთხრა დედამ. ექვითა და წუხილით სავსე კვლავ დაელაპარაკა:

— შვილო...

მაგრამ იმ წუთას საკუთარი ვაჟი ისე უცხო და მიუდგომელი მოეჩვენა, რომ წინადადება აღარ დაუმთავრებია, დადუმდა. ერთ წამს მაინც იმედი ჰქონდა, გამიგებს და თბილ, გულწრფელ სიტყვებს მეტყვისო. პასუხად მოკლე საქმიანი „გისმენ“ კი გაიგონა, რაც მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

— არაფერია, არაფერი, — აჩქარდა იგი. — ხელი არ შეგეშალოს, მივდივარ უკვე. მადლობელი ვარ.

ანჭეიმ ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

— არაფრის! რისი მადლობა.

ნელ-ნელა ჩამოვიდა დაბლა, ხელს არ უშვებდა მოაჭირს, უცებ თავი ცუდად იგრძნო, ესმოდა, რომ ანჭეი დიდხანს იდგა კიბეზე. ალიცია პოლში რომ შევიდა, მხოლოდ მაშინ მიიხურა ზემოთა კარი.

უკვე ჩაცმული როზალია მას სამზარეულოში ელოდა. იღლიაში დიდი შავი ჩანთა ამოეჩარა. თავზე თბილი, შალის სახოცი წაეკრა. ფული აიღო და მაშინვე უბეში ჩაიდო.

— ამდენი რამ რად ჩაგიცვამთ, — გაუკვირდა ალიციას, — ზამთარი ხომ არ არის.

მოხუცმა მხრები აიჩეჩა.

— ვერ ვბედავ. ახლა რომ თბილა, ერთ საათში შეიძლება აცივდეს, ქარი ამოვარდეს და გავცივდე. — რაც უფრო წლები ემატებოდა როზალიას, სულ თავის ჯანმრთელობაზე ფიქრობდა.

— თხელი სახოცი მაინც წაგეკრათ, მაისია და შალის თავსაფრით კი დადიხართ.

როზალიამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მართალი იყო.

— რანაირად დადიხარო? მე ერთი რამ ვიცი, ქალბატონო: თუკი ადამიანი

ღვთის წყალობით ამ ომს გადაარჩება, თავს უნდა მიხედოს. აი, ჩანაირად დაე-
დივარ!

სახოცი შუბლზე ჩამოიწია და გავიდა. ერთი წუთის შემდეგ კუთხურა მი-
იხურა.



ალიცია ჩვეულებრივ ფუსფუსებდა სამზარეულოში. მიხურა ჩვეულებრივად
ჩამარა რომ იღებოდა, მაგიდიდან პურის ნამცეცები გადმობერტყა. მაგრად და-
კეტა ონკანი და ბოსტნეულით სავსე კალათი მაგიდის ქვეშ დადგა. ამას იგი აზრ-
მოუკრებლად აკეთებდა, მაგრამ უცებ ისეთი დაღლილობა იგრძნო, ჯორკო მი-
იჩოჩა და დაჯდა. სამზარეულოში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ონკანიდან წვე-
თავდა წყალი.

ალიციას ფიქრის თავიც არა ჰქონდა, რაღაცნაირად გაშტერებული იყო,
ვერ გაიგონა, რომ კარმა გაიჭრიალა და სამზარეულოში ჩუმად, უხმაუროდ ან-
ტონი შემოვიდა. მხოლოდ მაშინ, როცა სულ ახლოს ნაბიჯების ხმა მოესმა, ალი-
ცია შეკრთა და შეშინებული წამოხტა; დარწმუნებული იყო, ვიღაც უცხო შე-
მოებეტაო. ანტონის დანახვაზე შვეებით ამოისუნთქა. მაგრამ გული ისე მაგრად
უცემდა, რომ ისევ დაჯდა.

— ღმერთო. რა აწეწილი მაქვს ნერვები! — თავი გაიმართლა მან მთრთო-
ლვარე ხმით. — ვიფიქრე, ვიღაც უცხო შემოვიდა-მეთქი...

კოსეცკიმ სწრაფად მოავლო თვალი სამზარეულოს.

— სად არის როზალია?

— ამ წუთას წავიდა ქალაქში. რამე გინდოდა?

— არა, არაფერი.

ერთი თვალის გადავლებით, კოსეცკი მშვენივრად გამოიყურებოდა. კარ-
გად მორგებული საუკეთესო, ომისდროინდელი მუქი წაბლისფერი კოსტიუმი
ეცვა. რომელსაც ალიცია ამდენი ხანია თავზე ევლებოდა, სუფთა პერანგი,
ასევე ომისდროინდელი გვარიანი ფეხსაცმელი ეცვა, ჰალსტუხი ლამაზად გა-
მოესკვნა. მხოლოდ თვალეში ჩაბუდებული შიში და ავადმყოფურად შეშუ-
პებული სახე, რასაც კიდევ უფრო მეტად აჩენდა გადაპარსული კონუსისებუ-
რი თავის მოყვანილობა, იმ კაცის წარსულს ამჟღავნებდა, დიდხანს რომ იჯდა
საპატიმროში.

უცებ პანი ალიცია მაგიდიდან წამოხტა და ონკანთან მიიბრინა.

— რა უბედურება სჭირს ამ ონკანს! სულ წვეთავს და წვეთავს! — დაკეტ-
ვა დააპირა და ჰკითხა: — ხომ არ გშია? იქნებ ჰამ რამეს, ჰა?

— გმადლობ! ჩაის დავლევ, თუ არის...

ალიციას გაუხარდა. რაღაცას მაინც ვიზამო.

— რა თქმა უნდა, არის! ცოტა ჩაი ვიყიდე, კარგი უნდა იყოს. ამწუთში დაე-
დგამ წყალს, მალე ადუღდება.

— გმადლობ! — უხალისოდ უთხრა ქმარმა.

გარეთ გავიდა და კარი ჩუმად მიიხურა. ეს ალიციასათვის იმდენად მოუ-
ლოდნელი იყო, რომ დაბნეულმა ხელი ძირს ჩამოუშვა, რომელშიც ჩაიდანი ეჭი-
რა.

მხოლოდ ერთი დღე გავიდა, რაც ანტონი შინ მივიდა, მაგრამ ალიციამ
უკვე შეამჩნია, რომ გაუბოდა ცოლთან მარტო დარჩენას, თითქმის სულ სახლ-
ში იჯდა, მერე ერთად დასხდებოდნენ, ისადილებდნენ და ანტონი თავის კაბი-
ნეტში განმარტოვდებოდა: ალიცია რამდენჯერმე შევიდოდა მასთან და იქიდან
სინდისის ქენჯნით გამოდიოდა. ქმარს ხელს ვუშლიო. ესმოდა, რომ ანტონის არ

უნდოდა მისთვის გაემხილა თავისი განცდები, პირველ დღეებში გაურბოდა ყოველგვარ აღსარებას და არაფრისმთქმელი, საერთო წინადადებებით მოითავებდა საუბარს, როცა იქ, ბანაკში ყოფნის თაობაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას. ანტონის ენამრავლობა არ სჩვეოდა და ალიცია მიეჩვია ამას. იმედოვნებდა, რომ გავიდოდა ზანი, ანტონი ისევ შეეჩვეოდა სახლს, ბანაკში განცდები სწრაფად გადამავიწყდებოდა და თავისუფლად ილაპარაკებდა ამაზე, სამაგიეროდ ალიციასათვის სავსებით გაუგებარი იყო, რა გულგრილობას იჩენდა ანტონი პირველი დღიდანვე ქალის განცდებისა და მთელი მისი ცხოვრებისადმი. მთელი თვეები ალიცია მარტო ცხოვრობდა, არც არავის დახმარების იმედი ჰქონია, ახლა კი ნამდვილად უნდოდა ვინმე ახლობელი ჰყოლოდა გვერდით და ის ტვირთი, ქალის ძალას რომ აღემატებოდა, მასთან ერთად გაეზიარებინა. მაგრამ ანტონი ვერ ხვდებოდა ამას, ყოველ შემთხვევაში თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არ ესმისო, რა უჭირდა ალიციას. ანტონი თავის თავში ჩაიკეტა და ფიქრს მიეცა. ალიცია თავს იმშვიდებდა, ასე დიდზანს არ გაგრძელებათ, მაგრამ მისი მოსაზრებები, რომლებითაც იგაანტონის საქციელის ახსნასა და გამართლებას ცდილობდა, ქალს დარდით ავსებდა. ბოლოს და ბოლოს რა იყო მისი ცხოვრების მიზანი? ალბათ იმის შეგრძნება, რომ ვიღაცას სჭირდებოდა. ყველაზე უმძიმეს წუთებში ის აზრი აცოცხლებდა, რომ ანტონი დაბრუნდა. თუმცა ბანაკებიდან საშინელი, დაუჯერებელი ამბები მოდიოდა, ქალს მაინც სჯეროდა, ანტონი ყველაფერს გაუძლებს და შინ დაბრუნდება. განა მაშინ აზრად მოუვიდოდა, ბოლოს და ბოლოს ეს რომ მოხდება, ქმართან ყოველი ჩემი შეხვედრა ასე მტკივნეული და დამამცირებელი იქნება?

ერთი რამისა ეშინოდა ახლა ალიციას, ქმრის კაბინეტში რომ იყო შესასვლელი; გზაშივე აფორიაქდებოდა, კარს გავადებ, ანტონის მარტოს ვიხილავ და ისეთივე სახე ექნება, ჩემს მოსვლამდე რომ ექნებოდაო. მაგრამ მაინც ერიდებოდა კარზე დაკაკუნება, ადრე ასე არ იქცეოდნენ და ახლა ალიციას რომ ეს ექნა, ამით უფრო გაუსვამდა ხაზს მათ გაუცხოებას. ისე, ყოველთვის ახსოვდა, ანტონის კაბინეტს რომ უახლოვდებოდა, ქმარს აფრთხილებდა, მოვედიო.

ამჟამადაც არ უღალატა ჩვეულებას; ჩაი მიუტანა ქმარს. სამზარეულოს კარი მიაჯახუნა და ნელინელ მიდიოდა უზარმაზარ ჰოლში, რამდენჯერმე ჩაახველა. დარწმუნებული იყო, კაბინეტში რომ შევიდოდა, საქმიანად თავდახრილი და ქალაქლებში ჩაფლული ანტონი საწერ მაგიდასთან იჯდებოდა. მართლაც ასე მოხდა.

ალიციამ ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადგა და თუმცა ერთი წუთის წინათ გადაწყვიტა, მაშინვე წავალო, ყოყმანობდა.

— ჩაი მზადაა. — ჩუმად თქვა მან.

კოსეცკიმ უფორმო, გადაპარსული თავი დახარა.

— მადლობელი ვარ.

ალიციამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ანტონის წინ დადებული გაზეთი სწორედ იმ გვერდზე იყო გადაშლილი, დილიდანვე რომ კითხულობდა, როცა ბოლოს აქ შემოვიდა. ალიცია ფანჯარასთან მივიდა, რცხვენოდა, ქმარს რომ ვუცქერი, თვალები განზე გაურბისო. გრძნობდა, რომ ანტონის ვერა და ვერ დაემორჩილებინა თავი. რაც მართალია, მართალია. მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ ქვეშ-ქვეშ მომზირალ თვალებში ფარული, მისთვის გაუგებარი წუხილი ჩასდგომოდა.

ფირფიცრით შექედნილ ფანჯრის იქით თეთრად ყვავილობდნენ ვაშლის ხე-

ები. გარეთ ისევ დღის სინათლე იდგა. მაგრამ ისედაც მრუმე ოთახში მთლად ჩამობნელებულიყო.

ქალმა ფანჯრის რაფაზე დადებული სატაცური განზე გასწია.

— არ გცივა?

— არა, — სწრაფად მიუგო ანტონიმ.

ალიციამ ერთხელაც კიდევ შეამოწმა, წყალი ხომ არ დაესხა სატაცურისათვის. ქოთანში ჩაყრილი მიწა ნოტიო აღმოჩნდა. იმ წუთას სხვა საქმე რომ არ გამოუჩნდა, წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ ტირილი მოუჩნდა: შიშისაგან გააყრყოლა. ვაითუ თავი ვერ შევიკავო და ავკვითინდევო. ბაგე მოიკვნითა და მისდა უნებურად მკერდზე მიიღო ხელისგულები, თითქოს ამით უნდოდა დაეცხრო ტკივილი და უმწეობის შეგრძნება. ანტონიმ ხმაურით დადგა ფინჯანი ლამბაქზე, არ დაუცადა ცოლის წასვლას და ჩაი მოსვა, ეს კარგის მომასწავებლად ეჩვენა ალიციას და გული მოეცა. მაგრამ ეშინოდა, ხმამ არ გამცესო, და ცოტა ხანს იყუჩა.

— გემრიელია? — ჰკითხა ერთი წუთის მერე. — ძალიან სუსტი ხომ არ არის?

— არა, ძალიან კარგია.

ალიციას მოეჩვენა, რომ ანტონიმ ეს დიდი სითბოთი უთხრა და გახარებული მაშინვე მისკენ მიბრუნდა. მაგიდაზე დახრილ ანტონის ორივე ხელით ეჭირა ჭიქა. თითქოს გათბობას ლამობსო, და ნელ-ნელა სვამდა ჩაის. ქალი სულით ხორცამდე შესძრა ამ მოძრაობამ — მათხოვრის მოძრაობამ. მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ შენიშნა ანტონიმ, რომ ალიცია მას უცქეროდა, კაცს თვალები გაეჭკა. მაგრამ მაშინვე მზერა მოარიდა და ფინჯანი ლამბაქზე დადგა.

— დიდებული ჩაია. დიდი ხანია ასეთი არ დამილევიან.

პანი ალიცია ჩაფიქრდა.

— ჩაი ჩვენც გვიჭირდა. იშოვიდი, მაგრამ ძალიან ძვირი ღირდა.

ეს თქვა და მაშინვე იხანა, რომ ასე დაუფიქრებლად თავისი ცხოვრება ბანაკში მჯდარ ანტონის ცხოვრებას შეადარა და, ეს რა წამოვროშეო, დაუყოვნებლივ დაუმატა:

— ფრანეკ პოდგურსკი დაბრუნებულია.

კოსეცკის არაფერი უთქვამს.

— ძალიან გაუხარდა შენი ჩამოსვლა. უკვე იცოდა ეს ამბავი.

— იცოდაო? — თავი ასწია კოსეცკიმ. — ვისგან?

— აბა მე რა ვიცი? ვინმე დაგინახავდა. რა გასაკვირია.

კოსეცკიმ ისევ აიღო ფინჯანი.

— შეიძლება ასეა.

პანი ალიცია ახლოს მივიდა საწერ მაგიდასთან.

— იმალებოდა...

— ვინ?

— პოდგურსკი!

— ჰო, პოდგურსკი!

— ძალიან უნდა შენთან შეხვედრა...

ანტონის ხმა არ ამოუღია. გაზეთზე გადაიხარა და ხელი ისე ამოიფარა, სახე აღარ უჩანდა.

პანი ალიციამ ყოყმანით უთხრა:

— მე მგონი, თუ გესტუმრა, უნდა მიიღო.

კოსეცკი წამოდგა და სკამი განზე გადადგა.

— ხომ გითხარი, არავის ნახვა არ მსურს-მეთქი! — მაგრამ მაშინვე თავს მოერიდა და წყნარად დაუმატა: — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა მაგიდასთან და აფეთქდა.

— დღეს სტანევიჩიო, ხვალ პოდგურსკიო. ზეგ კიდევ სხვა რამეები და აქ ცნობისმოყვარეთა მთელი ბრბო შეიყრება... მგონია, ყველაფერი იმის მე-რე, რაც გამოვიარე, მაქვს დასვენების უფლება, ასე არაა?

პანი ალიციამ ხელები მკერდზე მიიტყუბა.

— არც მე მქონდა იოლი ცხოვრება. ნუ გეგონება, რომ გვილხინდა.

კოსეცკი შეჩერდა.

— განა იმას გეუბნები, გილხინდა-მეთქი? მაგრამ რა კავშირი აქვს ამას პოდგურსკისთან?

— აქვს და მეტი არა? მაგრამ შენ ამას ვერ ხედავ... მგონია... მეც ადამიანი ვარ და დავიმსახურე... ვინაიდან... ნამდვილად აღარა მაქვს ძალა, საერთოდ აღარა მაქვს ძალა...

პანი ალიცია, ხელები მკერდზე რომ მიედო, უცებ ჩუმად ატირდა. მსხვილი წვეთები მოწანწკარებდა დამკვანარ ლოყაზე, მთელი ტანი უცახცახებდა.

ანტონის არ უცდია დამშვიდება, თავდახრილი გაუნძრევლად იდგა მაგიდასთან, მისი სახე არაფერს გამოხატავდა.

— მომხედე... — უთხრა კაცმა ბოლოს, — ასე რამ გაგაბრაზა? ამას ხომ აზრი არა აქვს.

— მართლაც აღარ შემიძლია, — ხმა ჩაუწყდა პანი ალიციას.

— საშინლად მიჭირს...

— რა გიჭირს?

— ყველაფერი.

კოსეცკიმ მხრები აიჩეჩა.

— დაიცა, რას ნიშნავს: ყველაფერი? ბოლოს და ბოლოს ყველა ცოცხალი ვართ, ოჯახები გვაქვს, — ჩაიქირქილა მან. — მეტი რაღა გინდა?

გაწითლებული თვალები ცხვირსახოცით მოიწმინდა ქალმა და თავი დაუქნია, ყოველივე მესმისო.

— მაშინ რა ამბავია?

კიდევ ტირილი აუტყდა, ამჯერად ანტონიმ გადაწყვიტა, ამდგარიყო და ცოლთან მისულიყო.

— დამშვიდდი. — მხარზე ხელი დაადო ცოლს. — ნერვების ბრალია.

ეს უთხრა, მაშინვე განზე გადადგა, ხელები ზურგზე შემოიწყო და ოთახში ბოლთას ცემას მოჰყვა. ალიციამ ცრემლიანი თვალები მიაპყრო.

— ვიცი, რომ ნერვების ბრალია, მაგრამ რა ვქნა?

კოსეცკი გაჩერდა.

— რა უნდა ქნა? გაივლის. ყოველივე გაივლის, ყოველივე თავას ადგილზე დადგება...

ქალი ფიქრობდა, დამაწყნარებდნო, მაგრამ ანტონი ისე გაუბედავად ელაპარაკებოდა, რომ მან თავი მთლად გაუბედურებულად იგრძნო, გაახსენდა შვილები, ოჯახი, ფულის დაკარგვა...

— ხანდახან აღარაფრის მჯერა, — გულგრილად თქვა მან. — ყველაფერს გავიფიქრებ და სიცოცხლე აღარ მინდა.

— ამის თქმა ადვილია! — ანტონიმ აგდებულად ჩაიქნია ხელი. სი-
ცოცხლე ყველას სწყურია.

— ჰო, მაგრამ რატომ? რისთვის?

ანტონი დუმდა.

— ყველას შენი არშინით ზომავე...

— მე?

— სხვადაც ბევრი რამ განიცადა. ბანაკში ყველა არ მჯდარა, მაგრამ აქაც
ხანდახან უკეთესად როდი იყო საქმე...

კოსეცკი ოთახის სიღრმეში. ბნელში შეჩერდა.

— ყველას შენი არშინით ზომავეო, ასე არ მითხარი?

— არ არის ასე?

— შეიძლება.

უცებ კაცმა უჩვეულოდ ხმამაღლა და უსიამოვნოდ გაიცინა. პანი ალიცია
შეკრთა, აზროშეკრებლად აიღო ცხვირსახოცი თვალებიდან. მაგრამ სიბნელე-
ში ვერ დაინახა ქმრის სახე, მხოლოდ მისი მოყვანილობა გაარჩია. ანტონის სი-
ცილი გამუდმებულ მშრალ ხველებას მოგაგონებდა, და ალიცია შეშინდა.

— ანტონი! — დაუყვირა ხმაათრთოლებულმა.

კაცი მაშინვე დაცხრა და ჩაბნელებულ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. დიდ-
ხანს კრინტი არავის დაუძრავს. ბოლოს პანი ალიცია თავს მოერიცა, ცახცახი
დასძლია და ჰკითხა:

— ჩაი ხომ არ მოგიტანო?

— გმადლობთ. — გაისმა ბნელში. — მეტი აღარაფერი მინდა.

IV

სალამოვდებოდა, როცა შჩუკა და პოდგურსკი ქალაქში დაბრუნდნენ. ბა-
ზარი ახლა სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე ორი საათის წინათ; დაცარი-
ელებულს მტრედისფერი ბინდი ბურავდა. ღია მომწვანო ცაზე კიდევ უფრო
მკვეთრად ილანდებოდა გადამწვარი მეწამული სახლები. გაზაფხულის სალამო
ჩამოდგა და გრილი ჰაერის მოსურნე ხალხი კოსტიუშკოს პარკისა და სამი მაი-
სის ხეივნისაკენ გაეშურა. თბილი და ნათელი შაბათი სალამო იდგა, თუმცა ოდ-
ნაე ჩახუთულობა იგრძნობოდა.

შუაგულ ბაზარში რამდენიმე სატვირთო მანქანა იდგა, მათ ირგვლივ მო-
ფუსფუსე ჯარისკაცები წასასვლელად ემზადებოდნენ. უკაცრიელ მოედანზე
შოპენის მუსიკა ისმოდა. მოედნის პირდაპირ ტროტუარს ოთხი მილიციელი
პატრული მოუყვებოდა. ერთმანეთში არეულიყვნენ მათი და წაბლის ხეების
ჩრდილები. ქუჩის კუთხეში შედგნენ და მერე პირველივე ჩაბნელებულ ქუ-
ჩაში შეუხვიეს.


პოდგურსკიმ „მონოპოლის“ წინ დაამუხრუჭა მანქანა და პირველი ჩამოვი-
და, მას მერე შჩუკა გადმოიზლაზნა. შემდეგ უკან მჯდარი ორი მილიციელი გად-
მოხტა. სასტუმროს წინ კაციშვილი არ ჰქაჩანებდა. ოდნაე იქით სამი მეეტლე
იდგა.

— მაშასადამე. ცხრა საათზე, არა, ამხანაგო შჩუკა? — უთხრა პოდგურ-
სკიმ.

შჩუკამ შლიაპა გადაიწია.

— ჰო, მართლა, ბანკეტია! სულ გადამავიწყდა. არ შეიძლება გადაიდოს? გამოგიტყდებით, დღეს ამისი არავითარი სურვილი არა მაქვს.

— მჭერა. — დაეთანხმა პოდგურსკი, — მაგრამ რას იზამ? სვენცკიმ ასე იწინა.



ქართული
ბიბლიოთეკა

— ხალხი ბევრი იქნება?

— თხუთმეტიოდე კაცი.

— კმარა ძნელია, მაგრამ რას იზამ.

— სასტუმროში დარჩებით?

შჩუკა ჩაფიქრდა.

— ვნახოთ, იქნებ გამოვიდე, აქ ნათესავები მყავს.

— ოსტროვეცში?

— ცოლისდა.

— რას მეუბნებით? არ ვიცოდი, თუ ცოლიანი იყავით.

— მყავდა მეუღლე, გარდამეცვალა.

პოდგურსკი შეცბა. შჩუკამ ალბათ ეს შეამჩნია.

— რაკი სიტყვა ჩემს ცოლისდაზე ჩამოვარდა, აქაური კაცი ხართ და უთუ-
ოდ გეცოდინებათ მისი ქმარი, ყოველ შემთხვევაში გაგონილი გექნებათ სტა-
ნევიჩი.

— მაიორი?

— აი, ის. ოსტროვეცელ ულანებს მეთაურობდა. ახლა იგი, მგონი, უკვე პოლკოვნიკია.

— მართლა? ანდერსის არმიაში რომ იყო?

— რამ გაგაკვირვებ?

პოდგურსკის გაეცინა.

— იმან გამოაცა: სად თქვენ და სად პოლკოვნიკი სტანევიჩი?

— მერე რა. სულ განსხვავებულია პოლონური ოჯახები. მაშინ, ცხრა სათ-
ზე, არა?

— ჰო, ხვალ კი ზუსტად შვიდ საათზე გამოგივლით.

უახლოეს ორ დღეს, კვირასა და ორშაბათს, პოვიატის ტერიტორიაზე ყვე-
ლა პარტიული ორგანიზაცია უნდა ჩამოეფლოთ.

— მახსოვს, — უპასუხა შჩუკამ.

იგი სასტუმროს შესასვლელთან მივიდა და ისევ უკან დაბრუნდა. პოდ-
გურსკი მანქანასთან იდგა.

— რამე დაგავიწყდათ?

— ჰო, ახლალა გამახსენდა. ნახავთ მას... მოსამართლეს?

— კოსეცკის?

— დიახ.

პოდგურსკიმ საათზე დაიხედა.

— რვის ნახევარს აღარაფერი აკლია. მასთან მივდივარ.

— ამას რალა ჯობია! გადაეცით...

— გინდათ შეხვდეთ?

— ჰო, შეახსენეთ თქვენი ბანაკის ამხანაგებს..

— თქვენს გვარს ვეტყვი.

— არ არის აუცილებელი, ჩემი გვარი არაფერს ეტყვის. მოკლედ: გროს-
როზენის ბანაკის ამხანაგს-თქო.

— გასაგებია.



ქართული
ლიტერატურის
ბიბლიოთეკა

— ჩემი ნახვა თუ ინდომოს, თუნდაც სამშაბათს შემომიაროს.

— სამშაბათს დილით სმოლარსკისა და გავლიკის დაკრძალვაა.

— მაშასადამე, ნაშუადღევს, ხუთიდან ექვს საათამდე.

— სამშაბათს, ხუთიდან ექვსამდე. — გაიმეორა პოდგურსკიმ.

ნომერში ცხოვრობთ?

— ჩვიდმეტში.

დაბალი ტანის, მელოტი პორტიე, სათვალე ისედაც ფართო სახეს კიდევ რომ უფართოებდა, მაგიდაზე ჩამოყრდნობილ ყმაწვილ კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც საზაფხულო პალტო ეცვა და ყავისფერი შლაპა ეხურა. შჩუკას დანახვაზე მეკარე ფეხის წვერებზე წამოიწია და გასაღები ჩამოიღო.

— ინებეთ, ჩვიდმეტი.

შჩუკამ ჯობი მაგიდაზე მიაყუდა.

— სიგარეტი ხომ არ გაქვთ?

— ამერიკული, უნგრული, რომელი გნებავთ?

— ამერიკული მომეცით.

ფული გადაიხადა და მაშინვე გახსნა „ჩესტერფილდის“ კოლოფი. სანამ ასანთს ამოიღებდა, გვერდით მდგომმა ყმაწვილმა პალტოს ჯიბიდან თავაზიანად ამოიღო სანთებელი.

ოც წელს გადაცილებულ შავთმიანსა და ცისფერთვალემა ყმაწვილს გრძელი, გოგოსავით წარბები ჰქონდა.

— მადლობელი ვარ, — წაიბუტბუტა შჩუკამ.

გააბოლა და გახსნილი კოლოფი ყმაწვილ კაცსა და პორტიეს გაუწოდა. ორივემ ამოიღო პაპიროსი. ყმაწვილმა მაშინვე ასწია ხელი და მოუკიდა. სქელმა მეკარემ თავისი პაპიროსი ყურზემოთ ჩაიღო.

პოლის სიღრმიდან, სადაც შემინულ კარზე „რესტორანი“ ეწერა, ჯაზის ხმა ისმოდა. პორტიემ შეამჩნია, რომ შჩუკა იქით იბეღებოდა.

— ვარშავის ორკესტრია, — თქვა მან. — ცხრაზე დაიწყება კონცერტი. ღირს ნახვა. ჰანკა ლევიცკა მღერის.

— ჰო?

— მაგიდა ხომ არ შევუკვეთო?

შჩუკამ პაპიროსი ჯიბეში ჩაიღო.

— არა, გმადლობთ, აი, ხვალ დილით კი, შეიღს რომ თხუთმეტი დააკლდება, საუზმე მომართვან.

პორტიემ ფანქარი აიღო და ჩაინიშნა.

— ჩვიდმეტი ნომერი, შეიღის ნახევარზე საუზმე.

— შეიღს რომ თხუთმეტი დააკლდება მაშინ იყოს, მაინც მოესწრება.

— შეიღს რომ თხუთმეტი აკლია, — გაიმეორა პორტიემ, — ოთახს ათავისუფლებთ?

— არა, მივდივარ რამდენიმე დღით, მაგრამ ნომერს ვიტოვებ.

შჩუკამ გასაღები აიღო და კოჭლობით აუყვა წითელ ხალიჩით მოფენილ კიბეებს. ყმაწვილი კაცი ისევ საწერ მაგიდას ჩამოეყრდნო.

— სიმპათიური ვინმეა, ნეტავი ვინ არის?

პორტიემ მხრები აიჩეჩა.

— სტუმარია. ახლა შეიძლება ვინმეზე დანამდვილებით თქვა, ესა და ეს-

ააო?

— მართალია, — გულგრილად თქვა ყმაწვილმა და გულგრილად გააყოლა თვალი შჩუკას.

ხელჯობზე დაყრდნობილი შჩუკა კიბის პირველ ბაქანზე ავიდა. ქვემოდან იგი უფრო დიდი და ბეჭებგანიერი ჩანდა.

ყმაწვილი კაცი მაგიდას მოშორდა.

— რას მეტყვით ოთახზე?

— რა უნდა გითხრათ? — აგდებულად გახედა პორტიემ სათვალის ზემოდან. — არა გვაქვს, ყველა დაკავებულია.

ყმაწვილი არ შეცბუნებულა.

— იცით, რას გეტყვით, — თავაზიანად უთხრა მან, — სამი-ოთხი დღით ჩამოვედი. ნაცნობებთან ვცხოვრობ. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო თავისუფლება მირჩევნია...

მეკარემ ყურები ცქვიტა.

— ქალის ამბავია?

ყმაწვილს გაეცინა და ჩამწკრივებული თეთრი კბილები გამოაჩინა.

— მიხვდით! არა უშავს, ერთადგილიანი ოთახიც გვეყოფა.

პალტო შეიხსნა და პიჯაკის ჯიბიდან დაკმუჭნული ქალაღის ფულები ამოიღო.

— მომეცით ერთი კოლოფი სიგარეტი.

— ამერიკული?

— უნგრული, უფრო მაგარია.

ხუთასზლოტიანი დადო მაგიდაზე. მეკარემ ქეშად გახედა ფულს.

— ხურდას ახლავე მოგცემთ, — ცოტა ხნის მერე უთხრა მან.

ყმაწვილმა შლაპა შუბლზე ჩამოიფხატა.

— ნუ სულელობთ!

მეკარემ რალაც წაიდუღუნა. ხუთასზლოტიანი ჯიბეში ჩაიცურა და შეფიქრიანებული დააცქერდა მდგმურების სქიას.

— აი, ხედავთ... დაკავებულია, დაკავებულია, მეოცე ნომერი უნდა გაენთავისფლებინათ, მაგრამ არა... მესამე სართული სულ დაკავებულია... რამდენი დღით გინდათ?

— ორიოდ დღით, სამშაბათამდე.

— სამშაბათამდე? სამშაბათამდე რალაცას გამოვნახავთ.

— აბა თქვენ იცით!

— მე მგონია, დიდხანს დარჩებით.

— საიდან? სამშაბათს ვბრუნდები ვარშავაში.

მეკარემ თავი ასწია.

— ვარშაველი ხართ?

— აბა სადაური გეგონეთ?

— მეც ვარშაველი ვარ, სასტუმრო „სავოიში“ ვმუშაობდი.

— ნოვი სვეცზე?

— თხუთმეტი წელი მოვასრულე. კარგი დიდი დროა, რას იტყვით?

— აჯანყებაშიც მონაწილეობდით?

— რა თქმა უნდა! — ამაყად უპასუბა მან. — უკანასკნელ დღემდე, თქვენ?

— მე? სად არ ვყოფილვარ. ჯერ ძველ ქალაქში ვიყავი, მერე — ქალაქის გულში...

— არხები გაიარეთ?

— აბა, აბა!

— ჩემი გოგო ჩერნიაკოვში იყო. იქნებ იცნობ კიდევაც? ბასია ბორჯოვსკა, მის სურათს გაჩვენებთ...

სქელუამ საფულე ამოიღო. გადაქექა და ბოლოს ოდნავ დაქექულ ფოტომოყვარულის გადაღებული სურათი ამოიღო.

— ეს სურათილა შემომრჩა. აბა, ერთი დააკვირდი. იქნებ გეცნობათ...

ყმაწვილმა სურათი აიღო. მზით გაჩახჩახებულ პლიაჟზე იყო გადაღებული და საცურავკოსტუმიან, ლამაზ ქალიშვილს გამოსახავდა.

— არ ვიცნობ. ლამაზი გოგოა. ხომ ცოცხალია?

მეკარემ ხელი ჩაიქნია.

— ეჰ. რა გითხრათ! დაიწყო თუ არა აჯანყება. მაშინვე დაიღუპა. ვაჟი კი გერმანიაში წაიყვანეს.

— სად?

— პოლანდიის საზღვრებთან.

— უკვე განთავისუფლებულია. მოისმინეთ, რა გადმოსცეს დღეს?

— მოვისმინე. მაგრამ რად გინდათ? ადამიანებს უკვე გახარების თავი აღარა აქვთ.

ყმაწვილმა სიგარეტი ამოიღო და ნამწვით მოუკიდა. მეკარემ თავი გააქნია და ამოიოხრა.

— ასეა. ასე. ყმაწვილო... ადამიანი ადამიანს აღარა ჰგავს. უვარშავოდ მკლავი რომ მოგაგლიჯონ, ისეა... უფრო უარესი! თქვენ რა გიჭირთ, მოესწრებით იმ დღეს, როცა ოციოდე წლის შემდეგ ვარშავას აღადგენენ. მაშინ ორმოცდაათს გადაცილებული იქნებით.

ყმაწვილს გაელიმა.

— ერთი გენახათ აფეთქებული წაბლის ხეები ხეივანებსა და უიაზღოვსკის პარკში!

— რას მეუბნებით! — გაიკვირვა მეკარემ. — აფეთქებულიო?

ორნი შემოვიდნენ ქუჩიდან — ხნიერი, თმაშეღებილი ქალი და პალტოიანი ყმაწვილი კაცი: გაცხარებით, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ პოლში რომ შემოვიდნენ, გაჩუმდნენ.

— სალამი, ბატონო, — მიესალმა მეკარე. — ოცდამეოთხე ოთახი თქვენს განკარგულებაშია.

კაცმა გასაღები აიღო. კიბეზე ისევ იჩხუბეს.

— რა მითხარით, ხეივანში წაბლის ხეები ააფეთქესო?... — გაიმეორა მეკარემ.

ერთხელ კიდევ დახედა მდგმურების სიას და კმაყოფილმა მოიფშვნიტა ხელები.

— იცით რა, იყო და არა იყო რა... მინდოდა თქვენთვის მეოთხე სართულზე მომეცა ოთახი, მაგრამ იქ, მაპატიეთ, ბალღინჯოების ბუდეა. მეთვრამეტე ნომერში შედით მეორე სართულზე, თქვენ ეს დაიმსახურეთ იმ არხებისათვის. ერთი-ორი ოთახი ყოველთვის მაქვს შემონახული ჭეშმარიტი ომამდელი ბატონებისათვის. ცხოვრება მოითხოვს. ასე არაა?

— მესმის, — თვალი ჩაუკრა ყმაწვილმა. — ყველაფერი რიგზეა. თავიდანვე ვიცოდი, რომ საერთო ენას გამოვნახავდით.

მეკარემ კვლავ მოიფშვნიტა ხელები.

— ერთმანეთს ხელი უნდა შევუწყოთ, ვარშაველები არა ვართ? ბარგი გაქვთ?

ყმაწვილმა მაგიდაზე დადებული პორტფელისაკენ გაიშვირა ხელი.

— ბევრი არ ყოფილა.

— საკმარისია! უფრო ცოტა მქონდა.

ჩიბიდან გერმანელების გაცემული პირადობის მოწმობა ამოიღო, მეკარემ სათვალე გაისწორა, მაგიდაზე დაიხარა და ბლანკის შედგენას შეუდგა.

— მაცეი ხელმიცკი?

— დიახ.

— დაიბადა 1921 წელს ვარშავაში. პროფესიით მუშაა.

ხელმიცკის გაეცინა.

— ეს ტყუილია, გერმანელებისათვის დამკირდა! პროფესიით: სტუდენტი.

— სტუდენტი. — გაიმეორა მეკარემ.

ხელმიცკი იდაყვებით ჩამოეყრდნო მაგიდას. მეკარე უყურებდა, რომელიც რალაცას იწერდა, თან ცალი თვალი სარეგისტრაციო წიგნისაკენ ეჭირა. თუმცა წიგნი შებრუნებული იყო, იოლად მონახა გრაფა. სადაც ჩვიდმეტი ნომერი ეწერა.

— უცოლო, — განაგრძობდა კითხვას მეკარე.

ხელმიცკიმ კისერი წაიგრძელა და პატარა, წაწვეტებული ასოებით ნაწერი, ერთი შეხედვით რომ უცნაურად გამოიყურებოდა, სახელი და გვარი წაიკითხა: სტეფან შჩუკა.

— უცოლო, — დაადასტურა მან. — განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს.

ოთახში ჩახუთულობა იგრძნობოდა. შჩუკამ სკამზე მიაგდო პალტო და, შუქი არ აუნთია, ისე მივიდა ფანჯარასთან, გამოაღო და ოთახში გრილი ჰაერი შემოიჭრა.

ფანჯარა ფართო ეზოს გადაჰყურებდა, სიღრმეში დაბალი ხის შენობა იდგა, რომელიც ან თავლა იყო ანდა გარაჟი. იქით ლურჯი ცის ფონზე, დიდ ბაღში აღმართული ხეების ფანტასტიკური მოხაზულობა ისახებოდა. სასტუმროს ფანჯრებიდან ეზოში გამოშავალი მკრთალი შუქი სიღრმისაკენ აწვებოდა წყვდიადს და ჩამომდგარ ღამეში ანივთებდა. დაუბერა ქარმა და ალივლივდა ბაღში ჩამოწოლილი სიბნელე. ღამაში და საშინელი შესახედავი იყო ეს ყოველივე.

ქვემოდან, რესტორნის სამზარეულოდან ქონის გულისამრევი სუნის ამოდიოდა. ისმოდა დანების ეღრიალი, თეფშების ხმაური, არეულ-დარეული ლაპარაკი და სიცილი. უცებ განათდა ეზო, მაგრამ გაიჩახუნა ქარმა და სინათლე მაშინვე გაქრა. ეზოში ფეხშიშველა ქალიშვილი და თეთრწინსაფრიანი ყმაწვილი გაილანდნენ. მერე შორიდან, ჩაბნელებული ხის შენობიდან ქალის სიცილი მოისმა. უფრო გაძლიერდა ქონის სუნი.

შჩუკამ ფანჯარა დაკეტა და ლოგინზე წამოწვა. სიჩუმემ დაისადგურა ოთახში, მაგრამ ეს იყო სასტუმროს ის თავისებური, დაძაბული სიჩუმე, რომელსაც წამდაუწუმ არღვევს სხვადასხვა ხმები. აი, დერეფანში გაისმა ქოქოსის ხალიჩით დახშული ფეხის ხმა. სადღაც გაიჩახუნა ქარმა. კედელს მიღმა მეზობელ ოთახში ხელსაბანში წყალი მოუშვეს, და კვლავ გაისმა ვილაციის ნაბიჯების ხმა. ზარმა დარეკა. ბაკანში წყალი გადმოთქაფუნდა.

შჩუკა აღარ უგდებდა ყურს ამ ხმებს. ხელები თავქვეშ შემოიწყო და თვალები თავისით დაეხუჭა. მხოლოდ ახლა იგრძნო საშინელი დაღლილობა. მაგრამ იცოდა, რომ არ დაეძინებოდა. ძალიან ხშირად უგრძენია, როგორ უნდოდა და-

სვენება, ძილი, ცდილობდა აბეზარი ფიქრები მოეცილებინა, ძილი კი არა და არ ეკარებოდა. ხანდახან ღამით, სიბნელეში დიდხანს რომ იწვია, ჩასთვლვდა ზოლმე, მაგრამ გამოფხიზლდებოდა თუ არა და კოშმარულ ხილვებს გადაიყრიდა, ისევ თვალწინ დაუდგებოდა ყველაფერი. ყველაფერი? ყველაზე ხშირად იმ წუთებში იმაზე ფიქრობდა, როგორ კვდებოდა საყვარელი ქალი, როგორ ფიქრებდა უტრიალებდა თავში? ნეტავ დიდხანს იტანჯა? რას განიცდიდა სიკვდილის წინ? ქალს რომ ძალა და სიმამაცე არ აკლდა, ეს კაცმა იცოდა, მისთვის ისიც ცნობილი იყო, რომ ვერც სულიერი სიმტკიცე, სიმამაცე შეუმსუბუქებდა ადამიანური ღირსებების დამამცირებელ სასიკვდილო ტანჯვას. იგი უკვე შეურიგდა ცოლას გარდაცვალებას. განა მხოლოდ დღეს შეიცნო, რომ ყველაზე ახლობელსა და ძვირფას ადამიანებსაც კი არ ეწერათ მარადიული სიცოცხლე. ერთი საათი, ერთი თვალის დახამხამება და შენი უძვირფასესი ქალი, უახლოესი მეგობარი მოგონებად იქცევიან, მოგონება იცვლება ჩვენს საკუთარ ბედ-იღბალთან ერთად. მაშ რანაირად უნდა ვისურვოთ, იმ ცვალებად სიღრმეში იმალებოდეს მხურვალე გრძნობები, დაუცხრომელი გულისცემა, დაუოკებელი ვნებები? შეუძლებელია სიცოცხლე, სიკვდილს თუ არ შეურიგდი, მიცვალებულებზე გამუდმებით არ უნდა ფიქრობდე, ზედმეტია მათზე ფიქრი, მათ არაფერი ესაჭიროებათ. ისინი აღარ არიან, მხოლოდ ცოცხლები დარჩნენ.

მაგრამ ცოლი შჩუკას გულში ცოცხალი იყო. ყველაზე ხშირად იგი აგონდებოდა და ეს ტანჯავდა. დღემდე არ იცოდა, რა პირობებში განუტევა სული. რავენსბრიუკის საკონცენტრაციო ბანაკის მრავალ ტუსად ქალს შორის, მანადეც რომ შენვედრია, მხოლოდ ერთადერთს შეეძლო ეთქვა მარიაზე რამე. უკანასკნელად ის ორმოცდაათი წლის შემოდგომაზე ნახა, კარტოფილის ამოღებიდან ბრუნდებოდა ბარაკში, ალბათ უკვე ავად იყო, აქეთ-იქით ამხანაგები ამოდგომოდნენ მხარში, რამდენჯერ ამოდ ეცადა ამ უცნაური და მტანჯველი სურათის წარმოდგენას! შჩუკას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ კარტოფილის ამოღებიდან დაბრუნებული მარია ის აღარ იყო, ვისი სახე და ტანი მეხსიერებაში აღებუჭდა. მერე ყველაფერი ბნელმა მოიცვა. ბრმასავით დადიოდა იგი ბნელში. თვალწინ ედგა სასიკვდილოდ განწირული ქალები, გაზის კამერაში შერეკილი სიკვდილმისჯილები, დატუსალებულთა ნელინელ კვდომა, რომელთაც სასიკვდილო ნემსით ან ერთი დარტყმით უღებდნენ ბოლოს... რანაირად მოკვდა მარია? სანამ ადამიანური სიცოცხლის წარმავლობას ჩახედებოდა, შჩუკას აზრით, ყველაზე ძნელი იყო დაეძლია იმისი შიში, ახლობლებს არაფერი მოუვიდესო. ესეც დასძლია. ძალიან ბევრი სიკვდილი ნახა. რა მოხდა მერე? არის სიცოცხლე, არის სიცოცხლის დასასრული. ზოგი მიდის, ზოგი რჩება. ტანჯვა იმის გამო, რომ ვიღაც გარდაიცვალა, მოულოდნელი სიმარტოვის სასოწარკვეთილება — არა, ეს არაფერია, სავსებით არაფერია! განა საკუთარი თავი არ ენანებათ ცოცხლებს, მიცვალებულებს რომ დასტირიან? მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. დაე, დაიტვიროს თავისი თავი, ვისაც სხვაგვარად არ შეუძლია. ბოლოს და ბოლოს ტყუილუბრალოდ არავინ იტანჯება და ამას პატივი უნდა სცე, უნდა გაიგო. მაგრამ ცოცხალი კაცის ტანჯვა-წამება რას შეედრება იმ ადამიანის უკანასკნელ წუთებს, ვისაც ყველა იმედი გადაუწყდა და მხოლოდ ტანჯვა, ფიზიკური ტკივილი, სისასტიკე და ზიზღი დარჩენია?

ხშირად ძილი არ ეკარებოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა: „მარია, ჩემო ერთადერთო, გადავრჩი და ბევრ ვინმეს შემიძლია კარგი საქმე გავუკეთო,

თუკი ამას ჩემგან მოეღოს, ხან მეტი ძალმიძს, ხან ნაკლები. მხოლოდ მაშინ ვერ დაგეხმარე, როცა ყველაზე მეტად გჭირდებოდა. რა შვებას ვიგრძნობდი, რომ მოკიდნოდა: სიკვდილის უამს ვილაც მაინც გელგა გვერდით, ვისაც ეცოდებოდი, და ეს შენ იცოდი...”

საწოლზე წამოაჯდა და სახეზე ხელები აიფარა. საფეთქლები ნაწილობრივ იწიწილიანდა „მაინც მეშინია“, — გაიფიქრა მან, დაღლილობას სძლია, წამოდგა და შუქი აანათო.

საკმაოდ დიდი ოთახი იყო; კედლებზე ჭრელი, უხარისხო შპალერი გაეკრათ, იატაკზე გაქუცული ხალიჩა მოეფინათ. შუა ოთახში მწვანე პლუშგადაფარებული მრგვალი მაგიდა იდგა. ერთ კედელთან ლამაზად დაგებული, მაგრამ ოდნავ დაკმუქნულ ზეწარგადაფარებული რკინის საწოლი მიედგათ, მეორე კედელთან — მოფამფალებული დივანი და კარადა, კუთხეში — ძველებური ტრიუმო.

ერთ წამს შჩუკა გაუნძრევლად იდგა ამ უცხო და განურჩეველ გარემოში. იქით მაღალ სარკეში მოჩანდა მისი დიდი, ზორზოხი ტანი, მხრებში მოხრილს გრძელი ხელები უნებლიეთ ჩამოყროდა.

მეზობელი ოთახის კარის კლიტეში ვილაცამ გასაღები გააჩხაკუნა და შიგ შევიდა. გაიტკაცუნა ჩამრთველმა. მერე თხელი კედლის იქით ვილაცამ გაიარგამოიარა. კაცი ხელებს იბანდა და პოპულარულ სიმღერას „გული ზურგჩანთაში“ უსტვენდა.

შჩუკამ საათზე დაიხედა. „მონობოლში“ შეკვეთილ ბანკეტამდე დარჩენილი საათნახევარი მთელ საუკუნედ ეჩვენა. მარტო გაძლება გამიჭირდებაო, გაიფიქრა და სტანევიჩთან წასვლა გადაწყვიტა. იცოდა, სტანევიჩის მეუღლეს წერილს არასოდეს მისწერდა, მარიას სიკვდილი კი უნდა შეეტყობინებინა. ეს რომ გულში ამოიჭრა, შვება იგრძნო. ლაბადა ჩაიცვა, შლაპა დაიხურა და ხელჯოხი აიღო. კედლის იქით მეზობლის ფეხის ხმა ისმოდა, ისევ საყვარელ სიმღერას უსტვენდა.

ერთ წუთში შჩუკამ ბაზარში ამოყო თავი. მზე აცხუნებდა, აღმოსავლეთით შავი ღრუბლები მოჯარდნენ. მალე ქარიშხალი ამოვარდა.

სტანევიჩი კოსტიუშკოს პარკის მახლობლად ერთ ქუჩაზე ცხოვრობდა, სამი მაისის ხეივანს რომ კვეთდა. შჩუკამ კარგად არ იცოდა ოსტროვეცი, ამიტომ, გზას ვერ მიმასწავლითო, ერთ გამვლელს ჰკითხა. დიდხანს არ უვლია, სამი მაისის ხეივანს რომ მიუახლოვდა, პატარა შეღებილი ბარი დაინახა. შიგ შევიდა და ფეხზე მდგარმა ორი დიდი სირჩა არაყი დალია.

ჩვეულებრივ შაბათ საღამოს სტანევიჩს სტუმრები ჰყავდა. სამნი იყვნენ: ხვალიბოგიდან იძულებით გამოქცეული და დროებით ოსტროვეცში დასახლებული ცოლ-ქმარი ფუციაციკები, აგრეთვე შორეული პოდლასიიდან ჩამოსახლებული ახალგაზრდა ფრედ ტელეჩინსკი.

წითელკაბიანი ტანთხელი პანი კასია სინზე დადგმულ ფინჯნებში ყავას ასხამდა. ადამ ფუციაციკი ოთახს ათვალიერებდა. ხალიჩებით მოფენილი პატარა, მყუდრო ოთახი, რომელშიც უთვალავი სურათი ეკიდა, უამრავი ნაქარგი და სამშვენისი ეწყო, თუმცა გაჭედილი იყო (ომამდე სტანევიჩებს უფრო დიდი ბინა ჰქონდათ), გემოვნებით მოეწყოთ.

— უნდა ვალიარო, ძვირფასებო, — ლულუდებდა ფუციაციკი, — პოლკოვნიკის მეუღლესთან ნამდვილად ისვენებ კაცი. გავიწყდება ყოველივე სისაჩაგლე, რაც იქ ხდება... — ფანჯრისაკენ ხელი გაიშვირა მან.

სტანევიჩმა ჩაიღიმა:

— ძალიან გამახარეთ. მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ: პოლკოვნიკის მეუღლე აქ არ არის.

ფუციაციკებს გაეცინათ — ხანდაზმულ, გამხდარ, გრძელხელედიან პატარა, გრძელი თავი ჰქონდა, მის აწოწილ ცოლს — ფართო, ცხენის ყანას ვანი ტანის, შავულვაშიანი, ლონიერი ტელეფინსკი მოწყენილი ეწეოდა ჩიბუხს.

— მართალია, — თქვა ფუციაციკიმ. — ახლა არ მსიამოვნებს, როცა იმას მიწოდებენ, რაცა ვარ, რაც შეეხება ტიტულს, ერთ გასაოცარ ამბავს გიამბობთ... რამდენიმე დღის წინათ ჩვენი კეთილი მროჩეკი გვესტუმრა...

— ვინ მროჩეკია? — ჰკითხა ტელეფინსკიმ.

— არ გახსოვს მროჩეკი? ჩვენი ხვალიბოგელი მეზალე.

— აჰ, ის! წარმოდგენა არ მქონდა, თუ მროჩეკი იყო მისი გვარი.

როგორ თუ შემაწყვეტინეო, უკმაყოფილო ფუციაციკიმ ხელი ჩაიქნია.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს! სურსათით დატვირთული მროჩეკი ჩამოდის და მეუბნება: „ბატონო გრაფო...“ ამაზე სიტყვას ვუბრუნებ: „სადაური გრაფი მე მნახე? განა არ იცი, შე სულელო, რომ ახლა ჩვენთან დემოკრატიაა?“

ტელეფინსკიმ გადაიხარხარა.

— რა თქვა მროჩეკმა ამის თაობაზე? — იკითხა სტანევიჩმა.

— მროჩეკმა? აი, სწორედ ესაა ყველაზე სასაცილო! გაბრაზებულმა თქვა: „მე დემოკრატიისა არაფერი მწამს, ბატონო გრაფო“. რა მშვენიერია, .. არა? აი, რანაირები არიან პოლონელები!

— ნუ აჭარბებ! — მოიღრცა ტელეფინსკი. — შენ რომ გგონია, ასე არ არის საქმე, აი, დაბრუნდი ხვალიბოგიში და დარწმუნდები, ასეა თუ არა.

ფუციაციკიმ ქვემო ბაგე წამოწია.

— ნამდვილად დავბრუნდები. აბა რა გგონია? ნახავ, ერთი წლის მერე ხელები თუ არ დამიკოცნონ.

სტანევიჩის მეუღლემ იფიქრა, დროა სტუმრებს შევახსენო, დიასახლისი რომ ვარო.

— მიირთვით ყავა, გაცივდება...

ფუციაციკიმ ფინჯანი აიღო, მაგრამ სანამ მოსვამდა, ყავის სურნელებას ისუნთქავდა.

— დიდებულია! — ცხვირში ჩაიდუღუნა მან და პატარა თავი გვერდით მჯდარ სტანევიჩის მეუღლისაკენ გადასწია. — ბარაქალა!

ფუციაციკიმ ქალს ხელზე აკოცა, მერე გრძელი ფეხები გასკიმა და ნეტარებით აღვსილი ღრმა სავარძელში უფრო მოხერხებულად მოეწყო.

— ძალიან მაგარია? — ჰკითხა სტანევიჩმა.

— სრულებით არა! აი, სიმაგრეზე კი რა უნდა გითხრა... — ტელეფინსკის შეხედა ფუციაციკიმ. — გახსოვს, ფრედ, რას ამბობდა ყავაზე ტონიო უსტიციკი?

ტელეფინსკი ჩაფიქრდა.

— ტონიო?

— აღარ გახსოვს? ყავა ძალიან მაგარი არ უნდა იყოს, ლამაზი ქალი კი ძალიან სუსტიო.

ყველას გაეცინა; ტელეფინსკიმ კი პირიდან ჩიბუხი გამოიღო.

— რა კარგია, რომ ტონიკი გაიხსენე. წერილი მოიწერა.

— რას მეუბნები? — წამოიძახა ფუციაციკიმ. — საიდან მოიწერა? ვის მოსწერა?

— ვარშავაში მიტხრა რუზია ვონდოლოვსკამ. მარიტკასათვის / მოუწერია.

— რაო?

— არაფერი. ზის ლონდონში და უკან დაბრუნებას ემზადება.

— დაბრუნებასო? სად დაბრუნებას?

— შინ.

— რაო ჭკუაზე შეიშალა?

— შეიძლება ასეცაა. რუზია ვონდოლოვსკა ამბობს, ნამდვილად ასეაო. ფუციაციკი აღელდა.

— დაუჭერებელი ამბავია, აქ დაბრუნება უნდა? რატომ? რისთვის? რა მოუვიდა? ასეთი გონიერი ბიჭია და... აბა, ცოტა ხანს მაინც დაფიქრდით, ძვირფასო ქალბატონო, ტონიოს ცოლი, მარიტკა, აი, ის... პატარა სულემირსკა...

სტანევიჩის მეუღლეს მისი არაფერი გაეგონა, მაგრამ ისე დაუქნია თავი, თითქოს ყველაფერი იცისო.

—...გადარევას არაფერი აკლია, ისე უნდა უცხოეთში წასვლა, და შინ ბრუნდება? არ ველოდი ამას ტონიოსგან. იქნებ ჭორია, რაღაც გაუგებრობაა?

— შეიძლება, — გულგრილად უპასუხა ტელეფინსკიმ. — მაგრამ არა მგონია. დაბრუნება თუ უნდა, დაბრუნდეს.

— სიგიჟეა! — წაიბურტყუნა ფუციაციკიმ და სტანევიჩისაკენ მიბრუნებულმა ხმას დაუწია: — როგორაა ჩვენი საქმე, ძვირფასო პან?

სტანევიჩს გაეღიმა.

— კარგადაა.

ფუციაციკამ ახლოს მიუტანა თავისი ცხენის თავი.

— ნამდვილად, ძვირფასო?

— ნამდვილად? — ბაგე შესტეხა ფუციაციკიმ. — გავიწყდება, საყვარელო, რა დროს ვცხოვრობთ. დღეს შეიძლება რაიმე გჭეროდეს?

— მაპატიეთ, მაგრამ ასე გული რამ გაგიტეხათ? — შეესიტყვა სტანევიჩის მეუღლე, — მეგობრები მეგობრებად რჩებიან...

— მართალია, — თავი დაუქნია ფუციაციკიმ. — მომიტევეთ, მაგრამ თქვენ გამონაკლისი ხართ. ამიტომ თქვენი ლამაზი ხელებისათვის მიგვინდვია ჩვენი ბედ-იღბალი.

ქალს ხმამაღლა გაეცინა. ლამაზად იცინოდა და ამით თავს იწონებდა.

— უფრო სწორად, ჩემი ქმრის ხელებისათვის. მისი იმედი შეიძლება გქონდეს კაცს! ყველაფერს იღონებს და აქედან გაგვიყვანს.

ფუციაციკიმ მეზობელი ოთახის დაკეტილ კარზე მიანიშნა და მრავალმნიშვნელოვნად გააქნია თავი. პანი კასიამ ბაგეზე თითი მიიღო.

მეზობელ ოთახში ყავას წრუპავდა დაბალ მაგიდაზე გადახრილი ანჯეი კოსეკი და ჩურჩულთ ელაპარაკებოდა პირდაპირ მჯდომ პატარა, კათანდარა შუახნის კაცს, რომელსაც კავალერისტივით მოღრეცილი ფეხები ჰქონდა. იქვე ახლოს შეუჭფარიანი მაღალი ლამაზი იდგა და ოდნავ ანათებდა იატაკს, ოთახი და იქ მყოფნი კი ბნელში ჩაძირულიყვნენ.

ანჯეი წელში გასწორდა.

— მოვრჩი!

საფერფლეში ნახევრამდე მოწეული სიგარეტი ჩააქრო და მაშინვე ახალს

მოუკიდა. წინ გადახრილს ღია ფერის გაწეწილი თმა შუბლზე ჩამოეყარა: ან-
ჭეიმ თავი აიქნია და თმა უკან გადაიყარა.

ვაგა ხმაამოუღებლივ ნელ-ნელა ეწეოდა პაპიროსს. მეორე ნახე, პატარა,
მართლაც რომ ქალაქურ ხელში ასანთის კოლოფს ატრიალებდა. ვინ
შინაი, მელოტი თავი ჰკონდა, მალალი, წინ წამოწეული შუბლი, შავი წარბები
შორის ღრმა ნაოჭი დამჩნეოდა. პაპიროსი მოსწია, ნამწვი ჩააქრო და სავარძლის
სახურგეზე მიწვა.

— რა უნდა ვთქვა? — ხმამალლა თქვა მან. — მართალი გითხრათ, სხვა
რამეს მოველოდი, მაგრამ ყველაფრის მერე, რაც გავიგონე, ვფიქრობ, თავი არ
უნდა დაიდანაშაულოთ. შემთხვევითობამ შეგვიშალა ხელი, რას იზამ.

— გულს ნუ გაიტეხთ, პორუჩიკო.

ანჭეიმ შავი წარბები აძვია.

— ვერ ვიტან, რამე რომ ჩაგეშლება!

— ვინ ნახე, ეს რომ უყვარდეს? მაგრამ ამაზე არ არის ლაპარაკი. თქვენ-
თვის უთუოდ ცნობილია, რომ ცხოვრება ხშირად უსიამოვნო რამეებს გვთა-
ვაზობს ხოლმე; ამას უნდა შევურიგდეთ.

— ვიცი, მაგრამ ამას გარდა...

— რაო?

— ტყუილუბრალოდ დაილუბნენ უდანაშაულო ადამიანები.

ვაგამ ყურადღებით შეხედა კოსეცკის და მის თხელ ტუჩებზე ღიმილი გა-
კრთა.

— სინდისის ქენჭნა გაწუხებთ?

— თქვენი ფიქრით, კაპიტანო, არ უნდა მაწუხებდეს?

— არ ვიცი. თქვენი სინდისით მე ვერ ვიმსჯელებ. არ იცით, ვინ დაილუბა?

— ვილაც ბიალულებია, ცემენტის ქარხნიდან.

— დარწმუნებული ხართ, ბრალი არაფერში მიუძღვით?

ანჭეი გაწითლდა

— ვფიქრობ, ასეა.

— ვფიქრობო? ასევე შეგიძლიათ ისიც იფიქროთ, რომ, მაგალითად, პეპე-
როველები! არიან, მაშინ?

მეზობელი ოთახიდან გამოსულ ხმებში სტანევიჩის მეუღლის დაბალი, თბი-
ლი სიცილი გაერია. ვაგამ პაპიროსი აიღო.

— ისევე გადაუხვით თემას. რამდენ ხანს დარჩება შჩუკა ოსტროვეცში?

— რამდენადაც ვიცი — ოთხშაბათამდე. ოთხშაბათ დილით წავა.

— სამი დღეა გერჩება.

— ერთი.

— რატომ ერთი?

— კვირა და ორშაბათი არ ითვლება, რაიონში მიდის.

ვაგამ ჩაიციხა.

— როგორც ვხედავ, თქვენთვის ყველაფერი ზუსტადაა ცნობილი. უშიშ-
როების სამსახური?

ანჭეიმ თავი დაუქნია.

— დიახ ჩვენი ბიჭები იქ არიან.

— ენდობით? არ გაგცემენ?

1. 336 - პოლონეთის ქუშათა პარტია, რომელიც 1942 წლის იანვარში შეიქმნა

— გამორიცხულია.

— ამას რაღა ჯობია. პოდა, მოვიფიქროთ... რაიონში არ შეიძლება მოხდეს?

— ალბათ არა. ბევრი სიძნელეა გადასალახავი. დღეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო.

— გასაგებია, მაშ, სამშაბათს. რას გვთავაზობთ?

ანჯეი შეყოყმანდა. გამხდარი, შავგვრემანი სახე დაუნაღვლიანდა.

— იმის კითხვა მინდა ბატონო კაპიტანო...

— გისმენთ.

ანჯეი მაგიდაზე გადაიხარა და თმა ისევ შუბლზე გადმოეყარა. მან კვლავ თავი აიქნია.

— არ ვიცი, რანაირად ჩამოვაყალიბო...

ვაგა დუმდა. გახევებულ სახეზე ეტყობოდა, არ აპირებდა ყმაწვილ კაცს დახმარებოდა. ანჯეი მოლუშული იჯდა. წარბები შეეჭმუხნა. უცებ თავი აიღირა.

— პირდაპირ ვიტყვი. შჩუკა მართლა უნდა მოიკლას?

ვაგას არ გაკვირვებია. ასანთი აიღო, პაპიროსს ნელა მოუკიდა, დიდი ხანია ხელში რომ ეჭირა, და ნაფაზი დაარტყა. ანჯეის თვალი არ მოუცილებია.

— ბატონო პორუჩიკო, — ძლივს ამოიღო ხმა ვაგამ, — ვიცი თქვენი წარსული. კარგი, გამოცდილი ჯარისკაცი ხართ და გეცოდინებათ, რომ როგორც თქვენს მეთაურს, უფლება მაქვს ასეთ შეკითხვებზე არ გიპასუხოთ, ასე არაა?

ანჯეი ყურებამდე გაწითლდა.

— ჩემი ფიქრით...

— არ გეკითხებით, რას ფიქრობთ. კითხვაზე პასუხი გამეცით.

გეგონებოდა, კოსეცკი აგერ-აგერ აფეთქდებოდა, მაგრამ თავს მოერიდა.

— ასეა, — მიუგო მოკლედ.

ვაგამ თავი დაუქნია.

— მიხარია, რომ ამაზე ერთი აზრისა ვყოფილვართ. მაგრამ მაინც მინდა პასუხი გაგცეთ. მესმის თქვენი დაეჭვება. უფრო ის გამიკვირდებოდა, რომ არ დაეჭვებულყავით. ძალიან რთულ, ჭირვეულ ვითარებაში ვცნობრობთ და ვიბრძვით. მაგრამ ომის წლებმა, ყველა ჩვენგანისათვის გამოცდა რომ იყო, გვასწავლა: უბრალოდ უნდა შევხედოთ მოვლენებს და მთავარი გამოვარჩიოთ. ახლა არ არის წვრილმანების დრო. თუკი მოვლენებს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ეს სულ უბრალოდ უნდა მოხდეს: სიკეთე სიკეთეა, შავი შავია. მეთანხმებით?

ვაგას მშვიდი, დაწყნარებული ხმის ელერადობა თითქოს ამტკიცებდა და ადასტურებდა მისი სიტყვების სიმართლეს.

— თუკი გვინდა შევინარჩუნოთ ვაჟკაცური წონასწორობა, ამ ვითარებაში შებდევი უნდა გავითვალისწინოთ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ბევრი აღარ აკლია. ეს აშკარაა. კიდევ ორი-სამი დღე, დიდი-დიდი ერთი კვირა და — მორჩა. მაგრამ განა ასე წარმოგვედგინა ომის დამთავრება? არა. ვფიქრობდით, ომში მარტო გერმანია კი არა, რუსეთიც დამარცხდებოდა. სხვანაირად მოხდა. დღევანდელ დღეს პოლონელების ორი ჯური არსებობს: ერთია, ვინც გაყიდა პოლონეთის თავისუფლება, მეორე: ვინც ასე არ იქცევა. მათ უნდათ რუსეთს დაემორჩილონ, ჩვენ ეს არ გვსურს. მათ კომუნიზმი უნდათ, ჩვენ — არა. განადგურებას გვიპირებენ, ჩვენ ისინი უნდა გავანადგუროთ. ერთმანეთს ვებრძვით. კაცმა რომ თქვას, ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება. რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაერთის.

- იატაკქვეშეთში მუშაობა...
- ორმოცდაერთ წელს დავიწყე.
- მაშინ ჩვიდმეტი წლის იყავით.
- დიახ.



საქართველოს
საბჭოთა მთავრობის

— რისთვის იბრძოდით? პოლონეთის თავისუფლებისათვის, ხომარა? თქვენს წარმოდგინათ პოლონეთი, ხელისუფალნი კრემლის ბრძანების ბრძა შემსრულებლები იქნებოდნენ და პოლონეთი რუსულ ხიშტს დაეყრდნობოდა? თქვენი ამხანაგები, თქვენი თანატოლები? რამდენი ჩვენთაგანი დაიღუპა? რისთვის? პოდა, ჩვენ. სულ ერთია თქვენ თუ მე, რაკი სული გვიდგას და თავისუფლები ვართ, ხომ არ უნდა გავყიჯოთ ჩვენი ამხანაგები? შუა გზაზე გავიდეთ?

სიჩუმე ჩამოვარდა. კარს მიღმა ფუციანტიცკის ცხვირში დუდღუნნი შოისმა.

— ახლა შჩუკაზე ვილაპარაკოთ. ვინ არის შჩუკა? ინტელიგენტი, ინჟინერი, კომუნისტი. ამასთან ბრწყინვალე ორგანიზატორია. იცის, რა უნდა, დღეს პარტიული მუშაკია, ხვალ, თუ არაფერი შეიცვლება, პასუხისმგებელი სახელმწიფო მუშაკი იქნება. ზეგ კი მინისტრი შეიძლება გახდეს. იგი, ასე ვთქვათ, იდეის კაცია. ომამდე ორჯერ გაასამართლეს, ციხეში იჯდა. ორი წელი საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა. მით უარესი მისთვის. კარიერისტები ვერ შეგვაშინებენ. დგება დრო, როცა თავისით გარბიან, როგორც ვირთაგვები ჩასაძირავად განწირული ხომალდიდან. ცოდვია მათზე ტყვიების დახარჯვა და ისეთი ადამიანების გამეტება, როგორც თქვენ ხართ. ყოველივე ეს ძალიან ძვირი გვიჯდება. მაგრამ როცა საქმე იმ იდეებზე მიდგება, ჩვენთვის მონობა და სიკვდილი რომ მოაქვს, მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გავცეთ: სიკვდილი. ასეთია ბრძოლის კანონი, ისტორია განსჯის, ვინ იყო მართალი. ჩვენ უკვე გამოვიტანეთ ჩვენი განაჩენი... — პაპიროსი მოქაჩა და მრავალმნიშვნელოვნად დაამთავრა: — ავირჩიეთ.

ანჯეი თავჩაქინდრული იჯდა, ძლიერი, მზეზე გარუჯული ხელები მუხლებს შორის ჩაეშვა.

ვაგამ მზერა შეავლო.

— რა თქმა უნდა. შეგიძლიათ იმის კითხვა, და ეს მთავარი კითხვა იქნება, მართებულად მოვიქცით თუ არაო? ჯერ შეიძლება ყველაფერში უნდა გავრკვეულიყავით და მერე აგვეჩიო? ვაღიარებ, აი, ეს არის საკითხავი.

ანჯეიმ თავი ასწია და კითხვით აღსავსე მზერა მიაპყრო. ვაგა ჩაფიქრდა.

— არ მინდა ფრაზებით გაგაყრუოთ, თქვენ ეს არ გკირდებათ, ასე არ არის? მეტისმეტად ინტელიგენტი ბრძანდებით...

კოსეცკიმ მზრები აიჩეჩა.

— ინტელიგენტობის საერთოდ არა მცხია რა, მაგრამ პატიოსანი კი მინდა ვიყო. აი, რისი თქმა მინდოდა.

— ზნეობრივ ინტელიგენტობას ვგულისხმობ. — სწრაფად მიუგო ვაგამ. — ეს საკითხები მარტო თქვენ კი არ გაწუხებთ. მხოლოდ თქვენ კი არ გრღნით ექვები. მაგრამ რა უნდა გითხრათ? თქვენი არ იყოს. მეც ჭარისკაცი ვარ და ჩემი უფროსების ბრძანებას ვასრულებ. ბრძად ვასრულებ? არა, მე მჭერა მათი სამართლიანობისა; ჭარისკაცი, ადამიანი ვარ და ვსარგებლობ კანონიერი უფლებით გავასამართლო ქვეყნიერება, სადაც ვცხოვრობ. უფრო მეტსაც გეტყვით, ვალდებული ვარ-მეთქი. გარწმუნებთ, ბატონო პორუჩიკო, ვისაც არ უნდა მოსამართლე გახდეს, ის ვერც ადამიანი იქნება. სხვის გასამართლებას როცა აპირებ, შენი თავის ერთგული უნდა იყო. მაპატიეთ მაღალფარდოვანი სიტ-

უვებისათვის, მაგრამ ეს სინდისის საქმეა. აი, რისი თქმა მინდოდა!
სავარძლიდან გადაიწია და ფინჯანი აიღო.

— ყავა გაცივდა...

ერთი მოთქმით დალია ყავა, მაგიდაზე დაიხარა და პატარა ხელთახველს
მხარზე დაადო.

— რა ვქნათ, პორუჩიკო, განვაგრძოთ შეწყვეტილი საქმე?
ანჯეი ჩაფიქრებული იჯდა. ბოლოს წელში გასწორდა.

— განვაგრძოთ.

— ამას რაღა ჯობია! რას გეკითხებოდით? ჰა, რას გვთავაზობთ? გაქვთ რა-
მე გეგმა?

— მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით თავი ვერ მოვაბი...

— გისმენთ.

ანჯეი ახლოს მიჩოჩდა ვაგასთან.

— შჩუკა, როგორც გადმოგვეცეს, „მონოპოლში“ გაჩერებულა.

წინკარში ზარმა დარეკა. ანჯეი გაჩუმდა და ვაგას შეხედა.

— ერთი წუთით. — უთხრა მან.

სტანევიჩის მეუღლე წინკარში გავიდა.

ჩაბნელებული კიბის ბაქანზე ვიღაც ახოვანი კაცი დაინახა, მაგრამ პირვე-
ლად ვერ იცნო სიძე.

— საღამო მშვიდობისა, კატაჟინა.

— სტეფან! — გაიკვირვა სტანევიჩის მეუღლემ, მაგრამ დიდი სიყვარული
არ გამოუმჟღავნებია. — აქ საიდან გაჩნდი? ოსტოვეცში ხარ?

— როგორც მხედავ.

— წარმოდგენა არ მქონდა!

ომის წლებმა კატაჟინა თითქმის ვერ შეცვალა. ყოველთვის თავის წლოვა-
ნებაზე ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ახლაც კი ამ ლამაზ, ტანად ქერა ქალზე
ვერ იტყოდი, ორმოცი წლისააო. შთამომავლობითი მსგავსების მიუხედავად
ძნელი იყო გეპოვნა ორი ესოდენ განსხვავებული და, კატაჟინა და მარია რომ
იყვნენ, ეს განსხვავება სტეფანს მაშინვე თვალში ეცა, და იგი მიხვდა: აქ უპიო-
ველეს ყოვლისა იმიტომ მოვიდა, რომ რაღაც მაინც ეპოვა კატაჟინას არსება-
ში, რითაც ის მარიას დაემსგავსებოდა, ძალიან შეწუხდა, მაგრამ ახლა უკან
ვეღარ დაიხევდა.

— ბრწყინვალედ გამოიყურები, — უთხრა ქალს.

სტანევიჩის მეუღლე გონზე ვერ მოსულიყო გაცემებისაგან.

— ყველას ნახვას ველოდი შენ გარდა, გაიხადე, ძალიან გამახარე.

შჩუკამ ლაბადა გაიხადა და საკიდზე რამდენიმე პალტო შენიშნა.

— სტუმრები გყავს?

— რამდენიმე მეგობარი მესტუმრა, ფუციანტიცკები არიან.

— გიყვარს არისტოკრატები.

— გიყვარსო? — ვითომ გაცემებულმა აძგინა ქალმა წვრილი, დაჩატული
წარბები. — მაშ, შენი აზრით, მეგობრები გარემოებისდა მიხედვით უნდა აირ-
ჩიო?

— რა თქმა უნდა.

სტანევიჩის ცოლი ოდნევე შეცბა, მკვამ მაშინვე გაიცინა.

— ჩვეულებას ვერ უღალატე და კბილი გამკარი, ხომ? სულ არ გამოც-
ვლილხარ.

სტეფანის შხერაში დაცინვა აღარ იგრძნობოდა.

— პირიქით, ჩემო ძვირფასო არ მინდა სხვა აზრი მქონდეს.

— დიდებულთა! — თავი ისე მოაჩვენა ქალმა, შენი სიტყვების მჭერით. მეშინოდა, ვაითუ ჩემმა სტუმრებმა დამიფრთხოს-მეთქი. წავიდნენ! წავიდნენ! — კართან გაჩერდა იგი. — ვხედავ, უვნებელი დაგვიბრუნდნენ! წავიდნენ! წავიდნენ! გამოიყურები, მხოლოდ აი, ფეხზე რა მოგივიდა?

— არაფერი!

— საშიში ხომ არაფერია?

— არა, — უპასუხა მან, თუმცა არ ექვობდა, რომ დაკოჭლდებოდა.

— მარია როგორ არის? ალბათ საწყალმა ბევრი უბედურება გადაიტანა.

— ასეა ბანაკში.

— რასაკვირველია, დაბრუნდებოდა.

— არა.

კარის სახელურზე ჩაჭიდებულმა ქალმა თავი მოატრიალა.

— არ დაბრუნებულაო, რას მეუბნები? უბედური, რა საშინელების მომსწრე იქნება. მაგრამ ეს ხომ დასაწყისია, მხოლოდ ახლა ბრუნდებიან ბანაკებიდან. ხომ კარგადაა?

შჩუკამ თავი დაუქნია.

— აი, ხომ ხედავ! ჯანმრთელად თუა, ამაზე უკეთესი რაღა იქნება. ნახავ, რა მალე დაბრუნდება.

შჩუკა წამით შეყოყმანდა.

— მეც ასე მგონია, — მშვიდად უპასუხა მან.

მერე ცოლისდასოთახში შეჰყვა. მაგიდასთან მსხდომთა მზერა შჩუკას მიეზიდა.

— ჩემი სიძე, ინჟინერი შჩუკა, — ხმამაღლა თქვა ქალმა და შეეცადა ძალდაუტანებლად გაექარწყლებინა უხერხულობა, იმ წამს რომ იგრძნო.

ვერ იტანდა, როცა ხალხს დაძაბულობას შეამჩნევდა და უცებ მის არსებაში გაიღვიძა სიძისადმი დიდი ხნის მძულვარება. ვერაფრით გაეგო, ისეთი ლამაზი და გონიერი ქალიშვილი, როგორც მარია იყო, რანაირად გაჰყვა ცოლად ამნაირ კაცს. მაგრამ ყველაზე გაუგებარი ალბათ, მაინც იმას ეთქმოდა, რომ ბედნიერი ცოლ-ქმარი გეგონებოდა გაიხსენა, რა თქვა შჩუკაზე მისმა ქმარმა. „მესმის, რომ შეიძლება კომუნისტი იყო, — უთხრა მან ერთხელ, როცა შჩუკა ოჯახში ესტუმრა, — ბოლოს და ბოლოს ათასნაირი სიმამინჯე არსებობს, მაგრამ როგორ შეიძლება ეს ალიარო? ჩემი აზრით, ეს უკვე მეტი-მეტია“.

ამასობაში შჩუკა, ამ ვიწრო ოთახში ძალიან მძიმე და ზორზოხი რომ ჩანდა, თავისუფალ სავარძელში ჩაჯდა ტელეფონისკის გვერდით.

— დალევ ყავას? — ჰკითხა ქალმა.

— სიამოვნებით. — თავისებურად წაიბურტყუნა მან.

— მამატიეთ, — გამოსძახა მაგიდის იქიდან ფუციაციკიმ, — ხომ არ მომეყურა, თქვენი გვარი შჩუკაა?

შჩუკამ დამძიმებული ქუთუთოები ასწია.

— დიახ.

— საიდანღაც მეცნობა ეს გვარი, — ცხვირში ჩაიდუღლუნა ფუციაციკიმ. — ნეტავ საიდან? სულ ახლაბან...

— დაგეხმარებით. — უპასუხა შჩუკამ. — ალბათ პრესაში წაიკითხეთ ეს გვარი პარტიის ყრილობასთან დაკავშირებით.

სტანევიჩის ცოლი აწრიალდა.

— მართალია! — წამოიძახა ფუციაციკიმ. — თუმცა ამნირ/ამბებს არ ვკითხულობ, მაგრამ მომაგონდა, რომ ამ გვარის კაცი გამრწმნა სტყევით, ასე არ არის?

— გეთანხმებით.

— ნათესავი ხომ არ არის? — თანაგრძნობით ჰკითხა ფუციაციკიმ.

— არავითარი.

— მეც ასე ვფიქრობდი. აბა რა სასიამოვნოა.

შჩუკამ ყავიანი ფინჯანი აიღო.

— თქვენც ასე გგონიათ? ალბათ სწორად ვერ გამიგეთ. მე ვთქვი, ჩემი ნათესავი არ არის-მეთქი, რადგან ეს თვითონ მე ვიყავი.

სტანევიჩის მეუღლე წამოწითლდა, ცდილობდა მძიმე მდგომარეობიდან თავი დაეძვრინა.

— რა სასაცილო qui pro quo! — ხმაბალლა გაიცინა მან. — თითქოს სცენაზეაო. . მგონია, დიდი შეცდომა მოგივიდათ, ბატონო გრაფო.

— მეც ამ აზრისა ვარ. — ცხვირში წარმოთქვა ფუციაციკიმ.

რუჟა ფუციაციკა სარგადაყლაპულივით იჭდა, სახე ჩვეულებრივზე უფრო ჩამოგრძელებოდა, ფეხი ფეხზე გადადებული ტელეჟინსკის კი კოჭზე ხელი მოეკიდა და თვალმოწყურული ხან ბიძაშვილს გადახედავდა და ხან შჩუკას. აშკარად ართობდა ეს ამბავი.

— ვიმედოვნებ... — დაიწყო ფუციაციკიმ.

სტანევიჩის მეუღლემ შეაწყვეტინა.

— ალბათ, არ იცით. ბატონებო, რომ ჩემი სიძე ძველი, ჯერ კიდევ ომამდელი მემარცხენეა. რამდენადაც მახსოვს, ყოველთვის რადიკალური შეხედულებებისა იყო, ასე არ არის, სტეფან?

— გინდა გამამართლო?

— მაპატიეთ, — შეეპასუხა ფუციაციკი. — მაგრამ არა ხართ მართალი, ძვირფასო ბატონო. ჩემზე თუა საქმე, მუდამ პატივს ვცემდი ძლიერი ბუნების ხალხს, იდეის ერთგულ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებოდი თუ არა მათ. ჩემი აზრით, ყველა ასე თუ ისე კულტურული კაცისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს, მეთანხმებით?

სტანევიჩის მეუღლის მეტყველი გამოხედვა თითქოს შჩუკას ეუბნებოდა: აი, ხედავ, როგორ ვერ ცნობ ადამიანებს... საშინელ გუნებაზე დადგა შჩუკა.

— ჰიტლერელებსაც დიდ პატივს სცემდით?

ფუციაციკო გაშრა.

— მაპატიეთ, არ მესმის თქვენი...

— ძლიერი ბუნების რომ არიან, ამას მათ ვერ წაართმევ.

— ნამდვილად.

— ვერც იმას იტყვით, იდეის ერთგულები არ არიანო.

ფუციაციკიმ ხელები გაასავესავეა.

— თუ ასე სვამთ კითხვას...

1 გაუგებრობა (ლათ.)

სტანევიჩი ინევ ჩაერია საუბარში:

— მომიტევეთ, ბატონებო! გერმანელების გარდა სალაპარაკო სხვა რაფერი გვაქვს?

— ებრაელებზე ვილაპარაკოთ, — ჩაერია ტელეჟინსკი.

პანი კასია განებივრებულ გოგოსავით გაიბუტა.

— ამის გაგონებაც არ მინდა. საერთოდ ვერაფერი გამიგია, შეიყრებიან თუ არა კაცები, მაშინვე ომსა ან პოლიტიკაზე დაიწყებენ ლაპარაკს. საშინელებაა! ამაზე მოსაწყენი რა უნდა იყოს!

— ჩემი ბრალია, — აღიარა ფუციაციკიმ. — მართალი ბრძანებაა. ქალებს ისეთი საბუთები აქვთ, რომ წინ ვერ აღუდგები.

პანი კატაჟინამ მადლიერი მზერა მიაპყრო და თავისი საზრიანობით ნასიამოვნები შჩუკას მიუბრუნდა:

— კიდევ დაგისხა ყავა?

— გმადლობთ.

ფუციაციკისგან განსხვავებით შჩუკასაც შეეძლო სულ სხვა აზრით თავის თავზე ეთქვა, დავმარცხდიო. ამ ადამიანების ყოფა და აზროვნება ჰაერივით კამკამა იყო და ყველა, ვინც მათ თავის შეხედულებებს დაუპირისპირებდა, ამასთან თავისთავადობასა და დამოუკიდებლობას დაიჩემებდა, შეიძლება სასაცილოდ აეგდოთ. შჩუკა მაშინ მიხვდა ამას, როცა მისი მოკლე და უხეშად ნათქვამი „მადლობის“ შემდეგ ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. კაცმა რომ თქვას, რატომ წამოიწყო ასეთი საუბარი? თავისი შეხედულებები რომ დაესაბუთებინა ან ისინი დაერწმუნებინა? ერთიც და მეორეც სისულელე იყო.

შჩუკამ სტანევიჩს შეხედა: ფუციაციკისკენ გადაიხარა, და უცებ კატაჟინა მარიას იმდენად მიამსგავსა, რომ გული შეეკუმშა და, როგორც ღამეული ფიქრების დროს, მოუსვენრობა დაეუფლა, შიში იგრძნო.

თვალი დახუჭა და თითქოს შორიდანო, საკუთარი გულის ცემაზე უფრო სუსტი, ფუციაციკისთან მოსაუბრე ცოლისდის ხმა გაიგონა. შჩუკა ზეზე წამოდგა.

სტანევიჩს ნახევარი წინადადებაც აღარ უთქვამს.

— უკვე მიდიხარ?

— რა ვქნა აბა, ათასი საქმე მაქვს.

— სამწუხაროა! ვიმედოვნებ, ოსტროვეცში როცა ჩამოხვალ, მინახულე.

— რასაკვირველია, — უთხრა შჩუკამ და გამოემშვიდობა.

წინკარში გააცილა და ვიდრე კაცი პალტოს ჩაიცვამდა უთხრა:

— დამიკოცნე მარია, როცა დაბრუნდება...

— ცხადია.

— ძალიან მინდა მისი ნახვა, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.

საუცხოოდ ეჭირა თავი, გულითადობაც არ აკლდა. ცუდ დამოკიდებულებას შჩუკასადმი, ხანდახან სიძულვილში რომ გადაიზრდებოდა, პანი სტანევიჩი კარგი აღზრდით მალავდა, როგორც თვალთან ნაოჭებს მალავს ხოლმე კარგად წასმული კრემი. „ბოლოს და ბოლოს, — გაიფიქრა შჩუკამ, — იგი გაოცების ღირსი უფროა, ვიდრე განკიცხვისა“.

— მართლაც დიდი ხანია არ გინახავთ ერთმანეთი, — დაეთანხმა შჩუკა.

შჩუკა გარეთ გავიდა, კატაჟინამ სარკეში თმა გაისწორა, და ისევ გაღიმებული, შჩუკას რომ გამოემშვიდობა, დაბრუნდა სტუმრებთან; კმაყოფილმა შე-

ამჩნია, რომ თავს საუცხოოდ გრძნობდნენ. ფუციაციკიმ ის-ის იყო ანეკდოტი მოჰყვა და დაასრულა თუ არა, ტელეფინსკის ხარხარი აუტყდა, პანი სტანევიჩისა ც გაეცინა, თუმცა არ იცოდა, რა აცინებდა. გამართლდა მისი ვარაუდი, შჩუკაზე სიტყვა არავის ამოულია. პირიქით, ფუციაციკისა და ტელეფინსკის თავი ისე ეჭირათ, აბა შემოგვხედეთ, რა კარგად და მხიარულად ვართუ ვაგვიდა ხანი და ფუციაციკიმ ყველას შესთავაზა, „მონოპოლში“ ერთად ვივახშმოთო.

— მალე ცხრის ნახევარი იქნება. — საათზე დაიხედა მან, — სწორედ რომ დროა თითო ჭიქა ავწიოთ და ჩვენი საერთო საქმე ვადღეგრძელოთ.

— და ომის დამთავრება. — დაუმატა პანი სტანევიჩმა ფუციაციკი შეიკმუხნა.

— ამ ამბისათვის თითო სირჩა არაყიც არ გვაწყენდა. რას იტყვით ამაზე?

— რაზე? — ჰკითხა ტელეფინსკიმ. — ერთ სირჩა არაყზე? მე მუდამ მზადა ვარ.

— ეს ვიცი, საერთოდ რას ფიქრობ ჩემს წინადადებაზე? რუჟა ფუციაციკამ პაპიროსი გააბოლა.

— ცუდი რად უნდა იყოს.

— დიდებულია! — წამოიძახა პანი სტანევიჩმა. — მაგრამ შინ როგორღა დავბრუნდებით? ოჰ, ეს წყვეული საკომენდანტო საათი... რომელ საათამდე შეიძლება ქუჩაში სიარული?

ფუციაციკიმ დაუდევრად ჩაიქნია ხელი.

— მგონია, ათამდე. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. დილამდე თუ არ დავრჩებით, ეტლით დავბრუნდებით. „მონოპოლი“ მთელი ღამე ღიაა.

პანი სტანევიჩი ხანდახან თავს მოიკატუნებდა. ნახეთ, რა უმწეო ვარო, და ამით კეკლუცობდა.

— გამაცილებთ?

— სადაც ისურვებთ. — თავი დაუკრა ტელეფინსკიმ.

— ძალიან თავაზიანი ბრძანდებით! არ გაგვეცინოთ და აბლა მართლა ძალიან მეშინია ღამით სიარული...

— ფრედ. — მიუბრუნდა ფუციაციკი თავის ბიძაშვილს. — ამ ბოლო დღეებში იყავი „მონოპოლში“?

— გუშინ.

— რას იტყვი?

— კარგია, გაერთობი. პანი სტანევიჩმა თავისი კაბა შეათვალიერა.

— როგორ გგონიათ, სხვა რამ ხომ არ ჩავიცვა?

— პირიქით. — უპასუხა ფუციაციკიმ. — გიკრძალავთ, ეს კაბა ძალიან გიხდებათ. ასე არ არის, რუჟა?

ფუციაციკიმ დედობრივი გრძნობით ჩაიკრა გულში პანი სტანევიჩი.

— ჩვენი ძვირფასი პანი კასია მუდამ ღამაზად გამოიყურება. პანი სტანევიჩი წამოწითლდა ბედნიერებისაგან. კმაყოფილი ფუციაციკი, ჩემმა ოინმა გასკრაო, ხელებს იფშვნეტდა.

— აბა წავიდეთ! ის ორი კაციც თან გავიყოლიოთ. — ხელი გაიშვირა მეზობელი ოთახისკენ. — ახალგაზრდა კოსეციკი კარგი ყმაწვილი კაცი ჩანს. მეორეც...

— მართალია! — დაემოწმა პანი სტანევიჩი. — სულ დამავიწყდა ისინი.

ალბათ იმდენი ილაპარაკეს. ქანცი გაუწყდათ. ოპ, რა აუტანელი არიან ეს მამაკაცები!



ოთახი გადაქრა. კართან მივიდა და დაიყვირა:

- ალო!
- მობრძანდით! — გაისმა ვაგას ხმა.

პანი სტანევიჩი შევიდა და ფრთხილად მოხურა კარი.

- უპ, რა კვამლი დგას! დაიხრჩობა კაცი.

მართლაც პატარა ოთახი პაპიროსის კვამლით იყო სავსე. ვაგა წამოდგა. მერე ანჯეი კოსეცკიც წამოიმართა.

- ხელი ხომ არ შეგიშალეთ? დაამთავრეთ?

— ასეა თუ ისე, პო. — უთხრა ვაგამ. — ვილაც ახალი სტუმარი არ გახლდათ?

— ისეთი არავინაა, ნათესავი მესტუმრა. პო. მართლა, დაამთავრეთ? — ვაგამ თავი დაუქნია.

- დიდებულია! თუ ასეა, წავიდეთ, ვიგიჟოთ.

- ისევ? სად წავიდეთ?

— „მონოპოლში“. რალაცნაირად ხომ უნდა აღვნიშნოთ ომის დამთავრება და ჩვენი გეგმების აღსრულება. ვიმეორებ, ცუდად არაა საქმე.

- ცუდად რად უნდა იყოს.

- ჩინებულია! მაშ, წავიდეთ? მგონი, ყოყმანობთ.

- პო. დღეს კიდევ ერთი შეხვედრა მაქვს.

- ვინმეს უნდა შეხვდეთ?

- ამის თქმა არ შემიძლია.

- მაშინ ნუ წაბვალთ, ალბათ მნიშვნელოვანი არაფერია.

- პირიქით.

პანი სტანევიჩმა ამოიხუნეშა.

— რა მოსაწყენი კაცი ხართ, კაპიტანო, სულ „შეხვედრა“ გაკერიათ ენაზე! მაშ კარგი, წადით სადაც გინდათ, განთავისუფლებთ. მაგრამ მოგვიანებით ხომ მოხვალთ ჩვენთან?

- ვეცდები.

- რას ნიშნავს, ვეცდებით, ხომ ნამდვილად მოხვალთ?

- რაკი ვთქვი, ალბათ მოვალ.

— რა აუტანელი კაცი ხართ. მაგრამ სიტყვა უკვე მომეცით. აბა, რას იტყვით, პანი ანჯეი, თქვენც შეხვედრა გაქვთ?

- „მონოპოლში“.

- ქალთან?

კაცთან.

- ვიმედოვნებ, მთელ საღამოს არ შესწირავთ იმ კაცს?

- დიდი-დიდი თხუთმეტ წუთს.

— ჩინებულია! მაშ, აღარ გემშვიდობებით. პოდა, აი, რა უნდა გითხრათ, ძვირფასებო, სერიოზული საუბარი არ იყოს. მინდა დღეს ვიმზიარულოთ...

ვაგა კართან გამოემშვიდობა ანჯეი კოსეცკის. მოკლე, წყნარი ქუჩა ვარდისფერი სახლებითა და წაბლის ხეებით ჟანგისფერ ბინდბუნდში ჩაფლულიყო. მძიმე ღრუბლებმა დაფარა ცა. ძალიან ცხელოდა, ნიავი არ ქროდა.

- ქარბუქი იქნება. — თქვა ვაგამ. — „მონოპოლში“ აპირებთ?

- დიახ.

- მე იქით მივდივარ, კარგად იყავით.
- არ მოხვალთ „მონოპოლში“?
- შეეჭვება, თუმცა ვნახოთ.



ხელი ხელს დაჰკრეს და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, ანჯი სკამი მაისის სახელობის ხეივნისაკენ გაემართა.

ხეივანი, ერთი მხრით კოსტიუშკოს პარკს რომ ესაზღვრებოდა, მეორე მხრით იყო მოსეირნეებით. საკომენდანტო საათი ჯერ კიდევ არ გაუქმებინათ და ხალხი ტკბებოდა ხანმოკლე მაისის საღამოთი. ხელიხელჩაკიდებული ახალგაზრდები წყვილ-წყვილად დასეირნობდნენ, იცინოდნენ და ხმაურობდნენ: ქალიშვილებს ღია ფერის კაბები და ხისძირიანი ფეხსაცმელები ეცვათ, თმა შუბლზე ჩამოევარცხნათ, პიჯაკწამოსხმულ ბიჭებს პერანგის სახელოები აეკაპიწებინათ, ზოგს ტილოს შორტები ჩაეცვა, ტოტებგაშლილი წაბლის ხეების ძირში ყველა ძელსკამი დაკავებული იყო. ბრბოში ბევრი სამხედრო ერიო, რამდენიმე ჯარისკაცი იმ მერხს შემოხვეოდა, რომელზეც მათი ამხანაგები ისხდნენ. ერთი მათგანი ტუჩის გარმონს უკრავდა.

ცა ღრუბლებით იფარებოდა. ჰაერი ჩაიხუთა და მოკურუხებულ ცაში რამდენჯერმე გაიელვა, ომი გრძელდებოდა და ქალაქი ჩაებნელებინათ. არ ენთო ფარნები ქუჩებში, სწრაფად ბნელდებოდა, ხანდახან მხოლოდ ავტომანქანების შუქები თუ გაჰკვეთავდნენ ბნელს. წამით განათდებოდა ხეების ძირში მდგარი ადამიანები, წაბლის ხეების უძრავი წვეროკები და ხეივნის შორეული პერსპექტივა. მერე ყველაფერი ლეგა-მოყვითალო ბინდბუნდში ინთქმებოდა.

ანჯი ჩაფიქრებული მიდიოდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა, რადიოთი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ, ნაშუადღევს რომ გადმოსცემდა, იგივე კაცი იმეორებდა ბნელში:

— „საომარი მოქმედება შაბათს დილას 8 საათზე შეწყდება...“

რამდენიმე ათეული ნაბიჯის იქით სხვა რეპროდუქტორი აიტაცებდა მიმწყდარ სიტყვებს:

— „ეს მოსამზადებელი აქტია გერმანიის სრული და საბოლოო კაპიტულაციისათვის“.

დიქტორის ხმა ახლა უფრო ხმამაღლა ისმოდა, ვიდრე დღისით. უჩინარი რეპროდუქტორებიდან ხეივანში ბრბოს ესმოდა ერთი და იგივე სიტყვები, დიქტორი ნაძალადევი ხმით რომ იმეორებდა, მაგრამ ამ ხმას არავინ უსმენდა. გამარჯვება, რომელსაც ექვს გაუთავებელ წელიწადს ელოდნენ, უკვე გუშინდელ დღეს ეკუთვნოდა.

ნაშუადღევი ალექსა შრენიავის პირას გაატარა: ბანაობდა და მისთვის უცნობ ჩამოსულ გოგონებს ეარშიყებოდა, მერე როცა მზე ჩაესვენა, რაკი თავისუფალი დრო ჰქონდა, კინო „ბალტიკაში“ წავიდა პარტიზანებზე საბჭოთა ფილმის სანახავად. ამის შემდეგ ბაზრის მახლობლად ერთ პატარა კაფეში ნაყინი შეკამა. მიხედ-მოხედვაც ვერ მოასწრო, შეაგვიანდა.

ძალიან ჩქარობდა, გაოფლილი, უქუდო, მხრებზე პიჯაკმოსხმული სამი მაისის ხეივანში ისე მიჭროდა, ერთ ალაგას თავშეყრილ გოგონებსა და ბიჭებს გვერდი რომ აუარა, კინალამ ანჯის დაეჯახა. ბოლო წამს, ერთ-ორ ნაბიჯზე დაინახა თავისი ძალიან ძმა, გაჩევიდა, მაინც მოასწრო გვერდზე, ძელსკამისაკენ გადამხტარიყო, ბნელში ვიღაცის ჩექმებიან ფეხებს გადააწყდა.

— აჰ, ეშმაკმა წავილოს! — დაუმატა ვილაყამ.

მაშინვე გაეცალა, მაგრამ ახლა მეორეს დაადგა ფეხი; ქალმა იწივლა.

ანჯეიმ გვერდით გაუარა, ძმა არც კი შეუმჩნევია. ალექი ბრბოში გაერია და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა გონზე. შეჩერდა. შუბლზე თფლი მოიწმინდა და თმაზე ხელი გადაისვა. ოჰ, ჯანდაბას! რცხვენოდა, რომ ასე უბრალო რამემ დააფრთხო. ბოლოს და ბოლოს ასეთი რა მოხდებოდა, ანჯეის რომ დაენახა? დარწმუნებული იყო, ჩემმა ძმამ არაფერი იცის და არც შეუძლებო. დედის ისეთი იმედი ჰქონდა, დედას თვითონ რომ ეიმედებოდა. სწავლა და მუშაობა ამბავი მარტო მე და დედამ ვიცით, ვერავინ ვერაფერს გაიგებსო, თორემ მოიპარავდა ფულს? ალბათ არა. დღეს დარწმუნდა: მოყვარულ კაცს რომ ტყვილი მიაყენო, შენს თავს უნდა გადასძლიო, აჯობო, რაც სრულიადაც არ ნიშნავს. იმისთვის მოემზადო — შემოძულეებნო ასე მსჯელობდა იგი. სამაგიეროდ სიმამაცე არ ჰყოფნიდა იმისათვის, რაც ჩაიდინა, პასუხისმგებლობა თვითონ ეკისრა. სამწუხაროდ, არ გააჩნდა იურეკ შრეტერის გაბედულება, მისდა სამარცხვინოდ, ერთხელ კიდევ დარწმუნდა ამაში. შურდა მისი გაბედულების, სულ იმას ნატრობდა, ნეტავ მას ვგავდეთ.

გაზონი დამთავრდა, ალექმა ხეივნიდან გადაუხვია და პარკში მიმავალ ფართო გზას დაადგა. რამდენიმე ერთმანეთზე გადახვეული ქალ-ვაეი შემოხვდა, ფეხს აუჩქარა. გრილოში კიდევ ერთი წყვილი იდგა და რალაცას ჩურჩულებდნენ. იქით აღარავინ შეხვედრია. ყველაფერი ღამის სიბნელეში დანთქმულიყო! ხეთა ჯადოსნური მოყვანილობაც, იღუმალებით აღსავსე ბარდნარიცა და მათ შორის მდუმარე, ჩაბნელებული ველობები.

ალექი ტბორამდე მივიდა. მისი მრუმე, გადასწორებული ზედაპირი უძრავად. ჩქამგაულებლივ იწვა ღრუბლის ქულებივით გადმომდგარი ძეწნების ქვეშ. ტბორიდან გრილმა, ნოტიო ნიაგქარმა დაბერა. სიჩუმე იდგა და სრული უდაბურება, ირგვლივ კაცის ჯაჭანება არ იყო. კოლოები წუოდნენ მხოლოდ. ხრეში კრაქუნობდა ფეხქვეშ. რაც უფრო ღრმად შედიოდა პარკში, მით უფრო იღუმალი ეჩვენებოდა და შიშის ზარს სცემდა.

ალექი კიდევ ერთ ტბორს გასცდა და გვერდით გზაზე გადაუხვია. რცხილისა და წიფლის ხეების წვეროებს ცა ჩამოეფარებინათ. ქვემოთ იასამნის, ეასმინისა და მოთხვის ბუჩქები ამოზრდილიყო. ალექი თავისუფლად მიიკვლევდა გზას სიბნელეში, ზეპირად იცოდა ყველა კუთხე-კუნჭული. უცებ შედგა და სუნთქვა შეეკრა. ვილაც მოჰყვებოდა უკან. სიჩუმეში ძლივსგასაგონი ღორღის კრაქუნო მოესმა. გზიდან გადახტა და იასამნის ბუჩქებში დაიმალა. ნაბევარ წუთსაც არ დასჭირვებია ცდა. გული გამალებით უცემდა. სულ უფრო ახლოს ისმოდა ნაბიჯების ხმა. ბოლოს სიბნელიდან ვილაც კაცი გამოვიდა. ალექმა ფელეკ შიმანსკი იცნო, შვებით ამოისუნთქა და ჩუმად დაუსტვინა. იგი შეჩერდა. ალექი გზაზე გადახტა.

— სალამი!

— სალამი!

ჩასხმული, ჯანიანი ფელეკი, თათრის სახე და შავი ფერის ხშირი, ხუჭუჭა თმა რომ ჰქონდა, ალექზე დაბალი იყო.

— შეგეშინდა? — ჰკითხა ალექმა.

ფელეკმა მხრები აიჩეჩა:

— რისი?

— როცა დაგისტვინე.

— მერე რა? ხომ დაგინახე, ვინც იყავი.

— როდის დამინახე?



ეროვნული
ბიბლიოთეკა
წავიდეთ, უკვე გვი-
ანაა.

— ცხადია, დაგინახე.
— დიდი ხანია?
ფელეკმა შავი, ირიბი თვალები მოკუტა.

— კარგა ხანია.
ალეკი მოიღუშა.

— ამაზე არ იღარდო, — გაამხნევა იგი ფელეკმა.

კოტა ხანს ხმა არ ამოუღიათ.

— ღმერთო, რა ჩახუთულია, — წაიბურტყუნა შიმანსკიმ.

სუნთქვა მართლაც ჭირდა, ნოტიო ჰაერი დამძიმებულყო. ელავდა.

— რომელი საათია? — ჩურჩულით ჰკითხა ალექმა.

ფელეკმა ხელი ასწია.

— ვერ ხედავ?

— ჯანდაბას, სულ დამავიწყდა, საათი არა მაქვს, — უპასუხა ფელეკმა.

— ახლა ცხრის ნახევარი იქნება, შეიძლება მეტიც იყოს...

აქედან ნარვალს იწყებოდა, დაბალი ბექების იქით ღრანტეები იყო.

— იშოვნე?

— რა?

— ფული.

— მაქვს, ფრთხილად, უნდა მოვუხვიოთ.

ალეკი შეჩერდა.

— დაიცა, უფრო მოკლე და კარგი გზა ვიცი: აქვეა, აი, იმ მუხის იქით, დამდენიძე ნაბიჯზე, ბნელში უხარმანარი გაბარჯლული ხე მოჩანდა.

ფელეკს ჩაეცინა.

— მაშინ შენ ზურგიდან მოგვეპარე...

— გახსოვს?

— რასაკვირველია! კარგა ლამაზად მოგხვდა.

— ვის? მე? — ეწყინა ალექს. — მე კი არა, თქვენ მოგხვდათ, მე და იურე-
კი, შენ, იანუში და მარცინი ვიყავით, დაგავიწყდა?

— ჰო, მართალი ხარ, — მოაგონდა ფელეკს.

ორივეს ის შორეული დრო დაუდგა თვალწინ, როცა კოსტიუშკოს პარკის
ამ მიკარგულ ადგილას სკოლის ბავშვები თამაშობდნენ.

მუხის იქით ძლივს შესამჩნევი ბილიკი ბარდებში იკარგებოდა. ალექი წინ
მიდიოდა, ფელეკი უკან მიჰყვებოდა, ბილიკი დაბლა დაეშვა, აქ პარკი თავდე-
ბოდა და მალა, ფლატის იქითა მხარეზე მოჩანდა მავთულის ზღუდე. გარე-
უბნისაკენ ბნელი და უკაცრიელი ქუჩა მიემართებოდა, თითქოს სიცარიელეში
გამოკიდებული ლიფლიფებიანო, სუსტი შუქი ჭიატობდა ჩაბნელებული სახლე-
ბიდან, ერთ სახლში ფანჯარა ალბათ ღია იყო, იქიდან პიანინოს ხმა გამოდიო-
და, ვილაც ველოსიპედით მოდიოდა ქვაფენილზე, პატარა ფარანი ენთო ქვემოთ,
ციცინათელას მოგაგონებდა.

ხრამთან ბარდები ამოსულიყო.

— აქეთ, — დაიჩურჩულა ალექმა.

მარცხნივ შეუხვია და მტკიცედ გასწია წინ, ფრთხილად მისწევ-მოსწევდა
ახალშეფოთლილ რტოებს, მალე გაჩერდა.

მოვედით!

ფელეკი მასთან მივიდა.

— რა კარგია! რა თქმა უნდა, ასე ახლოსაა.

— ხომ გეუბნებოდით!

მათ წინ ერთ ნაბიჯზე პატარა ორმოში სქელი ბალახი და ბუჩქები ამოზრდილიყო. თითქოს სარდაფიან, ისეთი სიცივე ამოდიოდა იქიდან. წელში ჭოიხარნენ და ვიწრო გასასვლელს დაუყვნენ. ოღროჩოღრო და ქვემოთ გასასვლელი იყო. უცებ ვიღაცამ ჩუმად იკითხა:

— ვინ მოდის?

— თავისუფლება! — მშვიდად მიუგო ალექმა.

ფელეკი ქვას წამოედო.

— ჯანდაბას! ნუ სულელობ, მარცინ, გაანათე!

ჯიბის ფარანმა გაანათა გასასვლელი. ქვემოთ, ძალიან დაბალი კამარის ქვეშ იდგა ჩია ტანის მარცინ ბოგუცკი. ფელეკმა თვალი შეავლო კედლებს.

— ეს სორო ხომ არ დაპატარაებულა?

— შენ გაიზარდე. — გაეცინა ალექს. — თუმცა დიდი არაფერი მოგიმატია.

— მე მყოფნის.

ისინი მიესალმნენ მარცინს. ცივი, გაოფლილი ხელები ჰქონდა. ალბათ ავად იყო.

— იურეკი აქ არის? — ჰკითხა ალექმა.

— დიდი ხანია. პირველი მოვიდა.

მარცინმა ფარანი ჩააქრო. გასასვლელი მკვეთრად უხვევდა და უცებ მათ წინ ძალიან დიდი არა. მაგრამ მალაქამაროვანი მიწისქვეშეთი გადაიშალა. კედელზე ჩამოკიდებული ფარნის მოციმციმე ალი ანათებდა მეწამულ კედლებსა და უსწორმასწორო მაგარ სოხანეს. კუთხეებში ბნელოდა. აქა-იქ დიდი, თეთრი ქვები კიანთობდა — ბავშვებმა ჯერ კიდევ მაშინ გადმოიტანეს აქ, როცა კეთილშობილი ინდიელი ბელადებივით ისხდნენ და ბჭობდნენ.

ეჟი შრეტერს ერთ ქვაზე დაედო ფეხი. მალალი, გამხდარ-გამხდარი, ქერა კაცი იყო. ჩიტის თავი ჰქონდა. სპორტული კოსტიუმში და რბილი ტყავის კურტაკი ეცვა. იქვე ახლოს კედელს ყოველთვის პეწიანად ჩაცმული იანუშ კოტოვიჩი მიჰყრდნობოდა, მოწყენილობა ეტყობოდა, ყოველ შემთხვევაში იმ კაცის შესახედაობა ჰქონდა, მოწყენილობას რომ თამაშობდა; კარგად გაუთოებული ნაკრისფერი ფლანელის შარვალი და გრძელი, თავისუფალი პიჯაკი ეცვა.

— ჯანდაბას! — წაიბურტყუნა ფელეკმა და სარდაფი მიათვალაიერ-მოათვალაიერა. — არაფერი შეცვლილა, მხოლოდ დაპატარაებულა. სალამი, იურეკ!

შრეტერმა თავი ასწია.

— დაგაგვიანდათ!

წყნარად, გარკვევით, ოდნავ ქედმაღლურად ლაპარაკობდა, როგორც ყოველთვის შეგობრებთან, როცა უნდოდა ეგრძნობინებინა, ჩემსა და თქვენ შორის დიდი ზღვარიაო.

ალექი გაწითლდა. ფელეკმა კი, ეჟის ამპარტავნობას არაფრად რომ არ აგდებდა, მხრები აიჩეჩა.

— მართლა? ძალიან დავაგვიანეთ?

ეჟი შრეტერმა ვიწრო, ღრმად ჩამჯდარი თვალებით გახედა.

— მე მგონია, არ მითქვამს, ბევრი დაავაგვიანეთ თუ ცოტა, უბრალოდ, დავაგვიანდათ, მეტი არაფერი.

იანუშ კოტოვიჩმა დამცინავად გაიღიმა. ფლანელის შარვლის ჯიბიდან ოქ-

როს პორტსიგარი ამოიღო და პაპიროსი გააბოლა.

— მომაწოდე მაინც, ლორო! — უთხრა ფელეკმა.

კოტოვიჩმა პორტსიგარი გაუწოდა.

— აილე...

ალეკსაც აიღო პაპიროსი. მარცინი არ ეწეოდა. ეტი შრეტერმა უფრო თქვა.

— ახალი ნაყიდიია? — პორტსიგარი შეათვალიერა ფელეკმა.

— მოგწონს?

— ჩემი აზრით, საუცხოოა.

— შენც ერთი!

— დასხედით! — შეაწყვეტინა მათ შრეტერმა. — უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ აქ არც ამხანაგური შეხვედრა გვაქვს და არც სმას ვაპირებთ.

— სამწუხაროა! — ისე ჩუმად თქვა იანუშმა, რომ ეს მხოლოდ ყველაზე ახლოს მდგომმა ფელეკმა გაიგონა.

ბიჭები უსიტყვოდ ჩამოსხდნენ ქვებზე.

— დალახვროს ეშმაკმა, რა მაგარია! — დაიქყანა ფელეკი და იანუშისკენ დაიხარა. — უკანალი არ მოგვეყინოს...

პატარა სახის, ფერგამკრთალი მარცინი, რომელსაც მოკლე, დაკმუჭნული პიჯაკი ეცვა, სიცივისაგან იბუზებოდა და მალიმალ ისრესდა ხელებს, წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ეს კედლები, ეს ბინდბუნდი, მცოცავი ჩრდილები ჭერსა და კედლებზე, ხავსით დაფარული ქვები რამდენ მოგონებას უღვიძებდა!

ალეკმა ვერ მოითმინა.

— იურეკ, გახსოვს მალალი შევარდენი?

შრეტერმა, ოდესღაც ამ მეტსახელს რომ ატარებდა, შუბლი შეიკმუხნა.

— იქნებ სხვა დროს გველაპარაკა ამ ბალღურ ამბებზე?

— კარგად კი ვთამაშობდით, — ჩაურთო ფელეკმა.

შრეტერი ღუმდა. მხოლოდ იგი იდგა ზეზე, ფეხი ქვაზე დაედო და ნიკაპი ხელზე ჩამოეყრდნო, სანთლის მოციმციმე ალი ამპარტავნულ, გამხდარ სახეს უნათებდა და მხრებში გადამსხვრეულ მის ჩრდილს ჭერსა და კედლებზე აფენდა. ისეთი უსაზღვრო სიჩუმე იდგა, მარტო მიწისქვეშ რომ დგას ხოლმე. სადღაც ძალიან შორს, თითქოს მიწისქვეშეთიდანო, მეხმა დაიგრიალა.

— ქარიშხალია, — დაიჩურჩულა მარცინმა.

ისევ გავარდა მეხი.

— ჯანდაბას! — წაიბურღლუნა ფელეკმა. — თითქოს ზარბაზნებს ისვრიანო.

ყველამ დააყურა. უცებ შრეტერი წელში გაიმართა.

— მისმინეთ, ბიჭებო, — პირდაპირ დაიწყო მან, მაგრამ ამჯერად მისი ხმა უფრო თბილად, გულითადად ეღერდა. — მინდა ჩვენ შორის ყოველგვარი გაუგებრობა მოისპოს...

— მართალია! — დაუმოწმა ფელეკმა.

ეეიმ მისი შენიშვნა ერთ ყურში შეუშვა, მეორეში გაუშვა.

— პატარაობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ძველი მეგობრები ვართ, ასე არ არის? მაგრამ ახლა თქვენი მეტაური ვარ. მე გიბრძანებთ, თქვენ კი ბრძანებებს ასრულებთ. ჩვენი ორგანიზაციის პირველი ხუთეული ვართ. იგი ჩვენზეა დამოკიდებული, ხომ ხედავთ რას გეუბნებით? გასართობი აქ არაფერია.

ფელეკმა თუთუნის გამოაბურჭყა.

— ყველაფერი რიგზეა, მიდი, გარეკე!

— არ მინდა ამაზე კიდევ ვილაპარაკო, მაგრამ ეს ჩვენზე ჰკიდია. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რა მევალება.

ქვაზე ჩამომჯდარი ფელეკი აწრიალდა და ექისკენ გააპარა მზერა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— ახლა კი. — განაგრძო შრეტერი. — საქმეზე გადავიდეთ. შექმნილი მდგომარეობა მიიღეთ, ხაზს ვუსვამ, ჩემი პირველი ბრძანებაა: თითოეულ თქვენსგანს დღეს სალამოს ხუთი ათასი უნდა მოეტანა. ვიმედოვნებ, ბრძანება შესრულებულია, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი.

— ყველაფერი არ არისო? — შეწუხდა ფელეკი.

— დაიცა, ამაზე არ არის ლაპარაკი. მინდა ვიცოდეთ, სად იშოვნეთ ფული. ალექი წამოწითლდა და თავი დახარა, სიწითლე არ შემატყონო.

— ჩემგან დავიწყებ, — თქვა შრეტერი.

ჯიბიდან ფული ამოიღო და ქვაზე დაყარა, რომელზეც ფეხი ედო.

— ხუთი ათასი. მოტოციკლის საყიდელი ფულის ერთი ნაწილია. უფრო სწორედ მთელი თანხის სამი მეოთხედი.

ამაზე მეტი აღარაფერი უთქვამს, სულ ახლოს მჯდომ კოტოვიჩს მიუბრუნდა.

— იანუშ?

მოწყენილმა კოტოვიჩმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ბევრი ფული ამოიღო და სწრაფად გადმოთვალა რამდენიმე ცალი.

— ხუთი ქალაქის ფულია. დასამალი არაფერი მაქვს. ვალუტით ნაშოვნი ეგრეთ წოდებული საკუთარი ფულია. კაცმა რომ თქვას, ეს თქვენთვისაც ცნობილია.

— ასეა. — დაემოწმა შრეტერი.

ახლა შრეტერი ფელეკ შიმანსკის მიუბრუნდა.

— საიდან გაქვს?

მან უსიტყვოდ დადო ფული ქვაზე.

— სად აიღე?

ფელეკი მოიღუშა.

— ოპ ლმერთო, რა მოსაწყენი ვინმეა! საათი გავყიდე, კიდევ რა გითბრა? შრეტერი ერთი წამით იყუჩა.

— კარგი. — ბოლოს თქვა მან. — შემდეგი ვინ არის? შენ, ალექ?

ალექმა იგრძნო, რომ ყურისძირებამდე გაწითლდა, უხერხულად ამოიღო ფული, წინ გადაიხარა და უკვე დადებულთან დააწყყო.

— საიდან გაქვს? — საგანგებოდ მშრალად ჰკითხა შრეტერი, ვინაიდან კოსეცკი ყველაზე უფრო უყვარდა.

ალექი მთლად დაიბნა.

— ცოტა მქონდა...

— რამდენი?

— ერთ-ნახევარი.

— დანარჩენი?

ალექი დუმდა.

— სად იშოვე დანარჩენი?

რაღა ექნა, აღარ შეწინააღმდეგებია.

მოვიპარე.

... შიშინსკი და კოტოვიჩი უცებ გამოცოცხლდნენ. ფელეკმა დაუსტვინა კი-
დევატ: სამაგიეროდ ალექს გულზე ლოდი მოეხსნა.

— ვის მოპარე? — განაგრძობდა დაკითხვას შრეტერი.

უკვე სავსებით მშვიდად მიუგო:

— დედას.

გასჭრა! ასე იოლად გასჭრა! შინაგანად გრძნობდა, რომ არაფერ კიცხავდა,
პირიქით.

— კარგი! — თქვა იურეკ შრეტერმა. — მარცინ?

მარცინი მოშორებით იჯდა, ჩაფიქრებულს გადაჭდობილი ხელები მუხ-
ლებს შორის ჩაეყო. თავისი სახელი რომ მოესმა, თავი ასწია და მშვიდად მი-
აპყრო შრეტერს ფიქრიანი თვალები. ეჟი მოიღუშა.

— შენი ფული?

— არ მაქვს, — ჩუმად უპასუხა მარცინმა.

იანუშ კოტოვიჩმა წამოდგომა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ფელეკმა
დააკავა.

— შეეშვი, რა შენი საქმეა.

ყველამ იცოდა, რომ მარცინს უჭირდა, ვაკვეთილებით ირჩენდა თავს, დე-
დასა და უმცროს დას ინახავდა. მაგრამ შრეტერის აზრით, საკითხი ამოწურუ-
ლი არ იყო.

— ბრძანება ხომ კარგად გაიგე, მაგრამ არ შეასრულე.

მარცინი დუმდა.

— რატომ?

მარცინს ბაგე აუთრთოლდა.

— თვითონ იცი, რატომაც არა, ხუთი ათასი რომ მქონოდა, ჩემს დას ფეხ-
საცმელს ვუყიდდი...

იანუშ კოტოვიჩმა ველარ მოითმინა და ზეზე წამოხტა.

— ეს შენი საქმეა! შენს დასთან საერთო არაფერი გვაქვს.

მარცინი მისკენ მიბრუნდა.

— მე მაქვს, სხვათა შორის, ნუ გეშინია, — ნალვლიანად დაუმატა მან, —
ჩემი დისთვის ფეხსაცმელი არ მიყიდია. არა მაქვს ხუთი ათასი.

— მაშინ კოსეცკივით უნდა მოგეპარა.

— წყნარად, ბიჭებო, — მიმართა შრეტერმა. — სხვის საქმეში ნუ ეჩრები,
იანუშ. შენიშვნებს მე მოგცემთ.

მარცინი წამოდგა და შრეტერს პირდაპირ დაუდგა. სახეგაფითრებულს ხე-
ლები უთრთოდა.

— მაპატიე, — უთხრა მან და სული ძლივს მოითქვა. — მაგრამ სანამ შე-
ნიშვნას მომცემდე, მეც მინდა გითხრა ორიოდ სიტყვა.

შრეტერმა ყურადღებით შეხედა.

— ახლა არა, მერე პირისპირ ვილაპარაკოთ.

მარცინი შეყოყმანდა. შრეტერმა ხელი მხარზე დაადო.

— დაჯექი.

მარცინი უსიტყვოდ დაჯდა, შრეტერმა უკამ დაიწია და კედელს მიეყრდნო.

— მომისმინეთ, მდგომარეობა ასეთია. ორშაბათს მაინც უნდა შეგროვდეს
მთელი თანხა, მაშასადამე, ოცდახუთი ათასი, ერთი გროში არ დააკლდება. ია-
რალის ყიდვის განსაკუთრებული შემთხვევა მოგვეცა, გასაგებია? ეს საქმე მო-
მანდეთ. ყველაფერს მოვაგვარებ. პო... — წამით ჩაფიქრდა იგი. — იმ თანხას,



რაც გვაკლია, ამნაირად შევაგვებთ: რაკი ალეკმა ჩემი ბრძანება ისე შესრულა, რომ ფული მოიპარა, დაფუბრუნებ.

ალეკი ფეხზე წამოვარდა, თავში სისხლი აუვარდა.
 — წინააღმდეგი ვარ! ჩემი საქმეა, ფული საიდან მაქვს...
 იურეკ შრეტერმა საჭიროდ არ ჩათვალა, პასუხი გაეცა.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

— მარცინის ნაცვლად ის გადაიხდის, ვისაც ჩვენს შორის ყველაზე მეტი ფული აქვს.

ახლა იანუშ კოტოვიჩი წამოდგა, რისხვა აღბეჭდოდა ლამაზ, მაგრამ თოჯინას სახეზე.

— არც კი დამსიზმრებია! მისი ფული რად უნდა გადავიხადო!
 — ვნახოთ, გადაიხდი და მეტსაც იზამ!

კოტოვიჩმა უკან დაიხია და, თითქოს დახმარებას ეძებსო, ყველას გადახედა.

— ეჟი, — გაისმა გვერდიდან მარცინის ხმა, — რატომ მამცირებ?
 — მამცირებო?

იგი ისევ კოტოვიჩს მიუბრუნდა.

— ნახევარ წუთს გაძლევ მოსაფიქრებლად. — საათზე დაიხედა. — შენი ნებით თუ არ მოგვცემ ხუთი ათასს, მაშინ ყველას ჩავვაბარებ, რაცა გაქვს, ყველას! პოდა, იფიქრე ამაზე.

— აი, სეირი თუ გინდა ესაა! — წაიბუტბუტა ფელეკმა.

ალეკს გული ყელში მოებჯინა, მარცინს თავი დაეხარა, ტუჩები უთრთოდა, კოტოვიჩი გაფითრდა, სახეზე უკვე რისხვა კი არა, საზარელი, შემაძრწუნებელი შიში ეწერა.

სარდაფში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, გარედან ერთფეროვანი, დაბნული ხმაური შემოდინოდა, აქაფებული წყლის ჩქაფუნს რომ მოგაგონებდა ალბათ ქარი ამოვარდა, სადღაც ახლოს გავარდა მეხი.

შრეტერმა კვლავ დაიხედა საათზე.

კოტოვიჩმა ერთი ნაბიჯით კიდევ დაიხია უკან და ქვეშ-ქვეშ გახედა გასასვლელს, შრეტერმა თავი დაუქნია კოსეცკოსა და შიმანსკის.

— გასასვლელთან დადექით.

ხმაამოუღებლივ, დაპიპნოზებულივით შეასრულეს მისი ბრძანება.

— ასე, არა? — კბილებში გამოსცრა კოტოვიჩმა — ერთი ჭურის ხალხი ყოფილხართ, ერთი ამას დამიხედე, ავაზაკების ბანდაა!

— ექვსი წამი! — აღნიშნა შრეტერმა.

მარცინი ქვაზე ჩამოჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

— ორი! — გაიყურა ეჟის ხმამ.

უცებ კოტოვიჩი კედელს მოსცილდა და განზე გაბტა, წამიც და ჩამოკიდებულ ფარანს ხელს ჩაავლებდა — ფარანი გაინძრა და სარდაფს შუქ-ჩრდილები მოეფინა — შრეტერი იანუშთან მიიჭრა, პიჯაკის კალთებში ხელი სტაცა და პირდაპირ, ჩაბნელებულ კუთხისაკენ ისროლა, კოტოვიჩი დაეცა, მაგრამ მაშინვე ფეხზე წამოხტა და შარვალი დაიფერთხა, გახეიჭილი ტუჩებიდან სისხლი მოსდიოდა, შრეტერმა აიკაპიწა კურტაკის სახელოები და ხელა მივიდა მასთან, იანუშმა ხელის აფარება ვერ მოასწრო სახეზე, ცხვირსახოცი ამოიღო, სისხლს მოვიწმენდო, როცა პირველი დარტყმა იგემა, ცხვირსახოცი გაუვარდა და ისე თავხარდაცემული იყო, რომ თავსაც არ იცავდა, შრეტერი გამეტებით სცემდა.

— იურეკ! — გასძახა ფელიკმა.

ტერი წელში გაიმართა და შარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი. მარცინი წამოხტა.

— ეჟი!

თითქმის ერთდროულად გაისმა სქელი კედლებით დახშული მათრახის გადატყლაშუნებასავით ორი მოკლე გასროლა. იანუშმა თითის წვეჭჭჭუნებით და ერთი წამით გახევდა მხრებაწეული, თითქოს ცეკვავსო, მერე უკან მარცხენა ფეხით წაიჩოქა და ხელებაწეული ბნელში პირჩაღმა დაეცა.

მარცინი პირველი მივარდა მასთან და იანუში გადმოაბრუნა. არ ინძრეოდა, კვიშით სავსე ტომარასავით მძიმე იყო. მარცინმა დაიჩოქა და მკერდზე ვარდისფერი აბრეშუმის პერანგი გადაუხია. კრილობიდან სისხლი მოსჩქეფდა. სიჩუმეში, თითქოს მიწის გულიდანო, კოკისპირული წვიმა შხაპუნობდა.

მარცინი შრეტერს მიუბრუნდა.

— ეჟი, ეჟი! რა ვქენით ეს?

შრეტერმა ხარბად მოქაჩა პაპიროსი და ნამწვავი ფეხით გასრისა.

— რა ვქენითო? მოდი, მარცინ, ერთ გონივრულ რჩევას მოგცემ: ადექი, ზედმეტი არ გინდა.

ამასობაში ფელეკ შიმანსკიმ ფრთხილად გადააბიჯა ქალაღის ფულებს და მიცვალებულთან მივიდა.

— დალახვროს ეშმაკმა! — წაიბურტყუნა მან.

ერთ წამს უყურებდა, მერე დაჩოქილ მარცინს მიაპყრო ირიბი მზერა.

— წამოდექი, შე ძველო! — თქვა მან უხეში სინაზით. — აბა რა უნდა უყო ამ ლეშს!

მხრებზე ხელი მოხვია და წამოაყენა.

მარცინი არ შეწინააღმდეგებია. ფელეკმა მიმოფანტული ფული შეათვალიერა.

— ფული ჰქონია ყმაწვილს!

ალეკი განზე იდგა. ძირს იყურებოდა და ქვედა ბაგეს იკვნეტდა.

მოულოდნელად ფელეკი გაბრაზდა.

— ღმერთო, ასე რამ დაგამუნჯათ, დაკარგეთ რამე თუ? აბა რას იტყვი? — გადახედა მან შრეტერს. — რა ვქნათ?

პასუხად ხმა არ ამოუღია.

— ასე რად მიყურებ? — მოიღუშა ფელეკი. — გგონია, მეშინია?

— არა?

— რა თქმა უნდა, არა. რას მეუბნები. ასეთი ბევრი რამ მინახავს ამქვეყნად, აბა მაჩვენე ის რაღაცაა...

შრეტერმა ბუდიდან რევოლვერი ამოიღო და ფელეკს გადასცა. მან ყურადღებით შეათვალიერა-შემოათვალიერა.

— არა უშავს რა! „ვიკერსია“?

— ჰო!

შრეტერმა საათზე დაიხედა: ცხრა სრულდებოდა.

— მომეცი. — რევოლვერისაკენ გაიწოდა ხელი. — დრო აღარ არის.

იარაღი შეინახა და მეთაურის კილოთი თქვა:

— აბა, ბიჭებო, საკმარისია! ჭერჭერობით ეს იქით გაათრიეთ, — მკედრისკენ გაიშვირა ხელი. — ფული უნდა შევაგროვოთ, მერე ვნახოთ, რა იქნება.

მისმა მშვიდმა, მტკიცე ხმამ ასე თუ ისე შეანელა დაძაბულობა. დანაშაულის, აი, სულ ახლა რომ მოხდა, ჭერ კიდევ არ გასულიყო ოთხი კედლიდან და იმ ოთხი კაცის გარდა არავინ არაფერი იცოდა.

კოსეცკიმ და შიმანსკიმ მკვდარს ფეხებზე, მხრებზე მოკიდეს ხელი და სარდაფის იქით კუთხეში გაათრიეს. იქ, ბნელში მარტო ვგდო, უფრო პატარა ჩანდა. მერე ისინი ფულის შეკრებას შეუდგნენ. იურეკ შრეტერი მათ ეხმარებოდა.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიყვირა უცებ ფელეკმა და მარცხა ქალაქის ფული ააფრიალა. — შეხედეთ, ბიჭებო, ოცი დოლარია!

— მაჩვენე! — დაინტერესდა ალექი.

— ხომ ხედავ, ოცდოდოლარიანია! კარგი ფულია, არა?

— ჩქარა, ჩქარა! — აჩქარებდა შრეტერი. — ტყუილუბრალოდ ნუ კარგავთ დროს.

ხელებში შარიშური გაჰქონდა ქალაქის ფულს. კედლებზე დიდი, უფორმო ცხოველებივით ნელა მიცურავდა სამი კაცის ჩრდილი.

— ეჟი! — უცებ დაიძახა მარცინმა.

შრეტერი წელში გაიმართა. ორივე ხელით ქალაქის ფული ჩაბლუჯა. მარცინი ცოტა ხანს უყურებდა. ყოველთვის ჩაფიქრებული, დარდიანი შავი თვალები კიდევ უფრო ღრმად ჩასჯდომოდა და დანისლოდა. ვიწრო, გახუნებული, მოკლესახელოებიანი პიჯაკი ეცვა და საწყალობლად გამოიყურებოდა.

— ეჟი, — შეევედრა იგი. — გამიშვი.

შრეტერმა წარბები შეიკრა.

— ახლა?

— ნუ გეშინია. არ გაგცემთ.

— განა ამას ვგულისხმობ

ფელეკმა და ალექმა შეწყვიტეს მუშაობა.

— თუ დამიჯერებ, გთხოვ... ვერ გამოგადგებით.

— ცუდი ამბავია.

— არ შემიძლია, გამიგე.

— მათ კი შეუძლიათ? — გვერდით მდგარ ამხანაგებზე მიათითა შრეტერმა. მარცინს ბაგე შეუთრთოლდა.

— ეჟი, გვედრები! არ ვიცი, რას გრძნობთ, და არც მინდა ვიცოდე. საშინელებაა ყველაფერი ეს, აბა ერთი ჩაფიქრდით. აქ წევს მკვდარი ადამიანი, ჩვენი ამხანაგი, თქვენ კი, თითქოს არაფერიაო, ფულს ითვლით, ლაპარაკობთ...

— კეთაზე ხარ? — ჩაერია ფელეკი. — რა კავშირი აქვს ერთს მეორესთან? დავტოვოთ ფული?

შრეტერმა მისკენ მიაბრუნა თავი.

— დაწყნარდი.

იურეკმა ფული შარვლის ჯიბეში ჩაიდო, მარცინთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო.

— შენი აზრით, ცუდად მოვიქეცი?

მარცინმა თამამად გაუსწორა თვალი.

— ჰო.

— ვთქვათ, არ მომეკლა, რა მოგვივიდოდა?

— არ ვიცი, ეჟი, არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რაც მოუვიდა, აი, რა ვქენით... სულ იმას არ ვლაპარაკობდით? ვიბრძოლოთ პოლონეთის კარგი და კეთილშობილური საქმეებისათვისო... ნუ გელიმება, შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს ეს.

მერე რა, რომ მითქვამს?

— გვჯეროდა, თუ ვიბრძოლებო, თავისუფლებისა და სამართლიანობის სახელით...

შრეტერმა კოპები შეიკრა.

— გეყოფა, ახლა არ არის ლაქლაქის დრო.

— რა ვქნათ, რა ვუყოთ ამ მოგონებას, ამ დაღვრილ სისხლს?

— ნუ აჭარბებ, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? სისხლი! სისხლი ბევრს არაფერს ნიშნავს.

— ნუ იტყვი, ეფი. ასე! არა გაქვს ამის თქმის უფლება...

— კარგი, სისხლი რაღაცას ნიშნავს, მაგრამ არა ჩვენი მტრების სისხლი. მტრებს ძალებივით ამოვხოცავთ. ამიტომ ვარსებობთ და ესაა ჩვენი სიმართლე. ხოლო ის, რომ იგი პირველი წავიდა, უბრალო შემთხვევითობაა და მეტი არაფერი! ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა.

— რა იცოდი?

— გგონია, მისი მჯეროდა? მას ვუჯერებდი? ალფონსი იყო, მებირყეებთან ყავშირი ჰქონდა და მხოლოდ ამიტომ ავიყვანე, გამოვადევნებოდა. თვითონ კი არა, მისი ფული მესაჭიროებოდა. ძალიან კარგი, რომ ასე მალე გამოამქლავნა თავი. ყველაფერი გამოირკვა, შეტი არაფერი.

მარცინმა სახეზე ხელები აიფარა.

— საშინელ რამეს მეუბნები, ეფი.

— ნუ აჭარბებ.

— ეფი, ეფი, ადამიანმა ხომ ანგარიში უნდა გაუწიოს თავის თავს, მაშინაც კი იტანჯება, როცა იძულებული ხარ მოკლა კაცი.

— გაბედე! როდისმე ვინმე მოგიკლავს?

მარცინი აცახცახდა.

— არა.

— აი, ხომ ხედავ! მე მრავალი მოვკალი.

— გერმანელი...

— მტრები. მაგრამ გარწმუნებ, არავითარი ტანჯვა არ მიგვრძნია.

მარცინმა თავი დახარა.

— არა, არა. — ჩურჩულით თქვა მან.

— რა არაო?

— ასე არ შეიძლება.

— მაგრამ ასე ხდება. წადი, თუ გინდა. უპირველეს ყოვლისა გამოიძინე. ხვალ ვინმე შემოგივლით. შინ იყავი.

— კარგი, — გულგრილად უთხრა მარცინმა.

გრძნობდა, რომ უკვე აღარ ეკუთვნოდა საკუთარ თავს და მხოლოდ მისი არსობის ერთი პატარა, დარდიანი, სასოწარკვეთილი ნაწილი იცავდა ყველასათვის გამოუსადეგარ თავისუფლებას. თავის სიცოცხლეში ასე მწარედ ჯერ არასოდეს უგრძნია სიმართლევ, არ განუცდია ასეთი გულგატეხილობა და იმედგაცრუება. ქვეყანამ, ამდენი ხანია რომ სისხლისაგან იცლებოდა, ისევ გადმოხსნა შეხორცებული კრილობები. და სწეული ადამიანური გულები ისევ აივსო ზიზლით, სიძულვილითა და ბრმა სისასტიკით. იცოდა, რომ რაც უნდა ეთქვა, ყველა მისი სიტყვა ყალბად და წიგნურად გაიყვლებოდა, ვინაიდან მათი ავბედითი სიმართლე ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, მარცინს კი სიცოცხლე, ადამიანური კეთილშობილება სწამდა.

წელში მოხრილი ნელა გაემართა ჩაბნელებული გასასვლელისაკენ. სამივემ

მზერა გააყოლა, სანამ იგი თვალს მოეფარებოდა, ხელის ცეცებით მიდიოდა დერეფანში, ყოველ ნაბიჯზე ფორხილებდა და ცივ კედლებს ხელით ეჭიდებოდა. სულ არ ახსოვდა, რომ ფარანი ჰქონდა. მერე იგი შეჩერდა. უკან სიჩუმე იყო, წინაც — სიჩუმე. ალბათ აღარ წვიმდა.

მართლაც, ზემოთ რომ ამოვიდა, წვიმას გადაელო, მაშინ წამწყვეტად შექაქუხილმა გადაიარა. ირგვლივ მიწისა და გაზაფხულის ნოტიო ბალახის სურნელება იდგა. ბუჩქებში ძირს დაეცემოდა გრილი წვეთი და ჩქამს გაიღებდა. შორს გაცურდნენ მძიმე ღრუბლები. განათდა და თითქოს ცა განსაკუთრებით ამალღდა. აქა-იქ აციმციმდნენ პირველი ვარსკვლავები, წვიმის წვეთებს რომ ჰგავდნენ.

V

სამწუხაროდ, სიტყვები არ ისმოდა. სამაგიეროდ ანტონის კაბინეტიდან გამოსულ ხმებს კარგად გამოარჩევდი ერთმანეთისგან. თითქმის გამუდმებით პოდგურსკი ლაპარაკობდა, ანტონი ძალიან იშვიათად თუ იტყოდა რამეს თავისი მოგუდული, დაბალი ხმით.

პანი ალიცია წარამარა წყვეტდა მუშაობას. ეჩვენებოდა, თუ სასადილოში დაზვის ერთფეროვანი კაკუნი შეწყდება, ჩამოვარდნილ სიჩუმეზე პოდგურსკი მიხვდება, წასვლის დროაო. შეშინებული აყურადებდა, ერთმანეთს ხომ არ ემშვიდობებიანო. ერთ-ორ წუთს შეიცადა, და რაკი კარს იქიდან კვლავ ისმოდა პოდგურსკის ხმა, ისევ სამუშაოს მიუბრუნდა. მაგრამ როცა დაზვის წყვეტილ კაკუნში ანტონის ხმა გაერეოდა, მაშინვე შეწყვეტდა ქსოვას, სუნთქვას შეიკრავდა, ერთი-ორი სიტყვა მაინც გავარჩიოო. მისი ფიქრით, თუ ცალკეულ სიტყვებს გაიგონებდა, მიხვდებოდა, რაზე იყო ლაპარაკი. მაგრამ ანტონი ძალიან ჩუმად ლაპარაკობდა, დიდხანს არ აგრძელებდა, და ისევ პოდგურსკის ხმა ისმოდა.

არა, პანი ალიციას არ შეეძლო გულისყური მოეკრიბა და აუჩქარებლად, აზრმოუკრებლად ემუშავა. წამოდგა, და რაკი არ იცოდა, რა ექნა, სამზარეულოში შევიდა. ოთახში ნახევრად ბნელოდა. შეღებულ სარკმელში ბელურების საღამოსპირული ელურტული გაისმოდა.

როზალია ნავახშმევს კურკელს რეცხდა. პანი ალიცია ადგილზე წრიალებდა მღელვარებისაგან.

— რატომ არ ანთებთ შუქს, როზალია? დაღამდა უკვე. ამ სიბნელეში კურკელს რანაირად გარეცხავთ?

როზალიამ შუქი ჩართო, ოღნავ განათდა. მაგრამ ამას ქალისათვის სიმშვიდე არ მოუტანია.

— რამდენჯერ გითხარით, ასეთ უბრალო რამეზე ფულის დაზოგვა სისულელეა-მეტქი...

მოხუცმა ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ სველი თეფშები და ჩანგლები აუჩხრიალდა ხელში. პანი ალიცია უსიტყვოდ, შვებით მისჩერებოდა ამ მღუმარე აფეთქებას.

— აბა, თქვენ თვითონ თქვით, როზალია, — დააწყნარა ბოლოს ალიციამ, — რა კაცია ეს პოდგურსკი. შემოვიდა, პანი ანტონის ერთ წუთს ვნახავო, ოცი წუთი კი გავიდა, რაც ზის, ამისი ვერაფერი გამიგია.

— მაშასადამე, გასაგები ყოფილა! — ხმამაღლა თქვა როზალიამ და მაგიდაზე დააგდო გარეცხილი თეფშები.

პანი ალიცია თავისას ადგა.

— აი, ეს არ მესმის. ბოლოს და ბოლოს თავაზიანობა არ აწყენს კაცს... როზალიას გაეცინა.



— თავაზიანობაო! ახლანდელ ხალხს რა თავაზიანობა უნდა მძინებდეს — და დიასახლისმა ხმა არ ამოიღოსო, დაუმატა:

— ახლა კაცი კაცს პატივს აღარა სცემს, ყველა თავის თავზე ფიქრობს.

— აბა, რას ამბობთ, როზალია? — აფეთქდა პანი ალიცია. — შეიძლება ასე ლაპარაკი?

— ლაპარაკიო? ქმნა ხომ შეიძლება?

პანი ალიციამ უმწეოდ გაასავსავა ხელები.

— ოჰ, ღმერთო, რანაირი ქალი ხართ, როზალია... სიტყვა ვერ მითქვამს.

— რაცა ვარ, ისა ვარ, — მოუჭრა დედაბერმა.

პანი ალიციამ დამარცხებულად იგრძნო თავი. იცოდა, რომ სამზარეულოდან უნდა გასულიყო, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. სკამი მიიჩოჩა, დაჯდა და ფიქრებში ჩაეფლო. როზალია თეფშებს ამშრალეზდა და გვერდზე უხმაუროდ აწყობდა. გარედან ბელურების ქლურტული შემოდინოდა. კოსეცკამ ჩვეულებისამებრ გაიხედა იქით.

— ხვალ აუცილებლად უნდა გამოვიძახოთ ამწყობი...

— ხვალ ხომ კვირაა!

— მართალია! მაშინ ორშაბათს დილიდანვე. ამ ბაკანს რაღაც უნდა მოვეუხერხოთ. ალექს ვახშამი ხომ შეუნახეთ, როზალია?

— შევუნახე, აბა რა! მაგრამ, ღმერთმანი, ჩემი შვილი რომ იყოს...

— ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ ბავშვები არა გყავთ, — საჩქაროდ შეაწყვეტინა პანი ალიციამ.

როზალია, ერთ ხელში თეფში რომ ეჭირა და მეორეში — პირსახოცი, მთელი თავისი დიდი ტანით შემობრუნდა და დიასახლისს ზურგი შეაქცია.

— ვილაპარაკებ კიდევაც! ბავშვები? მეძნელება ამის თქმა, მაგრამ სატანჯველის მეტი რა მოაქვს ბავშვებს. აი, მაგალითად, ზიხართ შინ და ადგილს ვერ პოულობთ. პანი ანჯეიზე აღარ ვილაპარაკებ, უკვე მოწიფული კაცია, მაგრამ ეს...

— ალექსი არაა ბავშვი, ჩვიდმეტი წლისაა უკვე, ჩემო როზალია.

— მერე რა?

— მთელი დღე შინ ხომ არ დაჯდება.

— „მთელი დღე“ შინ დაჯდეს-მეთქი, ეს გითხარით? მაგრამ ღამით რაღას დაეხეტება? თქვენ კიდევ იცავთ!

— მე ვიცავ? — აღშფოთდა პანი ალიცია. — საიდან მოიტანე?

— არ არის ასე? მაშინ თვალი არ მჭონია. ვახშამსაც არ მიირთმევს შინ, თავში აქვს ავარდნილი! გული გადაგიტრიალდება კაცს.

მღელვარებისაგან წამოჭარხლებულმა როზალიამ მაგიდიდან თეფშები აიღო და კარადაში შეაწყო. მერე ჩანგლები და კოვზები წაიღო.

— რა ვქნა? — საცოდავად ჰკითხა პანი ალიციამ. — თქვენ თვითონ მითხარით, როზალია, რა წყალს მივცე თავი? ისე ხომ არ შევიცვლები, გულთან არაფერი მივიტანო. იქნებ ფიქრობთ, შეკვეთით შეიძლება ასეთნაირ ქალად იქცეთ? კარგად ვიცი, ყველაზე უკეთესად ისეთი ქალები გრძნობენ თავს, რომელთაც არც ქმარი აწუხებთ, არც შვილები და არც თჯახი. მე ამის ქალი არა ვარ, რომ მოვინდომო. მაინც არაფერი გამომივა.



როზალიამ თავი დაუქნია.

— ვიცი, არ გამოგივით, გულს ვერ უკარნახებ.

— ხომ ხედავთ, როზალია.

პანი ალიციამ ბუფეტზე დადგმულ მალვიძარას შეხედა და აწრიალდა.

— შემთხვევით ჩვენი საათი წინ ხომ არაა?

მოხუცმა ვერ გაიგონა.

— ისევ სადღაც გეჩქარებათ?

— მე არა, როზალია, საათი ხომ არ ჩქარობს-მეთქი.

— მალვიძარა? რას ამბობთ!

— ეჰ საშინელებაა! — ხელები მოიფშენიდა პანი ალიციამ. — ცხრის თხუთმეტი წუთია. ეს პოდგურსკი ალბათ აღარ წავა...

პოდგურსკი ფანჯარასთან იდგა.

— გვიჭირს ცხოვრება. თითოეულ ჩვენგანს, პარტიულს, აუცილებლობამ უკარნახა და ისეთ სამუშაოს ასრულებს, რაზეც მანამდე წარმოდგენა არ ჰქონდა. ყველაფერს თვითონ ვსწავლობთ. — მართვას, გადაწყვეტილების მიღებას, ხელმძღვანელობას, ვეგუებით ახალ ცხოვრებისეულ პირობებს, ყველაფერს ვეგუებით. აი, თუგინდ ჩემზე ვილაპარაკოთ. განათლებით იურისტი ვარ, რამდენიმე წელი ჯარისკაცი ვიყავი, პარტიზანულ რაზმში ვიბრძოდი, ახლა მთელი პოვიატი ჩემს კისერზეა. დღე-ღამეში ასობით რთული საქმე უნდა მოვაგვარო, ზოგზე დაუყოვნებლივ გამოტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილება. ხომ არ გგონიათ, მე და ჩემს ამხანაგებს ხშირად ეჭვები არ გვიბურობს და ჩვენი ძალებისა არა გვჯერა? ეჰ, რამდენჯერ მოგვსვლია ეს! მაგრამ სულით არ ვეცემით. რატომ? ჩემი ფიქრით, იმიტომ, რომ მართო არა ვართ, ყველა ჩვენი საქმისა და გადაწყვეტილების იქით პარტია დგას, სიმართლე ჩვენს მხარეზეა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

კოსეცკი ყურადღებით უსმენდა. თვითონაც ვერ შეამჩნია, როგორ გაუქრა ცუდი ზეგავლენის შეგრძნება, პოდგურსკისთან ლაპარაკი რომ დაიწყო, და ცდილობდა თავის გულში დაეძლია. ეგონა, პოდგურსკი ბანაკში ყოფნის თაობაზე დამიწყებს გამოკითხვასო. მაგრამ არაფერი უკითხავს. მაშინვე მიხვდა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში პოდგურსკიმ ბევრი სიმწარე განიცადა და ახლა სხვას სულში არ ჩაუძვრებოდა. როგორც კი ამას მიხვდა, მაშინვე დაწყნარდა. აღარ სტანჯავდა საშინელი ფიქრები, საშველს რომ არ აძლევდნენ, როცა მართო დარჩებოდა. ერთხელ კიდევ გაიცნობიერა, რომ შიში საკუთარი თავის წინაშე, რაც უნდა გულზე შემოგაწვეს, ვერ შეედრება შიშს, ადამიანების წინაშე რომ განიცდი. იგი აუტანელი მართლობის დროსაც კი სულს გიწამლავს. თავის თავს ვინ გაქცევია? მხოლოდ ადამიანებს გაურბის კაცი. გაქცევა და თავის დაცვა თუ არ სჭირდება, ადამიანებს საფრთხე აღარ ემუქრება. მეტი არაფერი. კოსეცკი მთლად დარწმუნებული არ იყო, ყოველთვის ასე ფიქრობდა თუ არა, მაგრამ ახლა სწორედ ასეთი ფიქრი მოსდიოდა.

— ვერ წარმოიდგენთ, — თქვა პოდგურსკიმ, — რა გვიხარია, როცა ვინმე ისევ უკან დაგვიბრუნდება. მე მგონია, მხოლოდ ახლა, ომის დასასრულს, ვხვდებით, რას ნიშნავს ადამიანი. როგორ გვჭირდება ხალხი, რაც შეიძლება ღირსეული ხალხი, კაცმა რომ თქვას, სიტყვებით ამის ახსნა შეუძლებელია. რამდენიმე დღეში თვითონ დარწმუნდებით. ჯერჯერობით ჩვენი ახალი პოლონეთი გაცბუნებთ, ასე არ არის?

კოსეცი ჩაფიქრდა.

— მაცბუნებს? აბა რა ვიცი? ჯერ კიდევ კარგად ვერ გამიჩვენებია როგორია ახალი პოლონეთი.

— როგორიაო? — გაიმეორა პოდგურსკიმ. — მოკლედ როგორ იქნება? ძნელია. ყველაზე უკეთ ეს სიტყვა ალბათ იმ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების განსასაზღვრავად გამოდგება, რომელთაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით და ხვალ და ზეგ ვერ გადავწყვეტთ. სხვათა შორის, ამას მალე გაიგებთ. ომის დამთავრებას ბევრი აღარ აკლია, მაგრამ ბრძოლა ჩვენში მხოლოდ ახლიწყება. და ეს ბრძოლა ერთი-ორ წელიწადს არ გაგრძელდება... თქვენ, მაგალითად, შეგიძლიათ ასეთი კითხვა დამისვით, ახლა ჩვენი პარტია პოლონეთის საზოგადოების, ეგრეთ წოდებული ფართო მასების მხარდაჭერით თუ სარგებლობსო. არა, ასეთი მხარდაჭერა არ არსებობს.

— არა? — ჩაიბურტყუნა კოსეციმ.

— არ არსებობს! ზოგიერთს აშკარად ვძულვართ, ზოგს კი — ფარულად. სხვა კიდევ, და ასეთი ძალიან ბევრია, უბრალოდ, არ გვენდობა. არ გვიცნობს, არ იცის, რისთვის იბრძვიან, რევოლუცია ასე უნდა მოხდეს თუ სხვანაირად. მაგრამ ახლა იმაზე არაა საქმე, რამდენი კაცი გვიჭერს მხარს. ომის დროს არც პპრ და არც არმია ლუდოვას რაზმები არ იყვნენ რიცხობრივად ბევრი. სამაგიეროდ ისტორიულად სწორ პოლიტიკურ ხაზს მივუყვებოდით. და ეს უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი გამოდგა. ახლაც ასეა. საზოგადოების უმეტესობა კი არ გვიჭერს მხარს, არამედ მათ შორის საუკეთესონი. გამიგეთ? ჩვენ მხარეზეა სამართლიანობა და სიმართლე. სამწუხაროდ, ჩვენში ბევრმა არ იცის ეს ამბავი, ან, უბრალოდ, არ უნდა იცოდეს. აქედან — სიმწარე, გულგატეხილობა, სინანული, გადაღლილობა, ათასობით გზიდან გადაცდენილი ახალგაზრდა. ათასობით გაჭირვებული ემიგრანტი, წრე იკვრება...

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ომამდე, — თქვა კოსეციმ, — მეხსიერება თუ არ მღალატობს, საკმაოდ მემარცხენე შეხედულებები გქონდათ, მაგრამ კომუნისტი არ ყოფილხართ. პოდგურსკი საწერ მაგიდასთან შეჩერდა.

— კარგად გხსოვებიათ, მართლაც არ ვყოფილვარ კომუნისტი. მაგრამ იცით, რა მასწავლა ომმა? კომუნიზმი და პატრიოტიზმი.

— ერთდროულად? — გაიკვირვა კოსეციმ.

პოდგურსკიმ ჩაიციხა. ამ ახალგაზრდულმა, ანცმა ღიმილმა დაძაბულობა გაუფანტა.

— სხვანაირად შეიძლება?

— არ ვიცი, — მიუგო კოსეციმ. — ვაითუ ბევრ რამეს ჯერ ვერ ვხვდებოდე, ასე თუ ისე იცით ჩემი ცხოვრება. გამიძნელდა, სხვის დაუხმარებლად, ჩემით გავიკაფე გზა საზოგადოებაში. პოლიტიკისაგან შორს მეჭირა თავი. მუდამ იმას ვცდილობდი, პატიოსნად, სინდისიერად შემესრულებინა ჩემი მოვალეობა. ამას გარდა, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ხალხი პატივს მცემდა...

— იცით, პან მოსამართლე, — გაცხარებით შეაწყვეტინა პოდგურსკიმ, — რით დაიმსახურეთ, მაგალითად, ჩემი პატივისცემა?

ამ კითხვით შემცბარი კოსეცი დუმდა.

— გემახსოვრებათ, ჩემი მემარცხენე შეხედულებებით ხალხს ვაფრთხობდი. განსაკუთრებით ჩვენი სასამართლოს მოხელეთა წრეში.

— მახსოვს. საშიში ბოლშევიკის სახელი გქონდათ.

პოდგურსკიმ ხელი ჩაიჭნია.

— რა ბოლშევიკი მე ვიყავი! მაგრამ ასე იყო თუ ისე, დიდი სიმბატირით არ მიყურებდნენ, იმ წრიდან თქვენ ერთადერთი შექცეოდით თავიზიანად, ცდილობდით ჩემთვის გაგეგოთ. იმ დროს ეს ბევრ რამეს ნიშნავდა, განსაკუთრებით მისთვის, პირველ ნაბიჯებს რომ დგამდა ცხოვრებაში.

კოსეცკიმ თავი დალუნა.

— ყოველთვის იმას ვცდილობდი, ყველასათვის გამეგო.

პოდგურსკიმ ყურადღებით შეხედა მოსამართლეს.

— მართლა?

კოსეცკის პასუხი არ გაუცია, მაგიდას ჩამოეყრდნო.

— იცით რა, — უთხრა პოდგურსკიმ — მე მაინც მგონია, რომ ომამდე ბევრ ვინმეს, მათ შორის თქვენს არსებაშიც, ბატონო მოსამართლე თვლემდა ათასი გამოუყენებელი, მშვენიერი რამ, მაგრამ მათ თითქოს ეძინათ, ძილს თავი ვერ დააღწიეს და ხმა ვერ ამოიღეს. ამჟამად კი, კარგად თუ მიიხედ-მოიხედავთ ჩვენს ქვეყანაში, მის სინამდვილეს დააკვირდებით, უთუოდ შეამჩნევთ, რომ ეს მთვლემარე ძალები იღვიძებენ და იზრდებიან, უამრავ დაბრკოლებას ძლევენ და ძალებს იკრებენ, თქვენც მალე გაიგონებთ ახალ ხმებს, გაგიჩნდებათ ახალი აზრები, ახალი შეგრძნებები, ყველაფერი იქნება!

ნამწვი საფერფლეში ჩააქრო და ოდნავ წინ გადახრილი, შარვლის ჯიბეში ხელებჩაწყობილი ოთახში შევიდა. სიბნელე ჩამოწოლილიყო. კარს იქიდან პანი ალიციას დაზვის ხმაური ისმოდა. უცებ ხმაური შეწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა.

კოსეცკი საწერ მაგიდასთან იჯდა, ერთი ხელი თავზე შემოეყრდნო, მეორეში წიგნის საკრელი დანა ეჭირა. პოდგურსკი რომ ლაპარაკობდა, იგი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ დადუმდა თუ არა ის, კოსეცკის სულში ყრუ, მტანჯველი შიში შეეპარა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს უზარმაზარმა, მრუმე ტალღამ ჩანთქაო. მისდა უნებურად შეკრთა და იგრძნო, თვალები აქეთ-იქით გაუბრბოდა. დამცველისა და მოსამართლის გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთი გამოხედვით გასცემენ ხოლმე თავს დამნაშავეები, ავაზაკები, ისინი საშინელ შიშს განიცდიან იმის გამო, ადამიანების წინაშე პასუხისმგებლები ვართო. ეს შიში კიდევ უფრო გაუღრმავდა, როცა გაიცნობიერა, რომ სიცოცხლეს წააგო და ყოველივე ის, რაც ამდენი წლის განმავლობაში მოიპოვა; თვალის დახამხამებაში უკვალოდ გაქრა ყველაფერი. ხელი გაიშვირა და მაგიდაზე ლამპა რომ იპოვა. შუქი აანთო. შემდეგ სკამი უკან გააჩოჩა და ჩრდილს შეეფარა.

პოდგურსკი ოთახის სიღრმეში, ლუმელთან იდგა. დაბნეულმა გადახედა ლამპას და თვალი მოჭუტა.

— ჰო, ყველაფერი იქნება და ამიტომაც ძნელია ყოველივე იმას შეუბრუნდე, რაც ხდება. დღეს კიდევ ორი ამხანაგი მოგვიკლეს...

კოსეცკი უცებ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და პოდგურსკის ზურგი შეაქცია. ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— მინდა ერთი რამ ვთხოვო...

— გისმენთ.

— ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანეთ?

პოდგურსკიმ მხრები აიჩეჩა.

— როგორც ყველა ჩვენგანმა.

— ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

— აბა ერთობლიობას?

— გარკვეული აზრით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, მაშინვე შე-
ასწორა კოსეციმ. — ან ყოველთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი, თუ
შეიძლება ასე ითქვას, ისე, კაცმა რომ თქვას, ეს სხვა ამბავია. აქ
დაგზდენიათ თავს, მაგრამ საშიშროება გემუქრებოდათ?

— სიკვდილი?

— სიკვდილიც, ძნელი იყო ამას გაქცეოდი.

კოსეციმ ფიქრს მიეცა.

— მართალია, მაგრამ ეს არ მიკითხავს, როდისმე ისეთ ვითარებაში ხომ არ
აღმომჩდარხართ, როცა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის ფასად... გამიგეთ?...
თქვენნი თავი რომ ვეხსნათ, რანაირად ვითხრათ, უნდა ჩაგედინათ... პირდაპირ
ვთქვათ: დანაშაული ჩაგედინათ, ერთი წამით, აუცილებლად უნდა აგერჩიათ,
ერთი მხრივ გარდაუვალი სიკვდილი გემუქრებათ, სავსებით დარწმუნებული
ხართ, რომ მოკვდებით, მეორე მხრივ, გადარჩენის იმედია... მაგრამ ვილაც უნდა
გასწირო...

პოდგურსკი ლუმელს მიეყრდნო, თავი დახარა და ჩაფიქრდა. კოსეციმ გა-
ზომცდელად შეხედა და მიხვდა, რომ ყალბი, გაუფრთხილებელი ნაბიჯი გა-
დადგა. არ იყო საჭირო ასეთი საუბრის წამოწყება. მაგრამ იგი თავისთავად,
სრულიად მოულოდნელად, მისდა უნებურად წარმოიშვა, და ახლა არა იმდენად
საკუთარმა კითხვებმა, რამდენადაც პოდგურსკის ერთმარცვლიანმა პასუხებმა,
უპირველესყოვლისა კი მისმა ღუმელმა დაარწმუნა კოსეციმ, რა საშიშ თემას
შეეხო. მაგრამ ახლა უკვე უკან ვეღარ დაიხევდა. საუბარი ბოლომდე უნდა მი-
ეყვანა. სანამ ის რამეს იტყოდა, პოდგურსკი თვითონ დაეხმარა.

— არა, არასოდეს ვყოფილვარ ისეთ ვითარებაში, თქვენ რომ ახსენეთ.
მაგრამ, ვთქვათ, ამ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავი და უნდა ამერჩია...

— მაშინ?

— ახლა თქვენთან ვერ ვილაპარაკებდი.

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა.

— მესმის, — თქვა ბოლოს კოსეციმ. — თქვენ ამის გჯერათ?

— არა, — მოკლედ უპასუხა მან.

კოსეციმ არ ელოდა ასეთ პასუხს.

— არა? შეგონა, უყოყმანოდ დამეთანხმებოდით.

— იცით რა, ვინმეს ომის დაწყებამდე რომ დაესვა ეს კითხვა, ალბათ და-
დებითად ვუპასუხებდი. არც ერთი ეგრეთ წოდებული წესიერი კაცი მაშინ
სხვანაირ პასუხს არ გაგცემდათ. ადამიანებს სჯეროდათ საკუთარი თავის, სა-
კუთარი სიმამაცის, საკუთარი ზნეობის. ბევრი რამ იყო ისეთი, კაციშვილი რომ
არ ჩაიდენდა.

კოსეციმ დაძაბული უსმენდა.

— რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ჩვეულებრივ, ზნეობრივად გაწონასწორე-
ბულ ადამიანს. მაშინ ადვილი იყო თავი შეგეკავებინა და ცუდი საქმე არ ჩა-
გედინა, ყოველდღიური, ცხოვრება არ გაყენებდა არჩევნის წინაშე: ან — ანო,
კაცს არა მარტო პირადული, არამედ მისგან დამოუკიდებელი უფლებაც ჰქონ-
და თავზე ეფიქრა, რომ წესიერი კაცი იყო, გარკვეულ საზღვარს არ გადაუხვევ-
და. ქვემოთ დამნაშავეებს მოეყარათ თავი. ახლა? დამიჯერეთ, ბევრი ვინმე მი-
ნახავს ისეთი, ვისაც ვეღარ გაუძლია და ხელი ჩაუქნევია, ამიტომ დიდ მნიშვნე-

ლობას არ ვანიჭებ იმას. რას ფიქრობენ ადამიანები თავის თავზე მინახავს ადამიანები, მამაცები ვართო, თავი რომ მოჰქონდათ, და სამარცხვინო ლაჩრული საქციელი ჩაუდენიათ. სხვები კიდევ ფიქრობდნენ, თავის განწირვა შეგვიძლიათ, უგულო ეგოისტები კი გამოდიოდნენ. და პირიქით, ლაჩრები გმირობას სჩადიოდნენ, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე ჩაიღინეს ისეთი გმირობა, სიმამაცესა და უჩვეულო გამბედაობას რომ ითხოვდა... დიდხანს შეიძლება იმაზე ლაპარაკი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა რჩება? მხოლოდ ის, როგორ იქცევა ადამიანი, მეტი არაფერი. დანარჩენი შეიძლება სიმართლედ გამოდგეს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ჩვეულებრივი სიცრუე და შეცდომა იყოს. ვიდრე ადამიანმა არ იცის, რანაირად მოიქცეოდა, ამა თუ იმ ვითარებაში რომ აღმოჩენილიყო, როგორც უნდა, თავს ისე მოიტყუებს.

კოსეცკი მოუთმენლად ელოდა, როდის დაამთავრებდა პოდგურსკი ლაპარაკს.

— გეთანხმებით. საზოგადოდ ყველაფერი მართალია. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ეს საუბარი წამოვიწყე, აღიარეთ, ჩემმა შეკითხვამ ოდნავ ხომ არ შეგაცბუნათ?

— დიან, — არ დაუმაღლავს პოდგურსკის, — მართლაც შემაცბუნა ამ კითხვამ.

— ნუ ჩამთვლით მოურიდებელ კაცად.

პოდგურსკიმ ისე ჩაიქნია ხელი, ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა.

— თუმცა შეიძლებოდა სხვანაირად გგონებოდა კაცს, ისე კი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას სწორედ ასე უყურებთ. კაცმა რომ თქვას, მე თვითონ მაინტერესებდა ეს საკითხი. ჩემი აზრით, ეს პრობლემა: ან — ანო, ჩვენს ქვეყანაში ოკუპაციის საშინელებათა დროსაც კი ასეთი უხეში და დაუფარავი ფორმით მართო საკონცენტრაციო ბანაკში იჩენდა თავს...

პოდგურსკი ჩაფიქრდა.

— შეუძლებელია.

— ბანაკში ყველაფერი, თითქმის ყოველგვარი ცხოვრებისეული მოვლენა, ათასნაირი შეგრძნება, ვნება შიშვლდებოდა, მხოლოდ ყველაფერი დაუჯერებლად გამუქებული იყო. ერთი გითხრათ... იმის იქით, რაც იქ ხდებოდა, სიკვდილი იყო ჩასაფრებული, ერთადერთი, რის წყალობითაც ადამიანს სული ედგა, სიცოცხლის ცხოველური სიყვარული გახლდათ. ვისაც ამის სურვილი აღარ გააჩნდა, იღუპებოდა, სხვებიც იღუპებოდნენ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა სიცოცხლის სურვილდაკარგულები.

პოდგურსკი მაგიდაზე ჩამოჯდა.

— მიგიხვდით, რასაც გულისხმობთ. რადაც უნდა დაგიჯდეს, სიცოცხლე მთავარიაო.

— მართალია! ეს დიდი და საშინელი ძალა იყო.

— სხვას თუ გასწირავთ?

— ბრძოლა არსებობისათვის. იცით, საბანკო სისტემის მთელი უბედურება სწორედ ესაა: გატეხო, გათელო ადამიანი, ყველა ღირსება, ადამიანური თვისება წაართვა, გააღვიძო მისი უმდაბლესი ინსტინქტები.

— ყველა როდი ემორჩილებოდა ამ ინსტინქტებს.

— ვიცი. მაგრამ ისინი, ადრე თუ გვიან რომ გატყდნენ, ძალიან ბევრი არიან, და ამას ვერ დამალავ. ეს ძალიან რთული საკითხია. ადამიანის გამძლეობას საზღვარი აქვს. ყველა ერთი არ არის. მაგრამ აქაც არსებობს უმდაბლესი



ზღვარი, რაზეც თქვენც ილაპარაკეთ. ის, ვინც ამ საზღვარს, ყველაფერზე ხელს მოაწერს.

— სიცოცხლის ფასად?

— დიახ, სიცოცხლის ფასად. სიცოცხლის ინსტიქტს ვერ ჩიკლანდამტყნის ისეთი ვინმე შინახავს, რაც უფრო სიბინძურეში ეფლობოდნენ, მტკიცად მტკიცდნენ უჭებოდნენ სიცოცხლეს და თავის გადარჩენას ცდილობდნენ. ეს ასე იყო, ასეც ხდებოდა და ისეც. ახლა მივადგეთ და ისინი მიწასთან გავასწოროთ? გვაქვს კი საერთოდ უფლება ადამიანები იმისთვის გავკიცხოთ, რომ ვერ გაუძლეს მზე-ცურ სისასტიკეს? ესაა საკითხავი. როგორც ადამიანის ფიზიკურ, ისე ზნეობრივ ამტანობას საზღვარი აქვს. დიდხანს თუ გირტყეს და გაწამეს, ბოლოს და ბოლოს გრძნობას დაგაკარგვინებენ. მორალურად განადგურებული კაცი სულიერადაც იფიტება და გრძნობა უჩლუნგდება.

პოდგურსკი ძალიან აღელდა.

— ერთი წამით გაგაწყვეტინებთ, პან მოსამართლევი! როგორც თქვით, ადამიანი ზნეობრივადაც რომ გამოიფიტოს, ისე მაინც არ მოიქცევა, რომ სიცოცხლეზე ხელი აიღოს.

კოსეცკის მოუსვენრობა დაეტყო. პოდგურსკის გვერდზე დაუჯდა და ფანჯრის რაფაზე ჩამოეყრდნო.

— მართალია. მაგრამ განა სიცოცხლის სიყვარული თვითგადარჩენის ინსტიქტი არ არის?

პოდგურსკის არაფერი უთქვამს.

— კარგი, — ცოტა ხნის შემდეგ თქვა მან. — მაგრამ რისთვის?

— რისთვის უნდა ადამიანს თავი გადაირჩინოს?

— რისთვის?

კოსეცკიმ მხრები აიჩეჩა.

— ცოტათი განყენებულად მსჯელობთ. ბოლოს და ბოლოს რას მოითხოვთ ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანებისაგან? მეტიმეტი ხომ არ არის? ისინი, უბრალოდ, თავს იცავენ. არ უნდათ სიკვდილი, სიცოცხლე სწყურიათ. მეტი რა გითხრათ. ბანაკში რომ არ მოხვედრილიყვნენ, მათი უმეტესობა, რომლებმაც ბანაკში თავი შეირცხვინეს, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე წესიერი ადამიანები იქნებოდნენ. თქვენც ეს არ თქვით?

— კი ვთქვი, მაგრამ დამეთანხმებით. არ შეიძლება ადამიანების საქციელი იმით შევაფასოთ, სხვა დროს ასე მოიქცეოდნენ. საზომი ის დროა, რა დროსაც ვცხოვრობთ. რას იზამ, ასეთია ცხოვრების კანონი. ადამიანები თანასწორები არ არიან, ერთ თაობას თავის გადასარჩენად ცოტა რამ სჭირდება, სხვა თაობა ზეადამიანურ ძალასა და ღონეს ხარჯავს.

— ზეადამიანურს, ხომ! იცით რა... ადამიანები ადამიანებად დარჩებიან. იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ ამქვეყნად უჩვეულო ამბები ხდება. განა მართლა ადამიანურია, რომ იმათ ვლანძლავთ, მსხვერპლად რომ დაეცნენ?

— ჩემი შეხედულებით, ასეა.

— წინააღმდეგობას ვერ ხედავთ?

— არა, არავითარ წინააღმდეგობას. ჩვენ ხომ არ ვირჩევთ, როდის ვიცხოვროთ. დრო კი არ ეგუება ადამიანს, ადამიანი ეგუება დროს. თუ არა, იღუპება.

— ბევრი ვინმე სწორედ ამით გადაურჩა სიკვდილს.

— არა! სიცოცხლე რომ შეინარჩუნო, ეს კიდევ არ არის ყველაფერი. ეს ძალიან ცოტაა. თქვენ მკითხეთ, ნუთუ ადამიანები ასე ფიქრობენ? დიახ! რა შეიძლება იმაზე ჰუმანური იყოს, ყველაფრის მიუხედავად ადამიანმა თავისი ღირსება შეინარჩუნოს?

კოსეცკი ფანჯრისკენ მიბრუნდა. უცებ მოსალამოვდა და მსხვერპლს მხვერი სიბნელე ჩამოწვა. ცა დიდი ოქროსფერი ღრუბლებით მოიფარა.

— ქარბუქი ამოვარდა. მაგრამ ისევ ჩვენს საუბარს დავუბრუნდეთ. ეს ყველაფერი იოლი როდია. ადამიანური ღირსების შენარჩუნება... ლამაზად ელერს. იმასაც მოგაგონებთ, რომ სინამდვილე სხვაა და ყოველთვის არ მიესადაგება ჩვენს ლამაზ წარმოდგენებს.

— ვიცი.

— აი, ხომ ხედავთ! მუდამ თავის გადარჩენა შეუძლებელია.

— ესეც ვიცი, მაგრამ ყოველთვის შეიძლება მოკვდე.

კოსეცკიმ ერთი ჩაიციხა.

— ჰო, შეიძლება, ოღონდაც გინდოდეს.

— მაგრამ სიკვდილი არა.

კოსეცკის პასუხი არ გაუცია, ისევ ფანჯარაში იყურებოდა.

— პან მოსამართლე! — უთხრა მას პოდგურსკიმ. — ახლა, ნებას თუ მომცემთ, ერთ რამეს გკითხავთ...

— მკითხეთ.

— ვთქვათ, უახლოეს ხანში საქმე გადმოგცეს...

— სასამართლო საქმე?

— დიახ.

— მეეჭვება სასამართლოში დავბრუნდე.

— რატომ?

— მე თვითონ არ ვიცი, — ორჭოფული პასუხი გასცა კოსეცკიმ. — მაგრამ, ვთქვათ, დავბრუნდი.

იგრძნო, რომ მაშინვე უნდა მიბრუნებულყო პოდგურსისკენ, და მიბრუნდა.

— მერე რა?

— ვთქვათ, ისეთი საქმე ირჩევა, ახლა ძალიან ბევრი რომ არის. ბრალდებულმა, მავანმა იქსმა, ვერ აიტანა ბანაკის საშინელება და თავი რომ გადაერჩინა, გერმანელებს მიჰყიდა სული. სამარცხვინოდ ექცეოდა თავის ამხანაგებს. სწორედ ისეთი შემთხვევაა, თქვენ რომ ლაპარაკობდით.

— გეთანხმებით.

— რა განაჩენს გამოუტანდით? არსებული კანონები არ იგულისხმება. პირადად თქვენ, სამართლიანობის თქვენეული გაგების კვალობაზე, გაამართლებდით თუ მსჯავრს დასდებდით?

კოსეცკი ელოდა ამ კითხვას.

— მსჯავრს დავდებდი, — მშვიდად, უყოყმანოდ მიუგო მან.

— უეჭველად?

— დიახ.

ამის თქმა იყო და ნერვიული დაძაბულობა მოეშვა კოსეცკის. ახლა უკვე შიშსა და წუხილს კი არა, უდიდეს დაღლილობას გრძნობდა. მისთვის სულ ერთი იყო, რას იფიქრებდა პოდგურსკი და რა დასკვნას გამოიტანდა ამ საუბრიდან. უაზრობა, — აი, ერთადერთი სულიერი სიმართლე, განცდილის მე-

რე რომ გრჩება კაცს. მთელი ცხოვრება ერთი მუჭა ქვიშა ეგონა კოსეცკის. ეგონა ხელს გაშლიდა და მუჭში არაფერი დარჩებოდა.

ალბათ, ძალიან დაღლილი გამოიყურებოდა, პოდგურსკის მაშინვე თვალში ეცა ეს, საათზე დაიხედა: ცხრის სამი წუთი იყო.

— ჩემი წასვლის დროც მოსულა. ჰაუ, რა ხანი გასულა.

იგი კოსეცკისთან მივიდა.

— მაპატიეთ, რომ ამდენი ვილაქლაქე. დაგღალეთ, ხომ?

კოსეცკი წამოდგა და ხელი ჩაიქნია.

— რა სისულელეა. ძალიან მასიამოვნეთ. დიდი ხანია ასე არავისთან მილაპარაკია.

პოდგურსკი გაიბადრა, სავსებით აბალგაზრდულად გამოიყურებოდა.

— ძალიან გამახარეთ. ჩემი აზრით, კიდევ მრავალჯერ ვისაუბრებთ. ხომ იცით, პან მოსამართლევ. ყოველთვის თქვენი პარტივისმცემელი ვიყავი და ვიქნები.

კოსეცკიმ ცალყბად გაიღიმა.

— არ დამივიწყოთ, — უთხრა მან გამოთხოვებისას.

კარი რომ შეაღო, პოდგურსკის შჩუკასთან საუბარი გაახსენდა.

— ჰო, კინალამ დამავეიწყა...

კოსეცკის მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: მარტო დარჩენილიყო. მაგრამ თავი მოაჩვენა, მეც დაინტერესებული ვარო.

— მე და ერთი კაცი ვლაპარაკობდით დღეს თქვენზე, ამ დროს თქვენი მეუღლეს შემოგვხვდა. ის კაცი თქვენთან მჯდარა საკონცენტრაციო ბანაკში...

კოსეცკის ყური არ გაუბარტყუნებია.

— გროს-როზენში?

— ჰო. ვუთხარი, რიბიცკის გვართ იჯდა-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, პირადად არ გიცნობდათ. ძალიან კი უნდა თქვენი ნახვა.

— ვინ არის?

— ამხანაგი შჩუკაა, პარტიის სავოევოდო კომიტეტის მდივანი, აი, ნახეთ, რა საუცხოო ადამიანია.

— შჩუკა. შჩუკა? — უნებურად გაიმეორა კოსეცკიმ.

— იქნებ მისი იცოდეთ რამე?

— შეიძლება ჰო და შეიძლება არა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. საკმარისია, რომ ბანაკში ერთად ვიყავით.

— ამხანაგ შჩუკას თქვენთან შეხვედრა უნდა.

— როდის?

— ხვალ დილით ორი დღით რაიონში ერთად მივემგზავრებით. სამშაბათს უკან დავბრუნდებით. ხუთიდან ექვსამდე ხომ ვერ მოახერხებდით...

— აქ?

— „მონოპოლში“. შჩუკა იქ ცხოვრობს. მეჩვიდმეტე ოთახია.

კოსეცკი ჩაფიქრდა.

— კარგი, — წყნარად თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ. — სამშაბათს ხუთიდან ექვსამდე, არ დამავეიწყდება.

მან და პოდგურსკიმ პოლი გადაკრეს და აივანზე გავიდნენ. ბნელოდა, პაერი ჩახუთულიყო. გაიელვა, ყრუდ დაიგრიალა მეხმა სიბნელეში.

— კოკისპირული წვიმა წამოვა. — უთხრა კოსეცკიმ. — დაიცადეთ.

პოდგურსკიმ ხელი ჩაიქნია.

— არაფერია, მანქანით ვარ.

სწრაფად ჩაირბინა კიბე; ერთი წუთის მერე ძრავა აგუგუნდა, ანტონი შუქ-ფარები და მანქანა დაიძრა. სულ ახლო და ახლო ელავდა. ძლიერი ქარი შემო-იჭრა ბნელში.

ეჩინოსა
ბიზლიჩისკა

პოლში კოსეცკის პანი ალიცია ელოდა.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიყვირა მან, როგორც კი ანტონიმ კარი მოიხურა. — ამდენ ხანს რატომ დაგაგვიანდა? ვიფიქრე, აღარ წავა-მეთქი...

კაცმა ისე შეხედა, თითქოს გამჭვირვალეაო, და უხმოდ აუარა გვერდი, ქალს უნდოდა დაეყვირა, ანტონი, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. მხოლოდ ერთი წუ-თის შემდეგ მოეგო გონს და ქმარს გაეკიდა. კაბინეტის კარი დაკეტილი დახვდა. სანამ გააღებდა ანტონიმ გასაღები გადაატრიალა.

სასადილო ოთახში შუქი არ ენთო და შიგ გამეფებული სიბნელე გარეთა სიბნელეს ენივთებოდა. აი, წყვდიადი ცეცხლოვანმა ზოლმა გაჰკვეთა, და იქვე ახლოს მეხი გავარდა.

პანი ალიციამ კარზე დააკაკუნა.

— ანტონი! ანტონი!

პასუხი არ ისმოდა. ერთხელ კიდევ დაუძახა ქალმა. ჩამიჩუმდი არ ისმოდა. კარს ამოფარებული ანტონი არ ინძრეოდა, ელოდა, როდის წავიდოდა ცოლი.

პანი ალიციამ ერთხანს შეიცადა, მერე კიდევ დააკაკუნა.

— ანტონი, — ვედრებით წარმოთქვა.

ხანდახან ცეცხლის ენები გაჰკვეთდა ბნელს. უცებ გაწვიმდა. ისე ასხამდა, ერთი წუთიც არ გასულა და ღარებში აქაფებული წყალი მიედინებოდა. ბა-ლის გუბებში ტლაშუნობდა წვიმა.

პანი ალიცია აღარ აკაკუნებდა. იდგა კართან და ელოდა. დიდხანს გაგრძელ-და ლოდინი. ბოლოს მოცილდა კარს. კარს ამოფარებული ანტონი არ ინძრეო-და. მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ შეამჩნია, რომ მთლად კანკალებდა. ძვალ-რბილში გაჯდომოდა სიცივე. კარგად იცოდა, რა იყო ეს — შიში.

VI

ბურგომისტრ სვენცკის მდივანი დრევნოვსკი ცხრის ნახევარზე გამოცხად-და „მონოპოლში“, უნდოდა ენახა საღამოს მიღებისთვის ყველაფერი მომზადე-ბულია თუ არაო.

თავის თანამდებობას მისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა ბევრს შურდა მისი. სიამოვნებდა დრევნოვსკის ეს ადგილი, თუმცა თავისი კარიერის უმ-დაბლეს საფეხურად მიაჩნდა. პატივმოყვრული და შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა. მოხერხებული კაცი იყო, საქმიანი, თავაზიანი. ყველაზე კარგ შთაბეჭ-დილებას ახდენდა, და ბოლო ხანს ყველაფერს იქმოდა, რომ სვენცკის სრული ნდობა დაემსახურებინა.

ოსტროვეცის ბურგომისტრის, ომამდე პატარა ეურნალისტისათვის, პოლი-ტიკაცა და ადმინისტრაციაც სულ ახალი რამ იყო. ომმა იგი ჯერ ლვოვში, მე-რე საბჭოთა კავშირის სიღრმეში გადააგდო. საიდანაც პირველ არმიაში დიდი გზა განვლო, ვიდრე პოლონეთში დაბრუნდებოდა. მთავრობა ლუბლინში რომ იჯდა, სვენცკი ერთ სამინისტროში მუშაობდა. მომავალი წლის დამდეგს პროპაგანდის განყოფილების გამგედ დანიშნეს ოსტროვეცში და ამ პატარა თა-ნამდებობიდან უცებ ბურგომისტრი გახდა. დრევნოვსკის ნამდვილად შეეძლო

ეფიქრა. არ შევმცდარვარ, ჩემი ბედი სვენცკის ბედს რომ დავუკავშირეო. სწორედ რომ დროზე მოხდა ყველაფერი. ნამსხვრევებიდან, ნანგრევებიდან, ნამტვრევებიდან, თითქმის დამთავრებული ომის ქაოსიდან ნელ-ნელა იზადებოდა და იკმნებოდა ახალი სამყარო. ყველგან იგრძნობოდა ხალხის ნაკლებობა. უკმაყოფილოები თავს არიდებდნენ სამუშაოს. ელოდნენ, ამასობაში დაჩაგრულნი ბები და ადგილები უცდიდნენ მათ, ვინც იქ დაჯდებოდა. ამ ადგილებზე ისინი სხდებოდნენ, რომლებსაც უნდოდათ და შეიფერებდნენ თანამდებობას. თავად ბედი წყალობდა გაბედულებს. და სვენცკი რომ გაბედული იყო, დრევნოვსკის ექვიც არ ეპარებოდა. მისი იმედი ჰქონდა. მაგრამ რაკი იგი სჭირდებოდა, სძულდა. მეორე მხრით. ამისა და სხვა ბევრი რამის დამალვა მისთვის ძნელი არ იყო. ოცდაათი წლისამაც კი იცოდა, რომ პატარა კაცს პატივმოყვარეობა არ შეშვენის. ხშირად იმეორებდა, ცოტა კეთილგონიერება თუ გაქვს, ადამიანებს თოჯინებივით ათამაშებ. მით უკეთესი, ეს თამაში სიამოვნებას თუ განიჭებს. ყველა გატაცება ოდნავ სასაცილოც უნდა იყოს. მხოლოდ მაშინ ამაღლები ამ გატაცებაზეო. თვითონ დრევნოვსკი ძალიან ბევრს ითხოვდა ცხოვრებისაგან, ამიტომ საკუთარ თავს დიდ ყურადღებას აქცევდა. ხანდახან თავის თავს ეწინააღმდეგებოდა. მოთმინებას ჰკარგავდა. ნერვები ეშლებოდა. უკანასკნელი კვირა მისთვის განსაკუთრებით სამძიმო გამოდგა. უკვე კარგა ხანი იყო ოსტროვეცში ხმა დადიოდა. სვენცკის ერთი უმნიშვნელოვანესი უწყების მინისტრის მოადგილედ ნიშნავენო, ბოლოს კი. არავინ უწყოდა საიდან, სხვა ხმა დაირბა. ამ ვერსიის თანახმად სვენცკის უცხოეთში გაგზავნას უპირებდნენ. დრევნოვსკი ბევრს ეცადა. მაგრამ ვერაფრით მიაგნო ამ ბუნდოვანი ხმების პირველწყაროს. და რაც მთავარია, ვერ შეამოწმა, რამდენად სანდო იყო ეს ცნობები. თვითონ სვენცკი ხმას არ იღებდა, თითქოს არაფერი გაუგონიაო. ბოლოს და ბოლოს შეიძლებოდა ყოველივე ეს მხოლოდ ჭორი გამომდგარიყო. მაგრამ დრევნოვსკის კარგი ყნოსვა ჰქონდა, გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და ამას მალე გაიგებდა. რაღაცნაირ იმედს ამყარებდა იმ ბანკეტზე, სვენცკი დღეს რომ მართავდა ოსტროვეცში პარტიის სავოევოდო კომიტეტის მდივნის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ფიქრობდა. სასმელი ყველას ენას ამოადგმევინებს და რაღაცას გავიგებო.

სვენცკიმ ბანკეტის გამართვა თავის მდივანს დაავალა და დრევნოვსკიც სულს არ იშურებდა, მიღება რაც შეიძლება კარგი გამოსვლოდა. თავი სახლის პატრონად წარმოედგინა. ამის გამო რაღაცნაირად აგზნებული იყო. მოუსვენრობა ეტყობოდა. სამწუხაროდ. ვერ იტყოდი. კარგად არისო.

შლაპა და პალტო გასახდელში დატოვა და სარკისაკენ გაემართა. სარკეში დიდხანს ათვალიერებდა თავს და ეს მზნეობას მატებდა. მაღალ-მაღალი, კარგი აღნაგობის კაცი იყო: იცოდა, ქალებს მოსწონდათ და მამაკაცების გულს ინადირებდა.

დრევნოვსკი რომ რესტორანში შევიდა, ერთი წყება ხალხი გარეთ გავიდა. ცარიელი პოლი მომცინარი, ხმამაღლა მოლაპარაკე ქალებითა და კაცებით გაივსო. ყმაწვილი კაცი უცებ მათ შორის აღმოჩნდა. სუნამოსა და მაგიური სასმელების მძაფრმა სუნმა გააბრუა. ერთი ქალი ხმამაღლა იმეორებდა: „ახლა საით მივდივართ, ბატონებო, ახლა საით მივდივართ?“ დრევნოვსკიმ წასვლა დააპირა. უეცრად იმ ქალთან მდგარი სათვალისანი, სქელი კაცი დაინახა და მაშინვე პირი მიიბრუნა. ოსტროვეცში ცნობილი ვეჟილი კრავესკი იცნო. დრევნოვსკი

დიდი ხანია იცნობდა მას: წამოჩიტული ბიჭი მდიდრულ ბინაში ესტუმრებოდა ხოლმე კრავესკებს. დრევნოვსკის დედა მრეცხავი იყო.

დრევნოვსკიმ ისე სწრაფად დაიხია უკან, რომ ვეჭილის მხლებელ ქალს დაეჭაბა.

მხლებელ ქალს დაეჭაბა

— უკაცრავად, — ბოდიში მოუხადა დარცხენილ მკობლს.

უკრადლებით შეათვალიერა სარკეში თავი. კარგად გამოიყურებოდა. დაუდევრად გადაისვა თავზე ხელი, პალსტუხი გაისწორა, მაგრამ რომ უნდოდა, ისე თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს. ეშინოდა, ვაითუ კრავესკიმ მიცნოსო, მაგრამ, ალბათ ვერ იცნო. რესტორანში შესვლა დააპირა, როცა სარკეში კრავესკი დალანდა — თავის მხლებელ ქალს რაღაცას ეჩურჩულებოდა. მაშინვე იგრძნო, რომ მასზე ლაპარაკობდნენ. მართლაც, ქერათმიანმა ქალმა მისკენ მოიხედა. დანარჩენებიც მათთან მივიდნენ. დრევნოვსკის ზურგს უკან ძლივგასაგონი ჩურჩული მოესმა, ვიღაცამ ხმამაღლა გაიციხა.

დრევნოვსკი გაფითრდა და ხელები მომუშტა. ერთხელ კიდევ გაისწორა პალსტუხი. სარკეში ცნობისმოყვარეობით აღსავეს მომცინარ სახეებს ხედავდა. საეჭვო აღარაფერი იყო, ისინი უკვე აღარ ერიდებოდნენ, მასზე თითოთ ანიშნებდნენ. ამან დრევნოვსკი თითქოს გამოაფხიზლა. ნელა მიტრიალდა, კარისაკენ გაემართა და გულგრილად შეავლო თვალი თავშეყრილებს. მათ რომ გასცდა, ჩურჩული აღარ ესმოდა. თავს გამარჯვებულად გრძნობდა. ეს ხალხი ისე ეზიზღებოდა, სიძულვილის ღირსადაც კი არ თვლიდა.

„მონოპოლის“ ეგრეთ წოდებული საბანკეტო დარბაზი რესტორნის სიღრმეში იყო, ამიტომ ჯერ საერთო ოთახი უნდა გაევიღო. არცთუ ისე ძალიან დიდ დარბაზს დაბალი ქერი ჰქონდა. დამკვრელები ესტრადაზე ისხდნენ. გვერდითა ლოჯები ხალხით იყო გავსებული, ხმაურობდნენ, ჰაერი თამბაქოს კვამლს დაემძიმებინა. თითქმის ყველა მაგიდა დაეკავებინათ. მარჯვნივ, პატარა, ჩაბნელებულ დარბაზში, იდუმალებით აღსავეს მღვიმეს რომ წააგაედა, ბარი მოეწყობო. იგი ცარიელი იყო. გართობა მხოლოდ ახლა იწყებოდა.

ორკესტრი ომამდე ძალიან პოპულარულ „ვირის სერენადას“ უკრავდა, და დარბაზის ბოლოში რომ გასულიყო, დრევნოვსკი მოცეკვავე წყვილებს გვერდს უვლიდა. უეცრად ვიღაცამ იდაყვზე წაავლო ხელი. „ოსტროვეცის ხმის“ რეპორტიორი პენიონჟეკი იცნო. ამ პატარა, შავტუხა კაცს დაკმუქნილი, მუწუკებიანი სახე ჰქონდა.

დრევნოვსკის არ უყვარდა პენიონჟეკი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მას მხოლოდ სვენცკისგან გაეგონა პენიონჟეკის ამბავი. ისინი თურმე ჯერ კიდევ ომამდე იცნობდნენ ერთმანეთს, ერთ დროს ერთად მუშაობდნენ დედაქალაქში გამომავალ ერთ ბულვარულ გაზეთში. სვენცკი ხანდახან თუ გაიხსენებდა იმ წარსულ ამბებს, მაგრამ როცა სიტყვა პენიონჟეკზე ჩამოვარდებოდა, მასზე ყოველთვის აგდებულად იტყოდა, ერთი ლოთი, უნიჭო მჩხაბნელიაო.

პენიონჟეკს ღვინო მოჰკიდებოდა; მოკლე ფეხები ეშლებოდა, წვრილი, მოუსვენარი თვალები მოეწყურა.

— საღამო მშვიდობისა! — ცივად მიესალმა დრევნოვსკი. — ერთობით, ხომ!

პენიონჟეკი დაიკყანა.

— ამ საროსკიპოში, აბა რა, უნდა გაერთო კაცი. ჩვეულებრივი საროსკიპოა და მეტი არაფერი.

წაბარბაცდა და ისევ დრევნოვსკის წაეტანა იდაყვზე. მან უხეშად ჰკრა ხე-

ლი. პენიონევი კუჭყიანი იყო, ბინძური, დაკმუჭნილი პერანგი და მოკლე, გაცვეთილი პიჯაკი ეცვა.

— არ მოგწონთ აქაურობა? რჩეული საზოგადოება, ლამაზი ქალები.

— საროსკიპოა! — გაიმეორა პენიონევი.

— აქარბებთ. — დრევნოვსკიმ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, პენიონევი მა ხელი გაუწოდა. — მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ. მეჩქარეობ.

პენიონევი მაგიდებს შორის ვიწრო გასასვლელში იდგა; ფეხები გან-გან გაედგა, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაეწყო.

— საით მიგეჩქარებათ? ცეცხლი ხომ არ გიკიდიათ?

— მაპატიეთ, მაგრამ საქმეზე გახლავართ...

პენიონევი თავი დაუქნია.

— ეტყობა, პატივცემული მაგისტრატი არ წყალობს პრესას...

— ამისი არა ვიცი რა. — ცივად მოუჭრა დრევნოვსკიმ.

— მართლა? ნადიმის მოსაწვევი კი მაინც არ გამოგზავნეთ.

დრევნოვსკიმ მაშინვე ოფიციალური პასუხი გასცა.

— რედაქტორ პავლიცკის გამოუგზავნეს მოსაწვევი.

— პავლიცკი, პავლიცკი! პენიონევი აღარაფერს ნიშნავს?

— მაპატიეთ, მაგრამ მოწვეულთა სია თვით ბურგომისტრმა შეადგინა.

— რას მეუბნებით, რას! — წამოიძახა პენიონევი. — ჩემმა კოლეგამ

სვენცკიმ?

დრევნოვსკიმ მკაცრად ახედ-დახედა.

— დიახ, ბურგომისტრმა სვენცკიმ.

რეპორტიორი უცებ გამოფხიზლდა, წელში გაიმართა და დრევნოვსკიმ ცნობისმოყვარეობით აღსავესე, ოდნავ დამცინავი მზერა მიაპყრო.

— რას მომაჩერდით? — მოუთმენლად აცმუკდა დრევნოვსკი.

პენიონევი ცხვირი მოიფხანა.

— ერთი ამბავი გამახსენდა, რამაც, ჩემი ფიქრით, უნდა დაგაინტერესოთ.

— მე? რაღაც გეშლებათ. — მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის ჰკითხა: —

რა ამბავია?

პენიონევი ისევ ცხვირს იფხანდა, ჰერს ახედა.

— რა ამბავია? აბა რა გითხრათ? აი, მგალითად, ასეთი რამ ვთქვათ: წამიყვანთ თუ არა კოლეგა სვენცკი? არ გაინტერესებთ?

დრევნოვსკი შეკრთა.

— წამიყვანსო? სად წამიყვანს? ამით რა გინდათ თქვათ?

რეპორტიორმა ჩაიციხა და თითქოს წასვლა დააპირა. ახლა იგი დრევნოვსკიმ შეაჩერა.

— იცით რამე?

— მაშ! — გასცა მან პასუხი. — ყველაფერი ვიცი.

— პოდა არ უნდა გვითხრათ? ბოლოს და ბოლოს ამოიდგამთ თუ არა ენას,

ეშმაკმა დალახვროს!

პენიონევი ჩაფიქრდა.

— რაღას ელოდებით? — დააჩქარა დრევნოვსკიმ.

პენიონევი ბარისკენ გააპარა თვალი, და სანამ დრევნოვსკი გონზე მოვიდოდა, გვერდი აუარა და იქითკენ გაემართა.

— დაგწყევლოს ღმერთმა! — შეიგინა დრევნოვსკიმ.

— რა საჭიროა. დათვრებით. ფნიზლად იყავით, — გაიმეორა მან და პირველმა აიღო თავისი სირჩა.

— ერთად გამოვთვრეთ, — უპასუხა პენიონეეკმა. — თქვენი სადღეგრძელო იყოს!

დალიეს. დრევნოვსკი წამოწითლდა, თვალებზე ცრემლები მოადგა და კინაღამ დაიბრჩო. მერე სული მოითქვა.

— დალახვროს ეშმაკმა! ეს რა არის? რა დაგვისხით, სპირტი? პენიონეეკმა მხიარულად ჩაიციხა.

— ღმერთმანი, სპირტია! კარგად გააცურეთ ეს ყმაწვილი... პანა კრისიას მოუსვენრობა დაეტყო.

— რას მეუბნებით, სპირტი საიდან იქნება? შეუძლებელია ასე რანაირად შევცდებოდე...

სასწრაფოდ მოძებნა ბოთლი, სულ ახლახან რომ ჩამოასხა, შეცბა.

— რას იტყვით? — ჰკითხა პენიონეეკმა.

— მართლაც სპირტი ყოფილა. დიდ ბოდიშს გიხდით.

— რას ლაპარაკობთ! — ზეზე წამოხტა პენიონეეკი. დრევნოვსკის შერცხვა. რომ ვერ მიხვდა.

— რა სისულელეა! — დაუდევრად ჩაილაპარაკა მან. — ნუ შეწუხდებით, ყველა შეიძლება შეცდეს. ჯობია! თითო კიდევ ჩამოგვისხათ.

— ისევ ეს?

— რასაკვირველია! სპირტი არაყზე უკეთესია, აი, მხოლოდ ის უნდა იცოდე, რას სვამ.

უკვე თავში აუვარდა, ხელის თითებში ჩხვლეტა იგრძნო. უფრო კარგად მოიკალათა ტაბურეტზე. სიამოვნებდა აქ ყოფნა. ნახევრად ჩაბნელებულ ბარში ყრუდ, თითქოს შორიდან ისმოდა დიდი დარბაზიდან ორკესტრის ხმა და აურზაური. დრევნოვსკიმ პენიონეეკს გადახედა. ახლა ეს დაქმუქნილსახიანი ფეთხუმიც კი, თავეს რომ მიაგაუდა, რალაცნაირად სიმპათიური ეჩვენებოდა.

— იცოცხლეთ! — პირველი წაეტანა იგი სირჩას. არაყი გადახუხეს და სოკო დააყოლეს.

— რაო? — თამამად გადაიხარა იგი პენიონეეკისკენ. — როგორ არის სვენცკი? მართლა მინისტრობას უპირებენ?

რეპორტიორმა მოკუტული, ჩაშავებული თვალები აახამხამა.

— ნიშნავენ.

— სად?

— პროპაგანდის მინისტრად.

დრევნოვსკი ჩაფიქრდა.

— კარგია. თუმცა მე საგარეო საქმეთა მინისტრობას ვამჯობინებდი.

— ისიც.

— ამას წყალი არ გაუვა?

— ნეზვი ყოველთვის ზევით ამოტივტივდება ხოლმე.

დრევნოვსკის გაეციხა და პენიონეეკს მუხლზე ხელი მოუთათუნა.

— კარგი ნათქვამია!

— ნუ გეშინია, შენც ამოტივტივდები...

დრევნოვსკის ხარხარი აუტყდა.

— ცხადია, ამოტივტივდები, აბა, არა? აი, ნახავ, ხუთიოდე წელიწადში.

— რას ვნახავ?



- რაც მოხდება...
- პენიონეკმა დააბოყინა.
- ჰამე სოკო, — თავაზიანად უთხრა დრევნოვსკიმ მე რემდათავად ვიცი, რაც მინდა, და ეს ყველაზე დიდი რამაა.
- ნებეი თავისით ამოტივტივდება, — ისევ დაასლუფრფრებდა პენიონეკს.
- მაინც რა გსურს?
- დრევნოვსკიმ ხელები გაშალა.
- ყველაფერი! უპირველეს ყოვლისა კი დიდი ფული.
- გეჭნება...
- კი, მეჭნება, მეყოფა, რაც გაჭირვება ენახე, მისმინე, ომის დაწყებამდე იცნობდი სვენცკის?
- ვიცნობდი.
- რა კაცია?
- სინდისისგან გარეცხილია.
- ძალიან კარგი, სწორედ ასეთი ვინმე მჭირდება, კიდევ რას იტყვი?
- დიდი გაქნილი ვინმეა.
- მე ვერ მაჯობებს, ნახე, როგორ მოეთოკო, რა გაციინებს? შენ გგონია, ვერ ვიზამ?
- როგორ არა.
- ამა, რა გაციინებს?
- სულ არ მეციინება, ვიფიქრე, რა კარგი სანახავე იქნება მოთოკილი სვენცკი-მეთქი.
- კი, კარგი სანახავე იქნება, ის ამას ვერ მიხვდება, უკვე მოეთოკე და ისაა.
- პენიონეკმა ჩანგლით გადაიღო სოკო.
- ენას რატომ ალღო?
- კი არ ეიღო, ასეა.
- ტყუილად დაქლაქობ, მისი მიშით შარვალში გეპარება.
- რომ, შარვალში არ კარგად არ მიცნობ.
- ვიცნობ და მეტი არა! ეშანია მისი.
- ვაიო, სვენცკის?
- ვათამ არა? ხადაძნე არ წამოყვან?
- დრევნოვსკმა ჩაევიჭრდა.
- ა, ხედავ? — თუ ვი დაუქნია პენიონეკმა, — რომ გეტუზნებოდი, გეშინია-მეთქი.
- ხელმიცკიმ საათზე დაიხედა.
- გუჩქარებით? — შეთხა მანა კრისიამ.
- სად შეჩქარება? დროს რამდენიც გინდა იმდენია.
- მაშ, საათზე რაღას აუუქრებით?
- ერთი ვინმე შეივს სანახავეი.
- ქალი?
- თათ... არ გესიამოვნება?
- ვის?
- თუკენ.
- თუ რა შესაქმნება, ყინდათ იმას შეხედით.
- ნამდვილად?





- მართალს გეუბნებით.
- ქალისთვის რომ არ დამეტყვა პაემანი?
- სულ ერთია.
- მართლა? არ მჯერა.
- ნება თქვენია რაკი ასე გსიამოვნებთ...
- რაო?
- ნუ დაიჯერებთ.
- დიდებულია! ჰოდა, არ მჯერა, დიდხანს დარჩებით აქ?
- ბოლომდე, სანამ სტუმრები არ წავლენ.
- ვერ გავიგე.
- გააჩნია, რა დღეა.
- დღეს?
- მომიწევს დილა მდე დარჩენა.
- აუცილებელია? მარტო ხართ?
- ახლა მარტო ვარ, ამ საათზე ჩემი შემცველი შოვა.
- აი, ხედავთ!
- რაა დასანახი, როცა ბევრი სტუმარია, ორნი ძლივს ავუდივართ.

დრეენოვსკიმ მათკენ მიიბრუნა თავი.

- მოგვხედე!
- წყეული! — წაიბურღუნა ხელმიცკიმ კრისია ნელა გამოვიდა დახლიდან
- მიანგარიშეთ! — მოსთხოვა დრეენოვსკიმ.

მუკ-მწვანე პორტიერთი ჩამოფარებულ კარის ზღურბლზე ანჯეი კოსეცკი იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა ხელმიცკის მაშინვე თვალში მოხვდა იგი.

- ჰეი!
- ანჯეი ბუფეტთან მივიდა.
- სალაშა, ანჯეი ახალს რას შეტყვი?
- არაფერს მომშივდა.
- მეც მშია, აილავე მოვატანიებთ რაიმეს, მაგრიდა დარკავე.
- შენ საით?

ხელმიცკიმ მრავალმნიშვნელოვნად დაუბაჭუნა თვალი.

— ერთი წუთით, რაღაც კიდევ მაღვს მოსთვევარებელი.

- ამასობაში დრეენოვსკი დასაბარდა ოდოდა, პენიონზეგი სხვა რამით იყო გატაცებული: ჩქარ-ჩქარა იღებდა თველშიდან სოკოს ნარჩენებს.
- წავიდეთ?
- ჯერ კიდევ გვაქვს დრო, — წაიბურტყუნა დრეენოვსკიმ.
- ცხრა საათია.
- მერე რა მოხდა?

დრეენოვსკის თავი უხეზდა, მაგრამ კარგ გუნებაზე იყო, ახლა კველიაფერს ნათლად და უამოკვეთილად ხედავდა სოფელზე დაუჯერებლად ადვილად იჩეკნებოდა, შედნეობდა თითქოს მისკენ მიდრეკილია და სვეროდა, მეძს ცხოვრებას, როგორც მანდა, რე მოკონფოლო მოკედება შეუქრავდა.

- წავიდეთ! — კარაჭოთა თველში.

პენიონზეგმა ისევ დასაბარდა იქნა გაუყვანა, მაგრამ ბოძ დაიბარა, დრეენოვსკი გასასვლელიისაკენ გაემართა, სასწრაფოდ წამოიღვა და მარბიე-ბიჩ ხეით ვეკან მიყვა.

კრისია ხელმძღვანელს მიმართდა.

— რას მოგვართმევთ? ჩემი ამხანაგი უკვე მოვიდა, აი, იქ ზის.

— ვხედავ. რა სამწუხაროა, რომ ქალი არაა.

— სამწუხაროაო?

— თქვენ გწყინთ.

— თქვენ არა?

— მე? ხომ გითხარით. სულ ერთია-მეთქი. ჰო, რა მოგართვათ? რამეს

დალევთ?

— სასმელიც მინდა. ჭერ საუბრე მოგვიტანეთ, საშინლად მოგვშივდა.

— ცივი ხორცი გვაქვს. ფარშიანი კვერცხი, სალათი...

— სულ ერთია. თქვენ თვითონ იცით.

— გვენდობით?

ხელმძღვანელი დახლზე გადაიხარა.

— არა ხართ ნდობის ღირსი?

— დარწმუნებული უნდა იყოთ.

— რა კარგია! ისედაც მჭერა.

ანჭეი შორ კუთხეში უჯდა მაგიდას. ფიქრებში წასულმა ვერ დაინახა მასთან მისული ხელმძღვანელი.

— აი, მეც მოვედი. — უთხრა მან და გვერდით დაჯდა.

ანჭეიმ თავი ასწია.

— შეუკვეთე?

— ჰო. ახლაც მოიტანენ. ნახე, ანჭეი, რა გოგოა...

— რომელი?

— დახლთან რომ დგას.

— მერე რა?

— კარგი ვინმეა.

— არა უშავს, — გულგრილად წაიბურტყუნა ანჭეიმ.

— ხელმძღვანელს გვერდულად გადახედა.

— იცი რა, ანჭეი?

— რაო?

— დღეს სალამოს ერთი კარგად უნდა გამოვთვრე...

— ნუ გეშინია, ასეც იქნება.

— ამას რაღა ჯობია!

— რატომ გგონია?

— ნახავ, მაშინვე გულზე მოგეშვება. ერთ რჩევას კიდევ მოგცემდი, მაგრამ გამიბრაზდები.

ანჭეიმ მხრები აიჩეჩა.

— ძალიან თავს ნუ გამოიღებ, ვიცი, რა კარგ რჩევასაც მომცემ.

— ცუდი რა მირჩევია?

— ყოველთვის კარგი არ მოუტანია.

— მე კი გეუბნები, ყოველთვის-მეთქი, შე ძველო. ნურაფერზე იფიქრებ, ყველაფერი დაივიწყე და კარგად იქნები.

— მერე?

— მაბატიე, მაგრამ მე არ ვიცი, „მერე“ რა იქნება? ვნახოთ. ნუ გეშინია, შენი „მერე“ არსად გაგექცევა. გეუბნები, ყველაზე ნაღდი რამაა. ყველაფერი დაივიწყე. ისე, თითქოს შუქი გამოგეთიშოს. ღილაკს თითს დააჭერ და ყოვე-



ლივე გაქრება. არაფერი გახსოვს, არაფერი გამძიმებს. ცოტა არაყს მოწრუპავ, ლამაზ გოგოს მოეხვევი, — რაც გინდა ისა თქვი და ეს ყოველთვის სასიამოვნოა. განა არა?

— კარგია.

— ერთი მითხარი, ღირს ეს ამდენ წვალებად? რა სარგებლობა მოაქვს? ძალიან ახლოს გულთან არაფერი არ უნდა მიიტანო. ოღონდ თავს გაიტანო მარტო არეულდარეულობაში, არაფერს გაგაცუცურაქოს. მეტი რაღა გინდა?

ანჯეი პასუხს არ აძლევდა. ვინ იცის, იქნებ მაცეკვი მართალი იყო? გრძნობდა, რომ შეეძლო მაცეკვივით ეაზროვნა და ეცხოვრა, იოლად დამტკბარიყო ყოველდღიური ცხოვრებით, რომ ამის წინააღმდეგ არ გაელაშქრა მის არსებობაში რაღაცას, რომელიც ყოველთვის ებრძოდა ამას და თავს ახსენებდა, ყველაფერში ღრმა აზრს ეძებდა, მაშინაც კი, როცა სიცოცხლეს თითქოს აზრი აღარ ჰქონდა. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ირგვლივ სიცარიელე, წყვედიანი ჩამოწოლილიყო. გარდასული წლების მგზნებარებისაგან აღარაფერი დარჩა. გაქრა წინანდელი შემართება, წინანდელი ენთუზიაზმი. აღარაფერს მიელტვოდა, არაფერი ეიმედებოდა. გამარჯვებულთა ბანაკი ერთხელ კიდევ გაიყო გამარჯვებულად და დამარცხებულად. დამარცხებულებთან იყვნენ მიცვალებულთა აჩრდილებიც. რისთვის შესწირეს სიცოცხლე? არაფრის გულისათვის. ომს შეეწირნენ. რა გამართლება ჰქონდა ამდენ მსხვერპლს, ტანჯვას, უსამართლობას, ძალადობასა და ნგრევას. გუშინ რომ მოხდა? გაიხსენა, რა თქვა ვაგამ ერთი საათის წინათ სოლიდარობაზე, მაგრამ გრძნობდა, რომ სულ სხვანაირად იყო საქმე. დიდი ცხოვრებისეული იდეალების სახელით ათასობით ადამიანმა დაიჭრა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები და იარაღი აისხა: ზოგი დაიღუპა, ზოგი გადაარჩა, ცხოვრებამ ერთხელ კიდევ მწარედ დასცინა მალაღმარდოვან სიტყვებს, ადამიანურობასა და სამართლიანობას, თავისუფლებასა და ძმობას. ამაღლებული, კეთილშობილი სიტყვებისგან ნეხვილა დარჩა, დიდი ნეხვის გროვა. აი, რად იქცა საწყალობელი სოლიდარობა...

ხელმიცკიმ იდაყვი გაჰკრა კოსეცკის.

— ანჯეი!

— რა გინდა?

— ეგ სიფათი ასე რამ დაგიგრძელა?

— დამეხსენი!

— მისძინე. მცემე, თუ ეს შვებას მოგგვრის.

— დამეხსენი-მეთქი, გეუბნები.

მაცეკმა თავი გააქნია...

— ეჰ. ანჯეი, ანჯეი...

— რას გადამეკიდე.

— არაფერია.

— მთლად უკეთესი. ვიფიქრე, ისევ რაიმე უნდა მირჩიოს-მეთქი...

ცხრა საათი სრულდებოდა, როცა სვენცკი „მონოპოლში“ მივიდა. კოკისპირულად წვიმდა. მძლოლი მანქანიდან გადმოვიდა, კარი გააღო, სამმა კაცმა დიდი გუბურა გატოპა და ერთიმეორის მიყოლებით სწრაფად გაირბინა რესტორნამდე. სვენცკი მარტო არ მოსულა. კონფერენცია ძალიან გაგრძელდა და იგი პირდაპირ გამოემგზავრა ნადიმზე, თავისი მოადგილე ვეიხერტი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე კალიცკიც თან გაიყოლა.

პოლში სვენცკის „მონოპოლის“ მმართველი სლომკა ელოდა. ომამდე ეს კაცი ლვოვში რესტორნის მეპატრონე იყო. ამ თეთრწამწამებიან სქელუას მრგვალი სახე, მომრგვალებული მუცელი და პატარა, ფუნთუშა ხელები ჰქონდა, ყოველთვის მარდად რომ აქნევდა. „მონოპოლის“ ყოფილი მფლობელი ოსტროვეცელი მდიდარი კაცი ლევკოვიჩი მთელი თავისი ოჯახით ტრეზბლინკაში დაიღუპა.

სვენცკი, „მონოპოლის“ ხშირი სტუმარი, შინაურულად მიესალმა სასტუმროს მფლობელს.

— როგორ ბრძანდებით, პანი სლომკა?

— მუდამ კარგად ვგრძნობ თავს, პან ბურგომისტრო.

სვენცკის გაეცინა და თანამგზავრებს მიუბრუნდა.

— ნახეთ, ბატონებო, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კაცი, არაფერს რომ არ უჩივის და ყველაფრით კმაყოფილია. ხომ არაფერს უჩივით, პან სლომკა?

სლომკამ მსუქანი ხელები გაასავსა.

— ღმერთმა დამიფაროს! აბა, რას უნდა ვუჩიოდე, პან ბურგომისტრო? განა ბებერი ცოლი მყავს, ჩივილი რას მიქვია!

— აბა, ახალგაზრდაა?

— არც ახალგაზრდა.

— ერთი ამას დამიხედეთ! — ცოტათი გაიოცა სვენცკიმ. — ქალთა მოძულე ხომ არა ხართ?

ფართო ღიმილმა გადაუარა სლომკას სქელ ტუჩებზე და ვარდისფერ კიბს დაემსგავსა.

— პირიქით, ბატონო ბურგომისტრო. ამიტომაც არ მომყავს ცოლი, არ გინდა ყოველდღე ერთი და იგივე კერძის ჭამა?

არქიტექტორ ვეიხერტს, ბუნებით მზიარულსა და ამხანაგურ კაცს, მოეწონა ეს ნათქვამი.

— თქვენ როგორც ჩანს, ცხოვრებაშიც კულინარულ რეცეპტებს იყენებდით.

სლომკას მუდამ თავი მოჰქონდა იმით, რომ ზუსტად იცოდა რესტორნის სტუმრების სამსახურებრივი მდგომარეობა. საბედნიეროდ, ახლაც არ შემცდარა: სახით იცნობდა ვეიხერტს და იცოდა, რა თანამდებობა ეჭირა.

— ეს გასაგებია, პან მოადგილე. — მისკენ გადაიხარა იგი. — მე ხომ რესტორნის მფლობელი ვარ.

მაგრამ იმის გაფიქრებაზე, ვაითუ ვინმე საუბარში ჩაგვერიოს და ანკეტური მონაცემები მოითხოვოსო, იგი ოფლში გაიწურა. მაგრამ კალიცკის არ უყვარდა ბევრ ხალხში გარევა, რესტორანში არ დადიოდა და „მონოპოლში“ მხოლოდ იმიტომ წამოვიდა, შჩუკას შეხვედროდა. ერთხელაც არ გამოუმჯდავნებია იმის სურვილი, საუბარში ჩარეულიყო. ამ მაღალი ტანის, გამხდარ, სამოც წელს გადაცილებულ კაცს, ხშირი თმა რომ შეჭალარავებოდა, გრძელი უღვაში ძველი ყაიდის მოხუცის იერს ანიჭებდა.

სლომკას მდუმარე კალიცკიც კი არ აძლევდა მოსვენებას. ამიტომ სანამ მოწვეული სტუმრები გასახდელში პალტოს იხდიდნენ, იგი სულ იმას ცდილობდა, კალიცკის პირისპირ არ შეჩებებოდა. იგი, როგორც ოჯახის უფროსი, ამას მტკივნეულად განიცდიდა. ნამდვილად მხოლოდ იმ სტუმრებს სცემდა პატივს, ვისაც პირადად იცნობდა. დანარჩენები მართო გამორჩენის თვალსაზრისით აინტერესებდა. მერე, როცა ბურგომისტრი და მისი მზღებელნი საერთო დარბაზში

გააცილა და მაყურებლებში გზას მიიკვლევდა, ისარგებლა შემთხვევით და სვენცკის გვერდით ამოუდგა.

— მაპატიეთ, ბატონო ბურგომისტრო...! — ჩურჩულით დაუქმუტუნა მან, თითქოს მიცურავსო. სწრაფად აქნევდა მოკლე ხელებს.

სვენცკიმ ის-ის იყო ვიდაცას თავი დაუქნია; ყოველი მხრიდან ესალმებოდნენ. უყვარდა ეს და სიამოვნებით გაერეოდა ხოლმე ხალხში. ერასწრულად წარმოიდგინა, რომ თავისი მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით უქუდოდ, ხელა ჩაუარა გაქიმულ საპატიო ყარაულს.

— გისმენთ. — სვენცკი ისე ზრდილობიანად გადაიხარა ტანდაბალ სლომკასკენ, თითქოს პრემიერ-მინისტრს ესალმებო.

— მაქვს პატივი, ვიცნობდეთ პან ვეიხერტს. — წაილულლულა სლომკამ. — მაგრამ აი, იმ ბატონს კი...

— კალიცკის?

— დიახ, დიახ... სამწუხაროდ, არც მისი გვარი ვიცი და არც ის, რა თანამდებობა უჭირავს.

სვენცკის გულკეთილად გაეცინა.

— ოპ, თურმე რისი გაგება გდომებიათ. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეა. ადგილობრივ დიდ მოხელეებს უნდა იცნობდეთ, პან სლომკა; მით უმეტეს, თუ ასეთ მნიშვნელობას ანიჭებთ წარჩინებულებს — შინაურულად ხელი მოჰკიდა სქელუას.

— ამას მნიშვნელობა აქვს, პან ბურგომისტრო, — წაიქმუტუნა სლომკამ. — დიდი მნიშვნელობა აქვს.

სვენცკი ისევ ვიდაცას მიესალმა.

— არ გედავებთ, მიუხედავად ამისა, დღევანდელი დღიდან, თუნდაც ამ წუთიდან, თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, მიწოდეთ...

— რა გიწოდოთ, ბატონო ბურგომისტრო? — ჩურჩულით ჰკითხა სლომკამ.

— სამწუხაროდ, მინისტრი, ძვირფასო ბატონო სლომკა.

რესტორნის მფლობელი გაოცებისაგან კინაღამ დაბარბაცდა.

— ფრთხილად, — შესძახა სვენცკიმ.

სლომკას სახე ისე გაბადროდა, თითქოს მბრწყინავ ბურთულებს გაუბრეღვიალებიათო. ყველაფერი მრგვალი ჰქონდა: თავი, თვალები, ტუჩები, ტანი, პატარა ხელები.

— რა გამახარეთ, პან ბურგომისტრო... მომიტევეთ, ბატონო მინისტრო! მართლაც რომ დაუვიწყარი დღეა ჩემს ცხოვრებაში.

ბროლის ჭალებით გაჩახჩახებულ სანადიმო დარბაზში, ორი ფრანგი ლაქიას გარდა, მომსვლელთა დანახვისთანავე თვალს რომ მიეფარნენ, ჭერჭერობით არავინ ჩანდა.

სვენცკიმ დარბაზი მოათვალიერა.

— ყველაზე ადრე მოვსულვართ! ამას რაღა ჯობია! ჰო, პან სლომკა, ჩემი მდივანი არ გამოჩენილა?

ამასობაში რესტორნის პატრონის ყურადღება მდიდრულმა სუფრამ მიიპყრო. მოოქრულჩარჩოიანი სარკეებისა და ოდნავ გახუნებული, მაგრამ მაინც წითელი ფერის შპალერის ფონზე გამოირჩეოდა ქათქათა სუფრა, რომელიც წითელი ვარდის თაიგულით დაემშვენებინათ, და თეფშებისა და კერძების სიმძიმით იზნიჭებოდა. სვენცკიმ გაიმეორა კითხვა.

— ბატონი დრევენოვსკი? — გონს მოეგო სლომკა. — არა, პან მინისტრო, არ გამოჩენილა.

სვენცკიმ მოწყალედ გაუღიმა თანამგზავრებს.

— გესმით, ბატონებო? — თქვა მან. — უკვე „ბატონო მინისტრო“. ამ კორიკების ბუდეში ვერაფერს დამალავ კაცი.

— გინდა დამალო? — გაეცინა ვეიხერტს.

— ვთქვათ, ამჯერად არა, მაგრამ ყური უნდა შევაჩვიო.

— ნუ გეშინია! — მხარზე ხელი დაჭკრა ვეიხერტმა, — მალე შეაჩვევ.

— მეც ასე მგონია.

თავისი პასუხით კმაყოფილი ისევ სლომკას მიუბრუნდა.

— მადლობა მომიხსენებია. პან სლომკა, დიდებული სუფრა გაგიშლიათ. ომამდელი გეგონება.

სლომკას კმაყოფილებისაგან სახე გაუნათდა და უსიტყვოდ დახარა თავი. როცა კულინარულ ოსტატობას შეუქებდნენ, ხმას არ ამოიღებდა. თავი ისევ ეჭირა, თითქოს ნამდვილად ამის ღირსი იყო. უცებ ზეზე წამოხტა.

— ერთი წუთით, ბატონო მინისტრო...

და იგი დარბაზის სიღრმისაკენ გაექანა, სადაც მომტანები იდგნენ. ყველაზე ახლოს მდგომს დაელაპარაკა.

— რომელი ღვინო შეუკვეთეს?

— რაინის, ბატონო უფროსო. ძალიან ბევრი გვაქვს.

სლომკა დაიმანჭა და პატარა ხელები გააქნია.

— შეცვალეთ, ახლავე შეცვალეთ. ყველაზე ძვირფასი ფრანგული ღვინო მოგვართვი, თეატრიცა და წითელიც: მხოლოდ ფრანგული იყოს.

„ფული გადაიხადონ“. — კმაყოფილმა წაიჩურჩულა.

ამასობაში სვენცკიმ ვეიხერტსა და კალიცკის პაპიროსი მიაწოდა.

— უკვე ათი დაიწყო, ვაითუ სტუმრებმა დაიგვიანონ. ამ წყევულმა ქარბუქმა მთელი ზეიმი ჩაგვიშალა.

— შჩუკა „მონობოლში“ ცხოვრობს, — ხმა ამოიღო განზე მდგარმა კალიცკიმ.

სვენცკიმ მხრები აიჩეჩა.

— ცხოვრობსო? მერე რა? მარტო ამხანაგ შჩუკასთან ხომ არ მივუსხდებით სუფრას. თქვენი არ ვიცი, მგარამ მე კი გვარიანად მომშივდა.

— მეც, — დაეთანხმა ვეიხერტი.

— ნეტავი სად გაქრა დრევენოვსკი? საგანგებოდ ვთხოვე, ადრე მოდი-მეთქი. შენ რა აზრისა ხარ მასზე? — მიუბრუნდა იგი ვეიხერტს.

— დრევენოვსკიზე?

— ჰო!

— რა ვითხრა, მარჯვე ბიჭი ჩანს.

— ჰოო? მოდი ვარშავაში წავიყვანოთ.

— ძალღი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო...

მართლაც, კართან დრევენოვსკი იდგა და, ჩახჩახა შექით დაბრმავებული, სულიერი გამომეტყველებით ისრესდა ხელებს. თითქოს არ იცის, რა უყოსო. უცებ საშინელი სიმთვრალე იგრძნო. მთელი დარბაზი მაგიდითურთ, სარკეებითა და წითელი კედლებით თვალწინ დაუტრიალდა, და სინათლეს, ჩრდილსა და რალაცნაირ უცნაურ სხეულებს შეენივთა. ცნობიერება შეუჩერდა. ასე რომ, გამოსაფხიზლებელი არაფერი სჭირდა. გაიქიმა და უჩვეულოდ მტკიცე ნაბიჯით

გაემართა იქვე მდგარ მამაკაცისაკენ. აჩრდილივით მიჰყვა უკან პენიონეკი, მოკლე პიჯაკზე ხელს იკიდებდა და ბარბაცებდა.

სვენცკი თვალს არ უჭერებდა.

— ეს ვინლაა? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით აღსავსე ვეიხერტმა.

— ძალღიშვილი, — მოკლედ შეაგინა სვენცკიმ.

ამასობაში დრევენოვსკი მივიდა მათთან და, თუმცა გარკვეულდ შეხატულბას გრძნობდა, ყველას მიესალმა. სვენცკიმ მაშინვე განზე გაიყვანა.

— რას ნიშნავს ეს? რას სჩადით? რა უნდა აქ ამ ნამუსგარეცხილს?

— პენიონეკს? — გაიოცა დრევენოვსკიმ. — აჰ... ასე მოხდა და... მეგონა, პან ბურგომისტრო, რომ პრესამ... და საერთოდ...

დაიბნა და დუმილი არჩია, თავში შუილს გრძნობდა, ხან რომ მატულობდა და ხან კლებულობდა; მთელ მის არსებობას მხოლოდ ერთი სურვილი დაუფლებოდა, სვენცკისათვის სიფათში ჩაეფარებინა. ამას როცა მიხვდა, ცივმა ოფლმა დაასხა.

— ვფიქრობდი, — ძლივს ამოღერღა მან, — ათასნაირი მოსაზრებით...

სვენცკი წამოკარხლდა.

— რას როშავთ? რა მოგივიდათ?

დრევენოვსკის ზურგსუკან პენიონეკის მლიქვნელურად მიღებული სიფათი გამოჩნდა.

— მო... მომილოცავს, — უსირცხვილოდ დაასლოკინა მან. — ნება მომეცით, ბა... ბატონო მინისტრო, დემოკრატიული პრესის სახელით...

კარს იქიდან ლაპარაკი ისმოდა. დარბაზში სტუმრები შემოდისდნენ.

(გაგრძელება იქნება)



სამი ახალი

ფრანგულიდან

თარგმნა სიბილა ბელაძე

ბატონი მოტივი და თავისუფლება

რომანი ვითარდება არა
 ხაზებს, არამედ საგნთა
 ნიშნებს, როგორ უნდა შექმნას მკვიდრი
 სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ამ ნიშნები-
 ხაზან. ანუ ხატუვებისაგან, რომლებიც რაღა-
 ცას აღნიშნავენ ხიყაროელებში? რა ანიჭებს
 ბტაროგინს სიყოფილებს? შეცდებით თუ იფ-
 იქრებთ, რომ მისი სიყოფილე ჩემი ფანტაზი-
 იდან იღებს სათავეს; ხატუვები მაშინ სადღე-
 ზენ ჩვენში რაღაც ხატებს, როცა ამ ხატუვებ-
 ით ვიცნობთ. მაგრამ როცა ვკარგავთ, კი
 არ ვიცნობთ, არამედ ვცდილობთ გვიღოს წაკით-
 ლული არა სტატიკური, არამედ დინამიკური წაკით-
 ვი არ არის, მე მას ვეძებთ, ვეძებთ, მის
 მოქმედებას, მისი თავისუფლების დინამიკის.
 როცა ვეძებთ, ვეძებთ, მე ვაჩვენებ
 რაღაც ხატულ ნიშნებს, რაც იგივე ჩემი
 მხოლოდია. ჩემი დრო სადღაც ცალკე
 აღებული წიგნი მხოლოდ მშრალი ფურცლები-
 ზის უკეთესი, ან რაღაც დიდი მოძრავი ფორ-
 მისი კონკრეტული პროცესი. ამ მოძრაობას რომა-
 ნისტი ეძებს, განაგებს, უცვლის მიმართუ-
 ლებას და ამით მერხობრავთა ხუბსტანციას
 ქმნის ნებისმიერი მოძრაობის კარგად ჩაი-
 კარგება. ანუ მათთვის სტატისტიკური არაა
 მათთვის, არამედ დინამიკური. დინამიკური
 ანიჭებს მათს ვერც კი ანიჭებს, მაგრამ
 დამნიშნავს მათთვის მათთვის და ანიჭებ
 და მათთვის დინამიკური მათთვის რომ ჩემი
 მათთვის მათთვის მათთვის მათთვის

დრო მოხატულია დაბდეს, გამოიკვეთოს და
 წარმოიძვეს როგორც ხორცშესხმა გამოყო-
 ნებული არსებებისა, საკიროს რომანისტს შე-
 ცდლოს ამ ჩემი დროის ხაზანში გაბმა, მას
 უნდა შეეძლოს თავის განკარგულებაში მყო-
 ფი ნიშნების საშუალებით რომანში ისეთი
 დროის მონახაზე შექმნას, რომელიც ჩემი
 დროის მსგავსი იქნება, ეს ის დროა, რომელ-
 შიც მომავალი არ არის შეთხზული, თუ ექვი
 შემეპარა, რომ ვმირის სამომავლო მოქმე-
 დებები წინაწარაა დიქხირებული შემკვიდ-
 რულობის, ან სოციალური შემოქმედების, ან
 რამე სხვა შექმნილობის გამო, მაშინ ჩემი დრო
 ჩემსკენ გადმოიდანდება; დაგრჩები მხოლოდ
 მე, ნე-მკითხველი, მე, რომელსაც გავგრძობდ-
 ბი დროში უმოდრავ წაუნიხ წინაშე, გბე-
 ბავთ, რომ იქვენი პერსონაჟები ცოცხლობდ-
 ნენ? მაშინ ისე მოიქცეით, რომ ისინი თავი-
 ხუფალნი იყვნენ, კი არ უნდა განხატლეროთ
 რაბე, ან კი არ უნდა განმარტოთ (რომანში
 ხაუკეთესი ცხიქოლოგიური ანალიზის კი სი-
 კვდილის მომასწავებელია), არამედ უნდა
 მხოლოდ და მხოლოდ წარმოადგინოთ გა-
 ეთვალისწინებული ვნებები და ხატუვები.
 რას იზამს რაკოვინი, არც თვითონ იცის და
 არც მე, — მკითხველმა; ვიცი, რომ იგივე ნა-
 ბავს ხატვარებზე, რომელიც დამნაშავეა და
 პაინი, ან შემამლია ვამოვიცრო, თავს მოთო-
 კებს, თუ ვამაგება მკვლელობას მათთვის-
 ბებ, — იმიტომ რომ რაკოვინი თავისუფა-

ლია. მე უკვე შევადრე მის შიგნით და ის უკვე ილოდება ჩემი ღოდინით. ჩემში მას უკვე თავისი თავის ეშინია. ის ცოცხლობს.

„ღამის დასასრული“ წაკითხვას ვაპირებდი. რომ გავიფიქრე: ქრისტიან ავტორებს უფრო ეხერხებათ რომანების წერა, რწმენიდან გამომდინარე-მეთქი. რელიგიას ნაწიარები ადამიანი რომ თავისუფალია. კათოლიკეთა მიმტე- ვებლობამ ჩვენ შეიძლება გავვალიწიანოს, რადგან ეს თავისება შეძენილი თავისებაა: მაგ- რამ. თუ კათოლიკე რომანისტია, ეს თავისე- ბა გამოადგება. რომანის პერსონაჟსაც, ისე- ვე, როგორც ქრისტიან ადამიანს — განუსაზ- დვრდლობის მთავარ ცენტრებს, თავიანთი ხასია- თები აქვთ, მაგრამ იმიტომ, რომ ამ ხასიათებს გაექცნენ: ორივე თავისუფალია საკუთარი ბუ- ნების მიღმა და თუ ზოგჯერ თავიანთ ბუნე- ბას ემორჩილებიან. ისევ და ისევ თავისუფ- ლების გამო. შეიძლება ორივე ფსიქიკურ ქსელებში გაებას. მაგრამ მექანიზმად არც ერთი არ გადაიქცევა. ქრისტიანულ მცნებასაც კი ცოდვის შესახებ გააწნია მკაცრი ანალოგი რომანულ ეანრში. ქრისტიანთა თუ სეოდავს, რომანის გმირი უნდა შეცადეს: მის ხანგრძლი- ვობას დროში მოაქლდებოდა ის დანიშნულე- ბა. რაც ხელოვნების ნაწარმოებს ანიჭებს აუ- ცილებლობას და უღმობებლობას; თუ შეცდო- მის არსებობა, რომელიც არ შეიძლება წაი- შალოს და რომელიც უნდა გამოსუიღულ იქ- ვას, არ წარმოუჩენდა მკითხველს დროის უკან დაუბრუნებლობას. იმიტომაა დოსტოევსკი ქრისტიანი რომანისტი რომანისტი და ქრის- ტიანი კი არა, როგორც პასტერი იყო ქრის- ტიანი და მეცნიერი, არამედ რომანისტი იმ- ითვას. რომ ღმერთს ემსახურებს.

ქრისტიანთა რომანისტი აგრეთვე ბ.ნა მორია- კი. მინა წიგნის „ღამის დასასრული“. მინა- ნია ჩასწვდეს ერთი ქალის თავისუფლების სი- ღრმეს, როგორც წიგნის შესავალში წერს. ბ- ნი მორიაკის მიზანია ვაშობატოს „ფატალუ- რობის ყველაზე მძიმე ტვირთაკიდებულ არსებასათვის მინიჭებული ძალა, რაც ასეთ ადამიანებს უარს ათქმევინებს დამორცუნავ კანონზე“. აი, ჩვენ უკვე რომანული ბელოვ- ნებისა და რწმენის შუაგულში მოვექვეყნით. თუცა, ვაღიარებ, რომ რომანის წაკითხვამ იშედი ვამიცრუა. არცერთ წუთს არ ჩავუთრე- ვივარ წიგნს. უოველოვის მახსოვდა ჩემი დრო- ის დინება. მე ვარსებობდი, შევიგრძობდი, რომ ეცოცხლ-ბდი. ცოტას ვამთქნარებდი, ზოგჯერ ვამსობდი. „კარგადაა ნათავაშება“! ტერეზ დესკერუსზე უფრო ბ-ნ მორიაკზე ვფი- ქრობდი. ამ უსაშუალო მგზნებლობაზე და შეუ- დუღულ დაშინაზე. მის ურცხვ თავშეკვერ- ბულობაზე- ავადებდა ნებისყოფაზე. ნერვოუდ

პათეტიკაზე, ცხარე და ბევ კოეტურობაზე, დაძაბულ სტილზე და უნებურ ვულგარულო- ბაზე. რატომ ვერ შევძელი კითხვის დროს მორიაკის დავიწყება. ან თავდავიწყება? ან ქრისტიან კაცს რომანის წერა ეხერხება? და- ვიწყოთ თავისუფლებიდან, რა ბერბეზილ ვა- წვდის ბ-ნი მორიაკი თავისუფლებზე რომელიც თაც იგი ნაწარმოების გმირ ქალს აჩილდოებს?

ტერეზ დესკერუს საკუთარი ბედისწერის წი- ნააღმდეგ იბრძვის, ვთქვათ, ეს ასეა. მაშასა- დამე, ის გაორებულია. მისი ერთი მთლიანი ნაწილი მისსავე ბუნებას ეკუთვნის, ისე რო- გორც ქვა, ან ტოტი. ხოლო მეორე მთლიანი ნაწილი არ ექვემდებარება არავითარ აღწე- რას, და განსაზღვრებას, რადგან ის არ არსე- ბობს, თავისუფლებამ უნდა იგუოს ბუნება: აქედან იწყება ფატალურობის ბატონობა, დე, ოქვას უარი, აიაროს აღმართი, — ტერეზ დე- სკერუს თავისუფალია. წინასიტყვაობის მიზე- დვით ესაა თავისუფლება უარის თქმისა, ან არ დათანხმებისა („მათ მხოლოდ ის მოეთხო- ვებათ, რომ არ შეეგუონ ღამეს“). ესაა კარ- ტეზიანული თავისუფლება, უსახრულო და უფორმო, არასახელდებული, ბედისწერის მი- ღმა არსებული, „მარად ხელშეორედ დაწყება- დი“, რომლის ერთადერთი ძალაუფლებაც სან- ქციის გამოტანაა, თან, ამავე დროს, სუვერე- ნულიცაა, რადგან შეუძლია უარი თქვას სანქ- ციაზე, შეღავნდება თუ არა ასეთად თავი- სუფლება რომანში?

აქედანვე უნდა ითქვას, რომ გმირის მერ- ში გამოკიდებული ნებისყოფა უფრო ტრაგი- კულია, ვიდრე რომანისეული. ტერეზას მერ- უეობა მის ბუნებრივ მისწრაფებებსა და ნე- ბისყოფას შორის როტრუს ბტანსებს მოგვა- გონებს. მამდვილი რომანისეული კონფლიქტი კი თავისუფლების კონფლიქტია თავისუფლე- ბისავე წინააღმდეგ, დოსტოევსკისთან თავისუ- ფლება ხათავეშავე იწამლება: ის დროში იმ- ლიარობდა, თუმცა თავის გამობსნას ლამობს. დიმიტრი კარამაშოვის სიამაყე და სიშმაგე ისეთივე თავისუფალი თავისებებია, როგორც ალიოშას ღრმა სიმშვიდე. იგი ებრძვის საკუთარ ბუნებას, რომელიც აღრჩობს, მაგრამ ბუნება ღმერთმა კი არ შეუქმნა, თვი- თონაა საკუთარი ბუნების შემქმნელი. მან და- იფიცა ასეთი უოფილიუო, დროის უკან დაუბ- რუნებლობა კი — მის ბუნებას უინავს. ამ ვაგვნით, ალენი ამბობს, რომ ხასიათი იგივე ფიქია. როცა ვკითხულობთ ბ-ნ მორიაკს, ხულ სხვაგვარად გესურს წარმოვიდგინოთ ტერეზა. ის უფრო გონიერი და დიდი გვიწ- და იგოს იქნებ ესეც ბ-ნ მორიაკის დამსახუ- რებაზე შეტყველებს? ბოლოს და ბოლოს, თავისუფლებას ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ

მოდის დიდებული ანტიკურობიდან და ორ-
თოდოქსულობიდან: სწორედ გონება ებრძო-
ვის ვნებებს, სწორედ სხეულთან შეკავშირე-
ბული კრისტიალული სული აღუდგება წინ
ბორცის ვნებებს. წინასწარ ავირჩიოთ ეს თე-
მა, გინდაც მასში მართალი არაფერი იყოს,
მთავარი ხომ ისაა, ლამაზი იყოს თემა.

„ფატალურობა“. რომლის წინააღმდეგაც
უნდა იბრძოლოს ტერეზამ, ნუთუ მხოლოდ და
მხოლოდ მისი მიდრეკილებების დეტერმინიზ-
მით აიხსნება? ბ-ნი შორიაკი ამას ხასიათს
უწოდებს. ნუ ავურევთ ერთმანეთში ბედის-
წერასა და ხასიათს. ხასიათი ხომ ჩვენ ვართ,
ეს არის მშვიდ ძალთა ერთიანობა, რომელიც
ჩვენს წრახვედშია გარეული და ჩვენს მონდო-
მებას შეუშინებლად ერთი მიმართულებით
წარმართავს, როცა ტერეზა მონდუზე ბრახ-
დება, რადგან ამ უკანასკნელმა დაამცირა,
ბ-ნი შორიაკი წერს: „ამჭერად უკვე თავის
თავს მგავდა, ეს ის ტერეზა იყო, ყველა კბე-
ნას რომ მოიგერიებდა...“ ლაპარაკია ტერე-
ზას ხასიათზე. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა
ტერეზა უკვე მიდის, რადგან მონაბა შეურაც-
ხმყოფელი პასუხა*, შე ვკითხულობ: „დარტ-
ყმა, რომელიც მისმა შეუცდომელმა ხელმა
ჩაიდინა, ებმარებოდა თავისი შესაძლებლო-
ბების შეფასებაში, მისიის შეცნობაში“. ნე-
ტაჟ რა მისიაზეა ლაპარაკი? აქ მახხენდება
შესავალი: „ძალა, რომელიც მას მიენიჭა იმი-
ხათვის, რომ მოწამლოს და შებღალოს“. და
აი, ბედისწერა ჩქმალავს და აკარბებს ხასიათს,
რომელიც პერსონაჟის ბუნებაშია, და რომ-
ელიც წარმოადგენს ზებუნებრივ ძალას ბ-
ნი შორიაკის ამ, ზოგჯერ ფსიქოლოგიურად მდა-
რე ნაწარმოებში, ტერეზას საქციელებს გა-
ნაგებს რაღაც კანონი, რომელიც მის ნებაზე
არაა დამოკიდებული, ამ კანონს ტერეზას ქმე-
დებები, მაშინაც კი, როცა მათ კეთილი წრახვა
ამოძრავებს, სავალალო შედეგამდე მიჰყავს.
აქ გვახსენდება ბოროტი ფერიის მიერ დაწე-
ხებული სასჯელი — „როცა კი პირს გა-
აღებ, ბაყაყები გადმოგცვივდებაო“. თუ მო-
რწმუნე არ ხართ, ახეთ ჩადოქრობას ვერ
გაიგებთ. მორწმუნეს ეს შეტად კარგად ესმის.
ეს ხომ იმ სხვა ჩადოქრობის გამოხატვაა, სა-
ხაც თანდაყოლილი ცოდვა მქვია, მიმაჩნია,
რომ ბ-ნი შორიაკი მაშინაა სერიოზული,
როცა ბედისწერაზე კრისტიალის პოზიციიდან
ლაპარაკობს. მაგრამ, როცა ამ საკითხზე უკ-
ვე რომანისტის პირით ლაპარაკობს, უკვე

ველარ ვუხმენ მას. ტერეზ დესკერუს ბედის-
წერა იქმნება, ერთი მხრივ მისი ხასიათის ნა-
კლოვანებიდან, მეორე მხრივ, იმ შეუცვლითაა გან-
პირობებული, რომელიც მისივე აწევს მის
საქციელს, ეს ორი ფაქტორი ურთიერთ-
შეუთავსებელია: ერთი შეუცვლელი დადას-
ტურდეს წიგნიდან ~~ბ-ნი შორიაკი~~ მიერ, მე-
ორე კი მოითხოვდა ათას დაკვირვებას გარე-
დან, რახაც მოახდენდა ტერეზას საქციელთა
ვინმე უურადლებიანი მოწმე, რომელიც თვალს
შეადევნებდა მას უკიდურეს დაბოლოებაშიდ-
ბ-მა შორიაკმა ეს ახე კარგად იცის, რომ
როცა სურს დაგვანახოს ტერეზას სახის წი-
ნასწარგანზრახული ხასიათი, ის ბელოვნიუ-
რობას მიმართავს: ტერეზას ისეთად გვიჩვე-
ნებს, როგორც სხვათა თვალში ჩანს: „არ
არის გასაკვირი, რომ ხალხი ზურგს აქცევს
მას, აქოთებული ცხოველი, უპირველეს უოვ-
ლისა, თვითონ გასცემს საკუთარ თავს“. ახეთ
მიბრძიდულ სახეს გვიჩვენებენ მთელი რომანის
მანძილზე: ტერეზა, რომელიც არ იზღუდება
ნამდვილი თავისუფლებით, და ტერეზა, რომ-
ელიც საკუთარ თავსაც კი გაუტრბის, რომ
სამყაროს მავნე ბურუსში გაეხვიოს, მაგრამ,
საიდან იცის ტერეზამ, რომ მას თავისი ბე-
დისწერა აქვს, როცა იგი უკვე ბედს ემორ-
ჩილება, ან ბ-მა შორიაკმა საიდან იცის? ბე-
დისწერის იდეა პოეტურია და გერეტიოა, რომ-
ანი კი მოქმედებდა და რომანისტს არა აქვს
უფლება, მიატოვოს ბრძოლის ველი და მო-
ხერხებულად მოეწყოს სათვალთვალთ ადგი-
ლზე, რათა განსაჯოს დარტყმები და იარაღის
წარმატებაზე იოცნებოს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი შორიაკი
მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით დაემორ-
ჩილა პოეტურ ცდუნებას: პერსონაჟთან გაი-
გივება, შემდეგ მისი მიტოვება და მსაჭული-
ვით გარედან კვრეტა, დამახასიათებელია
მისი ბელოვნიებისათვის. პირველივე გვერდი-
დან გაგვაგებინა ბ-ნი შორიაკმა, რომ ამბავს
ტერეზას თვალთახედვით მოუყვებოდა; მართ-
ლაც, ჩვენსა და ტერეზას შორის, ჩვენსა და
ქუჩიდან ამოსულ ხმაურს შორის, შევიგრ-
ძნობთ სხვა ცნობიერების გამკვირვალე უგუ-
ნურებას. რამდენიმე გვერდის შემდეგ, როცა
თავი ისევ ტერეზას კანში გვგონია, აღმოჩნ-
დება, რომ თურმე ჩვენ იგი მიგვიტოვებია,
მის გარეთ გავსულვართ და ბ-ნი შორიაკთან
ერთად უტიფრად მივჩერებივართ მას. ილუ-
ზიონისტური მიზნებისათვის ბ-ნი შორიაკი
იყენებს „მესამე პირის“ ხმარებით გამოწვე-
ულ რომანისეულ ორატორიკულებას. რომანში
ნაცვალსახელი „ის“ შეიძლება გამოხატავდეს
სხვას, ან ბუნდოვან საგანს, ვიღაცას, რომ-
ლის მხოლოდ გარეგნულ სახეს ვხედავთ. მა-

* ცოტა შემხვედრია ამაზე ველგარული სცე-
ნა, საკვირველი ისაა, რომ ეს ველგარულობა
აღბათ, თვითონ ბ-ნი შორიაკს უნდა მიეწე-
როს.

გალითად. თუ ვწერ — „შევამჩნიე, რომ ის (ქალი) კანკალებდა“. მაგრამ, ისეც ხდება, რომ ეს ნაცვალსაბედლი ინტიმურობაზე მიგვა-
ნიშნებს ხოლმე. რაც უფრო ლოგიკურად მი-
რველ პირს უნდა გამოეხატა: — „მას (ქალს),
გაოგნებულს, საკუთარი სიტყვების ხმა ეს-
მოდა“. აქ, მართლაც არ შემოდის ვიცოდე
მე ვარ თუ არა ის, ანუ მაქვს თუ არა უფ-
ლება ვთქვა: მესმოდა ჩემივე სიტყვების ხმა-
ბეთქი. რომანისტები ბშირად იუენებენ გადმო-
ცემის ამგვარ, შეფარდებით ბერძნ. თავმდა-
ბლობის გამო. რათა არ მოხთხოვონ მკით-
ხველს უშუალო თანადგომა და უინულით
დაფარონ „მეს“ თავბრუსმომხვევი ინტიმურო-
ბა. ნაწარმოების გმირი ქალის ცნობიერება ის
პოგრიტია, რითაც მკითხველმა შეიძლება გა-
დახედოს რომანის სამყაროს და სიტყვა „ის
(ქალი)“ — პოგრიტის უკან წაღების ილუზი-
ას ქმნის. ეს სიტყვა შეგვახსენებს, რომ პერ-
სონაჟის მამხილებელი ცნობიერება აგრეთვე
რომანისტული ქმნილებაა. ის გამოხატავს
თვალსაზრისის პრივილეგიურულ თვალსაზ-
რისზე და მკითხველისათვის ახორციელებს შე-
ვარებული კაცის ძვირფას სურვილს: ეკუ-
თვნოდე ერთსა და იმავე დროს საკუთარ
თავს და სხვა რაბუნსაც ერთი და იგივე სიტ-
ყვას ორი საპირისპირო ფუნქცია აქვს: „ის“
— დამატებაა, ან ქვემდებარება. ბ.ნი შორიაკი
ამგვარ განუსაზღვრელობას ამისათვის იუენებს,
რომ ტერეზას ხან ერთი სახე დაგვანახოს, ხან
მეორე ანგარიშშიც შემოვიდეს: „ტერეზას შერც-
ხვა თავისი შეგრძნებისა“. აქ ტერეზა ქვემ-
დებარება, ეს არის ჩემგან გარკვეულ დისტან-
ციაზე მდგომი „მე“ და ვიცი რა სირცხვილს
განიცდის ტერეზა, იმიტომ, რომ თვითონ ტე-
რეზა ვანცდის ამ სირცხვილს. მაგრამ, ამავე
დროს, რადგან ტერეზაში მე ტერეზასავე თვა-
ლებით ვაყურებო. მხოლოდ ის შემოდის
ვიცოდე მასზე. რაც მან იცის, რომ ვაცივოთ
ეინ არის ტერეზა სინამდვილეში, მე უნდა
მოვხარო ჩვენი დამოკიდებულება, უნდა დავ-
ხურო წიგნი. დამჩნება რაღაც მოგონება ამ
უოველთვის ნათელ ცნობიერებაზე, რომელიც
ისევე ძერძეტიული ვახდება, როგორც ვველა
წარსული საგანი და შევეცდები მის გაგებას,
თითქოს ჩემი დაკარგული ცხოვრების ფრაგ-
მენტა უოფილიყოს, იმ დროს, როცა ძალიან
ახლოს ვიძუოფები ბ.ნი შორიაკის პერსონა-
ჟებთან. როცა მე ვბრძოვდები, როცა ისინი
ერთმანეთს აბრძოვებენ, მათი ამფსონი ვბდე-
ბი, როცა ისინი ერთმანეთს ატყუებენ, ამ
დროს ბ.ნი შორიაკი მათ ცეცხლოვანი ელ-
ვით გადაუვლის ხოლმე, რათა ჩემთვის გაანა-
ოოს პერსონაჟთა ფონი, რომელიც პერსონა-
ჟთათვის უცნობია და რომელზეც მათი ხასი-

ათი იხეა ამოტვიფრული, როგორც შედალზე:
„მის ცოხებაში არასოდეს დამყარებულა რაიმე
კავშირი ტერეზას მანამდე უცნობ თავმდა-
სავალსა და ხისხლის სამართლის სკმეს/ შო-
რის... უოველ შემთხვევაში მის ქალედი ცნო-
ბიერებაში ეს არ მომხდარა, ანუ არ მომხდარა
ნაურ სიტუაციაში აღმოვჩინდი: მე ტერეზა
ვარ, ტერეზა ჩემშია. ესთეტიკურად უკან
დახეული, მისი აზრები იგივე ჩემი აზრებია,
ეს აზრები მეც და ტერეზასაც ერთდროულად
გვიყალიბდება. მაგრამ ტერეზას შესახებ მე
რაღაც ახალს აღმოვაჩინე, რაც მას არ გააჩ-
ნია. ანდა, მის ცნობიერებაში რომ შევადწევი,
ხელს ვუწყობ ტერეზას თავის მოტყუებაში,
თუმცა, ამავე დროს, განვსჯი, დავსჯი, მე მის
შიგნით, როგორც სხვა, ისე ვიძუოფები: „მას
(ტერეზას) არ შეიძლება გადაცნობიერებული
არ მქონდა თავისი სიცრუე, მაგრამ მაინც
სიცრუეში იყო, ეს მდგომარეობა მგვრიდა
შეგებას“. ეს ფრაზა კარგად გამოხატავს იმას,
რომ ბ.ნი შორიაკი ჩემგან განუწვევებელ ლა-
ლატს მოითხოვს, მოიტყუოს თავი, აღმოაჩი-
ნოს თავისი სიცრუე და შეეცადოს საკუთარ
თავს დაუმალოს ეს, აი, ტერეზას დამოკიდე-
ბულება, რაც მხოლოდ ისევე ტერეზასაგან
უნდა გავიგო, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ
როგორ მანვლიან ამ დამოკიდებულებას, გამო-
ვიცნობ სხვა მოწმის ულმობელ განსჯას. თუმ-
ცა ეს უხერხულობა ცოტა ხანს გრძელდება:
ბ.ნი შორიაკი „მესამე პირის“ წყაფობით, რომ-
ლის ორატორიკის შესახებაც შემოთ მო-
გახსენებთ. უცებ პერსონაჟის გარეთ გახლ-
ტება და მეც თან წაშიეოლიებებს: „როგორ
გახდება თვალების შეღებვა, ჩემო ბავშვო,
...ეს იყო ტერეზას პირველი სიტყვა, სიტყვა,
რომელიც ქალმა უბრა სხვა ქალს“. ამგვა-
რად, ტერეზას ცნობიერების შუქი ჩაქრა, მი-
სი სახე, რომელიც შიგნიდან იყო განათე-
ბული, ისევე ბნელ საგნად იქცა. თუმცა, არ
შეცვლილა არც მისი გამომხატველი ნაცვალ-
საბედლი, არც სახელი, არც თხრობის სიმ-
კვირცხლე. ბ.ნი შორიაკს ისე ბუნებრივად მი-
აჩნია ასეთი გადასვლა-გადმოსვლები, რომ
ერთი ფრაზის შიგნიდან კი ტერეზა ხან სუ-
ბიექტია, ხან ობიექტი: „მან (ტერეზამ) გა-
იგონა, როგორ დარეკა საათმა ცხრაქერ, სა-
ჭირო იყო ცოტა დრო კიდევ გაეყვანა, რადგან
დასაძინებელი ამის დაღევა ჭერ აღრე უ იყო; ამ
დაძაბულ არსებას ჩვევად არ მქონდა აბების
მიღება. მაგრამ ამ საღამოს არ შეეძლო უარი
ეთქვა წამალზე“. ვინ მიიჩნევს ტერეზას „და-
ძაბულ“, „განწირულ არსებად“? რა თქმა
უნდა, არა ტერეზა, მხოლოდ ბ.ნი შორიაკი
მიიჩნევს მას ასეთად და მე თვითონ, ჩვენ

ხელთა გვაქვს დესკერუს დოსიე და ჩვენვე გამოგვაქვს განაჩენი.

ბ-ნი მორიაკი მართლ ამ ბერბით არ იფარ-
გლება: მას უყვარს საბურავისთვის ერთ კუ-
თხეში ხელის მოკიდება და აწევა. როგორც
ასმოდეს, მოიხუბარ და ცნობისმოყვარე ეშ-
მაკს, ასმოდე ბ-ნი მორიაკისათვის ერთობ
ძვირფასია. როცა მიაჩნია, დადგომ ხელსაყ-
რელი მომენტი, ის ტოვებს ტერეზას და სხვა
ცნობიერებაში იწევებს მოკალათებას, უორვის
ცნობიერება იქნება ეს, მარის, ბერნარ დეს-
კერუსა თუ მოახლე ანას ცნობიერება, ერთი
ასწერ დატრიალდება სევდით და მიდის, რო-
გორც მარიონეტები დადიან ბოლშე: „ტერეზა
ვერაფერს კითხულობდა ქალის უკან გადაგ-
დებულ სახეზე, არ იცოდა, რომ ახალგაზრ-
და ქალი ფიქრობდა: „ცხოვრების ნახევარ
გზასაც კი ვერ გავიფიქრე იხე. როგორც ამ
მოხუცმა გაიზიარა რამდენიმე დღეში...“ ტე-
რეზამ ეს არ იცოდა? ასე იუოს: ბ-ნი მორი-
აკი უცვებს სტოვებს ტერეზას თავის უვიცო-
ბასთან და მიბტუნავს მარისთან, რის შედეგ-
დაც მის წამიერ სურათს გვთავაზობს. სხვა
ადგილას კი, ის დიდხულოვანად რთავს ნებას
ერთ-ერთ თავის ქმნილებას, ჩაერის რამა-
ნისტის ლეთიურ, ვონების სიცხადეში: „ქალია
ხელები გაიწვდინა კაცისაკენ, უნდოდა გულ-
ში ჩაეკრა, მაგრამ კაცი უხეშად გაეცალა,
და ქალი მიხვდა: რომ იგი დაკარგა“: აქ მო-
ყვანილი ნაშენები არ არის დამარწმუნებელი და
თანაც, აწმყოს ეხება. მერე რა? ბ-ნი მორი-
აკმა გადაწყვიტა, რომ უორვი დაკარგულია ტე-
რეზასათვის, ნაწ ეს იხევე გადაწყვიტა, როგ-
ორც ანტიკურმა ღმერთებმა შეიპყრეს მაშის-
მკვლელი და სისხლისამარცხი ოიდიპოსი. ასეთ
დროს, იშინათვის, რომ გადაწყვეტილება გვა-
მცნოს, თავის პერსონაჟს, რამდენიმე წამით
ტირებისას ლეთიურ ძალას ანიკებს; ნუ გეში-
ნიათ, მალე ის (ტერეზა) თავის სიბნელეში
შთაინთქმება. ესეც ცეცხლმქრობი: ყველა
ცნობიერება უკვე ჩამქრალია. უცვებს, დად-
ლილი ბ-ნი მორიაკი ყველა პერსონაჟს ერთ-
ბაშად ტოვებს: ის ცხოვრობს სამყაროს გა-
რეგანი ცხოვრებით, მუყაოს დეკორში არსე-
ბული მარიონეტების ცხოვრებით:

„პატარა გოგონამ თვალებიდან ხელი მოი-
ცილა:

- მეგონა გეძინათ.
- ბმა ისევ შეევედრა:
- შემომფიცე, რომ ბედნიერი ხარ“.

ეს გახლავთ ექსტრები და ბგერები უკუ-
ნეთში. აქედან რამდენიმე ნაბიჯზე ბ-ნი მო-
რიაკი წის და ფიქრობს: „ალბათ როგორ იტან-
ქეთ, დედა! — სულაც არა, არაფერი მიგრძ-
ვნი...“ როგორ თუ ამა რას უნდა გამოხა-

ტავდეს ეს ბრიალი და გალურჯებული სახე?
განა შეიძლება ტკივილის მოქოხეთი გაიარო
და არაფერი დაგამახსოვრდეს?.

ვინც უკვე ჩაწვდა მარის ხასიათს, ეჭვის კი
არ შეეპარება, რომ მარის ასეთ ფიქრებზე
დროს არ დააობრებს. არა, ეს არის შეშვიდე
დღის დაწებებული შეხვედრა და ბ-ნი მორი-
აკი ღელავს, კითხვას უხვამს საკუთარ თავს
და მისი ფიქრები თავის ქმნილებას დასტრი-
ალებს.

სწორედ ესაა, რომ ღუპავს მას, ერთხელ
როგორღაც დაწერა, რომ რომანისტი იგივეა
თავისი პერსონაჟებისათვის, რაც ღმერთი თა-
ვის ქმნილებისათვის; მთელი მისი ტექნიკის
უცნაურობებიც იმით აიხსნება, რომ თავის
პერსონაჟებს ღმერთის თვალთახედვით უდ-
გება: ღმერთი ბომ შინაგანსაც ხედავს და გა-
რეგანსაც. სულსაც და ბორცსაც, ანუ ერთ-
დროულად მთელ სამყაროს და, თანაც, ერთ-
ნაირად კარგად. ბ-ნი მორიაკი ყოვლისმხილ-
ველია თავის პატარა სამყაროში: მის მიერ
პერსონაჟზე ნათქვამი სიტყვა სახარების სიტ-
ყვაა, იგი გვიხსნის თავის პერსონაჟებს, ახა-
რისხებს მათ და უღმობლად სჯის კიდევ.
მისთვის რომ გეკითხათ: „საიდან იცით, რომ
ტერეზა მომლოდინე მსხვერპლია“, ალბათ,
ძალიან გაუკვირდებოდა და ვიპასუხებდათ:
„განა მე არ შევქმენი ტერეზა?“

არამც და არამც, დროა ითქვას, რომ რომ-
ანისტი ღმერთი არ არის. გაიხსენეთ, რა სი-
ფრთხილით მიგვანიშნებს კონრადი ლორდ
ჯიმზე. იგი ალბათ „მეოცნებეაო“. თვითონ
კონრადი შორსაა ამგვარი მტკიცებისაგან, ამ
სიტყვას ერთ-ერთი პერსონაჟის პირით იტ-
ყვის, ერთი სუსტი არსების პირით, რომე-
ლიც უკუმაწივს ამბობს ამას. სწორედ ამიტომ,
ასეთი ნათელი სიტყვა „მეოცნებე“, უფრო
მეტ რელიეფს იძენს, უფრო პათეტიური ხდე-
ბა და იდეალის. ბ-ნი მორიაკთან მსგავსს
ვერაფერს ნაბავთ: „მომლოდინე მსხვერპლი“
ჭიპოთეზა კი არა, წეციდან ჩამოსული შუქის
ტოლფასია. ავტორი ვერ ითმენს და თავისი
პერსონაჟი ქალის ხასიათის გახადებად მოუ-
ლოდნელად გახადებს გვთავაზობს. ჩემი აზ-
რით, სწორედ მას არა აქვს უფლება ამგვარი
განხიზა. რომანი ბომ სხვადასხვა თვალსაზრი-
სით მოუკლილი ქმედებაა, და ბ-ნი მორიაკ-
მა ეს კარგად იცის, სწორედ „ღამის დასას-
რულში“ წერს: „...ერთსა და იმავე ქმნილება-
ზე არსებული ყველა საწინააღმდეგო მსჯე-
ლობა მართებულია, გააჩნია განათებას, არც-
ერთი სინათლის ქვეშ არ შეიძლება გამოჩნდეს
რომელმე მსჯელობის უპირატესობა“. მაგრამ,
თითოეული ასეთი ინტერპრეტაცია უნდა ი-
ნაშიური იუოს, ანუ იმ ქმედებას უნდა მიბ-

უვებოდეს. რასაც გამოხატავს. ერთი სიტყვით. ეს უნდა იყოს მონაწილეს მიერ დამოწმება და ასეთმა ინტერპრეტაციამ უნდა წარმოაჩინოს ადაშიანი, რომელიც ასახულებს და ამავე დროს, ის მოვლენაც, რომლის დასახულებაც ბდება; ასეთმა აღქმამ (ინტერპრეტაციამ) უნდა გამოიწვიოს ჩვენი მოუთმებლობა: (დადასტურდება თუ არა ასეთი ინტერპრეტაცია, თუ უარყოფა მოვლენათა შემდგომი განვითარების გამო) და ამით შეგვაგრძობინოს დროის წინააღმდეგობა: რადგან თითოეული თვალსაზრისი შეფარდებითი იქნება. საუკეთესო მათ შორის ის აღმოჩნდება, რომლის შედეგადაც მკითხველს უველაზე ძლიერად აღუდგება წინ დრო. აქტიურთა მიერ შემოთავაზებული უველა ინტერპრეტაცია თუ აბხნა ხათუო იქნება, შეიძლება მკითხველმა ამ ვარაუდებს მიღმა წინათგრძობით მოვლენის აბსოლუტური რეალობა დაინახოს. მაგრამ ამ მოვლენის აღდგენაში მას ვერავინ დაეხმარება, და თუ მკითხველს მაინც იტაცებს ამგვარი ვარჯიში, და ბედს სცდის ასეთ თავსატეხში, ველარასოდეს დააღწევს თავს პირობითობისა და აღბათობის სფეროს. უოველ შემთხვევაში, რომანში აბსოლუტური ქეშმარტივების ანუ ღმერთის თვალსაზრისის შემოტანა ორმაგი ტექნიკური შეცდომაა: ჯერ ერთი, ეს გულისხმობს ისეთ მთხრობელს, რომელიც ვაურობის მოქმედებას და მჭვრეტელის როლით კმაყოფილდება, რაც არ შეესაბამება ვალერის მიერ ჩამოყალიბებულ ესთეტიკის კანონს, რომლის მიხედვითაც რაიმე ნაწარმოების ნებისმიერი ელემენტი უამრავი კავშირით უნდა იყოს დაკავშირებული სხვა ელემენტებთან. მეორე მხრივ, აბსოლუტი დროის მიღმაა, თუ თხრობას აბსოლუტადე აიყვანთ, დროის ხაზი მაშინვე გაწყდება; რომანი თვალსა და ხელს შუა გაქრება და რჩება მხოლოდ უძლეური ქეშმარტივება sub specie aeternitatis.

უფრო უარესსაც ვხვდებით: მორიაკი თავის თხრობას კატეგორიულ შეფასებასაც შეაპარებს ხოლმე. რაც იმას ადასტურებს, რომ იგი იმ პერსონაჟებს არ ქმნის, რომლებიც უნდა შეექმნა, ვიდრე დაწერდეს, უკვე ქედს პერსონაჟთა ხუბსტანციის და წინასწარ აცხადებს, როგორი იქნებიან ისინი. მინდა, რომ ტერეზას ხუბსტანცია, ამ აქოთებული ცხოველის, მომლოდინე მსხვერპლისა და ა. შ. ხუბსტანცია რთული იყოს, რაც შეუძლებელია ერთი ურახით გამოიხატოს. მაგრამ, ზუსტად რას წარმოადგენს ის? უფრო აბლოდან შევხედოთ უოველივებს: კონრადმა კარგად განჭვრიტა, რომ სიტყვა „მეოცნებე“ აზრს იძენს მაშინ, როცა გამოხატავს პერსონაჟს სხვისთვის; აშკარაა, რომ „მომლოდინე მსხვერპლი“, „აქო-

თებული ცხოველი“ ან „განწირობი“ იმავე უაღის სიტყვებია. რაც კონრადის მიერ კუნძულთა ვაქრის პირით ნათქვამი სიტყვაა. ასეთია მორალისტიკა და პერსონაჟის მოკლე გზა. როცა ტერეზა მოკლედ მუყება თავის ამბავს („მოწუვეტილიუო საფუძველს, კვლავ დაბრუნებოდა მას, გაუთავებლად გონს მოსულიუო ხოლმე; წლების მანძილზე ვერ შეძლო გაეცნობიერებინა, რომ ეს იყო მისი ბედისწერის რიტმი. მაგრამ ახლა იგი უკვე გამოვიდა ლამის წყველიადიდან, უკვე ნათლად ხედავს...“). მას არ შეუძლია ლაღად იმსჯელოს თავის წარსულზე, რადგან წარსულში დაბრუნება არ შეუძლია, ამგვარად როცა ბ-ნი მორიაკს ჰგონია, რომ ღრმად ჩაწვდა თავის პერსონაჟებს, სინამდვილეში მათ მიღმა რჩება, კარების წინ. კარგი იქნებოდა, თვითონაც მიმხვდარიუო ამას, მაშინ რომ ისეთივე რომანებს შექმნიდა, როგორსაც ჰემინგუეი; ჰემინგუეისთან რომ პერსონაჟებს მათი ეესტებითა და სიტყვებით, ან პერსონაჟებისავე უმნიშვნელო ურთიერთშეფასებით ვეცნობით, როცა ბ-ნი მორიაკი ძერწავს ტერეზას sub specie aeternitatis, სინამდვილეში მისგან საგანს ქმნის, შემდეგ უმატებს ცნობიერების მთელ ფენას, მაგრამ უკვე ამოდ: რომანის ადაშიანები თავიანთ კანონებს ემორჩილებიან, რომელთაგანაც უველაზე მკაცრი კანონი ასე გამოიურება: რომანისტი შეიძლება იყოს თავისი გმირების ან მოწმე, ან თანამზარახველი, მაგრამ ორივე ერთად — არასოდეს, რომანისტი ან გარეთ უნდა იყოს, ან შიგნით, იმის გამო, რომ ბ-ნი მორიაკი უურადლებას არ აქცევს ამ კანონებს, იგი მკლავს თავის პერსონაჟთა ცნობიერებას.

აი, ჩვენ ისევ ვუბრუნდებით თავისუფლებას. ტერეზას მეორე განზომილებას. რა ემართება ტერეზას ამ ჩამქრალ სამყაროში? აქამდე ტერეზა ჩვენთვის საგანი იყო, მიწეზეებისა და ნიშუშების, ვნებების, ჩვევებისა და ინტერესების რიგი. — ანუ რაღაც ამბავი, რომელიც შეიძლებაოდა ჩამდენიმე მაქსიმით წარმოგვედგინა — ანუ რაღაც ფატალურობა, მაგრამ ჩვენ მას თავისუფალ ადაშიანად გვაჩვენებენ, აჩადოქარსა და აღქაქს. თუცა ბ-ნი მორიაკი ზრუნავს გაგვაგებინოს, როგორ უნდა გვემოდეს ასეთი თავისუფლება: „როცა გადავწყვიტე ქონებაზე უარი შეთქვა, დიდი სიბარული განვიცადე. ეს მხოლოდ გუშინ მოხდა. მე დავფრინავდი ათასობით წყრთაზე ჩემი ნამდვილი „მეს“ შემოთ, მივცოცავდი, მივცოცავდი, მივცოცავდი... უცებ ფეხი ამიცდა და ისევ აღმოვჩნდი ცუდი და გაუინული ნების ამარა: ჩემი არსების ამარა, ისეთ მდგომარეობაში, როცა ჩემს თავს არავითარ ძაღლს არ ვატან

ბოლმე — აი, რაზე ვეცემი. როცა ხაკუთარ თავზე ვეცემი", ამგვარად, თავისუფლება ისევე როგორც ცნობიერება, არ შეადგენს ტერმინს „ქეშმარიტ არსებას“. ეს არსება, „რომელზეც ვეცემი, როცა ხაკუთარ თავზე ვეცემი“, წინასწარაა მოცემული, ამიტომ ესეც საგანია. ცნობიერება და თავისუფლება მერე გამოჩნდებიან: ცნობიერება, როგორც ხაკუთარ თავის გატარების უნარი, ბოლო თავისუფლება, როგორც ხაკუთარი თავისგან გაქცევის ძალა. აქედანვე შევსანხმდეთ, რომ ბ-ნი შორიაკისათვის თავისუფლებას არ გააჩნია შენების უნარი; ადამიანს არ შეუძლია თავისუფლების წყალობით ხაკუთარი თავი შექმნას, ან ხაკუთარი ისტორია გამოქცდოს. იყო თავისუფალი მსაჯული, ნიშნავს გქონდეს წუვეტილი ძალაუფლება, რაც შეგაძლებინებს ხანმოკლე ხილადეს, მაგრამ ვერაფერს შეგვაქმნევინებს, გარდა უღელური მოვლენებისა, ამიტომ „ღამის დასასრული“. რომელიც ბ-ნმა შორიაკმა თავისუფლების გამომხატველ რომანად ჩაიფიქრა, სინამდვილეში მონობის მატყენებელი აღმოჩნდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თავდაპირველად ავტორს, მართალია, უნდოდა ჩვენთვის ეჩვენებინა „სპირიტუალური აღმასვლის ეტაპები“, მაგრამ წინახიტუვაობა, ში ისმის მისი აღსარება, ტერმინად უნებურად ჯოჯობეთში ჩამითრიათ: იგი ხინანულით აღიარებს: „დამთავრებული ნაწარმოები ნაწილობრივ გვიყრუებს სათაურში ჩადებულ იმედსო“, მაგრამ როგორ შეიძლებოდა სხვანაირად უოფილიყო? ტერმინს შეკრულსა და გაუიზულ ბუნებას შემოდანა აქვს წამატებული თავისუფლება, ასეთი თავისუფლება კარგავს უოფლისშემძლეობას და განუსაზღვრელობას: ასეთი თავისუფლება განსაზღვრულია და ხაკუთარი ბუნება აქვს, რადგან ნათელია, რის მიმართ არის ის თავისუფლება. თანაც, ბ-ნი შორიაკი ასეთ თავისუფლებას კანონს უქვემდებარებს: „მივცოცავ, მივცოცავ, მივცოცავ და უსებ ვეცემი“. ამგვარად, წინასწარაა გადაწყვეტილი, რომ ტერმინს უოველი ადგომის შემდეგ დაეცემა. წინახიტუვაობაში გვაფრთხილებენ, უბერბული იქნება ამ პერსონაჟს უფრო მეტი მოვთხოვოთო: „ტერმინს ისეთი მოდგმისაა, რომელიც ბინდ-ბუნდიდან მამინ გამოვა, როცა ცხოვრებიდან წავა. ასეთ ადამიანებს ერთადერთი ის მოვთხოვებათ, რომ არ შეეგუონ ღამეს“. მაგრამ, განა თვითონ ტერმინს არ ბეობდა ცოტა ბნის წინ თავისი „ბედისწერის რიტმზე?“ — მისი თავისუფლება ამ რიტმის ერთ-ერთი ფაზაა; ტერმინს თავისუფლებაშიც წინასწარგანწარახული პერსონაჟია, მცირე დამოუკიდებლობა, რომელიც მას ბ-ნმა შორიაკმა მიანიჭა, ისევე გამოწომილია,

თითქოს ექიმის ან სამწარეულოს რეცეპტით იყოს გათვალისწინებული ამ პერსონაჟისაგან არაფერს ველი, რადგან უკვე უველიფერია ვიცი, ამიტომაც, უკვე უველიფერია აღმასვლა და არც მისი დამატებული შედეგებს. იგი ისევე გულგრილს მტოვებს, როგორც კედელზე ჩიუტად მცოცავი ქია.

თავისუფლებას თავისი არ მიუზღებს, ტერმინს წვეთ-წვეთობით გამოწომილი თავისუფლება ისევე არა გვაქვს ნამდვილ თავისუფლებას, როგორც მისი ცნობიერება — ნამდვილ ცნობიერებას; და ბ-ნი შორიაკი, შთანთქმული ტერმინს მექანიზმის აღწერით, ბელ-მოცარტული რჩება, როცა ამირებს დაგვანახოს, რომ ტერმინს აღარ არის მექანიზმი, რასაკვირველია, იგი გვიჩვენებს, როგორ ებრძვის ტერმინს ხაკუთარ მავნე მიდრეკილებას: „ტერმინს ტუჩებს იკვნეტდა; არ დაველაპარაკები გარხენზე, იმეორებდა ის“ მაგრამ, ვინ დამაჭერებს, რომ უფრო ღრმა ფიქალოგიური ანალიზის შედეგად, ამ უცაბედი ამბობის მიღმა მწუობრი სვლები და დეტერმინიზმის საფუძვლები არ აღმოჩნდება? ამას ისე კარგად გრძნობს ბ-ნი შორიაკი, რომ ზოგჯერ, როცა სხვა გზა არა აქვს, იძულებულია სახელში მოგვქაჩოს და გვიჩურჩულოს: მოხახდენი მოხდა, ამიტომ, რომ იგი თავისუფალიაო, ასევე ამ ნაწუვეტშიც: „ტერმინს შუა წინადადებაზე გაჩერდა (რადგან მისი რწმენა მთლიანი იყო)“. არ ვიცი, თუ არსებობს უფრო უბამში ბერბი, ვიდრე ეს ფრჩხილებში ჩანმული მკაცრი გაფრობილება. ის კი ნათელია, რომ ავტორი იძულებულია ამ ბერბს მიმართოს: თუ ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ ბ-ნი შორიაკის მიერ შექმნილ ნაბიჭვარს, რომელსაც იგი ტერმინს ბუნებას უწოდებს, მაშინ არავიოარი ნიშნით არ იქნება შესაძლებელი თავისუფალი საქციელის განსხვავება აფექტურისაგან, თუმცა, აღბათ, როგორ არა: წამირი მომხიბვლელობა გაირბენს პერსონაჟის საბეზე და სულში, როცა იგი ხაკუთარ თავს დაქაბნის: „მას არახოდეს ენაბა ასეთი ღამაში გამომეტყველება“. „ქალი ველარ გრძნობდა, რომ იტანებოდა, იგი განთავისუფლებული და განკურნებული იყო ხაკუთარი თავისაგან და აღარ იცოდა, მქონდა თუ არა ისევე ახაწრიალებელი, მიიწევდა თუ არა წინ...“ მაგრამ ზნეობრივი კომპენსაცია არ კმარა ჩვენს დასარწმუნებლად. პირიქით, ჩვენ ვბედავთ, რომ ბ-ნი შორიაკისათვის თავისუფლება მონობისაგან ღირებულებით განსხვავდება და არა ბუნებით, თავისუფალია უველა ის ზრახვა, რომელიც ზევით, კეთილბეცნაა მიმართული: უოველი ნება კი — ბორბტხაა მიჯაჭვული, თუ რად დირს განსხვავების ეს

პრინციპი, ეს ჩვენი სათქმელი არ არის. უო-
ველ შებთხვევაში, ასეთი პრინციპი აღრ-
ჩობს რომანის თავისუფლებას და მასთან ერ-
თად რომანის პატერიარსაც, რომელიც მყისიერი
ხანგრძლივობისაა.

როგორ უნდა გაგრძელებულიყო ტერეზას
ამბავი? აქ ჩვენ კიდევ ვხვდებით ძველ, თეო-
ლოგიურ კონფლიქტს ღვთიურ უოველიმყო-
დნობასა და ადამიანის თავისებურებას შო-
რის: ტერეზას „ბედისწერის რიტმი“, მისი
აღმანვლა-დაცემის გრაფიკი, ტემპერატურათა
მრუდს მგავს: ეს მკვდარი დროა, რადგან მო-
შავალი წარსულივითაა განლაგებული, რად-
გან იმეორებს წარსულს. რომანის მკითხველი
ღმერთი არ არის: იმისთვის, რომ მოხდეს
ჩვენი ფსიქიკური მდგომარეობის გადანერგვა
ტერეზასა და მარი დესკერუს ვენებში, ამისა-
თვის არ უნდა ეიცნობდე მათ ბედს, ერთხელ
შინც უნდა გამოშვებოდე მათი ბედისწერა და
ერთი ხუთი უნდა მქონდეს. შევიცნო იმ, მა-
გრამ ბ-ნი მორიაკი თავს არ იწუხებს ჩემი
მოუთმენლობის გამოსაწვევად: მისი ერთად-
ერთი მიზანია, ისევე განმანათლოს, როგორც
თვითონაა, და დაუწოვავად და უხვად მაწვდი-
დეს ცნობებს: როგორც კი ვიგრძნობ, რომ
ჩემი ცნობისმოყვარეობა იღვიძებს, მაშინვე
წომაზე მეტად მიქმაროფილებს ავტორი ამ
ცნობისმოყვარეობას. დონტოვესკი, ალბათ,
ტერეზას გარემოცავდა მოქნილი და იდე-
მალე სახეებით, რომელთა აზრით თითოეულ
გვერდზე, როგორც კი ვიფიქრებდი, გასაგებია-
მეთქი, მაშინ დამისხლტებოდა ხელიდან, ბ-ნი
მორიაკი კი ერთბაშად ყველას გულში მა-
ხედებს. არავის აღარ გააჩნია ხაიდუმლო,
ყველა პერსონაჟს ბ-ნი მორიაკი, თანაბარი სი-
ნათლით აშუქებს. იგი ჩემთვის ბრიჯის აბსტ-
რაქტული პარტნიორია, როცა ჩემთვის ცნო-
ბილი ალღით ვაღწევ მის დაბნევას, რის
შედეგადაც მისი უოველი კომბინაცია და გე-
გმა მკვდარია, რადგან ყველა კარტი წინასწარ
ვიცი; ჩემი დროის მიღმა ტერეზა უბორცო
აჩრდილია.

ახვათაშორის აშკარაა, რომ ბ-ნი მორიაკს
სრულებით არ უყვარს დრო, არც ლოღინის
ბერგსონისეული აუცილებლობა — „დაელოდო,
რომ შექარი დადნეს“. მისი აზრით, პერსონა-
ჟთა დრო სიზმარია, მეტისმეტად ადამიანური
ილუზიაა. იგი თავს არიდებს დროს და სა-
კუთარი ნებით მარადისობის პლანში იშკვად-
რებს თავს. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ
უნდა ერთკვა უარი რომანის წერაზე. ნამდვილ
რომანისტს ატაცებს უოველივე იმ, რაც წინ
ედობება, კარები, რადგან საჭიროა მისი გა-
დება, კონვერტი, რადგან საჭიროა მისი გახ-

სნა. ჭეშინჯუის / შესანიშნავ წარმოებში
„მშვიდობით, იარაღო“ საგნები დროულ
მახეებს წარმოადგენს, რომლებიც ურიცხვი
წერილმანი თუ ჩიუტი ^{წერილებით} ^{წერილებით}
ავსებენ თბობას, რაც უნდა ^{წერილებით} ^{წერილებით}
ბით უნდა გადალახოს მთავარმა გმირმა, ბ-ნი
მორიაკს კი სძულს უხასრულო ბარიერები,
რადგან ამის გამო მან შეიძლება სიტყვას გა-
დაუბვიოს: რაც შეიძლება ნაკლებს ლაპარა-
კობს წინააღმდეგობებზე. იგი დროის ეკო-
ნომიას პერსონაჟთა ხაუბრების ხარჯზეც კი
ახდენს: სიტყვას ჩამოართმევს ხოლმე და
მოკლედ გადმოგვცემს მათ სათქმელს: „სიუ-
ვარული (ამბობს ტერეზა) არ ნიშნავს ყვე-
ლიფერს ცხოვრებაში — განსაკუთრებით კი
კაცებისათვის... ჩერ ამ თემაზე იწუო ლაპა-
რაკი, გათენებამდე შეეძლო ამ საკითხზე მხჭე-
ლობა, აზრით ხავსე სიტყვები, რომლებიც
მოვალეობისა თუ ძალდატანების გამო მოხ-
დიოდა, არ იყო სიტყვები...“ და ა. შ. ხიძუნ-
წე უფრო დიდი შეცდომა ამ წიგნში არ
არის, ბ-ნი მორიაკი სწორედ მაშინ მოკრის
ხოლმე მოკლედ თავისი პერსონაჟების დია-
ლოგებს, როცა ამით ვინტერესდები და ამ
პერსონაჟთა დროისა და ამბის მიღმა მიხვრის
— თვითონ როგორ ვერ ამჩნევს ამას, მიკ-
ვირს, პერსონაჟთა დიალოგები არ მთავრდება,
ეს ვიცი, ისინი სადღაც გრძელდება; ოღონდ
შე ჩამომართვენ უფლება, დავსწრებოდი ამ
დიალოგებს, ალბათ, ბ-ნი მორიაკს რომ მკით-
ხოთ, გეტყვიო, რომ ეს უცაბედი შეჩერება-
ნი და დაწვებები „მოკლე გზით სიარულს“
ნიშნავს. მე კი მათ უფრო კატასტროფას ვუ-
წოდებდი. ცხადია, დროდადრო საჭიროა შე-
მოკლებაც, მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ
ნიშნავს, რომ თბობას ხანგრძლივობა გამო-
ვაცალოთ, რომანში ან უნდა გარუმდე, ან
ყველაფერი თქვა, არ შეიძლება რამე გამო-
ტოვო, ან რამეს „გადააბტე“. შემოკლე-
მხოლოდ და მხოლოდ თბობის სიჩქარის
შეცვლას უნდა ნიშნავდეს. ბ-ნი მორიაკს კი
თვითონ ეჩქარება, ალბათ დაიფიცა, ნოველის
წომებს არ გადააჰარბონ ჩემმა ნაწარმოებებ-
მაო, ამაოდ ვეძებ „ღამის დასასრულში“
გრძელ, ნაღუღლულევ დიალოგებს, რაც ასე ხში-
რია ინგლისურ რომანებში, რომლებშიც გმი-
რები დაუხარულებლად იმეორებენ თავიანთ
ამბებს, ერთ ადგილს ტკეპნიან; პაუზებს —
რომლებიც კი არ აჩერებენ მოქმედებას, არ-
ამედ სისწრაფეს მატებენ მას: „შუალედებს“
— რომელთა დროსაც, მოქუფრული ცის ქვეშ
პერსონაჟები კიანჭველებივით შრომობენ. ბ-
ნი მორიაკი კავდება მხოლოდ მთავარი ად-
ვილებით რომანში, რომელთაც ერთმანეთთან
მოკლედ რეზიუმეებით აერთიანებს.

სწორედ ამ სიმოკლის გამოა, რომ მისი პერსონაჟები ისე დაპარაკობენ, როგორც თეატრში. ბ-ნი მორიაკის მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად და ნათლად ათქმევინოს პერსონაჟებს სათქმელი; იგი ერიდება შედგენილობას, განმეორებებს, სალაპარაკო ენის ფორთხილს და თავისი გმირების „ნათქვამს“ მნიშვნელობის შეშველ ძალას ანიჭებს. და რადგან საჭიროა, რომ იგრძნობოდეს განსხვავება ავტორის ნათქვამსა და პერსონაჟთა სიტყვებს შორის, ის ისედაც გახაგებ ვრცელ სიტყვებს ჩანჩქერის სისწრაფეს სძენს, რაც სწორედ თეატრალურია. უმჯობესია ტერეზას მოვლუხმინოთ: „რა? როგორ ბედავთ? ეს მე არ ჩამიდენია? როგორ არა, მე ჩავიდინე; მაგრამ, სხვა ჩემს მიერ ჩადენილ დანაშაულობებთან შედარებით, ეს არაფერია. სხვა დანაშაულებები უფრო მზდალი, უფრო იდუმალი იყო და არც რისკთან უფილა დაკავშირებული“. ასეთი ფრაზა უფრო ითქმის, ვიდრე იწერება. ეცადეთ მოიხიბლოთ ფრაზის ორატორული დასაწყისით, რომელიც მეორდება და იბერება. არ გახსენდებთ ერმიონის გაბრაზება? ჩემს თავს ვიჭერ, რომ სიტყვებს ჩურჩულით წარმოვთქვამ, მთლად შეპყრობილი რიტორიკული დასაწყისით, რაც ასე დამახასიათებელია ტრაგედიის კარგი დიალოგებისათვის. ახლა კი ეს წაიკითხეთ: „რაც არ უნდა ექსტრავაგანტური იყოს თქვენი მეგობარი, ისეთი მაინც ვერ იქნება, იფიქროს, რომ თქვენ შეგიძლიათ მას მოსწონდეთ. მისი მოხიბვლა რომ მდომებოდა, ვიზრუნებდი უფრო დამაჩქრებელი ვყოფილიყავი“. ვერ იცანით 1911 ხაუკუნის კომიკოსთათვის დამახასიათებელი ფრაზა? რომანი ვერ მგუობს ამგვარ წყალობას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანში ისე უნდა დაპარაკობდნენ, როგორც ცხოვრებაში; რომანს თავისებური სტილი აქვს. რომანში დიალოგზე გადასვლა სინათლის ნაკადის შეცვლით უნდა გამოიხატებოდეს. ბნელა, გმირი იბრძვის თვითგამოხატვისათვის, მისი სიტყვები აღარ შეესაბამება მისი სულის ხურათებს. ეს უკვე უხერხული და თავისუფალი მოქმედებაა, გმირი ცდილობს გარკვევას ჩახლართული და ენის ბორძიკით ნათქვამი სიტყვების ხაზუალებით; სიტყვათა ამგვარ წინააღმდეგობებს — რაც ათას გაუგებრობასა და უნებლიე აღმოჩენებს ბადებს — დოსტოევსკი, კონრადი და ფოლკნერი იუენებდნენ იმისთვის, რომ დიალოგი ექციათ ხარომანო მომენტად, სადაც დროის ხანგრძლივობა მკაფიოდ გამოჩნდებოდა. ასეთი მძიმე დიალოგები ეტყობა ვერ ეგუება მორიაკის კლასიციზმს. თანაც უფლამ იცის, რომ ჩვენი

კლასიციზმი მჭევრმეტყველებიდან და თეატრიდან იღებს სათავეს. არც ამით მთავრდება უფლაფერი: ბ-ნი მორიაკი მოითხოვს, უჩვეულოდ მისი დიალოგი ნაუოფიერებელი იქნება თეატრის კანონს ექვემდებარება. რადგან მხოლოდ თეატრშია ასე, რომ დიალოგი მოქმედების განვითარებას უწყობს ხელს. ბ-ნი მორიაკი კმნის „სცენებს“, მთელი რომანი ოთხი სცენისაგან შედგება. თითოეული „კატასტროფით“ მთავრდება, თუმცა თითოეული ისეთი სიზუსტითაა მომზადებული, როგორც ტრაგედიაში.

მაგალითისათვის განვიხილოთ ასეთი სცენა. მარი სენ კლერში მიიღებს თავისი დანიშნულის — ეორების წერილს, რომელიც უარს ამბობს თავის წინადადებაზე. ერთი გაუგებრობის შედეგად დარწმუნებული, რომ მათი დაცობა დედამისის ბრალია მარი მაშინვე პარტიზს გაემგზავრება. ჩვენ შედგინებთ კარგად ვიცნობთ ამ ცელქ, ეგოისტ, ავარდნილ და საკმაოდ ქარაუშუტა გოგონას, რომელსაც კეთილის კმნაც შეუძლია; ამ მოგზაურობის დროს მას გვიჩვენებენ ხიზრანისაგან გააფუბულს, ავის ჩახადენად შემართულს, რომელიც მზადაა გადაშეტებით უახსუბოს დარტყმებს. არც ტერეზას მდგომარეობა ნაკლები სიზუსტით აღწერილი: ვიცით, რომ ტანჯვამ გაანადგურა, ნახევრად გააფილა, ნუთუ ვერ ბედავთ, რომ ამ ორი ქალის შეხვედრა იხეა მომზადებული, როგორც თეატრში? ვიცით, რა ძალებმა მოიყარეს თავი, ხიტუაცია განსაზღვრულია: კონფრონტაცია მზადაა, მარამ არ იცის, რომ დედამისი გიჟია; რას მოიმოქმედებს, როცა ამას შეამჩნევს? პრობლემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული: ისლა დაგვრჩენია, გასაქანი მიეცეს დეტერმინიზმს, თავისი დარტყმებითა თუ კონტრდარტყმებით, დრამატული თუ წინასწარგახსაზღვრული შემობრუნებებით: დეტერმინიზმი ფინალურ კატასტროფამდე მიგვიყვანს. მარი გაითამაშებს ავადმყოფის მოძულელის როლს და დედას დარწმუნებს, დესკრუებთან დაბრუნდეს, ნუთუ არ გახსენდებთ სარდუ? დიდი სცენა „ქაშუში ქალაქიდან“ ან ბერშტეინი და „ქურდის“ მეორე აქტი? სიამოვნებით წარმოვიდგენ, რომ ბ-ნი მორიაკი თეატრში აცდუნა: ასქერ მაინც წარმოვიდგინებ „ღამის დასასრულის“ კითხვისას, რომ ხელთ მქონდა მთავარი არგუმენტი და ნაწევრები ოთხაქტიანი პიესისა.

ახლა, კვლავ დაუღბრუნდეთ „ბოშანის კარიერის“ იმ გვერდებს, სადაც მერედითი გვიჩვენებს ბოშანისა და რენეს შეხვედრას: მათ ისევ უხვართ ერთმანეთი, ცოტაც და ერთმანეთს გაუხმედენ, მაგრამ ერთმანეთს სცილდენ

ბიან. როცა ერთმანეთს ზედებიან, ჭერ კიდევ უველაფერი შესაძლებელია მათ შორის: რადგან მომავალი არ შექმნილა. მაგრამ ნელ-ნელა, მათი ოდნავი შეცდომები, კატარ-კატარა ხიფთღვილები, დარდები მძიმედ დააწვება მათ კეთილ ნებას. ისინი უკვე კარგავენ ნათლად დანახვის უნარს. თუმცა მაშინაც კი, როცა მე ვწიშობ ისინი ერთმანეთს არ ჩამოშორდნენ, მაინც ბოლომდე მჭერა და ვგრძნობ, რომ ჭერ კიდევ შეიძლება უველაფერი სხვანაირად შეტრიალდეს: იმიტომ, რომ ეს პერსონაჟები თავისუფლები არიან, თავიანთი საბოლოო დაცობების ხელშემწყობნი შეიძლება მხოლოდ ისინი იყვნენ. აი, როგორი უნდა იყოს რომანი.

„ღამის დასასრული“ არ არის რომანი, განა შეიძლება რომანი დაარქვათ მოუქნელსა და გაუინულ ნაწარმოებს, რომელიც შედგება თეატრალური ნაწევრებისაგან, ანალიზის შემცველი ადგილებისა და პოეტური მედიტაციებისაგან? განა შეიძლება უცაბედი ადვილს მოწვევითა, ძლიერი დამუხრუჭება, მერე მძიმე გაგრძელებები და ჩავარდნები აგერიოთ რომანის ბანგრძლივობის დიდებულ დინებაში? განა შეიძლება ჩავიტიროთ ასეთმა უძრავმა თბრობამ? რომელიც პირველივე თავლის გადავლებისთანავე ჩაგაბარებთ თავის ინტელექტუალურ ხარჩოს, რომელშიც გმირთა მუნჯი სახეები ისევე ეწერებიან, როგორც კუთხეები წრეში? თუ მართალია, რომ რომანი საგანია, ისე როგორც ნახატი, ან არქიტექტურული ნაგებობა, თუ ისიც მართალია, რომ რომანი იქმნება თავისუფალ ცნობიერებათა შეშვეობით და გარკვეულ დროის ბანგრძლივობას გულისხმობს, ისევე, როგორც ნახატს სჭირდება საღებავები და ზეთი, ასეთი მიდგომით „ღამის დასასრული“ რომანი არ არის. — მით უფრო, ნიშანთა და მიწანთა ჯამად არ ჩაითვლება. ბ-ნი მორიაკი არ არის რომანისტი.

რატომ? რატომ ვერ მიაღწია მიწანს ამ სერიოზულმა და ბეჭითმა ავტორმა? მე მგონი ეს შეცოდება მისი ამპარტავნობიდან მომდინარეობს. როგორც მრავალმა სხვა ავტორმა, მანაც მოინდომა უგულუბეღეურო ის, რომ ფარდობითობის თეორია მთლიანად ესადაგება რომანისეულ სამყაროსაც, ისევე როგორც აინშტაინის სამყაროში, ნამდვილ რომანშიც არ არსებობს ადგილი პრივილეგირებული დამკვირვებლისათვის და რომ, რომანის სისტე-

მაში*, ისევე როგორც ფიზიკურ სისტემაში, არ არსებობს გამოცდილება. რომელიც მიგვაზვედრებდა, ეს ხისტემა მოძრაობა, თუ უძრავობა-მა მორიაკმა საკუთარ უფრო მზნებელს პირატესობა. მან მიმართა უფრო მზნებელს მოდენობასა და უოვლის შემძლეობას, რომანი კი, როგორც ვიცით, იწერება ადამიანის მიერ და ადამიანთათვისაა განკუთვნილი. ღვთიური მწერისათვის, რომელიც შეუჩერებლად, გაბქოლად გადის გარეგნობაში, არ არსებობს არც რომანი და არც ზელოვნება. რადგან ზელოვნება გარეგნული სახეებით ცოცხლობს, ღმერთი ზელოვანი არ არის; ბ-ნი მორიაკი მით უფრო.

1939 წ.

მალარმე

(1842-1898)

მამაც მოხელე მუავდა და პაპაც, ცხოვრებულმა დიდდამ გაზარდა. მალარმე თავიდანვე გრძნობს, როგორ მწიფდება მასში რაღაც ამბობი, რომელიც ვერაფერს ზმარდება. იგი ეტკეპვემ აყენებს უველაფერს: საზოგადოებას, ბუნებას, ოჯახს. იმ საბრალო ფერმკრთალ ბავშვსაც, სარკეში რომ ხედავს. რაც უფრო უოვლის მომცველია მისი ეტეუა, მით უფრო ნაკლებ შედეგაინა. ცხადია, უნდა ააფეთქო სამყარო, მაგრამ ძნელია ხელების გაუსვრელად ამის გაკეთება. ბოშბი ისეთივე საგანია, როგორც ამპირის სტილის სავარძელი, ოღონდ უფრო მეტი ბორბტება მოაქვს, ეს არის და ეს, ვინ მოთვლის, რამდენი ინტრიგა და კომპრომისზე წასვლა ჭირდება ბოშბისთვის ადგილის მონახვას. მალარმე არ არის და არც იქნება ანარქისტი, რადგან უარყოფს გამორჩეულ საქციელს; მისი მძვინვარება იმდენად დიდია და ხახოწარკვეთილი, — ირონია იქით იყოს — რომ მხოლოდ მძვინვარების უწყინარ იდეად იქცევა. არა, მალარმე ვერ ააფეთქებს სამყაროს, ფრჩხილებში ჩასვამს მხოლოდ, იარაღად ზრდილობიან ტერორიზმს გამოიუენებს; საგნებთან, ადამიანებთან და საკუთარ თავთანაც იგი შეიხარჩუნებს შეუმჩნეველ დისტანციას. !. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს დისტანცია სურს გამოხატოს თავის ლექსებში.

პირველ ლექსებში, მალარმეს პოეტური ქმედება უკვე შექმნილის კვლავ შექმნაში გამოიხატება. მას სურს დარწმუნდეს, რომ სწორედ იქ არის ადამიანი, სადაც უნდა იყოს. მალარმეს სძულს საკუთარი წარმოშობა, იმიტომაც წერს, რომ ხაზი გადაესვას მის წარმოშობას, ბლანშოს თქმით, პროზაული სა-

* რომანულ სისტემაში ვგულისხმობ მთელ რომანს და მის შენადგენელ ნაწილობრივ სისტემებს (ცნობიერებას, პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ და მორალურ მსჯელობებს).

მყარო ყოფნის თავის თავს, არ უნდა გვეკონ-
დებს იმედი, რომ ეს სამყარო თავითონ მოგვა-
წვდის მისგან თავის დახალწევ საბაბს. თუ
პოეტს ძალუბს სამყაროში პოეტური ხაგნის
გამორჩევა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უკვე
პოეზიის მორჩილი გამზდარა. ერთი სიტყვით,
მასში ბუდობს პოეზიის მარცვალი. ახეთი
„მიდრეკილების“ აუცილებლობა მაღარმეს კა-
ტეგორიულ იმპერატივად ქქონდა დასახული.
მას პოეზიისაკენ არ უბიძგებს არც შთაბეჭ-
დილებათა სისწრაფე, ან სიმდიდრე, არც
გრძნობათა ძალა, მისი მამოძრავებელია ეს
ბრძანება: „შემოქმედებით გამოამელავნე, რომ
დისტანციიდან უუურებ სამყაროს“. მისი პი-
რველი ლექსების ერთადერთი სიუჟეტი მხო-
ლოდ პოეზიაა, არა ერთხელ უთქვამთ, რომ
მაღარმეს ლექსების იდეალი აბსტრაქციაა,
იგივე, პოეტურად შენიღბული უბრალო უარ-
ყოფა. ეს ის განუსაზღვრელი არეა, რომელ-
საც უნდა მიუახლოვდე, როცა რეალობას დას-
ცილდები. ეს სფერო აღიბის როლს შეასრუ-
ლებს : დაიშლება ის შეგრძნება და ზიზღი,
რაც ადამიანებს უბიძგებს განერიდოს ყოფიე-
რებას, რადგან მას მიაჩნია, რომ განერიდება
ყოფიერებას, იმიტომ რომ მიუახლოვდეს იდე-
ალს.

ამისთვის საჭირო იყო ღმერთის რწმენა:
პოეზია ღვთით არის განპირობებული. წინა
თაობის პოეტები ამავე დროს მცირე წინას-
წარმეტყველებიც იყვნენ: მათი პირით ღმერ-
თი ლაღადებდა. მაღარმეს აღარ სჯერა ღმე-
რთის. მაგრამ, დამარცხებული იდეოლოგია
ხომ ერთი ხელის მოხმით არ ისპობა ზოლზე,
მისი ნარჩენები ადამიანთა გონებაში რჩება.
მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე მოსპო-
ტრანსცენდენტულობის წყარო: ღმერთი მოკ-
ვლა და შთაგონება უწმინდური წყაროდან
უნდა აღმოცენებულიყო. რას უნდა დაეურდ-
ნოს პოეტური მოთხოვნილება? მაღარმეს მა-
ინც ესმოდა ღმერთის ხმა, მაგრამ ამ ხმაში
ის ბუნების შეუმჩნეველ ხმაურს ამჩნევდა.
ისე, როგორც ხალამოს გვეჩვენება, რომ ოთა-
ხში ვიღაც ჩურჩულებს და აღმოჩნდება, რომ
ქარი ყოფილა, ქარი თუ წინაპრები: მართლაც
სამყაროს პროზა ლექსს ვერ შთაგაგონებს; მარ-
თლაც რომ ლექსისთვის ლექსის მანამდე არსე-
ბობაა საჭირო; მართლაც რომ იგი თავის თა-
ვში მღერის, ვიდრე დაიწერებოდეს. აქ მის-
ტიფიკაციაა ჩარეული: რადგან ახალი ლექსი,
რომელიც ხადაცაა დაიბადება, სინამდვილეში
ძველი ლექსია, რომელიც უნდა მკვდრეთით
აღსდგეს. ამიტომ ლექსი, რომელიც თითქოს
ჩვენი გულიდან ბაგეებისკენ მოიწევს, სინამ-
დვილეში ჩვენი მებსიერებიდან მოდის, შთა-
გონება? არსებობს მხოლოდ რემინისცენციე-

ბი. ეს არის და ეს. მაღარმე მომავალში სა-
კუთარ ხატს ქვრტს, რომელიც რაღაცას ანი-
შნებს; ხოლო, როცა ის ახლოს მადის ამ სა-
ხედასთან, წვდება, რომ თურმე მაშაშისს ხედავ-
და. ალბათ დრო ილუზიულად ადამიანის თვალ-
სათვის მომავალი წარსულის მცდარი სახეა.
სასოწარკვეთა — რასაც მაღარმე საკუთარ
უძლურებად ნათლავს, რადგან სასოწარკვე-
თა ათქმევიანება უარს შთაგონების წყარო-
ებზე და ქველა იმ პოეტურ თემებზე, რომ-
ლებიც არ წარმოადგენდნენ პოეზიის აბსტრაქ-
ტულ და ფორმალურ კონცეპტს, — აიძუ-
ლებს მას იწინასწარმეტყველოს მთელი მეტა-
ფიზიკა, ანუ გარკვეულწილად ანალიტიკური
მატერიალიზმი, ოღნავ სპინოზისტური. არსე-
ბობს მხოლოდ მატერია, ყოფიერების მარა-
დიული ფართხალი, სივრცე „თავის თავის მსგავ-
სი, გინდა გაიზარდოს, გინდა საკუთარი თავი უა-
რყოს“. ადამიანის გამოჩენა მარადიულს დროდ
გარდაქმნის და უსასრულობას — შემთხვევი-
თობად. მართლაც, მიწზეთა უსასრულო და მა-
რადიული მწყრივი თავისთავად არის ის, რაც
შეუძლია რომ იყოს; ყოვლისმცოდნე გაგება
ალბათ დაიჭერდა მის აბსოლუტურ აუცილებ-
ლობას. მაგრამ სასრულობის რაობით სამყარო
წარმოსდგება, როგორც მარადიული შებვედ-
რა. აბსურდული მიმდევრობა შემთხვევითო-
ბათა. თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენი გონე-
ბის საფუძველიც იხეთივე ხულიერია, როგ-
ორც გულის, ხოლო ჩვენი აზროვნების პრი-
ნციპი და მოქმედების კატეგორიები — მოჩ-
ვენებითი: გამოდის, რომ ადამიანი შეუძლე-
ბელი სიზმარი ყოფილა. ამგვარად, პოეტის
უძლურება სიმბოლურად გამოხატავს კაცად
ყოფნის შეუძლებლობას. არსებობს ერთად-
ერთი ტრაგედია, ყოველთვის ერთი „და რო-
მელიც შეისვე გადაილახება, ოღონდ დრო
სჭირდება ტრაგედიის დამარცხების ჩვენებას,
ეს დამარცხება კი თავბრუდამხვევი სისწრა-
ფით მოქმედებს“. რაში მდგომარეობს ტრა-
გედია: „ადამიანი კამათლებს აგორებს... შე-
მოქმედი კვლავ აღმოაჩენს მატერიას, ლო-
დებს, კამათლებს. იყო და არსებობს კამათე-
ლი: იყო და არის სიტყვა. ადამიანი კი სიფ-
რიფანა ილუზიაა, რომელიც დამფარფატებს
მატერიის მოძრაობას. მაღარმეს, წმინდა მა-
ტერიისაგან შექმნილ არსებას, სურს შექ-
მნას მატერიაზე უფრო მაღალი წესრიგი. მი-
სი უძლურება თეოლოგიურია, რადგან ღმრთის
სიკვდილმა პოეტს მოვალეობად დაუსახა,
ღმერთი შეეცვალა: პოეტი მარცხდება. მა-
ღარმეს ადამიანი, ღვევ როგორც პასკალის
ადამიანი, ტრაგედიის ტერმინებით, არა არ-
სობრივი ტერმინებით გამოხატავს სათქმელს:
„ის უხიდავი ღმერთია, რომელსაც არ ძა-

ლუდს სრულიკმნას", ასეთ ადამიანს მისივე უსუსურობა განსაზღვრავს. „ეს არის უაზრო გართობა წერით, რაღაც ექვს საფუძველზე რაიმე მოვალეობის დაბრალება, რომელიც გულისხმობს უველაფრის ხელმეორედ შექმნას რემინისცენციების წყალობით“, „თუმცა არსებობს ბუნება, მას ვერაფერს დაუშატებ“. ისეთ ეპოქაში, რომლის აზრიც წაშლილია მავანი მეფის ბუმბერაზობით, ან მავანი ხოცი-ალური ქლახის უდავო გამარჯვებით და ამდენად ასეთ ეპოქას მომავალი არ გააჩნია, ნებისმიერი სიახლის აღმოჩენა წმინდა წყლის რემინისცენციად მოჩანს, რადგან უველაფერი უკვე ითქვს, დაგვაგვიანდა. რიბომ სასწრაფოდ შექმნა თეორია ასეთი უსუსურობის შესახებ, მან ადამიანის ფსიქიკის ბატონი მოგვიანებით ახსნა, მაღარმესთან პენსიონტური მტრადიზია შეიმჩნევა: ალბათ მატერია, უფორმად უსასრულობა, შეიცავს ბუნდოვან სწრაფვას თავისი თავის შესაცნობად: რათა სინათლე მოგვინოს ბნელით მოცულ უსასრულობას, მატერია ალბათ წარმოქმნის აზროვნების ფთილებს, რომელთაც ადამიანებს უწოდებენ, — ადამიანები კი, იგივე დაგლეჯილი ვნებებია. მაგრამ უსასრულო დაფანტულობა გამოუვს და ფანტავს იდეას, ადამიანი და შემთხვევითობა ერთდროულად იბადება და ურთიერთგანპირობებულები არიან, ადამიანი ხელმოცარულია, „მგელია“ „მგლებს შორის“. მისი სიდიადე ისაა, რომ უნდა საბოლოო აფეთქებადღე გაუძლოს იმას, რომ ქმნა არ შეუძლია.

იქნებ დროა აფეთქებისა? მაღარმემ სერა-რხულად განიზრახა თავის მოკვლა ტურნონში, ბენანონში და ავინიონშიც, პირველ რიგში ასეთი დასკვნა მოგვეძალდება: თუ ადამიანი უსუსურია, ამის საჩვენებლად საჭიროა, მისი უსუსურობა იქამდე იქნეს მიყვანილი, რომ თავისთავად მოიხსოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მატერია არ იქნებოდა ჩვენი ქმედების მიზეზი. უოფიერება წარმოქმნის რაღაც უოფიერებას: თუ პოეტი აირჩევს არარსებობას შესაბამისად თავისი არაშესაძლებლობისა, მაშინ არა იქნება არარას მიზეზი: ადამიანი მბრძანებელი გახდება უოფიერებისა, ადამიანის გაქრობის გამო. ჭერ კიდევ მაღარმემდე ფლო-ბერი ასე აცდუნებდა წმინდა ანტუანს: („მოკვდიანე საკუთარ თავი“). მქმენ ის, რაც ღმერთთან გაგათანაბრებს, დაფიქრდი. მან შეგქმნა, შენ მის ნამოქმედარს გაანადგურებს, მამაცურად და თავისუფლად“. განა ეს არ უნდოდა მაღარ-მესაც: მის ნაფიქრალ თვითმკვლელობაში არის რაღაც ტროროისტული დანაშაულისა. განა თვითონვე არ თქვა, რომ თვითმკვლე-ლობა და დანაშაული, ორივე ის შებუნებრივი

საქციელია, რაც ადამიანს შეუძლია ჩაიდი-ნოს. ზოგიერთს ჩვევად აქვს საკუთარ და-მა კაცობრიობის დრამაში აუცილს, მათთვის შეეძა ასეთი დამოკიდებულება მაღარმეს არც ერთი წუთით არ გამოეჩინებოდა, თუ თავს მოიკლავს, ადამიანური მოდგმა მა-ნში მთლიანად არ მოკვდება: ეს თვითმკვლე-ლობა გენოციდია. ადამიანის გაქრობის შედე-გად უოფიერებას თავისი სიწმინდე დაუბრუნ-დებოდა. ხოლო შემთხვევითობა, რაკი ად-მიანთან ერთად ჩნდება, მასთან ერთადვე გა-ქრება: „უსასრულობა, ხოლოს და ხოლოს სცილდება ჩემს ოჯახს, რომელიც მისით და-იტანჯა — რჩება ძველი სივრცე — აღარ იქ-ნება შემთხვევითობა: ...შემთხვევითობა ხომ იქაა, სადაც უსასრულობის კომბინაციები ხდე-ბა. აუცილებელი აბსოლუტის კაუჭი ამოი-ღებს იდეას“. პოეტთა თაობების მანძილზე პოეტური იდეა გამოიმუშავებდა წინააღმდე-გობას, რომელიც ამ იდეას შეუძლებლად აქ-ცვდა, ღმერთის სიკვდილმა ხოლო საბურვე-ლიც ჩამოაგდო — ადამიანური მოდგმის ხოლო ჩამოშავალს უნდა ეცხოვრა ამ წინა-აღმდეგობით, მთელი მისი სიწმინდით, და მისგან მომკვდარიყო, რითაც ადამიანური ის-ტორიის პოეტური დასკვნა გაკეთდებოდა. თავგანწირვა და გენოციდი, მტკიცება და უარ-ყოფა ადამიანისა, მაღარმეს თვითმკვლელო-ბა კამათლების მოძრაობას გაიმეორებს: მა-ტერია მატერიად აღმოჩნდება.

მაღარმეს კრიზისს მხსნელად არ მოეგლინა თვითმკვლელობა იმიტომ, რომ რაღაც „აბ-სოლუტური ელვა“ შემოიჭრა მის ფანქრებში: ნებაყოფლობითი სიკვდილის უშედეგო გამო-ცდილებამ მაღარმეს თავისი მოძღვრება აღ-მოაჩინა, თუ თვითმკვლელობის ჩანაფიქ-რი ნაყოფიერია, მაშინ მისი წყალობით, უო-ფიერების აბსტრაქტული და ამო უარყოფა შეიცვლება უარყოფელი საქმიანობით. მეგე-ლის ტრმინებს თუ მოვიშველიებთ, შეიძლე-ბა ითქვას, რომ აბსოლუტური აქტის გააზრე-ბას მაღარმე „სტოიციზმიდან“ — აზროვნების წმინდა ფორმალური აღიარებიდან თავისუ-ფალი არსებობის წინაშე — სექტიციზმამდე მიჰყავს, რომელიც განხორციელება იმისა, რის კონცეპტხაც სტოიციზმი წარმოადგენს... (სექტიციზმის მიხედვით). აზროვნება სრულ-ყოფილ აზროვნებად იქცევა, რის შედეგადაც ისპობა საშუაროს არსებობა მისი მრავალფე-როვანი განსაზღვრებების წყალობით და სა-კუთარი ცნობიერების უარყოფითობა რეა-ლურ უარყოფითობად იქცევა“. პირველი, რაც მაღარმემ მოიმოქმედა, იყო ის, რომ ზიზღი დაძლია და საშუაროს ბრალდება წაუყენა, სპი-რალის წვერზე თავშეფარებული მეჭვიდრე

„განძირებას ვერ ბედავდა“ იმის შიშით, ძირს არ ჩამოვარდნილიყო. თუმცა, ამჟერად ამბუნებს, რომ საყოველთაო უარყოფა უარყოფის არ არსებობის ბადალია. უარყოფა საქციელია, რომელიც უნდა ჩაეწეროს დროში და განხორციელდეს რაღაც შინაარსში. თვითმკვლელობაც საქციელია, რომელიც სპობს ადამიანს და მის მიერ გამოწვეული არყოფნით აშფოთებს სამყაროს. თუ არსებობა დაფარულია, მაშინ ადამიანი თავისი არსებობის დაკარგვით შეუვალ მთლიანობას აღწევს. მეტიც: მისი არყოფნა სამყაროს არსებობის შეცვრას იწვევს: არისტოტელური ფორმების მსგავსად. არყოფნა ამკიდროებს ხაგნებს, შეაღწევს მათში თავისი იდუმალი მთლიანობით, ხწორედ თვითმკვლელობის ძალა უნდა გამოიხატოს ლექსშიც. რადგან ადამიანს არ შეუძლია ახლის შექმნა, რადგან მას მხოლოდ ნგრევის უნარი აქვს, მისი თვითდამკვიდრება საკუთარი თავის მოსპობით ხდება, ამიტომ ლექსი იქნება ნგრევის შედეგი. ხოლო თუ სიკვდილის პოზიციიდან შევხედავთ პოეზიას, ბლანშოს თქმისა არ იყოს, „ეს არის საუბარი, რომელიც მთელი ძალით ცდილობს არ არსებობდეს, მისი ხიდიადე ისაა, რომ თავისი არ არსებობით საყოველთაო არარსებობა გაახსენოს უველას“. მაღარმეს შეუძლია ამაყად მისწეროს ლეფებურს, პოეზია კარტიკული ვახდაო. დიდი რისკის წყალობით მაღარმე სრულიად გაიხსნა სიკვდილის შუქში, როგორც ადამიანი და როგორც პოეტი. მას ხელი არ აუღია უველას უარყოფაზე, ოღონდ ამჟერად მისმა უარყოფამ ნაყოფი გამოიღო. მალე იგი დაწერს, რომ „ლექსი ერთადერთი ზომბი“. ხწორედ დროზე მიხვდება, რომ ტყუილბრალოდ იკლავდა თავს. შემთხვევითი არ არის, რომ თავისი „სრული ლექსების“ პირველ გვერდზე მაღარმემ დაწერა სიტყვა „არაფერი“. რადგან ლექსშია ადამიანისა და პოეზიის თვითმკვლელობა, ამიტომ სიკვდილით უნდა შეიკრას არსებობა, პოეტური ტკობის მომენტი უნდა შეესაბამებოდეს ანულირებას. ამგვარად, მისი ლექსების განხორციელებული კეშმარიტება არარაობაა: „არაფერს ექნება იდეალი, ვარდა ადგილისა“. ცნობილია მაღარმეს მიერ გამოგონებული უჩვეულო უარყოფის ლოგიკა. ისიც ცნობილია, თუ როგორ ქრება მისი კადმის წყალობით არშიები, რათა ლოგინის არარსებობა დაგვანახოს. მაშინ როცა „წმინდა ლარნაკი არარსებული ხითხით“ ისპობა იხე, რომ არ ელის არავითარ მინიშნებას უხილავ ვარდზე, არც „არარსებული მძიმე თაიგულეხით ხავსე საფლავს“. „უბიწო. ცოცხალი და დამაში დღევანდელი დღე“ იძლევა სრულყოფილ ნიმუშს ლექსის შინაგანი ანულირებისა. „დღევანდელი დღის“ მომავალი მხოლოდ ილუზიაა, აწმყო წარსულთან დაიყვანება, ბედი, რომელიც თითქოს მოძრაობდა, მხოლოდ მოგონებაა თქუქ [უხუქუ] [უქ] უიმედოდ უძრავი ხდება „სიტყვების [სიტყვების] [სიტყვების]“. მოძრაობის მოჩვენებითობა ქრება, რჩება უიწულის უხასრულო და ერთფეროვანი ზედაპირი. ფერთა და ფორმათა აფეთქება მგრძობიარე სიმბოლოს წარმოაჩენს, რასაც მოსდევეს ადამიანის ტრაგედიის დანახვა, ეს ტრაგედია კი არარაობაში ითქვიფება: ამგვარია ამ გაუგონარ ლექსთა შინაგანი მოძრაობა; ლექსთა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ჩუმ სიტყვებს და გაყალბებულ ხაგნებს წარმოგვიდგენენ. და ბოლოს, ეს გაყალბებული ხაგნები ალბათ გაგვახსენებენ იმ ხაგნის კონტურებს, „რომელიც გვისხლტება და არ არსებობს“, ხოლო მათი ხილამაზე, თითქოს „აპრიორი“ დაამოწმებს, რომ არარსებობა არსებობის მანერაა.

ყალბი საბუთია: მაღარმე ხაკმაოდ ნათელი გონების ადამიანია, იმისათვის, რომ არ იცოდეს — ვერავითარი გამოცდილება ვერ უარყოფს იმ პრინციპებს, რომელთა საშუალებითაც იგი მიიღწევა. თუ შემთხვევითობაა საწყისი, „ოდესმე კამათის გაგორება მას მოსპობს“. თუ რაიმე საქციელში შემთხვევითობაა ჩარეული, მისი იდეა სრულიყოფა ან თვითდამკვიდრებით, ან თვითუარყოფით, ლექსში შემთხვევითობაა თვითუარყოფილი: შემთხვევითობიდან დაბადებული პოეზია, რომელიც ამავე შემთხვევითობას ებრძვის, სპობს მას და თვითონაც ისპობა, რადგან მისი სიმბოლური მოსპობა ადამიანის მოსპობას ნიშნავს. ეს კი, ბოლოს და ბოლოს, მოტყუებაა, მაღარმეს ირონია წარმოიშობა იქიდან, რომ იგი კარგად იცნობს თავისი შემოქმედების აბსოლუტურ პატივმოყვარულ ხასიას და სრულ აუცილებლობას, იგი კარგად ანხვავებს წინააღმდეგობათა წყვილს, რომელშიც არ ხდება სინთეზი, განუწყვეტლივ ნაყოფიერდება და თავის თავს უარყოფს: ამ წყვილს შეადგენს შემთხვევითობა, რომელიც ბადებს აუცილებლობას, ადამიანის ილუზიას — ხუნების ნაწილი ადამიანისას, რომელიც გიფადაა ქცეული და აუცილებლობა, რომელიც კმნის შემთხვევითობას, რომელიც თითქოს მას ზღუდავს და განსაზღვრულად აქცევს კონტრაჩიო, აუცილებლობა „ფებდაფებ“ უარყოფს შემთხვევითობას ლექსებში, ხოლო შემთხვევითობა, თავის მხრივ, უარყოფს აუცილებლობას, რადგან შეუძლებელია სიტყვათა ამომწურავი ხმარება, ხოლო აუცილებლობა, თავის მხრივ, სპობს შემთხვევითობას

ლექსის თვითმკვლელობით. მაღარმე სევდიანი მისტიფიკატორია; მან თავის მეგობრებსა და მოწაფეებში დიდი შემოქმედების ილუზია შექმნა. რომელითაც უნდა შთაენთქა სამუარო, რადგან მიაჩნდა, რომ საამისოდ ემზადებოდა. თანაც იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. უბრალოდ, საჭირო გახლდათ რომ მისი ცხოვრება არარსებულ საგანს — დედამიწის ორფოსულ ახსნას მოხმარებოდა, რაც იგივე პოეზიაა: ვერ დავიჭერებ, მაღარმეს ხცოდნოდა, რომ თავისი სიკვდილით მარადიულად აქცევდა თავის დამოკიდებულებას პოეტის უშაღლეს პატივმოყვარეობასთან — ორფიზმთან, ხოლო თავის დამარცხებას — ადამიანის ტრაგიკულ უსუსურობად, ოცდახუთი წლის ასაკში საკუთარი უსუსურობის შეგრძნებით პოეტის გარდაცვალება ჩვეულებრივ ამბად აღიქმება. მაგრამ ორმოცდათექვსმეტი წლის პოეტის გარდაცვალება, რომელიც მიხვდა თავის შესაძლებლობებს და სამოღვაწეოდ განეწყო, ეს უკვე ადამიანური ტრაგედიაა. მაღარმეს სიკვდილი დაუვიწყარ მისტიფიკაციას ჰგავს.

ეს არის ქეშმარიტებით გამოვლენილი მისტიფიკაცია: „არსით ქეშმარიტი ტაკიმახხარა“, მაღარმემ თვითონ ითამაშა ერთპერსონაჟიანი ტრაგედია ოცდაათი წლის მანძილზე უველას წინაშე, რომლის დაწერაც ბშირად უოცნებია. იგი თვითონ იყო „უხილავი ღმერთი, რომელსაც არ ძალუძს სრულყოფა, უველას ნორჩი აჩრდილი, მათთან ახლოს მდგომი... რომელიც აძალბებდა ცოცხლებს იდუმალ გაჭრობას, იდუმალებით კი არსებობის მკაოვებას“. ასეთი კომედიის რთულ ხისტემაში თიოეთული ლექსი მარცხის ტოლფასი უნდა უოფილიყო, მათი სრულყოფილების დახადასტურებლად. არ იყო საკმარისი, რომ ამ ლექსებს ენისა და სამუაროს ნგრევა შეეძლოთ, არც ის, რომ თვითუარყოფას გამოხატავდნენ: ეს ლექსები ამაო სქემების სახით უნდა უოფილიყვნენ წარმოდგენილი უჩვეულო და შეუძლებელი შემოქმედების შესაბამისად, რომელსაც არ ეწერა განხორციელება მაღარმეს სიკვდილის გამო. უველაფერი წესისამებრ ხდება, თუ ხიმბოლურ თვითმკვლელობებს შემთხვევითი სიკვდილის შუქზე შევხედავთ, ხოლო არსებობას არარსებობის შუქზე განვიხილავთ. გაუთვალისწინებელი უკუქმედების წყალობით, უღმობელი სიკვდილი თითოეულ განხორციელებულ ლექსს ახსოლურტურ აუცილებლობას ანიჭებს. ისინი აღგვაფრთოვანებენ, თუმცა ავტორს არაფრად მიაჩნდა ეს ლექსები; აქ ძვეს მაღარმეს ლექსთა ხიმბაფრე, თავის ლექსებს მაღარმე უკანახენილად სიკვდილის წინა დღეს შეეხო, როცა

ვითომ მხოლოდ მომავალ შემოქმედებზე ფიქრობდა და რის შესახებაც შეუძლია და ქალიშვილს მისწერა: „მერწმუნეთ, ძალიან ღამაში უნდა უოფილიყო“ ~~ქვემოთ~~ ეს თუ ტუუილი? მაღარმეს ~~ტუუილი~~ ერთ კაცად ქცეული უველა, რომელიც მთელ დედამიწას უკვდება ატომთა დაშლის, ან მზის გაციების გამო, რომელიც ეჩურჩულება საზოგადოების გონებას, იმ საზოგადოებისა, რომლის შექმნაც უნდოდა: „დაიჭერეთ, რომ ეს ძლიერ ღამაში უნდა უოფილიყო.“

გმირი, წინასწარმეტყველი, ჯადოქარი და ტრაგიკოსი, ეს პატარა ტანის ფაქიზი და თავშეკავებული კაცი, ქალებით ნაკლებად გატაცებული, ჩვენი საუკუნის დამდეგს კვდება. მაღარმე ახალი საუკუნის მაუწყებელია. მან ნიცშეზე უფრო ძლიერად განიცადა ღმერთის სიკვდილი. კამიუზე ადრე შეიგრძნო, რომ უპირველესი კითხვა, რომელსაც ადამიანი თავის თავს უსვამს, თვითმკვლელობას ებება; მის განუწყვეტელ ბრძოლას შემთხვევითობის აღსაკვეთად სხვებიც გააგრძელებენ. მაგრამ ეს ბრძოლა აღარ იქნება იმგვარად ცნობიერი; და ბოლოს, მაღარმე იმასაც ფიქრობდა, შეიძლებოდა თუ არა, გამოსავლის მოძებნა დეტერმინიზმზე დაყრდნობით: შეიძლებოდა თუ არა მიმართულება შეცვლოდა პრაქსისს და გამონახულიყო რაიმე სუბიექტურობა სამუაროსა და საკუთარი მე-ს ობიექტურობამდე დაყვანით. იგი თანმიმდევრულად უუენებდა ხელოვნებას იმ პრინციპს, რაც ადრე ფილოსოფიის კუთვნილება იყო, ხოლო მომავალში პოლიტიკის მაქსიმადაც იქცა. ეს პრინციპია — „ქმნა და ქმნის დროს საკუთარი თავის შექმნა“. ტექნიკის გიგანტურ განვითარებამდე ცოტა ხნით ადრე ის ქმნის სრულიად ახალ, პოეტურ ტექნიკას; მაშინ როცა ტელიორი თავს უპირდა ხალხს, რომ მათი შრომა მაქსიმალურად ნაყოფიერი გამზდარიყო, მაღარმე ახდენდა ენის მობილიზებას, რომ სიტყვები სრულად ამოეწურა, მაგრამ, მე შგონი, უფრო გულისამაჩუყებელია მისი მეტაფიზიკური ტკივილი, რაც მაღარმემ მთელი სისავსითა და სისადავით განიცადა. არცერთი დღე არ ჩაივლიდა ისე, რომ მაღარმეს თავის მოკვლა არ მოსდომებოდა, და თუ ცოცხალი დარჩა, თავისი ქალიშვილის ხათრით. ეს გადავადებული სიკვდილი მას ერთგვარ მომხიბლავსა და მომაკვდინებელ ირონიას მშატებდა: ეს იყო მისი „თანდაყოლილი სინათლე“, უფრო კი მიხებური ხელოვნება „გაორებული ექვის აღმოჩენისა საკუთარ უოველდღიურ ცხოვრებასა თუ აღქმაში, რომელშიც ანგაჟირებული ჰქონდა თითოეული საგანი. მაღარმე მთლიანად პოეტი იყო, მთლიანად ანგაჟირებული

გვიხსნის: ქრონოლოგიურ წყობას — ცხოვრების მიმდინარეობას — ოდნავ ფარავს მიწვევითა რიგს — გაგებისათვის საჭირო რიგს; მოვლენა არ ვვადღევეს — იგი ფაქტისა და კანონის შუაში ძევს. დოს პასოსის დრო — მისი საკუთარი ქმნილებაა: არც რომანისეულია, და არც მოთხრობისეული. იგი უფრო ისტორიულია, სრული და უსასრულო წარსული დროები შეუსაბამოდაა გამოყენებული: უოესა და ელველინის თავგადასავალთა რეალობა წარსული დროითაა გამოხატული. თითქოს ვილაცა რაღაცას იგონებსო, ისეა აგებული თხრობა: „პატარაობისას, დიკს არასოდეს გაუგონია, მამამისი ვინმეს ეხსენებინა... „ამ წამთარს ეველინი მარტო ერთ რამეზე ფიქრობდა წახულიყო ხელოვნების ინსტიტუტში...“ „მათ თხუთმეტი დღე გაატარეს ვიგოში, ამასობაში კი ხელისუფალნი მათ მდგომარეობაზე ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ. მათ კი ეს ამბავი მოხერხებული ბქონდათ... „რომანში მოცემული ამბავი არის იმგვარი უოესა, რომელსაც სახელს ვერ მოუნახავ: მასზე ვერაფერს იტყვი, რადგან ეს-ესაა იქმნება; გვაჩვენებენ თუ როგორ ეძებს ორი კაცი თავ-თავიანთ საყვარლებს მთელ ქალაქში, მაგრამ არ გვეტყვიან, „ვერ იპოვნესო“, რადგან ეს მართალი არ იქნება სანამ შემოსარბენი გახდება რამდენიმე ქუჩა, კაფე თუ სახლი. დოს პასოსთან მოვლენას ჭერ სახელი ერქმევა, კამათლები გორდება, როგორც ჩვენს მეხსიერებაში ხდება ხოლმე: „გლენი და ჭო რამდენიმე ხნის ჩამოსულები იყვნენ მიწაზე. მაგრამ მარსელინასა და ლულუს პოვნა ჭერ ვერ შესძლეს“. ფაქტებს მკაფიო ფორმა აქვთ, ისინი უკვე შუადაა, რომ ფიქრის საგნადაც იქცნენ. მაგრამ დოს პასოსი მათ არასოდეს გაიანზრებს: თარიღთა მწკრივის ქვეშ, ვერასოდეს დავიჭერთ მიწვევითა წყობას. ეს სულაც არ არის თხრობა: ეს არის უმწიფარი, ნაკლული მეხსიერების ლულული, რომელიც რამდენიმე სიტყვით მრავალ წელიწადს ერთ პერიოდად აქცევს. უმნიშვნელო ფაქტზე კი ვრცლად ჩერდება. ზუსტად ასეთი მეხსიერება გვაქვს ჩვენ უველას, მეხსიერებაში არეული გვაქვს ფრესკები და მინიატურები. მათ არ აკლიათ რელიეფურობა, თუმცა ეს რელიეფურობა ალალ ბედზეა განაწილებული. ცოტაც და, წავაწყდებით ცნობილი იდიოტის მონოლოგს, რომანიდან „ხმაური და მძვინვარება.“ და ეს იქნებოდა ინტელექტუალური სახის მიცემა. მინიშნება ირაკიონალურზე, არეულობის მიღმა ფროიდისეული სიმწუბრის დანახვა: მაგრამ დოს პასოსი დროზე ჩერდება, რისი წყალობითაც წარსულის ფაქტები ინარჩუნებენ აწჷყოს გემოს: ეს ფაქტები

მათი განდევნის დროსაც ისეთად ჩნდება, რა სახითაც ერთადერთ დღეს წარმოგვიდგინეს: ფერთა, ხმაურთა და ვნებათა აუზნებელ არეულობად. ნებისმიერი ამბავი, გვევლინება მანათობელ მარტო საგნად, რომელიც სხვა საგნიდან არ გამომდინარეობს, უცებ ჩნდება და სხვა საგნებს ემატება. ის არის დაუნაწევრებელი. დოს პასოსისათვის თხრობა რაღაც ანგარიშია, აქედან გამომდინარეობს მისი ერთგვარად მოშვებული სტილი: „და... და... და...“ ამადღელებელი დიდი მოვლენები, ომი, სიყვარული, პოლიტიკური მოძრაობა, გაფიცვა, ქრება, ცამტვერდება და პატარა, უსარგებლო სამშვენივსებად იქცევა, იქამდე, რომ ეს პატარა სამშვენივსები ერთი მეორის გვერდით შეიძლება გავამწკრივოთ. ასე, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ზავი ამგვარადაა აღწერილი: „ნოემბრის დასაწყისში ხმა დაირხა, ზავი დაიდებო, მერე, უცებ, ერთ ნაშუადღევს, მაიორი ვუდი ქარივით შეიჭრა ეველინისა და ელინორის კაბინეტში. სამუშაოს მოსწყვიტა ორივე, გადაეხვია და შეხვირა: „აღსრულდა“, ვიდრე მიხვდებოდა მის თავს რა ამბავი იყო, ეველინმა საკუთარი თავი მაიორ მორზაუზის მკლავებში დაინახა, ამ უკანასკნელმა მას ტუჩებში აკოცა. წითელი ჭვრის ადმინისტრაციული კორპუსი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელს დაემსგავსა ფეხბურთის მატჩის საღამოს, როცა იგებს საყვარელი გუნდი: ზავის დადებამ გამოიწვია ეს. უცებ უველას წინ კონიაკის ბოთლები გაჩნდა და სიმღერაც გაისმა: „გრძელია, გრძელი მიხვეულ-მოხვეული გზა, ამ გზაზე მადლონი ჩვენი შემწეა...“. ეს ამერიკელები ისე უყურებენ ომს, როგორც ფაბრიციო მონაწილეობს ვატერლოოს ბრძოლაში. მწერლის განზრახვა, ისევე როგორც მისი მეთოდი, ნათელია გონებისათვის: წიგნის დახურვის შემდეგ დაფიქრებაა საჭირო. ვნებები და უესტები გახაგნებულია. პრუსტი ვნებებსა და უესტებს აანალიზებდა, წინა მდგომარეობებთან აკავშირებდა და ამიტომ მათ აუცილებლობას ნათელჷყოფდა. დოს პასოსს კი სურს, ვნებებსა და უესტებს ფაქტის ბახიათი შეუნარჩუნოს, ასეთ დროს უფლება გვაქვს მხოლოდ ასე თქვა: „აი: ამ ეპოქაში რიშარი ასეთი იყო, სხვა ეპოქაში კი სხვანაირი“. სასიყვარულო თავგადასავლები, გადაწყვეტილებები მსხვილ ბურთებს გვანან, რომლებიც საკუთარ ღერძზე ტრიალებენ. უველაფერთან ერთად შეიძლება შესაბამისობის დაჭერა ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და გარეგნულ სიტუაციას შორის: რაღაც ფერთა შეხამებებს მსგავსად. ამიტომ შეიძლება ეჭვიც დაგვებადოს, რომ შესაძ.

დებელია ახსნის მოძებნა. მაგრამ ამგვარი ახსნა-განმარტება ისეთვე მსუბუქი და ფუჭი იქნება, როგორც დიდ წითელ უვავილებზე დაფენილი ობობას ქსელი. და მაინც, არ გვიჩნდება რომანისეული თავისუფლების შეგრძნება, დოს პასოსი, უფრო დეტალის ინდეტერმინიზმის უსიამო შთაბეჭდილებას გვახვევს თავს, საქციელები, ემოციები, იდეები უცაბედად ერთ პერსონაჟში იბუდებს, შემდეგ კი სტოვებს მას, ისე, რომ თვითონ პერსონაჟი არაფერ შუაშია. ვერ ვიტყვი, რომ ყოველივეს შეიგრძნობს, უბრალოდ ადგენს მათ და ვერავინ შეძლებდა რაიმე კანონზომიერებით აეხსნა ამ საქციელების, ემოციებისა თუ იდეების გამოჩენა.

ახეა თუ ისე, ეს უველაფერი არსებობდა, კანონზომიერების მიღმა მყოფი წარსული გარდაუვალია. დოს პასოსმა განზრახ აირჩია თბრობის საგნად ისტორიული პერსპექტივა: მას სურს შეგვაგრძნობინოს, რომ უველაფერი წინასწარაა გათვალისწინებული. მაღრო, დაახლოებით ასე ამბობს „ესპუარში“: სიკვდილი იმითაა ტრაგიკული, რომ სიცოცხლეს ბედისწერად აქცევს“. დოს პასოსი თავისი წიგნის პირველხვევ სტრიქონებიდან სიკვდილსაა თავშეფარებული. მის მიერ მოხაზული ყოველი არსებობა თავისით წუდება, ეს არსებობები მსგავსია ბერგსონისეული მეხსიერებებისა, რომლებიც სხეულის სიკვდილის შემდეგ კვლავ ტივტივებენ და აღსავსენი არიან უვირილით, ხუნით, სინამდვილით. მაგრამ არა სიცოცხლით, თან კაცმა არ იცის ხად. ამ უმნიშვნელო და ბუნდოვან სიცოცხლეებს ჩვენ განუწყვეტლივ, ცალ-ცალკე არსებულ ბედისწერებად შევიგრძნობთ: საკუთრივ ჩვენში წარსული სულაც არ არის ამგვარი: არ არის საქციელი, რომლის ღირებულებისა და აზრისშეცვლაც არ შეგვეძლოს. დოს პასოსის მიერ წარმოდგენილი კრული საგნები, მძაფრი ფერების მიუხედავად, მაინც გაუინულია: მათი აზრი შეჩერებულია. აბა, დახუჭეთ თვალები, შეეცადეთ საკუთარი ცხოვრება წარმოიდგინოთ, ეცადეთ ის ამგვარად გაიხსენოთ: თქვენ დაიღრჩობით, სწორედ ასეთი უსაშველო დაღრჩობის გამოხატვა გადაწყვიტა დოს პასოსმა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანებს ცხოვრება კი არ გააჩნიათ, არამედ ბედისწერა. ამას დოს პასოსი კი არ ამბობს, გვაგრძნობინებს. იგი შემპარავად, ფრთხილად ახერხებს ამას და იქამდე მიდის, რომ ბედისწერის დამსხვრევის სურვილს გვიჩენს, ჩვენში იღვიძებს ამბობი: დოს პასოსის მიზანი მიღწეულია.

მაგრამ ჩვენ ხარკის უკან მდგომი შეამბობები ვართ. ამ სამყაროს შეამბობებს არ სურს

ბედისწერის შეცვლა, შეამბობებს ადამიანთა არსებული მდგომარეობის შეცვლა სურს, რაც დღითიდღე იქმნება. აწმყოს მიყოლა წარსულით ხელოვნურად შექმნა, უცხო და ლამაზი სამყაროს შექმნა, რისთვისაც ისეთივე გაუინული იქნება, როგორც წინასამარხულო საკარნავალო ნიღბები, რომლებიც შემადრწუნებელი ხდება ცოცხალი ადამიანების სახეებზე.

რა უნდა ეწოდოს მეხსიერებათა ძაფებს, რომლებიც მთელ რომანს მიუყვება? ერთი შეხედვით მოგონებათა გორგალს ქმნის ქოს, დიკის, ფიეტის, ეველინის მეხსიერებიდან წამოსული ძაფები, ზოგ ადგილას კეშმარიტად ასეა. ეს მაშინ ხდება, როცა პერსონაჟი გულწრფელია, როცა ის, ახე თუ ისე, სავსეა: „როცა ის თავისუფალი იყო, ტკივილამდე დაღლილი ბრუნდებოდა ხოლმე უთენია, პარიზის დილით, რომელსაც მარწყვის ხურნელება დატკრავდა. მას ახსენდებოდა თვალები, ოფლში გაწუწული თმა, ტალახითა და შედედებული სისხლით დაფარული, გაშეშებული თითები...“. მაგრამ, ხშირად მთბრობელი ერთს ამბობს, პერსონაჟი კი მეორეს ხჩადის, თუმც მათ შორის ფარული თანამზრახველობა იგრძნობა, მთბრობელი გარედან ყველა იმას, რისი მოყოლაც თითქოს პერსონაჟს ენდომებოდა. ამ თანამზრახველობის წყალობით დოს პასოსი მისთვის ხასურველ გადასვლას გვაკეთებინებს, ისე, რომ გვაფრთხილებს: ჩვენ აღმოვჩნდებით უცებ საშინელი მოგონების შიგნით, რომლის თითოეული მოხაგონარი ცუდად გვხდის, ასეთი მოგონება უცხოდ გვაქცევს და უკვე აღარც პერსონაჟს ეკუთვნის და აღარც ავტორს: გეგონებათ ქოროაო, ქორო, რომელიც იხსენებს, სენტენციური და თანამზრახველი ქორო: „მიუხედავად ამისა იგი კარგად სწავლობდა სკოლაში, მასწავლებლებს ძალიან უყვარდათ, განსაკუთრებით ინგლისური ენის პედაგოგს მისს ტიგლს, რადგან კარგად იყო აღზრდილი და სხვების გასაციინებლად უმნიშვნელო რამეების თქმაც იცოდა ხოლმე. ინგლისური ენის მასწავლებელი ამბობდა, თავისუფალი თემები ინგლისურად კარგად გამომდისო. ერთხელ, შობა დღეს, მან მასწავლებელს გაუგზავნა ლექსად დაწერილი პიესა ურმა იესოზე და სამ მეფეზე, ამის შემდეგ მასწავლებელმა გამოაცხადა, იგი ნიჭიერიო“. თბრობა ოდნავ ყალბ იერს იძენს და უველაფერი, რასაც გმირის შესახებ გვაწვდიან, საზეიმო და ხარეკლამო ინფორმაციის სახეს იღებს. — „მან გამოაცხადა, რომ იგი ნიჭიერიო“. ფრაზას არ ახლავს არავითარი კომენტარი, მაგრამ კოლექტიური რეზონანსის სახეს ღებულობს. ეს არის დეკ-

დარწმუნა. მართლაც, როცა არ უნდა მოგვინდუნ პერსონაჟთა აზრების გავება. დოს პასოსი მათ შესაბამის დეკლარაციებს გვაწვდის: „ფრედი აცხადებდა, წასვლის წინა დღეს გულს გავიხარებო. ხომ შეიძლება ფრონტზე მოექლათ. აბა, როგორ მოქცეულიყო? დიკი პასუხობდა. ქალებთან ლაულობა მიუვარს, ამახ უფრო ვაჭრული ხასიათი აქვს და ამიტომ მეზიზღებაო. ხოლო ედ შუილერი, რომელსაც მათ ფრენჩი დაარქვეს. და რომელიც ევროპული მანერების მიმდევარი იყო. ამბობდა, ქუჩის ქალები ძალზე ბრიყვები არიანო“, ვფურცლავ „პარი სუარს“ და ვკითხულობ: „ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი გვატუობინებს: ჩარლი ჩაპლინი აცხადებს, პატარა ჩარლი მოვკალიო“. მივხვდი, პერსონაჟების სიტყვები დოს პასოსს ჩვენამდე პრეხისთვის დამანახსიათებელ ხტილში მოაქვს. ეს სიტყვები ერთი ხელის მოხმით ცალკეედება აზრისაგან, რჩება ცარიელი სიტყვები. უბრალო რეაქციები, რომლებიც ბიშევიორისტებივით უნდა შევაფასოთ. როცა უნდა, ბიშევიორისტები ხდებიან დოს პასოსის შთაგონების წყაროდ. ამავე დროს სიტყვა სოციალურ მნიშვნელობასაც იძენს: ის იქცევა წმინდა და მაქსიმალურ სიტყვად. რა მნიშვნელობა აქვს, რა მქონდა დიკს გონებაში, როცა ეს სიტყვა წარმოსთქვა, ფიქრობს თვითკმაყოფილი ქარო. მთავარია, რომ ეს სიტყვა ითქვა: სხვათაშორის, ეს სიტყვა შორიდან მოდიოდა, ვიდრე დიკი ხმას ამოიღებდა, ეს სიტყვა კომპიუტური და ტაბულირებული ხმაური იყო: უბრალოდ, დიკმა მას მტკიცების ძალა მიანიჭა. თითქოს არსებობდეს სიტყვების ცა და შაბლონები, საიდანაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია სიტუაციის მიხედვით ჩამოხსნას საჭირო სიტყვები. ასევე შესტების ცის წარმოდგენაც შეიძლება. დოს პასოსს ხურს შესტები წმინდა წყლის ამბებად მოგვაჩვენოს, გარეგნულ იერად და ცხოველის თავისუფალ მოძრაობად წარმოგვიდგინოს; ეს ერთი შეხედვით: ყოველივე ამას ქოროს შეხედულებისა და საზოგადოებრივი აზრის სახით წარმოგვიდგენს. დიკისა და ელინორის თითოეული შესტი რაღაცის გამონატულებაა, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს კვერის დამკვრელი ჩურჩული. „შანტილში ციხე-კოშკი დაათვალიერეს და ნაპრალებში კარბები დააპურეს... ისაუშმეს ტყეში, კაუჩუკის ბალიშებზე ჩამომხსდრებმა. ე. ვ. -მ ყველა გააცინა: თქვა: პიკნიკები მეჭავრებაო და იკითხა, რა აიძულებს ჭკვიან ქალებს, პიკნიკებს რომ მართავენო. საუზმის შემდეგ სენლიმდე მივიდნენ, რათა ომის დროს დაწვრული სახლები დაეთვალიერებია.

ნათ.“ ხომ შეიძლება წავიხსნოთ ძველ თანამებრძოლთა ბანკეტის შესახებ დღილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობად ჩავვეთვათ? რაც უფრო პატარაა შესტი და რაც უფრო წვრილ-სამცხვად იქცევა, მით უფრო ვამჩნევთ. რომ მას აზრი აქვს, ანუ გვავალდებულებს და მით უფრო წმიდათა წმიდაა. ვისთვის? ვისთვის და „ყველას“ სულმდაბლური ცნობიერებისათვის, ჰაიდგერის თქმით. „დახ მანს“-ისათვის. მაგრამ, ვისი წყალობით იბადება ამგვარი ცნობიერება? ვისშია ამგვარი ცნობიერება იმ დროს, როცა მე ვკითხულობ? ვისში და ჩემში. ვიდრე სიტყვებს გავიგებდე, ვიდრე პარაგრაფებს აზრს მივანიჭებდე. საჭიროა, ჭერ „ყველას“ თვალსაზრისი გავიზიარო და დაუზარელ ქორად ვიქცე, ამ ცნობიერებამ ჩემით უნდა იარსებოს: უჩემოდ თეთრ ფურცლებზე მხოლოდ შავი ლაქები იქნებოდა, მაგრამ, სწორედ მაშინ, როცა მე ვარ კოლექტიური ცნობიერების მატარებელი. მინდება მოვწყდე ამ ცნობიერებას და მას მხაჯულივით მოვეკიდო: ანუ მსურს საკუთარ თავს მოვწყდე. სწორედ აქედან წარმოიშვება ის მორიდება და უხერხულობა, რასაც ასე წარმატებით იწვევს დოს პასოსი მკითხველში. ჩემდა უნებურად თანამზრახველი ვხდები. ჩემდა უნებურად არც მაინცდამაინც დარწმუნებული ვარ თანამზრახველობაშიც, თვითონ ვქმნი და თვითონვე უარვეყოფ ტაბუს: და ეს მეორდება ჩემს გულში, ჩემს წინააღმდეგ, რევოლუციონერი ვხდები.

სამაგიეროდ, როგორ მეზიზღება დოს პასოსის კაცები! ერთი წამი ხაკმარისია იმისთვის, რომ დამანახვონ მათი ცნობიერება და მე უკვე ვიცი, რომ ისინი ცოცხალი ცხოველები არიან, რომლებიც გაუთავებლად განავრცობენ თავიანთ რიტუალურ განაცხადებს და შეუვალ შესტებს. არ არის გათიშულობა მათ შინაგან მხარესა და გარეგნულ იერს შორის, არც მათ ცნობიერებასა და სხეულს შორის, შეუსაბამობა იწყება მათ მიერ ლულულთ ნათქვამ მორიდებულ, მიკიბულ-მოკიბულ, ინდივიდუალურ აზრსა — რომლის გამონატვაც სიტყვებით მოუხერხებელია — და კოლექტიური აზრებით შეკონწიწებულ სამყაროს შორის. რა უბრალო და ნაყოფიერია ამგვარი მეთოდი: საკმარისია ცხოვრების მოყოლა ამერიკული შურნალისტიკის ენით და ცხოვრება უკვე სოციალურად დაკრისტალიდება, როგორც დაემართა ზალცბურგის განშტოებას, ამავე დროს წარმატებით იჭრება ტიპურზე გადახვლის პრობლემაც, რაც სოციალური რომანის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. აღარ გვჭირდება ტიპური მუშის

წარმოდგენა. აღარ ხდება საკირო ათასობით არსებობის საშუალო არისტოკრატიული გამოყვანა. როგორც ეს ნიჟანმა გააკეთა „ანტუან ბლუაიეში“. დოს პასოსი, პირიქით, თავის ძალას ცხოვრების გამორჩეულად გადმოცემას აბზარს, თითოეული მისი პერსონაჟი განუყოფელია, თითოეულს ის ემართება, რაც სხვას არ შეიძლება დაემართოს. თუმცა, მერე რა, სოციალურმა ფაქტორმა ასეთ პერსონაჟს ხომ უფრო დაასვა დაღი, ვიდრე ამას რაიმე განსაკუთრებული სიტუაცია მოიტანდა. რადგან სოციალური ფაქტორი თვითონაა. ამგვარად, ბედისწერათა შემთხვევითობისა და დეტალის აღმათობის მიღმა ჩვენ ვამჩნევთ უფრო დახვეწილ სიმწუბრეს. ვიდრე ზოლას ფიზიოლოგიური აუცილებლობაა, ანდა პრუსტის ფსიქოლოგიური მექანიზმია; ეს არის შთამბეჭდავი და უშფოთველი იძულება, რომელიც თავის მხვერპლთ ნებაზე უშვებს, რომ კვლავ ჩაბლუჯოს მათდაუნებურად: ესაა სწორედ სტატოკური დეტერმინიზმი. ხომ ცნობილია, რომ წნევა, რომლითაც ნაზი ქურჭლის კედლებს აწვება, არ არის დამოკიდებული მის შემადგენელ მოლეკულათა ინდივიდუალობაზე.

ჩვენ ისევ სარკის მეორე მხარეს ვართ. გუშინ თქვენ ნახეთ საუკეთესო მეგობარი და მასთან გამოთქვით დიდი ზიზღი ომისადმი. ახლა შეეცადეთ თქვენი ურთიერთობა მეგობართან დოს პასოსის უაიდაზე გადმოხსენებთ. ეს ასეთ სახეს მიაღებს: „მათ ორი კათხა ლუდი მოითხოვენ და თქვენს ომი საზიზღრობააო. პოლმა განაცხადა, ბრძოლას უველაფერი მირჩევნიაო, უანმა თქვა, მეც ამასვე ვფიქრობო. ორივე აღელდა და თქვენს, რა კარგია, ერთნაირად რომ ვფიქრობთო, შინ რომ დაბრუნდა, პოლმა გადაწყვიტა, უფრო ხშირად ენახა ხოლმე უანი“. თუ ასე დაწერთ, საკუთარი თავი შეგძულდებათ. დიდი ხანი არ დაგვირდებათ იმის მიხაზვედრად, რომ საკუთარ თავზე ასეთი ტონით ლაპარაკი არ შეგიძლიათ. რაც არ უნდა ნაკლებად გულწრფელი იყოთ, თქვენ ასეთი არაგულწრფელობით ხართ მიჩვეული ცხოვრებას, ასეთ არაგულწრფელობას განახახიერებდით სულ მარტო, თანდათან ახანგრძლივებდით ასეთ არსებობას შემოქმედებით. და თუ გაებით კოლექტიურ წარმოდგენათა ბადეში, საამისოდ ინდივიდუ-

ალობის უარყოფა დაგვირდებოდა, ჩვენ არც მექანიზმები ვართ და არც რაიმე ატანილები; უარესები ვართ: თვისუფლები ვართ ან მათად გარეგან კოლექტიურ შემთხვევად შინაგანში. დოს პასოსის კვლევებში-გარეგანი პიბრიდია. ჩვენ მასთან ვართ, მის შიგნით, ვცხოვრობთ მისი მერუევი, ინდივიდუალური ცნობიერებით, ის კი უცებ დათმობაზე მიდის. სუსტდება და ითქვიფება კოლექტიურ ცნობიერებაში, ჩვენ თან მივუვებით და უნებურად გარეთ აღმოვჩნდებით. სარკის უკან მდგომი კაცის, უცნაური, საზიზღარი და მომნუსხავი არსებისაგან გარეთ. მუდმივი გადახველების წყალობით დოს პასოსი მალალ შედეგებს აღწევს. არაფერი ვიცი ქოს სიკვდილზე უფრო შთამბეჭდავი: „...ქო კარისაკენ იხევდა, როცა სარკეში დაინახა ერთი აწოწილი კაცი, რომელსაც ორივე ბელით ბოთლი ჩაებლუჯა, მისთვის თავში რომ დაეშვა. ქო შეეცადა მოტრიალებულიყო, მაგრამ საამისოდ დრო არ ეყო. ბოთლმა კეფა ჩაუშტვრია და უველაფერი დამთავრდა“, ჯერ პერსონაჟის შიგნით ვიმყოფებოდით, ვიდრე კეფაში ბოთლი მოხვედებოდა, ამის შემდეგ კი უმალ გარეთ აღმოვჩნდით, კოლექტიურ მენსიერებაში, ქოროსთან ერთად, რომელმაც თქვა: „და უველაფერი დამთავრდა“. ვერაფერი გვაგრძნობინებს უკეთესად მოხპობას. ამ ეპიზოდის შემდეგ, თითოეული გადაშლილი გვერდი, რომლებზეც უკვე სხვა ცნობიერებებია მოცემული, საიდანაც ჩანს სხვა სამყარო, რომელიც ქოს გარეშე აგრძელებს სიცოცხლეს, ქოს სხეულზე დაურილ მიზის ბელტებს ჰგავს. მაგრამ ეს სიკვდილი სარკის მეორე მხრიდანაა. რადგან ჩვენ აღვიქვამთ მხოლოდ არარაობის ლამაზ გარეგნობას. ნამდვილი არარაობისა არც განცდა შეიძლება, არც გააზრება. ჩვენს ნამდვილ სიკვდილზე ვერც ჩვენ ვიტყვიტ რაშეს, ვერც ვერავინ ჩვენს შემდეგ.

დოს პასოსის სამყარო შეუძლებელი სამყაროა, ისევე როგორც ფოლკნერის, კაფკას ან ხტენდალის სამყარო, იმიტომ რომ წინააღმდეგობრივია. ამიტომაცაა მისი სამყარო ლამაზი: სილამაზე ხომ შენიღბული წინააღმდეგობრიობაა, დოს პასოსი ჩვენი დროის უველაზე დიდ მწერლად მიმაჩნია.





ესპანურიდან
თარგმნა მერი ტიტვინიძე

ესპანეთის თანამედროვე მარაზმისათვის

ჩემი ქვეყნის მიწა-წყალზე რომ დავებებოდი, სულ იმას ვფიქრობდი, ეგებ სადმე ეროვნულ დვრიტას მივაკვლიო-მეთქი, მაგრამ, რაც უფრო თავგამოდებით ვეძებდი წმინდა ეროვნულსა და ტრადიციულს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რა ამოცანა იყო ჩემი გარჯა, ამ მუდმივად ცვალებად ხალხსა და მის კულტურაში თვითმყოფადისა და შექმნილის ერთმანეთისაგან გარჩევას რომ ვლამობდი. გარემოსთან შერწყმა-შეთვისების ისეთი უნარი გააჩნია ადამიანს, იმდენად ურთიერთგანპირობებულთა მისი მოქმედებები და უკუმოქმედებები თუ კავშირები სამყაროსთან, რომ მართლაც დახლართულ ლაბირინთში ამოყოფ თავს, თუკი ეცდები და ერთი რომელიმე ადამიანის ანდა მთელი ხალხის ნიშანდობლივი თვისებების დადგენას მოინდომებ. მით უმეტეს, რომ მათი ცხოვრების ერთი წუთი შეორეს არა მგავს.

ამის მიუხედავად, მე მაინც ვცადე ასე თუ ისე დაშვასათებინა ჩვენი თვითმყოფადობის არსი, გამერკვია, რანაირად შეძლო კახტილიულმა ერმა მისტიკაში თავისი ხასიათების სხვადასხვაობაზე მალლა დამდგარიყო და მასში განსაზიერებულყო; რანაირად აღამალლა რენესანსის ეპოქამ მატერიალური სულის თავისუფლების ქეშმარიტ მოძღვრებამდე, რომელსაც თვითჩაღრმავებისა და სასყაროსგან მოწყვეტის ინკვიზიტორულმა ტალღამ გადაუარა. ახლა კი ამ თვითჩაღრმავებისა და ეროვნულ ნიყარაში ჩაკეტვის შედეგები განვიხილოთ.

ესპანეთის საზოგადოება ღრმა კრიზისს გა-

ნიცდის; ამ საზოგადოების წიაღში ხდება შიდა შეთანხმებები, თანამდებობის პირთა ხშირი გადანაცვლება-გადმონაცვლება, ამას ემატება დაყოფა-დაქუცმაცებისაკენ ჩვენი მიდრეკილება და ბოლოს, ყოველივე ეს უიმედო მარაზმითაა დაღდასმული; ასეთი კრიზისის ვითარებაში მხოლოდ ქეშმარიტ ეროვნულ ხასიათს შეეძლო დაძაბუნებულ ერში გაეძლო და კიდევ გამოვლენილიყო, თუმცა არცთუ ცოტანი არიან უკვე ბრწყინს სტალიაში.

ჭერ ისევ ძალაშია ადრინდელი მეომრულ-მბრძანებლური სულისკვეთება, ოღონდ ეს კია, ჩვენი საზოგადოება დღესდღეობით ისე ცხოვრობს, ვითარცა ჭარისკაცი ყაზარმაში ანდა ვითარცა დონ კიხოტი, რომელიც თავისი მეკუჭნავისა და დისშვილის წყალობით ვითომდა ბრძენი ფესტონის თილისმის ძალით ამოქოლილი ბიბლიოთეკის გარეთ დარჩა. მაგრამ ჩვენში დროდადრო იფეთქებს ხოლმე რისხვაცა და სურვილიც, ერთი კიდევ მოვაწყობოთ ლაშქრობაო, და ასეთ ბედნიერ წუთებში ბუკის საომარი ხმაც გაისმის, თეატრალური მოწოდებებიც, შეურაცხყოფისთვის შური ვიძიოთო. ერთი სიტყვით, დიდ აურზაურს ავტებთ ხოლმე, მაგრამ გაგვივლის ეს ციებ-ციხლება და ყველაფერი ისევ მიუჩქდება. ამგვარ ვითარებაში არ შეიძლება ან კრისტეს ერთი მსახური არ გამოჩნდეს, ვინც თავის მოძღვრებს მოუწოდებს — თქვენი მაღალი მოვალეობის აღსრულების უამს ქეშმარიტად, წმინდა სულით აღივსებით და ომში მიმავალი მეომრები გაამხნევე-

1 სულის დე ლეონი, აღორძინების ეპოქის პოეტო, რომელსაც სდევნიდა ინკვიზიცია.

თო, ანდა ისეთი მთავარხარდალი, ადგილობრივ მკვიდრთა ხოფლებსა და საცხოვრებლებს მიწასთან რომ მოასწორებს, როგორ გაბედეთ და იარაღს ხელი მოჰკიდეთო. ჩვენ კი ისევ ისე გვჭერა ჩვენი უღაფო ქველობისა. ბნედიანისა არ იყოს, მარტო ენერჯის უეცარ მოზღვავებაში რომ ვლინდება, და ცნობილ გენერალს, „უველაფერი ერთია!“ ლორდ ველინგტონზე ნაკლებ პატივს არ მივაგებთ.

ამ სულითკვეთებას თან ახლავს — ოღონდ რამდენადმე შერბილებული სახით, — შრომისადმი ზიზღი, რაც, თავის მხრივ, უამრავ სიძნელეებს წარმოშობს.

ადრინდებულად აღგვაფრთოვანებს წმინდანების კულტი და პიროვნებებს უგუნური თვითნებობის მიხედვით ვაფასებთ. ერთნი აღმერთებენ სიჯიუტეს და გაქვევებულობას მუდმივობად ნათლავენ; მეორენი ხასიათთა სიღარიბეს უჩივიან და მათში მტკიცე ხასიათის ადამიანთა ნაკლებობას გულისხმობენ. ასეთ თუ ისე, ხან უგუნური თვითნებობა გვმართავს და ხანაც ფატალური უნებისყოფობა.

რაკი ასე აღგვაფრთოვანებს წმინდა სახის ნებისყოფა თუ ანარქისტული გამოხდომები და პატივისცემითაც ვეკიდებით მათ, სამუდამოდ განვამტკიცებთ ჩვენი ნების მიღმა მოქმედი სოციალური კანონების, კარგი ტონისა და უაღბლი პირობითობის მძიმე ტვირთსაც. რაც ასე რიგად ორგუნავს ადამიანს, როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გაუწიოს მან, მაგრამ ურომლისოდაც ფეხქვეშ ნიადაგს ვერა გრძნობს. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური პარტიების ბრძანებას დამორჩილებულ დისციპლინაზე უფრო დიდი სიბრძნვე არ გამოიგია. მათ კი „სახელწოდანი ლიდერებიც“ ჰყავთ და ფარისევლებიც, რომელთა ვალია, ეამებათ თუ არ ეამებათ, მაინც ზარ-ზეიმით შეასრულონ თავიანთი სამსახური დღესასწაულებზე. ისინი კიდევ განკვეთენ და კიდევ ადასრულებენ კონფირმაციას, აგზავნიან ენციკლიკებსა და ბულას. დასაშვებია სქიზმაც, თავთავიანთი ორთოდოქსებიც ჰყავთ და ერეტიკოსებიც გამოუჩნდებათ ხოლმე, თან კრებებსაც იწვევენ.

მოჩვენებითი ეგოისტური ინდივიდუალიზმისა და განსაკუთრებულობის ჭარბად შეგრძნებას თან ერთვის პიროვნულობის უქონლობა; შინაგანი დაუმორჩილებლობა მხარდამხარ მიძევება გარეგან დისციპლინირებულობას; ვასრულებთ, მაგრამ არ ვემორჩილებით.

ან საზოგადოებაში, სადაც ერთ ჯმარიალთა მგორე სძულს სრულიად უშიშროდ. ისე რომ

1 სქიზმა — მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში გასხვოვება, ერთიანი ეკლესიიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა

არც კი იცნობს. — უველაზე საგალოლო ბარბაროსული დაქუცმაცებულობა, ნოლო აქედან იმაში ვეძებთ გამოხავალს, რომ ვქმნით მკაცრად დისციპლინირებულებს, კომისიებსა და ქვეკომისიებს, უღებწვესი გაფორმებულ პროგრამებსა და ვიგონებთ ათასგვარ სხვა სისულელეს, ისევე როგორც შორეულ წარსულში, ამ დაქუცმაცებულობას ემატება კიდევ რწმენაც რაღაც არაამქვეყნიურის, გარედან მიღებული კანონების, მთავრობისა, რომელსაც ხან ღმერთად საბავენ და ხანაც ეშმაკად, რადგან კანონის მორჩილ ჩვენს მანიქველებს² სჭერათ, ღმერთი ორბუნებოვანიო.

თანდათან ვხვდებით, რამდენად გვაკლია შინაგანი თავისუფლება. რადგან გვგონია, სრულიად ვსარგებლობთ გარეგნული თავისუფლებით, თუკი არავინ გვიკრძალავს. ჩვენი დღევანდელი ესპანეთის საზოგადოება ერთიანად მოიცვა უზომო ერთფეროვნებამ და ერთხაზოვნობამ. მანვე მიიყვანა იგი მოღუენებამდე, საშინელი უხამსობა ტყვიასავით დააწვა და გასრისა უოველივე.

ჩვენი ვონება ასევე შემოინახავს წარსულის მთელ მემკვიდრეობას თავისი დებატითა და ნადლით.

სულ არ შენელებულა გათიშულობის ტენდენცია; იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა უკიდურესობისკენ ჩვენი ინსტიქტური ლტოლვა, რომ სავარაუდო შუალედური ხაზი მარტო ამ უკიდურესობათა შენაერთსდა წარმოადგენს. ასე რომ, შეიძლება კვიეტიზმით შეკაშმული რევოლუციონერობის, პროგრესულობისა და რეგრესულობის დომხალი კონსერვატულობადაც მოვნათლოთ; ერთნი წმინდა სახის ევოლუციისთვის იბრძვიან, მეორენი წმინდა სახის რევოლუციისთვის; ბოლოს ეს უველაფერი იქითაა მიმართული, რომ მთლიანი გათიშონ და ჩამოუყალიბებელი ჩამოაყალიბონ.

გათიშულობის ეს ტენდენცია, მეტად კალერიდოსკოპურ წარმოდგენას რომ ვვიქმნის ამ სამყაროზე, ისეთ წვრილმანებშიც იჩენს ხოლმე თავს, როგორიცაა თუნდაც საგაზეთო წერილი, რომელიც მხოლოდ წინასწარ მოფიქრებული მახვილსიტყვაობის გამოხაჩენად იწერება, თუ

2 მანიქველები — რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრები, რომელიც წარმოიშვა III საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში და რომლის თანახმად სამყაროს მართავეს ორი ძალა: კეთილი და ბოროტი, სინათლე და სიბნელე; წარმოადგენს ქრისტიანობისა და მახდენობის ერთგვარ ნარევს.

სიცარიელე. უზომო უფერულობა და უხამსობა. ტაბოადასა და სილას² უიმედო უგერგილობა ისევე არეკლავს გარემომცველ რეალობას. როგორც კალდერონის მძლავრი სისადავე როცა ვკითხულობთ, რა ხმაური ატყდება ხოლმე რომელიმე მეცნიერული თუ ლიტერატურული მოვლენის ირგვლივ, ვთქვათ, პარიზში, ამ მართლაცდა ფუსფუსა ჭიანჭველების ბუდეში, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან სხვადასხვა ლიტერატურული ხალონები თუ ათასნაირი მოძღვრებები, თან უველაზე უფრო ექსტრავაგანტულიც კი, ხოლო მერე ფიქრით მოვბრუნდებით ჩვენკენ. მაშინ ვამჩნევთ, რა ღრმა კოლაფსში ჩავცვივ-ნულვართ და გული გვტკივა.

ერთი განათლებული ესპანელი ოდნავ თუ განსხვავდება მისი ბადალი კულტურული ევროპელისაგან, მაგრამ აბა ნახეთ, რა უზარმაზარი სხვაობაა რომელიმე ესპანურ სოციალურ ჯგუფსა და მისივე მსგავს უცხოურს შორის! და მაინც საზოგადოება ატარებს თავის თავში თავისივე წევრების ყველა ნიშან-თვისებას. ჩვენი საზოგადოების, ისევე როგორც მასში შემავალი ცალკეული ინდივიდუუმების დამახასიათებელი თვისებაა მეტად შენელებული ფსიქიკური რეაქცია; იგი ძალზე გვიან იღებს რაიმე შთაბეჭდილებას, — თუმცა ერთი შეხედვით მოგჩვენებათ, აღქმის უნარი არცთუ ურიგო აქვსო, მაგრამ სინამდვილეში ეს ზერედე აღგზნების მეტი არაფერია, — ასევე დაგვიანებით თავისუფლდება ამ შთაბეჭდილებისაგან; ჩვენ ვერც ახლის დროზე მიღებას ვასწრებთ და ვერც ძველთან დროზე განშორებას, იქნება ეს იდეა, ადამიანი თუ ჩვევა.

ჩვენი ინტელექტუალური თუ მორალური ცხოვრების წიაღში არ არის ცოცხალი ნაკადი; ეს უფრო ხავსმოდებულ გუბესა მგავს, ვიდრე შჩქეფარე წყაროს, შიგ რომ ქვა ჩააგდო, ოდნავ თუ შეარბევს მის ზედაპირზე ლემნას, ანდა ფსკერიდან თუ წამოშლის ლამს და წყალს აამღვრევს. ასე რომ, ძილისმომგვრელი ატმოსფეროს მიღმა გადაჭიმულია სულიერი უდაბნო, შემზარავი უნაყოფობა; არსად არ იგრძნობა სიგრილე და სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი, არ არის ახალგაზრდობა.

აი, რა არის საშინელი სათქმელი — არა გვუავს ახალგაზრდობა. ახალგაზრდები კი

¹ ტაბოა და ლუის — XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. მწერალი, იუმორისტი, პოპულარული იყო მეშჩანურ წრეებში.

² სილა ფრანსისკო — ამავე ეპოქის მხატვარი-კარიკატურისტი.

გვუავს, როგორ არა, მაგრამ ახალგაზრდობა არა გვუავს. არა გვუავს იმიტომ, რომ ფარულმა ინკვიზიციამ და ბებრულმა ფორმალისმმა გასრისა იგი. ევროპის სხვა ქვეყნებში დროდადრო მაინც გაიღვებენ ხოლმე ახალ-ახალი, თუნდაც უმეტესწილად ცოლმელა ვარსკვლავები, გაუღვებისთანავე რომ ქრებოდნენ, როგორც კერპებიც გამოჩნდებიან და სეზონის გენიოსებიც, ჩვენში კი ვერც ამას ნახავ, სულ ერთი და იმავე ფრაკებში გამოწყობილი, ერთი და იგივე ფრანტები ირევიან.

იტყვიან, ცოცხალი და ნაყოფისმომცემი ყლორტები ჩვენშიც ამოიყრის ხოლმე, თუმცა შეიძლება ერთბაშად ვერც შეამჩნიოთო. მაგრამ ისეა მოსწორებული და მოტკეპნილი ნიადაგი, რომ ღრმად ჩაგდებული თესლი გაქვავებულ ზედაპირს ვერ ამოხეთქავს და უინფლს ვერ გატებს. ერთი ჩვენი თანამემამულე, რომელმაც ლამის სიბერეში შედგა ფეხი, მაგრამ მაინც შემორჩა რწმენა, ძალა და ქაბუკური ენთუზიაზმი, ამტკიცებს, ჩვენში ახალგაზრდები მარტო ოცდაათ წლამდე იძლევიან იმედს, მერე კი ნამდვილ უუუუუუუად გადაიქცევიან ხოლმე, უფრო სწორად, კი არ გადაიქცევიან, არამედ გადაიქცევენო; მათ აშთობს ჩვენი ბრძანებასდამორჩილებული და ჩვენი სულელური გაფუჭულობის უხეში და შეუვალი რუტინა. მათ ხომ კეთილმოსურნის თვალით, გამგებნიანი მზერით არავინ შეხედავს; მაინცდამაინც სხვანაირები უნდათ რომ დაინახონ და არა ისეთები, როგორებიც არიან, ჩვენი შეუწყნარებლობის დახვესებული სული ვერაფრით ვერ შეგუებია იმას, რომ უოველი ადამიანი თავისი არსისა და ბუნების თანახმად უნდა ვითარდებოდეს.

ამას წინათ ერთმა კრიტიკოსმა წინადადება წამოაყენა, „ელ ესპანიოლას“ მეოთხე გვერდი დამწეებ, უცნობ მწერლებს დავუთმოთო, მოყვარულთა თეატრის მსგავსად, სულგრძელი ილუზია! მაშინ კი გამოვარჩევთ ნორჩ ყლორტებს? მერედა ჩვენ ხომ სწორედ ის გვაკლია, რასაც კარლაილი ხალხის გმირობას ანდა ხაკუთარი გმირების ამოცნობის უნარს უწოდებდა, ვთქვათ, კიდევ წამოიწყეს უმარვილებმა უამრავი მყვირალა ხახელით. ინტელექტუალურ ცხოვრებაში, ისევე როგორც ტავრომაქიაში, ასევე ფორმალისმით რომაა დაავადებული, თუ მოხუცი ტორეროს ლოცვა-კურთხევა არ მიიღე, ისე ნოველიეროდან ვერახოდეს გამოაღწევ.

ახალგაზრდობისადმი ამ უსულგულო დამოკიდებულებას ემატება რაღაცნაირი ცრუმორწმუნეობრივი სერვილიზმი მირონცხებულთა მიმართ. ჩვენ უოველნაირად ვცდილობდით დაუზოგავად, გახელებით გაგვეთელა და მოგვეშთო ნორჩი ყლორტები, ამოგვეძირკვა ამონაყარიცა და ნორჩი ბუჩქებიც, მაგრამ ხელიც არ დაგვი-

კარბია ბებერი მუხის ფიორების, კოჭრებისა და კორძებისათვის, თითქოს დიდი წმინდა და ხელშეუხებელი რამ უოფილიყო! რამდენი ახალგაზრდა დაუღუპავს ჩვენს საზოგადოებას აყვავების ხანაში; ისინი ხომ მარტო იმას ხედავენ, რაც გაკეთებულია და გამოკვეთილია, მაგრამ ვერ ამჩნევენ იმას, რაც ჭერ კიდევ იქმნება. დაიღუპა უფელა, ვინც დროზე ვერ ჩაეწერა რომელიმე მასონურ ღრუაში, თეთრი იქნებოდა, შავი, მწვანე, წითელი თუ ლურჯი.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ერის სიღარიბის გამო ძალზე ჭირს ცხოვრებაში ფეხი მოიმაგრო და რაიმეს მიაღწიო; ახალგაზრდები ძალზე გვიან წყდებიან დედის კალთას, გვიან ფრინდებიან ბუდიდან, მერე კი მთელ თავს დაზოგილ ძალებს პატრონის ძებნას ანდომებენ, ვინც ამ ყინულის სავანიდან თავს გააღწევიანება.

ნიჭსა და ძალას არ ზოგავენ, ოღონდაც თამაშიდან არ გამოიყვანონ, კამეღეონებივით იცვლიან ფერს, მორუხო-მონაცრისფეროდაც კი გადაიქცევიან, რომ გარემომცველ ფონზე არ გამოარჩიონ და ამას მშვენივრად ახერხებენ, მაგრამ როცა ახე აქტიურად აგუებენ თავს გარემოს და გარემოს კი თავის თავს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მართლა ეგუებიან; ისინი უბრალოდ პასიურად ესადაგებიან ვითარებას.

ჩვენ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ და როცა კაცს შია, აღარც მხიარულებისთვის სცხვლა. ჩვენი გონებრივი ჩამორჩენილობაც ხომ ეკონომიური სიღატაკის ბრალია; უფელაზე უფრო ცოცხალი და ჭაბუკური ძალები იხარჯება მოწყობაზე, თბილი ადგილისთვის ბრძოლაზე; დაბეჭითებით ვიტყოდით, რომ სოციალურ ფენომენტა იერარქიაში პირველი, მთავარი და გადაწყვეტი მანც ეკონომიური პრინციპია.

ჩვენი ეროვნული უბედურება, სხვათა შორის, იმდენად სიღარიბე რა არის, რამდენადაც უოყლოჩინობა, არავინ შეგვატყოს, ღარიბები ვართო. საბრალო აღონსო კეთილს განა მარტო სარაინდო რომანების კითხვამ გამოუფიტა გონება. თუმცა კი მათ კითხვაში ათენ-ალამებდა; ცხვრის ხორციით მომზადებულმა ოლის სიმწირემ უფრო ავნო, საღამოობით მუდამ ვინიგრეტს რომ მიირთმევდა, შაბათობით ქონიან ერბოკვერცხს და პარასკევობით კი მუხუდოს ფაფას, აბა რა დაემართებოდა! დღემდე ძალაშია ლათინურის მასწავლებლის კაბრას აფორიზმი — შიმშილი და ჩანმრთელობაო, ხოლო ექიმი სანგრედო სულ მომხრეებს ეძებს, როცა დაბეჭითებით გაიძახის, სიმსივნეები სისხლის ძლიერი მოწოლის შედეგია, ბნედის შეტევაები კი მოქარბებული ჩანმრთელობის ბრალიაო, და დიეტას გვიჩვენებს! არც იფიქროთ სიმართლის თქმა! ვინც კი გაბედულად, უოველგვარი წი-

ლადობილას გარეშე ამბობს სიმართლეს, სულთუძღურები და სკეპტიკოსები პესიმისტობას აბრალებენ. პირდაპირ ერთი სახეირო კომედიანუნდა მოეწყოს, რომელშიც ხალხი თვითონვე გაითამაშებდა, ვითომ საქმის ტეშმარიტი ვითარებისა ჩვენც არაფერი გავსებდით.

აღარც ახალგაზრდა ესპანეთისა და აღარც სხვა რამ ამის მსგავსი, არსაიდან არ ისმის პროტესტის ხმაც კი. და თუ ისმის, ისიც მარტო კაფეებში, ოღონდ მაგიდებთან თავთავიანთთვის მაუწყული შემუდმივები ბუზღუნებენ და თავიანთ ნიჭსა და ძალას ფუჭად ფლანგავენ. მაგრამ იგივე კაფეებ ეს პროტესტანტი ორატორებო, რომელთა შორის არცთუ ცოტა მოიძებნება მგზნებარე და სიცოცხლით სავსე, — ხალხის წინაშე რომ წარსდგებიან, ისე მოიკუნტებიან და დადამბლავდებიან, ან კიდევ ისეთ უხამსობებს მომყვებიან, საზოგადოებრივი რუტინის ისეთ ლოდებს დაახვავებენ ხოლმე, გეგონებათ, მრავალთგალა ურჩხულის მწერამ მონუსხა და დაამაბუნაო.

ჩვენ ისე მოვაშთობთ ხოლმე ახალგაზრდებს, არც კი ვეცდებით გავუგოთ, ვთხოვთ უკვე დადინჯებულები, ჩამოყალიბებულები და სრულქმნილები იყვნენ; როგორც ღმერთი ფარაონს, ჩვენც ისევე ჭერ დავაყრუებთ და მერე ვუძახით, მაგრამ როცა არ გვაგონებენ, შეურაცხყოფას ვაყენებთ. ჩვენი საზოგადოება ძველი და ოდინდელი პატრიარქალური მრავალრიცხოვანი ოჯახია, ვცხოვრობთ შორსმხედველთა გამგებლობაში, საქმითა! ხელისუფლებას დაქვემდებარებულები და ვიტანჯებით ბებრების მიერ თავსმოხვეული შეხედულებებისგან, რომელთაც ახალგაზრდული სულისა აღარაფერი გაეგებათ და მარტო ბუზღუნებენ: „ნუ გვეჭახებით, უმაწვილებო!“ სანამ მათივე პროტექტორატის ჩრდილში შეფარებულთაც იგივე არ დაემართებათ, რაც იმ ხალხს ნოუვიდა, ვინც მანსანილიოს² შეაფარა თავი. „აბა, თქვენ ისევ ისე ახალგაზრდები უოფილხართ, მაშ დრო ჭერ კიდევ წინა გაქვთ!..“ — რაც ნიშნავს — „ჭერ ისე არ მოტეხილხართ, რომ ჩვენს რიგებში მიგიღოთ!“ — ნამსახურობის ნუსხას ააფარებენ და კიდევ გააჩუმებენ: აი, გზის ჩამკეტიც.

ამასობაში თვითონ ახალგაზრდებიც ბერდებიან, უფრო სწორად, აღივსებიან ბებრული სულით, ჩამოყალიბდებიან. წელში მოიხრებიან, მწყობრში გასწორდებიან და წმინდანებივით კეთილშინიანებიც რომ გახდებიან, მერე უკვე შეიძლება ჩვენს საქადრაკო დაფაზე პაიკებადაც

1 საქემი — ჩრდილო-ამერიკელ ინდიელთა ტომის ბელადი.

2 მანსანილიო — მხამიანი ნაყოფის მომცემი ხე, იზრდება ამერიკაში.

დონ ხუან ვალერა რომ ამბობდა. სწორედ ისაა, ჩვენ მივემართებით სიბრძნვიდან პრეტენზიულობისკენ.

და ეტუობა. ბოროტება ღვივდება და ფუჭდება; დღითი დღე მატულობს უვიცობა მაგრამ ამაზე უარესია, თავადაც რომ არ იცის და სათავეს კი იღებს პათივმოყვარული ნაბევრად განსწავლულობისგან. ამასთან უოველნაირად ლანძღვენ ფრანგულ ქარაფშუტობას და სახეს უტეხენ ფრანგულ ლარუსს. ბევრი ჩვენა სახელოვანი თანამემამულისთვის ინფორმაციის ამ ერთადერთ წყაროს. მადლობა ღმერთს, ვინც ლარუსს აკრიტიკებს და ლანძღავს, თავად ვანდერერსაც არ ვასცილებია.

საკუთარ თავზე იმოდენა წარმოდგენა გვაქვს, რომ აწრადაც არ მოგვივა, თავიდან დავიწყოთ და თუნდაც პოპულარული სამეცნიერო სახელმძღვანელოებიდან შევიძინოთ სულ მცირედი ცოდნა მაინც, თუკი ვინმე მოინდომებს, სხვა თუ არაფერც, ზოგადი წარმოდგენა მაინც მქონდეს მეცნიერებაზე. ისიც ბოლოდან იწყებს, ის კი არ იცის, ჯერ მკვაბე უნდა იყოს, რომ დამწიფდეს. მერე ჩავარდება ხოლმე რომელიმე აუტანელი პედანტი მასწავლებლის ხელში, რომელსაც მშვენივრად მოეხსენება ჩვენი განათლებული საზოგადოების ამბავი და ანბანური მეცნიერული ჭეშმარიტებიდან იწყებს ჩვენს გათვითცნობიერებას, დაწყებითი სკოლების, მასწავლებელთა ხვალალო მდგომარეობა ხომ მარტოოდენ რიტორიკული მსჯელობის საგანი ვახდა, რადგან სულის ხილრმეში მაინც უზომოდ გვძულს მასწავლებელიც და საერთოდ ეს პროფესიაც. ბავშვთა აღზრდა-განათლება უველაზე ნაკლებ გვადარდებს.

ჩვენ სწორედ ის მდიდარი გამოცდილება გვაქვს, ჩვენმა ავანტიურისტებმა რომ დააგროვეს „ოქროს საუკუნის“ ეპოქაში ფლანდრიაში, იტალიაში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს, ბობოქარი და ხიფათით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ და მათი საქმენიცი ამის დასტური იყო; ჩვენ კი ამ გამოცდილებას ვერაფრით ვერ შევცვლით. აკი ჩვენ ქათოლოგიური სიძულვილით გვძულს უოველგვარი უბრალო სამუშაო, უშუალო, ჩაღრმავებული და დაკვირვებული კვლევა-ძიება; თვით უველაზე უფრო შრომისმოყვარე კაციც კი ცოდნის ერთგვარ საცავ-საჭურჭლედ გადაიქცევა ხოლმე ანდა ნეხვის ხოქოსავით აგუნდავებს უოველგვარ უკანასკნელ მეცნიერულ სიახლეს.

სულ იმაზე დაობენ, ვინ უფრო ადრე გაიგოს, და არა იმაზე, ვინ უფრო უწრად გაი-

გოს; უფრო მიღებულია ის, ვინც უკანასკნელი მოვლენების საქმის კურსშია, ვინც პირდაპირ პარიზიდან მიიღო წიგნები, ჯერ სტამბის საღებავიც რომ არ შეშრობდა.

ჩვეულებრივ უოფაში, უოველდღიური ერთიერთობისას, აწრების უკიდურესი ჭეშმარიტი გამო ჩვენს მეტყველებას ქარაზიტებურად შეესაბამისი სიტყვები, რომ რამენაირად მივჩქმალთ ჩვენი სულიერი სილატაკის ნაყოფი, ჩვენი გონებრივი სიმუნჯე: შინაარსიან საწრდოს მოკლებული გაუნათლებელი ქკუის გამოა, რომ ტავერნების უწმაწური ანეკდოტებითა და მდაბალი მახვილსიტყვაობით ვირთობთ თავს, უხეშობისკენ ჩვენი ძვალ-რბილში გამჭდარი მიდრეკილებაა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ძველისძველი, ეროვნული რეალიზმის დამახასიათებელი ნიშანი.

ამ სულიერ სილატაკეს გარს კიდევ პოლიტიკური პოლიპიც შემოეწარდა და ამ ანემიურ მდგომარეობაში სამეტყველო ორგანოებიც მოდუნდა. წვრილმან პოლიტიკურ უიღვა-გაუიღვაში ხომ თელითობა ჯაბნის საფუძვლიანობას და აქ იწყება სულის უოველგვარ გამოვლინებაში; და მაინც პოლიპი კრიზისულ მდგომარეობაშია; ძველი პარტიები თავიანთი დახვეწებული ბრძანებასდამორჩილებლობის გამო მასაწრდოებულ წვენს ვეღარ იღებენ, ამიტომ ხმება და მიწას ეფინება, მერე კი ვითარცა ღრთის ნიშანი, კარგი ტონის მიმანიშნებელი, სკეპტიციზმითა და ეღეგანტურობით გამორჩეული, ღვივდება მოდილენტანტო, მოქარაფშუტო, პლუტოკრატული სირმებით მორთულ-მოკაზმული ნეოკონსერვატიზმი. მეორეს მხრივ, უველაზე პოპულარული პარტიები ოფლად იღვრებიან, ოლონდ კი როგორმე თავისკენ მიიზიდონ იდეებს მოკლებული სულელები, შექმნან უშინაარსო ფორმა, შეათავსონ შეუთავსებელი ატომები; მაშინ როცა, უცხად რომ ამოიყრიდეს ულორტებს და გაწაფხულის მაცოცხლებელი წვენი მწარდი, სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმის კვებას შეძლებდეს. შინაარსიც სტიქიურად დაიბადებოდა და შესატყვის ფორმასაც თვითონვე შეიძენდა.

V

რა საერთო აქვს უველაფერ ამას ეროვნულ დვრიტასთან, ოდინდელობასთან? ბევრი, ეს არის ანგარიშსწორება ძველთაძველი, ეროვნული ისტორიული სულია, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპეიზაციას. ეს გახლავთ ფარული ინკვიზიციის ნამოქმედარი. განსაკუთრებული ადამიანები, რომელთაც სხვა ეპოქაში შეეძლოთ ხელი შეეწყოთ ჩვენი წინსვლისთვის, ახლა ჩვენს დაკნინებას მოწმებებით უუურებენ. ინკვიზიცია გახდა ჩვენი განცალკევების,

1. დონ ხუან ვალერა (1824-1905). ესპანელი მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი.

ოდინდელი პროტექციონიზმის, ერის განსაკუთრებული ინდივიდუალიზაციის საშუალება, ინკვიზიცია იყო მიზეზი, რომ ჩვენში ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი რეფორმისტული ქვეყნების უმდიდრესმა ფლორამ, სადაც ჰყვარდა და იფურჩქნებოდა მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი სექტები. ასე რომ, ახლა ჩვენში მართოდენ ბებერი მუხის გაკვერცხლილი და გამხმარ-გაშიშვლებული წვეროლა აწოწილა.

უოველგვარი კლასის საბაუოების მიუხედავად საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა ესპანეთის ევროპეიზაცია, თუმცა კი ზედაპირულად და მჭიმედ, ჩვენს საუკუნეში ფრანგების შემოჭრის შემდეგ ამას შეიძლება აშკარად არა. მაგრამ მაინც დიდად შეუწუო ხელი ჩვენმა სამოქალაქო ომებმა. განვიცადეთ რა აღმავლობა ჩვენთან 74-მდე, მერე უკვე ღრმა კოლაფსში ჩავცვივდით. ამასობაში კვლავ იჩინა თავი შიდა ინკვიზიციამ, რომელიც ოფიციალური თავისუფლების მიუხედავად არასდროს მოთვინიერებულა. მოღონიერდა ჩვენი ეროვნული, ოდინდელი მანიერუბანიც: გამოჩნდა, რომ თურმე სულ არ გვქონია იმის უნარი, რასაც ინგლისელები sympathy-ს (თანაგრძნობას) ეძახიან, უნარი, რომ გავუგოთ მოკვასს და ისეთი მივიღოთ, როგორიც არის. პარტიებშორის დამოკიდებულებიას ჩვენც გველფებისა და გიბელინების მსგავსად ისევ ისე ვწვლმძღვანელობთ აბსურდული პრინციპით — რომელი არა არს ჩემ თანა, იგი ჩემი მტერი არს, უოველი ადამიანი მართა სხვებს შორის, ვითარცა უნაყოფო, ქვიშიან და უკაცურ უდაბნოში, სადაც საწყალობელი, ანემიურ ჰავშნებში გამომწყვდეული სულები დაძრწიან.

იდეალის გრძნობასთან ერთად გაქრა რელიგიური გრძნობაც და აღბათ მართო ხალხის წიადშიდა ოვლემს. ნეტავი ეროვნული სულის რომელ კუნჭულში გაიტრუნა ის რელიგიური იდეალი, ასე რომ ჩქეფდა მისტიკაში და თავისუფლების საწუვარ ღტოლვას აღვივებდა მაშინ, როცა ერს სიცოცხლე სწყუროდა! და დღემდე შემოგვრჩა ნაკლები შინაგანი თავისუფლება. ვიდრე ჩვენი განთქმული ფანატისმიანი ეპოქაში გვქონდა: წმინდა ინკვიზიციის პროკურორები და მოხელეები ერთ შფოთს ატეხდნენ ხოლმე ჩვენი სერთუკიანი ეპისკოპოსებისა და ჩვენი საერო ცენზურის ბარბაროსობაზე. ეს ადამიანები, რომელთა სულში მთელი სიცოცხლის მანძილზე არც ერთხელ არ ანთებულა რელიგიური გრძნობის ნაპერწკალი, სახეზე ხელებს იფარებენ, ვაფარჩხულ თითებს შორის იჭვრიტებიან, იმანქებიან და გამკივიან: —წაბილწეს!“ ამ საკმე ის არის, რომ ჩვენი ექსპანსიისა და გავლენათა გავრცელების ხანა-

ში, როცა ჩვენი ოდინდელი ერთ მთელ ქვეყნიერებაზე შლიდა კარვებს, იგუდია იყო უოველი მხრიდან მონაბერი ქარისიფის, მაშინ კახტილიური ხულის სიდიადე ის იყო, რომ იგი იდგა ქართა გზაჯვარედინზე და ამრტომაც გავრცელდა მთელს დედამიწასზე, შეუწეს კი თავის ნიყარაში ჩაძვრა და სწყიმტე სსშმშაგს. ააამერი ნაყოფიერი იყო, საკუთარი თავი ვერ შეიცნო, როგორც ასეთი, თავისი სხვადასხვაგვარობის გამო, მისი რღვევა იმ დღეს დაიწყო, როცა უვირილით „ჩემი მე ჩემს მე-ს მართმევენ!“ მან მოინდომა საკუთარ თავში ჩაეტილიყო.

ეგებ უველაფერი იღუპება? არა, ესპანეთის მომავალი ოვლემს ჩვენი ისტორიული საზოგადოების სიღრმეში, ინტრა-ისტორიაში, შეუცნობელ ხალხში და იგი მანამდე არ გაიღვიძებს, სანამ ევროპიდან მონაბერი ქარი თუ ქარაშოტი არ გამოაფხიზლებს.

იმის თქმა, ვითომ ხალხი დუმს, დოცულობს და გადასახადებს იბდისო, მხოლოდ ლიტონი სიტყვებია მათთვის, ვინც ხშირად იმეორებს ამას, ხოლო მათ შორის, ვინც ჩვენი ისტორიული ცხოვრების სიცარიელეში იხარშება, უდავო ქვეშაპრეტებად იქცა აზრი, ვითომ ჩვენი ხალხი შემაძრწუნებლად ტლანჭი და უნიჭია.

ესპანეთი აღმოსაჩენია და მას აღმოაჩენენ მხოლოდ ჩვენი გავერობელებული ესპანელები. ჩვენ არც ჩვენს პეიზაეს ვიცნობთ, არც ჩვენს თანამემაძულეებს და არც ჩვენი ხალხის ცხოვრებას. სულ არაფერი ვიცით პლებური ლიტერატურის არსებობის შესახებ და არც არავინ მიუგდებს ყურს ბრმა მომღერლის ლექსს, ვერ შეამჩნევს საბაზრო წიგნებს, გავრძელებები რომ აქვს და რეალის მეოთხედად იყიდება; მაშინ როცა სწორედ ეს არის წერაკითვის უცოდინართა საზრდო, მართო სხვებია სმენას რომ არიან მიჩვეულნი. კაცი არ იკითხავს, რომელ წიგნებს ედებათ ქვარტლი სამზარეულოს კურებთან სოფლებში, ან რას კლხულობენ წრედ ჩამომხმდარი ჯღუხები დამარცვლით, და სანამ ერთი წუება ბიზანტიზმებს ნერგავს, მეორე კი უქმსიტუვაობაში ვარჯიშობს, ხალხი თავის ფანტაზიას ასაზრდოებს იმ გმირების თავგადასავლებით, რომელთაც ლამის მთელი ქვეყნიერება მოუვლიათ და აი, ასე ერწყმის ერთმანეთს თორმეტი პერის, ვალდოვინთა თუ ტირანტ თეთრის,¹ ხოსე მარის²

¹ რაინდული რომანების გმირები;
² ცნობილი ესპანელი ყაჩაღი XIX ს. დასაწყისში, ხელისუფლებამ შეიწყინარა და ეანდარპერიაში მიიღო, მაგრამ მისივე მეგობრებმა მოკლეს.

მამაცობის და ჩვენი სამოქალაქო ომების გმირთა ამბები.

ამ ხალხს ჩვენი მოდური ლიტერატორების შესახებ არაფერი სმენია და უსაზღვრო და მდიდარი ცხოვრება კი აქვს. სწორედ ამ მოუქნელ ხალხში ბოგინობს კიდევ ის შეუცნობელი სული, შეუცნობლადვე რომ სძულთ.

როცა ამტკიცებენ, ხალხის კოლექტიურ სულში, Volkgeist-ში არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მასში შემაჯავალ ცალკეულ სულთა საერთო წამიჯო, ამით იმას ამტკიცებენ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ყველა მისი წევრის ხასიათიც; ასევე ამტკიცებენ კოლექტიური შარავანდედის არსებობასაც, საერთო სულის სიღრმესაც, სადაც ცოცხლობს და ვლინდება ყველა გრძნობა, სურვილი და სწრაფვა, თუმცა ისინი საბოლოოდ მაინც ვერ თანხმდებიან; რომ არ არსებობს რაიმე ინდივიდუალური აზროვნება, რომელიც თავის ანარეკლს ვერ პოულობს სხვათა აზროვნებაში, თუნდაც მის საპირისპიროშიც კი; რომ არსებობს ქვეშაირი ხალხური ქვეცნობიერება; კოლექტიური სული, თუკი იგი ცოცხალია, წარმოადგენს თითოეული მისი წევრის სულიერ კავშირს.

როცა კაცი თავის თავში ჩაიკეტება, რამდენადაც შესაძლებელია, გაემიჯნება გარე სამყაროს და საკუთარი მოგონებებით, ისტორიით იწყებს ცხოვრებას. მიჰყვება თვითდაკვირვებასა და თვითშემეცნების ინტროსპექტულ კვლევას, მისი შემეცნება ქვეცნობიერების ფონზე ბიპერტროფირდება; სამაგიეროდ მდიდრდება ქვეცნობიერი, აცოცხლებს და ახალისებს გარემომცველი სამყაროს აღქმას, როგორც ხდება ხოლმე, როცა მინდორში გასეირნების მერე რაღაც გაურკვეველი შთაბეჭდილებით ვბრუნდებით შინ და სული აღხავსება ჩვენივე შინაგანი ბუნების არსით. დედა-ბუნებასთან შეხება რომ აცოცხლებს, იგივე ემართება ხალხსაც, ნებაყოფლობითი განცალკევებისა და განდგომის დროს მის კოლექტიურ სულში ბიპერტროფირდება ისტორიული შემეცნება სტიქიური ინტრაისტორიული ცხოვრების ხარჯზე, სუფთა ჰაერის უქონლობის გამო სული რომ ეხუთება; როცა ეროვნული აზროვნება თავს განადიდებს, იგი ახშობს ცხოვრების დაუნაწევრებელ ხმას, თავისთვის, ფარულად რომ მიედიდება. არიან ხალხები, რომელთაც თავიანთი ეროვნული ჰიპის ქვრეტისგან ბიპნოზური ძილი ეუფლებათ და არარასლა ქვრეტენ.

თავადვე ვგრძნობ, რომ ძალა აღარ შემწევს

1 ხალხის სული, მომდინარეობს ჰერდერისა და რომანტიკოსებისგან.

ეს აზრი ისე გამოვხატო, როგორც მინდა, როგორც ჩემს გონებაში დაცურავს გარკვეული კონტურების გარეშე, თან მეტაფორების დახვევებასაც ვერიდები, ოღონდ კი მკითხველის სულამდე მივიტანო ის აზრი, რომ ხალხის სიღრმისეული და უსაზღვრო ინტრა-ისტორიული ცხოვრება, როგორც კი ექსპლანტრირებული კლასები მას ფეხქვეშ მოეხვეჭენ და დაეცემა, თითქოს ჩაკვდება ხოლმე, მაგრამ კვლავ მოიკარებს ძალას, გამოცოცხლდება, გახალისდება გარე სამყაროსთან კავშირში. მე ვისურვებდი მთელი ძალით შემეგონებინა მკითხველისათვის ეს აზრი — როცა ხალხის დაუოკებელ მასასა და რეგიონებს სიცოცხლისკენ, ცხოვრებისკენ მოვუწოდებთ და ვაფხიზლებთ, ამავე დროს, ერთად, შეთანხმებით ფართოდ უნდა გავაღოთ სარკმელი ევროპის მინდვრებისკენ, რათა ჩვენს სამშობლოს დაუბეროს მაცოცხლებელმა ნიავმა. ჩვენ უნდა გავაევროპულოთ ჩვენი თავი და გავითქვიფოთ ხალხში, ამ ღრმა ხალხში. რომელიც ცხოვრობს ისტორიის მიღმა, მაგრამ არის ყველა კახტის ხაყრდენი, მისი პროტოპლაზმა; განსხვავდება და გამოირჩევა მხოლოდ ისტორიული კლასები და ინსტიტუტები და მხოლოდ ისინი გაახალგაზრდევდებიან, თუ ჩაყვინთავთ და გავითქვიფებთ ხალხში.

უნდა ვირწმუნოთ ჩვენთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა, ვირწმუნოთ, რომ მუდამ დავრჩებით თავისთავადნი და დაე, მოვარდეს გარედან შმაგი თქეში, გვესხუროს მაცოცხლებელი წვიმა!

VI

სავალალოა, რომ ესპანეთში ხალხი ამომჩრჩველთა და გადასახადის გადამხდელთა მასაა, რაკი იგი არ უყვართ. არც სწავლობენ და რაკი არ სწავლობენ, არც იცნობენ და არც შეუძლიათ შეიყვარონ. ბაკალავრი კარასკო მტკიცედ თვლის სანჩოს „ჩვენი საუკუნის ერთერთ ყველაზე დიდ სულელდად“, რამეთუ იგი ლაპარაკობს ანდერძზე, რომელიც არამც და არამც არ უნდა „დაირღვეს“. აქამდე არ ვიცით არც ჩვენი ხალხის ჩვევები, არც მისი ენა, გრძნობები და საერთოდ მისი ცხოვრება, და მაინც რამდენად ღრმად ეროვნულია პერედო, ოღონდ მაშინ კი არა, თავისი პახუხის-მგებლობით ინტრიგებსა და სიუჟეტურ კვანძებს რომ ხლართავს ჩვენი ოდინდელი კლასიკოსების იმედზე და მათგანვე სესხულობს წიგნიერ ენას, არამედ მაშინ, როცა ტაქტიანად და ოსტატურად ხარგებლობს უმდიდრესი ხაგანძურით ხალხისა, რომელთა შორისაც თავადვე ცხოვრობს.

ნუთუ ხალხი უფრო ერთგულია ტრადიციისა, ვიდრე ისინი, ვინც ისტორიაში მოიკიდა ფეხი? რასაკვირველია, მაგრამ არა ამ თვალსაზრისით; მისი ტრადიცია მარადიულია: რამდენადაც მისი იდეალი უფრო ნაგრძნობია, ვიდრე ნაფიქრი და რაკი იგი არ იძენს განსაზღვრულ ფორმასა და საზღვრებს, ამიტომ ისინი, ვინც მართლ გეომეტრიულსა და ჩამოყალიბებადს უფრო ხედავენ, ერთმანეთში ურევენ მთელ ინტერპრეტაციებს და ამ იდეალზეც თავის ყაიდაზე მსჭვდობენ.

რაც შეეხება ჩვენს დიდებულ რევოლუციას, ესოდენ ეროვნულს, რაც არ უნდა ვთქვათ; ესოდენ ღრმად ეროვნულს, ერთი შეხედვით თითქოს გვეჩვენება, რომ გლეხობა მის წინააღმდეგ აღხდგა, ხინამდვილესი ხომ იგი აღხდგა მის დასაგვირგვინებლად, გასავრცობად და დახასრულებლად; და აი, დღემდე ვერაფრით ვერ მოვუძებნეთ ახსნა ამ ძლიერ ამბოხს; თითქოს თვალწინ გვქონდა პროგრამები, ფორმულები, თეორიები და დოქტრინები, რომელთა მეშვეობით სცადეს აეხსნათ ეს მოკლენა იმით, ვინც მის სათავეში მოექცა; მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც თქვა და ეს ცოცხალ სიმართლეს ჰგავდა, რომ ეს რომელიმე პარტიისა კი არა, საერთოდ მთელი ხალხის საქმე იყო და რომ მათ არავითარი პროგრამა არა ჰქონიათ. როდისღა შევისწავლით სიყვარულით ხალხის ამ აწავთებას, არავითარ ჩარჩოებში რომ არ თავსდება? ამ მოძრაობაზეც იგივე ითქმის, რაც XIII საუკუნეში იტალიურ რელიგიურ ქადაგებაზე; იგი აქციეს კლასიფიკაციის ობიექტად, ჩამოაყალიბეს, მიაკრეს იარაღები, გაწმინდეს და დღეს ვეღარ ვხედავთ ამ ღრმად საერო, დემოკრატიულ და სახალხო ამბოხს, ამ პროტესტს უოველგვარი მოხელეობის, ინტელექტუალიზმის, იაკობინიზმის, პარლამენტური უქმსიტყვაობის, უოველგვარი არისტოკრატიზმისა და გამაუსახურებელი ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. ეს იყო უფრო ევროპული, ვიდრე ესპანური მოძრაობა, არაცნობიერის ცნობიერში, ინტრა-ისტორიის ისტორიაში შექრა, მაგრამ რაკი მაინც ისტორიულ ჩარჩოებში მოექცა და პროგრამა და ფორმა მიიღო, თავისი მნიშვნელობაც დაკარგა. რილახთვის ვწეროთ ინტრაისტორიულ მომენტზე, თუკი მას მაინც ისტორიული ცრურწმენების თვალით ვუუურებთ? გადავდოთ ეს სხვა შემთხვევისათვის.

* * *

უკვე დროა დავამთავროთ ეს უთავბოლო მსჭვდობა და უქმსიტყვაობა, რამეთუ ამაზე შეიძლება გაცილებით მეტი ითქვას, რაც უკვე ითქვა. მე მაინც მინდოდა კიდევ გამეგრ-

ცო და გამეშალა ის აზრი, რომ გააზრებული და განსაზღვრული შეცნობა ეროვნულობის რეფლექსიებისა, რის ახსნასაც ისტორიულ წარსულში ეძებენ ანდა იქიდან მოკლედებული ასევე ისტორიულ აწმყოშიც რომ გრძელდება, ხალხის სულიერი გაღატაკების ჩარაღად გამოდგება მხოლოდ დაქვეითებული ტრამ მუხლუხო უკვე კეპელად ტქსტ-დექსტრუქტუმოფრინდეს პარკიდან; რომ ინდივიდებსა თუ ხალხში მართლ განსხვავებულობის დანერგვა, როცა ამასთან ჭეროვანი უურადდება არ ექცევა უვლასათვის საერთოს, სარკოდას, ხელს უწყობს ინდივიდუალურობის ზრდას ხრულ პიროვნულობის ხარჯზე, რომ ესპანეთის გონებრივი სიღატაკე სათავეს იღებს განცალკევებულობაში, ყოველგვარი დაშიფრული მოქმედებების წყალობით რომ აღმოჩნდით, რაც გამოიხატება ინკვიზიტორულ პროტექციონიზმში, რომელმაც თავისივე აკვანში მოაშთო ჩვენი რეფორმაცია და ხელი შეუშალა ევროპის არენაზე გამოსვლას. რომ ინტრა-ისტორიაში შემოუფარგლავ და საძულველ მახასთან ერთად ცხოვრობს პრინციპი ღრმად ინტერნაციონალური და კოსმოპოლიტური უნივერსალური პროტოპლაზმა; რომ მხოლოდ მაშინ, თუ გავუღებთ სარკმელს ევროპიდან მონაბერ ქარს, აღვივსებით კონტინენტური სულით, შევინარჩუნებთ რწმენას, რომ ამასთან ერთად არ დავკარგავთ ჩვენეულ პიროვნულობას და, თუკი ვეზიარებით ევროპეიზაციას, ამით შევძლებთ ავალორძინოთ ესპანეთი და, თუ კიდევ ჩავყვინთავთ და გავითქვიფებით ხალხშიც, ერთიანად გადავახალისებთ ამ მორალურ უდაბნოს. გარედან მონაბერი ქარი განახლებს ჩემს სისხლს, რაკი აღარ შევისუნთქავ მაერს, რითიც აქამდე ვსუნთქავდი. მე ვისურვებდი ეს უველაფერი კიდევ უფრო გამეშალა და გამეგრცო, მაგრამ აი, დღეც მიიწურა, მე კი ხელში შემომჩრა მართოდენ დაქუცმაცებული შენიშვნები, ერთგვარი კრილოსანი უძაფოდ. წამოტივტივდა მრავალი პრობლემა და გადაწყვეტილი კი არც ერთი არ არის. თუკი ხალად მოაზროვნე მკითხველი საკუთარ მეთოდს მოიშველიებს, თავადვე შეავსებს ცარიელ ადგილებს. ვშიშობ, მე თვითონ რომ ვცადო ეს, ისევ ისე დავიბნევი და იმის მაგივრად, ერთხელ დასახულ გზაზე მტკიცედ ვიაროთ, კვლავ აქეთიქით გადავუხვევ-გადმოვუხვევ ჩემს წიაღსელებში და ახალ-ახალ გზებსა და ბილიკებს დავუწყებ ტკეპნას, სწორედ ისევე, ძაღლმა რომ იცის წინ და უკან წანწალი... ამიტომ ახლა მირჩენია ამით დავამთავრო, წერტილი არ დავსვა და ჩავთვალო, ვითომ მეც კმაყოფილი

1 სარკოდა, დღეს უკვე ხმარებიდან ამოღებული, პროტოპლაზმის განსაზღვრა.

დავრჩი, თუკი მაინც მოვახერხებ და ერთ მკითხველს მაინც გავაგებინებ თუნდაც ერთ აზრს.

ღმერთმა ინებოს, ნამდვილმა ახალგაზრდობამ, თამამმა და თავისუფალმა გაგლიჯოს უულფო ქულში რომ გვაქვს წაჭერილი და გვახრჩობს, ბოლო მოუღოს ამ ერთფეროვნებას, ამ გამაუნახურებელ ერთფეროვნებას, გულით მოეკიდოს ბაღის შესწავლის ხაქმეს, ხალხისა,

რომელიც არის ჩვენი ყველას საყრდენი, თვალი და გული მიაპყროს პირენის მიღმა გავლენებს და არ ჩაიკეტოს ტრადიციული ისტორიის ამ გამომფიტველ ნიუარაში, მეტესმეტად არ ჩაებლაუქოს თავის ეროვნულ განსაკუთრებულობას, მაცოცხლებელი წვიმით განზანდობს ახალგაზრდა კოსმოპოლიტური იდეალები, ინტროდინდელი სული, რომელსაც მწიფებს და ელოდება გაღვივებას. **ბიზლიჩიძე**



სიმონ ფრანკი

თარგმნა ზუინაზ სარაძემ

უბოკიზმის პრესი

ახლახან ნებადართული ე. წ. „ახალი აზროვნების“ წარმომადგენლები რუსეთს XX საუკუნის დამდგირდასვე ჰყავდა, მაგრამ ეულგარული სოციოლოგიისა და რევოლუციის სულსწრაფი ლოზუნგებით მოაზროვნე ეპოქა უარს ამბობდა მათთან დინჯსა და ჩაღრმავებულ დიალოგზე. ერთი ასეთი პროგრესულად მოაზროვნე და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის განმჩხრეკ-გამაანალიზებელი გახლდათ ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი სიმონ ლუდვიგის ძე ფრანკი (1877—1950). მან საუკუნის დასაწყისშივე განჭვრიტა მოსალოდნელი რევოლუციის შედეგები და ფილოსოფიური რეფლექსის საგნად აქცია ის „ძირები“, რაც რუსულ სოციალურ მოძრაობას კვებავდა.


ფრანკი დაიბადა მოსკოვში ექიმის ოჯახში. ებრაელი რაბინის შვილიშვილი ქეშმარიტებაა ღრმა და დაძაბულმა ძიებამ ჯერ კიდევ 10-იან წლებში ქრისტიანობის კარიბჭესთან მიიყვანა. რევოლუციის შემდეგ, როცა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ძარცვა-გლეჯისა და დევნის ობიექტი შეიქნა, ფრანკი მოინათლა. მოსკოვში, ბერლინში და პაიდელბერგში სიმონ ფრანკი ეუფლებოდა იურისპრუდენციას, პოლიტიკურ ეკონომიკასა და ფილოსოფიას. გიმნაზიაში სწავლისას მარქსისტულ წრეში იყო ჩაბმული. 1922 წლამდე, სანამ რუსი პროფესორების დიდ ჯგუფთან ერთად საზღვარგარეთ გაძევებდნენ, ფრანკი უძღვებოდა ფილოსოფიის კურსს მოსკოვის, სარატოვის და პეტერბურგის უნივერსიტეტებში. რუსეთიდან გაძევებული ცხოვრობდა ჯერ ბერლინში 1937 წლამდე, შემდეგ პარიზში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — ლონდონში. ფრანკი შედიოდა ბერლინის მიერ უცხოეთში ჩამოყალიბებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ აკადემიაში. ევროპაში ცხოვრებისას დაიწერა მისი უმნიშვნელოვანესი შრომები: „რუსული მსოფლმხედველობა“, „ღმერთი არს ჩვენთან“, „რეალობა და ადამიანი“.

ფრანკი არ იზღუდებოდა „წმინდა“, განყენებული ფილოსოფიური და თეოლოგიური საკითხებით, გნოსეოლოგიურ და ონტოლოგიურ პრობლემათა ბარდაბარ იკვლევდა და აანალიზებდა სოციალურ, პოლიტიკურ საკითხებს. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემებზე ზურგის შეტყევა ღვთისა და ქეშმარიტების დალატად მიიჩნდა. სიმონ ფრანკი მოწინავე რუსი თეორეტიკოსებთან ერთად მონაწილეობდა სამი კრებულის მომზადებაში, სადაც კრიტიკულად არის შეფასებული რუსეთის რევოლუციური მოძრაობა. ეს კრებულებია: „იდეალიზმის პრობლემები“ (1902),

„ნიშანსვეტი“ (1909), „ალბარება“ (1918). გარდა ამისა ფრანკმა 1910 წელს გამოსცა წერილების კრებული „ფილოსოფია და ცხოვრება“, რომელიც მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უმტკივნეულეს საკითხებს ეხებოდა. სოციალური ფილოსოფიის პრობლემების კვლევას უძღვნა წიგნი „საზოგადოების სულიერი საფუძვლები“ (1930). სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა დაამთავრა თეოლოგიურ ტრაქტატზე „ნათელი წყვილიადში“, სადა, შესანიშნავადაა გაშუქებული ქრისტიანული ეთიკისა და სოციალურ პრობლემათა მიმართების ერთი ულესი მხარეები.

წინამდებარე სტატია დაიწერა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას, როდესაც დრო-ით, ადგილით და მიზნით განსხვავებულ სოციალურ მოძრაობათა საერთო, ყველაზე ჩახლართულ-ჩახვეული და უმნიშვნელოვანესი თეორიული კვანძია გახსნილი, ვფიქრობ, შეიძლება უთუოდ დამეთანხმება.

მთარბმნელი



ცნობილი ანტიკური შეხედულების თანახმად ადამიანის ყოველგვარი სიამაუე თუ ქედმაღლობა (hybris), ყოველი მისი კადნიერი თავნებობა, რომლის ძალითაც იგი საგანთა ბუნებრივ რიგს არღვევს და მისთვის შეუხამამო ადგილსა და მნიშვნელობას ეპოტინება, საბედისწეროდ იხჭება. სასწელი იმანენტურადაა განსაზღვრული თვით დანაშაულებრივი განზრახვის არსით. რადგან რაც ვინდა ბუნებრივი იყოს ადამიანის სწრაფვა ბედნიერების, თავისუფლებისა და ძლიერებისაკენ, როგორც კი ამგვარი სწრაფვანი გადასცდებთან გარკვეულ საზღვრებს, უღალატებენ ზომიერებას. არად ჩაადგებენ იმ გარემოებას, რომ ადამიანის შესაძლებლობათა შეზღუდულობა ღვთაებრივ-კოსმოსური კანონებითაა დადგენილი. ისინი იღებენ სიგიჟის სახეს და გარდუვალობით მიაქანებენ ადამიანს დასაღუპავად.

ეს ანტიკური რწმენა მიეკუთვნება უდიდეს, მარადიულ ქეშმარიტებათა რიცხვს, რაც კაცობრიობას ბერძნულმა რელიგიურ-ზნეობრივმა აზროვნებამ უანდერძა. მას განამტკიცებს უბრალო ცხოვრებისეული გამოცდილება. ხოლო ღრმად ასაბუთებს ქრისტიანული რელიგიური მსოფლგაგება, ჩვენს მიერ გადატანილი მსოფლიო ომი, სისახტიკისა და ტანჯვა-წაშების ხარისხით ადამიანურ წარმოსახვას რომ სცილდება, მოვლენათა განვითარების მიხედვით არის კლასიკური ნიმუში ტრაგედიისა, რომელიც ამ ანტიკურსა და მარადიულ მოტივზე გათამაშდა. გათამაშდა, ან უფრო ხწორად კიდევ თამაშდება, — რადგან ბოლო აქტი ანუ ეპილოგი ჯერ არ დასრულებულა, — არსმენილი, ნაღდად მსოფლიო მასშტაბის ტრაგედია. თუმცა კი მისი წამომწყებნი და პროტაგონისტები არც ისე ბევრი ვიცი და ავაზაკია, მაგრამ თანამონაწილეთა და მსხვერპლთა რიცხვი მილიონებია, ხოლო

შედრულია თითქმის მთელი კაცობრიობა. ეს მსოფლიო ტრაგედია ჭკუის სასწავლებელი კია, მაგრამ მისი საზრისი იმდენად მარტივი და გამჭვირვალეა, რომ აღარ საჭიროებს ჩაღრმავებულ განსჯას. უსაზღვრო ძალაუფლების ბატონობის დემონიზმი, რომელიც თავის განზრახვებსა და საშუალებებს ელემენტარულ ზნეობრივ კანონებს არ უფარდება, გამომჟღავნდა როგორც სიშლევე, არანაკლებ დამღუპველი დამნაშავეთათვის, ვიდრე მისი მსხვერპლისთვის.

ბოროტი და ბრალეული ნება, გარკვეულ საზღვრებს იქით მაინც, უგნური და ხწორედ ამიტომ დამღუპველი ნებაა. ეს, გარკვეული აზრით, თავისთავადაც ცხადია, უფრო ღრმასა და რთულ პრობლემატიკას მოიცავს სხვა, მონათესავე თემა, რომელმაც აღნიშნულ ანტიკურ იდეაში აშკარა გამოხატულება ვერ პოვა. საქმე ის გახლავთ, რომ საფუძველში კეთილი ნებაც კი, რომელსაც არ მართავს არც კერძო ანგარება, არც ავბორცობა, არამედ ადამიანთა სიყვარულის ზნეობრივი მოტივი, სწრაფვა იმისა, რომ გამოიხსნას მოყვანის ტანჯვისა და სიკრუისაგან, დაამყაროს ცხოვრების სამართლიანი წესრიგი, როცა ზომიერებას კარგავს და უტიფარ თვითნებობას ერწყმის, ასევე შეიძლება უგუნურ ნებად იქცეს და თავის უგნურებაში უკეთურ და დამღუპველ ნებად გარდაისახოს. მხედველობაში გვაქვს, აზროვნებისა და ნებულობის ის მიმართულება, რომელსაც ზოგადად უტოპიზმი შეიძლება ეწოდოს. უტოპიზმის შინაარსად გვესმის არა ზოგადი ოცნება იმის შესახებ, რომ დედამიწაზე დამყარდეს უნაკლო, ბოროტებისა და ტანჯვისაგან თავისუფალი ცხოვრება, არამედ უფრო სპეციფიკური აზრი, რომლის მიხედვითაც ცხოვრების სრულქმნა შესაძლებელია და ამიტომაც უნდა უზრუნველყოს ავტომატურად რაღაც საზოგადოებრივი წესრიგით ან ორგანიზაციული წყობით. სხვა

სიტუაციით, ეს არის ადამიანის ზვიადი ნების მიერ შემუშავებული სამყაროს ხსნის გეგმა. ასე გაგებულ უტოპიზმი ტიპური ნიმუშია ერესისა, ამ ცნების ზუსტი და მართებული აზრით, რელიგიური ქვემარტების სწორედ იმგვარი გაუაღებებისა, ადამიანს მცდარსა და ამიტომ დამღუპველ გზაზე რომ აუენებს. მიზანი, რომელსაც უტოპია ისახავს, მხოლოდ იმით კი არ არის განუხორციელებელი, რომ აბსოლუტურ სრულქმნილებასა და სიწმინდეში არანაირი იდეალი არ არის განხორციელებადი, არამედ იმითაც, რომ თავის თავში მოიცავს შინაგან წინააღმდეგობას, რის ცხადყოფასაც ქვემოთ შევეცდებით. ხანამ ეს ჩანაფიქრი ოცნებაა, — როგორც პლატონის, კამპანელას და თომას მორის „უტოპიებში“, — მისი შინაგანი წინააღმდეგობრიობა და მიხდამი ლტოლვის სიუაღბეცა და დამღუპველობაც დაფარული რჩება. ეს მხოლოდ პრაქტიკაში აშკარავდება, როცა ნებას იდეალი ეუფლება, ე. ი. როცა ცდილობენ იდეალს ხორცი შეახან ამ იდეალისავე შინაარსის მიხედვით, კერძოდ, გარედან თავსმოხვეული, ორგანიზაციული ხერხებით ანუ ადამიანის ქცევის წარმართველი იძულებითი საშუალებებით. სწორედ მაშინ საჩინოვდება ზნეობრივი სიგიჟე თუ მანკიერება მომწესრიგებელი ნებისა, თავიდან რომ ქველი ზრახვით ხელმძღვანელობდა.

უტოპიზმის ერესი, როგორც ტიპურად ქრისტიანული ერესი, პირველად, ყოველ შემთხვევაში ფართო მასშტაბით მაინც, აღმოცენდა რეფორმაციასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ-პოლიტიკურ მოძრაობაში, რომლის გამოვლენები იყო „თაბორიტობა“ ჩეხებში, ბოლო გერმანულ რეფორმაციაში — გლეხთა ომი, თომას მიუნცერის მოძრაობა და ანაბაპტიზმი. ყოველი მათგანი მიზნად ისახავდა ევანგელური სრულყოფის საზოგადოებრივი იძულებით განხორციელებას. სექულარიზებული ფორმით ეს ერესი ჰერ იაკობინელობაში განხორციელდა. შემდეგ კი — რევოლუციურ სოციალიზმში, რომელიც დღეს რუსული ბოლშევიზმის სახით მრავალმილიონიანი ხალხის ცხოვრებას დაეუფლა და ამით სრულიად დამაჭრებელი ექსპერიმენტული შემოწმება გაიარა.

ხანამ უტოპიზმის ერესის თეორიულ ანალიზს შევეცდებოდეთ და მისი ცთომილების ზოგად წყაროებს გავხსნიდეთ, აღვნიშნავთ უბრალო, უდავო ისტორიულ ფაქტს. უტოპიზმი არათუ ვერ აღწევდა რეალურად მის მიერ დასახულ მიზანს, ვერ ამყარებდა ზნეობრივი ცხოვრების უზრუნველყოფელ წეს-

რიგს, არამედ განხორციელების გზაზე მიზნის სრულიად საწინააღმდეგო შედეგებსაც იღებდა. სიკეთისა და სიმატლის საძიებელი სამეფოს ნაცვლად არჩეულ გზას იგი სიკრულის, ძალადობისა და ბოროტების ბატონობისაკენ მიძყავდა ტანჯვისაგან ცხუვრების სანუკვარი გამოხსნის ნაცვლად გაათავსებულ ტანჯვარჩებოდა ხელთ. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ავაჯაკსა და დამნაშავეს ქვეყნად იმდენი ცოდვა არ დაუტრიალებია, არ დაუქცევია იმდენი სისხლი, რამდენიც იმათ, ვინც ესწრაფოდნენ, კაცობრიობას მხსნელებად მოვლენოდნენ. შეიძლება, ერთადერთი გამონაკლისი ამ საერთო წესიდან ჩვენს დროში ნაციონალ-სოციალიზმისა და ფაშიზმის მიერ ჩადენილი ბოროტება იყოს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ დემონიზმსაც მახების ცდუნება და გაქანების მოპოვება მხოლოდ იმის ხარჭზე შეეძლო, რომ მასში ძირეულად ბოროტული ნება სამყაროს ხსნის (კომუნიზმისაგან თუ „იუდეოპლუტოკრატიული“ მორალური ხრწნისაგან) მესიანისტური მოძრაობის საფარველით შეიბურა.

ყველაზე გამოგნებელი და პარადოქსული უტოპიზმის ევოლუციაში ის კი არ იყო, რომ მას საკუთარი თავდაპირველი განზრახვის საწინააღმდეგოდ სინამდვილეში სიკეთის ნაცვლად ბოროტება მოქონდა, ხსნის ნაცვლად — წარწყმენდა, არამედ ის, რომ ამ გზაზე თვით კაცობრიობის მხსნელები და სიკვდილის თავდადებული მსახურები გაუგებრად და მოულოდნელად უზნეო ავაჯაკებად და სისხლიან ტირანებად იქცეოდნენ. უტოპიურ მოძრაობებს ყოველთვის იწყებენ თავგანწირული, მოუვასის სიყვარულით გულანთებული ადამიანები, რომელნიც მზად არიან ახლობელთა სახიკეთოდ უყოყმანოდ გაიღონ სიცოცხლე. ასეთი ადამიანები არა მარტო ჩანან წმინდანებად, არამედ გარკვეულ წილად, მართლაც წმინდანები არიან, თუმცა კი გადაგვარებული სახით. მაგრამ ნელინელ, რაც უფრო უახლოვდებიან სანუკვარი მიზნის პრაქტიკულ ხორცშესხმას, სატანის მსახურებად იქცევიან, ანდა გზას უთმობენ და საკუთარ ბუნებრივ შემკვიდრებად იხდიან ავაჯაკებსა და ძალაუფლების გაბრწილ ტრფიალებს. ასეთია საბუდისწერო, პარადოქსული მხვლელობა ყველა რევოლუციისა, რომელსაც კი მიზნად დაუსახავს ცხოვრების აბსოლუტურად სრულყოფილი წესრიგის დამყარება. წმინდანობიდან სადიზმისაკენ მიმავალ გზაზე დგან ამ ზნეობრივი დიალექტიკის მთელი სატანური პარადოქსულობის მომცველი, შემწარავი, იდეალური ტიპი პირად ცხოვრებაში ახეტო-

ბიოთა და პათოსებით გამორჩეული სისხლის-
მწოველისა. როგორებიც გახლდნენ, მაგალი-
თად, რობესპიერი და ძერვინსკი.

რუსული აზროვნების ისტორიაში ასეთი
დიალექტიკის ერთი საგულისხმო ნიმუშია,
რომელიც აჩვენებს, თუ რას გამოიწვევდა
პრაქტიკული ხორცშესხმა წმინდა იდეისა კონ-
კრეტული ცხოვრების უველგვარი შემოქმე-
დების გარეშე. ამიტომაც ეს ნიმუში განსაკუ-
თრებით ჭკუის სასწავლებელია. მხედველობაში
გვაქვს ბელინსკის იდეური განვითარება იმ
მომენტიდან, როცა შეგვლიანობას ჩამოშორ-
და და ამქვეყნიური უსამართლობით გამოწ-
ვეულ უსაზღვრო კმუნებასა და საზოგადოებ-
რივი ცხოვრების ზნეობრივი გაჯანსაღების
ხწრაფვას მიეცა. ცნობილ წერილში, სადაც
შეგვლიანობასთან თავისი განხეთქილების
ამბავს გვაუწყებს, იგი აცხადებს, რომ „სუ-
ბიექტის, ინდივიდუუმის, პიროვნების ბედი
უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი სამ-
ყაროს... ანუ, შეგვლიანური „Allgemeinheit-
ის ბედი“. ბელინსკი გვიმტკიცებს, რომ
ვერავითარი მხოფლიო პარმონია — მას ვერ
დააკმაყოფილებს, თუ ამ პარმონიის გაზიარე-
ბას ვერ შესძლებს უველ მის „ღვიძლ ძმა-
სთან“, რომ „განვითარების კიბის ზედა სა-
ფეხურს“ მიღწეულიც კი მოითხოვს ანგარიშ-
გებას „ცხოვრებისა და ისტორიის პირობებს
შეწირულთა გამო“, თუ არადა თავდაყირა
გაღმოეშვება*“ აქ გამოხატული ზნეობრივი
ნების მთელი მგზნებარე შეუპოვრობა პირო-
ვნების საკეთილდღეოდ. ცოცხალ ადამიანთა
კონკრეტულ საქიროებაზეა მიმართული.
კონკრეტული პიროვნების აბსოლუტური ღი-
რებულების წინაშე ძალას კარგავს კაცობრი-
ობის საერთო განვითარების უველა ინტერე-
სი, სიცოცხლის ზოგად ღირებულებათა მომა-
ვალი ხორცშესხმანი. აქ განქვრეტილია დოს-
ტოევსკის ცნობილი ფორმულა, გამოთქმული
ივან კარამაშოვის მიერ: „უმაღლესი პარმონია
არა ღირს თუნდაც ერთი გატანჯული ბავშვის
ცრემლად.“ სწორედ ცალკეული ადამიანის
ბედზე ზრუნვამ გახადა ბელინსკი სოციალიზ-
მის მგზნებარე მომხრე. და აი, ცხოვრების
სოციალისტურ უაიდაზე მოწყობის ეს პროგ-
რამა იმდენად დაეუფლება ბელინსკის სულსა
და გულს, რომ დაუყოვნებლივ მიიყვანს შემ-
წარავ ფორმულასთან, რაც ძირფესვიანად ამო-
ატრიალებს მისი ხწრაფვის ამოსავალ აზრს:
„თუ სოციალობის (ე. ი. სოციალიზმის) და-
სამყარებლად საქიროა ათასი კაცის თავი, მე
მოვიტხოვ ათას თავს“. გერცენი გვამცნობს,
რაოდენი ფანატიზმით ანთებული თავლები

ჭკონია ბელინსკის, როცა ვილიოტინის აუცი-
ლებლობას ქადაგებდა. დიახ, ცოცხალი ადა-
მიანებისა და მათი კონკრეტული ბედის მხუ-
რვალე სიყვარულიდან იბადება დაუნდობელი
ხისასტიკე თვით ამ ადამიანთა მიმართ, რად-
გან სწორედ ისინი ატრკულდნენ მათივე კე-
თილდღეობისათვის, აუცილებელი წესრიგის
შემოღებას. ამ აზრის ფსიქოლოგიურად ასე
თუ ისე ბუნებრივ და ლოგიკურადაც თანმიმ-
დევრულ მსვლელობას თვალშისაცემ წინა-
აღმდეგობამდე მივყავართ. აქ კითქოს ლა-
ბორატორიულ პრეპარატთან გვეკონდეს საქმე,
იდეალურ-წმინდა ფორმით ვლინდება განვი-
თარების ის გზა, რამაც უკვე ჩვენს თვალწინ
თავდადებული რუსი „ნაროდოლუბციები“ ჩე-
კისტ ქალათებად აქცია. იდეის კონკრეტული
ხორცშესხმისას „ათასი თავი“ უთვალავამდე,
ასეულ ათასეულეებამდე ან მილიონებამდე იზ-
რდება, რასაც უკვე პრინციპული მნიშვნელო-
ბა აღარა აქვს.

ადვილია ამ შემწარავი პარადოქსის თავი-
დან მოშორება იაფფასიანი მოსაზრებით, რომ
ფანატურ ვნებას შეუძლია უველაზე წმინ-
და და კეთილშობილი მისწრაფებანი ზნეობ-
რივად დააბრმავოს და გაასახტიკოს. ფაქტიუ-
რად, მართლაც ასეა, მაგრამ ამის თქმით მხო-
ლოდ ბუნდოვან, არსებითად არაფრის ამხს-
ნელ სიტყვიერ ფორმულას წამოვაცენებთ.
ეთიკური აზრი მოითხოვს, ცხადად გაანალი-
ზდეს თავად იდეათა ობიექტური დიალექტი-
კა, რასაც საზარელ წინააღმდეგობამდე მივყა-
ვართ. ეს დიალექტიკა, ბუნებრივია, ემყარება
გარკვეულ წინამძღვრებს, რომელთა სიყალბე
დასკვნის მანკიერებას განაპირობებს.

უტოპიზმის მცდარობის პირველი ახსნა ასე-
თია: იგი არის განწრახვა „იხსნას“ სამყარო,
ე. ი. მოსპოს ბოროტება და სიცრუე, დაამყა-
როს სიკეთის განუყოფელი ბატონობა ცხოვ-
რების ორგანიზაციისა თუ წესრიგის რეფორ-
მის გზით. წესრიგი არის კანონით, ან იძულე-
ბითი საერთო ნორმებით უზრუნველყოფილი
ადამიანთა ურთიერთობების ერთობლიობა. მა-
გრამ აღნიშნული განწრახვა ეწინააღმდეგება
თავად კანონის არსებას. ბოროტებასთან ბრძო-
ლისას, ცხოვრების ზნეობრივი სრულყოფი-
ხას მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ორი სრულიად
სხვადასხვაგვარი ამოცანა: ერთის მხრივ, ბო-
როტების გარედან მოთოკვა, სიცოცხლის
დაცვა მისი დამლუპველი გავლენისაგან და
მეორეს მხრივ, ბოროტების არსობრივი ამო-
ძირკვა თუ დაძლევა, რაც ემთხვევა სიკეთის

* Письмо В. П. Боткину, I, III 1841

ძალთა ორგანული გაღვივების ამოცანას. რამდენადაც სიკეთე და ბოროტება არსობრივად სულიერი ძალები არიან. ამიტომ სიკეთის აღმოცენება და ბოროტების სრული ამოძირკვა შესაძლებელია მხოლოდ სულიერი ზემოქმედებით ადამიანის ნებაზე ანდაც პიროვნების სულზე. მაშასადამე, სულიერი აღზრდის გზით. რაც მხოლოდ თავისუფლების სტიქიაში მოიაზრება, ეს საბოლოო ჯამში არის თავისუფალი თვითაღზრდა — თავისუფალი აღქმა და სულში განფენა მადლისა, რისი ძალითაც ბოროტება თითქოსდა თავისთავად განიფანტება. განქარდება როგორც წყვილი სინათლის სხივის წინაშე. ამის საპირობპიროდ, არავითარ ძალდატანებას, არავითარ კანონს, რაც მუდამ არის ან ბრძანება ან აკრძალვა, არანაირ. თვით უმკაცრეს ზომებსაც კი, არ ძალუძს არსობრივად გაანადგუროს ბოროტების თუნდაც ერთი ატომი, არსობრივად აღმოცენოს სიკეთის თუნდაც ერთი ატომი. ამ აზრით ტოლსტოის მიერ სახელმწიფოს და ზოგადად ბოროტების წინააღმდეგ გარეგანი ძალებით ბრძოლის კრიტიკა სავსებით სამართლიანია მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომელსაც ტოლსტოი აკეთებს: თითქოს ბოროტების წინააღმდეგ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ბრძოლა უსარგებლო და მავნე საქმე იყოს. კანონით, სამართლებრივი წესრიგითა და იძულებით თუმცა ბოროტების არსებას ვერ გაანადგურებ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზესძლებ მის შეზღუდვას და სიცოცხლის დაცვას, რაც გადაუდებელი და კეთილშობილი ამოცანაა, მოძალადისა და ავაზაის მოთოკვა. ბოროტმოქმედებასთან შებრძოლება სხვა რამეა, ავაზაის სათნოყოფა და ბოროტებისაგან განკურნება — სულ სხვა. სიცოცხლის დაცვა ბოროტებისმიერი ზიანისაგან, მაინც გონივრული და სამართლებრივი ფუნქციაა. ტოლსტოელობისა და უკველგვარი რელიგიური ანარქიზმისაგან, ანდაც პოლიტიკური ინდიფერენტისაგან განსხვავებით აუცილებლობა გონივრული და სამართლიანი წესრიგისა, იძულების გზით რომ იცავს ცხოვრებას ბოროტებისა და უსამართლობისაგან, თავისთავად ცხადი ქეშმარიტებაა, რომელსაც მტკიცება არა სჭირდება.

ოღონდ, როცა უტოპიზმზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ საკითხის ახლახან ნახსენები მეორე მხარე. რომელიმე საზოგადოებრივი წყობა მხოლოდ იმდენადაა კეთილისმყოფელი, რამდენადაც იძულება შეიძლება იყოს კეთილისმყოფელი. არასოდეს უნდა დავივიწყოთ ის უბრალო ფაქტი,

რომ უკვლავ სამართლიანი და ამაღლებული სოციალური რეფორმები უშუალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების აგენტების მიერ ხორციელდება. ე. ი. საბოლოო ჯამში პოლიციის მიერ, პოლიციის ამოცანა კი, გლებ უსპენსკის გმირის მოსწრებულად აღქმისა არ იყოს, ისაა, რომ „დაიჭიროს და არ გაუშვას“. ეს, როგორც ვთქვით, ცხოვრებისათვის აუცილებელი საქმეა და გარკვეულ საზღვრებში მას ზნეობრივი ცნობიერებაც მოითხოვს, მაგრამ ცხადია, რომ შეუძლებელია ამ გზით „სამყაროს ხსნა“. ანუ ზნეობრივი სისტეტიკისა თუ უზადო ბედნიერების დამკვიდრება, აქედან ნათელია, რომ უტოპიზმი, რომელიც იმედოვნებს, საზოგადოებრივი წყობის მეოხებით სრული კეთილდღეობა დაამყაროს, შინაგანად დესპოტიზმისაკენ იხრება, უკველივე იმ ავისა და დამღუპველისაკენ, რასაც დესპოტიზმი შეიცავს. ეს გახლავთ ძირითადი, ერთდროულად მორალური და სოციოლოგიური კონტრარგუმენტი ინტეგრალური სოციალიზმის წინააღმდეგ. თუ სოციალიზმის ქვეშ ვიგულისხმებთ მხოლოდ ზოგად იდეას, რომ აუცილებელია და ზნეობრივად სავალდებულო სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გატარება მდიდართა მიერ ღარიბების, ძლიერთა მიერ სუსტების ექსპლუატაციის წინააღმდეგ, საერთოდ, სამეურნეო ანარქიის უკვლავ უბედურების წინააღმდეგ, რაც ანგარებიან ნებათა ურთიერთშეჭახებას მოსდევს — ასეთი იდეა მართებული და უდავოა. მაგრამ რამდენადაც მის ამოცანად იქცევა, სახელმწიფო ხელისუფლებას დაუქვემდებაროს მთელი სამეურნეო ცხოვრება, სოციალურ ურთიერთობათა მთელი ქსელი, გეგმის მიხედვით, სახელმწიფო იძულების მეშვეობით ააწყოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. იმდენად იგი გადაგვარდება დესპოტიზმის იდეად, „დაიჭირო და არ გაუშვას“-ს მეთოდებიანი ცხოვრების ზნეობრივი აღორძინების მცდელობად. ამ დროს მას მხედველობიდან რჩება, რომ ცხოვრება ხელოვნური, რაციონალური ნაგებობა არ არის, ხოლო ორგანული შემოქმედება. მათ შორის მორალურიც, თავისუფლების სტიქიაში მიმდინარეობს. ამიტომ თავისუფლების ჩაყვლა ადამბლავებს სიცოცხლეს და სიკეთის ძალებსაც, რომელთა გარეშე შეუძლებელია ცხოვრების რამენაირი სრულყოფა. ნათქვამიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს არა ინტეგრალური სახელმწიფო სოციალიზმის სოციალურ-პოლიტიკური პროგრამის რაიმე შინაარსეულ შეცდომასთან, არამედ — უტოპიზმის (სოციალისტური უტოპია მხოლოდ კერძო შემთხვევაა უტოპიზმისა) ზოგად სო-

ციალურ-ფილოსოფიურ, საბოლოო ჯამში, რელიგიურ-ფილოსოფიურ მცდარობასთან. უტოპიზმი ამოდის სრულიად მართებული შეხედულებიდან. თავისუფლება ადამიანის ნაკლოვანი ბუნების გამო ვერ უზრუნველყოფს გონიერ და სამართლიან ცხოვრებას. პირიქით, ფაქტიურად დიდი ზომით ბელ-ფებს უბნის ბოროტებასა და უგნურებას; აქედან გამომდინარე უტოპიზმი არის განზრახვა, ძირში აღმოფხვრას ეს საფრთხე იმით, რომ სიკეთისკენ მსწრაფ ერთიან, გონივრულ ნებას მიმართავს საზოგადოებრივი ცხოვრების გეგმური იძულებითი წესით გარდასაქმნელად. სწორედ ამაში მდგომარეობს ტოტალიტარისმის წმინდა ფილოსოფიური იდეა (თუ შედეგობაში არ მივიღებთ მზაკვრულსა და ანგარებიან მიზნებს, რაც ფაქტიურად ერევა უტოპიზმს და თანამონაწილეობს მასში), რანაირადაც თავდაპირველად გამოიკვეთა პლატონის უკუდავ მორალურ-პოლიტიკურ უტოპიაში.*

მაგრამ ამით, როგორც ვთქვით, უზომოდ გაზვიადებულია, შეიძლება ითქვას, გადატვირთულიც და ამდენად დამაბინჯებელი ადამიანთა ცხოვრების გეგმაშეწონილი. იძულებითი ნორმირების ფუნქცია კანონს შეუძლია შეზღუდოს თვითნებობა ცხოვრებისათვის განსაკუთრებით საზიანო გამოვლენებისას, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღმოფხვრის ადამიანური ბუნების ნაკლოვანებისა და ცოდვილობის ფუძემდებლურ ფაქტს. თავისუფლება, როგორც ირაციონალობის სტიქია, თავისთავში აუცილებლობით მოიცავს ბოროტებასაც და უგნურებასაც. გარკვეული აზრით იგი ემთხვევა სიცოცხლის არსებას და სიცოცხლის განადგურების უკვლეა მცდელობაზე ძლიერია, ხილრმეში შეუუფულო, ღია, ცხადი, დაუბრკოლებელი გამომუღავნების შესაძლებლობას მოკლებული, იგი თავისი არალეგალური მოღვაწეობისათვის მრავალ, მოულოდნელ კანონით გაუთვალისწინებელ გზასა და არხს პოულობს. ეს აუცილებლად ვლინდება რაღაც მიმართებით. პირველი: იძულებითი ნორმებით ბოროტების ძირში ჩაკვლის განზრახვა. მაშინაც კი, როცა ის მართლა ქველი და გონიერი ნებით ზემოქმედვანელობს, ფაქტიურად მიზანს ვერ აღწევს, იქმნება ავადმყოფური, მომშხამავი წინააღმდეგობა ცხოვრების გარე, ზედაპირულ, მოჩვენებით მარ-

თებულობა-მონწესრიგებულობასა და შინაგან ქაოტურობა-მანკიერებას შორის მეორე: ცხოვრების წარმმართველნი, რომელთაც ევალეზათ გონიერი და კეთილი ნების ცხოვრების ბოროტი უგნურება სძლიონ, თავდაც ადამიანები არიან და მართლაც უნდა ეწეოდნენ ნაკლოვანებას. რის დასაქმნაშიც უნდა იქმნებულნი არიან, ბოროტსა და უგნურ ნებას მართავს და ლაგმავს არა რომელიღაც უმაღლესი უფრო სრულყოფილი ინსტანცია, არამედ ხელმძღვანელთა ხანით ისევ ის ბოროტებითა და უგნურებით აღსავსე ადამიანური ნება. ვიღებთ გამოუვალ, მანკიერ წრეს. მეტიც: თუ მცა თავისუფლება ირაციონალური სტიქიაა, რომელიც უშვებს ბოროტებისა და უგნურების არსებობას, მაგრამ ამავე დროს იგი შემოქმედების, საკეთისა და გონიერების მშობელი სტიქიაცაა, ანუ ერთადერთი შესაძლებლობა ცხოვრების თვითშესწორებისა და სრულქმნისა. ბოროტებისა და უგნურების გადალახვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანი ახერხებს საკუთარი თავის აღზრდასა და დაძლევას, ამაღლებულისა და კეთილის თავისუფალ, შინაგან გამარჯვებას: მდაბალსა და უკეთურზე, სადაც ცხოვრების გარეგანი, იძულებითი სრულქმნა ამ შესაძლებლობას არ იძლევა, იქ ფაქტიურად არათუ მიიღწევა სრულყოფა, არამედ პირიქით — მთელი ძალით იფურჩქნება ადამიანისეული ირაციონალიზმი და მანკიერება.

ამგვარად, უტოპიზმის ერესი შეიძლება განისაზღვროს როგორც ხამყაროს ხსნის ქრისტიანული იდეის გადაგვარება: იხსნას ხამყარო კანონის იძულებითი განხორციელებით, რამდენადაც კანონის იდეა ძველი აღთქმის სახელმძღვანელო იდეაა, იმდენად უტოპიზმის ერესი ქრისტიანული ცნობირების დამახინჯებაა ძველი აღთქმის წარმოდგენათა საფუძველზე. მართალია, ძველ აღთქმაში კანონი ხელადაც არ გაიზრება ადამიანის „ხსნის“ გზად, ღმერთის წინაშე გამართლების საშუალებად, თანაც კანონის ქვეშ, ცხადია, იგულისხმება არა სახელმწიფო კანონი, არამედ უპირობო რელიგიური ბრძანება, რასაც ღღეს (განზე ვტოვებთ რა რიტუალურ კანონს) ზნეობრივ კანონს ვუწოდებთ. ცნობილია პავლე მოციქულის მიერ კანონის აღნიშნული გაგების კრიტიკა. მან პირველად ცხადად განმარტა ხსნის ქრისტიანული იდეა. კანონი, როგორც ცოდვის კორექტივი, არის ცოდვის კორელატი და მისი შედეგი. ამიტომ ის მხოლოდ გარეგნულად ზღუდავს ცოდვას და ვერ ძლევის მას არსობრივად. თუ გავითვალისწინებთ ძველი აღთქმის კანონის ბუნებრივ ტენდენციას — გადაიქცეს სახელმწი-

*სოციალიზმის იდეაშიც რომ ეს მომენტი იქნებოდა, ცხადია ჩანს მის პირველ ისტორიულ ფორმაში — სენ-სიმონიზმში, რომლის ბიოთიკალი პათოსი თავისუფლების, როგორც ბოროტებისა და უგნურების სტიქიის, მხილვას — მდგომარეობდა.

ფოებრივ იძულებით კანონად, მაშინ გახაგებია. რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი თემისათვის პავლე მოციქულის ამ გენიალურ რელიგიურ ინტუიციას. წარმოადგენს რა ღვთაებრივი ნების გამოხატულებას. კანონს გააჩნია უპირობო აუცილებლობა: სამართალი უნდა განხორციელდეს უველა ვითარებაში. მისი დარღვევა დაუშვებელია. თუ კანონის ეს იმანენტური იძულებითობა კონკრეტულად გამოიხატება საზოგადოებრივი აზრის წინაპრივი სიძარბლის მიერ პიროვნების შეზღუდვით. მაშინ საზოგადოების წინაპრივი ნება თავს ცნობს მართებულად და მოვალედაც კი. დაამკვიდროს სამართალი სახელმწიფოებრივი იძულების წესით. კანონის რელიგია აუცილებლად და ბუნებრივად გადაიზრდება შაიხულებელ თეოკრატიაში. ქრისტიანობის ისტორიაში იდეათა ეს მიმართულება უველგან ჩანს. სადაც კი მძლავრობს ძველი აღთქმის ტენდენციები, მაგალითად კალვინიზმში (კალვინის მიერ ენევის იძულებითი თეოკრატია და ინგლისური პურიტანული რევოლუციის შესაბამისი მოვლენები), კანონი აქ, მართალია, გაიზრება არა როგორც სამყაროს ხსნა. არამედ — როგორც ცოდვის მოთოკვის საშუალება, სამყაროს არსებობის ერთ-ერთი ზოგადი პირობა, რომელიც ცდილობს სამყარო ცოდვის დამანგრეველ ძალთა გავლენისაგან დაიცვას ან კიდევ პირობა შეცოდებით დარღვეული მსოფლიო ცხოვრების წონასწორობისა და სიმყარისა. უტოპიზმისათვის მთავარია ხსნის იდეა. რაც ნიშნავს ქვეყნად მართებული წესრიგის შემოღებას ანუ კანონის გაბატონებას. მასში თეოკრატის ძველათქმითი ეს იდეა ამგვარად კონკრეტდება: სამყაროს ხსნა სორციელდება სახელმწიფოებრივი ძალდატანებით. ძველი აღთქმის წარმოდგენათა ამგვარი დამახინჯებანი ცხადად იკვეთება რეფორმაციის ეპოქის უტოპიზმის ხბვადასხვა სახეებში. საღვთო კანონის მტრები განიხილებიან როგორც „ამაღ-კეტელნი და ფილისტიმელნი“, რომელნიც უწყალო ამოხოცვას იმსახურებენ (ახეთია ამ ეპოქაში რელიგიური ფანატიზმის მუდმივი ლოზუნგი). აღსანიშნავია, რომ „თაბორიტები“ ქრისტიანობას ზურგს აქცევენ და ძველი აღთქმის ხკულს უბრუნდებიან. ამგვარი მიდგომის უველაზე ნათელი და კკუის სასწავლებელი მაგალითია ანაბაბტისტთა მიერ მიუნსტერში იძულებითი წესით განხორციელებული ხერთო ქონების ქრისტიანული იდეალი: კანონი მიუთითებს, რომ სახლის კარი ღღედადამ ღია იყოს. ვისაც სად რა მოუნდება, შეუძლია აიღოს. კანონის დამრღვევი სიკვდი-

ლით ისჯება. ასეთი გახლავთ ქრისტიანული იდეალით მოტივირებული სრულყოფის, ტერორზე დამყარებული სოციალიზმის ნიშნები და. მგონი, ისტორიულად პირველი/მცდელობა ბოლშევიზმისა.

მაგრამ უტოპიზმის უტოპიზმი გაგება ანუ აღიარება იმისა, რომ უტოპიზმი ხსნის იდეა გადაგვარებულია ძველათქმური თეოკრატის ხაზით, საკმარისი არაა, საჭიროა კიდევ წანამძღვართა გამოაშკარავება, რომელთა საფუძველზეც ბდება ეს გადაგვარება. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ახალ, არც ძველ აღთქმაში ისეთი არაფერია, რაც ამ გადაგვარებას გამოიწვევდა. კანონი ღვთის მიერ დადგენილი ნორმაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მისი რელიგიური მნიშვნელობა ძველ აღთქმაში გაზვიადებული კია. მაგრამ არხად ჩანს, რომ მასში სამყაროს ხსნისა და აბსოლუტური სრულყოფის საშუალება ემულისხმათ. ახალი აღთქმა ცნობს სამყაროს ხსნისა და მასში ცოდვის დაძლევის შესაძლებლობას. მაგრამ ამ ხსნას პრინციპულად შეციურ ასპექტში გაიზრება. თანამედროვე მსოფლიო ეონის საზღვრებში ხსნა ნიშნავს ადამიანის ცოდვილი სულის სამყაროსაგან განთავისუფლებას. ანუ მის წინაშე „ზეციური საუფლოს“ — სულის მარადიული სამყოფელის — კარიბჭის გაღებას. ხსნა, როგორც ნეტარების სისრულე და სულიერი სრულყოფის შესაძლებლობა. მხოლოდ ამდენადაა შეთავსებადი ამ ნაკლოვან, ცოდვითა და ტანჯვით სავსე სამყაროში არსებობასთან. „სოფელსა ამას კირი გაქუს. არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (იოანე. 16, 33). ეს არსობრივი გამარჯვება ცოდვაზე, ამასთან პრინციპული, ჭერ კიდევ უხილავი დაძლევა ამქვეყნიური ყოფნის ცოდვიერი ეონისა უნდა დასრულდეს „ღვთის საუფლოში“ მისი გარდასახვით. მაგრამ ეს გარდასხვა უკვე ამ სამყაროს „აღსახრულს“ ემთხვევა. როგორც პირველი, ისე მეორე გზა ხსნისა ერთხა და იმავე აზრს მოიცავს — „ამ ქვეყნიურ“ საზღვართაგან გასვლის გარდუვალობას. მათ მხედველობაში აქვთ „არამქვეყნიური საუფლო“, ამიტომ არაათუ არ გულისხმობენ, არამედ გადაჭრით გმობენ აზრს იმის შესახებ, რომ „ამ“ ჩვეულებრივი მსოფლიური ყოფნის საზღვრებში ანუ კატეგორიალურ პირობებში შესაძლებელი იყოს სრულქმნილება და უზადო ნეტარება.

წმინდა წერილში და საერთოდ ქეშმარიტად რელიგიურ ტრადიციაში ერთადერთი რელიგიური მოტივი, რომელშიც შეიძლება უტოპიზმის საურდენი წერტილი ამოგვეცნო, არის

აპოკალიფსური სასოება „ახალ ცაბა და ახალ მიწაზე“. „ახალ შესაქმნეზე“ (იდეა, რომელიც ამოდის ძველი აღთქმის წინახწარმეტყველთაგან, შეად. ესაია 11 და 67, 11-25). მიღებულია, უტოპიზმი ამ აპოკალიფსურ რწმენას დაუახლოვონ. მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ არსებითი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი სხვაობა მათ შორის, გარდასახული, სრულყოფილი სამყარო — „ახალი ზეცა და ახალი მიწა“ — აპოკალიფსური რწმენის მიხედვით გაიანჭრება, სახელდობრ, როგორც „ახალი ქმნილება“, ანუ სამყაროს შექმნის მეორე დამაგვირგვინებელი აქტი. მსგავსად სამყაროს პირველი შესაქმნისა იგი ღვთაებრივი შემოქმედებითი ნების გასაოცარი აქტია, რომელიც აღემატება ადამიანურ გაგებას და ამიტომაც შორს გადის იმ საზღვრებიდან, რასაც კი სწვდება ადამიანის გაანჭრებადი მარჯანიზებული ნება. ყოველ შემთხვევაში, ახალი აღთქმის აპოკალიფსში ეს ახალი შესაქმნე ძველისაგან, ანუ თანამედროვე მსოფლიო ეონისაგან მკვეთრადაა გამიჯნული განკითხვის დღით. ამ დღიდან ყოველადღიერი ღვთაებრივი სამართალი ამყარებს საბოლოო ზეიმს, აღკვეთს ყოველგვარ მიწიერ უსამართლობას. იგი არის ყოველის დასასრული. მთელი „ამ სამყაროს“ დასასრული. უტოპიზმი კი, პირიქით, „ახალ შესაქმნეს“ გაიანჭრებს როგორც ადამიანის ნებით განხორციელებულს. ეს ნება აბსოლუტურ სამართალს ამყარებს, დედამიწაზე „ღვთის საუფლოს“ ამკვიდრებს, ანუ „ღვთის საუფლოს“ „ამ სამყაროს“ კატეგორიალურ პირობებში აშენებს.

უტოპიზმის უტყუარი და საბოლოო იდეური წყარო ძველი და ახალი აღთქმის წარმოდგენებთან შედარებით ახალი რელიგიური იდეა გახლავთ (რადაცნაირი ანალოგი მას მხოლოდ მეორე საუკუნის გნოსტიციზმთან შეიძლება მოენახოს) — აწრი იმის შესახებ, რომ მსოფლიო ბოროტება და ტანჯვა გამოწვეულია არა ცოდვის მოუკიდებელი იდეალური ძალით, რამაც შემოადწია სამყაროში და დაამახინჯა ღვთის სრულყოფილი ნახელავი, არამედ თავად სამყაროს არასწორი ორგანიზაციით. ამას უმატება სხვა აწრიც: ადამიანის ნებას, რომელსაც აბსოლუტური ქვემარტებისაკენ სწრაფვა წარმოართავს, აქვს უნარი, ძირფხვიანად გარდაქმნას სამყარო — ნაცვლად ძველისა, წარუმატებლისა და უსამართლოსი, შექმნას ახალი — გაანჭრებული და სამართლიანი. უტოპიზმი პირველ რიგში პირველცოდვის დოგმატის უარყოფაა. მიწიერ უსამართლობას იგი აბრალებს არა მიწიერ ცოდვილო-

ბას, არა ადამიანის ცოდვილ ნებას, არამედ სულ სხვა ძალებს, რომელთაც სამყარო არასწორად და უსამართლოდ მოაწყვეს. თუ აწრის თანმიმდევრობას მივყავართ, უტოპიზმი ბრალს დებს სამყაროს შემოქმედ ნესტანციას. ეს არის ადამიანის ზნეობრივი ნების აჭანუება სამყაროს შემოქმედის წინააღმდეგ და თავად სამყაროს, როგორც მისი ქმნილების, წინააღმდეგ. ძველი გნოსტიკოსები ასწავლიდნენ, რომ სამყარო შექმნილია ბოროტი ღმერთის მიერ, სიუვარულისა და ქვემარტების ღმერთი, რომლიც გამოცხადებაა ქრისტე, სრულიად სხვა ღმერთია და არა სამყაროს შემოქმედი, აქედან, ბუნებრივია, გამომდინარეობდა ქვეყნიდან ასკეტური განრიდება, ბოროტი ღმერთი შემოქმედის ხელისუფლებისაგან დასხლტომის მცდელობა და ლტოლვა სხვა „შორეულ“, სიუვარულისა და ქვემარტების ღმერთთან ზიარებისა. გერმანელი თეოლოგი მარნაკი (თავის წიგნში მარკიონზე) კარგად აახლოებს ტოლსტოის მოძღვრებას ამ ძველ რელიგიურ მიმართულებასთან. არაა შემთხვევითი, რომ ტოლსტოისში შერწყმულია ასკეტი და რევოლუციონერი ერთად. ქვეყნიდან გაქცევა, სილამაზისთვის, ეროტულობისა და კულტურისათვის ზურგის შექცევა, ანუ უარყოფა ქველა სულიერი ძალებისა, რაც კი ამსოფლიურ ცხოვრებასთან და სამყაროს დადებით რელიგიურ ღირებულებათა აღიარებასთანაა დაკავშირებული, ჩანაცვლებულია ოცნებით უნაკლო ცხოვრებაზე. ოცნების განხორციელება იმ ახალი წესრიგის შემოღებით უნდა მოხდეს, რომლისთვისაც ტოლსტოური ცხოვრების წესი შეიძლება გვეწოდებინა. უნდა ითქვას, რომ მართებული ცხოვრების ეს წესრიგი ნებაყოფილობითია, ყოველგვარი ფიზიკური იძულება ამ საქმეში გამორიცხებულია. სწორედ ამით არსებითად განსხვავდება უტოპიზმისაგან. მაგრამ, როგორც უკვე ზემოთ მივუთითეთ, კანონიერი წესრიგის, როგორც ღვთაებრივი სამართლის აღქვატური და ყოველისმომცველი გამოხატულების, რწმენა თავისი არსით მოიცავს ამ წესრიგის იძულებითი განხორციელების მორალურ მოთხოვნას და განუხრებლად მიემართება იძულებითი თეოკრატიის იდეალისაკენ, რამდენადაც სამართლიანი წესრიგის დაფუძნებას მიიჩნევენ ადამიანის განმწრახველი, მომწესრიგებელი ნების საქმედ. იძულებითი თეოკრატია ღმერთის წინააღმდეგ მებრძოლი იძულებითი ანთროპოკრატიის ხასიათს იძენს. ადამიანი თავის თავზე იღებს სამყაროს მოწყობას. ახლად, სამართლიან საფუძვლებზე. ეს ახალი, სამართლიანი და გონიერი სამყარო — ადა-

მიანის ქმედითი ზნეობრივი ნების ქმნილება — უპირისპირდება ძველ სამყაროს: ოდინდეღს, ბოროტებითა და უგუნურებით სავსეს, ბოროტი, ბრმა, ქაოტური ძალის მიერ შექმნილს, სწორედ ამ სრულიად ახალი სამყაროს შექმნისა და მასში სამართლიანი წყობის იძულებითი დაფუძნების განზრახვაში მდგომარეობს უტოპიზმის არსება. შემთხვევითი კი არა, სრულიად ბუნებრივი და შეუბრალებელი ლოგიკური თანმიმდევრულობიდან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ უტოპიზმი, რომელიც ქრისტიანული ერების სახით სამყაროს ხსნას სამართლიანი კანონისადმი მის სრულ დაქვემდებარებაში ზედავს, ღვთისმებრძოლობაში, ღმერთის წინააღმდეგ ადამიანის აჯანყებაში გადადის. ქრისტიანული ერების ხასიათს იგი ამ დროს მხოლოდ სამყაროს ხსნის ანუ გარდასახვის იდეაში ინარჩუნებს.

უტოპიზმის ამგვარ არსებაშივე განსაზღვრულია მისი ზვედრი, სიკეთის ბოროტებად გადაგვარების ის საბედისწერო დიალექტიკა, რომლის კონსტატაცია ჩვენი მსჯელობის ამოსავალს შეადგენდა. იმისათვის, რომ ახალი სამყარო ააშენო ან შექმნა, საჭიროა ქერძველი დაანგრიო, საქმე ხომ სამყაროს სწორედ ახლად შექმნას უნება, ადამიანი განიზრახავს ღმერთის წაბაძულობით არაფრისაგან შექმნას სამყარო, მაგრამ, რაკი იგი არ არის ღმერთის მდგომარეობაში, რომელმაც სამყარო პირველად შექმნა, იგი თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებისას აწყდება წინააღმდეგობას უკვე არსებული სამყაროს სახით. ამიტომ მსხვერვის ამოცანა მისი შემოქმედებითი ამოცანის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს. ბაკუნინის ცნობილი გამოთქმის არ იყოს, რომელიც მისი ახალგაზრდობისდროინდელ გერმანულ სტატიაში — რევოლუციური უტოპიზმის ამ ფილოსოფიურ მანიფესტში გვხვდება — „Die Lust der Zerstörung ist auch eine schafende Lust“ (ლტოლვა ნგრევისა იმავდროულად შემოქმედი ლტოლვაა). რაც მართალია, უტოპიზმის ჩანაფიქრით ძველი სამყაროს დაანგრევა მოკლე მოსამზადებელ სტადიაზე უნდა მოხდეს, ამას მოჰყვება ახალი სამყაროს შენების წმინდა შემოქმედებითი პროცესი. მაგრამ ძველი, ოდინდეღი სამყარო — ცოდვილი, უგუნური, ნაკლოვანი — არ თმობს არსებობას, ეწინააღმდეგება თავის განადგურებას. ეს სიჭიუტე უტოპიზმისათვის მუდამ გაუგებარია, მოულოდნელი, არაბუნებრივი, რადგან არ ეთანხმება მის წარმოდგენას ახალი სამყაროს აშენების სიიოღეზე. ამიტომ მას განიხილავს როგორც შემთხვევით, კერძო დაბრკოლებას გარყვნილი, მანკიერი ნებიდან რომ გა-

მომდინარეობს. უტოპისტებს საცხებით ბუნებრივად მიაჩნიათ, რომ უგუნური ნორმალური ადამიანი უნდა ემსახუროს ახალი სამყაროს აშენების გეგმას. რაკი მათს „ხსნას“, გონიერ და ნეტარ ცხოვრებას უზრუნველყოფს. მათი აზრით, უმცირესობის გარყვნილი, მანკიერი ნება უნდა დათრგუნოს და ჩაიქლას. აქედან წარმოდგება „ათასი თავის“ მოთხოვნა, მაგრამ ეს ძველი სამყარო მიუხედავად მანკიერებისა, მიბრწინლებისა და არასრულყოფილებისა, მაინც ზეადამიანური წარმოშობისაა, რის გამოც უტოპიზმისათვის მოულოდნელ სიმტკიცეს ავლენს. ბოლო უკველგვარი წმინდად ადამიანური ნება მასთან შეჯახებისას კისერს იტებს, ამიტომ ვერავითარი „ათასი თავი“ საქმეს ვერ შევლის, მოკვეთილი თავების ნაცვლად „კონტრრევოლუციის მიღრას“ ათობით და ასობით ათასი თავი ეზრდება. დანგრევის საქმე უიმედოდ ტიანურდება და უტოპიზმს ხუთ უფრო და უფრო იტაცებს უწყალო და უკვლისმომცველი ტერორი. სწორედ ამიტომ კაცობრიობის კეთილისშეყოფელნი გარდაუვალობით ბღებთან მისი მტანჭველები, ჯალათები და დამაპყვერები, დახსნილნი იხტებიან მხსნელთა სიბრძავის გამო, მათი ყალბი განზრახვის გამო — მოაწყონ ახალი სამყარო, ეს განზრახვა ეფუძნება იმ ქეშმარიტების დავიწყებას, რომ არავითარი გარეგანი ადამიანური ღონისძიებით სამყაროს ცოდვითი არასრულყოფილება არ დაიძლევა. კანტს მოსწრებულად აქვს ნათქვამი „იმ მრუდე ბისაგან, რომლისგანაც გამოსთლილია ადამიანი, სრულიად სწორს ვერაფერს გამოთლი“. უძღვნიან რა მთელ თავიანთ ძალებს უსასრულო, მარად გადაუწყვეტ ამოცანას, მოთოკონ, დათრგუნონ, განადგურონ არსებობის ძირეული საფუძვლები, ქვეყნის მხსნელები მოხისბლე მტრებად უხდებიან ქვეყანას. თანდათან ბელში უვარდებიან მათ ბუნებრივ წინამძღოლს ამ გზაზე — ბოროტების, კაცთა მოდგმის სიძულვილისა და ზიზღის ხუთს. ღმერთმებრძოლი ანთროპოკრატია საბედისწეროდ გადაგვარდება დემონოკრატად, რასაც სამყაროს ხსნისაკენ კი არა და მისი დაღუპვისაკენ მივყავართ.

ჩვენ წინდაწინ ვჭვრეტთ ბუნებრივ შემოღებებს. ერთი შეხედვით კაცს აღვილად შეიძლება მოეჩვენოს, რომ მთელი ეს მსჯელობა აგებულა სიტყვათა თამაშზე, რომლის დროსაც ერთმანეთში ირევა „სამყარო“, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ხეობა და „სამყარო“, როგორც კოსმოსი. გვეტყვიან, რომ არც ერთი უტოპისტი არ აპირებს ბუნების კანონთა შეცვლას და სამყა-

როს ახალ წანამდევრებზე აგებას. მათ მხოლოდ ახალი სამართლიანი წყობის ორგანიზება აქვთ ჩაფიქრებული. ხოლო ისტორიული გამოცდილებით დადასტურებული სოციალური წყობის ცვალებადობა ხრულია ეთავსება ეოფნის კოსმოსური წყობის უცვლელობას. მაგრამ ეს არგუმენტი მხოლოდ ერთი შეხედვით გარეგნულად არის დაჩაქერბელი. იგი პრობლემის არსებით მხარეს არად აგდებას. მხოლოდ გაკვირით აღვნიშნავთ, რომ უტოპიზმი ხშირად აცხადებს თავს ოცნებად კოსმოსურ გარდაქმნებზე, როგორც ეს არის, მაგალითად ფურიეს უტოპისტურ ფანტაზიებში ან მარქსის ცნობილ ფორმულაში „აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში ნაბტომის შესახებ“; აქედან სწორედ ის ჩანს, რომ სოციალიზმის დაშუარება კოსმოსური ეოფნის სრულიად ახალ ეონად ესახებათ. უტოპიზმი (ბუნდოვნად) იმის რწმენასაც მოიცავს, რომ სოციალური წყობის გარდაქმნამ რაღაცნაირად ჭეშმარიტი ხსნა ანუ ბრმა ძალებისადმი ადამიანის დამონების დასასრული და ახალი, ციკროვან-ნეტარი ცხოვრების დადგომა უნდა უზრუნველყოს. მაგრამ ჩვენთვის გაცილებით არსებითია სხვა, უფრო ფაქიზი და ღრმა კავშირი, რომელშიც საჩინოვდება უტოპიზმის იმანენტური აუცილებლობა — იყოს ჩანაფიქრი ეოფნის ზოგადი კოსმოსური საფუძვლების გარდაქმნისა.

საქმე ის გახლავთ, რომ თავად ადამიანის ცხოვრების წყობის ანუ მისი სოციალური სფეროს ზოგიერთი ზოგადი პირობა ისეთია (რომელთა საზღვრებში, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი ისტორიული ვარიაცია არის შესაძლებელი), რომ აშკარად გამოხატავს ადამიანის დაქვემდებარებას კოსმოსური წყობის ძალებისადმი. რამდენადაც ადამიანი წმინდა გონი კი არ არის, არამედ — ხორციელი არსება, იგი ამ თავისი ხორციელი ბუნების საპირობათა და მოთხოვნათა ხაზით „კოსმოსის“ შემადგენლობაში შედის და მის ძალებს ექვემდებარება. ამიტომ ეოფელი ჩანაფიქრი — სულ ერთია, გაცნობიერებულია თუ არა — შეიცვალოს ეს ზოგადი პირობები და მათ მაგივრად ახალი იქნას შემოღებული — არსებითად ადამიანური არსებობის კოსმიური ძირების გარდაქმნის მცდელობა (ჩვეულებრივ ამას აღიარებენ ხოლმე, რადგან აშკარა აღიარება უტოპიზმის დაგმობის ტოლფასი იქნებოდა). დავიწყოთ უმარტივესი და ამიტომ უბეში მაგალითით. საყოველთაო თანახმობის პრინციპი, როგორც ზნეობრივი მოთხოვნა სავსებით კანონიერი და სავალდებულოა, რადგან იგი გამოხატავს პატივისცემას პიროვნების სიწმინდისადმი, აღიარებს მას ღვთის

ხატად და ღვთისშვილად. მაგრამ უცბად რეალური და უპირობო თანახმობა დაამყარო ეველა ადამიანს შორის, მდგომარეობის, შესაძლებლობათა და ცხოვრების წესების მიხედვით. ეს ნიშნავს, ~~უცბად~~ უნივერსალური და აუცილებელი კოსმოსური ფაქტი ადამიანთა უნარების, ენერჯის, შრომის მოქვარეობის რეალური თანახმობისა, აგრეთვე უკუაგდო მეორე გარდაუვალი ფაქტი — ირაციონალურ შემთხვევითობათა როლი — ადამიანთა ცხოვრებაში, შესაძლებელია და კიდევ უნდა მიენიქოს ქალებს მამაკაცების ბარდაბარ „თანახმობა“. მაგრამ შეუძლებელია, რომ სქესის გონიბრივ სულიერ წყობათა, სასიცოცხლო „მონადებთა“ უღრმესი, კოსმოსურად განსაზღვრული განსხვავების გაუქმება. ანალოგიური მოსაზრება საბედისწერო წინააღმდეგობად აღემატება ადამიანთა საყოველთაო, რეალური გათანახმობის ეველა სხვა მცდელობასაც. ასეთი მცდელობანი სინამდვილეში „კოსმოსურ რევოლუციათა“ განზრახვაა, რაც ეოფნის რაგვარობრივი და რაოდენობრივი დიფერენციის უნივერსალური, კოსმოსური ფაქტის ანუ მისი მრავალფეროვნებისა და იერარქიული სტრუქტურის უარყოფას ნიშნავს.

აქედან გამომდინარეობს, რომ არსებობს გარკვეული „კანონები“. ანუ ადამიანის ცხოვრების ნორმალურად განსაზღვრული წესები, რაც შეესაბამება „ამ სამყაროს“ საზღვრებში ადამიანის გარდაუვალ დაქვემდებარებულობას ეოფნის კოსმოსური პირობებისადმი, ამაშია საზრისი „ბუნებითი სამართლისა“, რომელიც ანტიკურ ხანაში შეიმუშავეს და, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამაც შეითვისა საკუთარ რელიგიურ ცნობიერებასთან სრულ თანხმობაში. „ბუნებითი სამართალი“ არ უზრუნველყოფს სრულსა და ნეტარ ცხოვრებას, ან კიდევ ისეთ სოციალურ წესრიგს, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებდა ადამიანის სულიერ მოთხოვნებს. პირობით, ცხადია, რომ იგი არასრულყოფილია, რადგან გამოხატავს ადამიანური ცხოვრების ზოგად არასრულყოფილებას, მის დაქვემდებარებულობას კოსმოსურ ძალებისადმი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბუნებითი სამართალი მაქსიმალურად ადეკვატურად გამოხატავს ადამიანის ზნეობრივ და რელიგიურ ბუნებას კოსმოსური ძალებისადმი დაქვემდებარებულობის ფარგლებში. ასე, მაგალითად, მონოგამიური ოჯახი არის ფორმა, რომელშიც ადამიანის ზნეობრივი სული სქესის კოსმოსურ სტიქიას აწესრიგებს. ასევე საბელმწიფო, საბელმწიფო ძალაუფლება წარმოადგენს ფორმას, რომელიც პრაქტიკულად აკმაყოფილებს ზნეობრივ მოთ-

ხოვანს, შეიქმნას თავისუფალი და მშვიდობიანი გაერთიანება ადამიანთა თანაცხოვრების შიგნით თუ გარეთ მოკმედი ბოროტი, ანარქიული ძალების წინააღმდეგ, როგორც მოციქული ძაღლე გვასწავლის, სწორედ ამ აზრითაა სახელმწიფო ხელისუფლება დიურთის მიერ დამყარებული (ახეთივეა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართლის ბუნებით-სამართლებრივი ხაფუძველი და აგრეთვე საერთაშორისო ერთიანობის ქერ კიდევ განუხორციელებელი ჩანაფიქრი). ვნებავთ, განვიხილოთ კერძო საკუთრება, მიუხედავად მისი კონკრეტული ფორმების სიკრულისა და ადამიანთა სოლიდარობის ინტერესების გამო შეზღუდვის აუცილებლობისა, იგი უსაკუთრეს პრინციპში ადამიანის თავისუფალი მოღვაწეობის ბუნებითი პირობაა გამომდინარე „სამეურნეო საქმიანობიდან“, ე. ი. ადამიანის კეთილდღეობის მატერიალურ სიკეთეთა ფლობაზე დამოკიდებულების კოსმოსური ფაქტიდან.

ამიტომ უოველი განზრახვა, გააუქმოს ან გაანადგუროს ადამიანური ცხოვრების ეს ზოგადი ფორმები, რომლებიც ასახავენ მიწიერი უოფნის დაქვემდებარებულობას კოსმოსურ ძალებზე, შეცვალო ისინი სხვა, ადამიანის ქუთის გამონაგონი ფორმებით, არის გამოხატულება კაცის უკანონო, არაბუნებრივი მზავობრობისა, მისი ტიტანური წადილისა, საკუთარი ძალებით აავოს სრულიად ახალი სამყარო, ეს განზრახვა ფაქტიურად განუხორციელებელია, იგი იმსხვრევა სამყაროს გადაუღებავ სიჭიუტეზე და ამით თავის ადამიანურ წარმომავლობას ადასტურებს. პრაქტიკული განხორციელებისას ეს განზრახვა სამყაროს დაზარების უიმედო, დაუსრულებელ ამოცანად იქცევა და ფაქტიურად გადაგვარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი და სწორედ ამიტომ ადამიანის ბუნების მოცემულ მდგომარეობაში მორალურად აუცილებელი პირობების დასახიჩრების, დამახინჯების პროპროცესად. ჩაფიქრებული, როგორც აბსოლუტური ღვთაებრივი სამართლის დამყარება დედამიწაზე, უტოპიზმი იქცევა მკვლელობად, ამ სიტუვის გადატანითი და პირობითი მნიშვნელობით, — ცოცხალი, კონკრეტული ადამიანების ხოცვა-ჭლეტად, სიცოცხლის განადგურებად და ამდენად მისი მორალური სრულყოფის შესაძლებლობის საბოლოო ჩაკვლად.

ღრმა და უტყუარი კრისტიანული იდეის თანახმად ადამიანი ექვემდებარება „სამყაროს“ ანუ თავისი უოფნის კოსმოსურ პირობებს საკუთარი ცოდვილობის ე. ი. საკუთარი შინაგანი არასრულყოფილების ზომის შესაბამისად. ამ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება მხოლოდ ადამიანის შინაგანი, რელიგი-

ურ-ზნეობრივი სრულყოფის გზითაა შესაძლებელი და არა — ადამიანური ცხოვრების გარეგნული წესრიგის რაღაც შეცვარ. შექანიკურად განხორციელებული ცხოვრების მეოხებით, ადამიანის უსრულყოფილი შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი აღზრდითა და თვითაღზრდით, სიკეთის ძალების მიერ სულის შინაგანი განათებით, საზოგადოებრივი რეფორმები საქირთა და აუცილებელი იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ უზრუნველყოფნ უკეთესი პირობები ადამიანის შინაგანი სულიერი აღზრდისათვის. მაგრამ ეს ფუნქცია რომ შეასრულოს, მათ ანგარიში უნდა გაუწიონ ადამიანის რეალურ მდგომარეობას და მიზნად არ უნდა დაისახონ მისი იძულებითი გარდაქმნა.

უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის რუსული აზრის ისტორიას გააჩნია ღრმა და ზნეობრივი გონების კლასიკური ნიმუში, რომელიც ამგვარ შეგნებამდე პოლიტიკური გამოცდილების ტრაგიკული შედეგების გააზრებით მივიდა. თავისი გონებრივი და ზნეობრივი ევოლუციით იგი სრულიად უპირისპირდება შემოთ ნახსენებ ბელინსკის იდეათა შინაგანად წინააღმდეგობრივ დიალექტიკას. გერცენი „წერილში ძველ მეგობარს“, რაც მის პოლიტიკურ ანდერძად შეიძლება ჩაითვალოს, აკრიტიკებს სოციალური რევოლუციის უტოპიურ ჩანაფიქრს და წერს: „დაანგრე ბურჟუაზიული სამყარო: ნანგრევებიდან, სისხლის ზღვიდან ისევე იგივე ბურჟუაზიული სამყარო წარმოადგება“. რევოლუციონერმა და სოციალისტმა, ისტორიაშიც კარგად ჩახედულმა კაცმა, ცხადია, იცოდა რომ „ბურჟუაზიული სამყარო“ მარადიული არაა, ის ისტორიული მოვლენაა. მაგრამ მან შეიგნო, რომ ადამიანთა თანაცხოვრების წესრიგი განსაზღვრულია ადამიანის ბუნების გარკვეული სულიერი მდგომარეობით და ამიტომ იძულებითი გადატრიალება მას ვერ მოსპობს. ამიტომ იგი კეშმარხითად თავისუფალი გონების სიამაყით დასძენს: „მე არ შეშინია გაცვეთილი სიტყვისა: „თანდათანობით“. ამავე დროს გერცენი ჩახვდა უტოპიზმის მთავარ შეცდომას — შექმნას სრულყოფილი ცხოვრება „მიწაზე“ ანუ მიწიერი ცხოვრების არსობრივად არასრულყოფილ პირობებში. თუმცა უოველგვარი რელიგიური რწმენა მისთვის უცხო იყო, გერცენის დამოუკიდებელი გონება ცხოვრებაზე უბრალო დაკვირვებამ და განხილვამ მიიყვანა უტოპიზმის ერესის განკიცხვამდე, რასაც საბოლოო და სრული დაფუძნება მხოლოდ კრისტიანულ-რელიგიურ ცნობიერებაში შეიძლება აქონდეს.





ლიტერატურული დღიური: შანრის მონადირე და არსი

ლიტერატურული დღიური ჩვენში ნაკლებად არის გამოკვლეული, დასავლეთში კი იგი კარგა ხანია დამოუკიდებელ ენარად ჩამოყალიბდა და მრავალი მეცნიერის კვლევის საგნად იქცა. ლიტერატურულმა დღიურმა, ვიდრე იგი ენარად მოგვევლინებოდა, განვითარების საინტერესო გზა განვლო. თავდაპირველად იგი იყო „არალიტერატურული“, დოკუმენტური, ქრონიკის ხასიათის მქონე, მხოლოდ ფაქტების აღმწერსხველი და შემნახავი, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში იგი მეტ თვითჩადრმავებას, თვით და სამყაროს ანალიზს ეძლეოდა, გამოსახვის ახალ ფორმებს და საშუალებებს პოულობდა.

გუსტავ რენე შოკეს ფუნდამენტურ ნაშრომში „ევროპული დღიური“, ავტორი ცდილობს არალიტერატურული ანუ „ნამდვილი“ დღიურის მაგალითზე გვიჩვენოს მრავალი ევროპელი ინტელექტუალის ცხოვრების ყველაზე ინტიმური მხარეები და ზოგადად ევროპული „სულის“, ინტელექტის განვითარების ისტორია. ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ევროპული დღიურის ყველა ფსიქოლოგიური, სოციალოგიური, რელიგიური თუ ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტი. აქ ავტორი დღიურის სათავეს ეძიებს წინანტიკურ ხანაში, აანალიზებს ყველა დღემდე მოღწეულ დღიურს. წიგნის მეორე ნაწილი კი ანთოლოგიას წარმოადგენს და ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა დღიური როგორც ქრონიკა და დოკუმენტი თანამედროვე დღიურამდე.

ჩვენთვის საინტერესოა. თუ როგორ არის დანახული ამ ავტორთან არალიტერატურული, „ნამდვილი“ დღიური, რომელიც წარმოჩენილია მთელი ხილრმით, ყველა ადამიანური სიხარულისა თუ ტკივილის მატარებელი, ეპოქალური ძვრების მოწმე. აქვე შეინიშნება ლიტერატურული დღიურის ელემენტებიც.

დროა გავერკვეთ, თუ რომელი მივიჩნით ლიტერატურულ, ხოლო რომელი არალიტერა-

ტურულ დღიურად: ვ. გრენცმანი, კ. იუსტი, გ. ზოკე და სხვა მკვლევარები არალიტერატურულ ანუ „ნამდვილ“ დღიურად ერთხმად მიიჩნევენ დღიურს, რომელიც მხოლოდ ავტორისათვის იწერება, როგორც მისი სულის ყველაზე ერთგული მესაიდუმლე, მისი პირადი ცხოვრების ქრონიკა-კალენდარი. იგი არ ფიქრობს მის პუბლიკაციაზე, პირიქით, ცდილობს ყოველი საშუალებით მოარიდოს იგი უცხო თვალს და ხშირად მიმართავს მისი „გასაიდუმლები“ მრავალ ხერხს. აქ ჩვენ შეიძლება წავაწყდეთ ავტორის მიერ აღწერსხულ მშრალ ფაქტებს, ან მისივე ცხოვრების დრამატულ მოვლენებს. მიუხედავად დაფარვისა და გასაიდუმლებობისა, მრავალი დღიური ავტორის გარდაცვალების შემდეგ მაინც გახდა ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრისათვის. არის თუ არა ამ შემთხვევაში დღიური ლიტერატურის ფაქტი? დღიური ლიტერატურის ფაქტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ავტორი მას იმთავითვე საზოგადოების ფართო წრისთვის განსაზღვრავს, თუკი იგი თავიდანვე პუბლიკაციისათვის არის გამოწვდილი. ამ შემთხვევაში ის უშუალოა და გულწრფელია. რაც ნამდვილ დღიურს ასე ამკობდა, ნაწილობრივ იკარგება, ხდება დღიურის სტილიზება და იგი ისეთ დამოუკიდებელ ლიტერატურულ ენარად გვევლინება, რომელიც უდაოდ საინტერესო მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში.

ნამდვილი დღიური მრავალმხრივ არის საინტერესო; იგი საინტერესოა შემოქმედის ბიოგრაფიის მკვლევართათვის. იგი თავად ბიოგრაფია არ არის, არამედ შეიცავს პიროვნების ბიოგრაფიულ ელემენტებს. ბიოგრაფია შემოქმედის ცხოვრების უფრო ფართო მონაკვეთს, ხშირად მთლიანად ცხოვრებას მოიცავს, დღიური კი ცხოვრების რომელიმე პერიოდს ახაზავს. ბიოგრაფია ხინთეზია განვლილი ცხოვრებისა, დღიური კი რომელიმე ცხოვრებისეული მონაკვეთის ან მონაკვეთების ანალიზია.

დავუბრუნდეთ დღიურის წარმოშობის სათავეს. აქ უნდა გამოვყოთ დღიურის არსისათვის გადამწყვეტი ორი მომენტი, რომლებიც უხსოვარ დროში არსებობდნენ. და რომელთა შერწყმამ მოგვცა ადამიანის სულის უფაჭიწესი დოკუმენტი — დღიური. თანამედროვე ადამიანს და ანტიკურ მოაზროვნეს მუდამ აფიქრებდა ადამიანის, ინდივიდის ბედი, საკუთარი მეს თვითგამორკვევა და თვითდამკვიდრება, მისი ადგილი და მნიშვნელობა უკიდვანო სამყაროში. ვინ ვარ მე? რას წარმოადგენს ჩემს ირგვლივ არსებული სამყარო და რა ადგილი მიკავია მე მასში? ეს მარადიული კითხვები მუდამ თან სდევდა ყველა მოაზროვნე და შემოქმედ ადამიანს.

თანამედროვე დახვედრებულ მწერლის ვოლფგანგ კოეპენის აზრით: „იოხის წიგნი ჩემთვის თანამედროვე ავტორის დღიურის ბრწყინვალე მაგალითია, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს პირველი ლიტერატურული თვითანალიზია, პირველი აღსარება, პირველი ცდა ორიენტირებისა, ვინ ვარ მე, სად ვიმყოფები, ვისგან ვარ დამოკიდებული და რა მელის? იოხის წიგნი მიმართულების მომცემია, მიმანიშნებელია და უკვე ტიპურია თანამედროვე ავტორის დღიურისათვის“.

„შეიცან თავი შენი“, აი, დღეფური მოწოდება, რომელიც წითელ მაცოცხლებელ ზოლად თანსდევს მოაზროვნეთა შემოქმედებას. ეს კითხვა გასდევს ლაიტმოტივად მარკუს ავრელიუსის, არისტოტელეს, პლატონის, ნეტარი ავგუსტინის შემოქმედებას. ისინი, რაღა თქმა უნდა, პირდაპირი გაგებით დღიურის მწერლები არ იყვნენ, მაგრამ საფუძველი ჩაუყარეს დღიურის მაცოცხლებელ ნერვს: თვითგამორკვევას, თვითჩაღრმავებას, თვითანალიზს, სამყაროს შეცნობას და სამყაროს ანალიზს.

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელმაც განსაზღვრა დღიურის წარმოშობა, გახლდათ ოდიტგანვე არსებული ქრონიკული, დოკუმენტური სახის ინფორმაცია, მოვლენების, ფაქტების აღწერა. რაღა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო მეფეების, მხედართმთავრების, მორწმუნეთა ცხოვრების ქრონიკა. გ. ბოკე მიგვითითებს, რომ ამგვარი ქრონიკები სათავეს იღებენ ჯერ კიდევ ძველ შუამდინარეთში. ასევე დამახასიათებელი იყო ფაქტების აღწერა ძველი ხმელთაშუაზღვის კულტურისათვის წერილობით — დოკუმენტის, ქრონიკის სახით. უფრო მეტიც, მკვლევარი პირველ ახეთ ქრონიკებად მიიჩნევს არა დამწერლობას, არამედ სურათებს, სხვადასხვა სახის მოხატულობებს, რომლებიც ამკობდნენ ეგვიპტის ფარაონებისა და მეფეების სამარხებსა და

მოგვითხრობდნენ მათს ცხოვრებას და საგმირო საქმეებზე.



ეს ორი მძლავრი ნაკადი, დღიურის მახარებელი ორი ცხოველმყოფელ ფაქტორი წყარო: ადამიანის მარადიულ ცხოვრებასთან და სამყაროს შეცნობისაკენ და ადამიანის საქმეთა და ღვაწლთა აღწერისაკენ, რომელთაც გამოიარეს წინაქრისტიანული, ანტიკური და შუახურობის ეპოქა, შეერთდნენ აღორძინების ხანაში. ამ ეპოქაში დღიური უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა ადამიანის სულის საკვლევ წერილობით დოკუმენტად. პირველი დიარისტი იტალიელი, ფლორენციელი ანონიმი ავტორი იყო, რომლის ჩანაწერები „ანონიმური ფლორენციელის დღიური“ 1858-1889 წლებით თარიღდება (ტერმინი „დიარისტი“ პირველად შემოაქვს გ. ბოკე „ევროპულ დღიურში“, „დიარიო“ იტალიურად დღიურს ნიშნავს, ხოლო დიარისტი კი არის პიროვნება, რომელიც რეგულარულად წერს დღიურებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტერმინის ხმარება კვლევის პროცესში, ვინაიდან იგი ლაკონურია და ზუსტად გამოხატავს საგნის არსს). აღორძინების ეპოქაში მრავალი კულტურისა და განათლების ცენტრი წამოიქმნა მონახტრებში, უნივერსიტეტებში, სასახლის კარზე. პეტრარკას ბიოგრაფიულ მორალურ-ფსიქოლოგიურ პროზაულ ნაწერებს უდიდესი შემოქმედება ჰქონდა დღიურის შემდგომ განვითარებაზე. სწორედ აღორძინების ეპოქაში დაგვირგვინდა დაკვირვების იმ ყალიბის შექმნა, რასაც დღიური ეწოდება. აქ ერთურთს შერწყა ორი ნაკადი: დღიურის ქრონიკის აღმავლობა.

თუკი ადრე მეფეთა, ფარაონთა ცხოვრება იყო ყურადღების ცენტრში, რენესანსიდან უბრალო ადამიანის სულიერი ცხოვრება, მისი ყოფა იწევს წინა პლანზე. არა პომპეზურობა და საგმირო საქმეები, არამედ შემოქმედი, მამიბელი ინდივიდის ადამიანური, ბუნებრივი ცხოვრება და მისი განცდებია ინტერესის საგნად ქცეული. „სამყაროს უკვე შევიდან კი აღარ უყურებენ, არამედ ყოველი მხრიდან“. იტალიელმა დიარისტებმა — ჯაკოპო და პონტორმომ (1554-1558), სტეფანო ინფესურამ (1438-1500), მასო დი ბართლომეომ, ლუკა დი ლანდუჩიმ (1447-1458) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დღიურის განვითარებაში. ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერები მექანიკის, ოპტიკის, ფიზიკის, მედიცინის და ბელოვნების სფეროში არ იყო, ცხადია, დღიურები. თავად ავტორი მათ „მოუწესრიგებელ ჩანაწერებს“ უწოდებდა, მაგრამ გენიალური შემოქმედის ეს ჩანა-

წერები ინტერესს მოკლებულნი მაინც არ არიან.

რენესანსის ეპოქიდან ქრონიკული დღიურის გვერდით უკვე ჩნდება თხრობითი დღიური. მე-16 — მე-17 საუკუნეებში შეინიშნება გარკვეული სტილიზების ტენდენცია: ხოლო 1763-1768 წლებში ჯიშს ბოსველის „Konfession“ და „ლონდონის დღიური“ უკვე ე. წ. მოგონილი დღიურებია. დანიელ დეფოს 1659-1781 წლების „შავი ჭირი ლონდონში“ უკვე ლიტერატურული დღიურია. რომელსაც გარკვეული ადგილი უკავია ისეთი ფანტაზიის გვერდით, როგორცაა რომანი და მოთხრობა. როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის ინგლისში უკვე გაჩნდა ლიტერატურული დღიური. როგორც დამოუკიდებელი ფანტი.

როგორ ვითარდება ამ დროს გერმანიაში დღიური. — „ნამდვილი“ და ლიტერატურული? ვ. გრენცმანი ერთ-ერთ უძველესი დღიურის ფორმის ისტორიულ დოკუმენტად ახაზვებს მე-18 საუკუნის ალბრეხტ დიურერის „დღიურს ნიდერლანდებში მოგზაურობის შესახებ“. ამ ჩანაწერებში უკვე ჩანს დღიურის („ნამდვილის“) სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნები. აქ ჩვენ ხვდებით ხაზის ჩანაწერებს ვხვდებით, დაწეებული მშრალი ხარჯთაღრიცხვიდან, იმ შთაბეჭდილებებამდე, რომელიც მიუღია მხატვარს ამ მოგზაურობისას. იგი აღწერს ანტიკერპენში ყოფნის დროს გამართულ დღესასწაულს და ამავე დროს წუხილს გამოთქვამს მარტინ ლუთერის გარდაცვალების გამო. დიურერის დღიური უფრო ქრონიკაა, დოკუმენტია, იგი ჯერ ძალიან შორს არის ლიტერატურული დღიურისაგან. ვ. გრენცმანისაგან განსხვავებით ვ. მოკე პირველ გერმანელ დიარისტებად ახაზვლებს გერმანელ ვაჭრებსა და პილიგრიმებს, რომლებმაც იმოგზაურეს რენესანსულ იტალიაში. საინტერესოა, რომ ისინი უფრო დიდ ინტერესს ამჟღავნებენ ანტიკური და არა რენესანსული იტალიის მიმართ. მე-18 საუკუნეში სამონასტრო დღის რეგისტრაცია-აღწერას აწარმოებდნენ მარტინუს კარუზიუსი ტიუბინგენში, ისააკ კასაბაუნუსი ფენევიდან ჯერ პარიზში, ხოლო შემდეგ ოქსფორდში. 1574 წლით თარიღდება მაილბორნელი ვაჭრების ფილიპ ორთისა და კლემენტ იმლიუს „გახეირობა რომში“. ახვე იმოგზაურეს იტალიაში და დოკუმენტურად აღწერეს ეს მოგზაურობები სამუელ კიპელმა 1586-1588, ჰანს ლოხნერმა და ჰანს ტუპერმა 1478-1483 წლებში.

მოგზაურთა და პილიგრიმთა დღიურები წინა საფეხურია ხუბიექტური გერმანული დღიურის ლიტერატურისა, რომელმაც თავის აღმავლობას მე-18 საუკუნეში სენტიმენტალიზმისა და პიე-

ტიზმის გავლენით მიიღწია სენტიმენტალიზმმა, რომელიც გარკვეული დოკუმენტის იყო განმანათლებლური რეალიზმის რაციონალიზმზე, და პიეტიზმმა, რომელიც უკვე აღსარება შეცვალა დიარისტებად. გერმანიაში საბოლოოდ დაამკვიდრეს დღიური.

პერდერის „ჩემი 1769 წლის მოგზაურობის უურნალი“ და ჰამანის „ერთი ქრისტიანის დღიური“ (1758) მათი მოგზაურობის შთაბეჭდილებით არის შთაგონებული. ჰამანის დღიური იწერებოდა ლონდონში, მისი ცხოვრების კრიზისულ პერიოდში, როცა იგი აქტიურ მოღვაწეობას არ ეწეოდა. მისი დღიური ამავე დროს ბიბლიისა და სხვა სასულიერო ლიტერატურის ვრცელ პახაფებს მოიცავს. ამავე დროს პირველი ესკიზია ჰამანის აფორიზმებისა და ლირიული რაფსოდებისაგან შემდგარი ნაწარმოებებისა.

პერდერის „მოგზაურობის უურნალი“ უხვად შეიცავს მასალებს ლიტერატურის, პოლიტიკის, ფილოსოფიის თუ ბუნებისმეტყველების სფეროებიდან. მისი „უურნალი“ ეპოქათა მიჯნაზე იდგა და ამ გარდატეხის ნათელი კვალი ამჩნევია. განმანათლებლობამ ამოწურა თავისი თავი. იგი ადგილს უთმობს უფრო პროგრესიულ ეპოქას — „ქარიშხალისა და შეტევის“ ეპოქას. პერდერისა და ჰამანის დღიურები მათი სულისა და სამყაროს სარკეა. ჰამანისაგან განსხვავებით პერდერი საუბრობს საკუთარ თავთან და ამავე დროს მხედველობაში მყავს მსმენელი ან მკითხველი. აქვე ისახება პირველი შესაძლებლობა, რომ დღიური გასცდეს ვიწრო ჩარჩოს და მიიღოს ლიტერატურული ხასიათი. ჰამანისა და პერდერის დღიურები მათ სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ისინი მკითხველთა, მეგობართა და ახლობელთა ვიწრო წრის წასაკითხავად იყო გამიზნული.

1771-1773 წლებში ჩნდება ლავატერის „საკუთარ თავზე დამკვირვებლის საიდუმლო დღიური“. აქ ავტორის მწერა ძირითადად მისი საკუთარი პიროვნების სულიერ სიღრმეში მიმდინარე პროცესებისაკენაა მიმართული, მაშინ როცა მეორე ავტორი, ლიხტენბერგი, მწერას საკუთარი სულის სიღრმიდან გარე სამყაროს მიაპყრობს. ლიხტენბერგმა, პერდერის მსგავსად თავის დღიურში შეკრიბა მრავალი იდეა, ესკიზი, ესსე თუ დაკვირება.

პროცესი, რომელიც განმანათლებლებმა წამოიწყეს. დაავიწროვინა გოეთემ, მან სერიოზულად მოამკიდა ხელი დღიურის სტილიზებას და ვალიტერატურებას. იგი მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დღიურის წერას და თავის მიგობრებასაც ურჩევდა ყოველდღიური ჩანაწერების გაკეთებას. მისი დღიურების საფუ-

ძველზე შეიქმნა 1816-1817 წლებში „მოგზაურობა იტალიაში“. მისივე თქმით, „ამდენი დღიური რომ არ მქონოდა, ჩემს პატარა ნაწარმოებს „მოგზაურობა იტალიაში“ უშუალოდ და სიცხვედრე არ ექნებოდა“. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი პრაქტიკას, რომელიც შემდგომ მე-19 და მე-20 საუკუნეებში დამკვიდრდა, სახელდობრ დღიურის, როგორც დოკუმენტისა და ქრონიკის ლიტერატურულ დღიურად გადაქცევას. ლიტერატურული დღიურების გვერდით კვლავ და კვლავ იწერებოდა „ნამდვილი“ დღიურებიც გოეთესი თუ მისი თანამედროვეების — ვაიბლინგერის, ჰოფმანის, აიშენდორფის, პლატენის მიერ. ისინი ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა კრიპტოგრამებსა და ასტრონომიულ სიმბოლოებს, რათა დღიური უცხო თვალისათვის მიუწვდომელი ყოფილიყო. მე-19 საუკუნის დიარისტებთან უკვე ვპოულობთ ლიტერატურულ ელემენტებს, დიარისტი უკვე კრებს და ინახავს მომავალი ნაწარმოების მასალას. ლიტერატურულ დღიურებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ოტო ლუდვიგის პოეტური სახის ჩანაწერები, ასევე ფრანც გრილპარცერის „ერთი შეშლილის ავადმყოფობის ისტორია“ და ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“, თუკი ჰერდერის, პეტელის, ლავატერის და ლიხტენბერგის დღიურები „საიდუმლოდ“ იწოდებოდნენ, და გოეთე, აიშენდორფი, ჰოფმანი, ვაიბლინგერი და პლატენი დღიურს სხვადასხვა საშუალებებით „საიდუმლოებდნენ“, მე-19 საუკუნის დღიური უკვე საზოგადოების ფართო წრისათვის არის გამიზნული და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი.

ამას ასაბუთებენ ვარნჰაგენ ფონ ენზერა და თავად პერმან ფონ ბიუკლერ-მუსკაუს დღიურები. აღსანიშნავია, რომ ეს მწერლები ძირითადად ამ ჟანრში მოღვაწეობდნენ, ე. ი. იყვნენ დღიურის მწერლები.

მე-20 საუკუნის დღიური კიდევ უფრო მრავალმხრივია თავისი თემატიკითა და ამ საუკუნისათვის დამახასიათებელი პრობლემატურობით. ამ დროს ხდება დღიურის მრავალ თვისებათა გარკვეული სინთეზი. და დღიური სხვა ლიტერატურული ჟანრის გარკვეულ ძირად, საწყისად გვევლინება. ერნსტ იუნგერი ძირითადად დღიურის ჟანრში მოღვაწეობდა. მის კალამს ეკუთვნის მეორე მხოფლიო ომის თემაზე შექმნილი რიგი დღიურებისა. მასთან ვხვდებით

სხვადასხვა შემეცნებითი თუ პასარებითი სახის ინფორმაციას, და ამავე დროს ურველდღიური, ბანალური, ფხიზელი თვალის დაკვირვების შედეგად აღწეულ ფაქტებს. მასთანავე ვხვდებით ლიტერატურული ნაწარმოების ესკიზებს. ყველა ამ ელემენტის კონტრაპუნქტირება დღიურში უკვე სიახლეს წარმოადგენს. თანამედროვე მწერლებიდან დიარისტებად უნდა მოვიხსენიოთ კაფკა, მუზილი, ჰეკერი. მუზილიმ: ბევრი ჩანაწერი, ესე, დაუმთავრებელი ესკიზი თუ აფორისტული ხასიათის წინადადებები შემდგომ თავის რომან „უთვისტომო კაცში“ გამოიყენა. ჩვენს საუკუნეში დღიური ერთდროულად გვევლინება როგორც აღხარება, როგორც ქრონიკა-კალენდარი, თვითნაალიზის შემცველი, ავტობიოგრაფიული ელემენტების მატარებელი, ლიტერატურული ესკიზების აღმწესხველი და შემგროვებელი. უნდა აღინიშნოს მის მრავალ ნიშანთაგან გამორჩეული ეგოცენტრიულობა, არა თავისთავად სამყარო, არამედ პიროვნების სამყაროა დღიურის ძირითადი ღერძი. პიროვნების მიერ და მასში არეკლილი სამყაროა დღიურის თემა. მწერლის ინდივიდუალური განცდა, გარე სამყაროს მოვლენათა მაღალ მხატვრულ დონემდე ამაღლება გამოიყვანს დღიურს შეზღუდვებისა და ინტიმურობის ჩარჩოებიდან და აქცევს მას ზოგადსაკაცობრიო მოვლენად.

დღიურის ზემოთ ჩამოთვლილმა თვისებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ იგი ვახდა საფუძველი და პრინციპი ზოგიერთი დასავლეთ ევროპელი მწერლის შემოქმედებისა. უპირველესად ყოვლისა, უნდა დავასახელოთ შვეიცარიელი მწერალი და დრამატურგი მაქს ფრიში, რომელიც ავტორია ასეთივე ლიტერატურული დღიურებისა: „დღიური 1948-1949“ და „დღიური 1968-1971“ და ისეთი რომანებისა, რომლებიც უხვად შეიცავენ დღიურის ელემენტებს. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას რომანის განვითარების კანონზომიერებითაც და ამ ორი ჟანრის შერწყმა შემთხვევითი არ მოგვეჩვენება. თანადროული რომანი ხასიათდება თვითნაღრმავებით და ლირიზმით, რის გამოც მისთვის დღიურის ფორმა გასაგები და მისაღებია. ცხადია, რომანში დღიურის ფორმა შეინარჩუნებს არა ყველა მის ნიშანს, არამედ მხოლოდ ზოგიერთს, უფრო არსებითს, რომელიც ამ წერილის ფარგლებს სცილდება და სერიოზული კვლევის მიზნად იქცევა.





გამოჩენილ ადამიანთა ღიმილი

გამოცდის ჩაბარება

ფერენც ლისტის ბაირეიტის მუსიკალურ საზოგადოებაში თავის ახალ ნაწარმოებს ასრულებდა. ეს ჩქარ ტემპში დაწერილი უკიდურესად რთული კომპოზიცია გახლდათ და ლისტის მას მთელი ვირტუოზულობით უკრავდა.

დაასრულა თუ არა, ტაშმაც იქუხა.

ლისტმა საზოგადოებას ზრდილობიანად დაუკრა თავი და ამაყად მიმართა:

— მხოლოდ ორ პიანისტს შეუძლია ევროპაში ასე შეასრულოს ეს ნაწარმოები: მე და მანს ფონ ბიულოვს!

მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფორტ ბიზე, რომელიც ხალამოს ესწრებოდა, მყისვე როიალისკენ გაემართა, მიუჯდა და არა ნაკლები ვირტუოზულობით შეასრულა იმწუთას მოსმენილი ნაწარმოები უნოტოდ.

— ვაშა — შესძახა შეცბუნებულმა ლისტმა. — მაგრამ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ასე არ შეიძლება მეზსიერების დაძაბვა, აი, ინებეთ ნოტები.

ბიზემ შეორედა, ახლა უკვე ნოტების მიხედვით ისევე შესანიშნავად შეასრულა რთული ნაწარმოები.

— მომილოცავს, — გაუწოდა ხელი ლისტმა. — ახლა თქვენ მესამე ხარო ევროპაში!

სპილოები და მუსიკა

პოლონელ პიანისტ ვირტუოზს კარლ ტაუზიგს სთხოვეს თავისი აწრი გამოეტქვა ერთი დამწყები პიანისტის შესახებ.

ტაუზიგმა მძიმედ ამოიოხრა და თქვა:

— მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ სპილოები საშიში ცხოველები არიან.

— კი მაგრამ, მაესტრო, — გამოეხმაურა გაოცებული პიანისტი, — რა შუაშია სპილოები და მუსიკა?

— სპილოებს ეშვები აქვთ, რომელთა ძვლებისგანაც კლავისებებს ამზადებენ, — განუმარტა ტაუზიგმა.

«САУНДЖЕ»


ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1990 № 1


СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ხაჩატურ სუტინი. გუნდის მომღერალი ბიჭი მკლამარე კოზით

667/63



ხანს სუბინი. ნატურმორტი